

ათონის შიგნობრულ-ლიტერატურული  
სკოლის ხათარგძნი

ჰაგიოგრაფიული მუშაკიდრეობა

ნაწილი I

ქეთიძე ათონელი  
(ძთაწმიდელი)

ტომი III

ათონის ძეგნობრულ-ლიტერატურული  
სკოლის ნათარგმნი

პაგიოგრაფიული ძეკვიდრეობა

ნაწილი I

ქეთიძე ათონელი  
(ძაწიდიელი)

ტობი III



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2025

უკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6  
ე-726



ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
**Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities**



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
**Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**

სამეცნიერო პროექტი „ათონის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის ელექტრონული აკადემიური გამოცემა (ნაწილი II)“ (გრანტი №FR-21-4884) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.  
The project ‘Electronic Scholarly Edition of the Translated Hagiographic Heritage of the Athos Scribal-Literary School (Part II)’ (Grant №FR-21-4884) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

ტომის რედაქტორები:  
**ქეთევან გიგაშვილი**  
**სოფიო სარჯველაძე**

© ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ყველა უფლება დაცულია.

ბამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჯოლიბაოვსაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-101-5 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-521-03-4 (III ტომი)

## პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი:

დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ციფრული ფილოლოგიის პროფესორი, ბირმინჰემის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი **დევიდ ჩარლზ პარკერი**

**„ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატ მღდელთმობღურისა ტავრომენელთა ქალაქისა, ჭალაკისა სიკილიისას“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესაბამისი გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან გიგაშვილმა**

**„წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონაშეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაფსის,“**

**„წამება წმიდისა მენაფსი და ერმოგინესი და ევლრაფოფსის“ და წმიდა მენას სამი სასწაულის ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესაბამისი გამოკვლევები დაურთო სოფიო სარჯველაძემ**

კრებული იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.



წმინდა კჳვთიმე (ეფთუიმე) ათონელი (მთაწმიდელი)  
(X-XI სს.)

## შესავალი

წინამდებარე III ტომით ვაგრძელებთ ათონის მწიგნობრულ-ლიტურატურულ სკოლაში შექმნილი ქართული წერილობითი კულტურის საგანძურის, ექვთიმე ათონელის (მთანმიდელის) მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის, აკადემიურ გამოცემას.

გამოცემის I ტომში გამოვაქვეყნეთ სამი ძეგლი: „ცხოვრება და წამება წმიდათა მონამეთა ევსტათისი და მეუღლისა მისისა თეოპისტიისი და შვილთა მათთა – ალაპისი და თეოპისტიესი“, „წამება წმიდისა და დიდებულისა მონამისა თეოდორესი და მის თანა წამებულთა მონამეთა, რომელნი იწამნეს პერგე ქალაქსა, ქუეყანასა პანფილიისასა“, „წამება წმიდისა და ნეტარისა ანთიმოს ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისა“ (გიგაშვილი, 2021).

II ტომში გამოვეცით ოთხი შრომა: [„წამება წმიდისა ფებრონიასი“], „ცხოვრება წმიდისა ბასილი კესარიელისა“, „წამება წმიდისა თეოდორე სტრატელატისა“ და „ცხოვრება წმიდისა ათანასე ალექსანდრიელისა“ (გიგაშვილი, 2022).

წინამდებარე ტომში წარმოვადგენთ სამ თხზულებას. ესენია: „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატ მღვდელთმოდურისა ტავრომენელთა ქალაქისა, ჭალაკისა სიკილიისა“, „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალასი“ და „წამება წმიდისა მენასი და ერმოგინესი და ევლრაფოესი.“

„ბაგრატის ცხოვრება და მოქალაქობა“ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ძეგლთა შორის დასახელებულია მისი მამის, იოანეს, ანდერძში, რომელიც უძღვის ექვთიმეს მიერ თარგმნილ იოანე ოქროპირის ნაშრომს – „თარგმანება მათეს სახარებისა“, სათაურით: „ცხოვრება წმიდისა ბაგრატისი“ (ოქროპირი, 1996: 14-15), რაც იმას ნიშნავს, რომ ექვთიმეს თხზულება მამამისის სიცოცხლეშივე უთარგმნია (1005 წლამდე).

ძეგლი დაცულია 4 ხელნაწერ კრებულში, რომელთაგან ორი ათონური წარმოშობისაა: Cod. Iviron georg.-21 (1030) და Cod. Iviron georg.-17 (XI ს.); დანარჩენი კრებულებია: A-134 (1066 წ.) და A-382 (XV ს.). ძირითად ტექსტად შევარჩიეთ ამათგან უძველესი ხელნაწერი – Cod. Iviron georg.-21 (აღვნიშნავთ A ლიტერით). B ლიტერით წარმოვადგენთ A-134 ნუსხას, C ლიტერით – Cod. Iviron georg.-17-ს, ხოლო D ლიტერით – A-382 ნუსხას.

Cod. Iviron georg.-21 ხელნაწერ კრებულში ტექსტს ახლავს გადამწერის ანდერძი, რომლიდანაც დასტურდება, რომ თხზულება უთარგმნია ექვთიმე ათონელს, ის „დიდითა მოსწრაფებითა“ დაუნერინებია მამა გრიგოლს, ხოლო დაწერილა „გლახაკისა ისაკის ჴელითა“ (30r). Cod. Iviron georg.-17 ხელნაწერი ჩვენი თხზულების ნაწილში ნაკლულია, თუმცა ამის შესახებ არ არის მითითებული ხელნაწერის აღწერილობაში. კერძოდ, აკლია 15 ფურცელი.

კორნელი კეკელიძის აზრით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ნაშრომი გადმოთარგმნილია მეფე ბაგრატ მესამის (980-1014) შეკვეთით, რადგანაც მორწმუნე მეფე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო მისი სულიერი პატრონის, ბაგრატის, ცხოვრებით (კეკელიძე, 1945: 24).

შთამბეჭდავია ნაწარმოების კომპოზიციური მრავალფეროვნება, ჟანრობრივი სიჭრელე (ჰაგიოგრაფიული, ჰეროიკული, ისტორიული, სატრფიალო), დინამიკური და მოქნილი ენა, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, მეტაფორული სიმდიდრე.

თხზულება საკმაოდ ვრცელია. მასში ავტორი აგვიწერს ტავრომენიის (იგივე ქალაქ ტაორმინის) მღვდელმთავრის, ბაგრატის, ცხოვრებასა და მონამებრივ აღსასრულს. ამის პარალელურად ვეცნობით პეტრე და პავლე მოციქულების მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა მხარეში მათი მოგზაურობის, ქრისტიანობის ქადაგების, განსხვავებული რჯულის ადამიანების

მონათვლისა და ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის, ზიარების, ასევე სასწაულების აღსრულების შესახებ. ნაშრომი დავითურთულია ქრისტიანული სწავლებებით, მასში უხვადაა ჩანართები ძველი და ახალი აღთქმიდან, წმიდა მამათა ცხოვრებიდან. სწორედ ამ ბიბლიური ინტერტექსტებისა და ალუზიების ფონზეა აღწერილი პეტრე მოციქულის ერთგული მონაფის, ბაგრატის, ღვთის სათნო ცხოვრება და ღვანლი, რომლის მამამაც, ავტორის მტკიცებით, ცოცხლად იხილა მაცხოვარი ისრაელის ერთ-ერთ ქალაქში და ოჯახთან ერთად მოინათლა პეტრე მოციქულის მიერ. ის ერთადერთ ძეს მუდმივად განსწავლიდა ქრისტიანულ მოძღვრებაში და შთააგონებდა უბინოდ ცხოვრებასა და მაცხოვრის მცნებების აღსრულებას, რასაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა ბაგრატმა. საბოლოოდ იგი მოკლა უკეთურმა კაცმა, ტომით ქანანელმა არტაგარმა, სხვა წარმართებთან ერთად, ბაგრატის ერთგული ადამიანების ადგილზე არყოფნის დროს. როდესაც დაიგულა, რომ მისი თანამზრახველები სოფლებში იყვნენ ნასულები და ვონიფანტე მთავარიც არ იყო ქალაქში, მოიხმო თავისი თანამოაზრეები და დაარწმუნა, რომ ბაგრატმა შეურაცხყო მათი კერპი, ვონიფანტე გააქრისტიანა და მთელი ქალაქი წარწყმიდა. ეკლესიაში მლოცველ ბაგრატს ხმა მოესმა, რომელმაც აცნობა მისი საუკუნო განსვენების მოახლოების დრო. არტაგარმა მას შეუთვალა, რომ სწული იყო და მისი ნახვა სურდა. სანახვად მისულ ბაგრატს ის მოქეიფე დახვდა (სხვებთან ერთად). ნასვამები თაყვანს სცემდნენ კერპს სკამანდროს. ბაგრატმა კერპის თაყვანისცემის მიზეზი იკითხა, რაზეც მათ შეურაცხყოფით უპასუხეს. მაშინ მან ჯვარი გადასახა კერპს, რომელიც დაეცა და შეიმუსრა. ამის დანახვაზე უწმინდურებმა ცემა დაუწყეს მას. ბაგრატმა კი ლოცვა აღავლინა ქრისტეს წინაშე და თავისი სული შეავედრა მას.

თხზულების ავტორია ბაგრატ ტავრომენელის მოწაფე და თანამზრახველი ევაგრე, ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი. იგი მუდამ თან ახლდა თავის მოძღვარს. სიცოცხლის მიმწუხრს ბაგრატმა დაუბარა, რომ ის უნდა ყოფილიყო იმ



მხარის ეპისკოპოსი, დაავალა, მისი აღსრულების შემდეგ წაეყვანა ვონიფანტე (ქალაქის მთავარი) და სხვა მორწმუნეები რომში პეტრე მოციქულთან, რათა მას მიეცა ეპისკოპოსობის კურთხევა, დაბრუნების შემდეგ კი ვონიფანტე მოენათლა. ბაგრატმა ასევე დაარიგა ევაგრე, როგორ უნდა ეცხოვრა, რათა ღვთის სათნო საქმეები აღესრულებინა.

კორნელი კეკელიძის აზრით, „ცხოვრება“ ფსევდოეპიგრაფების ჯგუფს ეკუთვნის და დანერგილი უნდა იყოს არა I საუკუნეში, არამედ არა უადრეს 787 და არა უგვიანეს 826 წლისა. ამის საბუთად მეცნიერს ის ფაქტი მოჰყავს, რომ მეშვიდე მსოფლიო კრება (787), რომელიც ხატთაყვანისმცემლობის სასარგებლოდ ზოგჯერ ნაძალადევ ამონაწერებს იმონებებს სხვადასხვა თხზულებიდან, არ იცნობს ამ შრომას, მიუხედავად იმისა, რომ ის მთლიანად ხატთაყვანისმცემლობის აპოლოგიას წარმოადგენს. მეორე მხრივ, მას უკვე იცნობს თეოდორე სტუდიტი, იგივე სტუდიელი (გარდაიცვალა 826 წელს) თავის წერილში თალასესადმი (II ნიგნი, წერილი 42) (Творения... 1908: 398; კეკელიძე, 1945: 23). მეცნიერი ნაშრომს აპოკრიფად ასახელებს სხვა აპოკრიფებს შორის (კეკელიძე, 1951: 174; კეკელიძე, 1980: 197). მას უწოდებს აპოკრიფულ-აგიოგრაფიულსაც (კეკელიძე, 1951: 183; კეკელიძე, 1980: 206).

კორნელი კეკელიძის მოსაზრების მიხედვით, გამოდის, რომ ნაწარმოებში აღწერილი დრო რეალობას არ შეესაბამება და ბაგრატ ტავრომენელი ცხოვრობდა არა I, არამედ VIII-IX საუკუნეებში. თხზულებაში გვხვდება ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობაც I საუკუნეში დღემდე ცნობილი არ იყო. კერძოდ, პეტრე მოციქული მაქსიმინე ეპისკოპოსს სხვადასხვა საეკლესიო წესთან (სამწუხრო და საციცკრო ლოცვები, წმიდა საიდუმლოთა აღსრულება, მღვდელთა კურთხევა, ნათლისღების წესი) ერთად განუწესებს ჯვრის აღმართვის წესსაც. ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისთანავე იქცა გამარჯვების სიმბოლოდ. პავლე მოციქული წერს: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა“

(გალ. 6:14). მრავალი მონაწილის თანახმად, ჯვარი, როგორც იესო ქრისტეს მიერ სამყაროს გამოსხნის იარაღი, ეკლესიის დაარსების დღიდან ქრისტიანთა შორის უდიდესი თაყვანისცემის საგანი იყო. ეკლესიის მამები ამ თაყვანისცემაზე საუბრობენ, როგორც მოციქულთა გარდამოცემაზე, ანუ იმ ტრადიციაზე, რომელსაც დასაბამი თავად მოციქულებმა, ქრისტეს პირველმა მონაწილებმა, დაუდეს, მაგრამ ჯვრის აღმართვის მოვლენა დაკავშირებულია IV საუკუნეში ჯვართამაღლების დღესასწაულთან, როდესაც ქრისტეს ჯვარი იერუსალიმში იპოვა ელენე დედოფალმა.

ასევე, თხზულებაში პეტრე მოციქული იოსებ მხატვარს სთხოვს მაცხოვრისა და თავისი თავის გამოსახვას: „გამომიხატე აქა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რაათა იხილონ ერთა სახც განკაცებისა მისისა და უმეტესად ჰრწმენეს და იწსენებდენ სასწაულთა ჩუენთა.“ მოილო მხატვარმან წამლები ცულოანი და გამოხატა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. ჰრქუა მას მოციქულმან: „გამოხატე, შვილო, ჩემიცა ხატი და ძმისა ამის ჩუენისა ბაგრატისი, რაათა იტყოდინ ამისა შემდგომად საწსენებელად, ვითარმედ: „ესე არს, რომელმან ჩუენ შორის სიტყუა ღმრთისაჲ ქადაგა – მონაფც მისი პეტრე.“ შემდეგ პეტრე მოციქული იოსებს ბაგრატის გამოხატვასაც ავალებს. ტექსტიდან ჩანს, რომ მხატვარმა მისი დავალებით მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების სხვა სცენების ხატებიც შექმნა: „რამეთუ ჳელოვანი იყო მხატვარი იგი, რომელმანცა ყოველივე გამოხატა კეთილად.“ ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, პირველი ხატის დაწერის ისტორია დაკავშირებულია ლუკა მახარებელთან და I საუკუნეში სხვა ხატმწერის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ასე რომ, ამ დროისთვის ხატების შექმნის მსგავსი ისტორია საეკლესიო ისტორიისთვის უცნობი მოვლენაა.

მიუხედავად ამ ფაქტებისა, ხელალებით გაგვიჭირდებოდა ნაწარმოებში აღწერილი დროის გამორიცხვაც, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობის უფლება აქვს იმ ვარაუდსაც, რომ სწორედ ამ წყაროშია დაცული ინფორმაცია ჯვრის აღ-

მართვისა და ხატწერის პირველი გამოვლინებების შესახებ. მაგრამ არის კიდევ უფრო მეტად ყურადსაღები ფაქტები. კერძოდ, თხზულებაში რამდენიმე ადგილას იხსენიება მონტანელები, როგორც კერპთმსახურები და „გრძნებისა მოძღუარნი“ (ძირითადად, ჰურიებთან ერთად): „ურჩულომან მან ყო პური დიდი და მოუნოდა, რომელნიცა იყვნეს კერპთმსახურ. და ჰურიანიცა მრავალნი მოიყვანნა და მათ თანა მონტანელნი, გრძნებისა მოძღუარნი“; „ბოროტთა მათ მონტანელთა მოილეს შორის წიგნი სატრფიალოჲ და ტრფიალებისა ეშმაკთა ხადოდეს“; „მაშინ უღმრთო მან ელიდოს კრება ყო კრებული მეკერპეთა და ჰურიათაჲ და მონტანელთაჲ“; „ესმა რაჲ ესე ჰურიათა მათ და მონტანელთა, შიში დაეცა მათ და მოელოდეს აღძრვასა ქრისტიანეთასა მათ ზედა დამოსრვად მათდა“; „ერთი ოდენ მათგანი, რომელსაცა-იგი წიგნი გრძნებისაჲ აქუნდა, დაუტევა ყოველივე და მოვიდა წმიდისა ბაგრატისა და ქრისტიანე იქმნა. ხოლო სხუანი იგი მონტანელნი და ჰურიანი არა მოიქცეს“; „ჰურიანი იგი და მონტანელნი ზღუასა დაანთქნა უფალმან,“ და სხვ.

მონტანელები იყვნენ სქიზმატიკოსები, ერთ-ერთი ერესის, მონტანიზმის, მიმდევრები. მწვალებლობის ეს სახე აღმოცენდა ფრიგიაში, მცირე აზიაში (თანამედროვე ცენტრალური თურქეთი), II საუკუნეში და შემდგომ გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკაში. მისი დამაარსებელი იყო მონტანუსი, მაქსიმილასთან და პრისკილასთან ერთად. მონტანუსის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მცირეა. ქრისტიანობამდე ის ნაყოფიერების ქალღმერთის, კიბელეს, აღმოსავლური კულტის მღვდელი ყოფილა.<sup>1</sup> IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსის, ევსები კესარიელის, გადმოცემით, მას დაახლოებით 172/173 წელს დაუწყია წინასწარმეტყველება. შემდეგ კი გამხდარა განმანათლებლების ჯგუფის ლიდერი (Chapman, 1911). მონტანელების შესახებ ჩვენს საანალიზო თხზულებაში დაცული

---

<sup>1</sup> ჩაპმანი ფიქრობს, რომ ეს გვიან გამოგონილია. იხ. Chapman, 1911: <https://www.newadvent.org/cathen/10521a.htm>

ინფორმაცია მთლიანად გამორიცხავს მის შექმნას | საუკუნეში.

გარდა ამისა, ტექსტში ორჯერ გვხვდება ტერმინი „თანაარსი“ (ბმითსთიც): „დიდებაჲ შენდა, უფალო იესუ ქრისტე, სიტყუაო თანაარსო მამისაო“; „იესუ ქრისტე, მხოლოო მხოლოდშობილო, თანამოსაყდრეო მამისაო და თანაარსო სულისა წმიდისაო.“ ტერმინი 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გაჟღერდა, როგორც მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსობისა და თანასწორობის გამომხატველი. მართალია, აღნიშნული ტერმინი ანტიკურ ტექსტებშიც გამოიყენებოდა და სხვადასხვა ქრისტიან მწერალთანაც გვხვდება, მაგრამ აღნიშნულ კრებამდე მისი ამ გაგებით გამოყენების წერილობითი მტკიცებულება არცერთ ქრისტიანულ ძეგლში არ მოგვეპოვება. დაუჯერებლად მიგვაჩნია, | საუკუნისთვის ამდენი შეუსაბამო ფაქტი ერთ ნაწარმოებში იყოს თავმოყრილი.

არსებობს ნაშრომის მეტაფრასული რედაქციაც, რომელიც დაცულია გელათის ხელნაწერში: K-3 (XVI ს.), 420r-487r. ტექსტის დასაწყისია: „დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუწნისა იესუ ქრისტეს ჴორციელითა განგებულებითა მისითა კაცთა თანა სოფელსა ამას შინა ზრდილობათა...“ (გაბიძაშვილი, 2004: 150); ასევე, შემოკლებული, სვინაქსარული რედაქცია სომხურ ენაზე, რომელიც ტერ-ისრაელს ეკუთვნის (კეკელიძე, 1945: 24; Graffin, Nau, 1930: 706-724).

ტექსტი ალექსანდრე ხახანაშვილმა დაბეჭდა 1904 წელს ორი ათონური ხელნაწერის (Cod. Iviron georg.-21 და Cod. Iviron georg.-17) მიხედვით (Хаханашвили, 1904: 1-110). გაცემა არ არის მეცნიერული, შეიცავს ბევრ შეცდომას, არ არის გათვალისწინებული სხვა ნუსხათა მონაცემები, ასევე ძველი ქართულის ენობრივი თავისებურებები. ნაშრომის ნაწილი (მხოლოდ ტავროსა და მენიას ამბავი) გამოქვეყნებული აქვს კორნელი კეკელიძესაც ორჯერ ერთი ხელნაწერის (A-134) მიხედვით (კეკელიძე, 1943: 7-12; კეკელიძე, 1945: 25-29).

ტექსტი გამოცემულია ელექტრონულადაც TITUS პროექტის ფარგლებში.<sup>1</sup>

კორნელი კეკელიძე მიუთითებდა, რომ თხზულების ბერძნული ტექსტი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ იყო, ცნობილი იყო მხოლოდ მისი ექსცერპტები, რომელიც აკადემიკოს ა. ნ. ვესელოვსკის (Веселовский, 1886: 79-80) ეკუთვნის (კეკელიძე, 1945: 23).

მეორე ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც წინამდებარე ტომში იბეჭდება, არის „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონაშეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალასი.“ ის, რომ ეს ნაშრომი მართლაც ექვთიმემ თარგმნა, ირკვევა გიორგი მთანმიდელის ცნობიდან, რომელსაც ის გვაძლევს თავის თხზულებაში „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი.“ აქ ავტორი, ჩამოთვლის რა ექვთიმეს მიერ თარგმნილ შრომებს, ასახელებს აგრეთვე თხზულებას – „წამება წმიდისა აკეფსიმაასი“ (მთანმიდელი, 1967).

ნაწარმოები, როგორც ექვთიმეს თარგმანი, კ. კეკელიძის მიერ დასახელებულია სხვა ცხრა თხზულებასთან ერთად, როგორც იოვანეს სიცოცხლეში ნათარგმნი ძეგლი: „წამება და სასწაული წმიდისა მთავარმონაშეთისა დიმიტრისა“; „ცხოვრება და წამება წმიდისა სტეფანე ახლისა“; „ცხოვრება ბასილი დიდისა, ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილი“; „ცხოვრება წმიდისა აკეფსიმაასი“; „წამება წმიდათა მინა და ერმოგინესი“, „ცხოვრება ათანასე ათონელისა“; „წამება წმიდათა სამთა ყრმათა – ალფიოს, ფილადელფიოს და კკრინესი“; „ცხოვრება წმიდისა ონოფრე მძოვრისა“; „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისა“; „ცხოვრება იოანე სინელისა“ (კეკელიძე, 1980: 207; ვრცლად იხ. გიგაშვილი, 2021: 9-16).

წმიდა აკეფსიმა, იოსები და აითალა ეწამნენ სპარსეთში მეფე შაბურ II-ის (309-379 წწ.) დროს, რომელიც უმკაცრესად სჯიდა ქრისტიანებს. თავდაპირველად შეიპყრეს ეპისკოპოსი აკეფსიმა, რომელიც იყო რეგიონიდან, რომელსაც ნაისონი

---

<sup>1</sup> <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/gh/cxovbagr/cxovb.htm>

ენოდებოდა, და მიჰგვარეს მოგვთმთავარ ადრახუსეთს. ის შეეცადა, გადაერწმუნებინა აკეფსიმა, რომ მიელო მაზდეანობა და დამორჩილებოდა მეფის ბრძანებას, მაგრამ წმიდანის ურყევი უარის შემდეგ სასტიკად აწამა იგი და საპყრობილეში ჩააგდო. შემდეგ შეიპყრეს მღვდელი იოსები და დიაკვანი აითალა. არც ისინი გატყდნენ და, მიუხედავად სასტიკი წამებისა, არ უღალატეს ქრისტეს რწმენას. სამი წელი გაატარა სამივე მონამემ ციხეში და შემდგომ ბეთლამადის მხარეში ჩამოვიდა თავად მეფე შაბურ II, რომლის წინაშეც წარადგინეს წმიდანები. მოგვთმთავარმა ადერმა აკეფსიმა მეფის წინაშე დაკითხა, მაგრამ რწმენის შეცვლაზე ურყევი უარი მიიღო. ამის შემდეგ, სასტიკი ცემის შემდგომ, 3 ოქტომბერს, გარდაიცვალა წმიდა აკეფსიმა, რის შემდეგაც მოგვთმთავრის წინაშე იოსები მიიყვანეს და მისი წამებისა და ისევ დილეგში ჩასმის შემდეგ აითალა წარადგინეს. ისიც აწამეს და დაატყვევეს. მოგვთმთავარმა ადერმა ედევანის მხარის მოგვთმთავარ ადესქარს უთხრა, რომ იოსები და აითალა მის ქალაქში წაეყვანა და ბრძანა, რომ იქ თავად ქრისტიანებს ჩაექოლათ. იმ ქალაქში კი ცხოვრობდა მდიდარი და კეთილშობილი ქრისტიანი ქალი ისდანი, რომელმაც მოისყიდა მეციხოვნეები და ერთი ღამით თავისთან წაიყვანა იოსები და აითალა, სადაც წყლულები მოჰბანა და უმკურნალა. ამის შემდეგ ისევ ხანგრძლივად აწამეს ისინი, მაგრამ მათი რწმენა არ შეერყეულა. ქრისტიანთა ურყევი რწმენის საპირისპიროდ, ნაწარმოებში მოყვანილია მანიქეველის მაგალითი, რომელმაც მცირედი სასჯელის შემდეგ უარყო მისი ღმერთი და ცეცხლთაყვანისმცემლად შეირაცხა. იოსები და აითალა სხვა მხარის მმართველ საბურ მოაბორის ძის წინაშეც წარადგინეს. საბურმაც ბრძანა მათი ჩაქოლვა. იოსებთან ერთად ქვით ჩაქოლეს 500 ქრისტიანი. წმიდა იოსები გარდაიცვალა სულთმოფენობის შვიდეულის პარასკევ დღეს. წმიდა აითალაც ქვით ჩაქოლეს დაბა რესთიგარში, ბეთნადარას მხარეში. მის საფლავზე სასწაულთმოქმედი და მკურნალი მურტის ხე ამოიზარდა. წმიდა აითალა 14 ივლისს გარდაიცვალა. წმიდა მამებმა სა-

მივე წმიდანის მოსახსენიებელ დღედ 3 ნოემბერი დაანესეს. საინტერესოა, რომ ნაწარმოებში, ქრისტიანთა გარდა, რამდენიმე მაზდეანია აღწერილი, ვინც ცდილობდა მოწამეთათვის ტანჯვის შემსუბუქებას.

„წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მოწამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის“ ავტორი უცნობია. ნაწარმოები ბერძნულ ენაზე რამდენიმე რედაქციითა მოღწეული. არსებობს თხზულების კიმენური, მეტაფრასული და მცირე ზომის სვინაქსარული რედაქციები. კიმენური რედაქციის ტექსტი 1905 წელს გამოაქვეყნა ჰ. დალაჰაიმ (Delehay, 1905: 478-546). ეს რედაქცია, თავის მხრივ, რამდენიმე ქვერედაქციისაგან შედგება: 1. *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] NBHG-Aceptsimas Pers 1, BHG-15, BHG-16* (იქვე: 478-517); 2. *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 2, BHG-17* (დაბეჭდილია პირველი წამების სქოლიოებში) (იქვე); 3. *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 3, BHG-18* (იქვე: 517-534); 4. *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 4, BHG-18b*, როგორც კლავის პატრუმშია მითითებული, მისი ნაკითხვები ჰ. დალაჰაიმ თავისი გამოცემის 482-517 გვერდებზე BHG-16-ისა და BHG-18-ს სქოლიოებში ჩაიტანა;<sup>1</sup> 5. *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 5, BHG-19* (Delehay, 1905: 534-546); თხზულების მეტაფრასული რედაქცია სვიმეონ მეტაფრასს ეკუთვნის, *Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 6, BHG-20*.<sup>2</sup>

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მოწამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითა-

<sup>1</sup><https://clavis.brepols.net/clacla/OA/Details.aspx?id=C65C7F3493E146159B036ED84AEA358E>.

<sup>2</sup><https://clavis.brepols.net/clacla/OA/Details.aspx?id=F9F0FBB951C544FAB200973F941651DF>.

ლაასის“ ბერძნული ტექსტი უნდა იყოს კიმენური რედაქციის Passio SS. Aceptsimae et soc. mm. in Perside [anonyma] Aceptsimas Pers. 3, BHG-18, რომელიც დაბეჭდილია ჰ. დალაჰაის გამოცემაში, 517-534 გვერდებზე (Delehay, 1905). ბერძნული ტექსტის სათაურია ΑΘΑΝΑΣΙΣ ΤΩΝ ΑΓΙΩΝ ΙΕΡΟΜΑΡΤΥΡΩΝ ΑΚΕΨΙΜΑ ΕΠΙΣΚΟΠΟΥ, ΙΩΣΗΦ ΠΡΕΣΒΥΤΕΡΟΥ ΚΑΙ ΑΕΙΘΑΛΑ ΔΙΑΚΟΝΟΥ და ის დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: Biblioteca Apostolica Vaticana, Vat. gr. 0807, 26-36 (X ს.); Biblioteca Medicea Laurenziana, S.Marco 770, 142v (X ს.); Biblioteca Apostolica Vaticana, Vat. gr. 0808, 31-47v (XI ს.); Hagion Oros, Μονή Μεγίστης Λαύρας, Mss. Δ 050 (Eustratiades 0426), 248-262 (1040 წ.); Bodleian Library, Oxford, Laud gr. 68, 161-174 (XI ს.); Bibliothèque nationale de France, Paris, Grec 1519, 45-74 (XI ს.); Bibliothèque nationale de France, Paris, Grec 1537, 121-138v (XI ს.); Biblioteca Apostolica Vaticana, Vat. gr. 1190, 77-84v (XVI ს.); Biblioteca Apostolica Vaticana, Vat. gr. 0544, 113-152 (XI ს.); Sina, Μονή της Αγίας Αικατερίνης, gr. 0519, 96v-103v (X ს.); Sina, Μονή της Αγίας Αικατερίνης, gr. 0497, 245-259v (X-XI ს.); Sina, Μονή της Αγίας Αικατερίνης, gr. 0504 (X ს.); Österreichische Nationalbibliothek, Wien, hist. gr. 005, 20v-32v (XI ს.); Bibliothèque des Bollandistes, Mss. 0192 (284), 019-30v (1660-1662 წწ.).<sup>1</sup>

ჰ. დალაჰაის გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია 517-34 გვერდებზე N, B, LD და Q-ის ხელნაწერების მიხედვით. ძირითად ნუსხად შერჩეულია N, Bibliothèque nationale de France, Paris, Grec 1519, XI ს. ხელნაწერი, ხოლო ვარიანტები მოცემულია შემდეგი ხელნაწერების მიხედვით: B - Österreichische Nationalbibliothek, Wien, hist. gr. 005 (XI ს.); L - Bodleian Library, Oxford, Laud gr. 68 (XI ს.); D - Biblioteca Apostolica Vaticana, Vat. gr. 0807 (X ს.); Q - Bibliothèque nationale de France, Paris, Grec 1537 (XI ს.).

<sup>1</sup> <https://pinakes.irht.cnrs.fr/notices/oeuvre/14357/>.



რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ენრიკო გაბიძაშვილი უთითებს, რომ თხზულების 42. „წამებაჲ წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასი“, მეტაფრასული I რედაქცია დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: S-384 (XI-XII სს.), 553-372; Jer-37 (1080), 149-160; Sin-91 (XIV ს.) 237-252. შემდეგ ერთეულად გამოყოფს 43. „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასის“ მეტაფრასულ II რედაქციას და მის მთარგმნელად ექვთიმე მთაწმიდელს (+1028 წ.) ასახელებს. ის ამ ტექსტს მოიხსენიებს, როგორც Ath-21 (1030 წ.) 218v-237v ხელნაწერში დაცულს. შემდეგ ერთეულად უკვე გამოყოფს 44. „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასის“ კიმენურ რედაქციას, მთარგმნელის მითითების გარეშე, როგორც ორ ხელნაწერში დაცულს: Ath-21 (1030 წ.) 218v-237v და Sin-71 (XIII ს.) 67v-90v (გაბიძაშვილი, 2004: 124). სამწუხაროდ, აქ მცირე უზუსტობაა. 43 და 44 ერთეულები ერთი და იგივე ტექსტია და „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასის“ კიმენურ ტექსტს წარმოადგენს.

ენრიკო გაბიძაშვილის მიხედვით, ტექსტის სვინაქსარული რედაქცია – 45. „წმიდათა მღვდელმონამეთა აკეფსიმა ეპისკოპოსისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკონისაჲ“ დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: A-97 (XI ს.); A-193 (XI ს.); H-2211; Jer-24-25 (XI ს.); Sin-4 (XI ს.); Ath-30 (XI ს.). ტექსტი გამოცემულია მ. დოლაქიძის მიერ (დოლაქიძე, 2002; გაბიძაშვილი, 2004: 124-125).

„წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასის“ კიმენური ტექსტის (BHG-18) ექვთიმე ათონელისეული თარგმანი შემონახულია ორ ხელნაწერში: ათონის მთაზე, წმიდა ივირონის მონასტერში დაცულ 1030 წლით დათარიღებულ Cod. Ivron georg.-21-სა (Ath-21) და XIII საუკუნის ხელნაწერში, რომელიც სინის მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება: Sin.

Geo. O. 71. ხელნაწერი Cod. Iviron georg.-21 (Ath-21) 330 ფურცლიანი კრებულია, სადაც ორი წერილი და ოცდაშვიდი ჰომილიაა განთავსებული, რომელიც წმიდა მაკარი ეგვიპტელს მიეწერება, რასაც 218v-237v-ზე ერთვის „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასი“ და 238r-329v-ზე „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატ მღვდელმოდურისა ტავრომენელთა ქალაქისა, ჭალაკისა სიკილისა, რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მონაფემან მისმან.“ Sin.Geo.O.71 (Sin-71) XIII საუკუნეში გადაწერილი 216 ფურცლიანი ხელნაწერია, რომელიც ჰაგიოგრაფიულ კრებულს წარმოადგენს, სადაც სხვა წმიდანების ცხოვრებებისა და მარტილობების გვერდით, 67v-90v-ზე წარმოდგენილია „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასი.“ ნუსხა გადაწერილია ბერი ათანასეს მიერ (215r) (Garitte, 1956: 216-225; Mapp, 1940: 205-214).

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა მენაასი და ერმოგინესი და ევლრაფოასი“ თარგმნილია ექვთიმეს მამის, იოვანე მთაწმიდელის, სიცოცხლეშივე. ის, იე (XV) თხზულებად, სათაურით „წამება წმიდათა მინა ერმოგინეთი“, გვხვდება იოვანეს ანდერძში, რომელიც წამძღვარებულია ექვთიმეს მიერ თარგმნილი იოანე ოქროპირის „თარგმანება მათეს სახარებისას“ ტექსტისათვის, სადაც იოვანე მისი შვილის, ექვთიმეს, მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნ ნაწარმოებებს ასახელებს (ოქროპირი, 1996: 14).

ნაწარმოების ავტორობა მიეწერება ათანასე ალექსანდრიელს. ტექსტის ძველი ქართული თარგმანის შესავალში ის თხზულების ავტორად არის დასახელებული. ალექსანდრიის ეპისკოპოსი ათანასე (დაახლ. 296-373 წწ.) ვერ იქნებოდა „წამების“ ავტორი, რადგან ის იმპერატორ კონსტანტინე დიდის ხანაში მოღვაწეობდა (Barnes, 1993), მენა, ერმოგენე და ევლრაფო კი იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს (284-305 წწ.)

ენამნენ, ეპოქაში, რომელსაც „დიოკლიტიანესეული დევნა“ ეწოდა, რაც მიზნად ისახავდა ქრისტიანობის განადგურებას რომის მთელ იმპერიაში.

თხზულებაში აღნიშნულია, რომ ქრისტეს განკაცებიდან 266 წელს მაქსიმიანემ (286-305 წწ.), რომელიც ტეტრარქიის ერთ-ერთი რგოლი იყო და რომის იმპერიის დასავლეთს განაგებდა, ქრისტიანთა დასამორჩილებლად ალექსანდრიაში გაგზავნა მხნე მეომარი მენა, ვინც ქრისტიანი იყო, მაგრამ თავს არ ამჟღავნებდა და შეფარვით ეხმარებოდა და სასწაულებრივად კურნავდა კიდევ ქრისტიანებს. კერპთმსახურმა ქურუმმა წერილით დააბეზლა მენა მაქსიმიანესთან, რომელმაც პროკურატორი ერმოგენე გაგზავნა. ერმოგენე შეხვდა მენას და დაკითხა იგი. მენა სამი საათის განმავლობაში ქადაგებდა ჭეშმარიტ ღმერთს. ერმოგენემ ბრძანა მენასთვის ტერფების მოკვეთა, თვალების დათხრა და ენის ამოჭრა, დილას კი მისი სხეულის ნაწილების ხორცისმჭამელი ფრინველებისთვის გადაყრა. ღამის სამ საათზე საპყრობილეში თვით ქრისტე ჩამოვიდა. მან განამრთელა მენა და აუწყა, რომ მისი ჯალათი ერმოგენე მისივე სულიერი მეგობარი გახდებოდა. ერმოგენემ ღამე სინდისის ქენჯნაში გაატარა და გადაწყვიტა, რომ დილას პატივით დაემარხა წამებული მენა, მაგრამ გაცდა, როცა ის ციხიდან სალ-სალამათი გამოვიდა ორი ანგელოზის თანხლებით. იხილა რა სასწაული, მენასთან საუბრის შემდეგ ერმოგენე გაქრისტიანდა. ამის შემდეგ მენამ ცამეტი ეპისკოპოსის წინაშე ერმოგენე წყლით მონათლა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ცამეტი ეპისკოპოსისაგან მიიღო ეპისკოპოსობის პატივი. მაქსიმიანეს აუწყეს, რომ მენამ და ერმოგენემ ქრისტიანობა ღიად აღიარეს და სხვებსაც აქრისტიანებდნენ. მაქსიმიანე ათი ათასი მხედრითურთ ჩავიდა ეგვიპტეში და სამსჯავრო მოუწყო მენას და ერმოგენეს, ვისაც ორი ანგელოზი გამუდმებით ამხნევებდა. მაქსიმიანემ ბრძანა ერმოგენესთვის მუცლის ლახვრით განგმირვა, ხელ-ფეხის მოკვეთა, მისი დანვა, მოჭრილი სხეულის ნაწილების მდინარეში ჩაყრა, მენას საპყრობილეში თავდაყირა დაკიდება და

მისი აბუჩად აგდება. ღამით ანგელოზებმა გაამრთელეს ორივე და დილით წარდგენენ მაქსიმიანეს წინაშე, როგორც ქრისტეს მხედრები. სამსჯავროზე მეფეს შეეწინააღმდეგა მენას მნიგნობარი ევლრაფოსი, რომელიც მაქსიმიანემ თავისი ხელით მახვილით მოკლა და მენას და ერმოგენეს მოკვლაც ბრძანა. მენამ სთხოვა მაქსიმიანეს, რომ მისი გვამი ქალაქ ბიზანტიაში დაემარხათ. მაქსიმიანემ კი ბრძანა, რომ მათი გვამები რკინის კიდობანში ჩაედოთ და ზღვაში გადაეგდოთ. ოცი დღის შემდეგ კიდობანი ბიზანტიასთან გაირიყა, ქალკიდონთან ახლოს, კიდობანს სინათლის ბრწყინვალე სვეტი ედგა და ორი ანგელოზი იდგა მის ახლოს. ანგელოზებმა უხმეს ბიზანტიის ეპისკოპოსსა და ქრისტიანებს, რათა წმიდა ნაწილებისათვის პატივი მიეგოთ. მათ ისინი ეკლესიის სათავსოში საიდუმლოდ შეინახეს. ორი თვის შემდეგ კი, როცა მაქსიმიანე ანგელოზმა საიდუმლოდ მოკლა, წმიდა ნაწილები ზღვის ნაპირის მახლობლად დაასვენეს და ქრისტიანები ეთაყვანებოდნენ მათ. წმიდა მენა, ერმოგენე და ევლრაფოსი 10 დეკემბერს აღესრულნენ, რაც მათი მოხსენიების დღედ შერაცხა.

ბერძნულ ენაზე აქ სრულდება „წამების“ კიმენური ტექსტი. როგორც ვხედავთ, „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტში უხვადაა მოცემული სასწაულები, რაც მათ, როგორც წმიდანებს, მეტ ავტორიტეტს მატებდა. წმიდა მენა საკვირველმოქმედად და ქრისტეს მხედრად იყო შერაცხილი და სიკვდილის შემდეგაც ევლინებოდა ადამიანებს, სასწაულებითა და ქმედებით განსჯიდა და აქრისტიანებდა მათ.

ქრისტიანულ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი კოპტ ქრისტიანთა შორის, საკმაოდ გავრცელებული იყო სასწაულთმოქმედი წმიდა მენას კულტი. ბერძნულ, კოპტურ, ეთიოპურ, ნუბიურ, არაბულ და ძვ. სლავურ ენებზე შემონახულია წმიდა მენას სასწაულები (Silvano, Varalda, 2019: 51). ეს სასწაულები (სხვადასხვა რაოდენობით) ცალკე ტექსტების სახითაც იყო გავრცელებული. ლიტურგიკული მიზნებისათვის

სასწაულების ტექსტის შემოკლებული ვერსიებიც იქმნებოდა (Daffy, Bourbouhakis, 2003: 66). ბერძნულ ენაზე ჩვენამდე მოაღწია თხზულებამ „პატრიარქ ტიმოთე ალექსანდრიელის თხრობა წმიდა დიდმონაშემ მენას სასწაულების შესახებ,“ BHG 1256, რომელიც „წმიდა პაისი დიდის ცხოვრებასთან“ ერთად გამოაქვეყნა ი. პომიალოვსკიმ 1900 წელს (Pomjalovskij, 1900). როგორც ვხედავთ, თხრობა ტიმოთე ალექსანდრიელს (380-384 წწ.) მიეწერება, მაგრამ ავტორი მხოლოდ სათაურშია მოხსენიებული და მკვლევრები მის ავტორობას საეჭვოდ მიიჩნევენ (Daffy, Bourbouhakis, 2003: 65). თხზულებაში „პატრიარქ ტიმოთე ალექსანდრიელის თხრობა წმიდა დიდმონაშემ მენას სასწაულების შესახებ“ მოთხრობილია წმიდა მენას 13 სასწაულის შესახებ (BHG 1257-1269). მნიშვნელოვანია, რომ „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტებს არცერთ ენაზე, გარდა ძველი ქართულისა, არ ერთვის წმიდა მენას სასწაულები. აქ ორი მოსაზრება შეიძლება არსებობდეს: 1. ან ექვთიმე ათონელმა მოიძია, გამოკრიბა და დაურთო წმიდა მენას 3 სასწაულის ტექსტი (BHG 1257; 1258; 1260) წამების შესახებ თხრობას; 2. ან არსებობდა და დღეს დაკარგულია ბერძნული დედანი, სადაც „წამებას“ ერთოდა სასწაულებიც.<sup>1</sup>

„წამებაჲ წმიდისა მენაჲსი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსი“ ბერძნულ ენაზე რამდენიმე რედაქციითა დაცული. არსებობს „წამების“ კიმენური, მეტაფრასული და მცირე ზომის სვინაქსარული რედაქციები. „წამების“ ბერძნული კიმენური ტექსტი, ΜΑΡΤΥΡΙΟΝ ΤΩΝ ΑΓΙΩΝ ΜΑΡΤΥΡΩΝ ΜΗΝΑ, ΕΡΜΟΓΕΝΟΥΣ ΚΑΙ ΕΥΤΡΑΦΟΥ, Menas, Hermogenes et

---

<sup>1</sup> წმიდა მენას სასწაულების ტექსტის დედნისა და თარგმანის ურთიერთმიმართებას ვრცლად მიმოვიხილავთ ამ ტომს თანდართულ გამოკვლევაში. ტომს, აგრეთვე, ვურთავთ ექვთიმეს მიერ თარგმნილი სამი სასწაულის ბერძნულ ტექსტსა და მის ინგლისურ თარგმანს.

Eugraphus mm. Alexandriae (SS.), Passio (BHG 1270) (BHG 1909, 176), არ არის გამოქვეყნებული.<sup>1</sup> ის დაცულია 19 ხელნაწერში: Bibliothèque nationale de France (BNF), Paris, Grec 1510, 19v-26v (X ს.); Sina, Μονή της Αγίας Αικατερίνης, gr. 519, 149-152v, (X ს.); Österreichische Nationalbibliothek (ÖNB), Wien, hist. gr. 31, 100v-105v (X ს.); Universitätsbibliothek, Leipzig, Rep. II. 26, 87v-92v (X ს.); Bibliothèque nationale de France (BNF), Paris, Coislin 368, 53-60v (X ს.); Πατριαρχική Βιβλιοθήκη, Jerusalem, Αγίου Σάββα 30, 168-172 (X-XI სს.); Μονή της Αγίας Αικατερίνης, Sina, gr. 497, 331v-337 (X-XI სს.); Biblioteca Apostolica Vaticana (BAV), ott. gr. 422, 265-301 (XI ს.); Μονή Μεγίστης Λαύρας, Hagion Oros, Mss. Δ 050 (Eustratiades 0426), 335-341v (XI ს.); Государственный Исторический Музей (ГИМ), Moskva, Син. гр. 161 (Vlad. 379), 293-298 (X-XI სს.); Bodleian Library, Oxford, Laud gr.68, 324-329 (XI ს.); Bibliothèque nationale de France (BNF), Paris, Supplément grec 1273, 7v-9v 18-22 (XI ს.); Biblioteca Apostolica Vaticana (BAV), Vat. gr. 821, 126v-133 (XI-XII სს.); Biblioteca Apostolica Vaticana (BAV), Vat. gr. 1991, 163-170 (XI-XII სს.); University of Michigan Library, Ann Arbor (MI) Ms 36, 74v-83 (XVI-XVII სს.); Bibliothèque Royale Albert Ier (KBR), Bruxelles, Mss. 08232-33 (3337), 190-196v (XVII ს.); Βιβλιοθήκη της Μητροπόλεως, Gjirokastër, Mss. 6, 59v-63v (XVII ს.); Μονή Ιβήρων, Hagion Oros, Mss. 0426 (Lambros 4546) (XVII ს.); Bodleian Library, Oxford, Laud gr.69, 126v-153.<sup>2</sup>

„მენას, ეგროგენესა და ევლრაფოს წამების“ ბერძნული მეტაფრასული (BHG 1271) რედაქციის ტექსტის ავტორია სვინმეონ მეტაფრასი (PG 116, 368-416). სვინაქსარებში დაცულია

<sup>1</sup><https://clavis.brepols.net/clacla/OA/Details.aspx?id=A61697A2E6A84CB A8934FA1025DE5922>.

<sup>2</sup> <https://pinakes.irht.cnrs.fr/notices/oeuvre/17089/>.

ტექსტის მოკლე სვინაქსარული ვერსიები (BHG 1271e; 1272f) და შესხმა (BhG 1271d).<sup>1</sup>

როგორც ენრიკო გაბიდაშვილი აღნიშნავს, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი კიმენური რედაქციის ტექსტი, 814. „წამებაჲ წმიდისა მინასი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსი“, დაცულია სამ ხელნაწერში: A-70 (XIII ს.), 526r-534;<sup>2</sup> H-341(XI ს.), 1-28; Q-112ა (1801 წ.) 368r-390r. აქ ის თხზულების ავტორად ათანასე ალექსანდრიელს ასახელებს, როგორც ეს „წამების“ ტექსტშია მითითებული (გაბიდაშვილი, 2004: 285). ამავე თხზულების მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი, 815. „წამებაჲ წმიდათა და დიდებულთა ქრისტეს მონამეთაჲ მინა, ერმოგინე და ევლრაფოჲსი“, დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: A-90 (XIII ს.), 67v-87v; A-128 (XII-XIII სს.), 281v-305v; ქუთ. 5 (XVI ს.) 141-169 (იქვე: 286). სვინაქსარული ვერსიის შესახებ ე. გაბიდაშვილი ცნობებს არ გვანვდის, თუმცა ის შემონახულია წმიდანთა ხსენების დღეს გიორგი მთაწმიდელისეული სვინაქსარის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში.

როგორც გამოცემის I ტომის შესავალში ვუთითებთ, ჩვენი პროექტის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ქართულ თარგმანებთან ერთად ბერძნული ტექსტების გამოქვეყნებაც (არსებობის შემთხვევაში). წინამდებარე ტომში ბერძნული ტექსტები ახლავს: „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის“ და წმიდა მენას სამი სასწაულის ტექსტს. ქართული ხელნაწერი ტრადიციისადმი უცხოელთა განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ტომში შეტანილია ტექსტების ინგლისური თარგმანებიც.

---

<sup>1</sup> <https://clavis.brepols.net/clacla/OA/Details.aspx?id=A61697A2E6A84CB A8934FA1025DE5922>.

<sup>2</sup> A-70 434 ფურცლიანი კრებულია და „წამების“ ტექსტი მოთავსებულია დღევანდელი პაგინაციით 426r-434v-ზე. „წამება“ აქ ბოლონაკლულია, წყდება წმიდა მენას მეორე სასწაულის შუაში.

შესავალი წერილი ეკუთვნით პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელ ქეთევან გიგაშვილს<sup>1</sup> და კოორდინატორ სოფიო სარჯველაძეს,<sup>2</sup> წერილი „ტექსტისათვის“ – ქეთევან გიგაშვილს; ბერძნული ტექსტები შესაბამისი გამოცემებიდან გადმობეჭდა სოფიო სარჯველაძემ; კომენტარები მოამზადა გრიგოლ ბენდელიანმა,<sup>3</sup> საძიებლები – გრიგოლ ბენდელიანმა და ქეთევან გიგაშვილმა, ხელნაწერთა აღწერილობები – ქეთევან გიგაშვილმა და არსენ ბერთლანმა;<sup>4</sup> „ბაგრატ ტავრომენელის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტი ხელნაწერებიდან გადმოწერა თეონა მეტრეველმა.<sup>5</sup>

წინამდებარე ბეჭდური გამოცემის პარალელურად მომზადდა ელექტრონული აკადემიური გამოცემაც, რომელიც განთავსებულია პროექტის ბაზაზე შექმნილ სერვერზე (იხ. [www.athosschool.ge](http://www.athosschool.ge)).

---

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელნაწერების შემსწავლელი ცენტრის, „ორიონის“, მეცნიერი თანამშრომელი.

<sup>3</sup> თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტი.

<sup>4</sup> ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრი, ფილოლოგიის დოქტორი.

<sup>5</sup> ფილოლოგიის მაგისტრი.



ကျေးဇူး

[238r]<sup>1</sup> ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატ<sup>2</sup> მღვდელთმოდღურისა<sup>3</sup> ტავრომენელთა ქალაქისა,<sup>4</sup> ჭალაკისა სიკილიისა,<sup>5</sup> რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან,<sup>6</sup> მონაფემან მისმან.<sup>7</sup>

მონვენულ<sup>8</sup> არს ჟამი, საყუარელნო, ჴელყოფად თხრობასა ამას კეთილსა და სულთა სარგებელსა, რომელ არს ცხორება სანატრელისა<sup>9</sup> მის<sup>10</sup> და საკრველისა კაცისა ღმრთისა, ბაგრატიისი, და დიდებულთა მათ და ღმრთივმონიჭებულთა სასწაულთა, რომელნი აღასრულნა<sup>11</sup> მადლითა<sup>12</sup> წმიდისა<sup>13</sup> სამებისადათა.<sup>14</sup> გულსმოდგინედ უკუე<sup>15</sup> ისმინეთ, ღმრთისმოყუარენო,<sup>16</sup> მოქალაქობა ესე საღმრთოჲ და წმიდაჲ, რაჲთა ზიარ მადლისა მისისა იქმნეთ.<sup>17</sup>

რაჟამს-იგი წყალობით მოიხილა<sup>18</sup> ზეცით ჩუენ ზედა ღმერთმან და მაცხოვარმან<sup>19</sup> ჩუენმან იესუ ქრისტე,<sup>20</sup> და მოდრიკნა ცანი და გარდამოჴდა ქუეყანად<sup>21</sup> განუშორებელად წიაღთაგან მამისათა, და მოვიდა ძიებად წარწყმედულისა მის ნათესავისა კაცთაჲსა,<sup>22</sup> და იქცეოდა ქუეყანასა ზედა და ღმრთივშუენიერთა მათ საკრველებათა<sup>23</sup> იქმოდა, მას ჟამსა მამაჲ ამის ღირსად ჴსენებულისა ბაგრატიისი დამკვდრებულ იყო კერძოთა მათ [238v] პონტოჲსათა, ხოლო განგებითა ღმრთისადათა წარვიდა საქმისა რაჲსათჴსმე კერძოთა ანტიოქი-

---

<sup>1</sup> C: + თუესა ივლისსა ა თ; 2. BCD: ბაგრატიისი; 3. D: -; 4. C: + მის; D: ქალაქისა; 5. B: სიკილიისა; D: ჭალაკისა სიკილიისა] -; 6. B: ეპისკოპოსმან; D: -; 7. B: + გუაკურთხენ უფალო; D: + მამაო, გუაკურთხენ; 8. D: მონვენილ; 9. B: სანატრელისა; 10. D: -; 11. BD: + მან; 12. BD: + სულისა; 13. B: წმიდისადათა; D: წმიდისათა; 14. BD: -; 15. D: უკუე; 16. D: + ძმანო; 17. BD: იქმნეთ; 18. D: მოიხილა; 19. B: მაცხოვარმან; 20. BD: ქრისტემან; 21. D: -; 22. D: კაცთაჲსა; 23. B: საკრველთა.

სათა და თანა ჰყვა ცოლი თვისი და ბაგრატ, მხოლოდშობილი ძე<sup>1</sup> თვისი. და ვითარცა ჟამ<sup>2</sup> რაფდენმე<sup>3</sup> დაყო კერძოთა ანტიოქისათა და<sup>4</sup> ინება მიერ შესლვაჲ<sup>5</sup> ჰურიასტანად, რამეთუ ღმერთი მიზეზსა ცხორების<sup>6</sup> მომცემელსა<sup>7</sup> მისცემდა<sup>8</sup> მას.

ხოლო შევიდა რაჲ<sup>9</sup> ქალაქსა ერთსა ჰურიასტანისასა,<sup>10</sup> იხილა მუნ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე<sup>11</sup>, ვითარ-იგი ასწავებდა სასუფეველისათჳს ცათაჲსა<sup>12</sup> და იქმოდა საკრველებათა უაღრეს<sup>13</sup> ბუნებისა.<sup>14</sup> ჰრწმენა ცოლითურთ და შვილით თვისით და ღირს იქმნეს საბანელსა მეორედ შობისასა ბრძანებითა უფლისაჲთა, ჳელითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა. და შეიმოსეს სამოსელი იგი ბრწყინვალე<sup>15</sup> ქრისტეს სარწმუნოებისაჲ. და მოიქცეს სახედ თჳსა<sup>16</sup> განათლებულნი სულითა და ადიდებდეს თჳსაგან<sup>17</sup> დაუცხრომელად<sup>18</sup> ღმერთსა ყოველთასა.

ხოლო ნეტარი ბაგრატ წარემატებოდა სიბრძნითა და მეცნიერებითა და ასწავებდა მას მამაჲ მისი ყოველსავე კეთილსა. და განამტკიცებდა სარწმუნოებასა ზედა ქრისტეს ღმრთისასა<sup>19</sup> შეურაცხყოფად ყოვლისავე სოფლ(ი)ოჲსა<sup>20</sup> და წარმავალისა საქმისა და მის მხოლოჲსა მონებად, ვითარცა ცხოველისა<sup>21</sup> ჭემარიტისა ღმრთისა, დაღაცათუ<sup>22</sup> ჩუენნი<sup>23</sup> ესე ჳორცნი შეიმოსნა წყალობისათჳს ჩუენისა.

და ეტყოდა მას: „ჰ, შვილო ჩემო, ისწრაფე წარდგომად წინაშე ღმრთისა უბინოებით და შეიტკბენ მცნე[239r]ბანი მისნი, რაჲთა ღირს იქმნე საუკუნესა<sup>24</sup> მას ცხორებასა.“ ხოლო მო-რაჲ-ინია<sup>25</sup> ჟამი ამიერ სოფლით განსლვისა მისისაჲ,<sup>26</sup> მოუ-

---

<sup>1</sup> BCD: ძე; 2. BD: ჟამი; 3. D: რაფდენიმე; 4. BD: –; 5. B: შთასლვაჲ; D: მიერ შესლვაჲ] შთასლვა მიერ; 6. B: ცხორებისა; 7. B: მომატყუებელსა; D: მომტყუებელსა; 8. BD: მოსცემდა; 9. შევიდა რაჲ] BD: შერაჲ-ვიდა; 10. D: –; 11. BCD: ქრისტე; 12. D: ცათასა; 13. D: უვაღრეს; 14. D: ბუნებათა; 15. BC: ბრწყინვალე; 16. C: თჳსად; 17. D: თჳსსაგან; 18. BD: დაუცადებულად; 19. B: ღმრთისა; 20. D: მსოფლიოსა; 21. B: ცხოველისაჲ + და; D: + და; 22. C: დაღაცათო; 23. BD: ჩუენნი; 24. C: საუკუნოსა; 25. D: მო-რა-ინია; 26. BD: მისისა.

ნოდა ძესა თჳსსა ბაგრატს და განამტკიცებდა და ასწავებდა მას მყოვარ<sup>1</sup> ჟამ. და ვითარცა აღასრულა<sup>2</sup> მან,<sup>3</sup> მოიდრიკნა მუჭლნი<sup>4</sup> და შვილი იგი<sup>5</sup> საყუარელი მის თანა. და იტყოდა ვედრებით და ცრემლითა მწურვალითა:<sup>6</sup> „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელსა გნებავს ყოველთა კაცთა ცხორება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, შენ შეგვედრებ ყრმასა ამას, შეივედრე ესე და შემენე ეყავ და წარუძეღუნებასა შენსა, რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ამენ!“

და<sup>7</sup> ესრეთ<sup>8</sup> აღესრულა მამაჲ ნეტარისა ბაგრატისი და შემდგომად მცირედისა – დედაჲცა მისი. და<sup>9</sup> დაილუანნა ნეტარმან<sup>10</sup> თჳსნი იგი მშობელნი და<sup>11</sup> დაჰმარხნა, ვითარცა შეჰგვანდა, და<sup>12</sup> შეურვებულ იყო. და იტყოდა თავსა შორის თჳსსა, ვითარმე(დ):<sup>13</sup> „ვისწავლნე<sup>14</sup> მე საღმრთონი წერილნი, ანუ ვითარ განვემტკიცო მე<sup>15</sup> სარწმუნოებასა, რამეთუ ყრმა<sup>16</sup> ვარ და არავინ არს მოძღუარ ჩემდა ესევეთარისა ამის შჯულისა,<sup>17</sup> რომელსა მამაჲ ჩემი მასწავებდა. არამედ ყოველნივე ესე სოფელნი სხუასა ზედა შჯულსა<sup>18</sup> განმტკიცებულ არიან. რამე<sup>19</sup> ვყო, უფალო, შემენიე მე!“ და ესრეთ ურვით იყოფებოდა<sup>20</sup> გოდოლსა შინა მცირესა, რომელი აღეშენა<sup>21</sup> თჳსსა აგარაკსა, და რავდენ<sup>22</sup> ძალედვა, იწურთიდა სარწმუნოებასა ქრისტესსა მადლითა სულისა წმი[239v]დისაჲთა,<sup>23</sup> ვითარცა-იგი მამისაგან თჳსისა<sup>24</sup> ესწავა.

ხოლო რაჟამს-იგი ცხოველსმყოფელი<sup>25</sup> ვნებაჲ ქრისტესი აღესრულა და აღდგა მესამესა დღესა უფალი სიკუდილისაჲ<sup>26</sup>

---

<sup>1</sup> B: მყოვარ; C: მყოვარ; 2. BC: + სწავლაჲ; 3. B: –; D: მან] სწავლაჲ; 4. B: მოჭლნი; 5. BD: + თჳსი; 6. B: მწორვალითა; 7. D: ხოლო; 8. D: + რაჲ; 9. BD: –; 10. BD: + მან; 11. B: –; 12. B: –; 13. D: ვითარ; 14. B: ვისწავო; D: მოვისწავლო; 15. BD: –; 16. D: ყრმაჲ; 17. ABC: რჩული-სა; 18. ABC: რჩულსა; 19. D: რაჲ; 20. D: იყოფოდა; 21. D: აღაშენა; 22. D: რაოდენ; 23. BD: წმიდისათა; 24. მამისაგან თჳსისა] BD: მამი-სა თჳსისაგან; 25. BC: ცხოველსმყოფელი; 26. BD: სიკუდილისა.

და ცხორებისა და ამაღლდა ზეცად, ვინაჲ-იგი არასადათ<sup>1</sup> განეშორა, და დაჯდა მარჯუენით მამისა და მოუვლინა სული წმიდაჲ თჳსთა მათ ყოვლადქებულთა მოციქულთა.<sup>2</sup> და განიბნინეს იგინი ყოველსა სოფელსა ქადაგებად სიტყუასა მას ჭემარიტებისასა. მოჰვლიდა<sup>3</sup> რაჲ ნეტარი პეტრე მოციქული ქალაქთა და სოფელთა და ნათელსცემდა ერთა<sup>4</sup> სახელითა მამისაჲთა<sup>5</sup> და<sup>6</sup> ძისაჲთა<sup>7</sup> და სულისა წმიდისაჲთა,<sup>8</sup> მოიწია განგებითა ღმრთისაჲთა კერძოთა მათცა პონტოჲსათა, სადა-იგი იყოფებოდა ნეტარი ბაგრატი. და მიჰმართა<sup>9</sup> გოდოლსა მას<sup>10</sup> და დადგა აჩრდილსა ქუეშე მისსა და ასწავებდა ერთა.<sup>11</sup> და ჰრწმენა ერსა მრავალსა სიტყუაჲ მისი და მოიქცეს ქრისტეს ღმრთისა მონებად.

ესე რაჲ<sup>12</sup> იხილა ნეტარმან ბაგრატი, შეიმოსა სამოსელი ბრწყინვალე,<sup>13</sup> რაჲთა სულისა მისებრ<sup>14</sup> მისისა წმიდისა გარეშეთცა შუენიერებაჲ<sup>15</sup> ქრისტეანობისაჲ აჩუენოს.<sup>16</sup> რამეთუ ოდეს გოდოლსა<sup>17</sup> შინა არნ, მცირე<sup>18</sup> კუართი კმა არნ სამოსლად მისა.<sup>19</sup> ხოლო მაშინ წმიდაჲ იგი სამოსელი შეიმოსა და<sup>20</sup> განვიდა და დადგა ერსა შორის და ისმენდა სიტყუათა მოციქულისათა. და ვითარცა [240r] აღასრულა სწავლაჲ იგი და ერი განიყარა,<sup>21</sup> მირბიოდა იგი<sup>22</sup> და შეუერდა<sup>23</sup> ფერწთა მოციქულისათა<sup>24</sup> და ამბორსუყოფდა მათ.

ჰრქუა მას წმიდამან პეტრე: „კეთილად გჰოე შვილი ეგე ეკლესიისაჲ“,<sup>25</sup> რამეთუ სულითა იცნა იგი. მიუგო<sup>26</sup> და ჰრქუა

---

<sup>1</sup> არასადათ] BD: არასადა; C: არაჲ სადათ; 2. BD: მონაფეთა; 3. B: მოვჰლიდა; 4. D: ერსა; 5. D: მამისათა; 6. D: –; 7. D: ძისათა; 8. D: წმიდისათა; 9. D: + ადგილსა მას და; 10. D: –; 11. B: ერსა; 12. D: რა; 13. BCD: ბრწყინვალე; 14. სულისა მისებრ] D: სულიერებისაებრ; 15. D: შუჰნიერებაჲ; 16. ქრისტეანობისაჲ აჩუენოს] B: ~; D: აჩუენოს ქრისტეანობისა; 17. BD: + მას; 18. BCD: მცირე; 19. B: მისსა; 20. D: –; 21. B: განიყარა; 22. B: –; 23. B: შეუერდა + იგი; 24. და ვითარცა აღასრულა სწავლაჲ იგი და ერი განიყარა, მირბიოდა იგი და შეუერდა ფერწთა მოციქულისათა] D: –; 25. D: ეკლესიისა; 26. BD: + ბაგრატი.

მას ბაგრატ<sup>1</sup>: „მოციქულო და მონაფეო ქრისტესო, ნუ უღირს იჩინებ შემოსლვად სახლსა ჩემსა მონაფეთა შენთა თანა<sup>2</sup> და მიღებად საზრდელისა, რამეთუ გხედავ, უფალო ჩემო, ფრიად დამაშურალსა.“ ისმინა მისი წმიდამან მოციქულმან და შევიდა სახლსა<sup>3</sup> მისსა.<sup>4</sup> და აღასრულა ლოცვაჲ და მოილო პური, განტეხა და მისცა ყოველთა. და მიიღეს საზრდელი და განძლიერდეს.<sup>5</sup>

ხოლო ადგილსა მას მრავალი ერი მოაქცია ნეტარმან პეტრე. და ნათელსცა სახელითა მამისაჲთა,<sup>6</sup> ძისაჲთა<sup>7</sup> და სულისა წმიდისაჲთა.<sup>8</sup> და მონაფეთა მისთაგანი,<sup>9</sup> ერთი კაცი ღმრთისმოშიში და<sup>10</sup> ფრიად სწავლული მოძღურებასა საღმრთოსა,<sup>11</sup> სახელით მაქსიმინოს,<sup>12</sup> აკურთხა ეპისკოპოსად<sup>13</sup> მის დაბისა.<sup>14</sup> და დაყო მუნ ორმეოც<sup>15</sup> დღე. და იყო სადგური მისი სახლსა წმიდისა ბაგრატიისა. და ასწავებდა მას ყოველსავე წესსა<sup>16</sup> საღმრთოსა<sup>17</sup> და სთესვიდა<sup>18</sup> გულსა მისსა თესლსა მას ღმრთისმსახურებისასა, ვითარცა-იგი სუროდა<sup>19</sup> ნეტარსა ბაგრატს. და ეტყოდა მრავალთა მათ სწავლათა<sup>20</sup> თანა ამასცა: „შვილო ბაგრატ, ვითარცა-იგი ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეუდევით ქრისტესა, ეგრეთვე შენ გიღირს ყოფად.“

მიუგო ბაგრატ და ჰრქუა მას: „მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო, [240v] ამას მე მრავლით ჟამითგან სურვიელ ვარ, ვინაჲ<sup>21</sup> დღითგან მშობელნი ჩემნი აღესრულნეს. და ან ვესავე ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, შენ თანა ყოფად ვარ<sup>22</sup> ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა და ნუ მომიძაგებ უღირსსა ამას და ცოდვილსა!“

---

<sup>1</sup> მას ბაგრატ] BD: –; 2. შენთა თანა] BCD: ~; 3. B: სახედ; D: სახიდ; 4. BD: მისა; 5. C: განძრიელდეს; 6. B: + და; D: მამისათა + და; 7. D: ძისათა; 8. D: წმიდისათა; 9. BD: თვსთაგანი; 10. BD: –; 11. D: საღმრთოესა; 12. BD: მაქსიმინოს; 13. D: ეპისკოპოსად; 14. D: დაბისად; 15. B: ორმეოცი; 16. BD: საქმესა; 17. D: საღმრთოესა; 18. D: + იგი; 19. D: ჰსუროდა; 20. მათ სწავლათა] D: –; 21. B: ვინაჲთ; 22. BD: –.

ესე რაჲ ესმა წმიდასა<sup>1</sup> მოციქულსა პეტრეს, თქუა: „კურთხეულ არს უფალი, რომელი წმიდაჰყოფს<sup>2</sup> ყოველსა კაცსა, მოციქულსა მისსა.“ მაშინ ევედრა ნეტარი ბაგრატ მოციქულსა, რაჲთა ნათელსცეს მონათა მისთა, რამეთუ ესოდენ<sup>3</sup> სახიერი კაცი იყო, რომელ მონათა თვსცა<sup>4</sup> დიდად ზრუნ(ვი)და. ხოლო მოციქულმან სიხარულით შეინყნარა თხოვაჲ<sup>5</sup> მისი. და წარავლინა ნეტარმან ბაგრატ და მოუწოდა მონათა თვსთა ყოველთაგან აგარაკთა. და ნათელილეს გულსმოდგინედ ყოველთა ჴელითა წმიდისა მოციქულისა<sup>6</sup> პეტრესითა. და შეჰვედრნა იგინი წმიდამან მოციქულმან ვედრებითა ბაგრატისითა მაქსიმინოს ეპისკოპოსსა,<sup>7</sup> რაჲთა ზრუნვიდეს მათთვს და ასწავებდეს, და რომელნიცა იპოვნენ მათგანნი კაცნი ღმრთისმოშიშნი, აკურთხნეს ხუცად და დიაკონად.

ხოლო ბაგრატ ყოველივე მონაგები თვისი შეკრიბა: ოქროჲ და ვეცხლი და მარგალიტი მრავალი და სამოსელი დიდფასისაჲ, საცხოვარი და სიმდიდრე<sup>8</sup> ფრიადი. და ბრძანებითა მოციქულისაჲთა<sup>9</sup> განუყო გლახაკთა და ზოგი მისცა მონათა თვსთა და ჰრქუა: „მე, ესერა, ამის ყოვლისაგან ვიჯმნი და ქრისტესა შეუდგები და აგარა[241r]კები ჩემი, ვენაჴები და ყანები თქუენ განიყავთ, რაჲთა გაქუნდეს საჴსენებელად ჩემდა.“

ამას რაჲ ეტყოდა, ტირილითა მწართა ტიროდეს იგინი განშორებისათვს მისისა და ჰრქუეს<sup>10</sup> მას: „უფალო ჩუენო,<sup>11</sup> ჩუენცა მზა ვართ ყოველნი ყოფად, რადვინიცა მიბრძანო, და შეგიდგეთ შენ.“ ჰრქუა მათ ნეტარმან ბაგრატ: „თქუენ ყოველნი ქრისტესდა შედგომილ ხართ და ძმანი ხართ ჩემნი. იყვენით ეპისკოპოსისა<sup>12</sup> თანა და ჰმორჩილობდით მას ცხოვრებისათვს სულთა<sup>13</sup> თქუენთაჲსა.“<sup>14</sup>

---

<sup>1</sup> BD: –; 2. D: წმიდაყოფს; 3. BD: ესოდენ; 4. BD: თვსთა; 5. B: თხოვაჲ; 6. D: –; 7. D: ეპისკოპოსსა; 8. BCD: სიმდიდრე; 9. C: მოციქულთაჲთა; D: მოციქულისაჲთა; 10. D: ჰრქუა; 11. D: + და; 12. BC: ეპისკოპოსსა; D: ეპისკოპოსსა; 13. D: სულთაჲსა; 14. D: –.

ხოლო სახლი თვისი ეკლესიად განაწესა ნეტარმან ბაგრატი და შეკედლებით გოდლისა მის აღაშენა ეკლესიად, რაათა იყოს გოდოლი იგი საჭურჭლედ ეკლესიისა. და მისცა ეკლესიასა,<sup>1</sup> რავდენიცა საწმარ იყო საფასვს,<sup>2</sup> და აკურთხა ეკლესიად იგი წმიდამან მოციქულმან პეტრე. და მოუწოდა<sup>3</sup> ეპისკოპოსსა<sup>4</sup> და აღწერით მისცა ყოველივე წესი ეკლესიისა. და ასწავა, რაათა გალობდენ ფსალმუნთა დავითისთა წესითა ფსალმუნთა<sup>5</sup> და კანონთაათა.

ეგრეთვე განუწესა სამწუხროდ ლოცვაჲ და საცისკროდ, და აღსრულებაჲ წმიდათა საიდუმლოთაჲ,<sup>6</sup> და კურთხევაჲ მღდელთაჲ<sup>7</sup> და წესი ნათლისღებისაჲ,<sup>8</sup> და აღმართებაჲ ჯუარისა. და<sup>9</sup> ესე ყოველი ასწავა ეპისკოპოსსა და ჰრქუა: „იხილე, შვილო მაქსიმინე, რამეთუ ზეცისა პატივი მოგიღებებს.<sup>10</sup> ეკრძაღე მოძღურებასა ამას,<sup>11</sup> რომელ<sup>12</sup> უბიწოდ დაიმარხო დიდი ესე ნამარხევი, რომელი იძიონ შენგან დღესა მას განკითხვისასა, ოდეს-იგი [241v] კაცად-კაცადისა<sup>13</sup> საქმე<sup>14</sup> გამოცხადნეს წინაშე მართლისა მის მსაჯულისა.“

ხოლო ნეტარმან ბაგრატი მისცა მოციქულსა ჯუარი შუენიერი, ოქროსა წმიდისა, შემკობილი მარგალიტითა და თუალეებითა<sup>15</sup> პატიოსნითა და ჰრქუა: „ესე მამამან ჩემმან ქმნა სურვილითა ქრისტეს ვნებისათა<sup>16</sup> და დამიტევა მე, რამეთუ მეტყოდა: „ამას სახესა ზედა დამოჰკიდეს ჰურიათა უფალი ჩუენი.“ რამეთუ იყო კაცი იგი ფრიად მორწმუნე,<sup>17</sup> მიიღო იგი მოციქულმან და იხილა, რამეთუ მადლი ღმრთისაჲ იყო ჯუარსა მას ზედა. და ბრძანა ქმნად ბუდე<sup>18</sup> ნაძვსა<sup>19</sup> და მას შინა შთადვა<sup>20</sup> და მისცა ეპისკოპოსსა, რაათა შიშით თაყუანის

---

<sup>1</sup> და მისცა ეკლესიასა] D: –; 2. BCD: საფასე; 3. B: მოუწუნდა; 4. D: ეპისკოპოსსა; 5. D: ფსალმუნთაათა; 6. D: საიდუმლოთა; 7. D: მღდელთა; 8. D: ნათლისღებისა; 9. BD: –; 10. BD: მიგიღებებს; 11. B: მას; 12. BD: რაათა; 13. D: კაცადისა; 14. BCD: საქმე; 15. B: თუალითა; D: + შუენიერითა; 16. BD: ვნებათაათა; 17. BCD: მორწმუნე; 18. BCD: ბუდე; 19. D: ნაძვსა; 20. D: შთადვეს.



ცემდენ<sup>1</sup> მას. და მოუწოდა ყოველსა მას ერსა მორწმუნესა, რომელსა ნათელელო. და დაადგინა ეპისკოპოსისა თანა და ეტყოდა: „იხილეთ, ძმანო, ნუვინ თქუენგანი მიდრკების გზისა მისგან<sup>2</sup> ჭეშმარიტისა, ნუცავინ<sup>3</sup> უარჰყოფთ,<sup>4</sup> რაჲ-იგი ისწავეთ ჩემგან, არამედ ყოველივე ჭირი და შრომა<sup>5</sup> თავსიდევეთ ჭეშმარიტებისათჳს და მოწყალებასა გლახაკთასა ნუ უდებჰყოფთ. ივლტოდეთ, შვილნო, ცრუ წინანარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდინ თქუენდა, ვითარცა ცხოვარნი,<sup>6</sup> და შინაგან არიან მგელ მტაცებელ. ნუ თანალერევეთ მათ ყოველადვე, არამედ რაჲ-იგი ისწავეთ ჩემგან, მას ზრახვედინ, მას შინა იქცეოდეთ და ღმერთი მშკდობისა<sup>7</sup> იყავნ თქუენ თანა!“<sup>8</sup>

ესრეთ განუტევა ერი იგი. და ხვალისა დღე აღვიდა გოდოლსა მას და დადგა მას შინაცა საკურთხეველი. და აღასრულა წმიდაჲ ჟამისწირვაჲ და აზიარა ყოველთა [242r] წმიდაჲ ჳორცი და სისხლი ქრისტესი. და ჰრქუა ეპისკოპოსსა:<sup>9</sup> „მომართუ აქა გუჯარი<sup>10</sup> ეკლესიისა<sup>11</sup> კურთხევისაჲ და მღდელთა კურთხევისაჲ.“<sup>12</sup> და მორათუა რაჲ,<sup>13</sup> დადგა იგი<sup>14</sup> წმიდასა საკურთხეველსა. და უბრძანა ეპისკოპოსსა<sup>15</sup> მოღებად იგი მიერ, ხოლო მან შიშითა დიდითა მიყო ჳელი და მოილო.

მიუგო წმიდამან პეტრე და ჰრქუა მას: „იხილე, შვილო, რაჲ-ეგე მიილე, რამეთუ სულნი ამის ერისანი შეგივედრებიან და სიტყჳს<sup>16</sup> მიცემაჲ<sup>17</sup> თანაგაც მათჳს. შეიმოსე უკუე<sup>18</sup> მადლი<sup>19</sup> ღმრთისაჲ და იყავ მშკდ და მდაბალ, გლახაკთა<sup>20</sup> მოწყალე და უცხოთა შემწყნარებელ,<sup>21</sup> რამეთუ უალრეს არს ყოველთა სასწაულთა მოწყალება.“ ესევეთარი მრავალი ასწავა ეპისკოპოსსა<sup>22</sup> მოციქულმან და მერმე<sup>23</sup> მოუწოდა იოსებს

---

<sup>1</sup> წლისა B. 2. მცნებათა B. 3. ასრულებდა B#. 4. გლახაკთა B. 5. შემკობილი|შემკობილ იყო B. 6. ეპისკოპოსისა A, ეპისკოპოსისსა B. 7. ეპისკოპოსმან A. 8. ნაწილი A\*]ნაწილი A#. 9. პირმან A\*]პრმან A#. 10. ეპისკოპოსი A. 11. აკეფსიმაჲსა A#. 12. მეცნიება B#. 13. შემემთხუევის A.

რად სოფელსა შენსა, რომელსა ჰრქვან ადრან, მგზავრ მოინწი-  
ოს აღსასრული<sup>1</sup> შენი.“

და შეემთხვა ორთავე ეგრეთ, ვითარცა თქუა ღმრთის-  
მსახურმან ძმამან პაპას, რამეთუ წმიდაა აკეფსიმა წამებითა  
სრულ იქმნა, ვითარცა, ესერა, აღწერად გუეგულების, ხოლო  
სხუად იგი ეპისკოპოსი მგზავრ აღესრულა, მივიდოდა რად სო-  
ფელსა მისსა.

4. [220r] ხოლო ოდეს-იგი შეიპყრნეს<sup>2</sup> ნეტარი აკეფსი-  
მა და მიჰყვანდა შეკრული ჯაჭვთა, წარჰვლიდა რად მახლობე-  
ლად სახლსა თვსსა, ჰრქუა ვინმე თანამავალთაგან საიდუმ-  
ლოდ: „ამცენ რადმე სახლისა შენისათვს და ყოვლისათვს,  
რადცა გაქუს, ნუუკუე ვერლარა უძლო მოქცევად და ხილვად  
მისა.“ ხოლო ნეტარმან განყარა ჴელი და თქუა:<sup>3</sup> „ესე სახლი  
არლარა არს ჩემი სახლი და ესე სამკვდრებელი არლარა არს  
სამკვდრებელი ჩემი, რამეთუ ჩემდა სახლ და სამკვდრებელ  
ქრისტე<sup>4</sup> არს, რომელი-იგი უფროჲს ყოვლისა შევიყუარე.“

5. მაშინ მიიყვანეს იგი ქალაქსა მას, რომელსა ეწოდე-  
ბის არბილ და წარმოუდგინეს<sup>5</sup> იგი მუნ მყოფსა მას მოგუთა  
მთავარსა, რომლისა სახელი იყო ადრახუსეთ.<sup>6</sup> და იხილა რად  
მოგუთმთავარმან<sup>7</sup> ნეტარი იგი, ჰრქუა მას: „ქრისტეანე<sup>8</sup> ხარ  
შენ, ანუ სხვსა შჯულისაჲ?“<sup>9</sup> მიუგო წმიდამან აკეფსიმა და  
ჰრქუა ბრწყინვალითა პირითა და ჴმამალლად: „მე ქრისტეა-  
ნე<sup>10</sup> ვარ და ღმერთსა მას ჭეშმარიტსა თაყუანის-ვსცემ.“<sup>11</sup>  
ჰრქუა მას მოგუთა<sup>12</sup> მთავარმან: „ჭეშმარიტ უკუე არსა, რად-  
იგი შენთვის მესმის, თუ ასწავებ კაცთა წინააღდგომისა ქმნად  
მეფეთა ბრძანებისა?“ მიუგო ნეტარმან და ჰრქუა: „რავდენი-  
ცა გასმიეს ჩემთვის, ჭეშმარიტ არს, რამეთუ ჭეშმარიტად

---

<sup>1</sup> აღსრული B#. 2. შეიპყრეს A\*]შეპრეს A#. 3. თქუა]ჰრქუა B. 4. ქრისტე B. 5. წარმოუ]უდგინეს B. 6. ანდრახუსეთ B#. 7. მოგუთა მთავარმან B. 8. ქრისტეანე<sup>8</sup> A, ქრისტეანე B. 9. რჩულისაჲ A. 10. ქრისტეანე<sup>10</sup> A, ქრისტეანე B. 11. თაყუანის- AB; ვსცემ B\*]ვცემ B#. 12. მოგუთა B\*]მოგუთა B#.

ერთსა<sup>1</sup> ღმერთსა უქადაგებ კაცთა სამგუამოვნებით<sup>2</sup> დიდებულსა და ვასწავლი მათ, რაათა მოიქცენ მისა და შეინანენ პირველქმნულნი ცოდვანი<sup>3</sup> და ყონ რაჲ იგი, სათნო არს წინაშე მისა,<sup>4</sup> რაათა [220v] მიემთხვნენ ცხორებასა საუკუნესა.“

6. მიუგო მთავარმან და ჰრქუა: „მასმიეს, თუ კაცი ხარ ბრძენი და მოხუცებული და ვითარ სცთები, ვითარცა ყრმაჲ მცირე,<sup>5</sup> და იტყვ ეგევითართა სიტყუათა და არა თავყუანის-სცემ<sup>6</sup> მზესა, ცეცხლსა და წყალსა, ვითარცა-ესე ყოველი ქუეყანაჲ სპარსთაჲ<sup>7</sup> იქმს?“ მიუგო<sup>8</sup> წმიდამან ეპისკოპოსმან და ჰრქუა: „ფრიადითა სიცოფითა შეპყრობილ არს ქუეყანაჲ ესე სპარსთაჲ და დაუტევებია დამბადებელი და დაბადებულთა თავყუანის-სცემს.<sup>9</sup> ხოლო აცთუნეთ იგი თქუენ უშჯულოთა<sup>10</sup> მით<sup>11</sup> სწავლითა თქუენითა, რამეთუ შემოიღეთ შორის სიმრავლე<sup>12</sup> ღმერთთაჲ ფრიადი, და დ(ა)უტევეთ<sup>13</sup> ჭეშმარიტი იგი დამბადებელი ყოველთაჲ ღმერთი.“

7. მიუგო მთავარმან და ჰრქუა: „უშჯულოებად<sup>14</sup> სახელსდება<sup>15</sup> მოძღურებასა მას,<sup>16</sup> რომელსა ზედა მტკიცე არს მეფე<sup>17</sup> ესე,<sup>18</sup> სოფლისა მპყრობელი, შ, ბოროტისა სიკუდილისა ღირსო?“ მიუგო წმიდამან და ჰრქუა: „ვითარი არს მოძღურებაჲ თქუენი? უფროჲსლა საცთურ ენოდების და არა მოძღურება, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ უვარ-გიყოფიეს და ეშმაკთა ჰმსახურებთ.“<sup>19</sup> ჰრქუა მას მოგუთა მთავარმან: „ცუდთა მაგათ ზრახვათა განეშორე და ქმენ ბრძანებაჲ მეფისაჲ და თავყუანის-ეც<sup>20</sup> მზესა, რამეთუ ვჰრიდებ<sup>21</sup> სიბერესა შენსა, რაათა არა შთავიდე სისხლითა ჯოჯოხეთს.“ მიუგო წმიდამან აკეფ-

---

<sup>1</sup> ერთსა B\*]ერსა B#. 2. სამგუამოვნებით B\*]სამგუამოვნებით B#. 3. შეინანენ პირველქმნულნი ცოდვანი] შეინანონ პირველქმნულთა ცოდვათა A. 4. მისსა B. 5. მცირე B. 6 თავყუანის- A. 7. სპარსთა B\*]სპართა B#. 8. მიუგო B\*]მუგო B#. 9. თავყუანის- A. 10. ურჩულოთა A. 11. მით B\*]მთ B#. 12. სიმრავლე A, სიმრავლე B. 13. დაუტევეთ A, დაუტევე B#. 14. ურჩულოებად A. 15. -დება B#. 16. მასკამას B. 17. მეფე B. 18. ესე A\*]ეს A#; 19. ჰმსახურებთ B#. 20. თავყუანის- A. 21. ვჰრიდებ B#.



სიმა და ჰრქუა: „დაიყავნ პირი შენი უშჯულოდ,<sup>1</sup> ზ, უკეთურო, და ნულარა შესძინებ თქუმად ჩემდა სიტყუასა მაგას ბოროტ-სა, რამეთუ მე სიყრმით ჩემითგან ჭეშმარიტსა სარწმუნოება-სა შინა აღზრდილ ვარ და [221r] არამცა<sup>2</sup> უმეტესად თანამედ-ვა ჟამსა ამას სიბერისასა ახოვნად დადგომაჲ კეთილსა მას შინა აღსარებასა,<sup>3</sup> რაჲთა გვრგვნოსან ვიქმნე ჭეშმარიტისა მის და დიდებულისა ღმრთისა ჩემისა მიერ.“

8. მაშინ აღივსო გულისწყრომითა უშჯულოდ<sup>4</sup> იგი და ბრძანა განროხმაჲ მისი გუემად და ესრეთ<sup>5</sup> უწყალოდ გუემეს, რომელ ქუეყანაჲ იგი, სადა განროხმულ იყო, აღივსო სისხლი-თა. ესრეთ რაჲ იგუემებოდა ნეტარი იგი და აჩუენებდა<sup>6</sup> დიდ-სა მოთმინებასა.

ჰრქუა მას მოგუთმთავარმან: „სადა არს ღმერთი შენი? მოვედინ ან და გიჯსენინ ჴელთაგან ჩემთა.“ მიუგო წმიდამან აკუფსიმა და ჰრქუა: „ღმერთი ჩემი ცათა შინა არს და უპყრი-ეს ქუეყანაჲ და ყოველნივე დაბადებულნი და ზღუაჲ ჴელთა შინა მისთა არს, და ადვილ არს მის წინაშე ვსნაჲ ჩემი ჴელთა-გან შენთა, არამედ ამისთვის მიგიშუებს ტანჯვაჲდ ჩემდა, რაჲ-თა გამოჩნდეს შენისა გონებისა უკეთურებაჲ და ჩემიცა მოთ-მინებაჲ, რაჲთა მე მომაგნეს კეთილნი მიუთხრობელნი მერმე-სა მას საუკუნესა და შენ შემსგავსებულად საქმეთა შენთა გტანჯოს. ან უკუე, რასამე იქადი, რომელი-ეგე უუძღურეს ხარ ყუავილსა დაჭნობადსა, რაჲსათვს ჰზუაობ, მკუდარო და-ყროლებულო, ცხოვრებასავე<sup>7</sup> შენსა, რამეთუ ვინაჲთგან არა გრწამს ცხოველი იგი და ჭეშმარიტი ღმერთი მცირედლა? და ვითარცა თივაჲ, ადრე განჰჴმე<sup>8</sup> და სიკუდილმან წარგიტაცოს შენ და კუალად აღგადგინოს ღმერთმან ჩემმან საშჯე[221v]-ლად საუკუნოდ, რაჲთა ცეცხლსა შინა, რომელსა ან თაყუა-ნის-სცემ,<sup>9</sup> ინუებოდი<sup>10</sup> სულით და ჴორციით უკუნისამდე ჟამ-

---

<sup>1</sup> ურჩულოდ A. 2. არამცა A\*|არა A#; 3. აღსარებასა B. 4. ურჩულოდ A. 5. ესრეთ B\*|ერეთ AB#. 6. ცხოვრებასავე B\*|ცხოვრებასა შენ-სა|ვე; B#. 7. მცირედმლა B#. 8. განჴმე B#. 9. თაყუანის- A. 10. ინუებოდი B.

თა.“ ამათ სიტყუათა ზედა უმეტესად განრისხნა მოგუთმთავარი იგი და ბრძანა შეკრვად მისი ჯაჭვთა მიძიმთა და შეყენებაჲ საპყრობილესა ბნელსა. და ჯდა წმიდაჲ აკეფსიმა საპყრობილესა მას შინა და ჰმადლობდა ღმერთსა და დაუცხრომელად ილოცვიდა.

9. და ხვალისა დღე შეიპყრნეს<sup>1</sup> სხუანი ორნი ქრისტიანენი. სახელი ერთისაჲ მის იოსებ, რომელი იყო დაბისა მისგან ბეთლახაბაჲსა, რომელი გამოითარგმანების „მწერლისაჲ“, მოხუცებული იყო იგიცა ჰასაკითა, ვითარ სამეოცდაათისა წლისაჲ და პატივცემულ იყო პატივითა ხუცობისაჲთა და მღდლობითა უბინოჲთა ჰმსახურებდა ღმერთსა ყოველსა ჟამსა. ხოლო მეორესა მას აითალა ეწოდებოდა. იყო იგი დაბისა მისგან,<sup>2</sup> რომელსა ჰრქვან ბითრედნე, ვითარ სამეოცისა წლისაჲ ჰასაკითა. და აქუნდა მას პატივი დიაკონობისაჲ და შემკობილ<sup>3</sup> იყო ყოვლითა სათნოებითა, მჭურვალ<sup>4</sup> სარწმუნოებასა შინა და მსახურებასა ქრისტესა<sup>5</sup> და მამხილობელ უმჯულოთა. ესე ორნი წარმოადგინნეს<sup>6</sup> წინაშე უმჯულოსა<sup>7</sup> მას მოგუთმთავარსა მასვე ქალაქსა შინა.

10. ჰრქუა მათ მოგუთმთავარმან: „მითხართ<sup>8</sup> მე, ღირსნო ბოროტისა სიკუდილისანო, რაჲსათჳს აცთუნებთ კაცთა უმეტართა და ჰყოფთ მათ ქრისტიანე?“ მიუგო წმიდამან იოსებ [222r] და ჰრქუა მას: „ჩუენ კაცნი ვართ ჭემმარიტნი და განშორებულნი სიცრუვისაგან და ეგრეთცა<sup>9</sup> ვასწავლით კაცთა<sup>10</sup> მონებად ღმრთისა ცხოველისა.“ ჰრქუა მათ მოგუთმთავარმან: „და რომელი მოძღურებაჲ უმეტეს არს, ჳ, უგუნურნო, რომელი-იგი უპყრიეს მეფესა მას ყოვლისა ქუეყანისასა და დიდებულთა მთავართა მისთა, ანუ თქუენი ეგე, უნდოთა მაგათ და შეურაცხთაჲ?“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა: „ღმერთსა ჩუენსა არა სათნო უჩნს ამჰარტავანებაჲ და ზუაო-

---

<sup>1</sup> შეიპყრეს B. 2. დაბისა მისგან A\*]დაბისაგან A#. 3. შემკობილი; A. 4. მჭურვალე B. 5. ქრისტესსა B. 6. წარმოადგინნეს B#. 7. ურჩულოსა A. 8. მითხართ მე – B#. 9. ეგრეთცა B. 10. კაცთა – A#.

ბაა და სიმდიდრე<sup>1</sup> სოფლისა ამის წარმავალისაჲ, არამედ სათნო-უჩნ<sup>2</sup> მას მდაბალნი და გლახაკნი, რომელთა ემინოდის მისგან. ამისთვისცა ვართ ჩუენ მდაბალ და გლახაკ, რათა ღირს ვიქმნეთ<sup>3</sup> დიდებასა მისსა და ცხორებასა საუკუნესა.“

11. ჰრქუა მას მოგუთმთავარმან: „უდებებისა<sup>4</sup> და ზარ-მაცობისა თქუენისათჳს არა გნებაჲს შრომაჲ, არამედ მიმოხუ-ალთ სახლითი-სახლად, ამისთვის იქადით სიგლახაკესა ზედა, რათა აჩუენოთ კაცთა, თუ კეთილი საქმე<sup>5</sup> არს.“ მიუგო წმი-დამან იოსებ და ჰრქუა: „ვინაჲთგან გუაყუედრე ჩუენ და ზარ-მაცად გვნოდე, გამოიკითხე, უბადრუკო, და ცან, ვითარმედ უკუეთუმცა გუენება შეკრებად ნაქმარი ოდენ ჴელთა ჩუენ-თაჲ, უმეტესიმცა სიმდიდრე<sup>6</sup> გუაქუნდა შენისა მის, რომელი მოგიგეს ნატაცებისა მის გლახაკთაჲსა. [222v] გარნა ქრის-ტესთვის რაჲცა გუაქუნდეს,<sup>7</sup> მივსცემთ გლახაკთა, ხოლო თქუ-ენ ანგაჰრებითა თქუენითა მოიტაცებთ გლახაკთაგან.“ ჰრქუა მას მოგუთმთავარმან: „სიმდიდრე<sup>8</sup> ყოველთა მიერ სანადელ არს და არა არს კაცი, რომელსამცა სძულდა<sup>9</sup> იგი. ან უკუე, შენი სიტყუაჲ ვინმცა ირწმუნა, რომელსა იტყჳ, თუ ნებსით გძულს სიმდიდრე<sup>10</sup> და განაბნევ მას?“

12. მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა მას: „ჩუენ გვსნა-ვიეს, ვითარმედ დიდებაჲ სოფლისაჲ და სიმდიდრე<sup>11</sup> დაუდ-გრომელ არს და ვითარცა აჩრდილი, წარვალს, რამეთუ, აჰა, ესერა, მოინიოს სიკუდილი და წარჴდეს დიდებაჲ შენი და სიმ-დიდრე<sup>12</sup>, ვითარცა ყოვლადვე არა ყოფილი და იქმნა შენ მიწა და ნაცარ, ხოლო სული შენი იტანჯებოდის ჯოჯოხეთს შინა. ესე უწყით ჩუენ და ამისთვის გუძულს<sup>13</sup> დიდებაჲ და სიმდიდ-რე<sup>14</sup> სოფლისაჲ და სურვიელ ვართ დამკვდრებად სიმდიდრესა მას ზეცისასა და დიდებასა მას დაუსრულებელსა.“

---

<sup>1</sup> სიმდიდრე A, სიმდიდრე B\*]სიმდრე B#. 2. უჩან AB. 3. ვიქმნეთ B. 4. უდებობისა A. 5. საქმე A, საქმე B. 6. სიმდიდრე A, სიმდიდ-რე B. 7. გუაქუნდეს B\*]გუანდეს B#. 8. სიმდიდრე B. 9. სძულდა B\*] ძულდა B#; 10. სიმდიდრე B. 11-12. სიმდიდრე A, სიმდიდრე B. 13. B: გძულს; 14. სიმდიდრე B.

13. ჰრქუა მას მოგუთმთავარმან: „დაუტევე ცუდადმეტყუელებაჲ შენი და რომელსა გკითხავ, იგი მითხარ: იქმა ნებასა მეფისასა და თაყუანის-სცემ<sup>1</sup> დიდსა მას ღმერთსა მზესა და სცხოვნდე,<sup>2</sup> ანუ<sup>3</sup> არა გნებავს?“ მიუგო და ჰრქუა მას ნეტარმან<sup>4</sup> იოსებ: „ნუ სცთები ამის საქმისთვის, უშჯულოო,<sup>5</sup> ნუცა ჰგონებ, თუმცა მე მზესა თაყუანის-ვეც,<sup>6</sup> რამეთუ მრავალთა დამისწავიეს, ვითარმედ არა არს იგი ღმერთი, არამედ ქმნული ღმრთისაჲ [223r] და ბრძანებითა მისითა არაარსისაგან არსად მოსრული.“

14. მაშინ უშჯულოო<sup>7</sup> იგი განრისხნა და ბრძანა განშიშულებაჲ ნეტარისა იოსებისი<sup>8</sup> და განრთხმაჲ და გუემაჲ ძლიერად არგნებითა მროწეულისაჲთა<sup>9</sup> ეკლოვანითა.<sup>10</sup> და<sup>11</sup> ესრეთ უწყალოდ სცეს მას, ვიდრელა<sup>12</sup> და კნინ ოდენ მისცამცა სული. ხოლო ახოვანი იგი ქრისტეს მონამც<sup>13</sup> ყოვლადვე<sup>14</sup> არარას<sup>15</sup> იტყოდა, ჰგუემდეს რაჲ, არამედ ზეცას ოდენ ხედვიდა გონებითა და უფალსა ხადოდა, რაჲთა შეენიოს მას და მოსცეს ძალი და მოთმინებაჲ.

15. და ვითარცა შეილება ყოველივე გუამი<sup>16</sup> სისხლითა მისითა,<sup>17</sup> მაშინ ჴმა-ყო<sup>18</sup> და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო<sup>19</sup> ჩემო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, სასოო და შესავედრებელო ჩემო, რამეთუ ღირს-მყავ მე მეორესა ამას ნათლის-ღებასა, რაჲთა განვიბანო და განვნმდე<sup>20</sup> ყოველთა ცოდვათა ჩემთაგან.“ ესმოდა რაჲ ესე მტარვალთა მათ მსახურთა ეშმაკისათა, წყრებოდეს და უფიცხესად ჰგუემდეს. ესოდენ უკუე დაბძარეს<sup>21</sup> გუამი მისი გუემითა, რომელ არღარა იპოვებოდა<sup>22</sup> ერთიცა ადგილი მრთელი. ძლით<sup>23</sup> უკუე

---

<sup>1</sup> თაყუანის- A. 2. სცხოვნდე A. 3. ანუ bis B#. 4. ნეტარმან A. 5. ურჩულოო A. 6. თაყუანის- A. 7. ურჩულოო A. 8. იოსებისა B. 9. მროწეულისაჲთა A\*] მროწეულისაჲ A#; 10. ეკლოვანთა B\*]ეკლოვანთა B#; 11. და]დ A. 12. B: ვიდრელა] ვე ღა; 13. მონამე B. 14. ყოვლადვე B\*]ყოვლად B#; 15. არარასა B. 16. გუამი B\*]გუამი B#. 17. მისითა B\*]თესითა B#. 18. -ყო – B#. 19. უფალო bis B#; 20. განვნმდე B\*]ვნმდე B#; 21. დაბძრეს B#. 22. იპოვებოდა A. 23. ძლით A\*]ძლი A#.

ბრძანა უშჯულომან<sup>1</sup> მან მოგუთმთავარმან დაცხრომა გუემისაგან<sup>2</sup> და შეკრეს იგი ჯაჭვთა და წარყვანეს საპყრობილედ. ხოლო წმიდამან აკეფსიმა იხილა რაჲ იგი, აღივსო სიხარულითა და მოწლედ მოიკითხა და ჰმადლობდა ღმერთსა.

16. ხოლო მძლავრმან მან უშჯულომან<sup>3</sup> მოგუთა მთავარმან<sup>4</sup> [223v] მიჰხედნა<sup>5</sup> წმიდასა აითალას და ჰრქუა: „შენ რასა იტყუ? იქმა ბრძანებასა მეფისასა, რაჲთა თაყუანის-სცე<sup>6</sup> დიდსა მას ღმერთსა მზესა და შჭამო სისხლი და შეირთო ცოლი და განარინო თავი შენი სატანჯველთაგან, ანუ შენცა ჰგიე გონებასა ზედა მოყუასთა შენთასა?“ მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „შენ ჭამე სისხლი, ვითარცა ეგე შჭამ, ძაღლო არანმიდაო, და შენ გშუენის თაყუანის-ცემად<sup>7</sup> მზისაჲ, უგუნურო და<sup>8</sup> დაბრმობილო, რომელმან ვერ უძლე სიბრმისაგან შენისა განცდად ნათელი იგი ბრწყინვალე<sup>9</sup>, რომელი ბრწყინავს ყოველსა სოფელსა ქრისტეს სახარებისაჲ, ხოლო ჩემდა ჯერარს ჴელითა შენითა სიკუდილი, რაჲთა ვცხოვნდე<sup>10</sup> მე უკუნისამდე.“

17. ამათ სიტყუათა ზედა უშჯულო<sup>11</sup> იგი განრისხნა, არამედ რეცა სულგრძელებად აჩუენა და ჰრქუა წმიდასა მას: „ვინ არს უგუნური<sup>12</sup> იგი, რომელმან დაუტევოს<sup>13</sup> ცხოვრებაჲ და აღირჩიოს სიკუდილი, ვითარ-ეგე<sup>14</sup> შენ იქმ, ზ, გონებაც-თომილო?“<sup>15</sup> მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „თავსა შენსა უწოდე უგუნურ<sup>16</sup> და ცოფ და გონებაც-თომილ, რამეთუ ეგრეთცა ხარ, ვინაჲთგან<sup>17</sup> გზაჲ იგი ჭემმარიტებისაჲ არა იცი! ხოლო ჩუენ ბრძანებათა ღმრთისა ჩუენისათა ვიმარხავთ და ჭემმარიტად ბრძენ ვართ და გონიერ, რამეთუ ესრეთ გუამცნო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რაჲთა რომელი-ესე

---

<sup>1</sup> ურჩულომან A. 2. გუემისაგან B\*]გუემათაგან B#. 3. ურჩულომან A. 4. მოგუთმთავარმან B. 5. მიხედნა A. 6-7. თაყუანის- A. 8. და – A#. 9. ბრწყინვალეჲ A, ბრწყინვალე B\*]ბრწყინვალე B#. 10. ვცხოვნდე A. 11. ურჩლოჲ A. 12. უგუნური B\*]უგურური B#. 13. დაუტეოს A. 14. -ეგე] + შორის B#. 15. გონებაც-თომილო B. 16. უგუნურ]უგურ B. 17. ვინაჲთგან B\*]ვინაჲთ B#.

თქვენ ცხორებად შეგიარაცხიეს, ჩვენ სიკუდილად შევჭრა-  
ცხოთ<sup>1</sup> და რომელსა-იგი თქვენ სახელ[224r]-სდებთ სიკუდი-  
ლად, ჩვენ შევიწყნაროთ, ვითარცა ცხორება. რამეთუ ულ-  
მრთობით ყოფა ამის სოფლისაჲ მომატყუებელი<sup>2</sup> არს საუ-  
კუნესა სიკუდილსა, ხოლო სიკუდილი ქრისტესთჳს განგკმზა-  
დებს ჩვენ სასუფეველსა ცათასა.“

18. ამათ სიტყუათა ზედა უმეტეს აღივსო გულისწყრო-  
მითა უშჯულოჲ<sup>3</sup> იგი მძლავრი და ბრძანა შეკრვაჲ ჴელთა მის-  
თაჲ მუწლთა ქუეშე. და განუგდეს ძელი ჴელთა შორის და  
მუწლთა და ორთავე კერძოთა ძელისა მის აღვიდეს კაცნი  
ძლიერნი ექუსნი და სხუანი ექუსნი წარმოუდგეს<sup>4</sup> და სცემდეს  
ძლიერად არგნებითა<sup>5</sup> მროწეულისაჲთა ეკლოვანითა. ესრეთ  
იგუემებოდა რაჲ ნეტარი იგი, ეტყოდა მძლავრსა მას: „არა  
მეშინის მე სატანჯველთა<sup>6</sup> შენთაგან, შეგინებულო და სის-  
ხლისმჭამელო ძალო, ყორანო არანმიდაო, მძორისმჭამელო!  
არარად შემირაცხიე<sup>7</sup> შენ, უკეთურო და უბადრუკო მაცთუ-  
რო!“

19. ესმოდეს რაჲ უშჯულოსა<sup>8</sup> მას სიტყუანი ესე, ილ-  
რჭენდა კბილთა<sup>9</sup> მტარვალთა მათ ზედა და ეტყოდა: „რაესა-  
თჳს ნელიად სცემთ, უკეთურნო მტარვალნო, და სცალს მაგას  
ესრეთ ურიდად გინებად ჩუენდა?“ ხოლო იგინი უმეტესად  
ჴგუემდეს უწყალოდ, ვიდრელა შეჭირებითა მით საკრველთაჲ-  
თა და ძელისა მის ზიდვითა და სასტიკითა მით ცემითა  
მკლავნი მისნი შეიმუსრნეს და ნასხმანნი ჴელთა და იდაყუთა-  
ნი დაიქსნნეს.<sup>10</sup> მერმე ბრძანა უშჯულომან<sup>11</sup> მან წარყვანებაჲ  
და დაგ[224v]დებაჲ მისი საპყრობილესა. ზეტკრთვით უკუე წა-  
რიყვანეს და დააგდეს იგი, სადა იყვნეს შეყენებულ წმიდანი  
იგი აკეფსიმა და იოსებ.

---

<sup>1</sup> შევრაცხოთ A. 2. მომატყუებელ B. 3. ურჩულოჲ A. 4. წარმოუგდეს B#. 5. არნებითა B#. 6. სატანჯველთა]სანჯველთა B. 7. შემირაცხე A#. 8. ურჩულოსა A. 9. კბილთა B\*]ბილთა B#. 10. დაიქსნნეს A. 11. ურჩულომან A.

20. და ვითარცა წარვდეს ხუთნი ოდენ დღენი და ჯდა ბილნი იგი მოგუთა მთავარი მტილსა რასმე შინა, და ბრძანა მოყვანებაჲ წმიდათაჲ მათ საპყრობილით და ჰრქუა მათ: „მითხართ მე ჭეშმარიტი, ჯერეთ მასვე<sup>1</sup> ბოროტსა გულისსიტყუასა ზედა ხართა, რაჲთა არა დაჰმორჩილდეთ ბრძანებასა მეფისასა?“

მიუგეს წმიდათა მათ ერთბამად და ჰრქუეს: „ჩუენ ერთსა გულისსიტყუასა კეთილსა ზედა მტკიცე ვართ და სარწმუნოებისაგან ღმრთისა ჩუენისა შეურყეველ ვართ და მას ჭეშმარიტსა და მხოლოსა ვჰმსახურებთ ყოველთა დამბადებელსა, ხოლო ბრძანებაჲ მეფისა შენისაჲ ყოვლადვე არად შეგვრაცხია. ან უკუე, ვითარნიცა ჯერ-გიჩნან სატანჯველნი, მოანიენ ჩუენ ზედა, რამეთუ მზა-ვართ ყოველსავე თავს-დებად შეწვენითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი-იგი არს მეუფე<sup>2</sup> საუკუნეთაჲ და ძალითა მისითა გარცხვნიოთ შენ და ყოველნი ღონენი შენნი უძლურად გამოვაჩინენით.“<sup>3</sup>

21. მაშინ განრისხნა უშჯულოჲ<sup>4</sup> იგი და ბრძანა მოღებად საბელი წურილად<sup>5</sup> გრეხილი და მოჰხვეს<sup>6</sup> იგი ბეჭთა მათთა და ზურგთა და კართთა და განუგდეს ძელები და ესოდენ იქციეს და შეაჭირეს კაცთა ძლიერთა, ვიდრელა ძუალნი მათნი შეიმუსრნეს და ჴმად შემუსრვისა<sup>7</sup> ძუალთაჲსაჲ ისმოდა.<sup>8</sup>

და ეტყოდა მათ უშჯულოჲ<sup>9</sup> იგი: „ქმენით ნებაჲ მეფისაჲ და სცხოვნდეთ.“<sup>10</sup> ხოლო წმიდანი იგი [225r] ეტყოდეს: „ჩუენ ნებასა ვიქმთ ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისასა,<sup>11</sup> ხოლო ნებასა უშჯულოჲსა<sup>12</sup> მეფისასა ყოვლადვე არად შევჰრაცხავთ.“<sup>13</sup>

22. ხოლო მესამით ყამითგან ვიდრე მეექუსედ<sup>14</sup> ჟამად-მდე სტანჯვიდეს ქცევითა მით დაჭირებითა საბელთაჲთა. და

---

<sup>1</sup> მასავე B. 2. მეუფეჲ A, მეუფე B. 3. გამოვაჩინეთ B. 4. ურჩულოჲ A. 5. წრილად B#. 6. მოხვეს A. მოჰხვეს იგი ბეჭთა B\*]მოხვეს ბეჭეჭთა B#. 7. შემუსრვისა B#]შემუსრვასა B\*. 8. ესმოდა B#. 9. ურჩულოჲ A. 10. სცხოვნდეთ B\*]სცხოვნდეთ A, სცხოვნდეთ B#. 11. ჩუენისა B#. 12. ურჩულოჲსა A. 13. შევრაცხავთ A. 14. მექუსედ B#.

ესევეითარსა მას მოუთმენელსა ტანჯვასა<sup>1</sup> შინა მოთმინებაჲ განდიდნა და ძლევჲა მათი საკვრველ იქმნა და ღმერთი მათ ზედა იდიდა. ხოლო ოდეს სრულად უსიტყუელ<sup>2</sup> იქმნეს<sup>3</sup> და სიკუდილად მიეახლნეს, ბრძანა მძლავრმან მან კუალად წარყვანებაჲ მათი საპყრობილედ.<sup>4</sup> აღიხუნეს იგინი ბოროტთა მათ მტარვალთა და წარიყვანნეს და დაყარნეს საპყრობილესა. და ბრძანა უმჯულომან<sup>5</sup> მან მოგუთმთავარმან,<sup>6</sup> რაჲთა არავის<sup>7</sup> შეუნდონ შესლვად მათდა,<sup>8</sup> ანუ მიცემად პურისა, გინა სამოსლისა.<sup>9</sup> ხოლო უკუეთუ ვინ იპოვოს<sup>10</sup> შემავალი მათ თანა, რაჲთა იგუემოს იგი არგნებითა და მოეკუეთენ ორნივე ყურნი მათნი და ცხვრი.

23. მაშინ წმიდანი იგი მონამენი ახოვნად მოითმენდეს სატანჯველთა მათ ზედა შიმშილსაცა და სიშიშულესა. და დაყვეს საპყრობილესა<sup>11</sup> მას შინა სამი წელი. ხოლო სხუანი იგი<sup>12</sup> პყრობილნი განვიდოდეს და ითხოვდეს პურსა და ნათხოვისა მისგან მათისა მისცემდეს მათ მცირედსა რასმე და უნდოსა საზრდელსა, ვიდრელა მცველნიცა<sup>13</sup> საპყრობილისანი ხედვიდეს ჭირსა მათსა და სიბერესა, და ტიროდეს წყალობისაგან მათისა.<sup>14</sup>

24. ხოლო შემდგომად სამისა წლისა შეყენებისა მის მათისა, მოვი[225v]და საბურ მეფე<sup>15</sup> ქუეყანასა მას ბეთლამადისასა. და გამოიყვანნა იგინი<sup>16</sup> მოგუთა მთავარმან<sup>17</sup> მან, რომელი სტანჯვიდა და წარიყვანნა მეფისა. და იყო ხილვაჲ მათი საშინელ, რამეთუ ესოდენ განლეულ იყვნეს, ვიდრელა ყოვლად არა იყო მათ ზედა<sup>18</sup> ფერი<sup>19</sup> კაცთაჲ მრავალთა მათ ჭირთაგან. და რომელნიცა ხედვიდეს მათ, სწყალობდეს, დაღაცა-

---

<sup>1</sup> ტანჯვასა|სატანჯველსა B. 2. უსიტყუელ B#. 3. იქმნეს B. 4. საპყრობილეს B. 5. ურჩულომან A. 6. მოგუთმთავარმან B#. 7. არავინ A. 8. მათდა B\*|მათ თანა B#. 9. სამოსლისა B\*. 10. იპოვოს A. 11. საპყრობილესა მას B\*|საპყრებილესა დას B#. 12. იგი – B#. 13. მცველნიცა B. 14. მათსა B#. 15. მეფე B. 16. იგინი|იგი A. 17. B: მოგუთმთავარმან; 18. მათ ზედა A\*] – A#. 19. ფერი|ფირი B.



თუ სრულიად უწყალომცა<sup>1</sup> ვინ იყო. წარიყვანნეს<sup>2</sup> უკუე პალატად<sup>3</sup> და წარმოუდგინნეს<sup>4</sup> იგინი სხუასა მოგუთმთავარსა ყოვლისა სპარსეთისასა და სხდეს მის თანა სხუანი მოგუთა მთავარნი<sup>5</sup> და წარჩინებულნი მეფისანი და შევიდეს რაჲ წმიდანი, არა თავყუანის-სცეს<sup>6</sup> მას.

ჰრქუა მათ ადერ, მთავარმან მოგუთა მთავართამან:<sup>7</sup> „ქრისტეანენი ხართა?“ მიუგეს წმიდათა მათ: „ჰე, „ქრისტეანენი ვართ და მხოლოსა ყოვლისა მპყრობელსა<sup>8</sup> ღმერთსა ვჰმსახურებთ.“

25. ჰრქუა მათ ადერ:<sup>9</sup> „აჰა, ესერა, კაცნი მოხუცებულნი ხართ და ვხედავ, ვითარმედ ჭირნი მრავალნი შემთხუეულ<sup>10</sup> არიან თქუენდა და ამას წამებს ხილვაჲ პირთა თქუენთაჲ. ან უკუე, ისმინეთ განზრახვაჲ ჩემი და შეინყაღენით თავნი თქუენნი და ნუ<sup>11</sup> მოჰკუდებით ბოროტითა სიკუდილითა, არამედ დაემორჩილენით ბრძანებასა მეფისასა და თავყუანის-ეცით<sup>12</sup> მზესა და ცხოვნდით,<sup>13</sup> რამეთუ ბრძანებაჲ ესევეთარი დადებულ არს, რაჲთა ყოველნი, რომელნი ვიდოდიან გზასა მას ქრისტეანობისასა, მახვლითა მოკუდენ.“

26. მიუგო წმიდამან აკეფსიმა და ჰრქუა მას: „უნყით, [226r] ვითარმედ მოსწრაფე ხართ მიდრეკად ჩუენდა გზისა მისგან ჭემმარიტისა ჴელმწიფებითა მაგით შენითა განქარვებადითა. არამედ ნუ სცთები,<sup>14</sup> ნუცა შრომასა შეიმთხუევე, ნუცა მოვალს ესე ყოვლადვე გონებასა შენსა, თუმცა ჩუენგანმან ვინ ისმინა სიტყუაჲ შენი. ან, უკუეთუ გნებავს ტანჯვაჲ ჩუენი, ნუ ჰყოვნი, რამეთუ სატანჯველნი შენნი ჩუენ ვერ შეგუაშინებენ, არამედ მტკიცე არიან გონებანი<sup>15</sup> ჩუენნი წამე-

---

<sup>1</sup> უწყალომცა B#. 2. წარიყვანნეს B#. 3. პალატად A\*]პალად A#. 4. წარუდგინნეს B#. 5. სხუანიცა მოგუთმთავარნი B. 6. თავყუანის- A. 7. მოგუთა მთავართამან A\*]მოგუთამთა A#, მოგუთმთავართამან B. 8. ამპყრობელსა B. 9. ადერ B#. 10. შემთხუელ B#. 11. ნუ – B#. 12. თავყუანის- A. 13. ცხოვნდით A, ცხოვდით B. 14. ცთები B. 15. გონებანი]გულნი B.

ბად ღმრთისა ჩუენისათჳს, ამისთჳსცა ყოვლადვე არა ვჰმორჩილობთ ბრძანებასა მეფისა შენისასა.“

27. ჰრქუა მას მძღავრმან<sup>1</sup> მან: „ვიცი, რამეთუ სიკუდილი განსუენებად შეგირაცხიეს თქუენ და მას ეძიებთ. არამედ არა გექმნას, ვითარ თქუენ გნებავს, ვიდრემდე<sup>2</sup> განვკაფნე ჴორცნი თქუენნი სატანჯველთა თითოსახითა და მერმე მახვლითა დაგჭრნე, რაჲთა თქუენ მიერ შემინდენ ყოველნი ქრისტეანნი.“ მიუგო წმიდამან აკეფსიმა და ჰრქუა მას: „არცა სატანჯველთა შენთაგან გუეშინის, არცა მახვლისა შენისაგან ვძრნით, რამეთუ ღმერთი ჩუენი, რომელმან განგუაძლიერნა პირველ ამისა მონევენულთა მათ სატანჯველთა მოთმინებად, ანცა შეგუენიოს შენ მიერ მონევენულთაცა თავს-დებად. გამოცადე უკუე სიბერე<sup>3</sup> ჩუენი ღმრთისა მიერ განძლიერებული და იძლიოს უბადრუკება შენი მოთმინებითა ჩუენითა<sup>4</sup> და სირცხვლეულ იქმნე შენ უხილავითა მით [226v] ძალითა, მოვლინებულითა ჩუენ ზედა ღმრთისა მიერ ჩუენისა, და ემხილოს<sup>5</sup> გონებაცთომილებასა შენსა ჭეშმარიტითა მით სარწმუნოებითა ჩუენითა.“

28. მაშინ უშჯულოჲ<sup>6</sup> იგი აღივსო<sup>7</sup> გულისწყრომითა და ბრძანა მოღებაჲ ათოთხმეტი<sup>8</sup> შოლტი ზროხისა ტყავისაჲ უქმრისა ახლისაჲ, და ჰრქუა წმიდათა მათ: „ვფუცავ დიდსა ღმერთსა მზესა და ბედსა საბურ, მეფისა მეფეთაჲსა, ვითარმედ უკუეთუ<sup>9</sup> არა ჰქმნათ<sup>10</sup> ბრძანებაჲ მისი, ამით ზროხისა ტყავებითა დაიბძარნენ<sup>11</sup> ჴორცნი თქუენნი და სისხლითა თქუენითა შეიბლალნენ<sup>12</sup> მჴცენი თქუენნი და არა ვჰრიდო სიბერესა თქუენსა და უკუეთუ გუემითა მით ადრე მოჰკუდდეთ, მკუდარნიცა გუამნი თქუენნი ბოროტად იგუემნენ.“<sup>13</sup> მიუგო წმიდამან აკეფსიმა და ჰრქუა მას: „ვინაჲთგან არაარსსა<sup>14</sup>

---

<sup>1</sup> მძღავრმან B\*|მძღავრ B#. 2. ვიდრემდე B\*|მდე B#. 3. სიბერე B. 4. და იძლიოს ... მოთმინებითა ჩუენითა – B#. 5. იმხილოს B. 6. ურჩულოჲ A. 7. აღივსო A\*|ავსო A#. 8. ათოთხმეტი A#. 9. უკუეთუ – A#. 10. ჰქმნად B. 11. დაიბძარნე B#. 12. შეიბლალნენ|შეიღებნენ B. 13. იგუემნენვე B. 14. არაარსსა|არარასა B.

მას ღმერთსა ჰფუცე და ბედი უძღური მოკუდავისა მეფისაჲ აჰსენე, მეშინის, თუ არა აღასრულო ფიცი შენი. ან გასმიეს, ვითარმედ ჩუენ შეურყეველ ვართ ერთისა მის ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაგან და ჯორცნი ჩუენნი მოგვცემიან შენდა, ხოლო სულნი ჩუენნი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან. ან, რაჲცა გნებავს, იქმოდე, ჩუენ მზა ვართ.“

29. მაშინ უშჯულომან<sup>1</sup> მან რისხვით<sup>2</sup> ჴმა-ყო: „განაშიშულეთ ეგე და განუპყრენით მჴარნი ძლიერად!“ და განართხეს იგი ოცდაათმან კაცმან: ათხუთმეტმან ერთსა მჴარსა და ათხუთმეტმან – ერთსა, ზემდგომარც,<sup>3</sup> [227r] და წარმოუდგეს ორნი მტარვალნი წინაჲთ და ორნი – ზურგით და სცემდეს უწყალოდ, ვიდრემდის ჴორცნი მისნი დაიბძარნეს და სისხლითურთ ქუეყანად დაცუოდეს. და სხუანი ეტყოდეს: „ქმენ ნებაჲ მეფისაჲ და ცხოვნდი.“<sup>4</sup> ხოლო ნეტარი იგი, ვიდრემდის შემძლებელ იყო ზრახვად,<sup>5</sup> იტყოდა: „მე ნებასა უღმრთოსა მეფისასა შეურაცხ-ვჴყოფ<sup>6</sup> და ნებასა ღმრთისა ჩემისასა აღვასრულებ.“ და ვინაჲთგან ვერღარა ეძლო სიტყუად, თუალითა ზეცად ხედვიდა და ხადოდა უფალსა და აჩუენებდა მიუდრეკელსა მას აღსარებასა<sup>7</sup> მისსა და ესრეთ ტანჯვასა მას შინა მოითმინა,<sup>8</sup> ვიდრემდის სანატრელად მისცა ღმერთსა წმიდაჲ იგი სული მისი.

30. ხოლო ვინაჲთგან მოკუდა, იცვალნეს მტარვალნი იგი და სხუანი წარმოდგეს და სცემდეს გუამსა მას მკუდარსა, ვიდრემდის ყოვლითურთ დაიჭრა და<sup>9</sup> დაიბძარა. მერმე დააკუეთეს იგი თავსა ზედა და შემუსრეს ქედი მისი. და წარითრიეს<sup>10</sup> და დააგდეს უბანთა ზედა და მცველნი განანესნეს, რაჲთა არავის შეუნღონ დამარხვად.

ხოლო შემდგომად სამისა დღისა მოიპარეს მორწმუნეთა წმიდაჲ იგი გუამი მისი მიზეზითა ასულისა სომეხთა<sup>11</sup> მეფისა-

---

<sup>1</sup> ურჩულომან A. 2. რისხვით B\*]განრისხვით B#. 3. ზემდგომარეც A, ზემდგომარე B. 4. ცხოვნდი B\*]ცხოვნდი A, ცხოვნდედე B#. 5. ზრახვად]ზრახვადიედ B. 6. -ვჴყოფ B. 7. აღსარებასა B. 8. მოითმინა + და B#. 9. და – B. 10. წარითრეს B#. 11. სომეხეთა A.

ათა, რომელი მოვიდა მაშინ დასამტკიცებლად მშკდობისა.

31. ესრეთ აღესრულა წმიდაჲ იგი ეპისკოპოსი<sup>1</sup> აკეფსიმა თთუესა<sup>2</sup> ოკდომბერსა<sup>3</sup> სამსა. და შემდგომად აღსრულებისა მისისა შეიყვანეს წმიდაჲ იოსებ, და ჰრქუა მას უღმრთომან მან მოგუთა მთავარმან: „იხილეთ, უგუ[227v]წური იგი მოყუასი შენი ვითართა ჭირითა მოკუდა, რამეთუ არა ინება აღსრულებად ბრძანებისა<sup>4</sup> მეფისასა? ან უკუე, შენ, იოსებ, ისმინე განზრახვაჲ ჩემი და აღასრულე ბრძანებაჲ მეფისაჲ და თაყუანის-ეც<sup>5</sup> მზესა, რაჲთა ცხოვნდეს<sup>6</sup> სული შენი და განერე წინამდებარისა მისგან მწარისა<sup>7</sup> სიკუდილისა.“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა მას: „მე მზესა არა თაყუანის-ვსცემ,<sup>8</sup> რამეთუ არა ღირს-არს და ბრძანებასა მეფისასა არა აღვასრულებ, რამეთუ უჯერო არს იგი და არცა ღმერთსა<sup>9</sup> ჩემსა დაუტეობ<sup>10</sup> და ვჰმონებ ცუდთა მათ ღმერთთა თქუენთა და არარათა. ან უკუე, რაჲცა გნებავს, ქმენ ადრე.“

მაშინ ბილწი იგი განრისხნა და ბრძანა განრთხმამ<sup>11</sup> მისი. და განართხეს იგი ოცდაათმან კაცმან და მტარვალნი წარმოუდგეს და ჰგუემდეს ზროხის ტყავებითა მით, ვიდრემდე ყოველი გუამი მისი იქმნა, ვითარცა ერთი წყლული. და ქადაგი ჳმობდა: „ქმენ ბრძანებაჲ<sup>12</sup> მეფისაჲ და სცხოვნდე.“<sup>13</sup>

32. ხოლო წმიდაჲ იგი იტყოდა: „ერთ არს ღმერთი სამეზბით, დიდებული და დამბადებელი ყოველთაჲ და სხუაჲ ღმერთი არა<sup>14</sup> არს<sup>15</sup> მისა<sup>16</sup> გარეშე და ჩუენ სარწმუნოებასა მისსა ზედა<sup>17</sup> მტკიცე ვართ.“ და გუემდეს რაჲ ფიცხლად და უწყალოდ, და ვერღარა ეძლო<sup>18</sup> სიტყუად და ჰგონებდეს<sup>19</sup> უკუე, ვითარმედ მოკუდა. დასცხრეს იგი ცემისაგან და დააგდეს,<sup>20</sup> ვითარცა მკუდარი, და წარითრიეს გარეშე და დაუტევეს. და

---

<sup>1</sup> ეპისკოპოსი A. 2. თუესა A, თუჴსა B. 3. ოკდომბერსა B. 4. ბრძანებასა A, ბრძნებასსა B. 5. თაყუანის- A. 6. ცხოვნდეს A. 7. მწარისა – A#. 8. თაყუანის- A. 9. ღმერთსა – B#. 10. დაუტეეობ B. 11. განრთხმა B#. 12. ბრძანებაჲ]ნება B. 13. სცხოვნდე A. 14. არა – B#. 15. არს bis B. 16. მისსა B. 17. ~ ზედა მისსა B. 18. ეძლე B#. 19. გონებდეს A#. 20. დააგდეს B\*]დააგეს B#.

შემდგომად მცირედისა ჟამისა ცნეს, ვითარმედ ცოცხალ არს და ბრძანა მოგუთმთავარმან დამარხვად მისი.

33. [228r] და წარმოუდგინეს მძლავრსა მას წმიდაჲ აითალა და ჰრქუა მას: „ან უკუე, შენ ისმინე ჩემი და ნუ ემსგავსები ბოროტთა მათ მოყუასთა შენთა, რომელნი ბოროტადცა წარწყმდეს, არამედ აღასრულე ბრძანებაჲ მეფისაჲ და თაყუანის-ეც<sup>1</sup> დიდსა მას ღმერთსა მზესა და სცხოვნდე,<sup>2</sup> და მოგეცეს მეფისაგან დიდებაჲ და სიმდიდრე.“<sup>3</sup> მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „მიკვრს, უბადრუკო, უგუნურებაჲ შენი, რამეთუ ჭეშმარიტად ბრმა არიან თუალნი გონებისა შენისანი და ცნობაჲ შენი მსგავს არს პირუტყუთასა<sup>4</sup> და არა გულისწმა-ჰყოფ, რამეთუ იგინი უხუცეს ჩემსა იყვნეს ჰასაკითა და ესევითარი მოთმინებაჲ აჩუენეს და მიემთხვნეს<sup>5</sup> დიდებასა საუკუნესა სიკუდილითა მით, რომელი მოაწიე შენ მათ ზედა, არამცა მე უმეტესად<sup>6</sup> ვაჩუენეა მოთმინებაჲ, რომელი-ესე უჭაბუკეს ვარ მათსა, რაჲთა ღირს ვიქმნე მათ თანა გვრგვოსან-ყოფად? ამისთვის უწყოდე, ვითარმედ მეცა შეურყეველ ვარ ჭეშმარიტებისაგან და არა ვიქმ ნებასა არანმიდისა მეფისასა, რამეთუ მტერი არს ღმრთისაჲ და უცხოჲ საუკუნოჲსა მისგან ცხოვრებისა და დაკლებულ ნათლისა მისგან სულიერისა.“

34. ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე უშჯულოსა<sup>7</sup> მას, აღივსო გულისწყრომითა და იცვალა ფერი პირისა მისისაჲ და ბრძანა განშიშულებაჲ მისი და განრთხმაჲ. და განართხეს იგი ორმეოცმან კაცმან და სხუანი ჰგუემდეს ზურგსა მისსა და მკერდსა. ხოლო ნეტარი იგი ეტყოდა უშჯულოსა<sup>8</sup> მას მოგუთმთავარსა: „ჴ, ბილწო [228v] და არანმიდაო ძაღლო, ვითარცა შენ უძღური<sup>9</sup> ხარ და დაწსნილი, ეგრეთვე სატანჯველნი შენნი და მტარვალნი უძღურნი არიან და დაწსნილნი. ან, უკუეთუ გყვანან სადა კაცნი ძლიერნი და სატანჯველნი მწარენი, მო-

<sup>1</sup> თაყუანის- A. 2. სცხოვნდე A. 3. სიმდიდრე B. 4. პირუტყუთა A. 5. მიემთხვნეს B. 6. უმეტეს B#. 7. ურჩულოსა A. 8. ურჩულოსა A. 9. უძღურ A#.

იყვანენ ჩემ ზედა, რაათა მოთმინებითა ჩემითა მოვიპოვო<sup>1</sup> სული ჩემი ცხორებად საუკუნოდ.“

35. ხოლო მოგუთა<sup>2</sup> მთავარი იგი განკვრევებულ იყო და ჰრქუა მახლობელად მისსა<sup>3</sup> მსხდომარეთა: „რაჲ არს ესე,<sup>4</sup> რომელ<sup>5</sup> ქრისტეანეთა ესრე<sup>6</sup> სურის სიკუდილისათჳს, ვითარცა ვის მშიერსა სწადინ ჭამად პურისა და სუმად წყლისა?“ მიუგეს მათ და ჰრქუეს მას: „წერილ არს წერილთა შინა მათთა, ვითარმედ სხუად სოფელი არს უხილავი და ცხორებად საუკუნოდ, რომელი მიელის მონაფეთა მათ მართლმადიდებლობისათა.“

მაშინ გუემისა მისგან ყოველნი ასონი მისნი დაიბძარნეს და ნაწევარნი დაიწსნნეს ზიდვითა მით მის ერისაათა და უწყალოთა მით ცემითა. და რაჟამს სრულიად მოსიკუდიდ<sup>7</sup> იყო, ბრძანა მძლავრმან მან დაცხრომაჲ მტანჯველთაჲ. და მეყსეულად დავარდა მონამც<sup>8</sup> იგი ქრისტესი ქუეყანასა ზედა, რამეთუ ვერლარა ეძლო ზედგომად. ხოლო უმჯულომან<sup>9</sup> მან მოგუთა<sup>10</sup> მთავარმან უბრძანა ორთა კაცთა დამჭირვაჲ მისი და დადგინებაჲ წინაშე მისსა.

36. და ჰრქუა მას: „ან უკუე, ქმენ ბრძანებაჲ მეფისაჲ და უბრძანო მკურნალთა, რაათა გიღუანონ და ადრე განიკურნო.“ მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „ჟ, ძაღლო ბილ- [229r]წო და არანმიდაო, არათუმცა მკურნალთა შენთა მოღუანებაჲ თავს-ვიდევ, არამედ სიტყვთმცა სთქუ და მეყსეულად განვიკურნებოდე, ვერმცა დამარწმუნე განშორებად სიყუარულისაგან ღმრთისა ჩემისა, რომელმან ქმნა<sup>11</sup> ცანი და ქუეყანაჲ და თაყუანის-ცემად<sup>12</sup> დაბადებულსა მისსა მზესა, რომელი ქმნულ<sup>13</sup> არს სამსახურებელად კაცთათჳს.“ ჰრქუა მას უმჯულომან<sup>14</sup> მან: „ვინათგან ესევითარსა ჰზრახავ, მე გყო შენ

---

<sup>1</sup> მოვიპო A, მოვიპოო B. 2. მოგუთ B#. 3. მისა A. 4. ესე – B. 5. რომელ – B#. 6. ესრეთ B. 7. მოსიკუდილ A. 8. მონამეც A, მონამე B. 9. ურჩულომან A. 10. მოგუთ B#. 11. ქმნა B#. 12. თავყუანის- A. 13. ქმნილ AB. 14. ურჩულომან A.

თითის საჩუენებელ კაცთა, რაჲთა არღარავინ იკადროს ნოდებად ქრისტიანედ.“

37. მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას: „აჰა, ესერა, უნებლიეთ ჰსწინაჲსწარმეტყუელე? რამეთუ თითის საჩუენებელ ვიქმნენით კაცთა, რაჲთა ვაქუნდეთ ჩუენ სახედ კეთილისა ყოველთა ქრისტიანეთა, ჩუენ რაჲ გუხედვიდენ, ვითარმედ მოთმინებითა ვცხოვნიდით,<sup>1</sup> მათცა უშიშად დათრგუნონ საცთური ამპარტავანებისა თქუენისაჲ, რამეთუ, ესერა, სახელსა და სახესა კეთილსა დაუტეობთ<sup>2</sup> მომავალსა ნათესავსა მოლუანებისა ამის და მოთმინებისა ჩუენისასა და უხრწნელთა მათ გვრგვნთა, რომელნი მოცემად არიან ჩუენდა მოსლვასა მას<sup>3</sup> უფლისასა, რომელი არს მეუფე<sup>4</sup> ჩუენი საუკუნოჲ.“

ესე რაჲ<sup>5</sup> თქუა წმიდამან აითალა, მოუწოდა უშჯულომან მან ადერ სხუასა მოგუთა მთავარსა, რომელი-იგი იყო მთავარი ქუეყანისა მის ედევისაჲ და ეწოდებოდა ადესქარ და ჰრქუა მას: „უკუეთუ ხვალემდე ცოცხალ იყვნენ [229v] მაცთურნი ესე, წარიყვანენ ქალაქსა შენსა და შეკრიბენ მუნ, რომელნიცა არიან ქრისტიანენი და დააკრიბონ ქვაჲ<sup>6</sup> თვსითა ჴელითა, რამეთუ ამის ჯერისათჳს არა მივეც განჩინებაჲ მოკლვისა მათისაჲ აქა.“

38. მაშინ მოიყვანნა ადესქარ ორნი საჯედარნი და დასხნეს წმიდანი იგი მონამენი იოსებ და აითალა მათ ზედა. და შეკრნეს<sup>7</sup> საბლითა, რაჲთა არა დავარდენ, რამეთუ ასონი მათნი დაჴსნილ იყვნეს და ძუალნი მათნი შემუსრვილ. და მირაჲ-ინინიან<sup>8</sup> სადგურად, ესრეთ<sup>9</sup> შთამოყარნიან<sup>10</sup> იგინი<sup>11</sup> საჯედართაგან მსახურთა მათ ეშმაკისათა სიძულილისა<sup>12</sup> მისთჳს, რომელი აქუნდა მათდა მიმართ, ვითარცა ვინ დაყარის ტვრთი შეშისაჲ. და მიინინეს რაჲ ქალაქსა არბილს, რომელი-იგი იყო ქუეყანისა ედევისაჲ, შეაყენნეს იგინი დილეგსა ბნელსა

---

<sup>1</sup> ვცხოვნიდით AB\*, ვცხოვნიდით B#. 2. დაუტევობთ B. 3. მას – A#. 4. მეუფეჲ A, მფე B#, მოფე B\*. 5. რა B. 6. ქვაჲ – B#. 7. შეკრნეს] დააკრნეს B. 8. -ინინიან B#]-ინინიან B\*. 9. ესრეთ B\*]ესეთ B#. 10. შთამოყარნიან]ჩამოყარნიან A. 11. იგინი]იგი B. 12. სიძულილსა A.

სავსესა მწვრთთა და დიოდა წყლულებათა მათთაგან სისხლი და წუთხი ფრიადი. და დაადგინა მთავარმან მცველნი, რათა არავის მიუშუან ქრისტეანესა შესლვად მათდა. და იყვნეს მდებარე ესრეთ უღუნელნი და ჭირვეულნი ჭირითა დიდითა უმეტეს<sup>1</sup> ბუნებისა.

39. ხოლო იყო ქალაქსა მას შინა დედაკაცი ვინმე ქრისტეანც<sup>2</sup> მდიდარი ფრიად, რომლისა საწსენებელი კურთხეულ იყავნ, სახელით ისდანდულ, ვითარცა სხუასაცა წიგნსა შინა მონამეთასა გვსენებია, რამეთუ პატივ-სცემდა იგი ყოველთა ქრისტეანეთა და ყოველთა წმიდათა, რომელნი ქრისტესთვის იტანჯებოდეს, იღუნადა და ჰმსახურებდა. [230r] ამას ღმრთისმსახურსა დედაკაცსა ესმა რაჲ წმიდათა მათთვის იოსებ და აითალაჲს, ვითარმედ დიდსა ჭირსა არიან დილეგსა შინა, წარავლინა და მოუწოდა უხუცესსა<sup>3</sup> მცველთასა და მისცა მას ოქროჲ და ვეცხლი ფრიადი, რათა შეუწდოს შესლვად მათდა. ხოლო მან შიშით უქადა აღსრულებად თხოვისა<sup>4</sup> მისისა.

და ვითარცა შემწუხრდა, წარიყვანნა დედაკაციმან მან კურთხეულმან მონანი თვისნი და წარვიდა საპყრობილედ,<sup>5</sup> შევიდა წმიდათა მათ წინაშე, ამბორს-უყოფდა<sup>6</sup> ფერწთა მათთა და წყლულებათა მათთა.<sup>7</sup> და უბრძანა მონათა თვისთა ტვრთვაჲ მათი და წარყვანებაჲ სახლად თვისა. და წარიყვანნა რაჲ, მოსწრაფებით იღუანნა იგინი, დაბანნა წყლულებანი მათნი და შეხვნა ჴელითა თვისითა<sup>8</sup> და წალასა მას წყლულებისა მათისასა იცხებდა თავსა თვისსა<sup>9</sup> და გუამსა და ამბორს-უყოფდა დაწსნილთა მათ ჴელთა და შემუსრვილთა მკლავთა და სცხებდა მათ ნელსაცხებელსა, და ტიროდა ღამე ყოველ, რამეთუ იყვნეს წმიდანი იგი, ვითარცა მკუდარნი.

40. ძლით უკუე უძლო წმიდამან იოსებ და ჰრქუა მას: „რახსათვს ესრეთ სტირ მწარედ და არა იქმ საქმესა სრულისა

---

<sup>1</sup> უმეტეს]უაღრეს B. 2. ქრისტეანე B. 3. უხუცესა B#. 4. თხოვისა A\*]თხოისა A#. 5. საპყრობილედ B#]საპყრობილოდ B\*. 6. ამბოს-B#. 7. და წყლულებათა მათთა – B. 8. თვისითა A\*]თვისთა A#. 9. თვისა B#.



ქრისტეანისასა, რამეთუ ესრეთ სტირ ჩუენ ზედა?“ მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა მათ: „უკუეთუმცა გიხილენ თქუენ აღსრულებულნი, დიდადმცა ვიხარებდი, უფალნო ჩემნო. არამედ [230v] ამისთვის ვტირ, რამეთუ გხედავ თქუენ ესევეითართა ჭირთა შინა.“

41. ჰრქუა მას წმიდამან იოსებ: „ჭირნი ესე სავსე არიან სიხარულითა და განსუენებითა, რამეთუ იტყვს უფალი ჩუენი: რამეთუ იწრო და საჭირო არს გზაჲ იგი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მცირედნი ჰპოებენ მას.<sup>1\*</sup> და კუალად თქუა: რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს.<sup>2\*\*</sup> და ყოველთა წმიდათა ესრეთ ჭირითა და განსაცდელითა წარვლეს ესე ცხოვრებაჲ. და შენ უკუე, მორწმუნეო და კურთხეულო დედაკაცო, ოდეს იხილნე ქრისტეანენი ჭირსა შინა მოთმინენი, იხარებდი და ჰმადლობდი ღმერთსა, რამეთუ რაოდენცა იჭირვოდინ, ეგოდენცა განმრავლდების<sup>4</sup> სასყიდელი მათი და გვრგვინი მათი განბრწყინდების.“

42. ხოლო ჟამსა განთიადისასა კუალად იტვრთენს და წარიყვანენს იგინი საპყრობილედ და დაყვეს მათ საპყრობილესა მას შინა ექუსი თთუჲ,<sup>5</sup> შეყენებულთა ბნელსა<sup>6</sup> შინა, და ჭირითა დიდითა, რომელსა ვერ შემძლებელ არს კაცი მითხრობად.

ხოლო გარდაჲდა რაჲ ექუსი თთუჲ,<sup>7</sup> გარდააგდო მეფემან მოგუთა მთავარი იგი, რომელმან მიითუალნა ნეტარნი ესე მოწამენი ჴელმწიფებისა მისგან და სხუაჲ მოავლინა, სახელით ზერუთ, ფრიად უღმრთოჲ და უძკრესი პირველთასა.<sup>8</sup> და ბრძანებაჲ მისცა მას ბოროტი ქრისტეანეთათჲს უშჯულომან<sup>9</sup> მან მეფემან, რაჲთა თჳსითა ჴელითა<sup>10</sup> დაჰკრებდენ ქრისტეანენი ქვასა წინამძღუართა თჳსთა.

43. და იქმნა ჭირი და მწუხარებაჲ დიდი ქრისტეანეთა

---

<sup>1</sup> \*მთ. 7:14; 2. ცხოვნდეს A; \*\*მთ. 10,22; მრკ. 13:13. 3. განმრავლების A#, განმერავლდების B#. 5. თთუეჲ A, თუე B. 6. ბნეთსა B#] + მას B#. 7. თუეჲ A, თუჲ B. 8. პირველთასა B. 9. ურჩულომან A. 10. ჴლითა B.

ზედა, და ყოველნი ივლტოდეს მათათა და უდაბ[231r]ნოთა და იმაღვოდეს, რაჟთა არა შეემთხვოს საქმე<sup>1</sup> ესე ბოროტი – და-თხევამ სისხლისა უბრალოჲსაჲ.

ხოლო მოვიდა რაჲ მოგუთა მთავარი იგი ქალაქსა მას და შევიდა თაყუანის-ცემად<sup>2</sup> ტაძარსა მას ცეცხლისასა და უთხრეს მას მსახურთა მათ ცეცხლისათა, ვითარმედ: „არიან აქა ორნი ქრისტიანენი შეყენებულნი საპყრობილესა შინა, რომელთა აქუს პყრობილობასა შინა სამი წელი და ნახევარი, რომელნი-იგი ფრიად ტანჯნა პირველად ადრახუსეთ და მერმე ადესქარ და ვერ დაარწმუნეს<sup>3</sup> ქმნად ბრძანებასა მეფისასა.“ ესე რაჲ ესმა უკეთურსა მას, მეყსეულად ბრძანა მოყვანებაჲ მათი წინაშე მისსა. და ვითარცა წარმოადგინეს,<sup>4</sup> იწყო რისხვით შინებად მათდა და ეტყოდა: „ჴ, ერი ეგე ქრისტიანეთაჲ, კადნიერი და ქედფიცხელი! ვითარ არა სძრწით დიდისაგან და საშინელისა მეფისა საბურის ბრძანებისა, რომელმან მოაოჯრნა სამეფო<sup>5</sup> დიდნი და დაიპყრნა ქალაქნი ძლიერნი და დაიმორჩილნა ერნი ურიცხუნი? და თქუენ სხდეთ<sup>6</sup> ქუეყანასა შინა მისსა, ქალაქთა მისთა, და ბრძანებათა მისთა შეურაცხ-ჰყოფთ.“

44. მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „უკუეთუ მტერნი ვართ მეფისანი, ვითარ შენ იტყვ, რად არა განენყო ბრძოლად ჩუენდა მვედრებითა აღჭურვილითა,<sup>7</sup> ვითარცა ქმნა სხუათა მათ მეფეთა და ერთა მიმართ, რომელთა ჰბრძოდა? არამედ შენ მოგავლინა, უძღური და უცხოჲ სიმწნისაგან, რომლისა-ეგე გული ძრწის, ვითარცა [231v] ფურცელი ქარისაგან მიმოტაცებული, და არცასადა გიხილავს ბრძოლად, არამედ ყოველი საქმე<sup>8</sup> შენი და სირცხვლი თავისა შენისაჲ დედათა თანა ყოფილ არს მარადის. ან უკუე, გრცხუენოდენ და პირი დაიყავ, არანმიდაო ძაღლო, რამეთუ მოხუედ ცთუ-

---

<sup>1</sup> საქმეც A, საქმე B. 2. თაყუანის- A. 3. დაარწმუნეს B#. 4. წარმოადგინეს B#. 5. სამეფონი A#. 6. სხედთ AB. 7. აღჭურველითა B. 8. საქმეც A, საქმე B.

ნებად მსგავსთა შენთა უბადრუკთა, ხოლო ჩუენ ვერ მძლე<sup>1</sup> გუექმნები, რომელნი-ესე მტკიცე ვართ ჭეშმარიტსა მას სარწმუნოებასა ზედა ღმრთისა ჩუენისასა, და მისა მიმართ გუაქუს სასოება და სიყუარულისა მისისათჳს ყოველსავე მოვითმენთ, და სიტყუად საცთურისა შენისად გულთა ჩუენთა არა შევალს.“

45. ჰრქუა მას მოგუთა მთავარმან: „ამისთჳს ესევეითართა სიტყუათა გინებისათა მეტყჳ, ჰ, მაცთურო, რაფთამცა მყის თავი წარგკუეთე და განერი ჭირისაგან და სატანჯველთა მრავალთა? არამედ არა გექმნების ეგე, ვიდრემდის მრავლითა გუემითა განილიო, ვითარცა სწადის გულსა ჩემსა.“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა: „უნყი, რამეთუ ვითარცა ასპიტი ყრუდ სავსე არს სიმწართა გესლისაფთა,\* ეგრეთვე გული შენი სავსე არს რისხვითა და ზაკუვითა და გონება შენი სურვიელ არს ჭამად ჳორცსა<sup>2</sup> კაცთასა, ვითარცა ვეშაპი. ან უკუე, ნუ ჰყოვნი, არამედ გამოაჩინე ზაკუვად შენი, უბადრუკო, და დააცხრვე გულისწყრომა<sup>3</sup> შენი დათხევითა უბრალოთა<sup>4</sup> სისხლთა ჩუენთაფთა, ჰ, სისხლისმჭამელო, [232r] და წარგუგზავნენ ჩუენ სიმდიდრითა დიდითა<sup>5</sup> ზეცისა სასუფეველსა, სადაიგი სურვიელ-ვართ<sup>6</sup> მიწევენად.“

46. მაშინ განრისხნა უშჯულო<sup>7</sup> იგი და ბრძანა დაკიდება მისი თავდაქცევით და ცემაჲ პირველთა მათ წყლულებათა ზედა ძარღუებითა ზროხისაფთა. და ესოდენ სცეს მას, ვიდრემდე ყოვლისავე<sup>8</sup> გუამისა მისისაგან წყარონი სისხლთანი დიოდეს. და მუნ მდგომარჳ<sup>9</sup> იგი ერი<sup>10</sup> ტიროდა წყალობითა პატიოსანისა მის მოხუცებულისაფთა. ხოლო მოგუნი იგი ეტყოდეს ნეტარსა მას საიდუმლოდ: „უკუეთუ ერსა წინაშე სირცხვლ-გიჩს,<sup>11</sup> შეგიყვანოთ ფარულად ტაძარსა ცეცხლისასა და თაყუანის-ეც,<sup>12</sup> რაფთა განერე ჭირისა ამისგან.“

---

<sup>1</sup> მძლე B\*]შემძლებელ B#. \*ფს. 57:5; 2. ჳორცთა B#. 3. გულისწრომა B#. 4. უბარაროლოთა B\*]უბარაროლოთა B#. 5. დიდითა – B#. 6. სურვიერლ- B#. 7. ურჩულო A. 8. ყოვლისა B. 9. მდგომარჳ A, მდგომარე B. 10. ~ ერი იგი B. 11. -გიჩნს B. 12. თაყუანის- A.

47. ხოლო წმიდამან იოსებ ჳმა-ყო: „განმეშორენით მე, მოქმედნო უშჯულოებისანო,<sup>1</sup> და წარვედით<sup>2</sup> ცეცხლად სა-უკუნოდ, რომელი განუმზადეთ თავთა თქუენთა!“

ხოლო ეკიდა წმიდაჲ იგი თავდაქცევით და იგუემებოდა სამსა ოდენ ჟამსა, და ახოვნად მოითმინა სასოებისა მისთვის მერმისა. ამისა შემდგომად ძლით ბრძანა უშჯულომან<sup>3</sup> მან გარდამოჳსნაჲ მისი და ჰრქუა: „და ჯერეთცა არა მოდრეკილ არსა<sup>4</sup> გონებაჲ შენი, მრავლისმეტყუელო, აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა და განრომად ტანჯვათაგან,<sup>5</sup> რაჲთა სცხოვნდე?“<sup>6</sup> მიუგო წმიდამან მონამემან და ჰრქუა: „ესევეითარითა ცხოვრებითა, რომელსა შენ იტყუ, ნუმცა სადა ცხოვრებულ ვარ.“ მოგუთა მთავარმან ჰრქუა მას: „ვინაჲთგან [232v] ცხოვრებაჲ, რომელსა მე გეტყუ, არა სათნო-გიჩს,<sup>7</sup> უკუეთუ სიკუდილი მოგცე, წადიერად მიითუალოა?“ მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას: „სიკუდილი ეგე, რომელსა შენ მიქადებ, ცხოვრებაჲ არს<sup>8</sup> ჩემი საუკუნოდ, ხოლო შენმიერი ცხოვრებაჲ სიკუდილი არს.“

48. ჰრქუა მას მოგუთა მთავარმან: „აჰა, ესერა, ჳორცნი შენნი განლეულ არიან სატანჯველთაგან და სული შენი კნინ ოდენ არს შენ თანა, რომელი-იგი მეორესა ტანჯვასა აღმოვჰჳადო შენგან, და იქმნას სანადელი შენი.“ მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას: „დაიყავნ პირი შენი, მეტყუელო სიცრუვისაო, რამეთუ შენ სულსა ჩემსა ზედა ჳელმნიფებაჲ არცა ერთი გაქუს, ვითარცა წერილ არს წერილთა შინა ჩუენთა, ვითარმედ: ნუ გეშინის მათგან, რომელთა მოსწყვნენ ჳორცნი<sup>9</sup> თქუენნი, ხოლო სულისა არა ჳელ-ენიფების მოწყუედად. არამედ მისგან გეშინოდენ, რომელი შემძლებელ არს სულისა<sup>10</sup> და ჳორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა.<sup>11\*</sup> ან უკუე, შენ ჳორცნი ჩემნი სტანჯნე ჳელმნიფებითა მაგით შენითა განქარვებადითა, ხო-

---

<sup>1</sup> ურჩულოებისანო A. 2. წარედით A. 3. ურჩულომან A. 4. არს A. 5. ტანჯვათაგან|სატანჯველთაგან B. 6. ჰსცხოვნდე A\*, ჰცხოვნდე A#, სცხოვდე B. 7. -გიჩნს B. 8. არს – B. 9. ჳორცნი|ჳორნი B. 10. სულსა B. 11. \*მთ. 10:28.

ლო სულისა ჩემისაჲ არა ჴელ-გენიფების დაყენებაჲ სასოები-საგან მისისა<sup>1</sup> და ცხორებისა მისგან საუკუნოჲსა.“

49. ხოლო უშჯულოჲ<sup>2</sup> იგი კიცხევით ეტყოდა მას: „ვინა-თგან<sup>3</sup> ეგე ეგრეთ არს, ვითარ შენ იტყვ, მაღლიერ იყავ ჩემ-და, რომელ მიზეზ გექმენ მათ კეთილთა, რომელთა იტყვ.“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა: „უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან გვბრძანა, რაჲთა ულოცვიდეთ მტერთა ჩუენტა და [233r] გკყუარდენ მოძულენი ჩუენნი და კეთილსა უყოფდეთ ბოროტისმყოფელთა<sup>4</sup> ჩუენტა.“<sup>5\*\*</sup> ხოლო უშჯულომან<sup>6</sup> მან მო-გუთა მთავარმან განიცინნა და ჰრქუა მას: „ან უკუე, მრავა-ლი კეთილი თანა-გაც ჩემდა მას საუკუნესა ამისთვის, რომელ ან გტანჯავ შენ.“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა მას: „არა ეგრეთ არს, ვითარ შენ ჰგონებ,<sup>7</sup> უშჯულოო,<sup>8</sup> რამეთუ მას სა-უკუნესა ვერვის ჴელ-ენიფების ყოფად წყალობისა მეორისა თანა, არამედ ამას სოფელსა რაოდენ<sup>9</sup> ძალ-მიც, ვილოცავ, რაჲთა მოიქცე შენ და ყოველნი საცთურისა მისგან ეშმაკისა და იცნათ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი,<sup>10</sup> დამბადებელი ყო-ველთაჲ. უკუეთუ ესე ჰქმნა და შეუვრდე მას, შეგინცალოს სახიერებისა მისისათვის და მოგცეს მოტევებაჲ ცოდვათაჲ.“

50. ჰრქუა მას მძლავრმან მან: „დაუტევენ ჟამისად ცუდნი ეგე სიტყუანი და მას საუკუნესა, რომელსა მოელი, მუნ იტყოდე მაგათ საზრახავთა. ხოლო ან სწრაფით ქმენ ნე-ბაჲ მეფისაჲ და გეყოს შენ კეთილი. და უკუეთუ არა ჰყო ესე, დიდითა ჭირითა წარგზავნო შენ ამიერ სოფლით და ესო-დენ<sup>11</sup> თითოფერითა სატანჯველითა განგკაფო, რაჲთა შენ მი-ერ ყოველნი ქრისტეანენი შეშინდენ.“ მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა: „ჭირთა მათ შინა და ტანჯვათა,<sup>12</sup> რომელნი მოაწი-ნეს პირველ შენსა ყოფილთა მათ მთავართა, და ან კუალად შენ უწყალოდ მტანჯე და ყოველთავე მათ შინა მადლითა

---

<sup>1</sup> მისისა B\*]მისი B#. 2. ურჩულოჲ A. 3. ვინათ B#. 4. ბოროტისა მყოფელთა B. 5. \*\* მთ. 5:44; 6. ურჩულომან A. 7. ჰგონებ]ჰბასრობ A. 8. ურჩულოო A. 9. რაოდენ A. 10. ღმერთი | ღმერთი B#. 11. ესოდენ B#. 12. ტანჯვათა]სატანჯველთა B.

ღმრთისა [233v] ჩემისადათა სრულ ვიპოვე მოთმინებითა. და ან კუალად სხუანიცა, რაოდენნი<sup>1</sup> მოანიხე ჩემ ზედა ტანჯვანი უკეთურებითა შენითა, მაქუს მე ღმერთი, რომელმან მომცეს მე ძალი და მოთმინებაჲ, რაჲთა რომელთაცა ქრისტეანეთა იხილონ მოთმინებაჲ სიბერისა ჩემისაჲ, განძლიერდენ დათრგუნვად ამპარტავანებისა შენისა, ვითარცა მე დავთრგუნე ძალითა ღმრთისა ჩემისა<sup>2</sup> ცხოველისადათა.“ მაშინ ბრძანა ბილწმან მან მთავარმან აღებაჲ ნეტარისაჲ მის და შეგდებაჲ საპყრობილესა. და ეგრეთცა<sup>3</sup> იქმნა.

51. მერმე არანმიდამან ჰრქუა ნეტარსა აითალას: „მი-თხარ<sup>4</sup> შენ, უკუეთუ მასვე მაცილობელსა გულისსიტყუასა ზედა ხარა და არა გნებავს<sup>5</sup> თავუანის-ცემად<sup>6</sup> მზისაჲ და ცხორებაჲ?“<sup>7</sup> მიუგო წმიდამან აითალა და ჰრქუა მას: „ცხოველ არს ქრისტეც<sup>8</sup>,<sup>8</sup> ძე ღმრთისა ცხოველისაჲ, რომელი მრწამს ჭეშმარიტად და ვესავ მას, ვითარმედ უფროეს ყოველთა მე მტკიცე ვარ აღსაარებასა სახელისა მისისასა<sup>9</sup> და სხუაჲ ღმერთი მისა<sup>10</sup> გარეშე არა ვიცი, არცა დაუტევებ<sup>11</sup> დამბადებელსა და თავუანის-ვსცემ<sup>12</sup> დაბადებულსა.“

ესე რაჲ ესმა მძლავრსა<sup>13</sup> მას, ბრძანა მისიცა თავდაქცე-ვით<sup>14</sup> დაკიდებაჲ და გუემაჲ ძლიერად. ხოლო ნეტარი იგი ამას ოდენ იტყოდა: „ქრისტეანეც<sup>15</sup> ვარ და ქრისტესთჳს მოვითმენ ყოველსა.“ უკვრდა<sup>16</sup> მძლავრსა მას და მის თანამეინაჳეთა<sup>17</sup> ახოვანი იგი მოთმინებაჲ მისი.

52. ხოლო იყო მუნ მანიქეველი ვინმე შეკრული. ბრძანა უკუე<sup>18</sup> მოგუთა მთავარმან მან მოყვანებაჲ მისი. და გარდამოჰსნეს წმიდაჲ აითალა და დაადგინეს, რაჲთა ხედვიდეს მან [234r]ნიქეველსა მას, ვითარ უვარ-ჰყოფს შჯულსა<sup>19</sup> თჳსსა.

---

<sup>1</sup> რაოდენნი A. 2. ჩემისა B\*|ჩემი B#. 3. ეგრეთცა A. 4. მარცხენა აშია-ზე: :: აითალა :: A; მარცხენა აშიაზე: მასვე B. 5. გნებავს A. 6. თავ-ყუანის- A. 7. ცხორება|ცეცხლისაჲ B. 8. ქრისტეც A, ქრისტე B. 9. მისისა A. 10. მისსა B. 11. დაუტეობ A. 12. თავყუანის- A. 13. მძლავრა A. 14. თავდამოქცევით B. 15. ქრისტეანეც A, ქრისტეანე B. 16. ოკვრდა A. 17. მეინაჳეთა B#. 18. უკუე B. 19. რჯულსა A.

ხოლო იგი მცირედ წინააღმდეგა და ბრძანა მძლავრმან გუემამ მისი. და ვითარცა მცირედ ოდენ გუემეს, მეყსეულად ჴმა-ყო და თქუა: „წყეულ იყავნ მანინ და შჯული<sup>1</sup> მისი და ყოველი მოძღურებაჲ მისი!“ და ბრძანა მოგუთა მთავარმან მან, რაჲთა მოჰგუარონ ჯინჭველი<sup>2</sup> და მოკლას, რამეთუ მანიქეველნი ჯინჭველსა ღმერთად იტყვან და პატივ-სცემენ, ვითარცა ღმერთსა. მაშინ მოილო<sup>3</sup> კაცმან მან ჯინჭველი იგი და მოკლა.

იხილა რაჲ ესე წმიდამან აითალა, განბრწყინდა პირი მისი და წარმოჴდა, რამეთუ ზე დადგომად<sup>4</sup> ვერ ეძლო, რამეთუ შემეუსრვილ იყვნეს წვენი მისნი და ჴელნი მჴართაჲთგან<sup>5</sup> და ყოველნი ასონი მისნი დაბძარულ. მაშინ ჴმა-ყო და თქუა: „აჴა, მოუძღურდა მანინ და იძლია და მოკლა ღმერთი თჴსი. ხოლო მე ნეტარ ვარ და სამგზისსანატრელ, რამეთუ მძლე ვექემნ მტერთა ჩემთა სახელითა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა ცხოველისაჲთა, რომელ-იგი<sup>6</sup> არს ღმერთი პირველ საუკუნეთაჲ და უკუნისამდე იგი არს.“

53. ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე უშჯულოსა<sup>7</sup> მას, აღივსო გულისწყრომითა და ბრძანა ცემამ მისი არგნითა მროწეული-საჲთა ეკლოვანითა.<sup>8</sup> და ესოდენ სცეს მას, ვიდრედარა უსულ-ლო იქმნა და სისხლისა მისისაგან არღარა საცნაურ იყო ხატი პირისა მისისაჲ. მერმე ბრძანა უღმრთომან მან წართრევაჲ მისი და დაგდებამ გარეშე სამშჯავროსა შიშუელი.

იხილა იგი ერთმან მოგუთაგანმან [234v] ესრეთ შიშუელი და შეენყალა, ვითარცა კაცსა, და მოილო ფიჩჴ<sup>9</sup> თჴსი და დაჰბურა მას. ხოლო სხუათა მათ მოგუთა იხილეს იგი და შესამინეს იგი<sup>10</sup> მოგუთა<sup>11</sup> მთავრისა მიმართ. და მეყსეულად ბრძანა წარმოდგინებაჲ მისი და განრთხმამ და მიამთხვეს<sup>12</sup> ორასი<sup>13</sup> არგანი. ამის ჯერისათჴს, ვჰგონებ, თუ იხილოს მოგუმან მან მცირედ რამე ნაწილი წყალობისაჲ დღესა მას საშ-

---

<sup>1</sup> რჩული A. 2. ჯინჯჭველი A. 3. მიილო B. 4. დაგომად B#. 5. მჴართაჲთგან B#. 6. რომელი A#]რომელი-იგი A\*. 7. ურჩულოსა A. 8. ეკლოვანითა A. 9. ფჴჩჴ A. 10. იხილეს იგი და შესამინეს იგი – B#. 11. მოგუთა – B. 12. მიამთხვე B#. 13. ორსი B#.

ჯელისა.<sup>1</sup> ამისა შემდგომად ბრძანა უშჯულომან<sup>2</sup> წარყვანებაჲ წმიდისა აითალაჲსი საპყრობილედ<sup>3</sup> მოყუსისა მისისა თანა. აღიღეს იგი და წარიღეს და დააგდეს საპყრობილესა.<sup>4</sup>

54. ხოლო მას ჟამსა ესმა მოგუთა მთავარსა მას, ვითარმედ საბურ მარზაპანი, ძვ<sup>5</sup> მოაბორ ნახპეტისაჲ, მოვიდა ქალაქსა მისსა, რომელსა ეწოდებოდა მაკელარია. დასხნა წმიდანი იგი საწედართა ზედა და წარიყვანნა მისა და აუნყა მათთვის. და ბრძანა მარზაპანმან წარდგინებაჲ მათი მის წინაშე. იხილნა რაჲ იგინი მარზაპანმან, ჰრქუა მათ: „გამცნებ თქუენ, ჭამეთ სისხლი და თავყუანის-ეცით<sup>6</sup> მზესა და განგათავისუფლნე თქუენ, რაჲთა არა მოჰკუდეთ, რამეთუ მენყალის სიბერე<sup>7</sup> თქუენი.“ მიუგეს წმიდათა და ჰრქუეს მას ერთითა პირითა: „ეგე საქმე<sup>8</sup> – ჭამაჲ სისხლისაჲ<sup>9</sup> და თავყუანის-ეცმა<sup>10</sup> მზისაჲ შენნი არიან და შენვე იქმოდე,<sup>11</sup> ხოლო ჩუენსა ნუ ჰგონებ, თუმცა მაგათგანი რაჲცა ვქმენით.“ მაშინ ბრძანა ურჩულომან<sup>12</sup> მან განრთხმაჲ მათი და გუემაჲ ძლიერად.

55. [235r] ხოლო ვიეთნიმე მუნ მდგომარეთაგანნი სწყალობდეს და ეტყოდეს საიდუმლოდ: „მოგართუათ<sup>13</sup> ბადაგი ფეროვანი<sup>14</sup> და ვთქუათ, ვითარმედ სისხლი არს, და სუთ<sup>15</sup> იგი, რაჲთა არა მოჰკუდეთ ბოროტითა<sup>16</sup> სიკუდილითა.“ ხოლო წმიდათა მათ ჴმა-ყვეს: „ნუ იყოფინ ჩუენდა, თუმცა შევაგინეთ სიბერე<sup>17</sup> ჩუენი და დავფარეთ სარწმუნოებაჲ და ჭეშმარიტებაჲ კაცთათჳს უღმრთოთა.“

კუალად უბრძანა მიმთხუევად მათდა ას-ასი არგანი და ჰრქუა მათ: „ვბრძანო მოღებაჲ<sup>18</sup> ჳორცისა წმიდისაჲ, რომელ არცა მომშთვარი<sup>19</sup> იყოს, არცა კერპთა<sup>20</sup> ნაზორევი, და ჭამეთ.“ მიუგეს წმიდათა მათ და ჰრქუეს: „წელთა შენთაგან

---

<sup>1</sup> სასჯელისა A. 2. ურჩულომან A. 3-4. საპყრობელედ B. 5. ძვ A, ძე B. 6. თავყუანის- A. 7. სიბერე A, სიბერე B. 8. საქმე B. 9. სისხლისა B\*]სისხლისა B#. 10. თავყუანის- A. 11. იქმოდე B#. 12. ურჩულომან A. 13. მოგუართუათ B#. 14. ფეროანი A. 15. სუთ A. 16. ბოროტით B#. 17. სიბერე A, სიბერე B. 18. მოღება B#. 19. მომშთვარ B#. 20. კერპთა B\*]კეპთა B#.



არანმიდათა ვითარმცა მოგუეცა წმიდაა რაამე? ნუ იყოფინ ესე ჩუენდა, თუმცა რასაცა ზედა საქმესა ნებაჲ შენი აღვასრულეთ.“

56. ესე რაჲ ესმა წმიდათა მათგან, განრისხნა უშჯულო<sup>1</sup> იგი მარზაპანი და განიზრახა მოგუთა მთავრისა მის თანა, რაჲთა შეკრიბნეს ქრისტეანენი მამანი და დედანი და აიძულნენ იგინი თვისითა ჴელითა ქვისა დაკრებად წმიდათა მათ. და ბრძანებაჲ ესე გამოჴდა უდმრთოთა მათგან.

და მეყსეულად შემოკრბეს<sup>2</sup> ქალაქისა მისგან და გარემოჲს სოფლებისა სიმრავლ<sup>3</sup> ფრიადი და აიძულებდეს მათ დათხევად სისხლსა უბრალოსა. შეპყრობილ იქმნა უკუე საკჳრველიცა იგი დედაკაცი ისდანდულ. მაშინ მოიყვანეს ნეტარი იოსებ და დაადგინეს ადგილსა ერთსა, წინაშე მთავრისა, და არღარა იყო ხილვაჲ კაცისაჲ მის ზედა მრავალთა [235v] მათ ტანჯვათა და გუემათაგან და შიმშილისა და დილეგისა და სხუათა მათ აურაცხელთა ჭირთაგან. და ემჭირა იგი ორთა კაცთა, რაჲთამცა არა დაეცა.

„ხოლო მე განემზადო ტაბლაჲ სანავესა მას ჩემსა და **აღასრულა** რაე აღნომი, მოხვდე მონისა შენისა სახლსა განსუენებად და მუნ იხილო ნეტარი ბარგრატ...“ აქ რეალურად მწკრივთა აღრევა კი არ გვაქვს, არამედ ბოლოკიდური **-ა** შეცდომით წერია **-ო**-ს ნაცვლად: უნდა იყოს „აღასრულო“; ასევე, ერთ წინადადებაში წყვეტილის ფორმაში შეცდომით წერია ბოლოკიდური **-ნ**: „და **მიილონ** მან ძელისა მისგან და

ჭამა და მისცა ქმარსა თჳსსა და ჭამეს და მეყსეულად ცნეს სირცხვლი თჳსი“; უნდა იყოს „მიიღო.“ ორივე შემთხვევაში ჩვენს ვარაუდს ადასტურებს იმავე წინადადებებში გამოყენებული დანარჩენი ზმნური ფორმები.

ერთგან II პირისადმი მიმართული ფორმების გვერდით გამოყენებულია I პირის მრავლობითის ფორმა: „ნუ გეშინინ, რამეთუ ქრისტესთვის გსურის, ჯერარს ბაძვაჲ ვნებათა მისთა. ნუმცა რაჲ უკუე **განგაშორებს** სიყუარულსა მისსა... არამედ ისწრაფეთ.“ უნდა იყოს „განგაშორებს.“

სხვაგან **აღ-** ზმნისწინის ადგილას იკითხება **აჰ-** და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს **ჰ-** პირის ნიშანია გამოყენებული: „ღუარძლი იგი **აჰმოჰფხურეს** მათგან.“ უნდა იყოს „აღმოჰფხურეს.“

ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა **უ** გრაფემა **ო-**ს ნაცვლად: „ღირსმან უნისიფორე პრქუა ნეტართა მამათა.“

კრიტიკულ ტექსტში აღნიშნული ცდომილებები გასწორებულია.

სხვა ნუსხათა ენობრივ თავისებურებებს წინამდებარე სტატიის დიდი ტექსტის შემცველ ხელნაწერთან (Cod. Iviron georg.-21) მიმართებით განვიხილავთ.

BCD ნუსხათა მონაცემები ხშირად არ ემთხვევა ძირითადი ნუსხის მონაცემს. მაგალითად,

C ნუსხაში თხზულების სათაური იწყება თვისა და რიცხვის დასახელებით: „თუესა ივლისსა ა თ (C)...“, რომელსაც მოსდევს შემდეგი ტექსტი: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა...“ არცერთ სხვა ნუსხაში დრო არ არის მითითებული და იწყება პირდაპირ ასე: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ...“

D ნუსხაში სათაურში არ გვაქვს „მღვლთმოდღურისა“, „ჭალაკისა სიკილისა“ და „ეპისკოპოსმან“, სამაგიეროდ დამატებულია „მამაო, გვაკურთხენ!“



BC ნუსხები საკუთარ სახელ „აკკლიანეს“ „აკკლინეს“ სახით წარმოადგენენ: აკკლინე; აკკლინესა, აკკლინესაა, აკკლინესთვს, აკკლინესი, აკკლინესნი, და სხვ.

BCD ნუსხებში ე ხმოვანფუძიანი სახელების შესაბამის ბრუნვებში, ასევე ზედსართავი სახელების უფროობითი ხარისხის ფორმებში ძირითადი ნუსხის ღ გრაფემის საპირისპიროდ ყოველთვის ე გრაფემაა გამოყენებული: ძე; შდრ. ძღ; ბრწყინვალე // ბრწყინვალღ; მცირე // მცირღ; მონაფე პავლესი // მონაფღ პავლღსი; მოსესი // მოსღსი; უმრწემესისა // უმრწემღსისა,<sup>1</sup> და სხვ.

B ნუსხა იშვიათად იყენებს ღ გრაფემას, ძირითადად, გეოგრაფიულ სახელებში: იღრუსალემითგან, იღრუსალემით, ისრაღლ, ისრაღლისაო, ისრაღლისანი; ორჯერ გვხვდება შორისდებულში: ჰღ; ერთხელ ზმნაში: გუღტყოდეს; და ორჯერაც ე ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელის სახელობით ბრუნვაში: „მეუფღ ქრისტე“, „ძღ ღმრთისა.“

D ნუსხისთვის მკვეთრად დამახასიათებელი თავისებურებაა უღ დანერილობა და ე.წ. იოტამეტობა. უღ გრაფემათა მიმდევრობა 217 მაგალითშია დადასტურებული – როგორც სახელებსა და ზმნებში, ისე ზმნიზედებში: შუღნიერება, გუღმულებასა, გუღლისა, შემთხუღვად, მოხუღდ, აყუღდრებდეს, გუღმსგავსა, უკუღ, ნუუკუღ, ქუღშე, და სხვ. ცხადია, უე დანერილობა აჭარბებს მას. დაფიქსირდა 756 შემთხვევა: ჩუენისა, მარჯუენით, აჩუენოს, ქუეშე, და სხვ.

იოტამეტობა შეინიშნება ა და ო ხმოვნების მომდევნო პოზიციებში – როგორც სახელებში, ისე ზმნებში: რაფდენიმე, ყრმაფსა, ნეტარსაფ, მამაფდ, ამაღლებაფდღე, სიტყუაფთა, მოი-

---

<sup>1</sup> დამოწმებული მაგალითების პირველი წევრი შესადარებელი ნუსხიდან არის მოხმობილი, ხოლო მეორე წევრი – ძირითადი და დანარჩენი ნუსხებიდან. ამასთან, წარმოდგენილი ნიმუშების პირველ წყვილში ვიყენებთ „შეადარე“ სიტყვას შემოკლებული ფორმით (შდრ.), ყველა დამარჩენ წყვილში კი – ორ პარალელურ ხაზს.

ხილაჲ, აღასრულაჲ, ინებაჲ, მოილოჲ, მიილოჲ, ამბორსუყოჲ, და სხვა მრავალი.

სამივე (BCD) ნუსხისთვის დამახასიათებელია **ჯ** გრაფემის გამოყენება **უ** გრაფემის ნაცვლად და პირიქით: ლუსონ (CD); შდრ. ლუსონ (AB); ლუსონს (C) // ლუსონს (ABD); ლუსონისსა (C) // ლუსონისსა (ABD); ლჯკაონიდეს (C) // ლუკაონიდეს (ABD); ხჯცად (C) // ხუცად (AB), ხუცესად (D); სურაკოსით (B) // სურაკუსით (D), სჯრაკუსით (AC); მომიკვდინებიან (B) // მომიკუდინებიან (ACD); განკურვებული (B) // განკვრვებული (ACD); თჯ (B) // თუ ACD); მოგჯეახლა (B) // მოგუეახლა (AC), მოგუჭახლაჲ (D); იჯდა (B) // იუდა (ACD); შე-თჯ-ინწყნაროთ (B) // შე-თუ-ინწყნაროთ (ACD); გუთხრეს (B) // გვთხრეს (ACD); დარღვევად (B) // დარღუევად (ACD); შეგჯწყალენ (B) // შეგჯწყალენ (ACD), და სხვ.

B ნუსხაში, იშვიათად CD ნუსხებშიც ხშირია **ო** და **უ** გრაფემათა ურთიერთშენაცვლების მაგალითები.<sup>1</sup>

**უ**-ს ნაცვლად გამოყენებულია **ო**:

მოჯლნი (B); შდრ. მუჯლნი (ACD); სოფევაჲ (B) // სუფევაჲ (ACD); ქურომი (D) // ქურუმი (ABD); ქურომნი (C) // ქურუმნი (ABD); ქურომთა (D) // ქურუმთა (ACD); საზაფხოლონი (B) // საზაფხულონი (ACD); ორჩულოებანი (B) // ურჩულოებანი (AC), უსჯულოებანი (D); მორწმონეთაჲ (B) // მორწმუნეთაჲ (ACD); დიდებოლ (B) // დიდებულ (ACD); შემოსრვილნი (C) // შემუსრვილნი (ABD); შებლალოლი (B) // შებლალული (ACD); მოსროლნიცა (B) // მოსრულნიცა (ACD); მოცლად (B) // მუცლად (ACD); მჯორვალითა (B) // მჯურვალითა (ACD); უკოე (B) // უკუე (ACD); განოლო (B) // განულო (ACD); შემწოხრდა (B) // შემწუხრდა (ACD); ჰკორნებდა

---

<sup>1</sup> ენერთ „გრაფემას“ და არა „ფონემას“, ან „ხმოვანს“, რადგან აქ გრაფიკულ აღრევასთან უნდა გვექონდეს საქმე და არა ასიმილაციისა თუ დისიმილაციის ფონეტიკურ პროცესებთან.

(B) // ჰკურნებდა (ACD); აქონდა (B) // აქუნდა (ACD); ძალოც (B) // ძალუც (ACD); გოაქუს (B) // გუაქუს (ACD); მიონწერა (B) // მიუნწერა (ACD); ალოშენებიეს<sup>1</sup>; მეყსეოლად (BC) // მეყსეულად (AD); ნოცა (B) // ნუცა (ACD); უკუეთო (D) // უკუეთუ (ABD), უკოე (B) // უკუე (ACD), და სხვ.

ო-ს ნაცვლად გამოყენებულია უ:

საუკუნუე (B); შდრ. საუკუნო (ACD); უჩინუ (B) // უჩინო (ACD); ებისკუპოსსა (B) // ებისკოპოსსა (ACD); მუნაფეთა (B) // მონაფეთა (ACD); სუფლებისაგანცა (B) // სოფლებისაგანცა (ACD); უჯერ (C) // ოჯერ (ABD); ქურწინებად (BC) // ქორწინებად (AD); ამბუხებაა (D) // ამბოხებაა (ABD); შეპყრუბილ (B) // შეპყრობილ (ACD); მოუნუდა (B) // მოუნოდა (ACD); უნუდიან (B) // უნოდიან (ACD); უბინუდ (B) // უბინოდ (ACD); მიუგუ (D) // მიუგო (ABD).

C ნუსხაში წყვეტილში **სთქუთ** ფორმასთან **სთქვთ** ფორმის შენაცვლება **უ / ვ** გრაფემათა მონაცვლეობით უნდა აიხსნას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ წყვეტილის ფუნქციით II ხოლმეობითის გამოყენების სხვა მაგალითი არ იძებნება:

„მოგუცენით მოძღუარნი იგი ჩუენნი, რომელთათჳს სთქვთ და წარვიდეთ“; შდრ. „... სთქუთ...“ (ABD).

D ნუსხაში ერთგან უმარცვლო **უ**-სთან **ვ** ფონემა შენაცვლებული:

„უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მოყვასნი მოგცნა შენ“; შდრ. „...მოყუასნი“ (ABC).

B ნუსხაში **ვ** გრაფემის ნაცვლად ზოგჯერ **უი** გრაფემათა მიმდევრობა გვხვდება: ამისთუისცა; შდრ. ამისთუსცა (ACD); დაიმკუიდრეს // დაიმკვდრეს (ACD); საკუირველება // საკვრველება (ACD); საკუირველებასა // საკვრველებასა

---

<sup>1</sup> ძირითად ნუსხაში აქ სხვა ზმნაა გამოყენებული.

(ACD); მეგუპტელნი // მეგუბტელნი (ACD); ყოვლისათუის // ყოვლისათუს (ACD).

C ნუსხაში ორ შემთხვევაში დადასტურდა § გრაფემის გამოყენების შემთხვევა: სანაწები; შდრ. სანახები (ABD); სანაწებსა // სანახებსა (ABD).

ნუსხები არათანმიმდევრულ სურათს გვიჩვენებენ „მარჯვენა“ და „მარცხენა“ ზედსართავი სახელების ხმარებისას. აქ გვხვდება როგორც ა, ისე ე ხმოვანზე დაბოლოებული ვარიანტები: „შეახო მარჯუენე“ (BD); შდრ. „შეახო მარჯუენა“ (AC); „ნუ სცნობნ (AC: სცნობს) მარცხენა (A: მარჯუენწ; C: მარჯუენა; D: მარცხენა) შენი, რომელსა ჰყოფდეს მარჯუენა (A: მარცხენე; C: მარცხენა; D: მარჯუენა) შენი“ (B).

**ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:**

**ხმოვანთა დისიმილაცია:**

ოვა // ოა > უვა // უა: სანუაგესა (D); შდრ. სანოაგეთა (A), სანოაგესა (B), სანოვაგეთა (C); სანუაგითა (D) // სანოაგითა (AB), სანოვაგითა (C); სანუვაგენი (D) // სანოაგენი (AB), სანოვაგენი (C); მყუვარ (C) // მყუარ (B), მყოვარ (AD).

ოვე // ოე > უე: ყუელ (C) // ყოველ (ABD); სამუელს (C) // სამოელს (ABD); თითუეულისა (C) // თითოეულისა (ABD).

ხმოვანთა დისიმილაციის მოვლენით შეიძლება აიხსნას ნუე (C); შდრ. ნოე (ABD).

წარმომავლობის სახელში „მონტანელნი“ B ნუსხა, ძირითადად, უ ხმოვანს ხმარობს: მუნტანელნი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეგვხვდა „ო“, სწორედ იქ, სადაც ძირითად ნუსხაში „უ“ ხმოვანია გამოყენებული და ისიც ერთადერთი შემთხვევაა მისთვის. ბერძნულში აღნიშნული სიტყვა „ო“ ხმოვანს შეიცავს (*μοντανός*). „უ“-ს გამოყენება ამ მაგალითში დისიმილაციით აიხსნება.

**თანხმოვანთა ასიმილაცია:**

შაფათსა (B); შდრ. შაბათსა (ACD); ეკუტერი (C) // ეგუ-

ტერი (ABD); „ეკუტერ“ ვარიანტს A ნუსხაც იყენებს. ეკუტერისა (AC) // ეკუტერისა (B), (D); ნეფსით (BCD) // ნეფსით (A); განშჯად (BC) // განსჯად (AD); C ნუსხა „სასჯელისა“ და „სამსჯავროს“ ასიმილირებულ ვარიანტებს (საშჯელი, სამშჯავრო) იყენებს; იგივე სურათი გვაქვს A ნუსხაში, გარდა ერთი გამონაკლისისა (სასჯელისასა); B ნუსხა „სასჯელის“ შემთხვევაში ორივე ვარიანტს ხმარობს, ხოლო „სამსჯავროს“ შემთხვევაში – მის ასიმილირებულ ფორმას; D ნუსხაში გაბატონებულია ასიმილირებული „საშჯელი“ ფორმა (თანაბარდობით 5/1), ხოლო ერთხელაა ნახმარი სამსჯავრო ფორმა. მაგალითები: საშჯელითა (ABCD); საშჯელისა (AC) // ს(ა)შჯელისასა (B); სასჯელისასა (D); საშჯელისა (A) // სასჯელისა (D); საშჯელად (AC) // სასჯელად (BD); საშჯელისა (AC) // სასჯელისა (BD); სასჯელისასა (A) // სარჩელისა (B); საშჯელისასა (C). ABC ნუსხები იშვიათად იყენებენ „შჯულ“ ვარიანტს და საერთოდ არ იყენებენ „სჯულ“ ვარიანტს. აბსოლუტურ უმრავლესობაში ისინი ხმარობენ დისიმილირებული „რჩულ“ (შჩ > რჩ) ფუძის შემცველ სიტყვებს: ურჩულონი; შდრ. უსჯულონი (D); ურჩულოხა // უსჯულოხა (D); ურჩულოებისამან // უსჯულოებისამან (D); ურჩულოებანი // უსჯულოებანი, და სხვ. D ნუსხა, როგორც მაგალითებიდან ჩანს, მიმართავს ამოსავალ „სჯულ“ ფორმას, თუმცა იშვიათად მისგან ასიმილირებულ „შჯულ“ ვარიანტსაც გვთავაზობს: შჯულსა, შჯულისა.

ABD ნუსხები იყენებენ ასიმილირებულ „სამრემლო“ ფორმას: „ეკლესიასა თვისი სამრემლო აქუნდეს“; შდრ. სამრევლო (C); ABC ნუსხები უპირატესობას აძლევენ ასიმილირებულ „დაემშჭუალა“ და „შჭამოთ“ ფორმებს: „ქრისტჳ დაემშჭუალა ცხორებისათჳს კაცთაჲსა“; შდრ. „...დაემსჭუალა...“ (D); „რომელსაცა დღესა შჭამოთ მისგან“ // „...სჭამოთ...“ (D).

ყველა ნუსხა ხმარობს ასიმბლირებულ „არმურ“ ფორმას. მხოლოდ ერთ შემთხვევაში BD ნუსხები უნაცვლებენ მას ამოსავალ ვარიანტს: „ვითარცა ალმური კუამლისაა.“

რეგრესული ასიმბლაციის მაგალითი უნდა იყოს: სააზპარეზოსა (B); შდრ. საასპარეზოსა (AC), საასპარეზსა (D) (სზ > ზზ, თუმცა აქ დისიმბლაცია არ გამოირიცხება: სს > სზ, ან სპ > ზპ).

#### თანხმოვანთა დისიმბლაცია:

ეზბაზსა (BC); შდრ. ემზაზსა (AD); ეზბაზისაგან (B) // ემზაზისაგან (ACD); ანზბეზა (B) // ამზბეზა (ACD); ანპარტავანებისათვის (B) // ამპარტავანებისათვის (ACD); ანბორისყოფითა (B) // ამბორისყოფითა (ACD); ანბორსუყოფდეს (B) // ამბორსუყოფდეს (ACD); „ანბორსუყო“ ფორმას ერთ შემთხვევაში ძირითადი ნუსხაც იყენებს: „ანბორსუყო ლუკაონიდეს“ (AC); შდრ. ამბორსუყო (BD).

ნუსხები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ ანთროპონიმ „ეპიფანეს“ ხმარებისას. კერძოდ, ყველგან ვხვდებით როგორც „ეპიფანეს“, ისე დისიმბლირებულ „ეტჰფანეს“ ფორმას. მათი შეფარდება თითოეული ნუსხის მიხედვით ასე გამოიყურება:

A ნუსხა: ეპიფანეს (14); ეტჰფანეს (1);

B ნუსხა: ეპიფანეს (9); ეტჰფანეს (6);

C ნუსხა: ეპიფანეს (1); ეტჰფანეს (10);

D ნუსხა: ეპიფანეს (8); ეტჰფანეს (6).

არაერთგვაროვნება გვაქვს „ეპისკოპოსის“ შემთხვევაშიც. ძირითადი ნუსხა 8 შემთხვევაში ხმარობს „ეპისკოპოს“ ფორმას, ხოლო 22 შემთხვევაში – დისიმბლირებულ „ეტჰსკოპოს“ ფორმას. ამ უკანასკნელს აძლევს უპირატესობას B ნუსხაც (28 შემთხვევა 1-ის საპირისპიროდ). დისიმბლირებული ვარიანტი უგამონაკლისოა C ნუსხაში, D ნუსხაში კი ამოსავალი ფორმისა და დისიმბლირებულის შეფარდება ასე გამოიყურება: 13/11.

BCD ნუსხები ხმარობენ **ნულილი** ზედსართავი სახელის არადისიმილირებულ ფორმას: ნულილად; შდრ. ნურილად (A).

ყველა ნუსხა იყენებს დისიმილირებულ „ეპისტოლე“ ფორმას. ერთადერთ შემთხვევაში ძირითად ნუსხაში დაფიქსირებულია არადისიმილირებული („ეპისტოლე“) ვარიანტი: „შემდგომად მონერისა ეპისტოლისა მის.“

ყველა ნუსხა ერთმანეთს თანხვედბა არადისიმილირებული „ნანდვლვე“ ფორმის გამოყენებაში: „ნანდვლვე ქრისტეს მიერ შვილი ჩემი ხარი შენ“; „ნანდვლვე კაცი იგი.“

A ნუსხა მხოლოდ ერთ და C ნუსხა ორ შემთხვევაში ხმარობს არადისიმილირებულ „სულნელება“ ფორმას: „სულნელება ცნობათა უალრესი იხილვებოდა“ (AC); შდრ. სურნელება (BD); „სული სურნელებისა იყნოსა“ (ABD) // სულნელებისა (C).

### **ბგერის დაკარგვა:**

**ვ** ხმოვანი ხშირად იკარგება **ოა, ოე, ოი** და **ეო** ხმოვნებს შორის პოზიციაში: მაცხოარი (BC); შდრ. მაცხოვარი (AD); მაცხოარმან (B) // მაცხოვარმან (ACD); საცხოართა (C) // საცხოვართა (ABD); (მოი)პოა (BCD) // (მოი)პოვა (A); თხოა (B) // თხოვა (ACD); მოითხოა (BCD) // მოითხოვა (A); ნისქლოანით (BCD) // ნისქლოვანით (A); სახელოანი (C) // სახელოვანი (ABD); კეთროან (BD) // კეთროვან (AC); კეთროანნი (B) // კეთროვანნი (ACD); ვპოეთ (BCD) // ვპოვეთ<sup>1</sup> (A); მაყულოანსა (BCD) // მაყულოვანსა (A); ახოანნი (B) // ახოვანნი (ACD); ცხოელი (BC) // ცხოველი (AD); ცხოელისა (B) // ცხოველისა (ACD); ცხოელად (BC) // ცხოველად (AD); ცხოელსმყოფელი (BC) // ცხოველსმყოფელი (AD); ცხოელსმყოფელისა (BC) // ცხოველსმყოფელისა (AD); ცხოელსმყოფელთა (BC) // ცხოველსმყოფელთა (AD); მოედ (BCD)

---

<sup>1</sup> **ოე** ხმოვნებს შორის **ვ** თანხმოვნის დაკარგვა ძირითად ხელნაწერსაც ახასიათებს.

// მოვედ (A); მითხრილ (ABCD); ამ უკანასკნელ შემთხვევაში იშვიათია შენარჩუნების მაგალითები: თხოვილ (CD); დაუტეო (BCD) // დაუტეო (A), და სხვ. „დატევა“ BD ნუსხებში „დატეობა“ ფორმითაა მოცემული. აქ საქმე უნდა გვექონდეს - ებ თემის ნიშნთან -ობ თემის ნიშნის მონაცვლეობასთან: დატევა > დატეობა და შემდეგ ვ თანხმონის დაკარგვასთან ბაგისმიერი ო ხმოვნის წინა პოზიციაში: დატეობა > დატეობა.

BD ნუსხებში იშვიათად ვ ხმოვანი იკარგვის უ ბაგისმიერ ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პოზიციაშიც:

„შეურდა ფერჯთა მოციქულისათა“ (B); შდრ. „შეუვრდა...“ (AC);<sup>1</sup> „ან უკუე შეურდი ღმერთსა მას ჭეშმარიტსა იესუ ქრისტეს და მიიღე მეორედ შობაჲ“ (D) // „... შეუვრდი...“ (ABC).

B ნუსხაში იკარგება უ ხმოვანი: სასმელი; შდრ. სასუმელი (ACD). გულისთქმათაგან (B) // გულისთქუმათაგან (ACD).

ამავე ნუსხაში იკარგება რ თანხმოვანიც თანხმოვანთა შორის პოზიციაში: ძნოლით; შდრ. ძრნოლით.

ნუსხებში ა ხმოვანფუძიან სახელებთან -მდე თანდებულის წინ შეინიშნება ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -დ ელემენტის როგორც დაკარგვის, ისე შენარჩუნების მაგალითები:

ჯუარცუმამდე (CD); შდრ. ჯუარცუმაღმდე (AB); ამაღლებამდე (BCD), ამაღლებაღმდე (A); დღემდე (B) // დღეღმდე (ACD); ზღუაღმდე (B) // ზღუამდე (ACD); პეტრონიკეღმდე (B) // პეტრონიკემდე (ACD); ქუეყანაღმდე (B) // ქუეყანამდე (ACD).

BCD ნუსხებში მოქმედებითი და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებში ფუძისეულ ნ თანხმოვანთან პირდაპირი ობი-

---

<sup>1</sup> D ნუსხას ეს წინადადება აკლია.



ექტის მრავლობითობისა თუ კონვერსიის შედეგად გადმოყო-  
ლილი **-ენ** მარკერის შეხვედრისას იკარგება ერთი **-ნ**:

„ყოველნივე სიტყვთა შექმნა“ (BCD); შდრ. „... შექმნა“  
(A); „რომელმან შექმნა ანგელოზნი“ (BCD) // „... შექმნა“  
(A); „კნინ იქმნეს“ (BCD) // „... იქმნეს“ (A); „რომელმან-იგი  
შექმნა ცანი და ქუეყანაჲ“ (BC) // „... ქმნა...“ (AD); „მოი-  
კითხნა იგინი და წარგზავნა“ (D) // „... წარგზავნა“ (ABC);  
„განავლინა წინაშე მდგომელნი“ (BD) // „განავლინა“ (AC);  
„წარგზავნა იგინი“ (BCD) // „წარგზავნა...“ (A); „სნეულეზანი  
განკურნა“ (BD) // „... განკურნა“ (AC); „ყოველნი განკურნა“  
(B) // „... განკურნა“ (ACD); „ალაშენიან რაჲ ეკლესიანი“  
(BD) // „ალაშენიან...“ (AC); „წარავლინეს კერძოთა ჰრომი-  
სა“ (B) // „წარავლინეს“ (ACD); „ყოველნივე სიტყვთა შექ-  
მნა“ (BCD) // „... შექმნა“ (A); „განავლინა წინაშე მდგომარე-  
ნი“ (D: მდგომელნი) (BD) // „განავლინა...“ (AC); „ოდეს გა-  
მოიწსნა მონებისაგან“ (BD) // „გამოიწსნა...“ (AC), და სხვ.

#### **ბგერის განვითარება:**

BD ნუსხებში ვხვდებით **რ** თანხმოვნის განვითარების  
ფაქტებს ურთიერთობით ნაცვალსახელში:

„იტყოდეს ურთიერთარს“ (BD); „ამბორსუყვეს ურთიერ-  
თარს“ (BD); „მოიკითხეს ურთიერთარს“ (BD); „სიყუარული  
ღმრთისა მიმართ და ურთიერთარს“; „მარკიანე და ბაგრატ  
ურთიერთარს“ (BD); „განკვრვებულნი ურთიერთარს იტყო-  
დეს“, და მრავალი სხვ.

#### **მეტათეზისი:**

განძჟარცეს (B); შდრ. განძარცუეს (ACD).

ABC ნუსხები არათანმიმდევრულობას გვიჩვენებენ  
„ძლიერ“ და „უძლიერ“ ფუძეების შემცველ ლექსიკურ ერთე-  
ულთა გამოყენებისას. AB ნუსხები უპირატესობას ანიჭებენ  
არამეტათეზირებულ ფორმებს, თუმცა იშვიათად არც მეტა-  
თეზირებულ ვარიანტებზე ამბობენ უარს. ნუსხათა მიხედვით  
ასეთი სურათი გვაქვს: A ნუსხა: ძლიერ (29); ძრიელ (4); უძ-

ლურ (13); უძრულ (1); B ნუსხა: ძლიერ (32); ძრიელ (4); უძლურ (14); უძრულ ()); C ნუსხაში გაბატონებულია მეტათეზირებული ვარიანტი: ძლიერ (12); ძრიელ (18); უძლურ (2); უძრულ (12); D ნუსხა კი მხოლოდ ამოსავალ ფორმებს მიმართავს.

B ნუსხაში ობიექტური პირის ნიშანი **ჰ**- ფუძის შიგნითაც დასტურდება: მოვჰლიდა; შდრ. მოჰვლიდა (ACD), რაც მეტათეზისის გამოვლინება უნდა იყოს.

### **კუმშვა:**

„ამპარტავან“ ფუძე C ნუსხაში შეკუმშულია, განსხვავებით სხვა ნუსხებისგან: ამპარტავნებისათვის; შდრ. ამპარტავანებისათვის (AD), ანპარტავანებისათვის (B). BC ნუსხებში გამოვლენილი კუმშვის მაგალითებია: საკუმეველისა (B); შდრ. საკუმეველისა (AD); საჭმლად (BC) // საჭმელად (AD).

### **მორფოლოგიური საკითხები:**

C ნუსხაში სონორ თანხმოვანზე დაბოლოებული ტოპონიმი „იერუსალემი“ მიმართულებითის ფუნქციით ვითარებით ბრუნვაში **-ად** ბრუნვის ნიშანს დაირთავს **-დ** ნიშნის საპირისპიროდ: „მოიქცეს იერუსალემად“ (C); შდრ. „... იწრუსალემდ“ (A), „... იწრუსალემს“ (BD).

მიმართულებითის ფუნქციით ხშირია მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების მონაცვლეობა:

„ალიხილნა ზეცად“ (B); შდრ. „... ზეცას“ (ACD); „მისწუთებოდის ზეცას“ (B) // „... ზეცად“ (ACD); „ნარივლინა (D: ნარავლინა) იგი ეგვპტეს“ (BD) // „... ეგვპტედ“ (AC); ამავეს მონმოზს ზედა აზნაცში მოხმობილი მაგალითიც (იერუსალემად // იწრუსალემდ // იწრუსალემს).

ყველა ნუსხაში მრავლად მოიპოვება გამარტივებული ზმნისნიშები: **ა-**, **ნა-**, **გადა-**, **გა-**:

„აჰმართეს სამარესა“ (B); შდრ. „აღჰმართეს...“ (ACD); „აჰმართეს მუნ საყდარი“ (D) // „აღჰმართეს...“ (ABC); „ამჰედრდეს წინაშე მისსა“ (BD) // „აღმჰედრდეს...“ (A), „...“

აჰმვედრდეს“ (C); ავიდეს (B) // ალვიდეს (ACD); ავედით (C) // ალვედით (ABD); ალმომიკითხე (BCD) // ამომიკითხე (A); აჰკაზმა (BC) // ალჰკაზმა (AD); აბორგებულნი (B) // ალბორგებულნი (ACD); აილო (AC) // ალილო (BD); აიხუნა (C) // ალიხუნა (ABD); აჰსნად (ABCD); აჰდა (C) // ალჰდა (AB) // ალჰჰდა (D); აჰმართნა (C) // ალმართნა (B), ალჰმართნა (AD); ნავემართენით (B) // ნარვემართენით (ACD); ნამომართება (C) // ნარმომართება (ABD); ნამომგზავნა (B) // ნარმომგზავნა (ACD); გადამოჰდა (B) // გარდამოჰდა (ACD); ნავედ (C) // ნარვედ (ABD); ნავიდეთ (C) // ნარვიდეთ (AB) // ნარვიდეს (D); ნავიდა (C) // ნარვიდა (ABD); ნავიდეს (C) // ნარვიდეს (ABD); გადასაყრდნელსა (C) // გარდასაყრდნელსა (A), გარდასაყრდნობელსა (BD); გამარჯუება (C) // განმარჯუება (ABD); განხვდოლით (BD) // გახვდოლით (AC), და სხვა მრავალი.

ნუსხებში ზოგჯერ ზმნაში არ აისახება II სუბიექტური პირის ნიშანი:

„ვითარ განშიშულდი“ (BCD); შდრ. „... განჰშიშულდი“ (A); „რომელსა ქადაგებ“ (D) // „... ჰქადაგებ“ (ABC); ხედავა (D) // ჰხედავა (ABC).

BD ნუსხებში ორიოდე მაგალითი მიგვანიშნებს, რომ გადამწერი ვერ ერკვევა III სუბიექტური პირის -ნ ნიშნის ხმარების წესში და წერს იქაც, სადაც მისი ადგილი არ არის:

„შვილო ჩემო, უფალი იესუ გრწმენინ და მას ესევიდინ“ (D); შდრ. „... ესევიდი“ (ABC); „ილოცევედით და იტყოდით მამაო ჩუენოსა და, უფალო იესუ ქრისტე, თანამავალ მეყავინ“ (BD) // „... მეყავ“ (AC); „ნუუკუე მენიონ სიკუდილი და ნარვიდე დაბნელებული“ (A) // „... მენიოს...“ (BCD); „გუემენ ეგე ძლიერად, რაათა იხილოს მან და ძრწოლა შეედევას“; შდრ. „გუემენ...“ მაგრამ: „შიში ღმრთისა გაქუნდინ“ (BD) // „შიშითა უფლისაათა იყოფოდე“ (AC).

BD ნუსხები ზოგჯერ სხვა ნუსხებს უპირისპირდებიან III პირდაპირი ობიექტის ნიშნის გამოხატვის თვალსაზრისით: „ცეცხლსა ჰხედვიდა“ (B); შდრ. „... ხედვიდა“ (ACD); „ჰხედვიდა პირსა“ (B) // „ხედვიდეს...“ (ACD); „ჰხედვიდეს ერნი“ (B) // „ხედვიდეს...“ (ACD); „შთაჰჴადეს ზღუად“ (BD) // „... შთაჴადეს“ (AC); „წმიდაყოფს ყოველსა კაცსა“ (D) // „წმიდაჴყოფს...“ (ABC); „აღჴფხურეს ტაძარი“ (D) // „აღფხურეს...“ (ABC).

ნუსხები ზოგჯერ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ III ირიბობიექტური პირის ნიშნის გამოხატვის მხრივაც: „ჰხადოდა სახელსა ბოროტისა“ (C); შდრ. „ხადოდა...“ (ABD); „ღმერთთა თქუნთა ვმსახურებ“ (B) // „... ვჰმსახურებ“ (ACD); „სინმიდესა მსახუროს“ (C) // „... ჰმსახუროს“ (ABD); „ვმონებთ ფალკონს“ (B) // „ვჰმონებთ...“ (ACD); „ვმსახურებ ირას“ (B) // „ვჰმსახურებ...“ (ACD); „თავი წარკუეთეს“ (D) // „... წარჴკუეთეს“ (ABC); „თავები წარკუეთეს“ (D) // „... წარჴკუეთეს“ (ACD); „მიჰხედა მათ“ (B) // „მიხედნა...“ (D), „... მიხედნა...“ (AC); „სასოებაჲ წარკუეთეს“ (BD) // „...წარჴკუეთეს“ (AC); „რათა შევწირვიდე მას ზედა შესანირავსა“ (D) // „... შევსწირვიდე“ (ABC), და სხვ.

ხელნაწერებში ე.წ. „დაჰბადა“ ტიპის ზმნებში ირიბობიექტური პირის ნიშანი ჰ- ხშირად არ გამოიხატება: „რომელნი აღმართნეს“ (B); შდრ. „აღჰმართნეს...“ (ACD); „აღმართნეს ტაძართა მათ შინა“ (B) // „აღჰმართნეს...“ (ACD); „განვმზადეთ ადგილი“ (BC) // „განვჰმზადეთ...“ (AD).

BD ნუსხებში ზოგჯერ არ აღინიშნება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: „მოვისწავლო მე საღმრთონი წერილნი“ (D) // „ვისწაო...“ (B); შდრ. „ვისწავლნე...“ (AC); „ისმინონ სიტყუანი“ (D) // „ისმინნენ...“ (ABC); „მისცა ბაგრატს და მარკიანეს ორნი ჯუარნი“ (BD) // „მისცნა...“ (AC); „ყოველნი

უძლურებანი ჩუენნი განჰკურნე“ (D) // „... განჰკურნენ“ (ABC), და სხვა მრავალი.

ხელნაწერებში ზოგჯერ -ოდ სავრცობიანი ზმნების უწყვეტელსა და I ბრძანებითი მწკრივის ნიშნად გამოყენებულია -ი სუფიქსი, ნაცვლად -ე-სი, რაც -დ სავრცობიან ზმნებთან გათანაბრებით აიხსნება: „დავსხენით საყდართა მათთა ზედა და ვევედრებოდით გამოცხადებად ჩუენდა ჩუენებათა დაფარულთა“ (D); შდრ. ვევედრებოდეთ (ABC); „უკუეთუ თქუენცა გნებავს სწავლად ენასა ჩუენსა ჰრომაელებრ და ბერძულებრ და ქრისტეანე ყოფად, აზნაურებით იყოფებოდით ჩუენ თანა!“ (AC); შდრ. „...იყოფებოდეთ...“ (B), „... იყოფოდით...“ (D); „ილოცევდით და იტყოდით მამაო ჩუენოსა“ (D) // „... იტყოდეთ...“ (ABC); „დაადგერთ, შვილნო, აქა და უფალსა ვევედრებოდით და ურჩულოჲ იგი იქმოდის, ვითარცა ჰნებავს“ (ABC). „იქმოდის“ აქ I კავშირებითის ფორმას, რომლის საშუალებითაც ბრძანებითი კილოს გამოხატვა მე-11 საუკუნისთვის ახალი მოვლენა იყო. B ნუსხა „იქმოდინ“ ფორმას იყენებს, რაც I ბრძანებითია, თუმცა -ი მწკრივის ნიშნით, D – „იქმოდენ“ ფორმას. ამასთან, D ნუსხაში „ვევედრებოდით“ ფორმის ნაცვლად II კავშირებითია ნახმარი: „ვევედრნეთ...“

ყველა ნუსხა მოქმედებითი გვარის ზმნებთან I თურმეობითში, ძირითადად, ინარჩუნებს ძველ დაბოლოებას:

„მიულებიეს უღელი“ (ABCD); „მოგვლებიეს სული“ (ABCD); „რომელი-ეგე მიგილებიეს“ (ABCD); „უბრძანებიეს უფალსა“ (ABCD); „წელთა შენთა შემივედრებიეს“ (ABCD), და სხვ. იშვიათად AD ნუსხები ახალ დაბოლოებასაც გვიჩვენებენ: „ბაგრატს მიუცემია“ (A); შდრ. „... მიუცემიეს“ (BCD); „ემმაკსა განუმზადებია განსაცდელი“ (AD); შდრ. „... განუმზადებიეს...“ (BC); „ღმერთი დაგივინყებია“ (A) // „... დაგიტევებიეს“ (B), „... დაგივინყებიეს“ (CD).

**ნუ** ნანილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი, ძირითადად, ანმყოს ხოლმეობითთ გადმოიცემა: „**ნუვინ სცნობნ** ჩემსა აქა მოსლვასა“ (ABCD); „**ნუ სცნობნ** იგი“ (ABCD). იშვიათად ან-მყოს ხოლმეობითს ამ ფუნქციით ანმყო ენაცვლება: „ჭურია-თანი ნულარა **შევლენედ** სასმენელად თქუენდა“ (ABC); შდრ. „... **შევლენან**“ (D). „**ნუ სცნობნ** მარცხენაჲ შენი“ (BD) // „**ნუ სცნობს...**“ (AC).

ერთგან ABC ნუსხებში II ხოლმეობითის, ხოლო D ნუს-ხაში II კავშირებითის ფორმებით გადმოცემულია II თურმეო-ბითის შინაარსი: „მარადის საკურთხეველსა ზედა ბრძანა და-დებაჲ მისი, ოდენ ჟამსა კითხვისასა **აღილის** იგი და **წარუკითხის** ერსა და კუალად საკურთხეველსავე **დადვის**“ (ABC); შდრ. „... **აღილოს... წარუკითხოს... დადვას**“ (D).

დასტურდება **-ებ / -ობ** თემის ნიშანთა მონაცვლეობა: „აბრალეზდა მას ქმარი თჳსი დაყოვნებისათჳს“ (AC); შდრ. „აბრალობდა...“ (BD); „**ნუ** მაბრალობ, უფალო ჩემო“ (ABCD); „კეთილად აბრალეზთ მათ“ (AC) // „... აბრალობთ...“ (B).

ნუსხები ზოგჯერ ერთმანეთისგან სხვაობენ დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებში **-(ე)ნ** და **-დ** სუფიქსების გამოყენე-ბის მხრივ: „აღჯრასხნა ენასა მათსა და დადუმდეს“ (D); შდრ. „დადუმნეს“ (ABC).

განსხვავებული ვითარება შეინიშნება წარსული დროის ვნებითი გვარისა და საშუალი გვარის მიმლეობის წარმოება-შიც: „შემკობილი თუალთაგან მრავალფასისათა“ (AC); შდრ. „შემკუღლი...“ (BD); „შემკუღლი მამულისა მისისა საფასისაგან“ (AC) // „შემკობილი...“ (BD); „უდებქმნულ ვართ“ (AC) // „უდებქმნილ...“ (BD); „ქმნულკეთილ ფრიად“ (ABC) // „ქმნილ-კეთილ...“ (D); „წინაშე მდგომელნი“ (ACD) // „... მდგომარე-ნი“ (B); „მონვენილ“ (D) // „მონვენულ“ (ABC).

პოსტპოზიციურ ნყობის მართულ მსაზღვრელებთან D და ზოგჯერ B ნუსხაც უპირატესობას აძლევენ მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის **ა** ელემენტის შეკუმშვას:

„სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისაჲთა“ (D); შდრ. „... მამისაჲთა, ძისაჲთა... წმიდისაჲთა“ (ABC); „ინურთიდა სარწმუნოებასა ქრისტესსა მადლითა სულისა წმიდისათა“ (BD) // „...წმიდისაჲთა...“ (AC); „სიტყუთა მშუღობისათა“ (D) // „... მშუღობისაჲთა“ (ABC); „ცხორებისათეს კაცთასა“ (D) // „... კაცთაჲსა“ (ABC); „ხარებითა ანგელოზისათა“ (D) // „... ანგელოზისაჲთა“ (ABC); „სიღრმით გულისა მისისათა“ (D) // „... მისისაჲთა“ (ABC); „პირითა თარგმნისათა“ (D) // „... თარგმნისაჲთა“ (ABC); „თმითა თავისა მისისათა“ (D) // „... მისისაჲთა“ (ABC).

გვხვდება **-მდე** // **-მდის** (ერთგან კი **-მდენ**) თანდებულების ურთიერთმონაცვლეობა: „ვიდრემდე“ (BD); შდრ. „ვიდრემდის...“ (AC); „აქამდე“ (B) // „აქამდის(ს)“ (ACD); „აქამომდის“ (D) // „აქამომდენ“ (C), „აქამომდე“ (AB); „ანტიოქიამდის“ (BD) // „ანტიოქიამდე“ (AC), და სხვ.

#### სინტაქსური საკითხები:

ნუსხები ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდებიან პოსტპოზიციური წყობის მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების მხრივ სახელობით ბრუნვაში.

„ხატი მაცხოვრისაჲ“ (ABC); შდრ. „... მაცხოვრისა“ (D); „ძირი ყოვლისა ბოროტისაჲ“ (AB) // „... ბოროტისა“ (CD); „ავრილიანე ქალაქპეტისაჲ“ (ABD) // „... ქალაქპეტისა“ (C); „სიმრავლჳ ერისაჲ“ (AD) // „... ერისა“ (BC); „მიმგებელ ბოროტისაჲ“ (C) // „... ბოროტისა“ (ABD); „მადლი ნიშებისაჲ“ (C) // „... ნიშებისა“ (ABD); „ჟამი ამიერ სოფლით განსლვისა მისისაჲ“ (AC) // „... მისისა“ (BD); „ყოველივე საქმე განკაცებისაჲ“ (B) // „... განკაცებისა“ (ACD); „ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ“ (AC) // „... ჩრდილოჲსა“ (BD); „შემოქმედი ცისა და ქუეყანისაჲ და ზღვსაჲ“ (AC) // „... ცისა... ქუეყანისა და ზღვსა“ (BD); „სიტყუად ცხორებისაჲ“ (AC) // „... ცხორებისა“ (BD); „უფალი სიკუდილისაჲ“ (AC) // „... სიკუდილისა“ (BD); „შვილი ეგე ეკ-

ლესიისაჲ“ (ABC) // „... ეკლესიისა“ (D); „კურთხევაჲ მღდელთაჲ და წესი ნათლისღებისაჲ“ (ABC) // „... მღდელთა... ნათლისღებისა“ (D); „ღმერთი მშკდობისაჲ“ (ABC) // „ღმერთი მშკდობისა“ (D), და სხვ.

BC ნუსხებში შეინიშნება „თანა“ თანებულის მიერ სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელის მართვა მიცემით ბრუნვაში, ნაცვლად ნათესაობითისა: „იყვენით ებისკოპოსსა თანა“ (BC) // ებისკოპოსსა (D); შდრ. „... ებისკოპოსისა...“ (A).

ხელნაწერები არათანმიმდევრულნი არიან ზმნა-შემასმენლის მიერ სანწყისით გადმოცემული ქვემდებარისა თუ პირდაპირი დამატების ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით:

„ვინაჲ გეგულებს ან წარსლვად, ძმანო?“ (BCD); შდრ. „... წარსლვაჲ...“ (A); „თვსთავე ქალაქთა გუეგულების წარსლვაჲ“ (D) // „... წარსლვად“ (ABC); „სიტყვს მიცემად თანაგაც მათოვს“ (D) // „... მიცემაჲ...“ (ABC); „გუეგულების განსლვაჲ და დაყენებაჲ მათდა“ (B) // „... დაყენებაჲ...“ (ACD); „ეგულების აღდგინებაჲ“ (BD) // „... აღდგინებაჲ“ (AC); „მსურის ხილვად შენდა“ (BD) // „... ხილვაჲ...“ (AC); „ბრძანა წმიდამან წარსლვად ეკლესიაჲ“ (BD) // „...წარსლვაჲ...“ (AC); „ითხოვა ლოცვაჲ მღდელისაგან, წარსლვად მომკალთა მათ მიმართ“ (BD) // „... წარსლვაჲ“ (AC); „იკადრა ჴელყოფაჲ საქმესა მას“ (BD) // „... ჴელყოფაჲ...“ (AC); „არა ვინებე ჭამადისა გემოჲს ხილვად“ (BD) // „... ხილვაჲ“ (AC); „უბრძანა დაჯდომად“ (B) // „... დაჯდომაჲ“ (ACD); „არა შეუნდო ბრძოლისა და სისხლისა დათხევისა ყოფაჲ“ (BD) // „... ყოფაჲ“ (AC); „უბრძანა ყოველთა ათასისთავთა და სპაჲსპეტთა მოყვანებაჲ“ (B) // „... მოყვანებაჲ“ (ACD); „ითხოა ლოცვაჲ მღდელისაგან წარსლვად“ (BD) // „... წარსლვაჲ“ (AC), და სხვა მრავალი.

CD ნუსხებში სანწყისი ზოგჯერ ავლენს სახელის მიცემით ბრუნვაში მართვის სინტაქსურ უნარს:



„ამან განანათლნეს გულნი თქუენნი ცნობად ნებასა მისსა“ (C); შდრ. „... ნებისა მისისა“;

„ინებე გამოჩინებად სიგლახაკესა ჩემსა“ (D) // „... სიგლახაკისა ჩემისა“ (ABC).

ნუსხებში დასტურდება სხვათა სიტყვის -ო:

„შეჰრჩულვიდა მას ნეტარი იგი, არამედ ბოროტი გონება მისი მოუდრეკელ იყო“ (D); შდრ. „... იყო“ (ABC); „ვიდრელა იტყოდეს ყოველნი, თუ მოკუდებისო“ (AC) // „... მოკუდების“ (BD).

BD ნუსხებში გვხვდება თანდებულისა და ნანილაკის გადატანა სინტაგმის მეორე წევრზე;

„მამისა თვისაგან“ (BD); შდრ. „მამისაგან თვისა“ (AC); „მძლაფრისაგან ქარისა“ (B) // მძაფრისაგან“ (D), „მძაფრისა ქარისაგან“ (AC); „ბრძანებისაებრ შენისა“ (BD) // „ბრძანებისა შენისაებრ“ (AC); „სულიერებისაებრ მისისა“ (D) // „სულისა მისებრ“ (ABC); „ცოლითურთ და შვილით“ (BD) // „ცოლით და შვილითურთ“ (AC); „რაჲსათჳსმე მიზეზისა“ (D) // „რაჲსამე მიზეზისათჳს“ (ABC); „სიტყუაჲ იგი ლუსონისიცა“ (BD) / „სიტყუაჲცა იგი ლუსონისი“ (AC); „ვლეთ სხუაჲლა ორი დღე“ (BD) // „ვლეთლა სხუაჲ ორი დღჳ“ (AC), და სხვ.

D ნუსხაში უსულო საგნისთვის განკუთვნილი ფუძე იხმარება სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელთან:

„თანა წარიტანა (ვ)ონიფანტე მთავარი და ლუკაონიდე“; შდრ. „... წარიყვანა“ (ABC).

გარდა ზემოთ განხილული ენობრივი საკითხებისა, ნუსხებში შეინიშნება:

**სიტყვებისა თუ ფრაზების ზედმეტობა** ძირითად ნუსხასთან მიმართებით:

„შვილი იგი თჳსი საყუარელი“ (BD); „დაილუანნა ნეტარმან მან თჳსნი იგი მშობელნი“ (BD); „მიჰმართა ადგილსა მას და გოდოლსა“ (D); „თუალებითა შუენიერთა პატიოსნითა“ (D); „შუენიერად და შემკობილად იგი ყოველივე“ (D); „ყოვ-

ლად ძლიერისა და **კაცთმოყუარისა და სახიერისა**“ (BD); „ყოველსა სენსა და **ყოველსა** ცისად-ცისად გუემულეზასა“ (BD); „ესმა რაჲ პეტრესი კერძოთა **მათ**“ (BD); „ჭალაკისა **მის** სიკილიისა“ (C); „მოილო მხატვარმან **მან**“ (BCD); „გაქუს კადნიერებაჲ **შენ**“ (C); „**გარდამოსრულ და გარდამორდომილ**“ (C); „ნათელილო უფალმან **იოვანესგან** იორდანისა“ (BC); „განიპო იგი ორად თავითგან **ვიდრე** ბოლომდე“ (C); „ტავრომენისა **სიახლესა** სანახებზა“ (C); „გზასა მას დისა შენისასა ნარხვდე **შენ**“ (BC); „ბოროტისა ძირისა ბოროტო მორჩო **ნაყოფო და უკეთურო მორჩო**“ (C); „მთავართა და **ერისთავთა** მათ“ (C); „რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მონაფემან მისმან. **გუაკურთხენ უფალო!**“ (B); „იესუ ქრისტე **თვსითა პირითა** მრავალსა ასწავლიდა“ (BD); „პოვნად **წყალობისა** სასუფეველსა მისსა“ (B); „აღადგინა ღმერთმან დავით **მეფე**“ (B); „მერმე ამალღდა მ(ა)მისა **ზეცად**“ (B); „პოვნად **წყალობისა** სასუფეველსა მისსა“ (BD).

BD ნუსხაში უფრო მეტად გვხვდება ვრცელი ფრაზების დამატების ნიმუშები: „და მერმე თქუა: **ყრმაჲ იშვა ჩუენდა და ძე მოგუეცა (D: მოგუჭცა) ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ მისი ზედა მჯართა მისთა და ჰრქუან (D: ჰრქუან) სახელი დიდისა ზრახვისა ანგელოზ (D: ანგელოზი): ღმერთი ძლიერი, მთავარი მშუდობისაჲ (D: მშუდობისა) მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ**“; „ჰრქუა: **ნარვედით და ქრისტე იყავნ თქუენ თანა. ისწრაფე, ვითარცა სთქუთ, მისთვს თავსდებად ყოვლისათვსვე (B: ყოვლისავე) ღუანლისა, რაჲთა შეხვდეთ ბრძენთა მათ თანა ქალწულთა თანა სასძლოსა მას ზეცისასა.**“ ნარვიდეს იგინი სენაკად თვსად.“

D ნუსხაში ორგან ორჯერ მეორდება ფრაზა, რაც გადამწერის შეცდომაზე მიუთითებს:

„სიმრავლე **უძღურთაჲ გარემოჲს ქალაქებისა და დაბნებისაგან.** იხილეს რაჲ მოციქულთა სიმრავლე იგი ერისაჲ **უძღურთაჲ გარემოჲს ქალაქებისა და დაბნებისაგან** შემოკრებუ-

ლი“; „ყოვლად კეთილად და შუცნიერად და იყო შენებული იგი  
ყოვლად კეთილად და შუცნიერად და იყო შენებული იგი.“

სიტყვებისა თუ ფრაზების ნაკლებობა:

„არარაჲ მიუგეს“ (BD); შდრ. „არარაჲ მიუგეს მათ“ (AC);  
„სულმან არანმიდამან“ (D) // „სულმან მან არანმიდამან“  
(ABC); „ოდენ ჟამი იყო“ (BCD) // „ოდენ ჟამი იყო ლამისაჲ“  
(A); „ყოველი, რაჲ არს“ (C) // „ყოველი, რაჲ არს მას შინა“  
(ABD); „წმიდისა პეტრესი“ (CD) // „წმიდისა მოციქულისა  
პეტრესი“ (AB); ვერვინ იკადრებდა მიახლებად“ (BCD) //  
„ვერვინ იკადრებდა მიახლებად მისა“ (A); „მიუთხრობდეთ  
ერსა საკრველებათა“ (D) // „მიუთხრობდეთ ერთა ამათ  
საკრველებათა“ (ABC); „თანანარილო ძღუნად“ (D) // „თანა-  
ნარილო ძღუნად მთავრისა“ (ABC); „არცა შესანირავენი  
დაგკკლიან“ (BD) // „არცა შესანირავენი მისნი დაგკკლიან“  
(AC); „ძე თჳსი სოფლად“ (BD) // „ძმ თჳსი სოფლად მოავლი-  
ნა“ (AC); „არა არს გარეშე მისსა ცხორებაჲ“ (BD) // „არა არს  
მას შინა ცხორებაჲ, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტებაჲ და ცხორე-  
ბაჲ საუკუნოჲ“ (AC); „გიხაროდენ ქრისტეს იესუს მიერ“ (D)  
// „გიხაროდენ უფლისა მიერ ყოველთა, გიხაროდენ ქრისტეს  
იესუს მიერ“ (ABC); „რაჲ ესმა მოციქულსა“ (BD) // „რაჲ ესმა  
წმიდასა მოციქულსა“ (AC); „ვევედრენით უკუე ღმერთსა“ (BD)  
// „ვევედრენი უკუე ქრისტესა ღმერთსა“ (AC); „შენირვად  
ღმრთისა პირველთა მათ“ (BD) // „შენირვისა ღმრთისა პირ-  
ველთა მათ ნაყოფთა“ (AC); „შთაცვენ ცოდვასა უკუეთუ იგი  
წმიდა იყოს“ (BD) // „შთაცვენ ცოდვასა, უკუეთუ იგი ოდენ  
უბინო და წმიდა იყოს“ (AC), და სხვა მრავალი.

ხშირად D ნუსხაში არა მხოლოდ ვრცელი ფრაზები,  
არამედ აბზაცებია დაკლებული:

„ისმენდა სიტყუაჲთა მოციქულისათა“ (D); შდრ. „ისმენ-  
და სიტყუაჲთა მოციქულისათა და ვითარცა აღასრულა სწავ-  
ლაჲ იგი და ერი განიყარა, მირბიოდა იგი და შეუვრდა ფერვთა

მოციქულისათა“; „ვიდოდეს ნავნი იგი და“ (D) // „ვიდოდეს ნავნი იგი და განგებითა ღმრთისაჲთა მიეახლნეს ნავნი იგი ურთიერთას“; ერთ შემთხვევაში დაკლებულია მოზრდილი ტექსტი: „მაშინ სულმან მან არანმიდამან არარაჲ მიუგო“ (D) // „მაშინ სულმან მან ბოროტმან, რომელი იყო კერპსა მას შინა, ჳმაჲ აღმოუტევა და ჳრქუა მათ: „კაცნო ტავრომენელნო, რაჲსა მოხუედით ჩემდა, ანუ რაჲსა ჳმითა ქებისაჲთა შემასხამთ? რავდენი გაუცნეთ, გაუცნეთ, და რაჲ-იგი ვქმენით, ვქმენით თქუენ თანა. ამიერითგან განგუეშორენით, არღარა არს ძალი ჩუენ თანა, რამეთუ სამგუამოვანმან ღმრთაებამან მოხედნა თვსთა დაბადებულთა, მოავლინა ღმერთმან სიტყუაჲ თვისი და ყოველნი განკურნნა, რომელმან-იგი შექმნნა ცანი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა. ამან ან აქაცა მახული ცეცხლისაჲ მოავლინა, მონაფჳ თვისი, რომელმან ფალკონცა იოტა და სხუანი შემუსრნა და მეცა უჩინომყოფს.“ ესე რაჲ თქუა, დადუმნა იგი სრულიად.

ხოლო ქურუმნი იგი და ერი აღივსნეს მნუხარებითა, რამეთუ ვერ გულისჳმაცევს, რასა-იგი იტყოდა, არამედ ესე ოდენ ცნეს, ვითარმედ განსაცდელი და ჳირი მონევენულ არს ღმერთთა მათთა ზედა. მაშინ იწყეს კუალად ვედრებად, რაჲთამცა გამოცხადებულადრე აუნყა მათ, თუ ვინ არს ძლიერი იგი ღმერთი და ყოველთა შემოქმედი. ხოლო სულმან მან არანმიდამან და ბილწმან არარაჲ მიუგო.“

სიტყვათა რიგის შეცვლა:

„სულისა წმიდისა“ (B); შდრ. „წმიდისა სულისა“ (ACD); „დღეს თქუენდა“ (BD) // „თქუენდა დღეს“ (AC); „ჳამბავი კეთილი“ (BD) // „კეთილი: ჳამბავი“ (AC); „ესე ყოველივე“ (D) // „ყოველივე ესე“ (ABC); „ინყო კუალად“ (BD) // „კუალად ინყო“ (AC); „პატივსა მოიყვანოს“ (BD) // „მოიყვანოს პატივსა“ (AC); „მიიღო რაჲ“ (BD) // „რაჲ მიიღო“ (AC); „თვსთა ბოროტთა“ (D) // „ბოროტთა თვსთა“ (ABC); „მთავარი ვონიფანტე“ (BCD) // „ვონიფანტე მთავარი“ (A); „სულსა წმიდასა“ (C) // „წმიდასა სულსა“ (ABD); „ქუეყანით კაცთაჲ“ (D) // „კაცთაჲ

ქუეყანით“ (ABC); „მათისა მიმართ“ (BD) // „მიმართ მათისა“ (AC); „მცირესა სენაკსა“ (D) // „სენაკსა მცირესა“ (ABC); „იგი განსუენებად“ (BD) // „განსუენებად იგი“ (AC); „მიერ წმიდისა“ (BD) // „წმიდისა მიერ“ (AC); „სიტყუად ესე“ (BD) // „ესე სიტყუად“ (AC); „დაუტევეთ, კაცნო“ (D) // „კაცნო, დაუტევეთ“ (ABC); „აჩუენოს ქრისტეანობისაჲ“ (BD) // „ქრისტეანობისაჲ აჩუენოს“ (AC); „თანა შენთა“ (BCD) // „შენთა თანა“ (A); „შრომაჲ და ჭირი“ (BD) // „ჭირი და შრომაჲ“ (AC); „ბაგრატ და მარკიანე“ (BD) // „მარკიანე და ბაგრატ“ (AC); „პატიოსნისაჲ ჯუარისა(ე)“ (BD) // „ჯუარისა პატიოსნისაჲ“ (AC); „ონისიფორე აღვიდა“ (BD) // „აღვიდა ონისიფორე“ (AC), და სხვ.

სიტყვათა მატების მხრივ BC ნუსხები საერთო სურათს 6 მაგალითში გვიჩვენებს, BD ნუსხები – 215, ხოლო BCD ნუსხები – 24 მაგალითში, სიტყვათა დაკლების მხრივ BC ნუსხები ერთმანეთს 5 შემთხვევაში თანხვდება, BD ნუსხები – 249, ხოლო BCD ნუსხები – 15 შემთხვევაში, სიტყვათა რიგის შეცვლის ფაქტები BC ნუსხებში არ აღინიშნება, BD ნუსხებში ის 33 შემთხვევაში დასტურდება, ხოლო BCD ნუსხებში – ერთ შემთხვევაში. ცხადია, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თითოეული ფაქტი მხოლოდ ერთ ნუსხაშია დაფიქსირებული, მაგ., სიტყვათა რიგი მხოლოდ B ნუსხაში 18-ჯერ არის შეცვლილი, მხოლოდ C ნუსხაში – 2-ჯერ და მხოლოდ D ნუსხაში – 27-ჯერ.

ნუსხებისთვის ასევე ნიშანდობლივია **სიტყვების შეცვლა:**

„განუხარა“ (C); შდრ. „... განუყარა“ (ABD); „ზღვთ“ (BCD) // „ზღუდით“ (A); „მთავრისამან“ (BCD) // „პრეტორისამან“ (A); „მომტყუებელსა“ (D) // „მომატყუებელსა“ (B) // „მომცემელსა“ (AC); „დაუცადებელად“ (BD) // „დაუცხრომელად“ (AC); „მონაფეთა“ (BD) // „მოციქულთა“ (AC); „გამომი-

სახე“ (BD) // „გამომიხატე“ (AC); „მართალი“ (D) // „მაღალი“ (ABC); „მოყუარება“ (BD) // „მონყალებ“ (AC); „მოართუმი-  
 დეს“ (BD) // „მისცემდეს“ (AC); „შუენიერ“ (D) // „გონიერ“ (ABC); „სირცხვლისანი“ (BD) // „სიცრუვისანი“ (AC); „განმზა-  
 დება“ (D) // „კაზმვა“ (ABC); „საქმესა“ (BD) // „ნესსა“ (AC); „სასნაულთა“ (B) // „სნავლათა“ (ACD); „მოყუარება“ (BD) // „მონყალებ“ (AC); „სამნყსოხსა“ (B) // „სამნყსოხსადა“ (D) // „სარწმუნოებისა“ (AC); „მოიკლნეს“ (BD) // „მოისრნეს“ (AC); „სამკვდრებელ“ (B) // „სამსახურებელი“ (ACD); „შეიმოსე“ (BD) // „მიილე“ (AC); „კეთილადლა“ (B) // „კუალადლა“ (ACD); „უნდეს“ (D) // „ენებოს“ (ABC); „ზახება“ (B) // „ზრახვა“ (ACD); „მიჰყრიდა“ (BD) // „მიჰფენდა“ (AC); „სა-  
 მოსლითა“ (B) // „სამკაულითა“ (ACD); „დაგიტევებიეს“ (B) // „დაგივიწყებია“ (A), „დაგივიწყებიეს“ (CD); „შეიზლუდენით“ (D) // „შეზლუდენით“ (B) // „შეიჭურენით“ (A), და სხვ.

ერთგან შეცვლილია ტოპონიმიც: „წარვიდა გალიად“ (B) // „... გალილიას“ (C); „... გალილიად“ (D); შდრ. „... პალიას“ (A).

**რიცხვის შეცვლა:**

„ქრისტეს ვნებათადა“ (BD); შდრ. „... ვნებისადა“ (AC); „კიდობანი ძელისა“ (BD) // „... ძელთა“ (AC); „აღვრს ესხნეს (B: ესხას) პირთა თქუენთა“ (BD) // „აღვრასხნეთ პირსა თქუ-  
 ენსა“ (AC); „შეხებითა ჳელისადა“ (BD) // „... ჳელთადა“ (AC); „დაასხა საკუმეველი საცეცხურსა“ (BD) // „... საცეც-  
 ხურთა“ (AC); „აღმოსლვასა მისსა წყლისაგან“ (BD) // „... წყალთაგან“ (AC); „ცისკრისა გალობათა“ (D) // „... გალობა-  
 სა“ (ABC); „სიტყუასა მას ცხორებისასა“ (BD) // „სიტყუათა მათ ცხორებისათა“ (AC); „ასწავებდა ერსა“ (B) // „... ერთა“ (ACD); „თუალითა პატიოსნითა“ (B) // „თუალებითა...“ (ACD); „სიტყუანი იგი წინაწარმეტყუელთანი“ (BD) // „... წი-

ნაწარმეცყუელისანი“ (AC); „საწმარსა მ(ა)ს საჭიროსა“ (BD) // „საწმართა მ(ა)თ საჭიროთა“ (AC), და სხვ.

**ორიენტაციის შეცვლა:**

„გამოვედით დაბისა მისგან“ (B); შდრ. „... განვედით...“ (ACD); „მოგებებად მისდა“ (B: მისსა) (BD) // „მიგებებად...“ (AC); „მივედით ეკლესიად“ (BD) // „მოვედით...“ (AC); „მოსცემდა მას“ (BD) // „მისცემდა...“ (AC); „აზნაურებაჲ მონიჭოს“ (D) // „... მონიჭოს“ (ABC); „იგი მივიდა“ (D) // „... მოვიდა“ (ABC); „მოილო... ძელისა მისგან“ (BCD) // „მოილო...“ (A), და სხვა მრავალი. პირისადმი მიმართების კუთხით სხვაობა მიმართ // მომართ თანდებულების საშუალებითაც გამოიხატება: „მოციქულთა მიმართ“ (B) // „... მომართ“ (ACD); „თქუნდა მიმართ“ (B) // „... მომართ“ (ACD).

დადასტურდა, რომ სამივე ნუსხა ერთმანეთს თანხვედბა და ძირითად ნუსხას უპირისპირდება 290 შემთხვევაში; 97 შემთხვევაში საერთო ვითარებას გვიჩვენებს BC ნუსხები, 44 შემთხვევაში – CD ნუსხები, ხოლო 1238 შემთხვევაში – BD ნუსხები.

ძირითად ნუსხასთან ყველაზე ახლოს დგას C ნუსხა. თუ არ ჩავთვლით 15 დაკლებულ ფურცელს ამ უკანასკნელში, სხვაობები მათ შორის მინიმალურია. აშკარაა, რომ მისი საყრდენი ძირითადი ნუსხაა. გაცილებით დიდია სხვაობა ძირითად ნუსხასა და BD ნუსხებს შორის. როგორც თანხვედრის მაჩვენებელი ცხადყოფს, D ნუსხა შეუდარებლად მეტ სი-ახლოვეს ავლენს B ნუსხასთან. როგორც ჩანს, მისი გადამწერი, ძირითადად, ამ ხელნაწერს იყენებდა. მიუხედავად ნუსხებს შორის ზემოთ აღწერილი სხვაობებისა, ისინი არ სცილდება ერთი რედაქციის ვარიანტებს შორის დასაშვები სხვაობების ზღვარს.

**„წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ  
აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის“  
ნუსხათა ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ ტექსტთან  
მათი დამოკიდებულების საკითხისათვის**

„წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, დაცულია cod. Iviron. Geo 21 (1030 წ.) და Sin.O.71 (XIII ს.) ხელნაწერებში. გამოცემაში A ლიტერით აღინიშნება Cod. Iviron. Geo 21 ხელნაწერი, რომელიც ძირითად ნუსხადაა მიჩნეული და B ლიტერით კი Sin.O. Geo. 71. მოკლედ შევხებით ხელნაწერთა ორთოგრაფიისა და ფონეტიკის საკითხებს:

**1.1. ორთოგრაფია და ფონეტიკა:**

A ხელნაწერში, ძირითადად, ჭ ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით არის ნახმარი, ხოლო B-ში კი მის ნაცვლად, უხშირესად, ე გვაქვს: მაგ.: ქრისტჳ A // ქრისტე B; მცირჳ A // მცირე B; მეფჳ A // მეფე B; მჭურვალჳ A // მჭურვალ B; სიმდიდრჳ A // სიმდიდრე B და ა.შ.

ამასთანავე, A ნუსხაში ხშირია შემთხვევები, როცა იქ, სადაც ოდენ ჭ უნდა იყოს, გვაქვს ეჳ: მაგ.: ქრისტეანეჳ A; სიმრავლეჳ A; სიმდიდრეჳ A; საქმეჳ A; ბრწყინვალეჳ A; მეუფეჳ A; ზემდგომარეჳ A, ხეჳ A და ა.შ.

B ნუსხაში ჭ გვხვდება ე-ს ნაცვლად: თუჳსა B; უკუჳ B.

სიტყვაში თთუე-ჲ თავკიდური თ A ნუსხაში ორგზისაა შენარჩუნებული: თთუეჳ A // თუე B; სხვა შემთხვევებში კი ის გვიანდელი, გამარტივებული დაწერილობითაა მოცემული, როგორც B ნუსხაში: თუესა A // თუჳსა B; თუეჳ A // თუჳ B;



თუეჭ A // თუეჭ B; თუეჭ A // თუეჭ B; ორგზის ვხვდებით ერთნაირად ორივე ხელნაწერში: თუესა AB.

არსებითი სახელი „ეპისკოპოსი“ ორივე ნუსხაში გვხვდება არადისიმილირებული ეპისკოპოსი AB (ორგზის); ეპისკოპოსმან AB, ისე A ნუსხაში დისიმილირებული ფორმითაც: ებისკოპოსი A; ებისკოპოსისა A; ებისკოპოსმან A; ებისკოპოსისა A.

თანხმოვანი ვ-ს დაკარგვის მაგალითებია A ნუსხაში: წარედით A; იპოა A; იპოებოდა A; იპოოს A; დაუტეოს A; ჰპოებენ A; ეკლოანითა A; ფეროანი A.

თანხმოვანი ვ-ს დაკარგვის მაგალითებია B ნუსხაში: მოვიპოო B; ჰპოებენ B.

ვ ბგერა დაკარგულია და -ებ თემის ნიშანი -ობ-ით არის ჩანაცვლებული A ნუსხაში: დაუტევებ B // დაუტეობ A.

უ-ს რედუცირების მაგალითია A ნუსხაში: სუთ B // სკთ A.

კომპლექსი შჯ რჩ-თი არის, უმეტესად, გადმოცემული A ნუსხაში: უშჯულოსა B // ურჩულოსა A; უშჯულოთა B // ურჩულოთა A; უშჯულოებად B // ურჩულოებად A; უშჯულო B // ურჩულო A და ა.შ. ამასთან, შეიძლება შეგვხვდეს დანერვილობაც: უშჯულომან AB; უშჯულოთა AB.

რიცხვით სახელში „რაოდენ“ A ნუსხაში ერთხელ გვხვდებით იოტამეტობას: რაოდენ B // რაოდენ A, მეორე შემთხვევაში კი რედუცირებულ ფორმას: რაოდენნი B // რავდენნი A.

იოტამეტობა გვხვდება B ხელნაწერშიც, მაგ.: გონეზაეცთომილო B; მხოლომან B.

ზმნის ამოსავალი ფორმა „თავყანის-ცემა“ არცერთ ხელნაწერში გვხვდება, მისგან მიღებული თავყუანის-ცემა გვხვდება B ხელნაწერში, ხოლო კონტამინირებული ფორმა თავყუანის-ცემა კი A ნუსხაში და ერთგზის ორივეში: თავყუანის-ვსცემ AB; თავყუანის-ცემად A // თავყუანის-ცემად B;

თავყუანის-სცემ **A** // თავყუანის-სცემ **B**; თავყუანის-ეც **A** // თავყუანის-ეც **B**; თავყუანის-ვეც **A** // თავყუანის-ვეც **B** და ა.შ.

სიტყვაში „აღსაარება“ **B** ხელნაწერში ორგზის დაკარგულია ერთი ა: აღსაარებასა **A** // აღსაარებასა **B**.

ბოლოკიდური დ ლ-ს სახით არის წარმოდგენილი **A** ხელნაწერში: მოსიკუდიდ **B** // მოსიკუდილ **A**.

თანხმოვანი მ დაკარგულია **B** ხელნაწერში: ოკდომბერსა **A** // ოკდომბერსა **B**.

კ ბგერა ი-ს ნაცვლად განვითარებულია **A** ნუსხაში: ფჳრჳ **A**.

კ ბგერა განვითარებულია **A** ნუსხაში: შემემთხუევის **B** // შემემთხუევის **A**.

შთა- ზმნისწინი გვიანდელი ჩა- სახითაა **A**-ში: შთამოყარნიან **B** // ჩამოყარნიან **A**.

ათჳკდმეტ- და აჩჳკდმეტ- ფორმათა კონტამინაციის შედეგად მიღებული ფორმა ათჩჳკდმეტი გვხვდება **A** ნუსხაში: მეთათჩჳკდმეტესა **A** // მეთათჳკდმეტესა **B**.

ზმნისწინი დამო- გვიანდელი, რედუცირებული, სახით და- წარმოდგენილია **A**-ში: თავდაქცევით **A** // თავდამოქცევით **B**.

ჯ ბგერა განვითარებულია **A**-ში: ჳინჯჳველი **A**.

კითხვითი ნაწილაკი -ა დაკარგულია **B** ნუსხაში: ჳერეთცა არა მოდრეკილ არსა გონებაჲ შენი **A** // ჳერეთცა არა მოდრეკილ არს გონებაჲ შენი **B**.

ახალი აბზაცის დასაწყისში საზედაო ასოს ხმარების გამო უ ბგერა ოჳ დანერვილობით, ასომთავრულის ანალოგიით, არის გადმოცემული **A** ხელნაწერში: **ა.ჟ ჟ ჟ ჟ** **A**.

რიცხვითი სახელი რიცხვის ნაცვლად სიტყვითაა დაწერილი **B** ნუსხაში: აღესრულა ესეცა კეთილად მძღჳ მოწამჳ აითალა თთუესა ივლისსა იდ-სა **A**, იდ-სა|ათოთხმეტსა **B**; ხოლო წმიდათა მამათა დაანესეს სამთავე საჳსენებელი აღსრულებად თთუესა ნოემბერსა გ-სა **A**, გ-სა|სამსა **B**.

ფაქტობრივად, ყველა ფონეტიკური თუ ორთოგრაფიული მოვლენა, რაც **AB** ხელნაწერებში დასტურდება, აღწერილი აქვს ზურაბ სარჯველაძეს თავის ნაშრომში “ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი” (სარჯველაძე 1984). ისინი მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება უამრავ XI საუკუნის შემდგომ ხელნაწერში და ასახულია ამ ხელნაწერთა ტექსტების პუბლიკაციებს თანდართულ გამოკვლევებში.

## **1.2. ბერძნული დედნის გავლენით ან უმისოდ არსებული განსხვავებანი „წამება ნმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაჰისს” ხელნაწერებში**

ძველი ქართული ხელნაწერების გადამწერები ხშირად ბრმად არ იწერდნენ დედნისეულ ტექსტს, არამედ მათ მცირე თუ საგრძნობი შესწორებები შეჰქონდათ თავიანთ ასლებში. ამგვარ ვარიანტულ წაკითხვებს, რაც შეიძლება ჩვენი ტექსტის შემთხვევაში, „მცირე” განსხვავებებად მივიჩნიოთ, რომლებიც არ ცვლიან ტექსტის შინაარსს, ვხვდებით „წამება ნმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაჰისს” ორ ხელნაწერში. მაგალითები იმდენად მცირეა, რომ მათ უკლებლივ აღვნიშნავთ: შემკობილი **A** // შემკობილი იყო **B** (2);<sup>1</sup> თქუა **A** // ჰრქუა **B** (5); მოგუთმთავარმან **A** // მოგუთა მთავარმან **B** (5); შეინანენ პირველქმნულნი ცოდვანი **B** // შეინანონ პირველქმნულთა ცოდვათა **A** (5); არარას **A** // არარასა **B**; ტანჯვასა **A** // სატანჯველსა **B** (22); გონებანი **A**

---

<sup>1</sup> „წამება ნმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაჰისს” ექვთიმე მთაწმიდელისეული თარგმანის ტექსტი გამოცემაში პარაგრაფებად არის დაყოფილი ბერძნული დედნის გამოცემის მიხედვით. აქ და შემდგომ, ფრჩხილებში ჩასმულია პარაგრაფის ნომერი, რომელსაც მიემართება მაგალითი.

// გულნი B (26);<sup>1</sup> ტანჯვათაგან A // სატანჯველთაგან B (47); ტანჯვათა|სატანჯველთა B (50).

განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტული ნაკითხვა, რომლებიც ე.წ. გადამწერ-რედაქტორის მიერ შეიძლებოდა ჩასწორებულიყო თხზულების ტექსტში: არაარსა A // **არარასა B** (28). აქ ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: Ἐπειδὴ εἰς **μὴ ὄντα** θενὸν ἄμισαζ καὶ τὴν ταλαίπωρον ἀνόμισαζ, ექვთიმეს თარგმანშია: ვინაჲთგან **არაარსა** მას ღმერთსა ჰფუცე და ბედი უძღური მოკუდავისა მეფისაჲ ავსენე. ბერძნული **μὴ ὄντα** „არ არსებული“ სპეციალური თეოლოგიური ტერმინი არ არის, რომელიც აქ ექვთიმემ სრულიად ადეკვატურად თარგმნა, როგორც „არაარსი,“ რაც სწორად არის ასახული A ხელნაწერში, ხოლო B-ს „არარა“ აქ ბერძნულ დედანს არ შეესაბამება, ამიტომ მისი ვარიანტული ნაკითხვა სქოლიოში ჩავიტანეთ.

შეიბლანენ A // **შეილებენ B** (28). ბერძნულ დედანში, შესაბამის ადგილზე ვკითხულობთ: εἰς **μὴ ποιήσῃτε αὐτοῖν τὸ πρὸσταγμα**, εἰς ταῦτα ἴμῶν διαφθεῖρω τὰ σώματα καὶ **μοῖσῶ** τῷ αἵματι τὰς πολιὰς ἴμῶν, **μηδὲμίαν** φειδὸν ποιοῦμενος ἴμῶν. ექვთიმეს თარგმანშია: ამით ზროხისა ტყავებითა დაიბძარნენ ჯორცნი თქუენნი და სისხლითა თქუენითა **შეიბლანენ** მცენი თქუენნი. ბერძნული ზმნა **μοῖσῶ** პოლისემიურია, მისი მნიშვნელობებია: „დალაქავება, შებლალვა, ნაბილწვა, დასვრა, შელება“ (Liddell, Scott 1996, 1142). როგორც ვხედავთ, თხზულების ორივე ხელნაწერში ბერძნული ზმნის ორი სხვადასხვა მნიშვნელობაა მოცემული (A-ში შებლალვა, B-ში შელება). ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აქ საქმე გვაქვს ბერძნული ენის მცოდნე გადამწერებთან, ვინც შეადარა ექვთიმეს ტექსტი ბერძნულ ხელნაწერს, ანაც ინტუიტიურად და შინაარსიდან ამოსვლით, შეცვალა ქართულში ზმნა.

---

<sup>1</sup> ამ მაგალითის შესახებ მსჯელობაა ქვემოთ, გამოკვლევის 2.1. ნაწილში.

ბრძანება A // **ნება** B (31). შესაბამისი ადგილი ბერძნულ დედანშია ასეა წარმოდგენილი: Ποίησον τὸ **πρόσταγμα** τὸν βασιλέα καὶ σῶθιτι. ექვთიმეს თარგმანშია: ქმენ **ბრძანება** მეფისა და სცხოვნდე. ბერძნული τὸ πρόσταγμα ნიშნავს „ბრძანებას, ბრძანებულებას, დეკრეტს, გამოცემულს მეფის ან სხვა ძალაუფლების მქონე პირის მიერ, დებულებას, მცნებას” (Lampe 2005, 1182). როგორც დავინახეთ, აქ **B**-ს ვარიანტს, **ნება**, ვერ მივანეროთ ბერძნული სიტყვის სხვა მნიშვნელობით თარგმნას, აქ, კონტექსტიდან გამომდინარე, **B**-ს გადამწერმა თავისი შეხედულების მიხედვით ჩაანაცვლა სიტყვა შინაარსიდან ამოსვლით.

შეკრნეს A // **დააკრნეს** B (38). შესაბამის ადგილას ბერძნულ დედანშია: Καὶ πανταχόθεν σχοινίους **κατέσφυζεν** αὐτοῦς. ექვთიმეს თარგმანშია: და **შეკრნეს** საბლითა. ბერძნული **κατέσφυζεν** ზმნის κατασφύγω III პ. მხ. რ. აორისტის ფორმაა, რაც ნიშნავს: მჭიდროდ შეკვრას, მოჭერას, დაჭერას, შეპყრობას, ერთად შეკვრას, შეკავებას, შეჩერებას (Lampe 2005, 722). როგორც ვხედავთ, აქ **B**-ს **დააკრნეს** არ არის შეპირობებული ამოსავალი ბერძნული დედნით, არამედ გადამწერის მიერ, კონტექსტიდან ამოსვლით, დაზუსტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

უმეტეს A // **უალრეს** B (38). წინადადება, რომელშიც **B**-ში **უალრეს** გვხვდება, ტექსტში ჩამატებულია ექვთიმე მთანმიდელის მიერ.<sup>1</sup> აქ საქმე გვაქვს გადამწერის მიერ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვით ჩანაცვლებასთან.

ჰგონებ B // **ჰბასრობ** A (49). შესაბამის ადგილას ბერძნულ დედანშია: Οὐχ οἶπτα, ἀς **ὑπέλαβες**, ἀπόσει. ექვთიმეს თარგმანშია: არა ეგრეთ არს, ვითარ შენ **ჰგონებ**, უშჯულოო. აქ ბერძნული **ὑπέλαβες** ზმნის ὑπολαμβάνω II პ. მხ. რ. აორისტის ფორმაა, რაც „ამოლებას, ამოყვანას, დისკუსიაში: ინ-

---

<sup>1</sup> ამ მაგალითის შესახებ მსჯელობაა ქვემოთ, გამოკვლევის 2.2. ნაწილში.

ტერპრეტირებას, გარკვეული კუთხით გაგებას, ნარმოდგენის მიღებას, ვარაუდს, ეჭვის გაჩენას, არ დაჯერებას” (Liddell, Scott 1996, 1886) ნიშნავს. აქ ისევ ვხვდებით მხოლოდ ქართულ ნიადაგზე, გადამწერის მიერ შინაარსის შეცვლას. საინტერესოა, რომ აქ ბერძნული დედნის შესაბამისი **ჰგონებ B**, უფრო მოგვიანო ხელნაწერშია და **ჰპასრობ** კი A-ში.

ცხორება]ცეცხლისაჲ B (51). შესაბამის ადგილას ბერძნულ დედანშია: *Εἰπέ μοι, τὸ ἔτι εἰς τὸν ταρακτικὸν ἔκεινον λογιζομὸν ἐνίστασαι καὶ οὐ πειθῆς σὺν ἡμῖν ποιοῦσαι ἡσυχίαν, ἴνα ἤσῃς;* ექვთიმეს თარგმანშია: მითხარ შენ, უკუეთუ მასვე მაცილობელსა გულისსიტყუასა ზედა ხარა და არა გნებავს თაყუანის-ცემად მზისაჲ და **ცხორებაჲ?** აქ ცხორებაჲ//ცეცხლისაჲ აღრევა ორთოგრაფიულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო და არა შინაარსის გათვალისწინებით სიტყვის ჩანაცვლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების შემცველი ორივე ხელნაწერი შემდგომი ხელით არის ჩასწორებული. აქ გასწორებულია ორთოგრაფიული და კალმისეული შეცდომები. კრიტიკული ტექსტის სქოლიოში ხელნაწერის გადამწერის პირველ ხელს # ნიშნით აღვნიშნავთ, მაგ.: A#, B#, ხოლო მეორეს, გვიანდელი გამსწორებლისას ნიშნით – \*, მაგ.: A\*, B\*.

2. „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადექებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის” ბერძნული დედნისა და მისი ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ურთიერთმიმართებისათვის

ცნობილია, რომ ექვთიმე ათონელი ზედმიწევნითი სიზუსტით არ თარგმნიდა ხოლმე ბერძნული დედნის ტექსტს. ის თავისუფლად ეპყრობოდა სათარგმნ მასალას, ხშირად ცვლიდა წინადადების, ფრაზების შინაარსს აზრის ცვლილებითა თუ შეუცვლელად, გადმოსაცემი აზრის გასაძლიერებლად ბერძნულ ცალკეულ სიტყვებს იმავე, ან განსხვავებული შინა-

არსის ქართულისათვის და მისი სტილისათვის უფრო მორგებული ტექსტით ანაცვლებდა. ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი მრავალი წელია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს და განსაკუთრებით, ბოლო ხანს, საფუძვლიანადაა შესწავლილი (ბეზარაშვილი 2004; ბეზარაშვილი, მაჭავარიანი 1995, 226-288; ჩიკვატია, ტყეშუჩავა 2022, 82-106; ოთხმეზური 2016; კოჭლამაზაშვილი 2003; კოჭლამაზაშვილი 2014ა, 585-672; კოჭლამაზაშვილი 2014ბ, 673-731; მაჭავარიანი 2004-2005, 165-176; მელიქიშვილი 2015, 36-49; ზვიადაძე 2011, 27-112; Gippert 2013, 75-84; Høgel 2020, 353-364). ექვთიმეს მთარგმნელობით მეთოდს „კლება-მატებას“ უწოდებენ არსენ იყალთოელის დახასიათების გამო, რომელიც მან მოგვცა „დიალექტიკის“ შესავალში, არსენი წერს: „... რომელსა ძალი მისცეს ღმერთმან ამათდა გადანერად, ესე დაიმარხენ, რაათა უკუეთუ მოკლე „წინამძღუარი“ უნდეს, **წმიდისა მამისა ეფთჳმეს მიერ თარგმნილი**, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისაათა **ჯელ-ენიფებოდა შემატებაცა და დაკლებაცა**“ (რაფავა 1976, 67). აქ არსენი გვეუბნება, რომ ვისაც კი „წინამძღვრის“ მოკლე ვერსიის გაცნობა უნდა, მან უნდა მიმართოს ეფთვიმეს თარგმანს, რადგან სული წმიდის მადლით მას შეეძლო შამატებად და დაკლებაც. სწორედ ამ მეთოდითაა თარგმნილი ექვთიმეს მიერ ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მოწამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასი.“ ჩვენ შევადარეთ ექვთიმეს თარგმანი ბერძნულ დედანს (Delehay 1905, 517-534) და აღვნიშნეთ ეფთვიმეს მიერ ქართულ ტექსტში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც სამ ჯგუფად დავყავით: ექვთიმეს მიერ ტექსტის გადაკეთება/გადასხვაფერება; „მატება“ და „კლება“. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, განხილულია ექვთიმეს საღვთისმეტყველო თხზულებები, სადაც ის „კლება-მატების“ მეთოდს აქტიურად იყენებს. არსებობს მოსაზრება, რომ ექვთიმე ამ მეთოდს ნაკლებად იყენებდა ჰაგიოგრაფიული თხზულებების თარგმნისას (გიგაშვილი 2022, 24). ჩვენი კვლევა საპირისპიროზე მეტყველებს.

ჩვენ ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ექვთიმეს მიერ წამების ბერძნული დედნის „კლება-მატების“ მთარგმნელობითი მეთოდით გადასხვაფერებულ მაგალითებს: 2.1.-ში განვიხილავთ შემთხვევებს, როცა ექვთიმე გადააკეთებს/გადაასხვაფერებს სათარგმნ ტექსტს; 2.2.-ში ბერძნულ დედანთან მიმართებით „მატების“ მაგალითებს, ხოლო 2.3.-ში მოვიყვანთ შემთხვევებს, სადაც ექვთიმე „კლებას“ მიმართავს. აქვე აღვნიშნავთ, რომ არ მოვიხმობთ ისეთ უმნიშვნელო ნიმუშებს, როგორცაა ბერძნული დედნის ერთი სიტყვის იმავე მნიშვნელობის ან შინაარსის მეორე ქართული სიტყვით ჩანაცვლების, ან უმნიშვნელო სიტყვების გამოტოვება ან დამატება, რითაც სათარგმნი ტექსტის შინაარსი სრულიად არ იცვლება. ეს ყოველივე, ფაქტობრივად, ექვთიმეს თარგმანის ყოველ მეორე წინადადებაში გვხვდება.

## **2.1. „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსი“ ბერძნული ტექსტის ექვთიმე მთაწმიდელის მიერ გადასხვაფერების ნიმუშები**

„წამების“ პირველივე წინადადებები ექვთიმემ განსხვავებულად თარგმნა. მან დედნისეული **ოცდამეჩვიდმეტე** წელი ქართულში **მეჩვიდმეტე** წლით-თი შეცვალა, შემდეგ მთელი წინადადება უაღრესად შეამოკლა და სრულიად განსხვავებული ტექსტი მოგვცა. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: **Ἐν ἔτει τριακοστῷ ἕβδόμετῳ τοῦ διωγμοῦ ἡμῶν πρόσταγμα σκληρὸν ἐξήλθεν καὶ ἐξουσία τοῖς ἀσεβέσιν ἀρχιμάχοις ἐδόθη κατὰ παντὸς τοῦ γένους τῶν χριστιανῶν, ὅπως ἐν παντοίοις εἶδεις βασάνων καὶ κολαστηρίων τιμωρήσονται αὐτοὺς καὶ λιθασμῷ καὶ πυρὶ θανατώσασιν αὐτούς· διαβλήσκονται δὲ τῷ βασιλεῖ ποιμένες γενναῖοι, οἵτινες οὐκ ἔκρυσαν τὴν διὰ τὸν Χριστὸν παρρησίαν αὐτῶν ἐν τῷ διωγμῷ τούτῳ ἀπὸ τῶν ἀνόμων καὶ λειτουργῶν τῆς ἀσεβείας. Οἱ δὲ διαβάλλοντες ἀσεβεῖς ταῦτα ἔλεγον τοῖς ἄρχουσιν αὐτῶν ὅτι, რაც ნიშნავს: ჩვენი დევნის**



ოცდამეჩვიდმეტე წელს, სასტიკი ბრძანება გამოიცა და ძალა-უფლება გადაეცათ ურჯულო მოგვთმთავრებს ყველა ქრისტიანის მიმართ, რომ დაესაჯათ ყველა სახის სატანჯველით და წამებით და მოეკლათ ისინი ქვით ჩაქოლვით და ცეცხლით, და მამაცი მწყემსები, ვინც არ მალავდა თავის სითამამეს ქრისტეს მიმართ უკანონობის მსახურთა მიერ ამ დევნისას, წინ აღუდგნენ მეფეს. და ამ ბოროტმა ეშმაკებმა უთხრეს თავის მმართველებს. ქართულ თარგმანში ამის ნაცვლად გვაქვს: **წელსა მეთაშვდმეტესა დევნულებისა ქრისტეანეთასა, მეფობასა სპარსეთს უშჯულოჲსა და უკეთურისა საბურისსა, უთხრეს, ვითარმედ (1).**<sup>1</sup>

ბერძნულ დედანში წერია: **πάντα δὲ τὰ εἰς βρώσιν τῶν τετραπόδων νενομισμένα καὶ τῶν πετεινῶν χωρὶς διαλογισμῶν θνεῖν τε καὶ ἐσθίειν, ἀλλὰ μὴν καὶ τοὺς νεκροὺς θάπτειν καὶ γωρίζειν ὅτι περ καὶ τὰ ἄγρια ζῷα καὶ πάντα τὰ τετράποδά τε καὶ τὰ ἐρπετὰ μὴ τὸν σατανᾶν πεποιθέναι ἀλλὰ τὸν Θεόν,** რაც ნიშნავს: ყველაფერს, რაც ნებადართულია საჭმელად ოთხფეხა ცხოველებისა და ფრინველთათვის, დაუფიქრებლად, სწირავენ და დაჭამენ, თავიანთ მკვდრებსაც კი არ მარხავენ, და იციან, რომ გარეულ მხეცებსაც და ყველა ოთხფეხა ცხოველს და ქვეწარმავალს არ სწამს ეშმაკი, არამედ ღმერთი. ამის ნაცვლად ქართულ თარგმანშია: **ხოლო იყოფებიან იგინი ლოცვითა და მარხვითა და არავის თავს-იდებენ სხუასა დამბადებულად სოფლისა, ანუ იძრვისთა თქუმად გარეშე ღმრთისა მათისა (1).**

შემდეგი მაგალითიდან ჩანს, რომ ექვთიმემ სრულიად შეცვალა ამოსავალი ბერძნული ტექსტი. ბერძნულ დედანშია: **Καὶ ὅτε ταῦτα ἴκουσαν ἐκεῖνοι οἱ ὄρχοντες τῆς ἀσεβείας, θυμῷ μεγάλῳ κατεφλέγοντο καὶ ὥσπερ <πῦρ> ἐν δρυμῷ θυμῷ ἀσχέτω κατὰ τῶν χριστιανῶν ἐξεκαίοντο. Ἐν τῷ καιρῷ οὗ τούτῳ**

<sup>1</sup> აქ და შემდგომ, მოხმობილი მაგალითის ბოლოს რიცხვი ფრჩხილებში ტექსტის პარაგრაფზე მიუთითებს.

κατεσχέθη ὁ ἁγιώτατος ἐπίσκοπος Ἀκεψιμᾶς ἀπὸ πατρίδος  
 Ναησὸν καλουμένης, πρεσβύτης πάνυ, ὀγδοηκοστὸν ἔτος ἄγων,  
 τῷ μὲν σώματι ἰσχυρὸς καὶ ὠραῖος τῷ εἶδει σφόδρα γένους τε  
 μεγάλου καὶ πλουσίου καὶ ἀγάπην πολλὴν πρὸς τε ξένους καὶ  
 πτωχοὺς κεκτημένος, ὃς καὶ διὰ τῆς συνούσης αὐτῷ χάριτος  
 πολλοὺς ἔλληνας ἐπέστρεφεν εἰς τὴν γῶσιν τῆς ἀληθείας· ἦν δὲ  
 εἷς πάσας τὰς ἐντολὰς τοῦ κυρίου ἄμεμπτος, ἐγκρατὴς δὲ οὐκ  
 ἀπὸ ἄρτου καὶ ὕδατος μόνον ἀλλὰ καὶ ἀπὸ παντὸς πονηροῦ  
 πράγματος, ἐν δὲ τῇ κατανύξει τοσοῦτος ἦν ἐν ταῖς προσευχαῖς,  
 ὥστε πάντα τὸν τόπον βρέχειν τοῖς δάκρυσιν προσευχόμενον, რაც  
 შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: ეს სიტყვები რომ მოისმინეს,  
 დიდი რისხვით აღენთნენ ურჯულო მთავრები, ტყეში  
 ხანძრის მსგავსად, ააღდნენ ქრისტიანების მიმართ უწმინდური  
 რისხვით. ამ დროს უწმიდესი ეპისკოპოსი აკეფსიმა შეიპყრეს,  
 რომელსაც სამშობლოს მიხედვით ნაესონი ეწოდა, ოთხმოცი წლის,  
 ჯანსაღი და ლამაზი სხეულით, რომელსაც ჰყავდა დიდებული  
 საგვარეულო, გამორჩეული და მდიდარი, ვინც მოიხვეჭა დიდი  
 სიყვარული უცხოთა და ღატაკებისაგან, მისი მაღლით მრავალი  
 წარმართი მოექცა ჭეშმარიტების შესაცნობად. ის უბინო იყო  
 უფლის ყველა მცნების დაცვისას, იკავებდა რა თავს არა  
 მხოლოდ პურისა და წყლისაგან, არამედ ყოველგვარი ბოროტებისაგან  
 და იმდენად მხურვალედ ლოცულობდა, რომ ლოცვისას მთელს  
 ადგილს (მინას) ცრემლებით რწყავდა. ეს ტექსტი ექვთიმეს  
 გადაკეთებული აქვს: ჩამატებულია პირველი წინადადება;  
 წმიდა აკეფსიმას დასახასიათებლად პარაგრაფის ბოლო  
 (ხაზგასმული) წინადადებაც მთლიანად არის  
 ეფთვიმეს მიერ ჩამატებული: **ხოლო მიიღეს რა  
 ბრძანებაჲ ესე, მსახურთა მათ ეშმაკისათა და მთავართა მათ  
 უშჯულოესა მის მეფისათა, დიდი მოსწრაფებაჲ აჩუენეს  
 აღსრულებად სიტყუათა უღმრთოესა საბურისთა. ხოლო მას  
 უამსა შინა შეიპყრეს წმიდაჲ ეპისკოპოსი აკეფსიმა,  
 რომელი იყო ქუეყანისა მისგან, რომელსა ეწოდებოდა  
 ნაისონ და ნათესავისაგან დიდისა და  
 შემკობილისა დიდებითა და სიმდიდრითა მრავლი-**

თა. და იყო იგი მოხუცებულ ჰასაკითა, ვითარ ოთხმეოცისა წლისა, კაცი შემკობილი ყოვლითა სათნოებითა და მუშაკი გამოცდილი ქრისტეს მცნებათა, განშორებული ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, **რომელი-იგი მარხვითა და ლოცვითა აღასრულებდა დღეთა თვსთა** და აქუნდა სიყუარული დიდი და მონყალებად გლახაკთად და უცხოთად, ხოლო ლმობიერებად ესოდენი იყო მის თანა, ვიდრეღა ყოველსავე ადგილსა, სადაცა დადგის ლოცვად, დაალტობდა ცრემლითა. **ესრეთ უკუე შემკობილი ყოვლითა კეთილითა, ქადაგებდა წმიდასა სამებასა ერთღმრთეებასა და მრავალთა წარმართობისაგან ქრისტეანობად მოაქცევდა (2).**

ბერძნული ფრაზა *Ο δὲ περὶ αὐτὸν ἐφίλησε τὸ παιδίον*, რაც ნიშნავს: ყრმა ხელში აიყვანა და აკოცა მას, ექვთიმემ ისე თარგმნა, რომ შეამსუბუქა ყრმისადმი წმიდანის ზედმეტად თბილი დამოკიდებულება: მაშინ წმიდამან ეპისკოპოსმან შეიტკბო იგი და მოიკითხა (3).

ბერძნული ტექსტი, სადაც წინასწარმეტყველი ყრმა პაპასი ეპისკოპოსის აღსასრულზე საუბრობს, **Ὡς ἀπέρχη καὶ αὐτὸς εἰς τὴν πόλιν σου, οὐκ ἔχεις φθάσαι εἰς αὐτήν· ἄλλ' ἐν τῇ δόδῃ τῇ καλομένη Ἀθραδάρᾳ ἔκει ἔχεις τελευτήσει**, ანუ: მაშინ, როცა ის თქვენს ქალაქში ჩამოვა, თქვენ ვერ მიაღწევთ მას; მაგრამ აღესრულებით ხეობაში, რომელსაც ათრადარა ჰქვია, ექვთიმემ ამგვარად გადააკეთა: **მიხვდოდი რა სოფელსა შენსა, რომელსა ჰრქვან ადრან, მგზავრ მოინიოს აღსასრული შენი (3).** როგორც ვხედავთ, აქ არა მხოლოდ წინადადების პირველი ნაწილია შეცვლილი, არამედ, ექვთიმემ შეცვალა ტოპონიმის სახელიც და ხეობა შეცვალა სოფლ-ით. ბერძნულ ტექსტში **ხეობა Ἀθραδάρᾳ**-ს სახელით მოიხსენიება, სადაც, წინასწარმეტყველების მიხედვით, გზად ეპისკოპოსი გარდაიცვლებოდა. ექვთიმემ ქართულ თარგმანში, რატომღაც, **ხეობა სოფლ-**ით ჩაანაცვლა და მას **ადრან** უწოდა.

ამ თხრობის შემდეგ ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: **Καὶ καθὼς εἶπεν τὸ παιδίον, οὕτως καὶ συνέβη**, ანუ: როგორც

ყრმამ თქვა, ეგრეც მოხდა. ამ წინადადების თარგმნისას ექვთიმემ შეგვახსენა, რომ ყრმა პაპასმა უწინასწარმეტყველა არა მხოლოდ მეორე ეპისკოპოსს მისი სიკვდილი, არამედ აკეფსიმას – წმიდანის მონამებრივი აღსასრული და პაპასის წინასწარმეტყველება ორივეს მიმართ ახდა. ამ წინადადებაში ჩამატებულია ფრაზა **ლვთისმსახური ძმა** პაპასის შესახებ, რაც ბერძნულში არ გვაქვს: **და შეემთხვა ორთავე ეგრეთ, ვითარცა თქუა ღმრთისმსახურმან ძმამან პაპას (3).**

შემდეგი წინადადება **Ἐντεῖλαι περὶ τῆς οἰκίας σου, ἵνα μὴ ἐρημωθῆ**, რაც ნიშნავს: იზრუნე შენს სახლზე, რომ არ გაპარტახდეს, ექვთიმე მთანმიდელმა ამგვარად გადააკეთა: **ამცენ რაამე სახლისა შენისათვს და ყოვლისათვს, რააცა გაქუს, ნუუკუე ვერლარა უძლო მოქცევადა და ხილვადა მისა (4).**

ბერძნული ფრაზა **ὅτι διδῶσκεις τοὺς ἀνθρώπους τὰ ἐναντία τοῦ βασιλέως τῶν βασιλευόντων**; რაც ნიშნავს: რატომ უქადაგებ/ასწავლი ხალხს მეფეთა მეფის წინააღმდეგ? ეფთვიმემ ამგვარად გადააკეთა ქართულ თარგმანში: **თუ ასწავებ კაცთა წინააღმგომისა ქმნად მეფეთა ბრძანებისა? (5)** აქ ვხედავთ, რომ სპარსეთის მეფის ტიტულატურა **Βασιλεὺς τῶν βασιλευόντων** (მეფეთა მეფე) ეფთვიმემ დაამცრო და შაბურ II მხოლოდ მეფედ მოიხსენიებს.

აკეფსიმა მოგვთმთავრის საპასუხოდ ამბობს: **Ἐνα Θεὸν μόνον κηρῶσσω τοῖς ἀνθρώποις, ὅπως μετανοήσωσι καὶ ἐπιστρέψωσιν ἐκ τῶν ὀδῶν αὐτῶν τῶν πονηρῶν καὶ τὰ ἀρεστὰ αὐτῶ ποιήσωσι, καθὼς γέγραπται ἐν ταῖς ἀγίαις ἡμῶν γραφαῖς**, რაც ნიშნავს: მე ერთ ღმერთს ვუქადაგებ ხალხს, რომ შეინანონ და მოიქცნენ თავიანთი ბოროტი გზიდან და მისთვის მოსანონად იმოქმედონ, როგორც წერია ჩვენს წმიდა წიგნებში. ექვთიმემ, რამდენსამე ადგილას გადააკეთა ეს წინადადება, ჩაამატა და გააძლიერა კიდევ წმიდანის აზრი. მის თარგმანში ვკითხულობთ: რამეთუ ჭეშმარიტად ერთსა ღმერთსა უქადაგებ **კაცთა სამგუამოვნებით დიდებულსა** და ვასწავლი მათ, რათა მოიქცენ მისა და შეინანენ **პირველქმნულნი ცოდვანი**

და ყონ რაჲ იგი, სათნო არს წინაშე მისა, რაჲთა მიემთხვნენ ცხო-  
რებასა საუკუნესა.“ (5).

შემდეგი წინადადება: **ἰδοὺ γὰρ τὴν ἀλήθειαν ἀρνεῖσθε καὶ  
λοιγίζεσθε τὰ κτίσματα καὶ τὰ ποιήματα ἐκεῖνα εἶναι  
προσκυητά**, რაც ნიშნავს: აი, თქვენ უარყოფთ ჭეშმარიტებას  
და ამ ქმნილებებს თაყვანისცემად მიიჩნევთ, ექვთიმე მთანმი-  
დელს სრულიად შეცვლილი აქვს: **უფროხლა საცთურ ენოდე-  
ბის და არა მოძღურება, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ უვარ-გიყოფიეს  
და ეშმაკთა ჰმსახურებთ** (7).

წმიდა იოსები და აითალა მოგვთმთავრისთვის საპასუხო  
სიტყვაში ამბობენ: **Ἡμεῖς ἀληθεῖς ἐσμεν, καὶ γοητεῖαν οὐκ  
οἶδαμεν, ἀλλὰ ἀλήθειαν πάντα ἄσθραπον διδάσκομεν ἐπὶ τὸ  
γῶναί τὸν ζῶντα Θεόν**, რაც ნიშნავს: ჩვენ მართლები ვართ და  
არ ვიცით მაცდურობა, მაგრამ ჩვენ ვასწავლით ჭეშმარიტე-  
ბას ყველა ადამიანს, რომ შეიმეცნონ ცოცხალი ღმერთი. ექ-  
ვთიმემ აქ: ა) ბერძნული ფრაზა **γοητεῖαν οὐκ οἶδαμεν** „ჩვენ არ  
ვიცით ჯადოქრობა (მაცდურობა)“ ჩაანაცვლა **„განშორებულ-  
ნი სიცრუვისაგან“**-ით; ბ) ბერძნული **ἀλήθειαν πάντα ἄσθραπον  
διδάσκομεν ἐπὶ τὸ γῶναί τὸν ζῶντα Θεόν** „ჩვენ ვასწავლით ჭეშ-  
მარიტებას ყველა ადამიანს, რომ შეიმეცნონ ცოცხალი ღმერ-  
თი,“ შეცვალა შემდეგი აზრით: **ეგრეთცა** ვასწავლით კაცთა  
**მონებად** ღმრთისა ცხოველისა. **ეგრეთცა**-ში ექვთიმე წინადა-  
დების დასაწყისში მსჯელობას გულისხმობს, როცა წმიდანები  
ამბობენ, რომ „ჩვენ კაცნი ვართ ჭეშმარიტნი და განშორე-  
ბულნი სიცრუვისაგან;“ ხოლო ბერძნული **ἐπὶ τὸ γῶναί τὸν  
ζῶντα Θεόν** „რომ შეიმეცნონ ცოცხალი ღმერთი“, რატომღაც  
შეცვალა შემდეგი ფრაზით: **მონებად ღმრთისა ცხოველისა**.  
ექვთიმეს თარგმანი: ჩვენ კაცნი ვართ ჭეშმარიტნი და განშო-  
რებულნი სიცრუვისაგან და **ეგრეთცა ვასწავლით კაცთა მონე-  
ბად** ღმრთისა ცხოველისა.“ (10).

შემდეგი მსჯელობა ბერძნულ ტექსტში ამ სახით  
გვხვდება: **Μαθόντες, ὅτι οὐ μένει οὐδὲ ἰδρυταὶ ἐν τῷδε τῷ κόσμῳ**

ἀλλ' ὥσπερ σκιά παρέρχεται, και οὔτε πρὸς σὲ μένει τὸν ἀγαπῶντα αὐτόν, ἀλλὰ και ἀπὸ τῶν πλουτούντων φεύγει. Ὁμοίως δὲ και ἀπὸ τῶν ἀρχόντων ἢ ἐξουσία, και γίνεσθε ἐν τῷ ἄδῃ γῆ και σποδός და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: შევიცანით რა, რომ არაფერი რჩება ან მკვიდრდება ამ სამყაროში, მაგრამ როგორც ჩრდილი, ჩაივლის, არც თქვენთან დარჩება, ვისაც ის გიყვართ, ის მდიდრებსაც ისევე გაგექცევათ, როგორც ძალაუფლება ხელიდან ეცლებათ მმართველებს და ჯოჯოხეთში თქვენ მიწად და ნაცრად იქცევით. ქართულ თარგმანში ჩვენ შავით გამოვყავით ექვთიმეს მიერ ჩამატებული ტექსტი, ხოლო მის მიერ გადაკეთებული – ხაზგასმით: ჩუენ გვსწავიეს, ვითარმედ **დიდება სოფლისა და სიმდიდრე** დაუდგრომელ არს და ვითარცა აჩრდილი წარვალს, **რამეთუ, აჰა, ესერა, მოიწიოს სიკუდილი და წარწყდეს დიდება შენი და სიმდიდრე**, ვითარცა ყოვლადვე არა ყოფილი და იქმნა შენ მიწა და ნაცარ, ხოლო სული შენი იტანჯებოდის ჯოჯოხეთს შინა (12).

შემდეგი წინადადება ექვთიმემ თავისუფლად თარგმნა, არ დაარღვია აზრი, მაგრამ ოდნავ გადააკეთა ის. ექვთიმეს მიერ ჩამატებულ სიტყვებს ვაშავებთ, ხოლო გადასხვაფერებულ თარგმანს კი ხაზგასმით წარმოვადგენთ. ბერძნულ დედანშია: Διὰ τοῦτο οὐκ ἐπιθυμοῦμεν τὴν δόξαν τὴν παρερχομένην, ἀλλὰ τὴν μένουσαν εἰς αἰῶνα αἰῶνος, ἢν ὁ Θεὸς ἠτοίμασεν <ἡμῖν> τοῖς ἀγαπῶσιν αὐτόν, რაც ნიშნავს: ამდენად, ჩვენ არ გვსურს დიდება, რომელიც ჩაივლის, არამედ ის, რაც სამუდამოდ არსებობს, ის, რაც ღმერთმა მოგვიმზადა ჩვენ, ვისაც ის გვიყვარს. ექვთიმეს თარგმანში კი ვკითხულობთ: **ესე უწყით ჩუენ** და ამისთვის **გუძულს დიდება და სიმდიდრე სოფლისა და სურვიელ ვართ დამკვდრებად სიმდიდრესა მას ზეცისასა და დიდებასა მას დაუსრულებელსა** (12).

ბერძნულ დედანშია: Ἔασον **ταῦτα πάντα, ὅτι ἐμοὶ περιττά ἐστί,** რაც ნიშნავს: მიატოვე ეს ყოველივე, რადგან უსარგებლოა ჩემთვის. ექვთიმემ აქ შეამოკლა წინადადება და ლაკო-

ნიურად გადმოსცა აზრი, რომელიც არ დაურღვევია: დაუტევე ცუდადმეტყუელება შენი (13).

ბერძნულ დედანში შემდეგი ტექსტი მოსდევს ნმიდა აითალას ცემით ნამების სცენას: **δεινὴ δὲ ὄντως ἦν ἡ θλίψις αὐτῆ καὶ ἄνευ οἰκτιρῶν. Καὶ ὁ ἄγιος Ἀειθαλᾶς ὁ ἀληθὼς γίγας ἐβόα ἐνυβρίζων τὸν ἀρχιμάγον καὶ ἐπιλέγων οὐτως**, რაც ნიშნავს: მართლაც, ეს გასაჭირი ჭეშმარიტად საშინელი იყო და სრულად დაცლილი სიბრალულისაგან. და ნმიდა აითალამ, ჭეშმარიტად დიადმა, ამოიყვირა, გალანძლა რა მოგვთმთავარი და ამგვარად მიმართა. ამ ტექსტის ნაცვლად ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ მხოლოდ მშრალ და უემოციო წინადადებას: **ესრეთ იგუემებოდა რაე ნეტარი იგი, ეტყოდა მძლავრსა მას** (18).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ა) ფრაზებს ადგილები შეუცვალა; ბ) სალანძლავი სიტყვები, რომლითაც ნანამები ნმიდა აითალა მიმართავს მოგვთმთავარს, ოდნავ გადააკეთა და **ἀνοσίως τρώγων πᾶν σκῆνωμα** „ყველა სხეულის უკეთურად შთანმთქმელო“ ჩაანაცვლა **მძორისმჭამელ**-ით. ბერძნულ დედანში: **Μιὰρὲ καὶ αἰμοπόττα, κύσον ἀκάθαρτε καὶ κόριαξ, ἀνοσίως τρώγων πᾶν σκῆνωμα, οὐ φοβῶμαι τὰς βιάσανουσ εσσυ**, რაც ნიშნავს: საძაგელო და სისხლისმსმელო, უწმინდურო ძაღლო და ყორანო, ყველა სხეულის უკეთურად შთანმთქმელო, მე არ მეშინია შენი სატანჯველის. ექვთიმეს მიერ ასეა თარგმნილი: **არა მეშინის მე სატანჯველთა შენთაგან, შეგინებულო და სისხლისმჭამელო ძაღლო, ყორანო არანმიდაო, მძორისმჭამელო** (18).

ექვთიმეს მიერ გადასხვაფერებულია შემდეგი წინადადება: **τινὲ ποιοῦμαι λόγον, μιὰρῶτατε καὶ τρισάθλιε**, რაც ნიშნავს: მე ვამბობ სიტყვას (ვაკეთებ განაცხადს), ბილწო და სამგზის უბედურო. ამ ტექსტის თარგმნისას ექვთიმე ათონელმა შეცვალა პირველი სიტყვები და გადააკეთა ეპითეტი, რომლითაც აითალა მიმართავს მოგვთმთავარს. აქ **μιὰρδς, μιὰρῶτατος** ნიშნავს, მორალური თვალსაზრისით, საზიზღარს,

საძაგელს, საზარელს; ასევე ბინძურს, დასვრილს (Lampe 2005, 870), τρισάθλιος სამგზის უბედურს ნიშნავს (Liddell, Scott 1996, 1822). აქ τρισάθλιος ექვთიმემ ჩაანაცვლა „უბადრუკი მაცთურით.“ ექვთიმეს თარგმანშია: არარად შემირაცხიე შენ, **უკეთურო და უბადრუკო მაცთურო (18).**

ექვთიმე ათონელმა გადააკეთა შემდეგი წინადადებაც. ბერძნულ დედანშია: ὄσας δὲ θελήσεις ἐν τῇ πικρίᾳ σου ἐπενέγκαι ἡμῖν θλίψεις καὶ βιασάνους, ἐτοίμας ἔχομεν ὑποδέξασθαι πάντα σου τὰ ἐπιτηδύματα, **ὦ ἄθλιε καὶ θεομάχε τύραννε**, რაც ნიშნავს: რაც არ უნდა ბევრი დაბრკოლება და ტანჯვა, როგორიც გინდა, უნდა მოაწიო ჩვენზე შენი რისხვით, ჩვენ მზად ვართ ავითანოთ ყველა შენი ნამოქმედარი, ო, საცოდავო და ღვთისმებრძოლო ტირანო! **ὦ ἄθλιε καὶ θεομάχε τύραννε** „ო, საცოდავო და ღვთისმებრძოლო ტირანო-ს“ ნაცვლად, რაც მოგვთმთავარს მიემართება, ექვთიმემ დაწერა, რომ „მონამენი მათი უფლის, იესო ქრისტეს, ვინც არის საუკუნეთა მეუფე, შეწვევით აიტანდნენ სატანჯველს და მისი ძალით შეარცხვენდნენ მას და მის ძალას უძლურებად გამოაჩენდნენ.“ ექვთიმეს თარგმანია: ან უკუე, ვითარნიცა ჯერ-გირჩნან სატანჯველნი, მოაწიენ ჩუენ ზედა, რამეთუ მზა-ვართ ყოველსავე თავს-დებად **შენვენითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელი იგი არს მეუფე საუკუნეთა და ძალითა მისითა გარცხვნით შენ და ყოველნი ღონენი შენნი უძლურად გამოვაჩინენით (20).**

ექვთიმემ გადააკეთა შემდეგი წინადადება და აზრიც შეუცვალა მას. ბერძნულ დედანშია: καὶ ἐκβαλὼν αὐτοὺς ὁ ἀρχιμάρτυς οὐτως ἐν τοῖς δεσμοῖς ὄντας, **θεασαμένους κλαίειν ἐπ' αὐτοὺς**, რაც ნიშნავს: გააგდო რა ისინი, მოგვთმთავარმა, სანამ ისინი ისევ ბორკილდადებულები იყვნენ, დაინახა, რომ ისინი მათზე ტიროდნენ. ამ შინაარსის წინადადების ნაცვლად ექვთიმე მარტივად წერს: და გამოიყვანნა იგინი მოგუთა მთავარმან მან, **რომელი სტანჯვიდა და წარიყვანნა მეფისა (24).**

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ჩაანაცვლა ὁ ἄσπεϋξ Ἀδερσαβάρ „უკეთური ადერსაბორი“ „მთავარი მოგვთმთავარი



ადერით.” აქ არა მხოლოდ საკუთარი სახელი Ἀδερσαβάρ არის შეცვლილი, რომელიც რამდენჯერმე მას გამოტოვებული აქვს ტექსტში, არამედ ἄσσειῆς „უკეთური“ ჩანაცვლებულია მისი ტიტულატურით. ბერძნულ დედანშია: **Εἶπεν δὲ πρὸς αὐτὸν ὁ ἄσσειῆς Ἀδερσαβάρ**, რაც ნიშნავს: უთხრა მათ უკეთურმა ადერსაბორმა. ექვთიმეს თარგმანია: **ჰრქუა მათ ადერ, მთავარმან მოგუთა მთავართამან (24).**

ბერძნულ დედანშია: **ἀλλ' ἔδραϊοι ὄντες καὶ στερεοὶ εἰς τὴν ἄβηθον τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ ἐγκαρτεροῦμεν**, რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: მაგრამ ვართ რა ურყევი და მტკიცე ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრძოლაში, ჩვენ გავუძლებთ. ეს წინადადება გადააკეთა ექვთიმემ და მას ამგვარი სახე აქვს: არამედ **მტკიცე არიან გონებანი ჩუენნი წამებად ღმრთისა ჩუენისათვის (26).** აქ, როგორც, ჩანს, წმიდანების ზოგადი ურყევობისა და სიმტკიცის ჩვენებას, ექვთიმემ არჩია, რომ ღვთისათვის წამებისათვის წმიდათა გონების სიმტკიცეზე ესაუბრა. საინტერესოა, რომ აქ **A** ნუსხაშია **გონებანი**, ხოლო **B**-ში კი **გულნი**.

შემდეგი ფრაზა, რომელსაც მოგვითმთავარი მონამეებს ეუბნება, ექვთიმემ სრულად გადააკეთა: **ἕως οὗ ποιήσω τὸν ὀφθαλμὸν ὑμῶν θεάσασθαι τὸν δεινὸν καὶ πικρὸν ὑμῶν βίον**, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: სანამ არ ვაიძულებ შენს თვალებს, დაინახონ შენი საშინელი და მწარე ცხოვრება. აქ ექვთიმე სრულიად სხვა ფრაზას გვთავაზობს, თუმცა არ ცვლის მუქარის აზრს: **ვიდრემდე განვკაფნე ჯორცნი თქუენნი სატანჯველითა თითოსახითა (27).**

შემდეგ წინადადებას ექვთიმე მეტად თავისუფლად თარგმნის. შინაარსის გარდა, რომელიც გადაკეთებულია, ბერძნულში ირიბი თქმაა, ქართულში კი – პირდაპირი. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: **Ἐκραξεν δὲ ὁ παμμίαιρος μετ' ὀργῆς μεγάλης τοῦ ἐκτεῖναι αὐτόν**, რაც ნიშნავს: მაგრამ უსადაგლესმა/უუკეთურესმა დაიყვირა დიდი რისხვით, რომ განერთხათ იგი. ექვთიმეს თარგმანშია: **მაშინ უმჯულომან მან**

**რისხვით ჳმა-ყო: „განაშიშულეთ ეგე და განუჰყრენით მჳარნი ძლიერად!“ (29)**

ნმიდა აკეფსიმას გარდაცვალების შემდეგ მოგვითავრის წინაშე წარდგა ნმიდა იოსები და ქრისტიანობის დატოვებისა და მაზდეანობის მიღების საპასუხო სიტყვა თქვა. აქ ექვთიმემ გამოტოვა პირველი ფრაზა და შეცვალა ბერძნული ტექსტი: **Γνωστόν σοι ἔστω, ὃ δὺσσεβέστατε**, ὅτι ἐγὼ τῷ ἡλίῳ οὐ προσκυνῶ· οὐ γάρ ἐστιν θεός, καὶ τὸ κελευσθῆν ὑπὸ τοῦ ἀνόμου σου βασιλέως οὐ ποιῶ, διότι κακῶς καὶ παρανόμως ἐκέλευσεν· οὔτε μὴν τὸν Θεόν μου τὸν ζῶντα εἰς τοὺς θεοὺς σου, κτίσματα αὐτοῦ καὶ ποιήματα ὑπάρχοντα, ἀνταλλάσσω· ὃ τοῖσιν θέλεις ποιεῖν, ποιεῖ διὰ τάχους, რაც ნიშნავს: იცოდე, უკეთურო, რომ მე მზეს არ ვეთყუანები, რადგან ის არ არის ღმერთი; და მე არ დავემორჩილები თქვენი უკანონო მეფის მიერ მოცემულ ბრძანებას, რადგანაც მან ის არასწორად და უკანონოდ გამოსცა. არც ჩემს ცოცხალ ღმერთს გავცვლი თქვენს ღმერთებზე, ვინც მისი ქმნილებები და საქმეებია. ამიტომ, რისი ქმნაც გინდა, ქენი სწრაფად. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: მე მზესა არა თავყუანის-ვსცემ, რამეთუ **არა ღირს-არს** და ბრძანებასა მეფისასა არა აღვასრულებ, რამეთუ უჯერო არს იგი და არცა ღმერთსა ჩემსა დაუტეობ და ვჰმონებ **ცუდთა** მათ ღმერთთა თქუენთა და **არარათა**. ან უკუე, რაჲცა გნებავს, ქმენ აღრე (31).

ექვთიმემ გადააკეთა შემდეგი წინადადებაც, რომელიც ბერძნულ ტექსტში ასე იკითხება: **Ἐτεροι δὲ ἐπεφώνουν αὐτῷ· «Ποίησον τὸ πρόσταγμα τοῦ βασιλέως καὶ σῶθιτι,»** რაც ასე ითარგმნება: სხვები კი უყვიროდნენ მას: „აღასრულე მეფის ბრძანება და გადარჩები.“ აქ ექვთიმემ ჩაანაცვლა **ἔτεροι** „სხვები“ **ქადაგ**-ით და ქართულ თარგმანში მივიღეთ: და **ქადაგი** ჳმობდა: „ქმენ ბრძანებაჲ მეფისაჲ და სცხოვნდე“ (31).

შემდეგ პასაჟში ექვთიმე მთანმიდელმა ა) შეამოკლა პირველი წინადადება; ბ) მსჯელობაში მხოლოდ ერთი ღმერთის შესახებ, დაამატა სიტყვები, **სამებით, დიდებული;** გ) შეა-

მოკლა იოსების ბოლო ფრაზა. ბერძნულ ენაზე ვკითხულობთ: Ὁ δὲ ὄσιος Ἰωσήφ ἀνεβόα φωνῇ μεγάλῃ λέγων· « Εἶς μόνος ἐστὶν Θεὸς ὁ ποιήσας τὰ πάντα καὶ ἕτερος οὐκ ἔστι παρ᾽ ἐξ αὐτοῦ. **Καὶ ἡμεῖς δὲ εἰς μίαν πίστιν τὴν αὐτοῦ καὶ εἰς μίαν ἀλήθειαν καὶ προθυμίαν** ἰστάμεθα.» რაც ნიშნავს: და წმიდა იოსებმა ამოიყვირა მაღალი ხმით და თქვა: ერთი ღმერთი არის მხოლოდ, ვინც შექმნა ყველა საგანი და არ არსებობს სხვა მის გარდა. და ჩვენ (მტკიცედ) ვდგავართ მის ერთ რწმენასა და ერთ ჭეშმარიტებასა და გულმოდგინებაში. ექვთიმეს თარგმანშია: ხოლო **წმიდა იგი იტყოდა**: „ერთ არს ღმერთი **სამებით, დიდებული** და დამბადებელი ყოველთაჲ და სხუაჲ ღმერთი არა არს მისა გარეშე და **ჩვენ სარწმუნოებასა მისსა ზედა მტკიცე ვართ**“ (32).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ჩაანაცვლა ბერძნული **ἐκέλευσαν** „უბრძანეს“ **ბრძანა მოგუთმთავარმან**-თი. ბერძნულშია: Καὶ μετ’ οὐ πολὺν, μαθόντες, ὅτι ἤν’ ἔτι, **ἐκέλευσαν** αὐτὸν τηρεῖσθαι, რაც შეიძლება ასე ვთარგმნოთ: და ცოტა ხნის შემდეგ, როცა შეიტყვეს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, უბრძანეს, რომ დაეცვათ (იგულისხმება დატყვევება დაცვის ქვეშ) იგი. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: და შემდგომად მცირედისა უამისა ცნეს, ვითარმედ ცოცხალ არს და **ბრძანა მოგუთმთავარმან** დამარხვად მისი (32).

წმიდა აითალა მიმართავს მოგვთმთავარს და ეუბნება: Ἐσαμάρτω, ὃ ταλαίπωρε καὶ **τυφλῆ** καὶ μὴ βλέπων τοῖς τῆς διανοίας ὀφθαλμοῖς, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: მაკვირვებ, უბადრუკო და ბრმაო, რომ ვერ ხედავ გონების თვალით. აქ ექვთიმე ა) ტოვებს ბერძნულ **τυφλῆ** “ბრმა“-ს, ნოდ. ბრ.-ში; ბ) ამატებს **უგუნურებაჲ შენი** და გ) ბრმას სვამს შემდეგ კონტექსტში: ჭეშმარიტად ბრმა არიან შენი გონების თვალები, რაც სრულიად არ ცვლის აზრს; დ) ამატებს წინადადებაში **ჭეშმარიტად**, რაც არ დასტურდება ბერძნულ ტექსტში. ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: მიკვრს, უბადრუკო, **უგუნურებაჲ**

**შენი**, რამეთუ **ჭეშმარიტად** ბრმა არიან თუალნი გონებისა შენისანი (33).

წმიდა აითალას წამების აღწერისას ბერძნულ დედანში ამგვარ წინადადებას ვკითხულობთ: **Καὶ τείνουσιν αὐτὸν τεσσαράκοντα ἄνδρες ἰσχυροὶ καὶ ἕτεροι ἄνδρες δυνατοὶ ἔτυπτον αὐτὸν ἄνευ οἰκτιρμῶν, ὡς ἐπὶ λίθου καὶ ξύλου καταφέροντές τὰς μύστιγας**, თუ ქართულად ვთარგმნით, მივიღებთ: და ორმოცი ძლიერი კაცი და სხვა ღონიერი კაცები უმონყალოდ ურტყამდნენ მას, თითქოს ქვასა და ხის ძელზე, უშვებდნენ (მასზე) შოლტებს. წამების ეს სცენა ექვთიმემ გაამარტივა, გადააკეთა და მის თარგმანში ვკითხულობთ, რომ იგი 40-მა კაცმა განართხა და სხვები კი სცემდნენ მას ზურგსა და მკერდზე: და **განართხეს იგი ორმოცმან კაცმან და სხუანი ჰგუემდეს ზურგსა მისსა და მკერდსა**. (34).

ექვთიმემ გადაასხვაფერა შემდეგი წინადადება, რომელიც ბერძნულ დედანში ასე იკითხება: **Ὁ δὲ ἄγιος καὶ γενναῖος μάρτυς τοῦ Χριστοῦ Ἀειθαλῆς ἐβόα φωνῇ μεγάλῃ λέγων**, ანუ: ხოლო წმიდა და ახოვანმა ქრისტეს მოწამე აითალამ მაღალი ხმით დაიყვირა და თქვა. ექვთიმემ აქ შეცვალა თითქმის ყველა სიტყვა და მის თარგმანშია: **ხოლო ნეტარი იგი ეტყოდა უშჯულოსა მას მოგუთმთავარსა** (34).

წამების შემდეგ ასე მიმართავს წმიდა აითალა მოგვთმთავარს: **Ὡ μίαιρὲ καὶ ἀκάθαρτε κύον καὶ πάντων ἀνθρώπων ἀθλιώτερε καὶ ταλαιπωρότατε καὶ ἀσθενῆ καὶ σαθρότατε, ὥσπερ γὰρ σὺ ἀσθενὴς καὶ χαλνός**, ოწთავს კაი აἰ βᾶσανοὶ σου οἱ τε ὑπηρέται σου ἀσθενεῖς καὶ ἄναδρῶν, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ო, უკეთურო და ბინძურო ძაღლო და ყველა ადამიანზე უფრო უვარგისო/უბადრუკო და უსაბრალოესო და უმწეო და უგახრწნილესო! რამდენადაც შენ უძლური და გამოუსადეგარი ხარ, იმდენადვე არიან შენი წამებანი და შენი მსახურები სუსტები და მშიშრები. აქ ექვთიმემ საკმაოდ შეამოკლა ბერძნულ დედანში არსებული ეპითეტები, რომლითაც აითალა მოგვთმთავარს მიმართავს და ქართულ თარგმანში

ვკითხულობთ: ჟ, ბილნო და არანმიდაო ძალლო, ვითარცა შენ უძლური ხარ და დაქსნილი, ეგრეთვე სატანჯველნი შენნი და მტარვალნი უძლურნი არიან და დაქსნილნი (34).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ გადააკეთა გეოგრაფიული და ადამიანის საკუთარი სახელები. ბერძნულ დედანშია: Ὁ δὲ μαρτὸς καὶ ἀνόσιος καλέσας Ἀδεσχαρχῦρ τὸν ἀρχιμάγου πατριδὸς Ἀδιαβ εἶπεν πρὸς αὐτόν, რაც სიტყვა-სიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: შემდეგ უკეთურმა და უწმინდურმა დაუძახა ადესხორხარს, მოგვთმთავარს ადიაბის მხარიდან და უთხრა მას. როგორც ვხედავთ, ბერძნულში პირველი მოგვთმთავრის სახელი არ არის, რომელსაც ექვთიმე აქ ადერს უწოდებს, ოდნავ შეცვლილია მხარის სახელწოდება (ედვევი) და შემდეგ, ექვთიმე გვაძლევს მეორე მოგვთმთავრის სახელად ადესქარს, რაც ბერძნულ დედანში არ იკითხება. ექვთიმეს თარგმანშია: მოუწოდოდა უშჯულომან მან ადერ სხუასა მოგუთა მთავარსა, რომელი-იგი იყო მთავარი ქუეყანისა მის ედეავი-საჲ და ეწოდებოდა ადესქარ და ჰრქუა მას (37).

ექვთიმე მთანმიდელი შემდეგ წინადადებასაც გარდაქმნის. ბერძნულ დედანშია: Παραχρήμα δε ἤγαγεν δύο ζῷα καὶ λαβὼν αὐτοὺς ἐνώπιον τοῦ ἀρχιμάγου ἐπέθηκεν αὐτοὺς ἐπ' αὐτά, რაც სიტყვა-სიტყვით შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: მაშინვე, მოიყვანა ორი ცხოველი, და მიიყვანა რა მოგვთმთავრის წინაშე, შესვა ისინი მასზე. ექვთიმემ აქ შინაარსი გადააკეთა და გამოვიდა, რომ (მოგვთმთავარმა) ადესქარმა ორი სახედარი მოიყვანა და შესხეს მათზე წმიდა მონამეები, იოსები და აითალა, მაშინ, როცა ბერძნულის მიხედვით, მოგვთმთავრის წინაშე მიიყვანეს ორი ცხოველი, რომლებზეც შესხეს ისინი. მაშინ მოიყვანა ადესქარ ორნი საჯედარნი და დასხნეს წმიდანი იგი მონამენი იოსებ და აითალა მათ ზედა (38).

მაღალი წოდების და მდიდარი სპარსელი ქალი ისდანი-დული იყო ქრისტიანი. ის დაეხმარა საპყრობილეში მყოფ იოსებს და აითალას. ბერძნულ დედანში ეს პასაჟი ამგვარადაა აღწერილი: καὶ πέμψασα τοὺς δύολους αὐτῆς νεκτός, ἤνεγκεν

**αὐτοὺς βασταγμῷ εἰς τὴν οἰκίαν αὐτῆς. Ὡς δὲ ἐθεάσατο αὐτοὺς οὕτως ἀπανθρώπως ἠλκωμένους, λαβοῦσα ὀθόνην καθαρὰν, δι' ἑαυτῆς ἐπέδησε τὰ τραύματα αὐτῶν, ἀπομάσσουσα τὸ αἷμα αὐτῶν καὶ τὴν ἀκαθαρσίαν·** ἤλειφεν δὲ τῷ λύθρῳ τῷ ἅπ' αὐτῶν στάζοντι τὸ σῶμα αὐτῆς καὶ κατεφίλει τὰς παραλελυμένας αὐτῶν χεῖρας καὶ τοὺς συντετριμμένους αὐτῶν βραχίονας καὶ ἐπαλείφουσα αὐτοὺς μύρω ἔκλαιεν πικρῶς ὄλην τὴν νύκτα οὕτω; γὰρ ἔκειντο οἱ ἄγιοι ἔμπροσθεν αὐτῆς ὥσπερ **τι τῶν ἀψύχων καὶ ἀναισθητῶν,** რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: მან (ისდანდულმა) გაგზავნა ღამით თავისი მსახურები და მათ წმიდანები მის სახლში მიიყვანეს. როცა მან დაინახა, რომ ასე არაადამიანურად იყვნენ დანყლულულები/დაჭრილები, მან აიღო სუფთა ნაჭერი და თავად გადაუხვა მათ წყლულები, სწმენდა მათ სისხლსა და ჭუჭყს. სხეულზე იცხებდა ჩირქს, რომელიც მათი იარებიდან დიოდა, ჰკოცნიდა მათ პარალიზებულ/დაუძლურებულ ხელებს და დამტვრეულ მხრებს და სცხებდა მათ ნელსაცხებელს, ტიროდა რა მწარედ მთელი ღამის განმავლობაში, რადგან წმიდანები იწვნენ მის წინაშე უსიცოცხლოდ და უგრძნობად. ექვთიმემ აქ ტექსტი გადააკეთა და გამოვიდა, რომ თავად ისდანდულმა წაიყვანა თავისი მსახურები და თავადაც წავიდა საპყრობილეში, შევიდა მათთან და ჰკოცნიდა მათ ფეხებსა და წყლულებს და ამის შემდეგ უბრძანა თავის მსახურებს, რომ აეყვანათ და მის სახლში წაეყვანათ, სადაც მოუარა მათ. ექვთიმეს თარგმანი: და ვითარცა შემწებდა, **წარიყვანა დედაკაცმან მან კურთხეულმან მონანი თვისნი და წარვიდა საპყრობილედ, შევიდა წმიდათა მათ წინაშე, ამბორს-უყოფდა ფერწთა მათთა და წყლულებათა მათთა. და უბრძანა მონათა თვისთა ტვრთვად მათი და წარყვანება სახლად თვისა. და წარიყვანა რაჲ,** მოსწრაფებით იღუანა იგინი, დაბანა წყლულებანი მათნი და შეხვნა ჴელითა თვისითა და წალასა მას წყლულებისა მათისასა იცხებდა **თავსა თვისსა** და გუამსა და ამბორს-უყოფდა დაწსნილთა მათ ჴელთა და შემუსრვილთა მკლავთა

და სცხებდა მათ ნელსაცხებელსა და ტიროდა ღამე ყოველ, რამეთუ **იყვნეს** წმიდანი იგი, **ვითარცა მკუდარნი** (39).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანი ქალი ისდანიდული „აკეფსიმას, იოსების და აითალას წამების“ ტექსტში რამდენჯერმე იხსენიება. ამ პასაჟის დასაწყისში ის ტექსტში ამგვარად იხსენიება: ხოლო იყო ქალაქსა მას შინა დედაკაცი ვინმე ქრისტეანს მდიდარი ფრიად, რომლისა საჯსენებელი კურთხეულ იყავნ, სახელით **ისდანიდულ, ვითარცა სხუასაცა წიგნსა შინა მონამეთასა გჯსენებია**, რამეთუ პატივ-სცემდა იგი ყოველთა ქრისტეანეთა და ყოველთა წმიდათა, რომელნი ქრისტესთვს იტანჯებოდეს, იღუნიდა და ჰმსახურებდა. აქ თხზულების ანონიმი ავტორი ამბობს, რომ ისდანიდული სხვა მონამეთა წიგნშიც გვიხსენებია-ო. ჩვენს „წამებაში“ ისდანიდული რამდენიმეჯერ გვხვდება. ჩვენ გულდასმით ვეძებთ ისდანიდული სპარსეთში მეფე შაბურ II დროს წამებულ სხვა ქრისტიანთა წამების წიგნებში და წმიდანთა სხვა კრებულებში, Clavis Patrum Graecorum-სა (Geerard 1974-2003) და Bibliotheca Hagiographica Graeca-ში (BHG 1909), მაგრამ ვერ მივაკვლიეთ. ძალზე საინტერესოა, რომ ა. გალონიო წიგნის „ქრისტიან მონამეთა წამებები და ტანჯვები“ IV თავში ახსენებს „წმიდა იოსების ამბავს,“ სადაც ისდანიდულიც ფიგურირებს (Gallonio 2013, 60-61). გალონიოს მოჰყავს რამდენიმე ციტატა თხზულებიდან, რომელიც წმიდა იოსების ქვით ჩაქოლვით წამებას აღწერს. ეს პასაჟი ჩვენს წამებაში 56-59-ე პარაგრაფებშია მოცემული და გალონიოს მიერ მოხმობილი ციტატები ძალზე ჰგავს „აკეფსიმას, იოსების და აითალას წამების“ ტექსტის შესაბამის ადგილებს.

აითალასთან კამათით დაღლილი მოგვთმთავარი მიმართავს მას, ბერძნულ დედანშია: Ἦ γόης καὶ ἀσεβῆ, διὰ τί τοσοῦτον φλῶραις καὶ ὑβρίζεις με, ἐμοῦ μακροθυμοῦντος, ἵνα πάντως ἐφ’ ἅπαξ τὴν κεφαλὴν σου λάβω καὶ ἀπαλλαγῆς πολλῶν θλίψεων καὶ βασάνων· οὐχ οὐτως δὲ σοι ἔσται, ἀλλὰ μακροθυμήσω ἐπὶ σοὶ καὶ κατ’ ὀλίγον ἀναλώσω σε, καθὼς

**ἐπιθυμῆ ἢ ψυχὴ μου, ὧσπερ οὐκ καὶ ἐκελεύσθην**, რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: ო, მაცთურო და უკეთურო, რად ყბედობ ამდენს და მაყენებ შეურაცხყოფას, სანამ მე გითმენ, ახლავე წარგკვეთ შენ თავს (სიტყვა-სიტყვით: ავიღებ შენ თავს) და გაგათავისუფლებ მრავალი ტანჯვისა და წამებისაგან? მაგრამ ასე არ იქნება შენთვის; არამედ მოთმინებით ვიქნები შენს მიმართ და ნელ-ნელა გაგანადგურებ შენ, როგორც ისურვებს ჩემის სული, ისე, როგორც მე მიბრძანეს. ექვთიმემ აქ ა) გამოტოვა, თუ როგორი მოთმინებით იტანდა მოგვთმთავარი აითალას შეურაცხმყოფელ სიტყვებს; ბ) ამოიღო ტექსტი, რომ ისევ მოთმინებით და ნელ-ნელა გაანადგურებდა მას მოგვთმთავარი და ამგვარად თარგმნა ქართულად: ამისთვის ესევითართა სიტყუათა გინებისათა მეტყუ, ზ, მაცთურო, რაათამცა მყის თავი წარგკუეთე და განერი ჭირისაგან და სატანჯველთა მრავალთა? **არამედ არა გექმნების ეგე, ვიდრემდის მრავლითა გუემითა განილიო, ვითარცა სწადის გულსა ჩემსა** (45).

შემდეგი წინადადება თითქმის სრულად გადააკეთა ექვთიმემ. აქ იოსები მიმართავს მოგვთმთავარს. ბერძნულ დედანშია: **καὶ ὄλον τὸ σῶμά σου ἕβασας εἰς τὸν θυσμὸν καὶ ὧς δράκων διαφθορεὺς οὐτως διψᾷς τοῦ διαφθεῖραι ψυχὰς ἀνακειμένας Θεῷ**, რაც ნიშნავს: მთელი შენი სხეული შეღებე ბრაზით და, როგორც დრაკონს, გამანადგურებელს, გწყურია ღვთისთვის მიძღვნილი სულების განადგურება. ექვთიმეს თარგმანშია: **და გონებაჲ შენი სურვიელ არს ჭამად ჯორცსა კაცთასა, ვითარცა ვეშაპი** (45).

ამის შემდეგ იოსები ეუბნება მოგვთმთავარს: **λοιπὸν οὐκ φανέρωσον τὸν ὄλον σου, ὧ ταλαίπωρε, καὶ δεῖξον τὴν ἐξουσίαν σου, ὧ τύραννε, καὶ σπάσον σου τὴν μάχαιραν, ὧ φονεῦ, καὶ τὸν θυσμὸν σου ἀνάπαυσον εἰς τὸ ἄθῶν ἡμῶν αἶμα, ὧ αἰμαπότα, ἵνα κατακριθῆς εἰς τὴν αἰώνιον κρίσιν καὶ τὸ πῦρ τὸ ἄσβεστον, καὶ πέμψον ἡμᾶς σὺν πλούτῳ πολλῷ καὶ δόξῃ εἰς τὴν βασιλείαν τῶν οὐρανῶν, εἰς ἣν ζητοῦμεν καὶ ἐπιθυμοῦμεν εἰσελθεῖν, αὐτὴ γὰρ**



**καταργεῖ τὴν βασιλείαν ἡμῶν ταύτην καὶ τὴν ἐξουσίαν ἡλῶν τὴν πρόσκαιρον**, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ახლა კი, გამოავლინე შენი სიცრუე, უკეთურო, და გვაჩვენე შენი ძალა, მთავარო, და დაამტვრიე შენი ხმალი, ო, მკვლელი, და დაიმშვიდე შენი რისხვა ჩვენი უმანკო სისხლის მიმართ, ო, სისხლისმსმელი, რათა დამნაშავედ იქნა ცნობილი საუკუნო სამსჯავროზე და ჩაუქრობელი ცეცხლი (მოგესაჯოს), და ჩვენ კი გაგვგზავნი დიდი სიმდიდრითა და დიდებით ცათა სასუფეველში, რომელსაც ვეძიებთ და ვესწრაფვით შესვლად, რადგანაც ის აბათილებს/აცამტვერებს ამ შენს სამეფოს და შენი მატერიალური საგნების წარმავალ ძალას. ექვთიმემ იოსების ეს სიტყვები მნიშვნელოვნად შეკვეცა, გადააკეთა და ლაკონიურად გადმოგვცა. ექვთიმეს თარგმანი: **ან უკუე, ნუ ჰყოფნი, არამედ გამოაჩინე ზაკუვად შენი, უბადრუკო, და დააცხრვე გულისწყრომად შენი დათხვევითა უბრალოთა სისხლთა ჩუენთათა, ზ, სისხლისმჭამელო, და წარგუგზავნენ ჩუენ სიმდიდრითა დიდითა ზეცისა სასუფეველსა, სადა-იგი სურვიელ-ვართ მიწვენად (45).**

წმიდა იოსები მიმართავს მოგვთმთავარს, რაც ბერძნულ დედანში ამგვარადაა გადმოცემული: **Ἀποστῆτε ἀπ’ ἐμοῦ, μισῶτάτοι καὶ ἐργάται τῆς ἀνομίας, εἰς τὸ αἰῶνιον πῦρ· αὐτὸ γὰρ καὶ τιμωρήσεται ἡμᾶς ἐν τῷ καιρῷ ἐκείνῳ**, რაც ნიშნავს: მომშორდით, უბილწესნო და უსამართლობის მოქმედნო, (მიემართეთ) მარადიულ ცეცხლში, რადგან ის დაგსჯით იმ დროს (იგულისხმება დრო, როცა მარადიულ ცეცხლში მოხვდებიან). ეს წინადადება ექვთიმემ მცირედ გადააკეთა, ამოიღო „უკეთურები“ და მსჯელობა მარადიული ცეცხლით (მოგვთმთავრების) დასჯის შესახებ მაშინ, როცა იქ ისინი მოხვდებოდნენ და სამუდამოდ დაიწვებოდნენ მარადიულ ცეცხლში, მარტივად გადააკეთა ფრაზით: „რომელიც თქვენს თავებს გაუმზადეთ.“ ექვთიმეს თარგმანი: განმეშორენით მე, მოქმედნო უმჯულოებისანო, და წარვედით ცეცხლად საუკუნოდ, **რომელი განუმზადეთ თავთა თქუენთა (47).**

შემდეგ ეპიზოდში აღწერილია იოსების მიერ ტანჯვის მოთმინებით ატანა. ბერძნულ დედანშია: Ἦν δὲ ὁ ἄγιος κρεμᾶμενος καὶ στρεβλόμενος κατὰ κεφαλῆς ἕως ἄρων τριῶν καὶ **χαίρων ἐπὶ τοσοῦτον ἔνεκαρτέρει**, რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: და წმიდა ეკიდა შებორკილი თავდაყირა სამი საათით და ძლიერ ხარობდა, რომ დაითმენდა. ექვთიმემ აქ გადააკეთა წინადადების ბოლო ნაწილი და დააკონკრეტა, თუ რისთვის ითმენდა წმიდა იოსები ამგვარ ტანჯვას. ექვთიმეს თარგმანი: ხოლო ეკიდა წმიდა იგი თავდაქცევით და იგუემებოდა სამსა ოდენ ჟამსა, და ახოვნად მოითმინა **სასოებისა მისთვის მერმისა** (47).

სამი საათი თავდაქცევით დაკიდების შემდეგ ჩამოახსნევიან წმიდა იოსები მოგვთმთავარმა და კითხვით მიმართა მას: და ჯერეთცა არა მოდრეკილ არსა გონებაჲ შენი, **მრავლისმეტყუელო**, აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა და **განრომად ტანჯვათაგან, რაათა სცხოვნდე?** (47) როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში კითხვითი წინადადებაა, ხოლო ბერძნულში კი თხრობითი: Κἂν νῦν πείθει ζῆσαι, ἐκτελῶν τὸ πρὸς ταγμα τοῦ βασιλέως, ἃ φλύαρε καὶ **ταλαιπώρε**, რაც ნიშნავს: ახლაც კი შეგიძლია დაიჯერო (დაარწმუნო შენი თავი), რომ იცოცხლებ (ცოცხალი გადარჩე), შეასრულო რა მეფის ბრძანება, ო, ყბედო და ბეჩავო. აღნიშნულის გარდა, ექვთიმემ გადააკეთა მოგვთმთავრის სიტყვები. აქ ის ეკითხება იოსებს, ჯერ ისევ არ მოიდრიკა მისი გონება? **მრავლისმეტყველ**-ს უწოდებს იოსებს, რაც ბერძნული φλύαρος-ის თარგმანია, რაც „ყბედს, სულელს“ ნიშნავს. ექვთიმემ აქ გამოტოვა მეორე ეპითეტი, რომლითაც მოხსენიებულია იოსები, **ταλαιπώρος**, რაც „უბედურს, ბეჩავს“ ნიშნავს. ექვთიმე აქ წინადადების ბოლოს ამატებს ფრაზას „განრომად ტანჯვათაგან, რაათა სცხოვნდე.“

ბერძნულ დედანში მოგვთმთავარი ამგვარად მიმართავს წმიდა იოსებს: Ἰδοὺ νῦν τέως τὸ σῶμά σου διεφθαρται ἀπὸ τῆς ζῶης· ἢ δὲ ψυχὴ σου βραχὺ ἀναπνέει εἰς σέ· **ἦντινα εἰς τὰς ἑτέρας**

**βασάνους ἀποκτενῶ**, რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: აი, ამჟამად შენი სხეული (ამგვარი) სიცოცხლისგან ნადგურდება, და შენი სული ძლივსლა სუნთქავს შენში, რომელსაც მე მოვკლავ სხვა სატანჯველით. ექვთიმემ აქ გადააკეთა წინადადების მეორე ნაწილი: აჰა, ესერა, ჯორცნი შენნი განლუულ არიან სატანჯველთაგან და სული შენი კნინ ოდენ არს შენ თანა, **რომელი-იგი მეორესა ტანჯვასა აღმოვჰყადო შენგან, და იქმნას სანადელი შენი** (48).

ტექსტში გვხვდება მათეს სახარების V თავის 44-ე მუხლის პერიფრაზი. ბერძნულ დედანშია: **Ὁ κύριος ἡμῶν καὶ δεσπότης καὶ φιλόνητος** Χριστὸς ἐνετείλατο ἡμῖν, ἵνα περὶ τῶν ἐχθρῶν ἡμῶν εὐχόμεθα καὶ εὐλογῶμεν τοὺς καταραμένους ἡμῖν ἀγαπᾶμέν τε τοὺς μισοῦντας ἡμᾶς καὶ καλῶς μοι ἀγαθὰ ποιῶμεν τοῖς διὰκουσίῃ ἡμᾶς, რაც ნიშნავს: ჩვენმა უფალმა და ბატონმა და კაცთმოყვარე ქრისტემ გვიბრძანა ჩვენ, რომ ვილოცოთ ჩვენი მტრებისთვის და ვაკურთხოთ ჩვენი მანყევრები, გვიყვარდეს ჩვენი მოძულეები და სიკეთე ვუყოთ ჩვენს მღევნელებს. აქ, მუხლის პერიფრაზამდე, ექვთიმემ ჩაანაცვლა **Ὁ κύριος ἡμῶν καὶ δεσπότης καὶ φιλόνητος უფალმან ჩუენმან იესუ**-თი და შეამოკლა მუხლი. ექვთიმეს თარგმანშია: **უფალმან ჩუენმან იესუ** ქრისტემან გვბრძანა, რაფთა ულოცვიდეთ მტერთა ჩუენთა, და გკყუარდენ მოძულენი ჩუენნი და კეთილსა უყოფდეთ ბოროტისმყოფელთა ჩუენთა (49).

ბერძნულ დედანშია: Τότε προσέταξεν ὁ μαρτὸς ἄραι αὐτὸν ἐκ τῶν ἐμπροσθεν αὐτοῦ· καὶ βαστάσαντες αὐτὸν διὰ τὸ μὴ δύνασθαι αὐτὸν βᾶδίζειν, ἔρριψαν αὐτὸν εἰσενέγκαντες ἐν τῷ δεσμοτηρίῳ, რაც ნიშნავს: შემდეგ ბილნმა ბრძანა, რომ წაეყვანათ იგი მისგან; და ხელში აყვანილი მიჰყავდათ რა, რადგან მას არ შეეძლო სიარული, შეაგდეს საპყრობილეში. ქართულ თარგმანში ბერძნულ **μαρτὸς** „ბილნს“ ემატება „მთავარი“; შემდეგ ექვთიმე ამბობს, რომ მთავარმა ბრძანა ნეტარის (იოსების) აყვანა და საპყრობილეში შეგდება, ამის შემდეგ კი ექვთიმე ამატებს ფრაზას **„და ეგრეთცა იქმნა.“** ბერძნულ ტექ-

სტში ბილნი (მოგვთმთავარი) ბრძანებს, რომ იგი (იოსები) მისგან განაშორონ, ხოლო რადგანაც მას სიარული არ შეეძლო, ხელში აყვანილი მიჰყავდათ რა (მცველებს ან ჯალათებს), შეაგდეს საპყრობილეში. ექვთიმეს თარგმანი: მაშინ ბრძანა ბილნმან მან **მთავარმან აღებაჲ ნეტარისაჲ მის და შეგდებაჲ საპყრობილესა. და ეგრეთცა იქმნა (50).**

თხზულებაში მოთხრობილია მანიქეველის შესახებ, რომელიც ასევე შეპყრობილი ჰყავდათ მაზდეანებს და მოითხოვდნენ მისგან თავისი რწმენის უარყოფას და ცეცხლთაყვანისცემის მიღებას. ეს ყოველივე ხდებოდა წმიდა აითალას წინაშე, რომელიც ამ დროს სანამებლად თავქვე იყო დაკიდებული. მაზდეანები იმედოვნებდნენ, რომ მანიქეველი ნახავდა, თუ რაოდენ იტანჯებოდა აითალა და მალევე დანებდებოდა. მანიქეველი ეწინააღმდეგებოდა თავის მწამებლებს, მან ცემაც აიტანა, რის შემდეგაც მოუყვანეს მას ჭიანჭველა და უბრძანეს მისი მოკვლა (მანიქეველები აღმერთებდნენ ჭიანჭველას). მანიქეველმა მოკლა ჭიანჭველა და უარყო თავისი რწმენა. შემდეგი სამი მაგალითი ამ ეპიზოდისაა:

ა) ექვთიმემ გადააკეთა შემდეგი წინადადების შინაარსი და შეამოკლა ის. საუბარია, თუ რამდენად შეეწინააღმდეგა თავდაპირველად მანიქეველი რწმენის შეცვლის მოთხოვნას. აქ ექვთიმემ ხაზი გაუსვა, თუ რამდენად უფრო დიდი იყო ქრისტიანების რწმენა და მოთმინება თავიანთი ღმერთისათვის და ამის სანაღმდეგოდ, მანიქეველის რწმენის სიმწირეს უსვამს ხაზს და დანერა, რომ ის მცირედ შეეწინააღმდეგა. ბერძნულ დედანშია: **Ὡς οὖν ἰνάγκασον αὐτὸν ἀρνήσασθαι καὶ θῆσαι, παρὰ τὴν ἀρχὴν ἀντελεγεῖν**, რაც ნიშნავს: მაშინ, როცა აიძულებდნენ მას უარყოფას და მსხვერპლთშენიერვას, ის თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა: ექვთიმეს თარგმანი: **ხოლო იგი მცირედ წინააღუდგა (52).**

ბ) მას შემდეგ, რაც მანიქეველი (მცირედ) სცემეს, მან უარყო მანიქეველობა. ამის შემდეგ მოჰგვარეს მას ჭიანჭველა და მან მოკლა იგი. ბერძნულ დედანშია: **Παραυτὴ δὲ ἴψευκας**

αὐτῷ μύρηκα, ἵνα φωνῆσῃ αὐτόν· οἱ γὰρ Μανιχαῖοι τὸν μύρηκα θεὸν εἶναι λέγουσι καὶ σέβονται αὐτόν, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: მაშინვე მას მიუყვანეს ჭიანჭველა, რომ მოეკლა, რადგანაც მანიქეველები ამბობენ, რომ ჭიანჭველა არის ღმერთი და თავყვანს სცემენ მას. ექვთიმემ გადააკეთა აქ წინადადება და აქ მოგვთმთავარი ბრძანებს, რომ მოჰგვარონ მანიქეველს ჭიანჭველა და არა ჯალათებმა მოუყვანეს მას, როგორც ეს ბერძნულ დედანშია. ექვთიმეს თარგმანი: **და ბრძანა მოგუთა მთავარმან მან, რათა მოჰგუარონ ჯინჭველი და მოკლას**, რამეთუ მანიქეველნი ჯინჭველსა ღმერთად იტყვან და პატივ-სცემენ, ვითარცა ღმერთსა (52).

გ) წმიდა აითალამ დაინახა, თუ რა ადვილად თქვა უარი თავის რწმენაზე მანიქეველმა და შემდეგ აღწერილია მისი ემოცია. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: გადაკეთებულია: ὧς δὲ εἶδεν ταῦτα αὐτὸν ποιήσαντα, ὁ ἄγιος Ἀειθαλᾶς ἠκλόγη τὸ πρὸςωπὸν αὐτοῦ **ὑπὸ τῆς χαρμῆς καὶ ἐγένετο ὄσπερ ῥῆδον**, რაც ნიშნავს: როცა დაინახა, თუ რა გააკეთა მან, წმიდა აითალას სახე შეეცვალა სიხარულით და იქმნა, ვითარცა ვარდი. აქ ექვთიმემ გადააკეთა წინადადება და ლაკონიურად დაწერა: იხილა რაჲ ესე წმიდამან აითალა, **განბრწყინდა პირი მისი** (52).

მოგვთმთავარმა კვლავ ბრძანა აითალას ცემით წამება. აქ ბერძნულ დედანში ნათქვამია: καὶ κελεύει αὐτὸν μαστίξασθαι ῥάβδῳ **ῥῶδῳ**, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: და ბრძანა მისი ცემა ვარდის როზგებით/წნელებით. როგორც ვიცით, მცენარე ვარდისათვის დამახასიათებელია ღეროზე არსებული ჩხვლეტია ეკლები. როგორც ჩანს, სწორედ ეკლების ხაზგასასმელად ამ წინადადებაში ექვთიმემ ჩაანაცვლა ვარდი ბრონეულის ეკლოვანი ჯოხებით/მოლტებით. ექვთიმეს თარგმანი: და ბრძანა ცემაჲ მისი **არგნითა მროწეულისათა ეკლოვანითა** (53).

ცემის შემდეგ, წმიდა აითალა ისე შეიცვალა, რომ თავს ვერ ცნობდა და შემდეგ ის მოშორებით დააგდეს. ეს წინადადება ბერძნულ დედანში ამგვარად იკითხება: Ἐπι τοσοῦτον δὲ

αὐτὸν ἐμάστιξαν, ἕως ὅτε γυνῶναι ἔαυτὸν οὐκ ἠδύνατο· καὶ σύραντες αὐτὸν ἔριψαν ἐκ τοῦ σύνεγγυς ἐν ἑτέρῳ τόπῳ, რაც ნიშნავს: სცემდნენ მას ისე ძლიერად, რომ ვეღარ ძალუდდა თავისი თავის ცნობა და წაათრიეს რა, დააგდეს ახლომდებარე (ადგილიდან) სხვა ადგილზე. ექვთიმემ აქ მცირედ შეცვალა შინაარსი, მეტი დეტალები შეიტანა ნაცემი წმიდანის აღწერისას: ის ამბობს, რომ ისე სცემეს, სანამ უსულოდ არ იქცა და მისი სახე სისხლისაგან ვერ იცნობოდა; ამის შემდეგ ექვთიმე ამბობს, რომ მოგვითვავარმა გასცა ბრძანება მისი წათრევის და სასამართლოს გარეთ შიშვლად დაგდების. ქართულ თარგმანშია: და ესოდენ სცეს მას, ვიდრეღარა უსულო იქმნა და სისხლისა მისისაგან არღარა საცნაურ იყო ხატი პირისა მისისაჲ. მერმე ბრძანა უღმრთომან მან წართრევაჲ მისი და დაგდებაჲ გარეშე სამშჯავროსა შიშუელი (53).

შემდეგ წინადადებაშიც ექვთიმემ გადააკეთა ბერძნული ტექსტი: τὸν δὲ ἄγιοι βίασάσαντες εἰσῆνεγκαν καὶ ἔριψαν ἐν τῇ εἴρηκτῃ πρὸς τὸν ἐταῖρον αὐτοῦ, რაც ნიშნავს: წაიყვანეს რა წმიდა, მიიყვანეს და დააგდეს საპყრობილეში თავის თანამოაზრეებთან. აქ ექვთიმეს შემოჰყავს უშჯულო, როგორც ბრძანების გამცემი და მთელი წინადადება მის ბრძანებას ასახავს. ამის შემდეგ კი ბრძანების აღსრულებას წარმოადგენს ცალკე წინადადებად: ამისა შემდგომად ბრძანა უშჯულომან წარყვანებაჲ წმიდისა აითალაჲსი საპყრობილედ მოყუსისა მისისა თანა. აღიღეს იგი და წარიღეს და დააგდეს საპყრობილესა (53).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ბერძნული 40 ჩანაცვლა 100-ით და დააზუსტა იარალი, რითაც უნდა ეცემათ წმიდა იოსები და აითალა. შესაძლოა იმიტომ, რომ გაემძაფრებინა წამების ფაქტი. ბერძნულ დედანშია: Καὶ πάλιν ἐκέλευσεν αὐτοὺς μαστιῆσθαι πρὸς τεσσαράκοντα, რაც ნიშნავს: და ისევ უბრძანა მათ, რომ ეცემათ 40-ჯერ. ექვთიმეს თარგმანი: კუალად უბრძანა მიმთხუევად მათდა ას-ასი არგანი (55).

შემდეგი მაგალითიდან ჩანს, რომ ექვთიმემ ბერძნული ერთი კითხვითი წინადადება ორად დაყო. ბერძნულ დედანშია:

Τίς σε ἠνάγκασεν ἀπελθεῖν ἔγγιστα αὐτῶν καὶ **καταισχυθῆναι αἰσχύνην μεγάλην ἐνώπιον πάντων**; რაც ნიშნავს: ვინ გაიძულა მასთან ასე ახლოს მისვლა და ყველას წინაშე დიდად შერცხვენა? ექვთიმემ პირველ წინადადებაში, რომელიც კითხვითია, დასვა კითხვა: ვინ აიძულა, რომ ამდგარიყო და ახლოს მისულიყო? და მეორე, თხრობით წინადადებაში, კი გვამცნო, რომ ბილნი დიდი სირცხვილით იქნა შერცხვენილი. ექვთიმეს თარგმანი: „ვინ გაიძულა **აღდგომა** და მისლვა მახლობელად მისა?“ და **სირცხველულ იქმნა ბილნი იგი სირცხვლითა დიდითა** (57).

ისდანდულსაც აიძულებდნენ, სხვა ქრისტიანებთან ერთად, ქვით ჩაექოლა წმიდა იოსები. მან იუარა. შემდეგ მოაბეს (ბერძნულშია: **ἔδησαν**, ძნა, ექვთიმეს თარგმანში: დააჭედეს) ლერნამს პატარა საჩხვლეტი და მისცეს, რომ ეჩხვლიტა. არც ამას დათანხმდა ისდანდული და ა მისი პასუხის ბოლო ფრაზა ბერძნულ დედანში ასე იკითხება: Ἐὰν οὖν ἐλάβετε ἔξωσιν τῶν καμὲ ἀποκτεῖναι, ἰδοὺν πρὸς ἑμὰς σὺν αὐτῶν ἀποθνήσκῶ, ἐπεὶ οὐ κοινῶν εἰς τὴν ἀδικίαν ταύτην τῶν δικαίων καὶ ἀθῶν αἵματος." **Καὶ ἐν ταύτῳ ἐνεκαρτέρησεν**, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: „ახლა, თუკი თქვენ გაქვთ უფლება, რომ მომკლათ, აი, ჩემი სურვილიცაა, მასთან ერთად მოვკვდე, არ ვიქნები თანამონაწილე ამ მართალი და უბრალო სისხლის.“ და ამაში შეუდრეკელი/შეუპოვარი იყო. აქ ექვთიმემ **εἰς τὴν ἀδικίαν ταύτην τῶν δικαίων καὶ ἀθῶν αἵματος** ჩაანაცვლა **მე სიკუდილსა მონამისასა არა ვეზიარები**-თი. ბოლო წინადადებაც შეცვალა და გაავრცო და ისდანდულს მიაწერა სარწმუნოების დაცვა და საღმრთო სიყვარული, რაც იგულისხმებოდა მის ქმედებაში ბერძნული ტექსტის მიხედვით. ექვთიმეს თარგმანი: ან, უკუეთუ მოგიღებოც ჳელმწიფება მოკლვად ჩემდა, წადიერ ვარ სიკუდილსა ქრისტესთვის, ხოლო მე **სიკუდილსა მონამისასა არა ვეზიარები. ესრეთ დაიცვა სარწმუნოება და სიყვარული საღმრთო ღირსმან მან დედაკაცმან** (58).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ბერძნული **τῆ τετάρτη ἡμέρᾳ** „მეოთხე დღეს“ ჩაანაცვლა **მესამე დღესა**-თი და **ἕωθεν**, რაც „დილიდან-ს“ ნიშნავს, **ადგილსა**-თი; წინადადების დასაწყისში ჩაამატა, თუ ვინ (ურჯულო მოგვემთავარმა) ბრძანა მცველების დაყენება. ბერძნულ ტექსტშია: **Τότε ἐκάθισαν φύλακας ἐπ’ αὐτῷ ἕως ἡμερῶν τριῶν, καὶ τῆ τετάρτη ἡμέρᾳ** **σεισμὸς ἐγένετο ἕωθεν**, რაც ახალ ქართულ ენაზე ასე შეიძლება ვთარგმნოთ: შემდეგ, მცველები დაუყენეს სამი დღით, მეოთხე დღეს კი, დილიდან, წარმოიქმნა მიწისძვრა. ექვთიმეს თარგმანი: და **ბრძანა უშჯულომან მან მთავარმან დადგინებად** მცველთა სამ დღე, რათა არავინ აღიღოს გუჟამი მისი. ხოლო **მესამესა** დღესა იქმნა ძრვად დიდი მას **ადგილსა** (59).

შემდეგი მაგალითიდან ვხედავთ, რომ ექვთიმემ ბერძნული წინადადება ორად დაყო, პირველ ნაწილში მან გვაუწყა, რომ მარზაპანი და მოგვემთავარი წავიდნენ ბეთნადარას მხარის დიდ დაბა რესთიგარში, ხოლო მეორე ნაწილში კი ბერძნულისაგან განსხვავებით, გვამცნო, თუ როგორ წაიყვანეს თან აითალა (დადეს სახედარზე და თან წაიყვანეს, რადგან თავისი ფეხით სიარული არ შეეძლო დიდი ტანჯვისაგან, რომელიც მას შეემთხვა). აქვე, ექვთიმემ გამოტოვა აითალას ერთ-ერთი ეპითეტი **“ἀθλοφόρον”**, რაც “გამარჯვებულს, პრიზის მტარებელს” ნიშნავს და იხმარება წმიდანებთან მიმართებით (Lampe 2005, 46). ბერძნულ დედანშია: **Τὸν δὲ ἄγιον ἀθλοφόρον τὸν Χριστὸν Ἀιθιᾶν ἔλαβον ὁ τε ἄρχων καὶ ὁ ἀρχιμάχος, καὶ ἀπήγαγον αὐτὸν εἰς πατρίδα καλοσμένην Βιθναδαρᾶ εἰς κώμην μεγάλην σφόδρα ὀνόματι Ρισγαθᾶρ, თარგმანი: და ქრისტეს წმიდა გამარჯვებული აითალა, წაიყვანა ორივემ, მთავარმა და მოგვემთავარმა და მიიყვანეს სამშობლოში, რომელსაც ბითნადარა ეწოდება, საკმაოდ დიდ დაბაში, სახელით რისგათარ. ექვთიმეს თარგმანი: ხოლო უღმრთო იგი მარზაპანი და უშჯულო მოგუთა მთავარი წარვიდოდეს ქუეყანად, რომელსა ეწოდების ბეთნადარა, დაბასა ფრიად დიდსა სახელით რესთიგარ. დადვეს უკუე წმიდა აითალა საჯედარსა**



და წარიყვანეს მათ თანა, რამეთუ სლვად თვისთა ფერჯითა ვერ შეეძლო დიდთა მათ გუემათაგან, რომელნი შემთხუეულ იყვნეს მისა (60).

თხზულების ბოლო წინადადება თითქმის სრულად გადააკეთა ექვთიმე მთაწმიდელმა: ა) ბერძნული ἔνδοξος ἱερομόρτους, რაც „დიდებულ წმიდამონამეს“ ნიშნავს, ჩაანაცვლა „მძლე მონამეთი;“ აქვე ჩაამატა „კეთილად“; ბ) ბერძნული μὴν ἰουνίω ჩაანაცვლა „ივლისის თვით;“ გ) ნაცვლად ტექსტისა εἰς τὴν συμπλήρωσιν τῆς ἁγίας πεντηκοστῆς, βασιλεύοντος μὲν τῶν Περσῶν Σαρβωρίου, κατὰ δὲ ἡμᾶς βασιλεύοντος τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ, ექვთიმე აქ წერს, რომ წმიდა მამებმა დაანესეს სამივეს მოსახსენებელ დღედ 3 ნოემბერი: წმიდა აკეფსიმა ეპისკოპოსის და წმიდა იოსებ ხუცის და წმიდა აითალა დიაკვნის, ვინც კეთილად იღვანა წამების ღვანლი და (ცხოვრების) გზა აღასრულეს და სარწმუნოება დაიცვეს ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიერ; დ) ბერძნული τῷ ἀνάρχῳ πατρὶ ექვთიმემ აქ მხოლოდ „მამით“ თარგმნა და τῷ παναγίῳ και ζωοποιῷ Πνεύματι-ც „ყოვლად წმიდით სულით“ ჩაანაცვლა. ბერძნულ დედანშია: Ἐτελειώθη δὲ ὁ ἅγιος και ἔνδοξος ἱερομόρτους τοῦ Χριστοῦ Ἀειθαλᾶ μὴν ἰουνίῳ τεσσαρεσκαίδεκάτῃ εἰς τὴν συμπλήρωσιν τῆς ἁγίας πεντηκοστῆς, βασιλεύοντος μὲν τῶν Περσῶν Σαρβωρίου, κατὰ δὲ ἡμᾶς βασιλεύοντος τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ, ᾧ ἡ δόξα και τὸ κράτος και ἡ προσκνήσις ἄμα τῷ ἀνάρχῳ πατρὶ και τῷ παναγίῳ και ζωοποιῷ Πνεύματι νῦν και ἄει και εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰώνων, რაც ნიშნავს: წმიდა და დიდებული წმიდამონამე ქრისტესი, აითალა, აღესრულა (ენამა) ივლისის თვის მეთოთხმეტე დღეს, წმიდა სულთმოფენობის ბოლოს, სპარსელთა მეფე შაბურის მეფობისას, ჩვენი სწავლებით კი, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეფობისას, რომელსაც შვენის დიდება, ძალა და თაყვანისცემა, დაუსაბამო მამისა და ყოვლადწმიდა და სიცოცხლისმომცემ სულთან ერთად, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ექვთიმეს თარგმანი: აღესრულა ესეცა კეთილად მძლჳ მონამჳ აითალა თთუესა

ივლისსა იდ-სა. ხოლო წმიდათა მამათა დაანესეს სამთავე საწსენებელი აღსრულებად თთუესა ნოემბერსა გ-სა: წმიდისა აკეფსიმა ეპისკოპოსისა და წმიდისა იოსებ ხუცისა და წმიდისა აითალა დიაკონისა, რომელთა კეთილად ილუანეს ღუანლი წამებისა და სრბა აღასრულეს და სარწმუნოება დაიმარხეს ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა შუენის ყოველივე დიდება, პატივი და თავყუანის-ცემა თანა მამით და ყოვლად წმიდით სულით ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე (60).

## 2.2. „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალასის” ბერძნულ ტექსტთან მიმართებით „მატების” ნიმუშები ექვთიმე მთანმიდელის თარგმანში

ექვთიმე მთანმიდელი თხზულების ბერძნული დედნის თარგმნისას ხშირად ამატებდა სიტყვებს, ფრაზებს და წინადადებებსაც კი. ამას ის სრულიად შეგნებულად აკეთებდა, ხშირად იმიტომ, რომ გაეძლიერებინა დედნის რომელიმე დებულება და, თავის მხრივ, აქცენტები გაეძლიერებინა, ანაც თავისი მოსაზრება დაემატებინა მსჯელობისათვის. ქვემოთ მოვიტანთ ექვთიმეს მიერ ტექსტში დამატებული მასალის მაგალითებს:

თხზულების დასაწყისში მოთხრობილია, რომ ქრისტიანთა დევნის მეჩვიდმეტე წელს, სპარსეთში, შაბურ II მეფობისას, აუწყეს მეფეს, რომ: ქრისტიანენი გამობენ და აძაგებენ კერპთმსახურებასა და ქადაგებენ ერთსა ღმერთსა და **ასწავებენ კაცთა მას მხოლოსა მსახურებად** და არცა მზისა თაყუანის-ცემად და არცა ცეცხლისა ანუ წყლისა პატივის-ცემად, **არცა სხუათა მათ კერპთა ზორვად**, არამედ ერთისა მის ღმერთისა მონებად და სინმიდესა აღირჩევენ, ვიდრელა ქორ-

ნინებასა (1). ბერძნულ ტექსტშია: ΟΟ χριστιανοί ἀνατρέπουσιν ἡμῶν τὴν διδασκαλίαν καὶ οὐτως διδάσκουσιν τοὺς ἀμφίρωτους ἐνὶ Θεῷ πιστεύειν καὶ τὸν ἥλιον μὴ προσκυνεῖν καὶ τὸ πῦρ μὴ τιμᾶν μῆτε τὸ ὕδωρ καὶ ἕτερον τὸν γάμον ἀγνεῖαν αἰρεῖσθαι, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ქრისტიანები უარყოფენ ჩვენს სწავლებას და ასწავლიან ადამიანებს ერთი ღმერთის რწმენას და რომ არ სცენ თაყვანი მზეს, არც ცეცხლი აღიდონ, არც წყალი და ქორწინებას უმნიკვლობა ამჯობინონ. მუქად მოცემული სიტყვები, **ასწავებენ კაცთა მას მხოლოსა მსახურებად, და არცა სხუათა მათ კერპთა ზორვად** ჩამატებულია ტექსტში ექვთიმეს მიერ.

შაბურ II-სათვის ქრისტიანთა მხილების შემდეგ ბერძნულ დედანში არ არის შემდეგი წინადადება, რომელიც მთლიანად ექვთიმეს მიერ არის დამატებული: **ესე ყოველი ცნა რაჲ საბურ მეფემან, ბრძანებაჲ განავლინა ყოველთა მიმართ მთავართა და მოგუთა, რაჲთა რომელნიცა იპოვნენ ქრისტიანენი, აიძულებდენ მათ ზორვად კერპთა, ხოლო რომელნიცა ურჩ ექმნენ, იტანჯნენ ყოვლითავე სატანჯველითა და ძვრ-ძვრითა სიკუდილითა მოსწყდენ** (1).

ბერძნულ დედანშია: καὶ ἐπιράτῃσεν αὐτὸν λέγων· «Χριστιανὸς εἶ;» რაც ნიშნავს: და მან ჰკითხა მას: „ქრისტიანი ხარ?“ ექვთიმეს თარგმანშია: და **იხილა რაჲ მოგუთმთავარმან ნეტარი იგი** ჰრქუა მას: „ქრისტიანჴ ხარ შენ, **ანუ სხვსა შჯულისაჲ?**“ (5) როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმეს მიერ ტექსტში ჩამატებულია: ა) **იხილა რაჲ მოგუთმთავარმან ნეტარი იგი;** ბ) შეკითხვაში: **ანუ სხვსა შჯულისაჲ?**

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ჩაამატა სიტყვები: **ცუდთა მაგათ ზრახვათა განემორე**. ბერძნულ დედანშია: Τῆς αὐτοῦ πειρασμοῦ τὸ θῆλημα τοῦ βλασφημοῦ καὶ ποισυνησοῦ τῷ ἡλίῳ, რაც ნიშნავს: ახლა კი, აღასრულე მეზის ნება და თაყვანი ეცი მზეს. ექვთიმეს თარგმანშია: **ცუდთა მაგათ ზრახვათა განემორე** და ქმენ ბრძანებაჲ მეფისა და თაყუანის-ეც მზესა (7).

მოგვთმთავრისადმი აკეფსიმას პასუხში ექვთიმემ ჩაამატა საკმაოდ მოზრდილი ტექსტი. ბერძნულ დედანშია: Ἔστιν Ἐσθὲς ὁ ἔμυδς ἐν σὺρανῶ καὶ ἐν τῇ γῆ, ὁ δὲ δυνάμενος ῥύσασθαι με ἐκ τῶν χεῖρων σου τῶν μακρῶν, რაც ნიშნავს: ჩემი ღმერთი ცაშია და მიწაზე, შენი შებილნული ხელებიდან ჩემი დახსნის შემძლებელი. ექვთიმეს თარგმანშია: ღმერთი ჩემი ცათა შინა არს და **უპყრიეს ქუეყანაჲ და ყოველნივე დაბადებულნი და ზღუაჲ ჴელთა შინა მისთა არს**, და ადვილ არს მის ნინაშე ჴსნაჲ ჩემი ჴელთაგან შენთა, **არამედ ამისთვის მიგიშუებს ტანჯვად ჩემდა, რაჲთა გამოჩნდეს შენისა გონებისა უკეთურებაჲ და ჩემიცა მოთმინებაჲ, რაჲთა მე მომაგნეს კეთილნი მიუთხრობელნი მერმესა მას საუკუნესა და შენ შემსგავსებულად საქმეთა შენთა გტანჯოს (8).**

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ბერძნული ὁ ἄσεβης „უცეთური“ ჩაანაცვლა სიტყვით **მოგუთმთავარ**-ი და ტექსტში ჩაამატა საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი. ბერძნულ დედანშია: Τότε θυμῶσθεις ὁ ἄσεβης ἐκέλευσεν αὐτὸν ἀλύσσει βαρείαις δέσφαι καὶ ἐμβληθῆναι ἐν τῷ δέσμῳ τῆρι, რაც ნიშნავს: შემდეგ განრისხებულმა უკეთურმა ბრძანა მისი მძიმე ჯაჭვებით შეკვრა და საპყრობილეში შეგდება. ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: ამათ სიტყუათა ზედა უმეტესად განრისხნა **მოგუთმთავარი იგი და ბრძანა შეკრვაჲ მისი ჯაჭვთა მძიმითა და შეყენებაჲ საპყრობილესა ბნელსა. და ჯდა წმიდაჲ აკეფსიმა საპყრობილესა მას შინა და ჰმადლობდა ღმერთსა და დაუცხრომელად ილოცვიდა (8).**

მომდევნო მაგალითში ექვთიმეს მიერ ჩამატებული სიტყვები გამოყოფილია. ბერძნულ დედანშია: Τῆ δὲ ἐξῆς κατεσχῆθη Ἰωσὴφ ὁ ὀσώτατος πρεσβύτερος ἀπὸ κώμης Βηθλανῆσθ, ἐρμηνευσόμενης Καλλιγράφου, ἐβδομηκοστὸν γὰρ ἔτος ἦγεν, ἐντιμος ἂν πᾶν, რაც ნიშნავს: მეორე დღეს, იოსები, ყველაზე ღვთისმოსავი უხუცესი დაბიდან ბეთლაუბუთა, რომელიც ითარგმნება, როგორც “მწერალი,” დააპატიმრეს, სამოცდაათი წლის იყო. ექვთიმეს თარგმანშია: და ხვალისა დღე

შეიპყრნეს **სხუანი ორნი ქრისტიანენი**. **სახელი ერთისაჲ მის** იოსებ, რომელი იყო დაბისა მისგან ბეთლაჰაბაჲსა, რომელი გამოითარგმანების „მწერლისაჲ,“ **მოხუცებული იყო იგიცა ჰასაკითა**, ვითარ სამეოცდაათისა წლისაჲ (9). აკეფსიმას საპყრობილელში შეგდების შემდეგ, მეორე დღეს, დააპატიმრეს **ორი ქრისტიანი**. **ერთს ერქვა** იოსები. ლოგიკურია, რომ აქ ექვთიმემ ჩაამატა, რომ ორი ქრისტიანი იყო, რადგან იოსების შესახებ თბრობის შემდეგ ტექსტში აითალაზეა საუბარი. ლოგიკურია, აგრეთვე, იოსების ასაკის ხაზგასმაც.

შემდეგ მაგალითში ექვთიმე ლოგიკურად ამატებს და ავსებს მსჯელობას ქრისტიანთა ღმერთის შესახებ. ბერძნულ დედანშია: **Ὁ Θεὸς ἤμῶν οὐκ εὐδοκεῖ ἐν τῇ ὑμετέρῃ ὑπερήφανίᾳ καὶ ἀλαζονείᾳ καὶ ἐν τῷ πλοῦτῳ τοῦ κόσμου τοῦτου· διὰ τοῦτο ἡμεῖς ταπεινοῦμεν ἑαυτοὺς καὶ πτωχεύομεν, ἵνα εἰς τὴν δόξαν αὐτοῦ καὶ ἕωκ τὴν αἰώνιον καταξωθῶμεν**, რაც ნიშნავს: ჩვენს ღმერთს არ მოსწონს თქვენი სიამაყე და ამპარტავნება და ამქვეყნიური სიმდიდრე; ამიტომ, ჩვენ ვიმდაბლებთ თავს და ვიღებთ სიღარიბეს, რომ დიდებისა და მარადიული სიცოცხლის ღირსნი გავხდეთ. ექვთიმეს თარგმანშია: ღმერთსა ჩუენსა არა სათნო-უჩნს ამპარტავანებაჲ და ზუაობაჲ და სიმდიდრე სოფლისა ამის **წარმავალისაჲ, არამედ სათნო-უჩნ მას მდაბალნი და გლახანი, რომელთა ეშინოდის მისგან**. ამისთვისცა ვართ ჩუენ მდაბალ და გლახაკ, რათა ღირს ვიქმნნეთ დიდებასა მისსა და ცხორებასა საუკუნესა (10).

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ჩაამატა **უღებებისა** და **რათა აჩუენოთ კაცთა, თუ კეთილი საქმე არს**. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: **Ἐπειδὴ διὰ τὴν ὀκνηρίαν ὑμῶν οὐ θέλετε ἐργάζεσθαι, ἀλλὰ περιέρχεσθαι οἰκίαν ἐξ οἰκίας, τούτου χάρις καυχᾶσθε εἰς τὴν πτωχείαν ὑμῶν**, რაც ნიშნავს: თქვენი სიზარმაცის გამო არ გინდათ შრომა, არამედ სახლიდან სახლამდე სიარული, ამ მიზეზით კი იკვებებით სიღარიბეს. ექვთიმეს თარგმანშია: **უღებებისა** და **ზარმაცობისა** თქუენისათვის არა გნებავს შრომაჲ, არამედ მიმოხუალთ სახლითი-

სახლად, ამისთვის იქადით სიგლახაკესა ზედა, **რათა აჩუენოთ კაცთა, თუ კეთილი საქმე არს (11).**

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ჩაამატა **და განაბნევ მას.** ბერძნულ ტექსტშია: τίς οὐ σὶ σοι πιστεύσει λέγειντι μισεῖν αὐτόν; რაც ნიშნავს: ამის გამო ვინ დაგიჯერებს, როცა ამბობ, რომ გძულს ის? ექვთიმეს თარგმანშია: ან უკუე, შენი სიტყუაჲ ვინმცა ირწმუნა, რომელსა იტყვ, თუ ნებსით გძულს სიმდიდრე **და განაბნევ მას? (11)**

ნეტარი იოსების მოგვითავრისათვის მიმართვაში, სადაც ის უარს ამბობს მზის თაყვანისცემაზე, ბერძნულ დედანში შემდეგი ტექსტია: πᾶρι οὐ πῖλις ἔδιδάξα, ὅτι οὐκ ἔστι Θεός, ἀλλὰ κτίσμα, რაც ნიშნავს: რადგან მრავლისთვის მისწავლება, რომ ის არ არის ღმერთი, არამედ ქმნილებაა. აქ ექვთიმემ ვრცელი ფრაზა ჩაამატა, რომელიც აძლიერებს იოსების აზრს. ექვთიმეს თარგმანი: რამეთუ მრავალთა დამისწავიეს, ვითარმედ არა არს იგი ღმერთი, არამედ ქმნული **ღმრთისაჲ და ბრძანებითა მისითა არაარსისაგან არსად მოსრული (13).**

მოგვითავარმა ბრძანა იოსების გაშოლტვა. ბერძნულ დედანშია: Τότε θυμὸν μεγάλου πλιθθεῖς ὁ ἀσθενέστατος κλεῖσει αὐτόν ταθῆναι εἰς μάστιγας, რაც ნიშნავს: შემდეგ დიდი რისხვით აღსავსე უბილწესმა ბრძანა მისი გაშოლტვა. აქ ექვთიმემ ჩაამატა დეტალები: **განშიშულებაჲ ნეტარისა იოსებისი და განრთხმაჲ და გუემაჲ ძლიერად არგნებითა მრონეულისაჲთა ეკლოვანიოთა.** ექვთიმეს თარგმანია: მაშინ უშჯულოჲ იგი განრისხნა და ბრძანა **განშიშულებაჲ ნეტარისა იოსებისი და განრთხმაჲ და გუემაჲ ძლიერად არგნებითა მრონეულისაჲთა ეკლოვანიოთა (14).**

ნამების შემდეგ იოსებმა შეჰლაღადა ღმერთს. ბერძნულ დედანშია: Ἐνχαριστῶ σοι, κύριε ἢ ἐλπὶς μου, σὺ ἐ τὸν Θεὸν τὸν ζῶντος, რაც ნიშნავს: გმადლობ, უფალო, ჩემო იმედო, ცოცხალი ღმერთის ძევ. ექვთიმეს თარგმანშია: გმადლობ შენ, უფალო ჩემო, **იესუ ქრისტე,** ძეო ღმრთისა ცხოველისაო, სასოო

**და შესავდრებელი ჩემო (15).** აქაც ექვთიმემ სრულიად ლოგიკურად ჩაამატა სიტყვები.

წამების შემდეგ იოსებიც საპყრობილეში წაიყვანეს, სადაც აკეფსიმა იყო. აქ ექვთიმემ არ თარგმნა ბერძნული დედნის **εις τὸν τόπον, οὗ ἦν ὁ ἄγιος Ἀκεψιμᾶς**, მაგრამ შემდეგ წინადადებაში, რომელიც მთლიანად მისი დამატებულია, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საპყრობილეში იოსებს აკეფსიმა დახვდა, რომელმაც ძლიერ გაიხარა მისი ხილვით. ბერძნულ დედანშია: ἦνεγκαν αὐτὸν εἰς τὸ δεσμοτήριον **εις τὸν τόπον, οὗ ἦν ὁ ἄγιος Ἀκεψιμᾶς**, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: წაიყვანეს ის საპყრობილეში, ადგილას, სადაც წმიდა აკეფსიმა იყო. ექვთიმეს თარგმანი: და წარიყვანეს საპყრობილედ. **ხოლო წმიდამან აკეფსიმა იხილა რაჲ იგი, აღივსო სიხარულითა და მოწლედ მოიკითხა და ჰმადლობდა ღმერთსა.** (15).

შემდეგ მაგალითში ექვთიმეს მიერ ჩამატებული ტექსტი გამუქებულია, ხოლო გადაკეთებული – ხაზგასმული. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: «Τίς πιστεύσει σοι τοῦτο, ὁ προσομιλεῖς, ἴνα τὴν ζῶην ἀποστραφῆς ποθήσῃ τὸν θάνατον, καθάπερ σὺ, ὃ ἀνόητε;» Ὁ δὲ ἄγιος Ἀειθαλᾶς πρὸς αὐτόν· «Σεαυτὸν κάλει ἀνόητον καὶ μωρόν, μὴ γνωρίσαντα τὴν ἀλήθειαν τοῦ Χριστοῦ. Ὁ γὰρ κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστὸς οὕτως ἔγραψεν ἡμῖν φιληῖσαι τὴν ζῶην, ἦν ὑμεῖς θάνατον λέγετε, καὶ μισῆσαι τὸν θάνατον, ὃν ὑμεῖς καλεῖτε ζῶην, რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: „ვინ დაიჯერებს, რასაც ამბობ, რომ შენ ზურგს აქცევ სიცოცხლეს და სიკვდილი გსურს, როგორც შენ, ო, უგუნურო?“ მაგრამ წმიდა აითალამ უთხრა მას: „შენ უწოდებ შენს თავს უგუნურს და სულელს, ქრისტეს ჭეშმარიტების არმცოდნე. რადგანაც ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ დაგვინერა, რომ გვიყვარდეს სიცოცხლე, რომელსაც შენ სიკვდილს უწოდებ და გვძულდეს სიკვდილი, რომელსაც შენ უწოდებ სიცოცხლეს.“ ექვთიმეს თარგმანშია: „ვინ არს **უგუნური** იგი, რომელმან დაუტევოს ცხორებაჲ და აღირჩიოს სიკუდილი, ვითარ-ეგე შენ იქმ, ზ, გონებაცთომილო?“ მიუგო წმიდამან აი-

თალა და ჰრქუა მას: „თავსა შენსა უწოდე უგუნურ და ცოფ და გონებაცთომილ, რამეთუ ეგრეთცა ხარ, ვინათგან გზად იგი ჭეშმარიტებისაჲ არა იცი! **ხოლო ჩუენ ბრძანებათა ღმრთისა ჩუენისათა ვიმარხავთ და ჭეშმარიტად ბრძენ ვართ და გონიერ, რამეთუ ესრეთ გუამცნო უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რათა რომელი-ესე თქუენ ცხორებად შეგირაცხიეს, ჩუენ სიკუდილად შევჰრაცხოთ (17).**

შემდეგ წინადადებაში აღწერილია აითალას წამება. აქ გავამუქეთ ექვთიმეს მიერ ჩამატებული ტექსტი. ბერძნულ დედანშია: Τότε ὁ δὺσσεβῆς κελεύει, καὶ δεσμοῦσιν αὐτοῦ τὰς χεῖρας ὑπὸ τὰ γόνατα καὶ ξύλον παχὺ εἰσενέγκαντες διὰ τῶν χειρῶν αὐτοῦ, πατοῦσιν ἄνδρες ἰσχυροί, ἕξ ἐντεῦθεν καὶ ἕξ ἐντεῦθεν, καὶ ἕτεροι ἕξ ἐμάστιζον αὐτὸν ἐν ῥάβδοις ῥοῶν ἐχούσαις τὰς ἀκάνθας, რაც შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: შემდეგ ურჯულომ ბრძანა, რომ შეეკრათ მისი ხელები მუხლების ქვეშ და მოეტანათ ხის მსხვილი ნაჭერი და ხელებს შორის გაეყარათ, ძლიერი კაცები ფეხით შედგომოდნენ მას, ექვსი ერთ მხარეს და ექვსი – მეორე მხარეს, როცა სხვები ეკლიანი ტოტებით სცემდნენ. ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: **ამათ სიტყუათა ზედა უმეტეს აღივსო გულისწყრომითა უშჯულოჲ იგი მძლავრი და ბრძანა შეკრვაჲ ჳელთა მისთაჲ მუჳლთა ქუეშე და განუგდეჲ ძელი ჳელთა შორის და მუჳლთა და ორთავე კერძოთა ძელისა მის აღვიდეს კაცნი ძლიერნი ექუსნი და სხუანი ექუსნი წარმოუდგეს და სცემდეს ძლიერად არგნებითა მრონეჟული-საჲთა ეკლოვანითა (18).**

შემდეგ მაგალითში მოხმობილია ისევ აითალას წამების და დატუსალების შესახებ. გამუქებული ტექსტი ექვთიმეს მიერ არის ჩამატებული. აქვე, ექვთიმემ გამოტოვა ხაზგასმული სიტყვა, ბერძნული **τρισμακάρις**, რაც „სამგზის კურთხეულს“ ნიშნავს. ბერძნულ დედანშია: Τοῦ δὲ τρισμακαρίου ἄπο τῆς τᾶσεως τῶν δεσμῶν καὶ τῶν πλιγῶν οἱ βραχίονες κατεκλάσθησαν καὶ πᾶσαι αἱ τῶν ὀστέων ἄρμογαι ἄπ’ ἀλλήλων διεσπᾶσθησαν. ექვთიმეს თარგმანში კი ვკითხულობთ: **ხოლო იგინი უმეტესად**



**ჰგუემდეს უწყალოდ**, ვიდრეღა შეჭირებითა მით საკრველ-თათა და ძელისა მის ზიდვითა და **სასტიკითა მით ცემითა** მკლავნი მისნი შეიმუსრნეს და ნასხმანნი ჯელთა და იდაყუთანი დაიჯსნნეს. **მერმე ბრძანა უშჯულომან მან წარყვანება და დაგდება მისი საპყრობილესა.** (19).

შემდეგ მაგალითში საუბარია ნმიდა იოსების და აითალას ნამების შესახებ. აქ საკმაოდ ვრცელი ტექსტი ექვთიმეს მიერ არის ჩამატებული. ბერძნულ დედანშია: Βαστάσαντες οὖν αὐτοὺς πάλιν διὰ τὸ ἦδη νεκροῦς ὑπάρχειν, ἔπρυσαν οἱ μισοὶ καὶ ἀκάθαρτοι μάγιοι ἐν τῷ δεσμοτηρίῳ, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ამიტომ, ხელახლა წაიყვანეს, რადგან თითქმის მკვდრები იყვნენ, უკეთურმა და უწმინდურმა მოგვებმა საპყრობილეში ჩააგდეს. ექვთიმეს თარგმანშია: **ხოლო ოდეს სრულად უსიტყუელ იქმნეს** და სიკუდილად მიეახლნეს, **ბრძანა მძლავრმან მან კუალად წარყვანება მათი საპყრობილედ.** **აღიხუნეს იგინი** ბოროტთა მათ მტარვალთა და წარიყვანნეს და **დაყარნეს** საპყრობილესა (22).

ნმიდა აკეფსიმას ნამებით აღსრულების შემდეგ მისი გვამი „ნათორიეს და მოედანზე დააგდეს და დაუყენეს მცველები.“ ასეა აღწერილი ეს ეპიზოდი ბერძნულ ტექსტში. აქ, ექვთიმე ამატებს მიზეზს, თუ რატომ დაუყენეს ნმიდანის გვამს მცველები. ბერძნულ დედანშია: Σύσαντες δὲ αὐτὸν ἔπρυσαν εἰς τὴν πλατείαν καὶ φύλακας ἐκάθισαν ἐπ' αὐτῷ. ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: და წართორიეს და დააგდეს უბანთა ზედა და მცველნი განანესნეს, **რათა არავის შეუნდონ დამარხვად** (30).

ბოროტმა მოგვითმთავარმა ბრძანა ნმიდა აითალას დასჯა. აქ ექვთიმე ამატებს სიტყვას „განშიშულებად“, რაც ბერძნულ დედანში არ გვაქვს: καὶ κελῆσει ταῖς αὐτῶν. ექვთიმეს თარგმანშია: და ბრძანა **განშიშულებად** მისი და განრთხმა (34).

ნმიდა აითალა არწმუნებდა მოგვითმთავარს, რომელიც უმონყალოდ აწამებდა მას, რომ ტანჯვის მოთმენა მას უხა-

როდა და მის სულს აახლოვებდა სამუდამო სასუფეველს. გაკვირვებულმა მოგვთმავარმა ჰკითხა იქვე მსხდომებს: „რატომ სურთ ქრისტიანებს სიკვდილი, როგორც მშიერს პურის ჭამა ან მწყურვალეს – წყალი?“ რაზეც მათ უპასუხეს: Γέγραπται γὰρ αὐτῶν εἰς τὰς γῆρας ἄλλοι εἶναι κόσμον ἄβρατον καὶ ζῶνι ἀτελεύτητον, რაც ნიშნავს: რადგანაც ასე წერია მათ წერილებში, რომ არსებობს სხვა სამყარო, უხილავი და დაუსრულებელი სიცოცხლე. ამგვარი მსჯელობა, რაც ბერძნულ დედანშია, გასაგებია, თუკი მაზდეანებმა იცოდნენ ქრისტიანული რწმენის ელემენტების შესახებ, მაგრამ საკმაოდ უცნაურია, რომ მაზდეანებს ეთქვათ შემდეგი სიტყვები, რაც ექვთიმემ **მართლმადიდებელი** ქრისტიანებისათვის ჩაამატა შემდეგ მაგალითში, კერძოდ კი, რომ არსებობს სხვა, უხილავი სამყარო და სამუდამო ცხოვრება, რომელიც ელით **მართლმადიდებლობის მონაფეებს/მიმდევრებს**. ექვთიმეს თარგმანშია: წერილ არს წერილთა შინა მათთა, ვითარმედ სხუაჲ სოფელი არს უხილავი და ცხორებაჲ საუკუნოჲ, **რომელი მიელის მონაფეთა მათ მართლმადიდებლობისათა** (35).

შემდეგ მაგალითში ექვთიმეს მიერ ერთი წინადადება სრულად არის ჩამატებული თარგმანში. ბერძნულ დედანშია: ἐκἀθισέν τε φυλακὰς ἐν τῇ εἰρκτῆ, ἵνα μῆτις τῶν χριστιανῶν εἰσέλθῃ πρὸς αὐτοῖς, რაც ნიშნავს: მცველები დაადგინა საპყრობილესთან, რომ არცერთი ქრისტიანი შესულიყო მასთან. ექვთიმეს თარგმანშია: და დაადგინნა **მთავარმან** მცველნი, რაჟთა არავის მიუშუან ქრისტიანესა შესლვად მათდა. **და იყვნეს მდებარე ესრეთ უღუნელნი და ჭირვეულნი ჭირითა დიდითა უმეტეს ბუნებისა** (38).

თუ დავაკვირდებით შემდეგ მაგალითს, დავინახავთ, რომ აქ ექვთიმემ ბერძნული ტექსტი ოდნავ გადააკეთა: ა) გამოტოვა ბერძნული κῆριε რაც „უფალოს“ ნიშნავს და τῶν λειγομένων, რაც ნიშნავს: „ვისაც ეწოდება, წოდებულებს“; ბ) ჩაამატა ტექსტში სიტყვები **პირველად და მეორე ადესქარ**. აქ მან ტექსტში შემოიყვანა კიდევ ერთი მოქმედი პირი –

მოგვთმთავარი **ადესქარი**. ბერძნულ დედანშია: **Κύριε, εἰσὶν ἐνθάδε τινὲς δὺο γόητες τῶν λεγομένων χριστιανῶν κατάκλειστοι ἐν τοῖς δεσμοῖς τρία ἡμῖς ἔτη ἔχοντες, οὗς ἐπὶ πολὺ πῶλλάκις βιασάνσας Ἀδερχωσῆρ ὁ ἀρχιμάγος οὐκ ἴσχυσεν ὄλωσεν αὐτούς εἰς τὸ ὑπακοῦσαι τὸ πρόσταγμα τοῦ βασιλέως, რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: უფალო, აქ არის ორი ჯადოქარი, ვისაც ქრისტიანები ენოდებათ, ბორკილდადებული სამ წელიწადნახევარია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ და მრავალგზის ტანჯენ ისინი, მოგვთმთავარმა ადერხოსხარმა ვერ შეძლო მათი დასუსტება, რომ დამორჩილებოდნენ მეფის ბრძანებას. ექვთიმეს თარგმანი: არიან აქა ორნი ქრისტიანენი შეყენებულნი საპყრობილესა შინა, რომელთა აქუს პყრობილობასა შინა სამი წელი და ნახევარი, რომელნი-იგი ფრიად ტანჯნა **პირველად** ადრახუსეთ და **მერმე ადესქარ** და ვერ დარწმუნეს ქმნად ბრძანებასა მეფისასა (43).**

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ჩაამატა ერთი ფრაზა. ბერძნულ დედანშია: Ἐὰν δώσω σοι θάνατον, ἢδέωσ λαμβάνεις; რაც ნიშნავს: თუ მე შენ მოგცემ სიკვდილს, სიამოვნებით/ხალისით/მზადყოფნით მიიღებ? ექვთიმეს თარგმანი: **ვინაშთგან ცხორებაა, რომელსა მე გეტყვ, არა სათნო-გიჩს**, უკუეთუ სიკუდილი მოგცე ნადიერად მიითუალოა? (47)

წმიდა იოსებმა უთხრა თავის მტანჯველს: **Ψυχὴς μόνον οὐκ ἔχεις ἐξουσίαν τὸν ἀπολέσαι αὐτήν· μή σοι εἴη καλῶς**, რაც ნიშნავს: მხოლოდ შენ არ გაქვს ძალა/ძალაუფლება, რომ გაანადგურო სული, შეიძლება შენთვის კარგად არ ჩაიაროს. აქ ექვთიმემ ა) გამოტოვა ფრაზა **μή σοι εἴη καλῶ** (სიტყვა-სიტყვით **μή „არ/არა,“** **σοι „შენ“** დატივში, **εἴη „იყოს,“** ზმნის **εἰμί III პ. მხ. რ.-ის** ოპტიტივის ფორმაა, **καλῶς „კარგად“**), რაც ნიშნავს: არ იყოს შენთვის კარგად/ არ ჩაიაროს (ამან) შენთვის კარგად. ბ) წინადადების დასაწყისში კი იოსების სიტყვებს ჩაუმატა მოგვთმთავრის შეურაცხმყოფელი მიმართვა, რომლითაც გააძლიერა იოსების უარყოფითი დამოკიდებულება თავისი მტარვალისადმი: დახურე შენი პირი, სიცრუის მეტყვე-

ლო. ექვთიმეს თარგმანი: **დაიყავნ პირი შენი, მეტყუელო სიც-რუვისაო, რამეთუ შენ სულსა ჩემსა ზედა ჴელმწიფებაჲ არცა ერთი გაქუს (48).**

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ ჩაამატა ფრაზა. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: *Εἰ οὐτως ἔστιν σοι καὶθὺν λέγεις ἔκει, ἐμοὶ πῶς γάρ τινας ὀφείλεις δῶναι*, ანუ: თუ ასეა, როგორც შენ ამბობ, შენ მრავალი მადლის მოგება გმართებს (ჩემთვის). ექვთიმეს თარგმანი: ვინაჲთგან ეგე ეგრეთ არს, ვითარ შენ იტყვ, მადლიერ იყავ ჩემდა, **რომელ მიზეზ გექმენ მათ კეთილ-თა, რომელთა იტყვ (49).**

მოგვთმთავარი უდიერად ცდილობდა იოსებისათვის უა-რი ეთქმევიანებინა რწმენაზე. ერთ-ერთი მიმართვისას, მოის-მინა რა იოსებისგან ვრცელი ახსნა, რომ იგი ლოცულობდა, რომ მისი მტანჯველი და სხვა მაზდენებიც მოქცეულიყვნენ ქრისტეს რჯულზე და იგი შეუნდობდა მათ, მოგვთმთავრამა უთხრა იოსებს: ახლა მიატოვე ესენი. და იქ რომ ნახვალ, იმ სამყაროში ილაპარაკე მათზე, სადაც მოელი წასვლას. მაგრამ თუ არ შეასრულებ მეფის ბრძანებას, მე გაგზავნი იქ დიდი ტანჯვით. ექვთიმეს მიერ გავრცობილია და ჩამატებული საკ-მაოდ ვრცელი ფრაზები ამ წინადადებებში, რაც ბერძნულ დედანშია ამგვარადაა წარმოდგენილი: *Τὴν δὲ ἔασον ταῦτα παρὰ μίαν. Καὶ ἀπελθὼν ἔκει προσομίλει αὐτὰ ἐν ἔκειναι τῷ κόσμῳ, ἔσθαι προσδοκᾷ ἀπιέναι· ἐὰν δὲ μὴ ποιήσῃς τὸ πρόσταγμα τοῦ βασιλέως, σὺν μεγάλῃ θλίψει πέμψω σε ἔκει.* ექვთიმეს თარგმანშია: დაუტე-ვენ ჟამისად **ცუდნი** ეგე სიტყუანი და მას საუკუნესა, რომელსა მოელი, **მუნ იტყოდე მაგათ საზრახავთა. ხოლო ან, სწრაფით ქმენ ნებაჲ მეფისაჲ და გეყოს შენ კეთილი.** და უკუე-თუ არა ჴყო ესე, დიდითა ჭირითა წარგზავნო შენ ამიერ **სოფლით და ესოდენ თითოფერთა სატანჯველითა განგკაფო, რაათა შენ მიერ ყოველნი ქრისტეანენი შეშინდენ.** (50).

წამებისას თავდაქცევით დაკიდებული იოსები გაუტეხე-ლი რწმენის ნიშნად ამბობდა: ქრისტიანი ვარ და, დაე, ყვე-ლამ გაიგოს, რომ ქრისტიანი ვარ და ქრისტეს გამო ვიტანჯე-

ბი, რაც ბერძნულ დედანში ამგვარად იკითხება: Χριστιανός εἰμι, και πας ἄνθρωπος ἀκούετὸ, ὅτι χριστιανός εἰμι καὶ διὰ τὸν Χριστὸν ταῦτα πάσχω. ექვთიმეს თარგმანშია: „ქრისტიანს ვარ და ქრისტესთვის მოვითმენ ყოველსა.“ **უკვრდა მძლავრსა მას და მის თანამეინავეთა ახოვანი იგი მოთმინებაჲ მისი (51).** როგორც ვხედავთ, იოსების ნათქვამი ექვთიმემ შეკვეცა, მაგრამ შემდეგ დაამატა, რომ მთავარი და მისი თანამზრახველები გაოცებულები იყვნენ, თუ როგორი სიმხნევით ითმენდა იოსები ტანჯვას.

უმონყალო წამების შემდეგ წმიდა აითალა წაათრიეს და დააგდეს შიშველი მოედანზე. აქ შეეცოდა ერთ მოგვთმთავარს და თავისი მოსასხამი გადააფარა მას. ეს რომ შეიტყვეს სხვა მოგვებმა, მაშინვე ბრძანეს მისი განროხება და 200 ჯოხის დარტყმა. ამის შემდეგ ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: ἔτι δὲ ὅτε διὰ τοῦτο ὁ μάγιος οὐτως λαμβάνει κἄν μίαν σταγόνα οἰκτιρμῶν ἐν ἐκείνῃ τῇ ἡμέρᾳ τῆς ἀνταπισθῆσεως, რაც ნიშნავს: არის/იქნება დრო, როცა ამ მიზეზით ეს მოგვი მიიღებს წყალობის ერთ წვეთს მისაგებლის დღეს. ექვთიმემ აქ I პირში ჩაამატა მისი დამოკიდებულება ზმნით: **ვჰგონებ**, რაც ბერძნულ დედანში არ გვაქვს. ექვთიმეს თარგმანი: ამის ჯერი-სათვის, **ვჰგონებ**, თუ იხილოს მოგუმან მან მცირედ რაჲმე ნაწილი წყალობისაჲ დღესა მას საშჯელისა (53).

ქვემოთ განხილული მაგალითი ბერძნულ დედანში ასეა წარმოდგენილი: Μαθὼν δὲ ὁ ἀρχιμάγιος, ὅτι Σαβῆριος (τοῦ μεαβῆρ add. D, L) εἶς τῶν ἀρχόντων παρεγένετο εἰς τὴν κώμην αὐτοῦ τὴν λεγομένην Μακελλαρίαν, - καλῶς δὲ καὶ ἐκλήθη Μακελλαρία, რაც ასე შეიძლება ვთარგმნოთ: როცა გაიგო მოგვთმთავარმა, რომ საბოროსი, ერთ-ერთი მმართველი, ჩამოვიდა მის დაბაში, რომელსაც ერქვა მაკელარია, და მას სამართლიანად ერქვა მაკელარია. აქ ბერძნული კრიტიკული ტექსტის ძირითად ხელნაწერში სწორედ ეს ვარიანტული წაკითხვაა მოცემული, მის სხვა ვარიანტულ წაკითხვას ვხვდებით გამოცემის სქოლიოში, სადაც D და L ხელნაწერებში

Σαβΰριος-ს ემატება τὸν μαεβΰρ add. D, L (H. Delehay 1905, 531) და ვილებთ იკითხვისს: Μαθὼν δὲ ὁ ἀρχιμάρτυς, ὅτι Σαβΰριος **τὸν μαεβΰρ** εἶς τῶν ἀρχόντων παρεγένετο. სწორედ ამგვარი ხელნაწერები უნდა ჰქონოდა ხელთ ექვთიმეს, სადაც დედანში Σαβΰριος **τὸν μαεβΰρ** იყო, რადგან ქართულ თარგმანში გვაქვს: ვითარმედ **საბურ მარზაპანი, ძჳ მოაზორ ნახპეტისაჲ**, მოვიდა ქალაქსა მისსა. აქ ბერძნული **μαεβΰρ**, რაც, სავარაუდოდ, რომელიმე საშუალო სპარსული საზოგადო ან საკუთარი სახელის ტრანსლიტერაცია უნდა იყოს (სამწუხაროდ, სპარსული ენის ლექსიკონებში ჩვენ ვერ დავძებნეთ ამგვარი სიტყვა, ბერძნულ ენაში კი ის არ არსებობს), ექვთიმემ მიიჩნია საკუთარ სახელად და ის წარმოგვიდგინა საბურ მარზაპანის (საბურ მხარის მმართველის) მამად, რომელიც თავად ნახპეტად (მთავრად) შერაცხა. შედეგად, ქართულ თარგმანში მივიღეთ: მაშინ გაიგო მოგვითმთავარმა, რომ საბურ მხარის მმართველი, მოაზორ მთავრის ძე, მოვიდა მის ქალაქში, რომელსაც მაკელარია ეწოდებოდა. ექვთიმეს თარგმანი: ხოლო მას უამსა ესმა მოგუთა მთავარსა მას, ვითარმედ **საბურ მარზაპანი, ძჳ მოაზორ ნახპეტისაჲ**, მოვიდა ქალაქსა მისსა, რომელსა ეწოდებოდა მაკელარია (54).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე წინადადების ბერძნული ფრაზა: καλῶς δὲ καὶ ἐκλήθη Μακελλαρία ექვთიმემ გამოტოვა. როგორც ჩანს, მაკელარია და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ექვთიმემ ქართველი მკითხველისათვის ზედმეტად მიიჩნია და არ თარგმნა ბერძნულ დედანში დაცული შემდეგი წინადადება: οἱ γὰρ ἀρχοντες αὐτῆς χεῖρισ ἐπιήρχον τῶν μακελλαρίων, - ἔλαβεν αὐτοὺς καὶ ἐκόμισε πρὸς αὐτόν, რაც ასე ითარგმნება: რადგანაც მისი მთავრები (იგულისხმება მაკელარიის) ყველაზე დაბალი რანგის ყასბები იყვნენ; მან ისინი მიჰგვარა მათ. ბერძნულში ტერმინი μακελλάριος „ყასაბს, მეხორცეს“ ნიშნავდა (Liddell, Scott 1996, 1074), აქედან წარმოებული სიტყვები μακελλεῖον „ყასბის დახლი“ და μακελλεῖα

„ყაბის დახლის ქონა” დადასტურებულია ბერძნული ენის პატრისტიკულ ლექსიკონში (Lampe 2005, 824).

წმიდა იოსების წამების ერთ-ერთ ეპიზოდში ის საპყრობილიდან გამოიყვანეს და ხალხის შუაგულში დააყენეს. ბერძნულ დედანში: ὄθεν κρατοῦσι τὸν μακάριον Ἰωσήφ, ἰσθῶσιν αὐτὸν ὀρθὸν ἐν μέσῳ πάντων μὴ ἔχοντα εἰδέαν ἀνθρώπου. Κατείχεται δὲ ὑπὸ δύο, ἵνα μὴ πέσῃ. **Καὶ διανεύει τῷ ἀρχιμάγῳ ἐλθεῖν πρὸς αὐτόν**, რაც ნიშნავს: ხოლო შეიპყრეს ნეტარი იოსები, და ყველას შუაგულში დააყენეს, ვისაც (იოსებს) არ ჰქონდა ადამიანის ფერი. ორს ეჭირა, რომ არ დაცემულიყო. და მან ანიშნა მოგვითავარს, რომ მიახლოებოდა. ექვთიმე მთანმიდელმა ა) შეცვალა ბერძნული ἐν μέσῳ πάντων **წინაშე მთავრისა**-თი; ბ) ჩაამატა საკმაოდ ვრცელი თხრობა იოსების ფიზიკური მდგომარეობის შესახებ; გ) გამოტოვა ბერძნული καὶ διανεύει τῷ ἀρχιμάγῳ ἐλθεῖν πρὸς αὐτόν „და მან ანიშნა მოგვითავარს, რომ მიახლოებოდა.” ექვთიმეს თარგმანია: მაშინ მოიყვანეს ნეტარი იოსებ და დაადგინეს ადგილსა ერთსა, **წინაშე მთავრისა** და არლარა იყო ხილვად კაცისა **მის ზედა მრავალთა მათ ტანჯვათა და გუემათაგან და შიმშილისა და დილეგისა და სხუათა მათ აურაცხელთა ჭირთაგან**. და ემჭირა იგი ორთა კაცთა, რათამცა არა დაეცა. (56).

თხზულების ბოლოს წმიდა აითალას აღსასრული ამგვარადაა აღწერილი ბერძნულ დედანში: καὶ ῥίψαντες αὐτὸν ἐκεῖ δεδεμένον χαμαί, ἠνάγκαζον τὰ πλήθη τῶν ἀθροισθέντων χριστιανῶν βιάλλειν κατ’ αὐτοῦ τὸς λίθους· καὶ τοσοῦτον ἔρριψαν τὸς λίθους κατ’ αὐτοῦ, ἕως ὅτου ὥσπερ βουνὸν μέγαν συνήξαν ἐπ’ αὐτόν. Καὶ οὕτως ἐντίμως καὶ μακαρίως ὁ ἅγιος μάρτυς τοῦ Χριστοῦ Ἀειθαλᾶς παρέδωκεν τὴν ψυχὴν **τῷ Χριστῷ**, რაც შეიძლება ასე ითარგმნოს: და დააგდეს იგი შეკრული მიწაზე და აიძულეს იქ შეკრებილი ქრისტიანთა ბრბო, რომ ესროლათ მისთვის ქვები. და იმდენი ქვა ესროლეს, რომ მის ზევიდან ქვათა დიდი გროვა მოგროვდა, თითქოს ბორცვი იყო. და ასე პატიოსნად და ნეტარად ქრისტეს წმიდა მონაშე აითალამ მიანდო თავისი

სული ქრისტეს. როგორც ექვთიმეს თარგმანიდან ვხედავთ, მან აქ ჩაამატა საკმაოდ ვრცელი მსჯელობა სპარსელი ქრისტიანების შესახებ, ვისაც სცემდნენ ჯალათები, რომ ქვები ესროლათ აითალასთვის. ამის შემდეგ ის ამატებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა არჩია სიკვდილი და უკეთური საქმე არ ჩაიდინეს, სხვები კი ნების გარეშე დამორჩილდნენ და ესროლეს ქვები ღვანლმოსილს. ამას გარდა, ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული ἄθροισθέντων, რაც „შეკრებილებს“ ნიშნავს და **τῷ Χριστῷ** ჩაანაცვლა **უფლისათა**-თი. ექვთიმეს თარგმანი: და დააგდეს ქუეყანასა ზედა და მოიყვანეს ერი იგი ქრიტეანეთაჲ და აჭირვებდეს, რაჲთა ქვაჲ დაჰკრიბონ მას, და სცემდეს მტარვალნი მიყრად ქვისა მის ზედა. და რომელთამე აღირჩიეს სიკუდილი და საქმე იგი არა ქმნეს უჯერობისაჲ, ხოლო სხუანი უნებლიეთ ერჩდეს მათ და დაჰკრიბეს ქვაჲ ღუანლითშემოსილსა მას და ესრეთ მისცა მან სული თჳსი სანატრელად ჴელთა უფლისათა (60).

ზემოთ განხილული მაგალითის შემდეგ თხზულებაში თხრობა გრძელდება წმიდა იოსების გვამის შესახებ: და დაუყენეს მას მცველები ორი დღე, და მესამე ღამეს მოვიდნენ ვინმე ბერები და მოიტაცეს მისი პატიოსანი და წმიდა გვამი, და მისი დიდი პატივით გვამის მოვლის შემდეგ დაკრძალეს ის გამორჩეულ ადგილზე – რადგან მრავალი ბერი და ასკეტი იყო იქ დამალული – რომლისგანაც დიდი და საკვირველი ნიშანი გამოჩნდა წმიდანის გამო, რაც ბერძნულ დედანში ასეა წარმოდგენილი: Ἐκάθισαν δὲ καὶ ἐπ’ αὐτὸν φύλακας ἡμέρας δύο. Ἐν δὲ τῇ τρίτῃ νυκτὶ ἐλθόντες μοναχοὶ τινες ἔκλεψαν αὐτοῦ τὸ τίμιον καὶ ὄσιον λείψανον, καὶ μετὰ πολλῆς τιμῆς κηδεύσαντες κατέθεντο εἰς ἐπίσημον τόπον - ἦσαν γὰρ πολλοὶ μοναχοὶ καὶ ἄσκηταὶ κεκρυμμένοι ἐκεῖσε - ὅθεν μέγα καὶ θαυμαστὸν σημεῖον ἐγένετο ἐκεῖ διὰ τὸν ἄγιον. ეპიზოდის თარგმნისას, დასაწყისში, ექვთიმემ ა) ჩაამატა ფრაზა: და დააკრიბეს მას ზედა უშჯულოთა მათ სოროჲ დიდი; ბ) ჩაამატა ბერების დასახასიათებლად ღვთისმოშიშნი; გ) გამოტოვა თხრობა იოსების დაკრძალვის



ადგილის შესახებ, სადაც მრავალი ბერი და ასკეტი იმალებოდა: **ἦσαν γὰρ πολλοὶ μοναχοὶ καὶ ἀσκηταὶ κεκρυμμένοι ἐκεῖσε;** დ) შეცვალა მსჯელობა სასწაულის შესახებ, რომელიც, ბერძნული ტექსტის მიხედვით, მისი დაკრძალვის ადგილზე მოხდა: **ὄθεν μέγα καὶ θαυμαστὸν σημεῖον ἐγένετο ἐκεῖ διὰ τὸν ἄγιον** და მის ნაცვლად მკითხველს მოუთხრო, რომ დიდი და საკვირველი სასწაული იქმნა იმ ადგილზე, სადაც ნეტარი ქვით ჩაქოლეს. ექვთიმეს თარგმანი: **და დააკრიბეს მას ზედა უშჯულოთა მათ სოროდ დიდი** და დაუტევენეს მცველნი ორ დღე. ხოლო მესამესა ღამესა მოვიდეს მონოზონნი ვინმე **ღმრთისმოშიშნი** და მოიპარეს პატიოსანი გუამი მისი და ღირსებით შემურეს და დადვეს ადგილსა საჩინოსა. **ხოლო სასწაული დიდი და საკრველი იქმნა ადგილსა მას, სადა-იგი ნეტარსა მას ქვაჲ დაჰკრიბეს (60).**

**2.3. „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის” ბერძნული ტექსტთან მიმართებით „კლების” ნიმუშები ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანში**

განსახილველი „წამების” ტექსტიდან ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის ორი მახასიათებლის, ტექსტის გადასხვაფერებისა და „მატების” ნიმუშების განხილვისას, ჩვენ „უნებლიეთ” შევეხეთ მისი მეთოდის კიდევ ერთ მახასიათებელს, სათარგმნი ტექსტის შეკვეცას, „კლებას.” ქვემოთ განვიხილავთ მაგალითებს, სადაც ექვთიმე ტოვებს მისთვის უმნიშვნელო სიტყვებს, ფრაზებს თუ ტექსტის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებს.

მოგვთმთავარი მიმართავს მონამეების და ეუბნება: ო, საცოდავად მომაკვდავნო, რატომ აცთუნებთ უსაქმურ ადამიანებს თქვენი სწავლების მაცდურობით და აქრისტიანებთ? ეს წინადადება ბერძნულ დედანი ამგვარადაა წარმოდგენილი: Ἦ

κακοθάνατοι, ἵνα τί πλανᾶτε τοὺς ἄδρανεῖς ἀνθρώπους **τῆ γοητεία τῆς διδαχῆς ὑμῶν**, ποιοῦντες αὐτοὺς χριστιανούς; ექვთიმე მთან-მიდელმა ამ წინადადების თარგმნისას დასაწყისში ჩაამატა **მითხარო მე**; შემდეგ, თარგმნა ბერძნული კომპოზიტი **κακοθάνατος (κακός „ბოროტი, ცუდი“ + θάνατος „სიკვდილი“)**, რაც „საცოდავად, ბოროტად მომაკვდავს“ ნიშნავს, როგორც ბოროტი სიკვდილი, წინ ჩაამატა **ღირსნი** და მივიღეთ: **ღირსნო ბოროტისა სიკუდილისანო**. აქვე მან ჩაანაცვლა ბერძნული **ἀδρανεῖς**, რაც „უმოქმედოს, ზარმაცს, დაუდევარს“ ნიშნავს (Liddell, Scott 1996, 24), ქართული **უმეცარ**-ით, რაც „უცოდინარს, უვიცს“ ნიშნავს. ამავე წინადადებაში ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული **τῆ γοητεία τῆς διδαχῆς ὑμῶν**, რაც ნიშნავს: „თქვენი სწავლების მომხიბვლელობით“. დედნისეული ტექსტის თარგმნისას აქ შინაარსი არ შეცვლილა, მაგრამ, მთარგმნელმა მაინც ასე არჩია. ექვთიმეს თარგმანი: **მითხარო მე, ღირსნო** ბოროტისა სიკუდილისანო, რაესათვს აცთუნებთ კაცთა **უმეცართა** და ჰყოფთ მათ ქრისტიანე? (10)

მოგვეთმავარი მიმართავს იოსებს: **εἰπέ μοι, ποιεῖς τὸ θῆλημα τοῦ βασιλέως καὶ προσκυνεῖς τῷ μεγάλῳ θεῷ ἢ τῷ καὶ σῶζεις σεαυτὸν ἀπὸ πικρῶν βασάνων, ὧν ἐτοίμως ἔχω προσενέγκαι σοι**, ἢ οὐ; რაც ნიშნავს: მითხარი მე, აღასრულებ მეფის ბრძანებას და თაყვანს სცემ დიდ ღმერთ მზეს და იხსნი შენს თავს უფრო მეტი ტანჯვისაგან, რომელიც მზად ვარ დაგატებო, თუ არა? ექვთიმემ აქ შეამოკლა ტექსტი, ამოიღო შეკითხვიდან შემდეგი სიტყვები: **καὶ σῶζεις σεαυτὸν ἀπὸ πικρῶν βασάνων, ὧν ἐτοίμως ἔχω προσενέγκαι σοι** „და იხსნი შენს თავს უფრო მეტი ტანჯვისაგან, რომელიც მზად ვარ დაგატებო“ და ჩაანაცვლა ის მარტივი ფრაზით: **ანუ არა გნებავს?** ექვთიმეს თარგმანი: მითხარ, იქმა ნებასა მეფისასა და თაყუანის-სცემ დიდსა მას ღმერთსა მზესა და სცხოვნდე, **ანუ არა გნებავს?** (13)

იოსების წამების ეპიზოდის აღწერისას ექვთიმემ გამოტოვა მისი ცემის დეტალები. ბერძნულ დედანშია: **Καὶ ἔτειναν**

**αὐτὸν δέκα ἄνδρες ἰσχυροὶ καὶ ἔτυπον αὐτὸν ῥάβδοις ῥοῶν ἐχούσαις τὰς ἀκάνθας οὕτως δεινῶς καὶ ἀπανθρώπως, ὥς μικροὺ καὶ ἀποπνεῖσαι αὐτόν,** რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: და ათმა ღონიერმა კაცმა განართხა ის და სცემდნენ მას ღერწმის წნელებით, რომლებსაც ჰქონდათ ეკლები, ისე სასტიკად და არაადამიანურად, რომ ცოტაც და ბოლოჯერ ამოისუნთქავდა. დედნისეული ტექსტი ექვთიმემ შეკვეცა და ამგვარად თარგმნა: და ესრეთ უწყალოდ სცეს მას, ვიდრეღა და კნინ ოდენ მისცამცა სული (14).

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ გამოტოვა დედნისეული რიცხვი 100. ბერძნულ დედანშია: **λαμβάνειν αὐτὸν μάστιγας ἕως ἑκατὸν ῥάβδων καὶ κόπτεσθαι αὐτὸν τὰ δύο ἄτα καὶ τὴν ῥίνα,** რაც ნიშნავს: რომ მიეღო მისგან 100 წნელი და მოეჭრა მისი ორი ყური და ცხვირი. ექვთიმეს თარგმანი: რაათა იგუემოს იგი არგნებითა და მოეკუეთნენ ორნივე ყურნი მათნი და ცხვირი (22).

მონამეთა მოთმინების აღწერისას ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: **Ἀλλ' οἱ οὕτως γενναῖοι τοῦ Χριστοῦ ἀθληταὶ ὄσπερ στερροὶ ἀδάμαντες** პროზადას **ὑπέφερον τὰς διαφόρους ἀνάγκας τε καὶ θλίψεις,** **γυμνητεῦσθαι, πεινῶντές τε καὶ διψῶντες,** რაც ნიშნავს: მაგრამ ჭეშმარიტად მხნე/ახოვანი ქრისტეს მონამეები, როგორც მტკიცე ალმასი, მზადყოფნით უძლებდნენ სხვადასხვანაირ გასაჭირსა და ტანჯვას, იყვნენ რა შიშველი, მშიერი და მწყურვალე. აქ ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული ὄσπερ στερροὶ ἀδάμαντες „როგორც მტკიცე ალმასი;“ ბერძნული ὑπέφερον τὰς διαφόρους ἀνάγκας τε καὶ θλίψεις-ის ნაცვლად ლაკონიურად თარგმნა: **მოითმენდეს სატანჯველთა;** და, წინადადების ბოლოს, გამოტოვა ბერძნული **διψῶντες** „წყურვილს.“ ექვთიმეს თარგმანი: მაშინ წმიდანი იგი მონამენი ახოვნად მოითმენდეს სატანჯველთა მათ ზედა შიმშილსაცა და სიშიშულესა (23).

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ გამოტოვა მოგვითავრის სახელი Ἀδερσαῖος. ბერძნულ დედანშია: **ἀπήγαγεν αὐτοὺς ἐν τῷ**

παλατίῳ καὶ παρέστησεν αὐτοὺς ἐνώπιον **Ἀδερσαβῶρ** τοῦ ἀρχιμάγου πάσης τῆς γῆς τῶν Περσῶν. ექვთიმეს თარგმანი: წარიყვანნეს უკუე პალატად და წარმოუდგინნეს იგინი სხუასა მოგუთმთავარსა ყოვლისა სპარსეთისასა (24).

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ გამოტოვა დედნისეული καὶ ἄπαξ καὶ δις καὶ πολλάκις, რაც ნიშნავს „ერთხელ, ორჯერ და მრავალჯობს.“ ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: Ἴδὸς δὴ ἦκουσας καὶ ἄπαξ καὶ δις καὶ πολλάκις, ὅτι ἡμεῖς ἐν τῇ ἀληθινῇ πίστει ἐστήκαμεν. ექვთიმეს თარგმანი: ან გასმიეს, ვითარმედ ჩუენ შეურყეველ ვართ ერთისა მის ქემმარიტისა სარწმუნოებისაგან (28).

ექვთიმემ გამოტოვა დედნისეული πρὸς πᾶσαν βᾶσανον και τιμωρίαν, რაც ნიშნავს: „ყველა წამებისა და სასჯელისათვის.“ ბერძნულ დედანშია: Ὁ θέλεις οὖν ποιεῖν, ποίει συντόμας· ἡμεῖς γὰρ ἕτοιμοί ἐσμεν πρὸς πᾶσαν βᾶσανον και τιμωρίαν. ექვთიმეს თარგმანი: ან, რაღცა გნებავს, იქმოდე, ჩუენ მზავართ (28).

წმიდა აითალას მიმართვაში მოგვთმთავრის მიმართ ექვთიმემ გამოტოვა შემდეგი სიტყვები πάντων ἀνθρώπων ἀθλιώτατε, რაც ნიშნავს: „ყველა ადამიანზე უბადრუკო;“ დაამატა ბერძნულ μιარბეს, რომელიც მიარბესის ნოდებითი ბრუნვის ფორმაა და ნიშნავს „ბილნს, ქუჭყიანს,“ ძალლო. ბერძნულ დედანშია: **Μιαρὲ καὶ ἀκάθαρτε καὶ πάντων ἀνθρώπων ἀθλιώτατε.** ექვთიმეს თარგმანი: ზ, ძალლო ბილნო და არანმიდაო (36).

წმიდა აითალა მიმართავს მოგვთმთავარს: ἼΩ τρισάθλιε, πῶθεν σοι τοῦτο, ὅτιπερ και მი თმელან პროეფიტესსა; რაც ნიშნავს: ო, სამგზის უბადრუკო, როგორ მოხდა, რომ შენ, უნებლიედ, იწინასწარმეტყველე ეს? აქ ექვთიმე მთანმიდელმა შეამოკლა ნათქვამი, ამოიღო აითალას სიტყვები ἼΩ τρισάθλιε, πῶθεν σοι τοῦτο, ὅτιπερ και და ლაკონიურად თარგმნა: აჰა, ესერა, უნებლიეთ ჰსწინასწარმეტყუელე? (37)

ღვთისმოსავმა ქალმა ისდანდულმა წმიდა იოსები და აითალა საპყრობილიდან შინ წაიყვანა და წყლულები დაუამა. მათ კითხვაზე, თუ რატომ ტირის, მან უპასუხა: მე თქვენზე არ ვტირი, ჩემო ბატონებო, ჩემთვის განუზომელი სიხარული იქნებოდა, რომ ერთბაშად სრულყოფილები მენახეთ, რაც ბერძნულ დედანში ამგვარადაა წარმოდგენილი: Οὐχὶ δι' ἡμᾶς κλαίω, κύριε μου· ἐμοὶ γὰρ ἄμετρος ἦν χαρά, εἰ παραχρῆμα εἶδον ἡμᾶς τελευθέντας. ექვთიმე ათონელმა შეამოკლა წინადადება, არ თარგმნა დედნისეული ფრაზა: ὁὐχὶ δι' ἡμᾶς κλαίω „თქვენზე არ ვტირი;” κύριε μου „ჩემო ბატონებო” კი წინადადების ბოლოს გადაიტანა და ასე თარგმნა: უკუეთუშცა გიხილენ თქუენ აღსრულებულნი, დიდადშცა ვიხარებდი, უფალნო ჩემნო (40).

იოსების პასუხიდან ისდანდულის მიმართ ექვთიმემ მთლიანად ამოიღო მითითება პავლე მოციქულზე და სიტყვები, რომელიც კორინთელთა მიმართ მე-2 ეპისტოლის 11-ე თავის 25-ე მუხლიდან ციტატას წარმოადგენს. ბერძნულ დედანშია: καὶ ὁ μακάριος ἀπόστολος Παῦλος λέγει· Τρίς ἐπράβδισθην, ἅπαξ ἐλίθασθην, რაც ნიშნავს: და ნეტარმა მოციქულმა პავლემ თქვა: სამჯერ გამჯობხეს, ერთხელ ჩამქოლეს. (41).

ექვთიმე ათონელმა სამგზის გამოტოვა დედნისეული ბერძნული სიტყვები ἐλευθέρους καὶ δούλους ქრისტიანებთან მიმართებით, რაც ნიშნავს: „თავისუფალი და მონა.” განვიხილოთ პირველი შემთხვევა. ა) ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: Ἐγένετο δὲ ἐκεῖ τῆραχος καὶ θλίψις μεγάλη· ἔφυγον γὰρ πάντες οἱ χριστιανοὶ ἐλευθῆροί τε καὶ δούλοι, რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: იქმნა დიდი არეულობა და გასაჭირი იქ ყველა ქრისტიანისათვის, თავისუფალთათვის და მონებისთვის. ექვთიმემ წინადადება ამგვარად თარგმნა: და იქმნა ჭირი და მწუხარება დიდი ქრისტიანეთა ზედა (43). ბ) ბერძნულ დედანშია: Καὶ ἐποίησαν ἀμφοτέρωι συμβούλιον, ὃ τε ἀρχων καὶ ὁ ἀρχιμάρτυς, συνάξαι χριστιανούς ἄνδρας τε καὶ γυναικας, ἐλευθῆρους

**καὶ δούλους, ἵνα λίθοις αὐτοῖς βάλωσιν καὶ κελύουσιν ἀχθῆναι ἀπὸ τῆς πόλεως καὶ τῶν πέριξ χωρίων,** რაც ნიშნავს: და მმართველმა და მოგვთმთავარმა გეგმა დაანწყევს, რომ შეეკრიბათ ქრისტიანი კაცები და ქალები, თავისუფლები და მონები, რომ ჩაექოლათ ისინი და უბრძანეს მათ რომ ჩამოეყვანათ ისინი ქალაქისა და გარშემო სოფლებიდან. აქ, როგორც უკვე ვთქვით, ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული ἔλεσθέρους καὶ δούλους, და, ამასთანავე, ამავე წინადადების ბოლოს გამოტოვა ფრაზა καὶ κελύουσιν ἀχθῆναι ἀπὸ τῆς πόλεως καὶ τῶν πέριξ χωρίων, რაც ნიშნავს: „და უბრძანეს მათ, რომ ჩამოეყვანათ ისინი ქალაქისა და გარშემო სოფლებიდან.“ წინადადების ბოლოს კი ექვთიმე ამატებს, რომ ეს ბრძანება უღმრთოებმა გამოსცეს. ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: ესე რაჲ ესმა წმიდათა მათგან, განრისხნა უშჯულოჲ იგი მარზაპანი და განიზრახა მოგუთა მთავრისა მის თანა, რაჲთა შეკრიბნეს ქრისტიანენი მამანი და დედანი და აიძულნენ იგინი თჳსითა ჴელითა ქვისა დაკრებად წმიდათა მათ. **და ბრძანებაჲ ესე გამოჴდა უღმრთოთა მათგან** (56). გ) ბერძნულ დედანშია: καὶ συναγαγόντες ὁμοίως χριστιανούς, ἄνδρας τε καὶ γυναικας, **δούλους τε καὶ ἔλεσθέρους,** რაც ნიშნავს: და შეკრიბეს, ერთნაირად, ქრისტიანები, ორივე, კაცებიც და ქალები, ორივე, მონებიც და თავისუფლებიც. ამ შემთხვევაშიც, ექვთიმემ უთარგმნელად დატოვა ბერძნული δούλους τε καὶ ἔλεσθέρους, „ორივე, მონებიც და თავისუფლებიც.“ ამასთანავე, აქ ექვთიმემ დააზუსტა, თუ როდის და სად შეკრიბეს ქრისტიანები: **ვითარცა მიიწინეს დაბასა მას,** რაც დედანში არ მოგვეპოვება. ექვთიმეს თარგმანი: **და ვითარცა მიიწინეს დაბასა მას,** შეკრიბნეს ქრისტიანენი მამანი და დედანი (60).

ექვთიმემ არ მიიჩნია საჭიროდ, ეთარგმნა მოგვთმთავარ ზერუთის მიერ შაბურ II სპარსეთის მეფის აღმატებით მოხსენიება, როგორც მთელი სამყაროს ბატონად. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: οὐπω κατεπτόησεν ἡμᾶς τὸ πρὸς ταγμα ἔτι τοῦ μεγάλου βασιλέως Σαβωρίου τοῦ δεσπότης πάσης τῆς γῆς, რაც ასე

შეიძლება ვთარგმნოთ: ჯერ არ შეუშინებხართ ბრძანებას დიდი შაბურისა, მთელი სამყაროს ბატონის? ექვთიმეს თარგმანშია: ვითარ არა სძრნით დიდისაგან და საშინელისა მეფისა შაბურის ბრძანებისა (43).

წმიდა იოსების მოგვთმთავრისადმი მიმართვიდან ექვთიმემ არ თარგმნა ქართულ ენაზე საკმაოდ ვრცელი ტექსტი. ბერძნულ დედანშია: **καὶ σὺ μὲν διέφθειρας τὸ σῶμα τοῦτο τῆ ἐξοσσία σου τῆ καταργουμένη, τὴν δὲ ψυχὴν οὐ δύνασαι συμποδίσαι ἀποστῆναι ἀπὸ τῆς ἐλπιδος αὐτῆς καὶ τῆς ἀναστάσεως καὶ τῆς αἰώνιου ζωῆς, ἔνθα τετήρηται ὑμῖν τοῖς ἀσεβέσι πῦρ ἄσβεστον κλασθμός τε καὶ βρυσγὸς ὀδόντων εἰς αἰῶνα αἰῶνος**, რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: და შენ გაანადგურე ეს სხეული შენი ძალაუფლებით, რომელიც გაქრება, მაგრამ სულს ვერ შებოჭავ/შეკრავ, ან იმედს, აღდგომას და მარადიულ ცხოვრებას ვერ მიატოვებინებ, სადაც ჩაუქრობელი ცეცხლი, ტირილი და კბილების ღრჭიალი მოგელის შენ, უკეთურო, სამარადისოდ. აქ ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული **τῆς ἀναστάσεως** „აღდგომა“ და **ἔνθα τετήρηται ὑμῖν τοῖς ἀσεβέσι πῦρ ἄσβεστον κλασθμός τε καὶ βρυσγὸς ὀδόντων εἰς αἰῶνα αἰῶνος** „სადაც ჩაუქრობელი ცეცხლი, ტირილი და კბილების ღრჭიალი მოგელის შენ, უკეთურო, სამარადისოდ.“ ექვთიმეს თარგმანი: ან უკუე, შენ ჯორცნი ჩემნი სტანჯნე ჳელმნიფებითა მაგით შენითა განქარვებადითა, ხოლო სულისა ჩემისაჲ არა ჳელ-გენიფების დაყენებაჲ სასოებისაგან მისისა და ცხოვრებისა მისგან საუკუნოჲსა (48).

წმიდა იოსები მიმართავს მოგვთმთავარს. ბერძნულ დედანშია: **Οὐχ οὕτως, ὡς ὑπέλαβες, ἀνόσιε, ἐν γὰρ ἐκεῖνῳ τῷ κόσμῳ οὐχ οἷόν τέ τι τι ποιῆσαι ἔλεος μετὰ ἐταίρου ἢ καὶ ἀδελφοῦ αὐτοῦ, ἐν δὲ τῷ κόσμῳ τούτῳ, ὅσον οἷός τέ εἶμι, εὐχομαι, ἵνα ἀποστραφῆς ἀπὸ τῆς πλάνης ταύτης καὶ ἐπιγνῶς τὸν ἀληθῆ καὶ ζῶντα Θεόν, τὸν ποιήσαντα τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν πιστεύσης τε εἰς αὐτὸν ἐν ὄλῃ σου τῆ καρδίᾳ**, რაც ნიშნავს: ასე არ არის, როგორც შენ გგონია, უბადრუკო, რადგან იმ სამყაროში ვერავინ შეძლებს მონყალედ მოექცეს თავის მოყვასს, თავის ძმასაც კი, მაგრამ

ამ სამყაროში, რამდენადაც ძალმიძს, ვლოცულობ, რომ შენ განერიდო ამ ტყუილს და შეიცნო ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი, ცისა და ქვეყნის შემქმნელი და ირწმუნო ის მთელი გულით. ამ ტექსტის თარგმნისას, ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული *ἡ καὶ ἀδελοῦν αὐτῶν „თავის ძმასაც კი“*; არ თარგმნა **ἵνα ἀποστραφῆς ἀπὸ τῆς πλάνης ταύτης** „რომ შენ განერიდო ამ ტყუილს,“ რაც შემდეგი სიტყვებით ჩაანაცვლა: რაფთა მოიქცე შენ და ყოველნი **საცთურისა მისგან ეშმაკისა**. ტექსტის ბოლოს კი ექვთიმემ ლაკონიურად გადმოგვცა **„იცნათ მხოლოე ჭეშმარიტი ღმერთი დამბადებელი ყოველთაჲ**, ეს სიტყვები კი დედანში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **καὶ ἐπιγῶς τὸν ἄληθῆ καὶ ζῶντα Θεόν, τὸν ποιήσαντα τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν πιστεύσης τε εἰς αὐτὸν ἐν ὅλῃ σου τῇ καρδίᾳ** „და შეიცნო ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი, ცისა და ქვეყნის შემქმნელი და ირწმუნო ის მთელი გულით.“ ექვთიმეს თარგმანი: არა ეგრეთ არს, ვითარ შენ ჰგონებ, უშჯულოო, რამეთუ მას საუკუნესა ვერვის ჴელ-ენიფების ყოფად წყალობისა მეორისა თანა, არამედ ამას სოფელსა რაოდენ ძალ-მიც, ვილოცავ, რაფთა მოიქცე შენ და ყოველნი **საცთურისა მისგან ეშმაკისა** და იცნათ **მხოლოე ჭეშმარიტი ღმერთი დამბადებელი ყოველთაჲ** (49).

შემდეგ ეპიზოდში წმიდა იოსები ისევ მოგვთმთავრის წინაშეა და მიმართავს მას. ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: *Ἀπεκρίθη ὁ ἅγιος καὶ εἶπεν· «Εἰς τοὺς αἰκισμοὺς καὶ τὰς ἀνάγκας, ἄσπερ ἐπήγαγόν μοι οἱ πρὸ σοῦ καὶ σὺ αὐτὸς, διὰ τῆς χάριτος τοῦ Θεοῦ μου τέλειος εὐρέθην· καὶ ἕτερα οὓν δεῖνὰ ὄσα ἂν επαγάγῃς μοι τῆ σεαυτοῦ πικροτήτι καὶ ἀπαντροπία, ἔχω τὸν ἐνισχύοντά με Θεὸν παρέχοντα μοι καρτερίαν τε καὶ ὑπομονήν· ὅσοι δὲ τῶν χριστιανῶν καθορῶσι τὸ γῆράς μοι ταῦτα πάσχον, ὑπόδειγμα λαμβάνουσι μέγιστον, ἐνδυναμούμενοι τοῦ καταπτύειν καὶ καταπατεῖν τὸν ὄγκον καὶ τὸν τύφον τῆς σῆς ἀλαζονίας, ἦνπερ ἐγὼ κατεπάτησα καὶ ἐνίκησα ἐν τῷ γήρει μου τοῦτῃ διὰ τῆς δυνάμεως τοῦ Θεοῦ μου τοῦ ἐνισχυσᾶντος με· οὕπερ ἐμμένων τῆ πίστει οὐ παρέσχον σοι τὴν*



προθυμίαν μου οὔτε μὴν παρέξω ἕως τῆς τελευταίας μου ἀναπνοῆς.» Τότε προσέταξεν ὁ μαρτὸς ἄραι αὐτὸν ἐκ τῶν ἔμπροσθεν αὐτοῦ· καὶ βαστάσαντες αὐτὸν διὰ τὸ μὴ δύνασθαι αὐτὸν βαδίζειν, ἔριψαν αὐτὸν εἰσενέγκαντες ἐν τῷ δεσμοτηρίῳ, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: წმიდამ მიუგო და უთხრა: „წამება და გასაჭირი, რომელიც შენამდე მათ და თავად შენ დამანით მე, ჩემი ღმერთის წყალობით, სრულყოფილად მივიჩნე. და რაც არ უნდა საშინელი რამ მომანიო მე შენი რისხვითა და არაადამიანობით, მე მყავს ღმერთი, ვინც მაძლიერებს მე, მაძლევს ამტანობასა და მოთმინებას. და ის ქრისტიანები, ვინც ხედავს, რომ სიბერეში ვიტანჯები, იღებენ ყველაზე ძლიერ მაგალითს, რომ უნდა გაძლიერდნენ და მიაფურთხონ და ფეხით გათელონ ქედმაღლობა და შენი ამპარტავნობის სიბრმავე, რომელიც მე გავთელე და დავიპყარი ჩემს სიბერეში, ჩემი ღმერთის ძალით, ვინც გამაძლიერა მე. ამდენად, ვრჩები რა მტკიცე ჩემს რწმენაში, მე არ გთავაზობ მზადყოფნას, არც შემოგთავაზებ ჩემს ბოლო ამოსუნთქვამდე.“ იოსების ეს სიტყვები ექვთიმემ შეამოკლა და ასე გადმოგვცა: მიუგო წმიდამან იოსებ და ჰრქუა: „ჭირთა მათ შინა და ტანჯვათა, რომელნი მოანიწეს პირველ შენსა ყოფილთა მათ მთავართა და ან, კუალად შენ უწყალოდ მტანჯე და ყოველთავე მათ შინა მადლითა ღმრთისა ჩემისაჲთა სრულ ვიპოვე მოთმინებითა. და ან, კუალად სხუანიცა, რაოდენნი მოანიწე ჩემ ზედა ტანჯვანი უკეთურებითა შენითა, მაქუს მე ღმერთი, რომელმან მომცეს მე ძალი და მოთმინებაჲ, რაჲთა რომელთაცა ქრისტეანეთა იხილონ მოთმინებაჲ სიბერისა ჩემისაჲ, განძლიერდენ დათრგუნვად ამპარტავანებისა შენისა, ვითარცა მე დავთრგუნე ძალითა ღმრთისა ჩემისა ცხოველისაჲთა“ (50).

შემდეგ მაგალითში ექვთიმემ გამოტოვა გარკვეული ტექსტი. ბერძნულ დედანშია: **Μετὰ δὲ τούτων εἰσῆχθη ὁ ἄγιος Ἀειθαλής.** Καὶ φησιν πρὸς αὐτὸν ὁ ἀκάθαρτος καὶ ἀσεβής, რაც ნიშნავს: მის (იგულისხმება წმიდა იოსები) შემდგომ, წმიდა აითალა შემოიყვანეს. და უწმინდურმა და უკეთურმა უთხრა

მას. აქ ექვთიმემ სრულად გამოტოვა დედნისეული პირველი წინადადება და მხოლოდ მეორე წინადადება ამგვარად თარგმნა: მერმე არანმიდამან ჰრქუა ნეტარსა აითალას (51).

წმიდა აითალა წამების შემდეგ უმძიმესად იტანჯებოდა, მაგრამ მხნედ იყო. ბერძნულ დედანში მისი ტანჯული სხეული ამგვარადაა აღწერილი: **Μη δυνάμενος δὲ στήναι ἐκάθισεν· οἱ γὰρ βραχίονες αὐτῶν ἦρτηντο τῶν ἁμῶν αὐτῶν ὥσπερ χειρῶν ἰματίου. Καὶ σκιρτήσας** ფაჟი მეგალი ლეყი, რაც ნიშნავს: ხოლო არ შეეძლო დგომა, დაჯდა; რადგან მისი მკლავები მხრებიდან ისე ეკიდა, როგორც ტანსაცმლის სახელოები. და წამოხტა რა, მან ხმამაღლა თქვა. აქ ექვთიმემ გამოტოვა ტექსტის საკმაოდ ვრცელი ნაწილი, გადააკეთა ის და ამგვარი თარგმანი შესთავაზა მკითხველს: და წარმოჯდა, რამეთუ ზე დადგომად ვერ ეძლო, რამეთუ შემუხსრვილ იყვნეს წვენი მისნი და ჴელნი მწართაფთან და ყოველნი ასონი მისნი დაბძარულ. მაშინ ჴმაცო და თქუა (52).

ნატანჯი წმიდა აითალა შიშველი დააგდეს მინაზე. ის შეეცოდა ერთ-ერთ მოგვს და თავისი მოსასხამი მიაფარა. ეს რომ სხვებმა დაინახეს, დააბეზლეს ის მთავარ მოგვთან. ბერძნულ დედანში: **Οἱ δὲ ποῦροι καὶ ἀκάθαρτοι** ἐταῖροι αὐτῶν **μάγοι** θεασάμενοι αὐτὸν κατηγόρησαν αὐτὸν ἐπὶ τὸν ἀρχιμάγιστον, რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ხოლო ბოროტმა და უწმინდურმა მისმა მეგობრებმა, მოგვებმა, დაინახეს რა, ბრალი დასდეს მას მოგვთმთავრის წინაშე. აქ ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული **ποῦροι καὶ ἀκάθαρτοι** „ბოროტმა და უწმინდურმა.“ ექვთიმეს თარგმანია: ხოლო სხუათა მათ მოგუთა იხილეს იგი და შეასმინეს იგი მოგუთა მთავრისა მიმართ (53).

წინა მაგალითში აღწერილი სიუჟეტი ასე განვითარდა ბერძნულ დედანში: **καὶ κελῆσει αὐτὸν ἐκταθῆναι εἰς μᾶστιγας καὶ λαμβάνει διακοσίους ῥάβδους, ὧς τὸν λοιπὸν μῆτε ἑαυτὸν γυνώσκειν**, რაც ნიშნავს: და მან (მოგვთმთავარმა) ბრძანა, რომ განერთხათ შოლტეებისათვის და დაერტყათ მისთვის 200 ჯოხი, რომ ამის შემდეგ თავიც ვერ ეცნო. აქ ექვთიმემ ტექ-

სტში ჩაამატა **წარმოდგინება მისი** და გამოტოვა ფრაზა, რომელიც ასახავს მოგვის დასჯის შემდეგ მის იმგვარ მდგომარეობას, რომ იგი თავის თავსაც კი ვერ იცნობდა. ექვთიმეს თარგმანშია: და მეყსეულად ბრძანა **წარმოდგინება მისი** და განრთხმად და მიაძებეს ორასი არგანი (53).

წმიდა იოსების ქვით ჩაქოლვის ეპიზოდში ექვთიმე მთანმიდელმა არ თარგმნა საკმაოდ ვრცელი ტექსტი. აქ ვკითხულობთ, რომ მოითხოვეს ღვთისმოსავი ქალი ისდანდულისაგან, რომ მასაც ესროლა ქვა იოსებისათვის. მისი პასუხი ვრცლად ბერძნულ დედანში ამგვარადაა წარმოდგენილი: **Ὅτιδέποτε γυναῖκες ἀνδρας ἀπέκτειναν, καθὼς ὑμεῖς οἱ ἀκάθαρτοι ἀναγκάζετε ἡμᾶς ποιῆσαι· ἀφέντες γὰρ τοὺς πολέμους τῶν ἐχθρῶν, μετὰ τῶν γυναικῶν πολεμεῖτε καὶ ἐν τῇ ἀργίᾳ ὑμῶν, πλήρης εἰρήνης οὖσης τῆς πατρίδος ἡμῶν, διαφθείρετε ταύτην, εἰς τὴν ἔκχυσιν τοῦ ὀσίου καὶ ἀθῶου αἵματος ἀσχοιοῦμενοι**, რაც ნიშნავს: ქალებს არასდროს მოუკლავთ კაცები, როგორც თქვენ, უწმინდურები, ამას მაიძულებთ. რადგან, როცა თავს ანებებთ მტრებთან ომს, თქვენ ქალებს ებრძვით, და, მოცალეობისას, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მშვიდობაა, თქვენ ანადგურებთ მას, კავდებით რა წმიდა და უბრალო სისხლის დაღვრით. როგორც ჩანს, ქართველი მკითხველისათვის ეს სიტყვები ზედმეტად მიიჩნია ექვთიმემ და ლაკონიურად ათქმევინა ისდანდულს: **მე უჯეროსა მაგას საქმესა არა ვიქმ, არცა ვეზიარები დათხევასა სისხლისა უბრალოჲსასა** (58).

თხზულების ბოლოს საუბარია, თუ როდის გარდაიცვალა წმიდა იოსები. ბერძნულ დედანშია: Ἐτελειώθη δὲ ὁ ἄγιος μάρτυς καὶ πρεσβύτερος Ἰωσήφ ἡμέρᾳ παρασκευῆ, ἐν τῇ πρώτῃ ἐβδόμᾳδι τῆς ἀγίας πεντηκοστῆς, ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ κυρίῳ ἡμῶν, რაც ნიშნავს: აღესრულა წმიდა მონაშენი და პრესვიტერი იოსები პარასკევ დღეს, წმიდა სულთმოფენობის პირველ კვირაში, იესო ქრისტეში, ჩვენს უფალში. აქ ექვთიმემ შეამოკლა დედნისეული ტექსტი, თარგმნა ბერძნული ἡμέρᾳ παρασκευῆ, ἐν τῇ πρώτῃ ἐβδόμᾳდი „პარასკევ დღეს, წმიდა სულთმოფენობის

პირველ კვირაში” მხოლოდ **დღესა პარასკევსა, შვეულსა მარტკლიისასა**-თი და არ თარგმნა ბერძნული ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ κυρίῳ ἡμῶν „იესო ქრისტეში, ჩვენს უფალში.“ ექვთიმეს თარგმანი: და აღესრულა ნმიდაჲ მონამჴ და პატიოსანი მღდელი იოსებ **დღესა პარასკევსა, შვეულსა მარტკლიისასა** (60).

**ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამება წმიდისა მენაჲსი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსის“ და წმიდა მენას სამი სასწაულის შემცველი ხელნაწერების ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ ტექსტთან მათი დამოკიდებულების საკითხისათვის**

„წამება წმიდისა მინაჲსი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსი“ დაცულია სამ ხელნაწერში: XI საუკუნეში გადაწერილ H-341-ში, XIII საუკუნეში გადაწერილ A-70 და 1801 წელს გადაწერილ Q-112ა ნუსხებში. გამოცემაში A ლიტერით აღინიშნება H-341, B ლიტერით A-70 და C ლიტერით Q-112ა ხელნაწერი. მოკლედ შევხებით ამ ხელნაწერთა ფონეტიკისა და ორთოგრაფიის საკითხებს.

**1. „წამება წმიდისა მენაჲსი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსის“ და წმიდა მენას სამი სასწაულის შემცველი ხელნაწერების ფონეტიკისა და ორთოგრაფიისათვის**

H-341 ხელნაწერში შემდეგი სახის ფონეტიკურ და ორთოგრაფიულ მოვლენებს ვხვდებით:

ბგერათა დაკარგვა

ა იკარგვის ორი ერთნაირი ხმოვნის არსებობის შემთხვევაში: აღსაარებად > აღსარებად A.

აღ- ზმნისწინი გამარტივებულია ბგერის დაკარგვით: აღდგომა > ადგომა A.

ნ იკარგვის ნასესხობაში სინკლიტოზი-ი (ბერძნ. συγκλιτικος): სიკლიტოზი A.

მ იკარგვის სიტყვის დასაწყისში: წინამბრძოლთა > წინაბრძულთა A.

მ იკარგვის თავკიდურ პოზიციაში: მკელობელნი > კელობელნი A.

ვ-ს იკარგვის თანხმოვანთკომპლექსში: შვერდომად > შერდომად A.

ბგერის განვითარება

ვ ბგერის განვითარების მაგალითია: ცრემლოოდა > ცრემლოვოდა A.

უ ბგერის განვითარების მაგალითებია: ძოღან > ძულუან A; მოკლვისა > მოკულვისა A.

დ ბგერის განვითარების მაგალითია: დაშთეს > დაშთდეს A.

ე ბგერის განვითარების მაგალითია: კურთხევეითა > კუერთხევეითა A;

ე ბგერის გაორმაგების მაგალითია: რაჲმეცა > რაჲმეცა A.

ვ-ს შემდეგ ბგერის განვითარება: ზღვით A.

უ-ს შემდეგ ბგერის განვითარება: გუარნამს A.

მეტათეზისი

მეტათეზისს ვხვდებით შემდეგ ბგერათმომდევრობებში: ა) დგრ > დრგ დაადგრა > დაადრგა A (ორგზის); ბ) ვჰგ > ჰვგ: ვჰგებდი ჰვგებდი A.

საურთიერთო მეტათეზისის მაგალითია: მოვლინებულნი > მოვნილებული A.

თანხმოვანთა დისიმილაცია:

თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებია: ა) მბ > ნბ ან-ბოხუი A; ანბურ- A; ანბურს- A; ბ) რ > ლ: არმულისაგან A.

ხმოვნის რედუპლიკაციის მაგალითია: ტყეებაჲ A.

ვ-ს ნაცვლად ხელნაწერში წერია ვ: ლახვრითა A.

ვ-ს ნაცვლად წერია უი: შეემთხუინენ A; განელუიდა A; დაემთხუია A.

ვ-ს ნაცვლად წერია უ: მლუძარე A; უმახულესად A; შეგამთხუე A; მახულმან A; თუთ A; მიემთხუა A.

ო-ს ნაცვლად წერია უ: გარდამუსლვისა A; წარჰმართუს A; მურწმუნე A, მურჩილება A; მუსლვა A; მუკლულსა A; სასწურითა A.

უ-ს ნაცვლად წერია ო: განოტევა A; უსოსორად A; ლოსკუმასა A; აღივსუ A.

უ-ს ნაცვლად წერია კ: შეტყუვილი>შეტყვილი A; ზლვასა A; ზლვათასა A; საკვრნებელად A; სიკვდილისა A.

ლ წერია ე-ს ნაცვლად: მოიხილლ A; მიხილლ A; ვიხილლ A; შემინყალლ A; განმათავისუფლლ A; განმალუეძლ A; აღილლ A.

A-70 ხელნაწერში ვხვდებით შემდეგი სახის ფონეტიკურ და ორთოგრაფიულ მოვლენებს:

ბგერათა დაკარგვა

სიტყვის თავში იკარგვის ვ: ვბრძანო> ბრძანო B.

ნ იკარგვის ნასესხობაში სინკლიტიკოს-ი (ბერძნ. συγκλιτικός): სიკლიტიკოსი B.

ა იკარგვის ორი ერთნაირი ხმოვნის შემთხვევაში: დაადგრეს > დადგრეს B.

ა-ს დაკარგვითა და უ-ს ნაცვლად ო-ს დაწერის შედეგად მივიღეთ ფორმა: გუადრუცსა > გოდრუცსა B.

ბგერათა განვითარება

რ-ს განვითარების მაგალითია: ურთიერთას> ურთიერთარს B.

ვ-ს განვითარების მაგალითია: მიაქცივნეს B.

მეტათეზისი

მ-რ> რ-მ-ის მაგალითია გუმერ> გურემ ფუძეში თანხმოვანთა გადასმა: განგურემა > განგუმერა B.

ფონემათა ჩანაცვლება

უ-ს ნაცვლად კ: ზლვასა B.

უ-ს ნაცვლად ო: ლოსკუმასა B; მოკოდა B.

ქ-ს ნაცვლად კ: განკარდა B.

უე კომპლექსი სიტყვის შუასა და აბსოლუტურ ბოლოს ინერება, როგორც უც: მუნთქუცსვე B; ჩუწნება B; მოკუცთა B; აღმოკუცთად B; უკუც B; მეტყუცლებით B; ტკბილადმეტყუცლებითა B; დავშუცრ B; თქუცს B და ა.შ.

B ხელნაწერი გვიანდელი ხელით ჩასწორებულია და გასწორებულია შენიშნული შეცდომები, მაგ.: სახლი B#|სახელი B\*; ისმინენი B#|ისმინენით B\*.

B ხელნაწერი ნაკლულია და ტექსტი წყდება წმიდა მენას მეორე სასწაულის შუაში 434v-ზე: ... დიდად საყუედრელ იქმნა ესე ჩემდა, უკუეთუ ცნან ესე კაცთა, ვითარმედ დავიყენე ჭუ...

Q-112a ხელნაწერი 1801 წელს არის გადანერილი და აქ ვხვდებით „შერყვნილ“ ორთოგრაფიას. გადამწერისათვის ამ დროისათვის რთული იყო ვ-ს, ვ-ს, ჟ-ს ხმარების ნორმების დაცვა და ამ გრაფემათა აღრევის არაერთ შემთხვევას ვხვდებით. Q-112a ხელნაწერისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური და ორთოგრაფიული მოვლენების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ აქ ვხვდებით:

ბგერათა გაორმაგებას

გაორმაგებულია კ სიტყვაში ეკლესია: ეკკლესიათა C (ორგზის).

მეტათეზისს

მ-რ > რ-მ-ის მაგალითია გუმერ > გურემ ფუძეში თანხმოვანთა გადასმა: განგურემად > განგუმერად C.

ბგერათა დაკარგვას

ორი ა-ს შემთხვევაში იკარგვის ერთი: აღსაარებად > აღსარებად C.

ორი ე-ს შემთხვევაში იკარგვის ერთი: შეემთხვნენ > შემთხვნენ C; ორას სამოცდამეექუსესა > ორას სამოცდამექუსესა C.

უ იკარგვის: უკუანაესკნელ > უკანასკნელ C.



ე იკარგვის: ძღუნისა > ძღუნისა C.

ა ტმესში სისტემატურად იკარგვის: გან-რა-თენდეს C;  
გან-რა-თენდა C; მი-რა-ვიდეს C.

ა იკარგვის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს: კეთილ არს  
ქრისტეს მიმართ სარწმუნოება C; ნათესაობითი ბრუნვის ნი-  
შანში: უფროს C.

ვ იკარგვის: შეურდეს C; ჯელოანი C; ჯელოანსა C; ახოანი  
C; ისნაო C.

უ იკარგვის: სასმელი C; განთქმული C; უკეთუ C.

ბგერათა განვითარებას

ვ განვითარებულია შემდეგ მაგალითებში: დავაცხროვ  
C; მიიწინეს C.

პირის ნიშანი ს ზედმეტია: დასჯდა C; სდგეს C.

ა-მეტობის მაგალითებია: ღმრთისაანი C; ღმრთისაჲ ჩუე-  
ნისა C; აღჭრად ასოთა ჩემთაჲ C; ჯმაჲ-ჰყო C; ჯელმწიფე გყავ  
შენ ზღუაჲსა ზედა C; შთავადო ზღუასა C; ღმრთისაჲგან C;  
ღმრთისაჲო C. საკუთარ სახელს ერთვის ა: მენაჲ C.

რ ფონემა განვითარებულია: ურთიერთარს C.

ნ ფონემა განვითარებულია: წმინდითურთ C.

ასიმილაციას

მკვეთრი ხშულის წინ მჟღერი დ გადადის მკვეთრ ტ-ში:  
დყ>ტყ: ლალატ-ყვეს C.

ბგერის დავიწროებას

უ ვიწროვდება და გადადის ვ-ში: მოძღვარმან C; სიყვა-  
რულით C.

ორთოგრაფიისათვის:

ვი-ს ნაცვლად წერია ვ: გარდამოსლვისა > გარდა-  
მოსლჳსა C; წარსლვის > წარსლჳს C; შერაცხვითა > შერაცხვთა  
C; ლოცვითა > ლოცვთა C; პატივი > პატიჳ C; რისხვით >  
რისხვთ C; ზრახვიდეს > ზრახვდეს C.

ო-ს ნაცვლად წერია უ: ძულან C.

ბ-ს ნაცვლად წერია ზ: სამწრისა C.

გადამწერი უხვად ხმარობს გრაფემას ჟ. ჟ (უმარცვლო უ) ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით ხელნაწერში გვხვდება თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში (სარჯველაძე 2004, 15). მოიყუანენ C; თაყუანისცემად C; ჰრქუა C; სიტყუად C; თუალთად C; დამარხუად C; კაცთმოყუარებითა C; ზრახუად C; გუაუნყა C; წარხუალ C.

ჟც წერია, სადაც გვიანდელ ხელნაწერებში გვხვდება ხოლმე კომპლექსი უც, მაგ.: სატანჯუცლთა C; მუნთქუცსვე C; თანამზრახუცლთა C; ჩუცნებით C; სთქუცს C.

ამას გარდა, ჟ-ს ვხვდებით რამდენიმე ფონემის ნაცვლად:

ვ-ს ნაცვლად წერია ჟ: ჰყუცს C.

ი-ს ნაცვლად წერია ვ: თვთოეულსა C.

ვ-ს ნაცვლად უ: იყუნენ C; მოიყუანა C; განყუუნა C; მოყუანებასა C; მღუდელნი C.

ძველი ქართული ენის ფონეტიკის ნორმების მიხედვით სადაც უნდა გვექონოდა, მაგრამ ორთოგრაფიის ნორმების მიხედვით უმარცვლო უ, მის ნაცვლად ვხვდებით დავინროებულ ვარიანტ ვ-ს: თვალნი C.

კ-ს ნაცვლად წერია ვი: ქვიშა C.

ფაქტობრივად, ყველა ფონეტიკური თუ ორთოგრაფიული მოვლენა, რაც ABC ხელნაწერებში დასტურდება, აღწერილი აქვს ზურაბ სარჯველაძეს თავის ნაშრომში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ (სარჯველაძე 1984, 276-356). ისინი მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება უამრავ XI საუკუნის შემდგომ ხელნაწერში და ასახულია ამ ხელნაწერთა ტექსტების პუბლიკაციებს თანდართულ გამოკვლევებში.

## 2. იყო თუ არა რამდენიმე წმიდა მენა და ვინ იყო ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „ნამებაჲ წმიდისა მენაჲსი და ერმოგი-ნესი და ევლრაფოჲსის“ წმიდა მენა?

ჰიპოლიტეს დალაჰაის მიერ 1910 წელს გამოქვეყნებულ შესანიშნავ ნაშრომში “L’invention des reliques de saint Ménas à Constantinople” (Delehaye 1910, 117-150). შესწავლილია ბერძნულ და აღმოსავლეთ ქრისტიანულ ენებზე შედგენილ სვინაქსარებსა და მონოლოგიონებში დაცული წმიდა მენას ხსენების დღეები, იდენტიფიცირებულია ამ დღეებში მოხსენიებული წმიდა მენა და მის შესახებ არსებული სრული თხზულებები და ტექსტების ფრაგმენტები. ავტორი შეეცადა გაეცა შემდეგ ძირითად კითხვებზე პასუხები: რამდენი წმიდა მენა არსებობდა და რომელ წმიდა მენას უკავშირდებოდა მის მიერ აღმოჩენილი თხზულება *Εὐρεσις τῶν λειψάνων τῶν ἀγίου μάρτυρος Μηνᾶ τῶν Καλλικελάδου* „წმიდა მონამე მენა ტკბილმოუბარის ნაწილების აღმოჩენა.“ ჰ. დალაჰაი ვრცლად მიმოიხილავს მის ხელთ არსებულ მასალას.

ჩვენ აქ მოკლედ მოვიტანთ ცნობებს წმიდა მენას შესახებ ჰ. დალაჰაის ნაშრომის მიხედვით. პირველი ცნობები წმიდა მენას შესახებ გვხვდება სირიულ მარტიროლოგიაში 23 ივლისისათვის (ივლისისათვის), ἐν Λαοδικείᾳ Μηνᾶς (ლაოდიკიაში, მენა). იერონიმეს მარტიროლოგიაში გვხვდება ცნობა წმიდა მენას შესახებ, როგორც: in Laoditia Phrygiae Minisei (ფრიგიის ლაოდიკია, მენა) ან in Frigia Moenisi (ფრიგიაში, მენა).<sup>1</sup> 12 ივლისისათვის (ივლისის) სირიულ მარტიროლოგიაში ისევ გვხვდება ცნობა მენას შესახებ, რომელიც იერონიმოსის მარტიროლოგიაში 13 ივლისისათვის არის დადასტურებული. ბერძნულ სვინაქსარში წმიდა მენა 13 ივლისს იხსენიება სხვა პიროვნებებთან ერთად τῶν ἀγίου Ἀνδρέου τῶν στρατιώτου,

---

<sup>1</sup> ლაოდიკია დღევანდელი თურქეთის ტექრიტორიაზე მდებარეობს, ადრე ფრიგიის უმთავრესი ქალაქი იყო.

Ἡρακλείου, Φάστου, Μηνᾶ καὶ τῆς συνουσίας αὐτῶν „წმ. ანდრია მეომრის, ჰერაკლიუსის, ფაუსტუსის, მენას და მათ თანმხლებთათვის.” იორონიმეს მარტიროლოგიაში ისევ მოხსენიებულია წმიდა მენა 11 ნოემბერს, როგორც ალექსანდრიის მიტროპოლიტი მენა და ეჭვგარეშეა, რომ ეს არის ეგვიპტის დიდი მფარველი, ვისი დღესასწაულიც იმართებოდა 11 ნოემბერს. წმიდა მენაზე საუბარი 295 წლისთვის აღდგომის ქრონიკონში (ქრონიკუმ ალექსანდრინუმ): Ἐτους σξζ´ τῆς εἰς οὐρανὸς ἀναλήψεως τοῦ κυρίου καὶ τῶν προκειμένων ὑπάτων [Τούσκου καὶ Ἀνουλλίνου] ἔμαρτυρησεν ὁ ἄγιος Μηνᾶς ἐν Κοτυαεῖδι Φρυγίας Σαλουταρίας ἀθῆρ ἱε´, πρὸ γ´ ἰδῶν νοεμβρίου „ჩვენი უფლის ცაში ამალღების შემდგომ 585 წელს, კონსულების ტუსციუსის და ანულისუსის ქვეშ, წმიდა მენა ანამეს ფრიგიის სალუტარიუსის კოთაიონში, 15-ე ათირს, ნოემბრის იღებამდე 5 დღით ადრე.”

უმნიშვნელოვანესია წმიდა მენას კულტის ისტორიაში ცნობილი ტაძარი, რომელიც აიგო მის საფლავზე მარეოტის ტბის ახლოს (ეგვიპტე), სადაც შუა საუკუნეებშიც კი ქრისტიანები არა მხოლოდ აღმოსავლეთიდან ჩადიოდნენ და თაყვანს სცემდნენ წმიდა მენას (Delehaye 1910, 117-118). სოფრონიუსი ამ ტაძარს ლიბიის სიამაყეს უწოდებს: „წმიდა მენას ტაძარი და განსასვენებელი ტაძრის წინ ლიბიის სიამაყედ იქცა; ის არის ადგილობრივი მცხოვრები და მფარველი, ცნობილი იყო ქრისტესთვის წამებამდეც და მის შემდგომაც. და ჭეშმარიტად, ეს ღირსშესანიშნაობა დიდების და სიამაყის ღირსია, რადგან მისი მეშვეობით მარეოტის მხარემ და მთელმა ლიბიამ ჩვენამდე მოაღწია და, რაც მთავარია, ალექსანდრიამ, დიდმა, მშვენიერმა და ქრისტესმოყვარულმა ქალაქმა” (იქვე, 118).

პალესტინაში იყო წმიდა მენას ეკლესია, ეპაფროდიტუსის მიერ აგებული, სადაც, წარწერის მიხედვით, მისი წმიდა ნაწილები ინახებოდა და 11 ნოემბერს დღესასწაულობდნენ მისი მოხსენიების დღეს.

რომშიც იყო წმიდა მენას ეკლესია ვია ოსტიენსისზე, სადაც წმიდა გრიგოლ ნაზიანზელმა თავისი XXXV ჰომილია იქადაგა სახარებაზე. რომში ნაპოვნია წარწერა (589 წ.), სადაც წმიდა მენას მფარველობით არსებული ალექსანდრიის გილდია მოიხსენიება.

დალმატიაშიც არის ნაპოვნი წარწერა, სადაც წმიდა მენა მოიხსენიება. მ. კაუფმანმა აწარმოვა გათხრები მარეოტის უდაბნოში და იქ აღმოაჩინა დიდი ბაზილიკა, წმიდა მენას საფლავი, სანათლავი, პილიგრიმთათვის ღამის გასათევი, სასაფლაო (იქვე, 119). ეს არის აბუ მენას კომპლექსი, რომელიც ალექსანდრიიდან 45 კმ.-ის დაშორებით, სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს.

ეგვიპტის შემდეგ კონსტანტინოპოლია წმიდა მენას კულტის ძირითადი ადგილი. მისი დღესასწაული იმართებოდა 11 ნოემბერს, *ὁ ἅγιος μαρτυραὶδ ἄντιστ πλισίον τῆς Ἀκροπόλεως* „მის მარტირონში, აკროპოლისის მახლობლად,“ ტაძრის კურთხევა კი 21 სექტემბერს აღინიშნებოდა. წმიდა მენას ეკლესია ზღვის ნაპირზე, პოსეიდონის ტაძრის ახლოს იყო. ზოგიერთი ცნობით, ეკლესია ააგო კონსტანტინემ, ან მიუძღვნა წმიდა მენას, სხვაგან კი საუბარია, რომ ეკლესია დასრულდა 450-457 წლებში, პულქერიასა და მარცინის მიერ (იქვე, 120).

ბერძნულ და ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე შექმნილ ტექსტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ მენოლოგიებში 11 ნოემბერს დადასტურებულია წმიდა მენას: სამი წამება (BHG 1250-1254); პანეგირიკი (BHG 1255) და სასწაულების კრებული (BHG 1156-1269) (იქვე, 121). მათ მიხედვით, მენა იყო ეგვიპტელი მეომარი. ის თან ახლდა ტრიბუნ ფირმილიანს და მის კოჰორტას კოთაიონში, ფრიგიის სალუტარისის დედაქალაქში, ლაშქრობისას. შემდგომ მენამ მიატოვა არმია და წავიდა უდაბნოში. დღესასწაულის დღეს, როცა მთელი მოსახლეობა კოთაიონის თეატრონში შეიკრიბა, მენა მივიდა და თავი ქრისტიანად გამოაცხადა. მმართველმა პირუსმა დაკითხა ის და საპყრობილეში ჩასვა. შემდეგ ისევ

დაიკითხა და იწამა მენა, მაგრამ ქრისტიანობა არ უარყო. ბოლოს მსაჯულმა სიკვდილი მიუსაჯა. მენას ქალაქის გარეთ მოჰყვებოდა თავი და მისი გვამი დანვეს. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, მსაჯულმა მისი გვამი კუბოში მოათავსა. ვინაიდან წმიდანმა სიკვდილამდე ითხოვა სამშობლოში დაბრუნება, მისი სურვილი ასრულდა და მისი ცხედარი სხვა ქრისტიანმა ძმებმა აქლემით მშობლიურ მიწაზე, ეგვიპტეში, ჩაიტანეს (იქვე, 122).

1900 წელს ი. პომიალოვსკიმ გამოაქვეყნა ტიმოთე ალექსანდრიელისათვის (როგორც სასწაულების ავტორი შესავალში თავის თავს უწოდებს) მიწერილი წმიდა მენას სასწაულები: Διήγησις Τιμοθέου Αρχιεπισκόπου Αλεξανδρείας περί τῶν θαυμάτων τοῦ ἁγίου ἐνδόξου μάρτυρος Μητῆ, „ტიმოთე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის თხრობა წმიდა და დიდებული მონამე მენას სასწაულების შესახებ“ (Pomjalovskij 1900, 62).<sup>1</sup> როგორც ჰ. დალაჰი გვამცნობს, არავინ ცნობს ტიმოთე ალექსანდრიელს (380-384წწ.) ამ სასწაულების კრებულის ავტორად. პომიალოვსკიმ გამოაქვეყნა წმიდა მენას სასწაულები (13) მხოლოდ ერთი ხელნაწერის მიხედვით. ჰ. დალაჰი აღნიშნავს, რომ თვენის ბერძნულ ხელნაწერებში 11 ნოემბრისთვის მოცემულია ხოლმე პირველი ხუთი სასწაული, მაგრამ აქ მათი მოკლე ვერსიებია დაცული (Delehaye 1910, 127-128).

ფსევდო-ტიმოთე ალექსანდრიელის მოკლე პროლოგში მოთხრობილია კონსტანტინეს მოქცევის შესახებ, რომელსაც მიეწერება ედიქტი, რომლის მიხედვითაც, ქრისტიანობა მთელს ქვეყანაში უნდა გავრცელებულიყო და ეშენებინათ ეკლესიები მონამეთა პატივსაცემად. ალექსანდრიის მცხოვრებლები მაშინვე გაემართნენ წმიდა მენას ნეშტის საძებრად, რომ მის სახელზე ტაძარი აეგოთ. სასწაულებში კი მოთხრო-

---

<sup>1</sup>სასწაულების ტექსტს ფართოდ განვიხილავთ გამოკვლევის შესაბამის განყოფილებაში და წარმოვადგენთ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი 3 სასწაულის ტექსტის მიმართებას ბერძნულ დედანთან.

ბილია, რომ წმიდა მენა არა მხოლოდ თავის ტაძარში სუფევს, არამედ ეცხადება ადამიანებს, რათა დაეხმაროს მათ (იქვე, 128).

ჰ. დალაჰაი წმიდა მენას შესახებ თხრობას განაგრძობს „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის“ ბერძნული კიმენური (BHG 1270) და მეტაფრასული (BHG) ვერსიების შესახებ. წამების ბერძნული კიმენური ტექსტი, სამწუხაროდ, არც დალაჰაის დროს იყო გამოქვეყნებული და არც დღემდე გამოქვეყნებულა. დალაჰაი ტექსტს იცნობს და მსჯელობს მასზე, ძირითადად, *Vaticane Ottobon. 422 1004* წ. გადანერილი ხელნაწერის მიხედვით (იქვე, 136).<sup>1</sup> თხზულების ავტორად „წამებაში“ თავს ასახელებს თავად წმიდა ათანასე ალექსანდრიელი, მაგრამ ისიც ფსევდო-ათანასედ უნდა მივიჩნიოთ.

თხზულებაში მოთხრობილია მენას შესახებ, რომელიც იმპერატორმა მაქსიმიანემ გაგზავნა ალექსანდრიაში ამბოხების ჩასახშობად. მენა ქრისტიანი იყო, მაგრამ თავს არ აცხადებდა. შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ იგი ქრისტიანი იყო, მის დასასჯელად მაქსიმიანემ ერმოგენე გამოგზავნა, რომელიც თავად მოექცა ქრისტიანად. ევგრაფოსი კი იყო მენას მნიგნობარი ან მწერალი, რომელსაც თავად მაქსიმიანემ მოჰკვეთა თავი. შემდეგ სამივე წმიდანის ნაწილები ჩადეს რკინის სარკოფაგში და ზღვაში გადააგდეს. წმიდა მენამ სიკვდილამდე ისურვა, რომ მისი ნეშტი ქალაქ ბიზანტიაში გადაეტანათ და, სწორედ ამიტომ, სარკოფაგი იქ მიცურდა, ქალკედონთან ახლოს, ორი ანგელოზის და ღრუბლის სვეტის თანხლებით. ანგელოზმა აუწყა ეპისკოპოსს მომხდარი და ის ხალხთან ერთად მივიდა ნაპირზე და წმიდა მენას გვამი გადაიტანა სამალავში. მალევე მაქსიმიანე მოკლა ანგელოზმა და ამის შემ-

---

<sup>1</sup> „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების“ ბერძნული ხელნაწერების შესახებ იხ. ტომის შესავალში.

დეგ, სამალავიდან გამოიტანეს წმიდა მენას გვამი და ზღვის ნაპირზე დაასვენეს.<sup>1</sup>

ახლა ნათლად ვხედავთ, „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამებასა“ და ადრე განხილული წმიდა მენას წამებების შინაარსს შორის ძალზე დიდ განსხვავებას (აქ იგულისხმება სამი წამება BHG 1250-1254 და სასწაულების კრებული BHG 1156-1269).

ჰ. დალაჰაიმ მართებულად მიაქცია ყურადღება, რომ „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამებაში“ მენა რამდენიმეგზის მოხსენიებულია, როგორც *καλλικλέαδος Μηνάς* „ტკბილმეტყველი მენა“ და აქცენტი მის მჭევრმეტყველებაზე კეთდება, რაც სრულიად უცხოა სხვა წამებებისათვის (Delehaye 1910, 136; 139; 143). წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის მოხსენიების დღედ 10 დეკემბერია დაწესებული ბერძნულ სვინაქსარებში. ასევე, სამი წამების (BHG 1250-1254) და სასწაულების მიხედვით მენა ალექსანდრიიდან ფრიგიაში მიდის და მისი ნეშტი, მისი სურვილისებრ, ბრუნდება ისევ ეგვიპტეში, სადაც მის საფლავზე იგება ეკლესია და უკვე იქ ახდენს წმიდა მენა სასწაულებს.

ჰ. დალაჰაიმ ვრცელ მსჯელობას გვთავაზობს და ასკვნის, რომ ეგვიპტელი მენა და *καλλικλέαδος Μηνάς*, დიდი ალბათობით, ერთი და იგივე პიროვნებაა, რაც მის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიდან ჩანს:

1. ჰაგიოგრაფიული პროცესი და ტერმინოლოგიის გავლენა: ტექსტი აჩვენებს, რომ *καλλικλέαδος Μηνάς* სახელი წარმოიშვა ეპითეტიდან, რომელიც ისტორიულ რეალობას არ ემყარებოდა. „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების“ ავტორი არ ასხვავებდა ეგვიპტელ მენას და *καλλικλέαδος Μηνάς*-ს, არამედ შექმნა ახალი ნარატივი, რათა ისინი დაეკავშირებინა.

---

<sup>1</sup> ვრცლად წამების შინაარსი გადმოცემული გვაქვს ტომის შესავალში.



2. მენას შესახებ ბერძნულ სვინაქსარებში დაცულია ამბავი, რომლის მიხედვითაც კონსტანტინოპოლის აკროპოლისთან წმიდა მენას ნეშტი აღმოაჩინეს. ტექსტი 17 თებერვალს უნდა წაკითხულიყო: იმპერატორ ბასილის (867-885) დროს, ერთ ღამეს, ფილომატესს წმიდა მენა გამოეცხადა და უთხრა: „მე ვარ καλλικλάδος Μηνᾶς, დაკრძალული მიწის ქვეშ აკროპოლისის მახლობლად, ზღვის ნაპირზე.“ მან მიუთითა ადგილი, სადაც მისი ნეშტი იყო დამარხული. ფილომატესმა ეს ამბავი თავის მეგობარ მარიანოსს გაანდო, რომელმაც იმპერატორს აცნობა. გაგზავნილმა ჯარისკაცებმა გათხარეს მითითებული ადგილი და იპოვეს მეტალის სარკოფაგი, რომელშიც წმიდანის ნეშტი და დაფები იყო, რომელთა წარწერებიც ადასტურებდა, რომ ეს მართლაც წმიდა მენა იყო. წარწერების მიხედვით, ნეშტი იქ ოთხასი წლის განმავლობაში ესვენა.

3. წმიდა ნაწილების გადატანის მოტივი: „მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების“ ტექსტში დადასტურებულია წმიდანის სურვილი, რომ მისი ნეშტი ქალაქ ბიზანტიაში გადასვენდეს, რასაც სასწაულებრივ მოლივლივე სარკოფაგის მოტივი ახლავს. ეს იმეორებს ეგვიპტელი მენას ნეშტის კოთაიონიდან ეგვიპტეში გადატანის ისტორიას, რაც აჩვენებს, რომ ორივე ამბავი მიზანმიმართულად უკავშირდება ერთმანეთს. სვინაქსარებში დაცული თხრობა შეესაბამება წმიდა მენას, ერგოგენესა და ევგრაფოსის წამების ტექსტში მოცემულ თხრობას წმიდა მენას ქალაქ ბიზანტიაში გადასვენების შესახებ, რაც აჩვენებს, რომ კონსტანტინოპოლური ჰაგიოგრაფიული ტრადიცია მას ეგვიპტელ მენასთან აიგივებდა.

4. მეორე მენას ხელოვნურად შექმნა: „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების“ ავტორი, ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელი, ცდილობს καλλικλάδος Μηνᾶς-ს ცალკე წმიდანად წარმოჩენას, თუმცა განსხვავება მხოლოდ მის ეპითეტსა და რიტორიკული ნიჭის აღწერაშია. ეს მიანიშნებს, რომ ეპითეტის ახსნა ხელოვნურია და მისი მიზანია, უკვე არსებულ ჰაგიოგრაფიულ ტრადიციასთან შეთანხმდეს ტკბილ-მოუბარი მენას სახე.

5. ისტორიული კონტექსტი და კონსტანტინოპოლის პრესტიჟი: კონსტანტინოპოლს სურდა პრესტიჟული რელიქვიების მოპოვება და, სწორედ ამიტომ, ქრისტიანულ სამყაროში ეგზომ პატივცემული და თაყვანცემული ეგვიპტელი წმიდა მენა „მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის ნამების“ ავტორის მიერ წარმოჩენილია, როგორც ადგილობრივი წმიდანი. წმიდანთა ნამების ტექსტი შეიქმნა ამ სურვილის გასამართლებლად და წმიდანის ისტორია გადააკეთა, რათა ის ბერძნულენოვანი სამყაროსთვის მიესადაგებინათ (იქვე, 139-144).

3. დალაჰაი ასკვნის, რომ: 1. მარეოტის წმიდა მენა, კოთაიონის წმიდა მენა და καλκικῆδος Μηνᾶς ერთი და იგივე პიროვნებაა. იგი წარმოშობით ეგვიპტელი იყო და მონამებრივი სიკვდილი საკუთარ სამშობლოში მიიღო. მის საფლავზე აღიმართა დიდებული ბაზილიკა, რომელიც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თაყვანსაცემ ადგილად იქცა (აბუ მენა ეგვიპტეში). 2. ეგვიპტეს გარეთ მდებარე მისი საკულტო ადგილებიდან, კოთაიონსა და კონსტანტინოპოლში არსებული ტაძრები ლეგენდების წყაროდ იქცა, რომელთა გავლენა ქრისტიანულ სამყაროში გავრცელდა. თუმცა არცერთი ეს ლეგენდა არ გვეხმარება ისტორიული მენას უკეთ გაგებაში. 3. კოთაიონის ლეგენდა, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან იღებს სათავეს და, შესაძლოა, VII საუკუნისთვის უკვე არსებობდა;<sup>1</sup> მაშინ, როცა კონსტანტინოპოლის ლეგენდა არ უნდა იყოს IX საუკუნის ბოლო მესამედზე უფრო ადრინდელი (Delehay 1910, 145). დღეს უკვე მიჩნეულია, რომ წმიდა მენას კულტი აბუ მენაში, ეგვიპტეში, IV საუკუნის ბოლოდან არსებობდა, იქ არა მხოლოდ ეგვიპტელი ქრისტიანები, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონიდან ჩადიოდნენ მომლოცველები, რასაც მოწმობენ ამ რეგიონში ნაპოვნი ფირფიტები და სხვა ნივთები წმიდა მენას გამოსახულებებითა და წარწერებით (Silvano, Varalda 2019, 52-53). წმიდანთა მონა-

---

<sup>1</sup> <http://csa.history.ox.ac.uk/record.php?recid=S00073>.

ცემთა ბაზაში წმიდა მენას გარდაცვალების თარიღად მითითებულია არა უადრეს 305 წლისა და არა უგვიანეს 310 წლისა.<sup>1</sup>

ჰ. დალაჰაი სტატიას ურთავს მის მიერ აღმოჩენილი თხზულების *Εἰρησεως τῶν λειψάνων τοῦ ἁγίου μάρτυρος Μηνᾶ τοῦ Καλλικελάδου* „წმიდა მონაშე მენა ტკბილმოუბრის ნაწილების აღმოჩენა“ ტექსტს, რომელიც მისი კვლევისა და სტატიის დაწერის ბიძგი გახდა. ტექსტი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერში add. 36.589. ხელნაწერი წარმოადგენს თებერვლის მენოლოგიონს. თხზულება 17 თებერვალს იკითხებოდა, იმ დღეს, როდესაც, კონსტანტინოპოლში წმიდა მენას წმიდა ნაწილების აღმოჩენის ხსენება აღინიშნებოდა. ანონიმი ავტორის ტექსტი სამ ნაწილად იყოფა: შესავალი (ნაწილი 1); წმიდა მენას წმიდა ნაწილების კონსტანტინოპოლში გადატანის თხრობა (ნაწილები 2-4); სასწაულთა კრებული, რომლებიც ამ წმიდა ნაწილებმა ქმნეს (ნაწილები 5-12). მეორე ნაწილი სიტყვა-სიტყვით აღებულია „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის ნამების“ კიმენური რედაქციის ტექსტიდან. ავტორი მხოლოდ ამბობს, რომ წმიდანის სხეული იქნა დაკრძალული მისივე სახელობის ტაძარში. რაც შეეხება მცირე სასწაულთა კრებულს, მას არაფერი აქვს საერთო ფსევდო-ტიმოთე ალექსანდრიელის მიერ გადმოცემულ სასწაულებთან (Delehaye 1910, 145).

ერთი და არა რამდენიმე წმიდა მენას შესახებ ჰ. დალაჰაის დასკვნები სრულად გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამრიგად, ეგვიპტელი მენა და *καλλικελάδος Μηνᾶς* („წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის ნამების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების წმიდა მენა) ერთი პერსონაჟია, ხოლო კონსტანტინოპოლელმა ჰაგიოგრაფებმა მიზანმიმარ-

---

<sup>1</sup> <http://csla.history.ox.ac.uk/record.php?recid=S00073>

თულად შეცვალეს მასზე მონათხრობი, რათა მენა ადგილობრივ წმიდანად წარმოეჩინათ.

თუ ვივარაუდებთ, რომ ექვთიმე ათონელმა თავად დაურთო მის მიერ თარგმნილ „წამებაჲ წმიდისა მინაჲსი და ერმოგენე და ევლრაფოჲსის“ (BHG 1270) კიმენურ ტექსტს წმიდა მენას სამი სასწაული (BHG 1257; 1258; 1260), რომლებიც ფსევდო-ტიმოთე ალექსანდრიელის სახელით არის ცნობილი, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მან კარგად იცოდა, რომ ეგვიპტელი მენა და *καλλικέλαιος Μηνᾶς* ერთი და იგივე წმიდანია. აქ შეიძლება მეორე ვარაუდიც გამოვთქვათ, რომ მას ხელთ ჰქონდა ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოჲსის წამებას“ უკვე დართული ჰქონდა ეგვიპტელი მენას სამი სასწაული.

წმიდა მენა ქართულ ლექციონარებში მოხსენიებულია რამდენიმეჯერ: 12 ნოემბერს: თთუესა ნოემბერსა იბ. ნეტარისა ასიას შწნებულსა. წსენებაჲ წმიდისა ნეტარისა მენაჲსი. ყოველი წმიდათაჲ (თარხნიშვილის 1357) (Tarchnishvili 1960, 62). 10 ივლისს: თთუესა ივლისა ი. ნეტარისა ბაეს შენებულსა. წსენებაჲ ნეტარისა მენაჲსი. ყოველი წმიდათაჲ (თარხნიშვილის 1084) (იქვე, 22). 31 ოქტომბერს: თთუესა ოკდონბერსა ლა. მაჲს შწნებულსა. წსენებაჲ ესაია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, მენაჲსი, ფოკაჲსი. ყოველი წმიდათაჲ (თარხნიშვილის 1335) (იქვე, 59). წმიდა მენა სხვა წმიდანებთან ერთად იხსენიება იოანე ზოსიმეს მიერ შედგენილ საეკლესიო კალენდარშიც 4 მაისს, 10 ივლისს, 31 ოქტომბერს, 11 ნოემბერსა და 12 ნოემბერს.<sup>1</sup>

ქართულ სვინაქსარებში წმიდა მონამეების – „მენას, ერმოგენეს და ევლრაფოჲსის წამების“ მოკლე თხრობა მოცემულია 10 დეკემბერს. ტექსტი მცირე ზომისაა და აქ სრულად მოვიტანთ მას XI ს. გადანერვილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსრის (J) Jer-24-ის 76v-77r-ზე დაცული ტექსტის

---

<sup>1</sup> <http://csla.history.ox.ac.uk/record.php?recid=S00073>

და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (BnF. Département des Manuscrits. Géorgien 4, 28r-29r) დაცული თისლის მონასტრის სვინაქსრის (P) ტექსტის მიხედვით.

[77v J; 28r P] თუესა დეკენბერსა ო. წმიდათა მონამეთა მინაჲსი, ერმოგინესი და ევლრაფოჲსი

ესე წმიდაჲ მონამე მინა იყო მაქსიმიანეს ზე<sup>1</sup> მეფისა. ხოლო ძიებაჲ რაჲმე იქმნა ალექსანდრიელთა<sup>6</sup> მიერ და აღძრვაჲ საქმისა რომლისათჳსმე. მაშინ განმართლება<sup>7</sup> მისა, მეფისა მიერ წარივლინა მუნ წმიდაჲ ესე. და რამეთუ იყოვე სწავლულ ყოვლითა სიბრძნითა და წურთილ სიტყუათა რიტორობისათა, ვინაჲთგან მრავალი ჟამი დაეყო ათინას შინა სწავლისათჳს და მეტყუელებისა რომელი მიერ მოედო. და რამეთუ ათინელი იყო ნათესავითცა, მივიდა უკუე ალექსანდრიას და არა ხოლო თუ მეცნიერებად, აღძრვისა მის მოიყვანნა ალექსანდრიელნი და ყოველივე განუმარტა მათ მიერ ყოფილი, საძიებელი და შფოთი, არამედ რომელთა-იგი შეეწყნარა სიტყუაჲ ქრისტეს სარწმუნოებისაჲ, შეურყეველად და მტკიცედ ჰყრობად მისსა<sup>8</sup> აღჰმზადნა [28v P] და მრავალნი სნეულნი განკურნნა.

ვინაჲცა ესმა მისთჳს მეფესა და წარავლინა დიდებული ეპარხოზი<sup>9</sup> ერმოგინე და ამცნო, რაჲთა განეყენოს მინა ქრისტეს სარწმუნოებისაგან. ხოლო უკუეთუ არა ერჩიდეს, რაჲთა გუემოს იგი<sup>10</sup> ყოვლითა<sup>11</sup> სატანჯველითა.

რომელსაცა წინააღუდგა წმიდაჲ მინა სიტყუთა მოძღურებისაჲთა, ამისთჳსცა მოჰკუეთნა ფერწნი მისნი და აღმოჰჰადნა თუალნი და აღმოჰკუეთა ენაჲ მისი. გარნა ვინაჲთგან ჳორცთა მისთაგან მოჭრილნი იგი ასონი საკურველებით განკურნებულნი იხილნა და ორნი ანგელოზნი, რომელნი თავსა მინაჲსსა ჰფარვიდეს. [77r J] მოიქცა და ჰრწმენა

---

<sup>1</sup> ზღ J. ალექსანდრელთა J. განმარტებად J. მისა J. ეპარხოზი P. ~ ერჩიდეს იგი, რაჲთა გუემოს ყოვლითა J. ყოვლითავე P.

ქრისტე<sup>1</sup> და წმიდისა მინაჲს მიერ ნათელ-ილო და მოსრულთა მათ ეპისკოპოსთაგან<sup>2</sup> მღვდელთმოძღურებისა პატივი მიიღო.

ესე რაჲ ცნა მეფემან, სავსე რისხვითა მივიდა მათ ზე-და, და<sup>3</sup> ბრძანა წარდგინებაჲ მათი წინაშე მისსა და ვითარ-იგი ამხილა წმიდამან ერმოგინე, მყის უბრძანა ლახურითა გურე-მა<sup>4</sup> მუცელსა მისსა და ჴელთა და ფერჴთა მოჭრაჲ და ნაკუ-ერცხალთა ცეცხლისათა შთაგდებად და ნეშტი ჴორცთა მის-თაჲ შთაბნევად მდინარესა შინა. ხოლო წმიდისა მინაჲსი ბრძანა დამოკიდებაჲ ადგილსა რასმე ბნელსა და ლოდისა მიძიმისა მობმაჲ მისდა.

და ესე რაჲ აღესრულა, მაშინ წმიდანი ესე ანგელოზისა მიერ განიკურნნეს და წინაშე მეფისა წარდგეს და კუალადცა უღმრთოებაჲ მისი ამხილეს, ვინაჲცა წმიდაჲ ევლრაფოს,<sup>5</sup> რომელი იყო მწიგნობარი წმიდისა მინაჲსი, კადნიერ იქმნა და ქრისტე აღიარა. და მრავალი გინებაჲ უკეთურისა მის მეფისაჲ წარმოთქუა. ხოლო მეფემან, ვითარ-იგი ძლეულებაჲ და მხი-ლებაჲ თჳსი ვერ თავს-იდვა, აღივსო გულისწყრომითა და იწადა მახული და თჳსითა ჴელითა მოკლა წმიდაჲ ევლრაფოს. და ეგრეთვე მსახურთა მათ მძლავრისათა მოკლნეს<sup>6</sup> მახული-თა [29r P] წმიდაჲ მინა და ერმოგინე. ხოლო პატიოსანნი ნა-წილნი მათნი აღვიდეს და დაისხნეს ბიზინტიას, სადა-იგი არიან აწ, რამეთუ ესრეთ ვედრებულ იყო უფლისადა წმიდაჲ მინა.<sup>7</sup>

ხოლო წამებაჲ მათი აღწერა ათანასე ალექსანდრიელ-მან.

მანანა დოლაქიძისა და დალი ჩიტუნაშვილის მიერ გა-მოქვეყნებულ გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსრის გამო-ცემაში, რალა თქმა უნდა, დაბეჭდილია ეს ტექსტი (დოლაქი-ძე, ჩიტუნაშვილი 2017, 90). გიორგი მთაწმიდელის დეკემბრის თვის თვეწმიც 10 დეკემბერს არის დადასტურებული წმიდა მონაშეთა მინა, ერმოგინი და ევლრაფოასის ხსენების დღე.

---

<sup>1</sup> ქრისტე P. 2. ეპისკოპოსთაგან J. 3. და – P. 4. გუმერაჲ P. 5. ევლრაფოს J. 6. მსახურთა მიერ მძლავრისათა 7. მოიკლნეს J.

ე. გაბიძაშვილი უთითებს, რომ მინა ეგვიპტელის მეტაფრასული ტექსტი ორგზისაა ქართულად თარგმნილი: 1. თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ თარგმნილი მინა ეგვიპტელის ნამება სათაურით „ნამება ნმიდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მონამისა მინაჲსი, რომელი იყო ეგვიპტით და ინამა კუტაგანს,“ დაცულია Ath-36 XI ს.-ის ხელნაწერში, 13v-19v-ზე. 2. იგივე ტექსტი თარგმნილია ეფრემ მცირის მიერაც, მისი სათაურია „ნამება ნმიდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მონამისაჲ მინა მეგვიპტელისაჲ, რომელი ინამა ქალაქსა კოტვაოსა“. ტექსტი დაცულია A-128 XII-XIII სს.-ის ხელნაწერში 60r-66v-ზე; S-384 XI-XII სს.-ის ხელნაწერში 612-635 გვერდებზე. არსებობს, აგრეთვე, ქართულ ენაზე თარგმნილი მენა ფრიგიელის ცხოვრების კიმენური ტექსტი: [„ცხოვრება ნმიდისა მენაჲსი,“] რომელიც დაცულია XI ს.-ის ერთადერთ ხელნაწერში Sin. O. Geo 11, 1r-8r-ზე. ხელნაწერებში მინა ეგვიპტელის და მენა ფრიგიელის მოსახსენიებელი დღეა 11 ნოემბერი (გაბიძაშვილი 2004, 285). და, როგორც ზემოთ დავინახეთ, მინა ეგვიპტელი, მინა ფრიგიელი და ტკბილადმოუბარი მენა ერთი და იგივე ნმიდანია.

ბოლოს, შეიძლება სინანულით აღვნიშნოთ, რომ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ „ნმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის ნამების“ კიმენურ ტექსტს (BHG 1270) დართული ექვთიმესავე ქართულ ენაზე თარგმნილი ნმიდა მენას სამი სასწაულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში, არც ჩვენში, და არც სხვაგან, ერთი ცნობაც კი არ მოგვეპოვებოდა, რაც განსაკუთრებით დასანანია, რადგან ნმიდა მენას სასწაულების მოკლე თუ ვრცელი თხრობების შესახებ ბერძნულ თუ ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე არსებულ ტექსტებზე მრავალი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ „ნამების“ ტექსტი დღემდე არ იყო გამოქვეყნებული და სამივე ხელნაწერის აღწერილობაში, სადაც ექვთიმეს თარგმანია დაცული, აღმწერებმა ნმიდა მენას სასწაულები „ნამების“ თხრობის ნაწილად მიიჩნიეს, ვერ გა-

მიჯნეს წამების ტექსტის დასასრული და სასწაულთა თხრობის დასაწყისი.

## **2.1. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი და „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების” ტექსტის შემდგომ დართული წმიდა მენას სასწაულებისათვის**

ბერძნული „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების” ტექსტის შემცველ ხელნაწერებს არ ერთვის წმიდა მენას სასწაულები. ისინი ცალკე კრებულების სახით გვხვდება ხოლმე. ექვთიმე ათონელი, მის მიერ თარგმნილ თხზულებას „წამებაჲ წმიდისა მენაჲსი და ერმოგენესი და ევგრაფოსისი,” ურთავს წმიდა მენას სამ სასწაულს: ისაურელი პილიგრიმის შესახებ (BHG 1257); ევტროპიოსისა და ვერცხლის ფეშხეუნების შესახებ (BHG 1258) და ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ (BHG 1260). როგორც ზემოთ ვწერდით, აქ ორი მოსაზრება შეიძლება გამოითქვას: ა) ან ეფთვიმე ათონელმა თავად მოიძია, გამოკრიბა და დაურთო წმიდა მენას 13 სასწაულიდან სამი სასწაული „წამების” ტექსტის ბოლოს; ბ) ან არსებობდა და დღეს დაკარგულია ბერძნული დედანი, სადაც წამებას ერთოდა ეს სამი სასწაული, ანაც მეტი და ექვთიმემ მხოლოდ ეს სამი გამოარჩია და თარგმნა. ჩვენ უფრო სარწმუნოდ პირველი მოსაზრება მიგვაჩნია, რადგანაც ექვთიმე ცნობილია სათარგმნი ტექსტების კომპილაციით, კრებულების თავად შედგენითაც კი. ნ. მელიქიშვილმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი წმიდა იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური კრებული „მარგალიტი.” მეცნიერი ექვთიმეს თარგმნილ კრიტიკულ ტექსტს წამძღვარებულ გამოკვლევაში განიხილავს რა „მარგალიტის” ბერძნული და ქართული ტექსტების სტრუქტურას, წერს: „ქართულ თარგმანში მთლიანი ბერძნული საკითხავის დაყოფა ნაწილებად



ექვთიმედ შემოღებულად მიგვაჩნია. „მარგალიტის“ ქართული რედაქციის ქვესაკითხავთა სათაურების მატარებელი გაცილებით დიდი მოცულობის ტექსტები იოანე ოქროპირის აურაცხელ სიტყვებში, თარგმანებებში, საუბრებში არის გაბნეული; მათი პარაფრაზირებული, შემოკლებული, გადამუშავებული სახეა ჩართული ბერძნულ ეკლოგებშიც. ვფიქრობთ, „მარგალიტის“ ქართველი მთარგმნელის მიზანდასახულობამ განაპირობა სრული ტექსტიდან ამოკრებილი ამ მონაკვეთების ქვესაკითხებად გამოყოფა ძირითადი სიტყვიდან, მათთვის იმავე დასათაურების გაკეთება, რასაც ატარებს მათი შესატყვისი სრული ტექსტი და ამ სახით ჩართვა „მარგალიტის“ ქართულ რედაქციაში“ (მელიქიშვილი 2015, 46). სხვაგან, ნ. მელიქიშვილიც მიდის დასკვნამდე, რომ ან უნდა ეარსება „მარგალიტის“ ბერძნულ დედანს, რომელიც ექვთიმეს თარგმანშია ასახული, ან კრებული ამ სახით ექვთიმემ ჩამოაყალიბა (იქვე, 47). მოვიხმობთ ნ. მელიქიშვილის მეორე მსჯელობასაც „მარგალიტის“ ქართული თარგმანის სტრუქტურის და თავად ტექსტის „კლება-მატების“ მეთოდით თარგმნის შესახებ: „რამდენად შეეძლო ეფთვიმე ათონელს თვითონ შეექმნა ასეთი სტრუქტურის კრებული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მასშტაბები და მეთოდი. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ეფთვიმე ძალიან თავისუფლად ეპყრობოდა სათარგმნ დედანს – ტექსტს ამოკლებდა და ავრცობდა, ახდენდა პარაფრაზირებას, გარკვეულ მონაკვეთებს ტოვებდა, აკეთებდა კომპილაციას, ანუ რომელიღაც სხვა ტექსტიდან მონაკვეთები გადმოჰქონდა სათარგმნ თხზულებაში ... ყველაფერი ეს გარკვეული მიზანდასახულობით კეთდებოდა. თუ ქართული „მარგალიტის“ არსებული სტრუქტურა ეფთვიმეს შემუშავებულია, მაშინ ის სრულად პასუხობს იმ მიზანს, რომელიც ამოძრავებდა ამ დიდ მამას თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობისას, კერძოდ, რაც შეიძლება გასაგები და ხელმი-

სანვდომი გაეხადა ბერძნული ორიგინალი მკითხველისათვის” (მელიქიშვილი 2015, 48).

თუკი მივიღებთ მსჯელობას, რომ ეფთვიმე ათონელი თავად ასტრუქტურირებდა ტექსტს, რთავდა სხვა ავტორების მოსაზრებებს სხვა ავტორთა თხზულების თარგმნისას, აკლებდა ავტორისეულ მსჯელობებსა და მოსაზრებებს, ამიტებდა თავისივე ნააზრევს და ამ ყოველივეს მკითხველისათვის უფრო მეტად გასაგებ ტექსტად გარდასაქმნელად აკეთებდა, რა გასაკვირი შეიძლება იყოს, რომ მან თავად მოიძია წმიდა მენას სასწაულები, შეარჩია 13-დან სამი და ისინი თარგმნა ქართველი მკითხველისათვის, შემდეგ კი დაურთო წმიდა მენას „ნამებას” მისივე სასწაულები.

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, ბერძნულ ენაზე წმიდა მენას სასწაულების მოკლე და ვრცელმა ტექსტებმა მოაღწიეს ჩვენამდე. ლ. სილვანომ და პ. ვარადამ შეისწავლეს წმიდა მენას სასწაულების ბერძნული ხელნაწერების ტექსტები და ისინი ოთხ რედაქციად დაყვეს. მათი განსაზღვრებით:

ა რედაქცია კოპტური ვერსიიდან მომდინარეობს და ტექსტი დაცულია ერთგვაროვან უძველეს ხელნაწერებში;

ბ რედაქციის ტექსტი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში, რომელიც გამოაქვეყნა ი. პომიალოვსკიმ 1900 წელს (Pomjalovskij 1900). ბ რედაქციაში შეინიშნება ტექსტის გადამუშავების ტენდენცია მისი გავრცობისა და ენობრივი დახვეწის თვალსაზრისით;

გ და დ რედაქციები, სავარაუდოდ, ა-დან განვითარდა. გ რედაქცია წარმოადგენს *recensio brevior*-ს (BHG 1269a), გამოქვეყნებულს Vat. gr. 866 ხელნაწერის მიხედვით. ამ რედაქციას თხრობის შემოკლების ტენდენცია ახასიათებს;

დ რედაქციის ტექსტი (Ambr. F 99 sup.), მრავალმხრივად გადამუშავებული, აქ შეინიშნება სინონიმთა ხელახლა ფორმულირება, პერიფრაზების უფრო კლასიკური ზმნებით ჩანაცვლება, ზედმეტი სიტყვების გამოტოვება და ა.შ. (Silvano, Varalda 2019, 58-59).

ლ. სილვანომ და პ. ვარადამ გამოაქვეყნეს ბერძნული სასწაულების ა რედაქციის ოთხი სასწაულის კრიტიკული ტექსტი (იქვე, 60-76). პ. დუვომ გამოაქვეყნა ორი ხელნაწერის მიხედვით ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ წმიდა მენას სასწაულის ა რედაქციის ბერძნული ტექსტი (Devos 1960, 154-308; 282-285). გ რედაქციის სასწაულების ტექსტი გამოაქვეყნა რ. მიედემამ (Miedema 1918, 210-245). პ. ვარადამ გამოაქვეყნა წმიდა მენას მეორე სასწაულის (BHG 1258) ა რედაქციის რეკონსტრუირებული კრიტიკული ტექსტი, სადაც სქოლიოებში წარმოადგინა, აგრეთვე, ბ, გ, დ რედაქციის ვარიანტები (ვარადა 2021, 218-230).

ექვთიმეს მიერ მოძიებული და თარგმნილი სამი სასწაულის ბერძნული დედანი, რომელიც ბ რედაქციისაა (კვლევის ამ ეტაპზე ამ დასკვნამდე მივედით), დაცულია მხოლოდ ერთ ბერძნულ ხელნაწერში, ეს არის X-XI საუკუნეში გადანერილი მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის №369 ხელნაწერი (დღევანდელი სახელდებით, Synod. gr. 161) (Varada 2021, 208). წმიდა მენას 13 სასწაულის ტექსტი ამ ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ი. პომიალოვსკიმ 1900 წელს (Pomjalovskij 1900, 62-89). მას შემდგომ, ბ რედაქციის ტექსტი აღარ გადაბეჭდილა.

წმიდა მენას სასწაულების ბერძნული ბ რედაქციის ტექსტს გააჩნია სათაური: Διήγησις Τιμοθέου Αρχιεπισκόπου Ἀλεξανδρείας περὶ τῶν θαυμάτων τοῦ ἁγίου ἐνδόξου μάρτυρος Μητᾶ, „ტიმოთე ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის თხრობა წმიდა და დიდებული მონამე მენას სასწაულების შესახებ“ (იქვე, 62). ტიმოთე ალექსანდრიელს ექვთიმე ათონელი არ მოიხსენიებს სასწაულების ავტორად, ის უშუალოდ აბამს წამების ტექსტს წმიდა მენას სამ სასწაულს. ბერძნულ ენაზე სასწაულებს წინ უძღვის შესავალი (იქვე, 62-3), რომელიც ექვთიმემ არ თარგმნა.

ექვთიმე ათონელის თარგმანში არ ვხვდებით მენას სასწაულების ნუმერაციას და სასწაულების სათაურებს, რაც

ბერძნულ ბ რედაქციაში გვაქვს, მაგ.: Θάμα α'. Περὶ τὸν πορευθέντος πρὸς ἐξάθλια (იქვე, 63), ანუ: „სასწაული პირველი. სალოცავად წასულისათვის“; Θάμα β'. Περὶ τὸν ταξάμενον τὸν δίσκον (იქვე, 66), რაც ნიშნავს: „სასწაული მეორე. ფეშხუნის შემკვეთისათვის“; Θάμα δ'. Περὶ τὸν Ἐβραίου καὶ τὸν Χριστιανὸν (იქვე, 70), „სასწაული მეოთხე. ებრაელისა და ქრისტიანისათვის.“ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ამ სასწაულების ამგვარად მოხსენიება: პირველი სასწაულის – ისაურელი პილიგრიმის შესახებ (BHG 1257); მეორე სასწაულის – ევტროპიოსისა და ვერცხლის ფეშხუნების შესახებ (BHG 1258) და მესამე<sup>1</sup> (ქართული მესამე, ბერძნული მეოთხე) სასწაულისა – ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ (BHG 1260).

თითოეული სასწაულის თხრობის წინ ექვთიმე ათონელი თითო წინადადებით მკითხველს მიმართავს, რაც ბერძნულ დედანში მხოლოდ მეორე სასწაულის შემთხვევაში დასტურდება. პირველი სასწაულის, ისაურელი პილიგრიმის შესახებ, თხრობის წინ ვკითხულობთ: „ან ვისმინოთ, ძმანო, საკრველებანი, რომელნი ჰქმნნა ღმერთმან ჴელითა წმიდისა მონამისა (ქმონისა BC) თვისისა მენახსითა;“ მესამე სასწაულის, ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ, წინ წამდვარებული სიტყვები, რომლებიც ბერძნულ დედანში არ მოგვეპოვება, ექვთიმეს თარგმანის შემთხვევაში, ორი რედაქციითა ჩვენამდე მოღწეული: „და კუალად სხუაჲ საკრველი მეგულების მითხრობად წმიდისა ამის, საყუარელნო“ (ა რედაქცია); „კუალად სხუაჲ საკრველთმოქმედებაჲ გაუნყო წმიდისა მის, საყუარელნო“ (ბ რედაქცია). რაც შეეხება მეორე სასწაულის, ევტროპიოსისა და ვერცხლის ფეშხუნების შესახებ, შესავალ სიტყვებს, ბერძნულ დედანშია: Ἐτερον θάμα βισλίωμα διουγίσασθαι τὸν ἀγίον καὶ πανοβλίον γενόμενον μάρτυρος Μηνᾶ, რაც ამგვარად შეიძ-

---

<sup>1</sup> აქ და შემდგომ, წმიდა მენას მესამე სასწაულად მოვიხსენიებთ ბერძნული დედნისათვის მეოთხე სასწაულს, რომლის სათაურიცაა „ებრაელისა და ქრისტიანისათვის,“ BHG 1260-ს.

ლება ვთარგმნოთ: „მინდა გიამბოთ წმიდა და ყოვლადკურთხეული მოწამე მენას სხვა სასწაული.“ ექვთიმეს თარგმანშია: „და კუალად სხუაჲ საკრველებაჲ (საკრველი A) წმიდისა მენასი (წმიდისაჲ მის BC) მეგულების მითხრობად თქუენდა, რომელი იქმნა.“ ექვთიმეს მიერ თარგმნილი სამი სასწაულის უშუალოდ თხრობის წინ წამძღვარებული სიტყვების ქართულ თარგმანში არსებობის შესახებ ორი დაშვება შეიძლება იყოს: ა) ან ექვთიმეს ხელთ ჰქონდა ბერძნული ხელნაწერი, სადაც თითოეული სასწაულის თხრობამდე, პირველი და მესამე სასწაულების მსგავსად, ავტორი მიმართავდა მკითხველს, ბ) ან ექვთიმემ თავად ჩაამატა პირველი და მესამე სასწაულის თხრობის წინ არსებული ტექსტი.

**3. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამებაჲ წმიდისა მენასი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსის“ და მის მიერ თარგმნილი და წამების ტექსტზე დართული წმიდა მენას სამი სასწაულის ბერძნულ ტექსტთან მიმართებისა და ექვთიმეს თარგმანის შემცველი ნუსხების რედაქციული ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

**3.1. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამებაჲ წმიდისა მენასი და ერმოგინესი და ევლრაფოჲსის“ ბერძნულ ტექსტთან მიმართებისა და ქართული თარგმანის შემცველი ნუსხების რედაქციული ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

სამწუხაროდ, ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის თხზულების „წმიდა მენას, ერმოგინესა და ევლრაფოჲსის წამების“ ბერძნული დედანი, მიუხედავად იმისა, რომ დაცულია არაერთ ბერძნულ ხელნაწერში, დღემდე არ არის გამოქვეყნებუ-

ლი.<sup>1</sup> ჩვენ საშუალება გვაქვს, შევადაროთ ქართული თარგმანის ტექსტი თხზულების ბერძნული Vaticane Ottobon. 422 1004 ნ. გადანერილი ხელნაწერის ბერძნული ტექსტის მცირეოდენ ფრაგმენტებს და, ხანაც მათ თარგმანებს, რაც დაბეჭდილია ჰიპოლიტეს დალაჰაის მიერ 1910 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “L’invention des reliques de saint Méneas à Constantinople” (Delehaye 1910, 138-150). ამდენად, უპირველესად, ჩვენ შევადარებთ ბერძნული ტექსტის იმ მონაკვეთებს ექვთიმეს თარგმანს, რაც ჰ. დალაჰაიმ დაბეჭდა, რომ ცოტათი მაინც გამოჩნდეს, თუ რა მიმართებაა ბერძნულ ტექსტსა და ქართულ თარგმანს შორის და გამოიკვეთოს ქართული ტექსტის შემცველი ხელნაწერების რედაქციული ურთიერთმიმართება.

ნაწარმოების სათაური სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ხელნაწერებში:

A ხელნაწერში ვკითხულობთ: [თუესა] დეკენბერსა ი. წამებაჲ წმიდისა მენასი და ერმოგინესი და **ბარაფორისი**, კირიელეისონ!

B ნუსხაშია: თუესა დეკენბერსა ი. წამებაჲ წმიდისა მინასი და ერმოგინე და ევლრაფოესი. გუაკურთხენ, მამაო!

C ხელნაწერშია: დეკენბერსა ი. წამება წმიდისა მენასი და ერმოგინესი და **გრაფოესი**.

გუაკურთხენ, მამაო!

როგორც ვხედავთ, აქ ორი წმიდანის სახელი სხვადასხვაგვარად გვხვდება: მენა და **ბარაფორი** A ნუსხაში; B-ში: მინა და **ევლრაფო**, C-ში: მენა და **გრაფო**. ბერძნულ დედანში წამების სათაურია: Μαρτύριον τῶν ἁγίων Μηνᾶ, Ἐρμογίνου καὶ Εὐφράτου „წმიდათა მენას, ჰერმოგენეს და ევგრაფოსის წამება.“ როგორც ვხედავთ, **Εὐφράτος** „ევგრაფოს“ სახელი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი A ნუსხაში, როგორც **ბარაფორისი** (**Βαραφόριος**, **Βαραφόριος** სახელი ძველ, ბიზანტიურ

---

<sup>1</sup> ბერძნულ ხელნაწერთა ჩამონათვალი, სადაც წამების ტექსტია გადანერილი, მოცემული გვაქვს წინამდებარე ტომის შესავალში.

და ახალ ბერძნულ ენებში არ დასტურდება); და C-ში კი **გრაფოსი**. A ხელნაწერში ბარაფორ-ი მხოლოდ სათაურშია და-დასტურებული. C-ში არსებული **გრაფოსი**-ი არის ბერძნული **Εὐγράφος-ის (ეუგრაფოსი, ევგრაფოსი, რაც ნიშნავს „კარგ მწერალს, გადამწერს“)** დამახინჯებული ფორმა, სადაც პირველი ორი ასო ჩამოცილებულია.

საინტერესოა, რომ AC ნუსხებში სახელი ევგრაფოსი გვხვდება ფორმით **და გრაფოს**: „მას ჟამსა მწიგნობარმან მენაჲსმან **და გრაფოს** მიუგო“ AC; „წმიდაჲ იგი **მწიგნობარი და გრაფოს აღასრულნა** მახვლითა ჳელითა თჳსითა“ AC. მეორე მაგალითში ა) მწიგნობარი და ბ) გრაფოსი ორ სხვადასხვა პირად არის მიჩნეული გადამწერების მიერ და, ამდენად, ზმნაც ამგვარადავეა შესაბამებული: **აღასრულნა** მან იგინი.

სათაურში არსებული ბერძნული **Κύριε ἔλεησον** „უფალო, შეგვიწყალებ“ ძველ ქართულში დამკვიდრებული ბერძნული ტრანსლიტერირებული ნასესხობით „კირიელეისონ“ არის მოცემული A ხელნაწერში, ხოლო BC-ში კი მის ნაცვლად გვაქვს: „გუაკურთხენ, მამაო.“

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების“ ჩვენამდე მოღწეულ სამ ხელნაწერში რომ ტექსტის ორი რედაქცია დასტურდება, ცხადყოფს შემდეგი ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი:

1. წამების შესავალის მეორე წინადადებაში, ექვთიმეს თარგმანის A ნუსხაში ვხვდებით ვარიანტულ ნაკითხვას, რომელიც BC ხელნაწერებში ჩასწორებულია ბერძნული დედნის მიხედვით, კერძოდ:

**A:** [რომ]ლისათჳსცა მე, სანყალობელმან ათანა[ს]ჴს ალექსანდრისა ეპისკოპოზმან, ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმჴს.

**B:** რომლისათჳსცა მე, სანყალობელმან, ათანასი ალექსანდრისა ეკლესიისა ეპისკოპოსი, ღირს ვიქმენ მადლითა

ქრისტესითა მითხრობად **კათოლიკე ეკლესიათა მიმართ** შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე.

C: რომლისათვისცა მე, საწყალობელი ათანასი ალექსანდრისა ეპისკოპოსი, ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ** შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე.

ბერძნულ დედანშია: καγὼ ὁ ἐλάχιστος Ἀθανάσιος ἐπίσκοπος τῆς Ἀλεξανδρέων ἐκκλησίας ἀξιώθεις εἶναι τῆ τοῦ Χριστοῦ χάριτι ἐπιστέλλω **τῆ καθολικῆ ἐκκλησίᾳ** καταθέσεις τινὰς ἐνταῦθα πραχθείσας καὶ δι' οἰκείου μου ταχυσυγράφου καταταχθείσας (Delehaye 1910, 138), რაც ნიშნავს: და მე, უმცირესი, ათანასე, ალექსანდრიელთა ეკლესიის ეპისკოპოსი, ქრისტეს მადლით მივიჩნიე ღირსად, მიმენერა **ერთიანი/მსოფლიო ეკლესიისათვის** რამდენიმე ჩანანერი.

როგორც ვხედავთ, A და BC ხელნაწერების ვარიანტულ ნაკითხვებს შორის აქ ძირითადი განსხვავებაა,<sup>1</sup> რომ ბერძნული **τῆ καθολικῆ ἐκκλησίᾳ** „ერთიანი, საყოველთაო, მსოფლიო ეკლესიისათვის” A ხელნაწერში არ დასტურდება, ხოლო BC-ში კი გვაქვს: **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ**. ეს არის მნიშვნელოვანი რედაქციული განსხვავება ამ ხელნაწერებს შორის, რომელიც გამომწვეულია ἡ καθολικῆ ἐκκλησίᾳ-ს ორგვარი გაგებით. თავდაპირველად, ბიზანტიურ ბერძნულში ἡ καθολικῆ ἐκκλησίᾳ ნიშნავდა, უბრალოდ, „მსოფლიო, ერთიან, საყოველთაო ეკლესიას” და ეს ტერმინი გამოიყენებოდა როგორც ერთიანი, დაუყოფელი ეკლესიის აღსანიშნად. ბერძნული **καθολικῆ** ნიშნავს: ა) ზოგადს, ერთიანს, საყოველთაოს; იხმარება: 1. ღმერთისთვის; 2. ეკლესიისთვის; ბ. მართლმადიდებლური ეკლესიისათვის; გ. ქრისტიანობის დოქტრინის სწავლებისათვის, რომელიც მთელ მსოფლიოს მიემართება; დ. ერთიანი, მთლიანი ეკლესიისათვის; ე. ადგილობრივი ეკლესიები-

---

<sup>1</sup> წინადადება სრულად მოყვანილია და მასში არსებულ ვარიანტული ნაკითხვები გაანალიზებულია ქვემოთ.



სათვის; ვ. რომის ეკლესიისათვის; ზ. ნიკეის კრებისათვის; 5. მოციქულთა ეპისტოლეებისათვის და ა.შ. ბ) აგრეთვე, მისი ძირითადი მნიშვნელობა იყო კანონიკური (Lampe 2005, 690-691). შემდგომში, ἡ καθολικὴ ἐκκλησία-ის მნიშვნელობა დავინ-როვდა და შუასაუკუნეების ქართულ სამყაროში უფრო ხშირად, ნიშნავდა „რომის სამოციქულო ეკლესიას,” მაშინ, როცა ორთოდოქსული ქრისტიანობისათვის ჩამოყალიბდა ტერმინი „მართლმადიდებლური ეკლესია.” ამდენად, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ბერძნული ტექსტების ქართველი მთარგმნელები, მკითხველები რომ არ დაეზნიათ, ან ტოვებდნენ ამ ბერძნულ ტერმინს, ანაც სხვა ტერმინებით ანაცვლებდნენ. არსებობს საპირისპირო მაგალითებიც, როცა ბერძნულ ტექსტებში საუბრობდნენ ზოგადი, ერთიანი ეკლესიისათვის და მისი დოქტრინისათვის მახასიათებელ ცნებებზე, ქართველი მთარგმნელები მკითხველთათვის ამატებდნენ აქ მართლმადიდებლობის ცნებას. შორს რომ არ წავიდეთ, ექვთიმე ათონელმა „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის” თარგმანში ჩაამატა ბერძნულში არარსებული ფრაზა, რაც მხოლოდ ქართველი მკითხველისათვის იყო განკუთვნილი: „წერილ არს წერილთა შინა მათთა, ვითარმედ სხუაჲ სოფელი არს უხილავი და ცხორებაჲ საუკუნოჲ, **რომელი მიელის მონაფეთა მათ მართლმადიდებლობისათა.**” ბერძნულ დედანშია: Γέγραπται γὰρ αὐτῶν εἰς τὰς γράφας ἄγλιον εἶναι κόσμον ἀράτον καὶ ζῶην ἀτελεύτητον, რაც ნიშნავს: რადგანაც ასე წერია მათ წერილებში, რომ არსებობს სხვა სამყარო, უხილავი და დაუსრულებელი სიცოცხლე.<sup>1</sup>

რომ დავუბრუნდეთ „მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების” მაგალითს, აქ ექვთიმე ათონელის თარგმანის A ნუსხის ვარიანტული წაკითხვის შემთხვევაში, ბერძნული **πῆ**

<sup>1</sup> ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალაჲსის” ტექსტი და გამოკვლევა, სადაც უფრო ვრცლადაა განხილული ეს მაგალითი, იბეჭდება ამავე ტომში.

**καθολικῆ ἐκκλησίᾳ** გამოტოვებულია უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ხოლო BC ხელნაწერებში კი, შემდგომმა რედაქტორმა, შეამჩნია რა ეს, ჩაამატა დედნისეული სიტყვების თარგმანი: **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ.**

2. „მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამებაში“ არის პასაჟი, რომლის ბერძნული ტექსტი, სრულად არ მოჰყავს ჰ. დალაჰაის სტატიაში. მენამ მოითხოვა წყალი, მუხლი მოიყარა რა ეპისკოპოსების წინაშე, მონათლა ერმოგენე, რომელმაც მყისვე მიიღო ეპისკოპოსობის პატივი ცამეტი ეპისკოპოსის ხელისაგან. ამგვარად მოკლედ გადმოგვცემს ჰ. დალაჰაი ერმოგენეს მონათვლისა და ეპისკოპოსის წოდების მიღების შესახებ, მაგრამ შემდეგ ის ფრჩხილებში სვამს, რომ ბრიუსელური ხელნაწერის მიხედვით, ფსევდო-ათანასე ამატებს ფრაზას: **παρόντος κάμου τὸν τάλανος** (Delehaye 1910, 139), რაც ნიშნავს: „და თანადგომით ჩემი, გლახაკის;“ სიტყვა-სიტყვით: „თანადგომის და ჩემი, გლახაკის.“ ბრიუსელური ხელნაწერი, რომლის მიხედვითაც ჰ. დალაჰაის მოჰყავს ფსევდო-ათანასეს მიერ ჩამატებული ფრაზა, უნდა იყოს, XVII საუკუნის ხელნაწერი Ms. 08232-33 (3337), Bibliothèque Royale Albert Ier (KBR), Bruxelles, სადაც მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამება დასტურდება 190-196v-ზე. ბერძნული **παρόντος** ზმნის **ἀράειμι** „დასწრება, იქ ყოფნა, იქ ყოფნა დასახმარებლად, თანადგომა“ (Liddell, Scott 1996, 1333) მიმღეობის **παρών** ნათ. ბრ.-ის მხ.რ.-ის ფორმას; **κάμου** και **έμου**-ის შეკუმშული ფორმას, რაც ნიშნავს „და ჩემი;“ **τάλανος** ნიშნავს „გლახაკს, საცოდავს, ბეჩავს.“ ჩვენთვის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ექვთიმეს თარგმანის A ნუსხასა და BC ხელნაწერებს შორის ვარიანტული წაკითხვის სხვაობას ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ქმნის სწორედ ფსევდო-ათანასეს მიერ ჩამატებული ფრაზა **παρόντος κάμου τὸν τάλανος** „და თანადგომით ჩემი, გლახაკის.“

A: ნეტარმან ერმოგინე ... ჯელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაათა, და მუნთქუესვე **შეინყნარა** პატივი ეპისკოპოსობისაჲ.

B: ნეტარმან ერმოგინე ... და ჯელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაათა და **თანადგომითა ჩემ გლახაკისაათა**, მუნთქუესვე **მიილო** პატივი ეპისკოპოსობისაჲ.

C: ნეტარმან ერმოგინე ... და ჯელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაათა და **თანადგომითა ჩემ გლახაკისაათა**, და მუნთქუესვე შეინყნარა პატივი ეპისკოპოსობისაჲ.

ბერძნული ფრაზა **παρόντος κάμους τὸν τάλανος** „და თანადგომით ჩემი, გლახაკის,” უთუოდ, იქნებოდა და, შესაძლოა, არის კიდევაც, წამების ბერძნული დედნის ადრეულ ხელნაწერებში, რომლის მიხედვითაც ექვთიმეს თარგმანი ჩაასწორა მისმა შემდგომმა რედაქტორმა და ჩაამატა ფსევდო-ათანასეს ფრაზა და **თანადგომითა ჩემ გლახაკისაათა**, რომელიც უეჭვოდ ამოიკითხა რომელიმე ბერძნულ ხელნაწერში. ჰ. დალაჰაიმ მოიხმო ბრიუსელური ხელნაწერის ვარიანტული წაკითხვა ფსევდო-ათანასეს ტექსტში ჩამატებული ფრაზის გამო, რომელიც უგულებელყოფილია ვატიკანურ ხელნაწერში. ჩვენთვის კი ამ ფრაზას უალრესი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ ნათლად ჩანს, რომ ქართველ რედაქტორს, ვინც ექვთიმეს თარგმანი ჩაასწორა, ხელთ ჰქონდა განსხვავებული ბერძნული ხელნაწერი და ჩაამატა ექვთიმეს მიერ „გამორჩენილი” ფსევდო-ათანასეს ფრაზა.

ვფიქრობთ, იმის დასტურად, რომ ექვთიმე მთანმიდელის მიერ თარგმნილი „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების” ტექსტი შემდგომი რედაქტორის მიერ არის გასწორებული, ზემოთ განხილული ორი მაგალითიც ცხადყოფს.

ქვემოთ წარმოვადგენთ განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვებს, რაც A და BC ხელნაწერებს შორის გვხვდება, რაც, ჩვენის აზრით, სრულიად საკმარისია, ვამტკიცოთ, რომ ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი წამების და სამი სასწაუ-

ლის ტექსტი შემდგომი რედაქტორის მიერ გადამუშავების შემდეგ ჩამოყალიბდა განსხვავებულ რედაქციად. აქ ა რედაქციას უწოდებთ A ხელნაწერში დაცულ ტექსტს, ხოლო ბ რედაქციას – BC ხელნაწერებში. სამწუხაროდ, სამიდან ორი ხელნაწერი გვიანდელია. ჩვენ დაბეჯითებით ვერ დავამტკიცებთ, რომ ექვთიმეს თარგმანი ზუსტად არის ასახული ა რედაქციის ტექსტში და შემდგომი რედაქციისა კი ბ რედაქციაში, შესაძლოა, პირიქითაც იყოს, რადგან ექვთიმეს მოღვაწეობიდან ერთი საუკუნის შემდგომ არის გადანერილი H-341, ხოლო რამდენიმე საუკუნის შემდგომ არის გადანერილი ორი ნუსხა (A-70 XIII ს.; Q-112ა 1801 წ.). ბერძნული და სხვაენოვანი ხელნაწერების შესწავლისას მრავალი მკვლევარი მისულა დასკვნამდე, რომ „ძველი“ ხელნაწერთან მიმართებით, არ ნიშნავს „ძველს, ამოსავალს“ ტექსტის რედაქციის თვალსაზრისით. არის შემთხვევები, როცა გვიანდელ, შერყვნილი ორთოგრაფიით გადანერილ ხელნაწერში, რედაქციული თვალსაზრისით ბევრად ადრინდელი ტექსტია დაცული, ვიდრე ადრეულ ნუსხებში.

ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „წამებაჲ წმიდისა მენაჲსი და ერმოგენესი და ევლრაფოჲსის“ პირველივე წინადადებაშივე ვხვდებით რედაქციულ განსხვავებას. სიმოკლისათვის, ა რედაქციას ყველგან აღვნიშნავთ, როგორც Geo<sup>1</sup>-ს, ხოლო ბ რედაქციას, როგორც Geo<sup>2</sup>-ს.

Geo<sup>1</sup>: ქრისტეს მადლ[თა მოფ]ენასა და ეკლესია[თა აღო]რძინებასა სიკუდილი განქარდა და აღდგომაჲ გამოჩნდა, **რომელსა შინა ჭეშმარიტებისა მონამენი მრავალსახეთა** სატანჯველთა მათ ზედა მონევენულთა შეიწყნარებდეს და მტერსა თჳსსა სძლეს. A

Geo<sup>2</sup>: ქრისტეს მადლთა მოფენასა და ეკლესიათა აღორძინებასა სიკუდილი განქარდა და აღდგომაჲ გამოჩნდა, **რომლისა მონაფენი მსწრაფლ მრავალსახეთა (სახეთა B)** სატანჯველთა მათ ზედა მონევენულთა შეიწყნარებდეს და მტერსა თჳსსა სძლეს. BC

როგორც ვხედავთ, აქ ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვის შინაარსია: გამოჩნდა აღდგომა, რომელშიც ჭეშმარიტების მოწამეები მათზე მოწვევულ მრავალნაირ სატანჯველს იღებდნენ, ხოლო ბ რედაქციის ვარიანტში კი შემდეგი შინაარსია: გამოჩნდა აღდგომა, რომლის მოწაფეებიც მათზე მოწვევულ მრავალნაირ სატანჯველს სწრაფად იღებდნენ.

Geo<sup>1</sup>: [რომ]ლისათვისცა მე, **საწყალობელმან ათანას[ს] ალექსანდრისა ეპისკოპოზმან**, ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე, და ჴელითა მოყუსისა ჩემისა, მალიადმწერლისაათა **დავანესე სახელგანთქუმულთა** მათ კაცთაჲ, რომელნი **აქა ქრისტეს მიერ** ინამნეს. A

Geo<sup>2</sup>: რომლისათვისცა მე, საწყალობელმან, ათანასი **ალექსანდრისა ეკლესიისა ეპისკოპოსი**, ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად **კათოლიკე ეკლესიათა მიმართ** შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე, და ჴელითა მოყუსისა ჩემისა, მალიადმწერლისაათა **დავანესე სახელით განთქუმულთა** მათ კაცთა, რომელნი **ან ქრისტეს მიერ** ინამნეს. B

რომლისათვისცა მე, **საწყალობელი ათანასი ალექსანდრისა ეპისკოპოსი**, ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ** შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე, და **აღვწერე** ჴელითა მოყუსისა ჩემისა, მალიადმწერლისაათა, **წამებაჲ ესე სახელგანთქუმულთა ნეტართა ამათ კაცთანი**, რომელნი-იგი **აქა ქრისტესთვის** ინამნეს. C

მოსმობილ მაგალითში: ა) ა და ბ რედაქციებში თხზულების ავტორი სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი; ბ) A ნუსხაში **აქა ქრისტეს მიერ** გვაქვს, ხოლო ბ რედაქციის B ნუსხაში **ან ქრისტეს მიერ**, მაგრამ C ხელნაწერში განსხვავებული ვარიანტული წაკითხვა **აქა ქრისტესთვის** დასტურდება; გ) ა რედაქციასა და C ხელნაწერში გვაქვს შემდეგი ვარიანტული წაკითხვა: **ალექსანდრისა ეპისკოპოზმან**, ხოლო B ხელნაწერში კი **ალექსანდრისა ეკლესიისა ეპისკოპოსი**, რაც ბერძნულ დედანთან უფრო ახლოს დგას: ἐπίσκοπος τῆς

Ἁλεξανδρέων ἐκκλησίας „ალექსანდრიელთა ეკლესიის ეპისკოპოსი.“ მაგრამ მთავარი აქ არის, რომ ავტორი ა რედაქციაში ამბობს: ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე; ხოლო ბ რედაქციაში კი ვკითხულობთ: ღირს ვიქმენ მადლითა ქრისტესითა მითხრობად **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ** შემდგომითი შემდგომად აქა ყოფილი საქმე. აქ, საბედნიეროდ, შეგვიძლია ქართული რედაქციების ტექსტი შევადაროთ ბერძნულ დედანს, სადაც ამგვარი ტექსტია: καγὼ ὁ ἐλάχιστος Ἀθανάσιος ἐπίσκοπος τῆς Ἀλεξανδρέων ἐκκλησίας ἀξιώθεις εἶναι τῆ τοῦ Χριστοῦ χάριτι ἐπιστέλλω **τῆ καθολικῆ ἐκκλησίᾳ** καταθέσεις τινὰς ἐνταῦθα πραχθείσας καὶ δι' οἰκείου μου ταχυσγράφου καταταχθείσας (Delehay 1910, 138), რაც შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: და მე, უმცირესი, ათანასე, ალექსანდრიელთა ეკლესიის ეპისკოპოსი, ქრისტეს მადლით მივიჩნეი ღირსად, მიმენერა კათოლიკე ეკლესიისათვის რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც აქ გავაკეთე და შესრულდა და მონესრიგდა ჩემი სწრაფადმწერალი გადამწერის მიერ. როგორც ვხედავთ, ბერძნულ დედანში წარმოდგენილია ქართული თარგმანის ბ რედაქციის ვარიანტი: ἐπιστέλλω **τῆ καθολικῆ ἐκκλησίᾳ** „მიმენერა კათოლიკე ეკლესიისათვის,“ მითხრობად **კათოლიკე ეკლესიისა მიმართ C**, მითხრობად **კათოლიკე ეკლესიათა მიმართ B**. ეს ვარიანტული ნაკითხვა არ დასტურდება ა რედაქციაში. აქ, ბერძნულ დედანთან უფრო ახლოს, სწორედ ბ რედაქცია დგას. საინტერესოა, რომ აქ ბერძნულ ხელნაწერში გვხვდება ტერმინი **ταχυσγράφος**, ოღონდ შერყვნილი ორთოგრაფიით, სადაც ერთი ρ ზედმეტია: **ταχυσγράφου**. ტერმინი **ταχυσγράφος** „მაღემწერალი, სწრაფადმწერალი“ (Lampe 2005, 1378) იხმარებოდა გადამწერის, ჩამწერის მიმართ, ვინც სწრაფად და ქარაგმებით, სიმბოლოებით ამოკლებდა წერისას სათქმელს, რაც სრულიად ადეკვატურად არის გადმოცემული ექვთიმეს თარგმანის ორივე რედაქციაში.

ამავე წინადადებაში ვხვდებით სხვა მნიშვნელოვან რედაქციულ სხვაობებსაც: ა რედაქციაშია: და **ჯელითა მოყუსისა ჩემისა, მალიადმწერლისაათა დავანესე სახელგანთქუმულთა მათ კაცთაჲ**, ბ რედაქციის B ნუსხა აქ ა რედაქციის ვარიანტს იმეორებს, ხოლო C ხელნაწერში კი გვაქვს: და **აღწერე** ჯელითა მოყუსისა ჩემისა, მალიადმწერლისაათა, **წამებაჲ ესე სახელგანთქუმულთა ნეტართა ამათ კაცთანი**. როგორც ვხედავთ, აქ AB ნუსხების ტექსტში ამგვარი ვარიანტული წაკითხვაა: და ჩემი მოყვასის, მალემწერლის ხელით, დავამტკიცე/დავანესე სახელგანთქმულ კაცთა. „წამებაჲ“ აქ უთუოდ გამოტოვებული ჩანს. C ხელნაწერში კი ვკითხულობთ: აღწერე ჩემი მოყვასის, მალემწერლის ხელით, ამ სახელგანთქმული ნეტარი კაცების წამება. სამწუხაროდ, აქ ბერძნულ დედანს ვერ შევადარებთ, რადგან ჰ. დალაჰაი წინადადების დასასრულს აღარ გვთავაზობს.

შემდეგი მაგალითისათვის მოგვეპოვება ბერძნული ვატიკანური ხელნაწერის ტექსტი, ამდენად, შევძლებთ შევადაროთ ის ქართულ თარგმანს: ὄντας ἀληθινὸν Θεὸν διεμύησέναι ἡμῖν ὁ καλλικλάδιος Μηνᾶς (Delehaye 1910, 139), რაც ნიშნავს: მართლაც ჭეშმარიტ ღმერთს განგვიმარტავს ჩვენ ტკბილადმეტყველი მენა.

Geo<sup>1</sup>: ჭეშმარიტი **უფალი** გუაუნყა ჩუენ ტკბილადმეტყუელებითა თჳსითა მენა. A

Geo<sup>2</sup>: ჭეშმარიტი **ღმერთი** გუაუნყა ჩუენ ტკბილადმეტყუელებითა თჳსითა მენა. BC

მოსმობილი მაგალითიდან ჩანს, რომ აქ ექვთიმემ თავისუფლად თარგმნა ტექსტი: ა) ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: ჭეშმარიტი **უფალი**, ხოლო ბ რედაქციაში კი ჭეშმარიტი **ღმერთი**. როგორც ვხედავთ, აქ ბერძნული ἀληθινὸν Θεὸς-ის ზუსტი თარგმანია ბ რედაქციის ვარიანტი; ბ) ყურადღებას იპყრობს წინადადებაში ბერძნული καλλικλάδιος „ტკბილხმოვანი, ხმამშვენიერი, მშვენიერად მგალობელი, ტკბილადმეტყველი“ (Liddell, Scott 1996, 867; Delehaye 1910, 143). ის კომპო-

ზიტია, მისი პირველი ნაწილია, **καλός** „მშვენიერი,“ მეორე კი **κἑλᾶδος** „ხმა, ხმაური, სიმღერა, ჰანგი, გალობა.“ ეს კომპოზიტი წმიდა მენას ზედწოდებად არის დადასტურებული ნამების ბერძნული კომენტური ტექსტის მანძილზე (Delehay 1910, 143). **Μηνᾶς ὁ καλκικἑλᾶδος**, ამბობს ჰ. დალაჰაი, მარტივად შეიძლება ნიშნავდეს „მჭევრმეტყველ მოლაპარაკე, მოსაუბრე მენას“ და ნამების ავტორმა აქცია მონამე რიტორად, რომელიც არ ივინყებს თავის პროფესიას მსაჯულისა და იმპერატორის წინაშე და საათობით შეუძლია ილაპარაკოს ისე, რომ მსმენელები ძრწოდნენ და კომპლიმენტებს ეუბნებოდნენ მას, როგორებიცაა: **καλκικἑλᾶδος**, **καλκικῆρῆταρ**, **καλκίφθοιγγος** „ტკბილადმეტყველი, მჭევრმეტყველი რიტორი, შესანიშნავი წარმოთქმის მქონე“ და ა.შ. (იქვე, 143). ჩვენს შემთხვევაში, ექვთიმემ სრულიად მართებულად თარგმნა ტერმინით „ტკბილადმეტყველება“ **καλκικἑλᾶδος**, მაგრამ აქ ის მენას საუბრის მანერას ეხება – **ტკბილადმეტყუელებითა თვისითა მენა**, როცა ბერძნულშია: **καλκικἑλᾶδος Μηνᾶς** „ტკბილადმეტყველი მენა.“

არის მეორე შემთხვევა, როცა ჰ. დალაჰაი იმონმებს ბერძნული ვატიკანური კოდექსის წინადადებას, სადაც **καλκικἑλᾶδος Μηνᾶς** „ტკბილადმეტყველ მენას“ ისევ ვხვდებით. აქ ერთგვანე მიმართავს მენას: **Παρακαλῶ σε, κάλλιστε μάκαρ, τὸν καλκικἑλᾶδον κήρσκα τῆς ἀληθείας, τὸ φῶς τῶν ἐν ζόφῳ βυθιζομένων εὐξασθαι ὑπὲρ ἑμοῦ** (Delehay 1910, 139), რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: გვედრები შენ, უმშვენიერესო ნეტარო, ტკბილადმეტყველო ქადაგო ჭეშმარიტებისა, სიბნელეში ჩაძირულთა ნათელი, ილოცე ჩემთვის. ქვემოთ მოვიყვანთ ამ წინადადების თარგმანს ექვთიმეს თარგმანის რედაქციებში:

Geo<sup>1</sup>: გვედრები, წმიდასა მაგას ქნარსა, სულიერსა **ტკბილადმეტყუელსა მონამესა** და შუენიერსა **მწყემსსა** და ჭეშმარიტებისა ნათელსა და ლელვაგუემულთა ნავთსაყუდელსა, რაფთა ლოცვა-ჰყო ჩემთს. **A**



Geo<sup>2</sup>: გევედრები, ნმიდასა მაგას ქნარსა, სულიერსა **ტკბილადმეტყუელსა მონამესა** და შუენიერსა **ჭეშმარიტებისა ნათელსა** და ღელვაგუემულთა ნავ[თ]საყუდელსა, რაათა ლოცვა-ჰყო ჩემთს. **B**

გევედრები **შენ**, ნმიდასა მაგას ქნარსა, სულიერსა ტკბილადმეტყუელსა მონამესა და შუენიერსა **მოლუანესა**, **ჭეშმარიტებისასა ნათელსა** და ღელვაგუემულთა ნავთსაყუდელსა, რაათა **ლოცვა-ჰყოს** ჩემთს. **C**

როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმე მთანმიდელმა მოგვცა ბერძნული ტექსტის თავისუფალი თარგმანი. აქ ექვთიმემ გადაასხვაფერა ბერძნული *κάλιστε μάκαρ, τὸν καλικάδαδον κήρυκα τῆς ἀληθείας, τὸ φῶς τῶν ἐν ζῶφῳ βυθίζομένων* „უმშვენიერესო ნეტარო, ტკბილადმეტყველო ქადაგო ჭეშმარიტებისა, სიბნელეში ჩაძირულთა ნათელო“ და ორივე რედაქციაში ვხედავთ მიახლოებით იმავე შინაარსს, მაგრამ სრულიად სხვა სიტყვებით. ბერძნული *τὸν καλικάδαδον κήρυκα* „ტკბილადმეტყველო ქადაგო“ აქ გადაკეთებულია და სამივე ხელნაწერში ერთნაირადაა წარმოდგენილი, როგორც **ტკბილადმეტყუელსა მონამესა**. ექვთიმეს თარგმანი სრულიად არ არის ამოვარდნილი კონტექსტიდან, პირიქით, ის ტკბილადმეტყველ მონამეს უწოდებს ნმიდა მენას, რაც, როგორც ჰ. დალაჰაი ამბობს, ნამების ავტორისათვისაც დამახასიათებელია (იხ. ზემოთ). რაც შეეხება რედაქციათა ურთიერთმიმართებას, აქ: ა) ა რედაქციის **შუენიერსა მწყემსსა** ბ რედაქციის **B** ხელნაწერშიანტიული იკითხვისით **შუენიერსა ჭეშმარიტებისა ნათელსა** არის ჩანაცვლებული, ხოლო C-ში კი **შუენიერსა მოლუანესა, ჭეშმარიტებისა ნათელსა** გვაქვს; ბ) C-ში ჩამატებულია ნაცვალსახელი: გევედრები **შენ**; და ა რედაქციის და **B** ხელნაწერის პირდაპირი მიმართვა არაპირდაპირადაა გადაკეთებული.

ბერძნული ვატიკანური კოდექსის მიხედვით მოყვანილ კიდევ ერთ ფრაგმენტში ვხვდებით *καλικάδαδος Μηνάς-ს: Εἰς Θεὸν μέγας καὶ δυνατὸς, ὃν ἐρμήνευσεν ἡμῖν δ' καλικάδαδος Μηνάς* (Delehay 1910, 139), რაც ნიშნავს: ერთი(ა) ღმერთი,

დიდი და ძლიერი, ვის შესახებაც გვიხსნიდა ჩვენ ტკბილად-მეტყველი მენა. ექვთიმეს თარგმანის ხელნაწერებში ამ ადგილას ვკითხულობთ:

Geo<sup>1</sup>: ერთ არს ღმერთ, **დიდ და ძლიერ**, რომელი მაუნყა ჩუენ მენა. A

Geo<sup>2</sup>: ერთ არს ღმერთი, **დიდ და ძლიერ**, რომელი მაუნყა ჩუენ მენა. B

ერთ არს ღმერთი, და დიდ არს **ძალი მისი**, რომელი **ჭეშმარიტებით** მაუნყა ჩუენ მენა. C

ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციასა და B ნუსხაში ერთი ტექსტია დაცული, ხოლო C ხელნაწერში კი, მისგან განსხვავებული ორი ვარიანტია: ა) **დიდ და ძლიერ**-ის ნაცვლად გვაქვს: **და დიდ არს ძალი მისი**; და ბ) რომელი მაუნყა ჩუენ მენა-ს ნაცვლად C-შია: რომელი **ჭეშმარიტებით** მაუნყა ჩუენ მენა. ა რედაქციისა და B ნუსხის ორივე ვარიანტი თანხვედბა ბერძნულს, C-სი კი არა. ბერძნულ ტექსტთან მიმართებით ექვთიმეს თარგმანში აქ ერთ სხვაობას ვხედავთ: ბერძნული  $\kappa\alpha\lambda\iota\kappa\acute{\alpha}\lambda\omicron\delta\iota\varsigma\ \text{Μην}\acute{\alpha}\varsigma$  „ტკბილადმეტყველი მენა“ აქ მხოლოდ „მენა-თი“ არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, ექვთიმემ გამოტოვა წმიდა მენას ზედწოდება.

Geo<sup>1</sup>: კეთილისათჳს დაისაჯე, რამეთუ სიბრძნითა **მასწავებ** ჩუენ სარწმუნოებასა ქრისტესსა, ჰ, **ყოვლადკეთილო მონამეო**. A

Geo<sup>2</sup>: კეთილისათჳს დაისა[ჯე], რამეთუ სიბრძნით **მასწავე** ჩუენ სარწმუნოებაჲ ქრისტესი, ჰ, **ყოვლადკეთილო მონამეო**. B

კეთილისათჳს დაისაჯე, რამეთუ სიბრძნით **მასწავებდ** ჩუენ სარწმუნოებასა ქრისტესსა, ჰ, **კეთილო მოლუანეო**. C

ამ ადგილას, როგორც ჰ. დალაჰი გვაუწყებს, ბერძნულ ვატიკანურ კოდექსში არის  $\kappa\alpha\lambda\iota\phi\theta\iota\omicron\upsilon\gamma\epsilon\ \rho\acute{\eta}\tau\omicron\rho$  „ხმამშვენიერო, ტკბილხმოვანო რეტორო.“ სამწუხაროა, რომ მკვლევარს მხოლოდ ეს სიტყვები მოჰყავს კოდექსიდან და სრულ წინადადებას ვერ შევადარებთ. როგორც ვხედავთ, ბერძნული

**καλλιθοιγγε ρήτορ** „ხმამშვენიერო რეტორო“ ექვთიმემ თავისუფლად თარგმნა და ა რედაქციასა და B ნუსხაში გვაქვს ვარიანტული ნაკითხვა **ყოვლადკეთილო მონამეო**, ხოლო C-ში კი **კეთილო მოღუანეო**. ამას გარდა, სამივე ხელნაწერში ზმნა განსხვავებულ დროშია წარმოდგენილი: **მასწავებ A, მასწავებ B, მასწავებ C**.

თხზულების ერთ-ერთ ეპიზოდში მოთხრობილია ერმოგენეს ნათლობის შესახებ. ამ ტექსტიდან მოხმობილ მაგალითში ა და ბ რედაქციების ტექსტებს შორის ორ განსხვავებას ვხედავთ: ა) ა რედაქციაში არის ვარიანტი: მოილო სული ზეგარდამო შობისაჲ მოსატევებელად ცოდვათა; C ხელნაწერშია: მოილო სული ზეგარდამო შობისა, მოსატევებელად ცოდვათა; ხოლო B ნუსხაში კი: მოილო სული ზეგარდამო **მეორედ** შობისაჲ მოსატევებელად ცოდვათა. მეორედ შობა პირის ნათლობას და სულიერად „მეორედ“ შობას გულისხმობს. ამგვარი ვარიანტული სხვაობები შობისაჲ// **მეორედ** შობისაჲ ბერძნული ἢ δευτέρα γέννησις-სა და ἀναγέννησις-ისათვის გვხვდება სხვა ძველ ქართულ ხელნაწერებშიც, სადაც ზოგი რედაქტორი „მეორეს“ ამატებდა, ზოგიც კი ტოვებდა, რომ მკითხველი არ დაებნია და ქრისტიანობის მიერ უარყოფილი რეინკარნაცია არ ეგულისხმა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს, მიუხედავად იმისა, რომ აქ სულიერი „მეორედ შობა, ხელახალი შობა“ იგულისხმება. ბ) ა რედაქციასა და C ხელნაწერშია: **შეიწყნარა** პატივი ეპისკოპოსობისაჲ, ხოლო B ხელნაწერში კი: **მიილო** პატივი ეპისკოპოსობისაჲ.<sup>1</sup>

Geo<sup>1</sup>: და ნეტარმან ერმოგინე მადლითა ქრისტესმიერთა და ლოცვითა მით წმიდათაჲთა მოილო სული ზეგარდამო

---

<sup>1</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ განხილული წინადადება მოხმობილი აქვს H-341 ხელნაწერიდან სულ სხვა თემასთან დაკავშირებით ედიშერ ჭელიძეს, ნაშრომში „წყლის დასხმითი წესით აღსრულებული ნათლობის შესახებ“, ეკლესია – სძალი უფლისა, თბილისი, 1990.

შობისაჲ მოსატევებელად ცოდვათა, და აღდგომასა ცხორებაჲ საუკუნოჲ, სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ჴელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაჲთა, და მუნთქუესვე **შეინყნარა** პატივი ეპისკოპოსობისაჲ. **A**

Geo<sup>2</sup>: ხოლო ნეტარმან ერმოგინე მადლითა ქრისტესმიერითა და ლოცვითა მით წმიდათაჲთა მოილო სული ზეგარდამო **მეორედ** შობისაჲ მოსატევებელად ცოდვათა, აღდგომასა ცხ[ორებაჲ საუკუნო]ჲ სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ჴელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაჲთა და **თანადგომითა ჩემ გლახაკისაჲთა**, მუნთქუესვე **მიილო** პატივი ეპისკოპოსობისაჲ. **B**

და ნეტარმან ერმოგინე მადლითა ქრისტესმიერითა და ლოცვითა მათ წმიდათაჲთა მოილო სული ზეგარდამო შობისა, მოსატევებელად ცოდვათა, და აღდგომასა ცხორებაჲ საუკუნოჲ, სახელითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, და ჴელთა დასხმითა ათცამეტთა ეპისკოპოსთაჲთა და **თანადგომითა ჩემ გლახაკისაჲთა**, და მუნთქუესვე **შეინყნარა** პატივი ეპისკოპოსობისაჲ. **C**

ჰ. დალაჰაის მოჰყავს წინადადება ვატიკანური ხელნაწერიდან: *χάρις ἡπίστατο ὁ Μηνᾶς τὸ εἶπαι τὸ λείψανον ἐν τῇ πύλει τεθῆναι, ἥτις ἐστὶν τὸ Βυζάντιον* (Delehey 1910, 140), რაც ნიშნავს: წყალობა/სათხოველი ითხოვა მენამ, რომ მისი ნეშტი დაიმარხოს ქალაქში, რომელიც არის ბიზანტია. ექვთიმე ათონელმა ეს წინადადება მაქსიმალურად ტექსტთან ახლოს თარგმნა. მისი თარგმანის შემცველ ხელნაწერებში კი არის ვარიანტული წაკითხვები: **აღიხუვა** მისგან სათხოველი და **ითხოვა** მისგან **რეცა** სათხოველი.

Geo<sup>1</sup>: ხოლო წმიდამან მენა **აღიხუვა** მისგან სათხოველი, რაჲთა დაიმარხოს გუამი მისი ბიზინტია ქალაქსა.

Geo<sup>2</sup>: ხოლო ნეტარმან მენა **აღიხუვა** მისგან სათხოველი, რაჲთა დაიმარხოს გუამი მისი ბიზინტია ქალაქსა.

ხოლო ნეტარმან მენა **ითხოვა** მისგან **რეცა** სათხოველი, რაჲთა დაიმარხოს გუამი მისი ბიზინტია ქალაქსა.

წმიდა მენას წმიდა ნაწილების კონსტანტინოპოლის ახლოს გამორიყვის შემდგომ, ორ თვეში, მაქსიმიაზე მოკლულ იქნა ანგელოზის მიერ და ამის შემდეგ სასწრაფოდ გამოიტანეს წმიდა მენას წმიდა ნაწილები სამალავიდან. ჰ. დალაჰი იმონებებს მენას წმიდა ნაწილების შესახებ ტექსტს ვატიკანური ხელნაწერიდან: *τότε κατέθικαν τὸν τίμιον θησαυρὸν τῶν ἁγίων λειψάνων παρὰ τὸ χεῖλος τῆς θαλάσσης, πρὸμαχον αὐτῆς τε πόλεως καὶ πάσης τῆς οἰκουμένης ἀποθήμενοι* (Delehey 1910, 140), რაც ნიშნავს: შემდეგ მათ დადეს/მოათავსეს ძვირფასი საუნჯე – წმიდა ნაწილები – ზღვის ნაპირზე, როგორც ქალაქის და მთელი დასახლებული სამყაროს მფარველის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. დალაჰი სხვაგან ამ წინადადების განხილვისას აღნიშნავს: „წამებაში მოტივტივე კუბოში, თითქოს სამივე მონამის სხეულია: τὰ λείψανα τῶν ἁγίων „წმიდანების ნეშტები.“ მაგრამ, როცა საქმე ეხება წმიდა ნაწილების ზღის ნაპირზე გადატანას, ფრაზა უფრო ბუნდოვანი ხდება: *τότε κατέθικαν τὸν τίμιον θησαυρὸν τῶν ἁγίων λειψάνων παρὰ τὸ χεῖλος τῆς θαλάσσης*, რაც მაქსიმუმ შეიძლება გავიგოთ, როგორც მხოლოდ ერთი ადამიანის ნეშტზე მითითება“ (Delehey 1910, 144). სამწუხაროდ, ჩვენი ბერძნული ენის ცოდნა ჰ. დალაჰისას არ შეედრება, მაგრამ მის მიერ მოხმობილ წინადადებაში ბერძნული τῶν ἁγίων λειψάνων „წმიდა ნეშტები, ნაწილები,“ სადაც ორივე სიტყვა მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია (სიტყვა-სიტყვით: წმიდანების ნეშტების), შეიძლება გავიგოთ, როგორც რამდენიმე, ჩვენს შემთხვევაში, სამი წმიდანის ნეშტი. ამგვარადვე გაიგო ეს ბერძნული სიტყვები ექვთიმე ათონელმა და მის თარგმანში **წმიდათა იგი ნაწილი** (ა რედაქცია) და **ნაწილი წმიდათანი** (ბ რედაქცია) დასტურდება.

თუკი ჰ. დალაჰიმ სრულად მოიტანა წინადადება, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმემ ის მნიშვნელოვნად განავრცო და დაამატა, თუ რა სახის მფარველობა უნდა გაენია წმიდა ნაწილებს, ანაც, დალაჰიმ მხოლოდ წინადადების პირველი ნაწილი მოიხმო; შესაძლოა, დალაჰის მიერ მოხმობილი

წინადადების ბოლოს წერტილი იყო და ექვთიმეს მიერ თარგმნილი შემდგომი ვრცელი მონაკვეთი მეორე წინადადებად იყო წარმოდგენილი ბერძნულ ტექსტში (ბერძნულ ენაში უშემასმენლო წინადადებების გამო ეს ადვილად დასაშვებია). სამწუხაროდ, „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევლრაფოსის“ წამების კიმენური ბერძნული ტექსტი ჯერაც გამოუქვეყნებელია, ამდენად, აქ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. ჩვენ ქვემოთ სრულად მოვიყვანეთ ექვთიმეს თარგმანის რედაქციების შემთხვევაში ვრცელი წინადადება. ამ ვრცელი წინადადების ვარიანტული წაკითხვები კი შემდეგია: ა) ა რედაქციაში არის: დასხნეს **პატიოსანნი იგი საფასენი, წმიდათა იგი ნაწილნი**, ბ-ში კი: დასხნეს **პატიოსანნი იგი (იგი – C) ნაწილნი წმიდათანი**. ბ რედაქციაში გამოტოვებულია **საფასენი**, რაც ბერძნულ ტექსტშიც დასტურდება. ბ) ა რედაქციაშია: **ცოდვათა მოსატევებლად**, ხოლო ბ-ში კი: **ცოდვილთა მოსატევებლად ცოდვათა B** ნუსხაში, C-ს გადამწერს კი გამორჩენილი აქვს აქ **ცოდვათა**. გ) ა რედაქციაში ვრცელ ვარიანტულ წაკითხვას ვხვდებით: მოგზაურთა **კუერთხი ძლიერებისაჲ, მენავეთა ნავთსაყუდელი შესავედრებელი და ყოვლისა სოფლისა განმათავისუფლებელი და ჭირისა განმარინებლად**, ბ-ში კი მის მოკლე ვარიანტს: მოგზაურთა **კუერთხად ძლიერებისად და მენავეთა ნავთსაყუდელად**.

Geo<sup>1</sup>: სწრაფითა დიდითა მაშინ დასხნეს **პატიოსანნი იგი საფასენი, წმიდათა იგი ნაწილნი**, მახლობლად კიდესა ზღვსასა საცნაურად ქალაქისა და ყოვლისა სოფლისა, საკურნებლად სნეულთა და **ცოდვათა მოსატევებლად** და მოგზაურთა **კუერთხი ძლიერებისაჲ, მენავეთა ნავთსაყუდელი შესავედრებელი და ყოვლისა სოფლისა განმათავისუფლებელი და ჭირისა განმარინებლად**, და ესრჳთ ერთობით წინამბრძოლთა მიიღეს წამალი ჳსნისაჲ და გვრგვნი ძლევისაჲ ასპარესსა მას კეთილად მსახურებისასა. A

Geo<sup>2</sup>: სწრაფითა დიდითა მაშინ დასხნეს **პატიოსანნი იგი (იგი – C) ნაწილნი წმიდათანი** მახლობლად კიდესა ზღვსასა

საცნაურ[ად] ქალაქისა და ყოვლისა სოფლისა, საკურნებელად სნეულთა და **ცოდვილთა მოსატევებელად ცოდვათა** (– C) და მოგზაურთა **კუერთხად ძლიერებისად და მენავეთა ნავთსაყუდელად**, და ესრეთ ერთობით წინამბრძოლთა მიიღეს წამალი წსნისაჲ და გვრგვნი ძლივისაჲ ასპარესსა მას კეთილად მსახურებისასა. BC

წმიდა მენას პირველი სასწაულის ერთ-ერთ ეპიზოდში მონანიე სასტუმროს მეპატრონე ეუბნება წმიდა მენას, რომ ის მოინანიებს ცოდვებს მის ტაძარში და ბერად აღიკვეცება. ბერად აღკვეცა ა რედაქციაში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მოვილო **საქმე მონესეობისაჲ**, ხოლო ბ რედაქციაში კი: მოვილო **სქემაჲ მონაზონებისაჲ**. როგორც ვხედავთ, აქ ორსავე რედაქციაში ერთი და იგივე აზრია, მაგრამ სხვადასხვა სიტყვებით გამოხატული: საქმე-ჲ ძველ ქართულ ენაში ნიშნავს „გაკეთებულს, ნაქმარს,“<sup>1</sup> მონესეობა კი „მონაზვნობას, ბერობას.“<sup>2</sup> სქემა-ჲ ძველ ქართულში ბერძნული σῆμα-ს ნასესხობაა და ნიშნავს „სამონაზვნო სამოსის ნაწილს ჯვრის გამოსახულებით (მცირე ან დიდი სქემის მონაზვნის)“.<sup>3</sup> ბერძნული σῆμα ნიშნავს „ფორმას, განზომილებას, ჩარჩოს, ზოდიაქოს ნიშანს, ტანსაცმელს, ბერის ტანსაცმელს, სოციალურ ფენას, პოზიციას“ (Lampe 2005, 1359). მონაზონ-ი ძველ ქართულში ნიშნავს „ბერს, მონაზონს.“<sup>4</sup> ამდენად, ვხედავთ, რომ ბ რედაქციის რედაქტორმა უფრო დააკონკრეტა ა რედაქციის ტექსტი და აქ სასტუმროს მეპატრონე ამბობს, რომ ის „ბე-

---

<sup>1</sup> ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, 883. ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი“ მზადდება გამოსაცემად ჩვენს მიერ, ამდენად, ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომზე წვდომა გამოკვლევის ავტორს გააჩნია.

<sup>2</sup> იქვე, 690.

<sup>3</sup> იქვე, 941.

<sup>4</sup> ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, 657.

რის სქემას მიიღებს/შეიმოსავს.“ ეს მაგალითი უდაოდ მეტყველებს, რომ ა რედაქციის ტექსტი რედაქტირებულია.

Ge<sup>1</sup>: შევინანო **მუნ** და მოვილო **საქმე მონესობისაჲ**. A

Ge<sup>2</sup>: შევინანო და მოვილო **სქემაჲ მონაზონებისაჲ**. BC

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, სადაც ა რედაქციის ტექსტი, რომელიც A ხელნაწერშია წარმოდგენილი, რედაქტირებულია და ბ რედაქციის BC ხელნაწერებში განსხვავებულად იკითხება:

Ge<sup>1</sup>: არცა **შუვანი მწეცთანი** და არცა **სხუანი სატანჯველნი შემძლებელ არიან ჩუენდა** [განყენებად] სიყუარულსა მას ქრისტესა.

Ge<sup>2</sup>: არცა **შუამან მწეცთამან**, არცა **სხუათა სატანჯველთა შემძლონ ჩუენ** განყენებად სიყუარულსა (+ მას C) ქრისტესსა. BC

წამებაში საუბარია, რომ წმიდა მონამეთა აღსასრულის შემდეგ მაქსიმიაზე ანგელოზმა მოკლა. ა რედაქციის ვარიანტულ წაკითხვაშია **მიელო სული მისი მისგან**, რაც ბ რედაქციაში ჩანაცვლებულია ლაკონიური **მოიკლა**-თი. ამასთანავე, ბ რედაქციაში ჩამატებულია, რომ იგი **ფარულად** მოიკლა ანგელოზის მიერ:

Ge<sup>1</sup>: ვიდრე აღსრულებამდე მაქსიმიაზესსა, რომელი შემდგომად ორისა თუისა ტანჯული ანგელოზისა მიერ **მიელო სული მისი მისგან**. A

Ge<sup>2</sup>: ვიდრე აღსრულებამდე მაქსიმიაზესსა, რომელი შემდგომად ორისა თუისა ტანჯული **ფარულად** ანგელოზისა მიერ **მოიკლა**. BC

წმიდა მენას სასწაულების ტექსტშიც ვხვდებით მაგალითებს, სადაც ა რედაქციის ტექსტი რედაქტირებულია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ა რედაქციის **ვისმინოთ** ბ-ში ჩანაცვლებულია **ისმინენით**-ით, ხოლო **წმიდისა მონამისა** კი **მონისა**-თი.



Geo<sup>1</sup>: ან **ვისმინოთ**, ძმანო, საკრველებანი, რომელნი ქმნნა ღმერთმან ჴელითა **წმიდისა მონამისა** თჳსისა მენახითა.

A

Geo<sup>2</sup>: ან **ისმინენით**, ძმანო, საკრველებანი, რომელნი ქმნნა ღმერთმან ჴელითა **მონისა** თჳსისა მენახითა. BC

სასწაულების ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: ἀλλ' ἀναστὰς μελίσω κατὰ ἄρμὸν καὶ βίᾳ εἰς τὴν σπυρίδα καὶ ῥίψω εἰς τὴν λίμνην (Pomjalovskij 1900, 64,3-4), რაც ნიშნავს: მაგრამ ავ-დგები რა, დავაქუცმაცებ კიდურებს და ჩავყრი მათ გოდორში და ჩავაგდებ ტბაში. როგორც ვხედავთ, აქ ბერძნულ ტექსტში დასტურდება სიტყვა λίμνη, რაც „ტბას, ჭაობიან ტბას, ტბორს, ხელოვნურ ტბას ან წყალსატევს, ყურეს, ზღვას“ ნიშნავს“ (Liddell, Scott 1996,1050). ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში ის მოცემულია, როგორც „ტბა,“ ხოლო ბ-ში კი „ზღვა.“ ბ-ს ვარიანტული წაკითხვაც არ შეიძლება შეცდომად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ტექსტში საუბარია ალექსანდრიის მახლობელ ადგილებზე, სადაც ხმელთაშუა ზღვაა.

Geo<sup>1</sup>: არამედ დავჭრნე ასონი მისნი და შთავსხნე გოდორსა და შთავაგდო **ტბასა**. A

Geo<sup>2</sup>: არამედ დავჭრნე (+ ყოველნი C) ასონი მისნი, შთავსხნე გოდორსა და შთავაგდო **ზღუასა**. BC

შემდეგ მაგალითში ვხედავთ, რომ ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვა **მოვიდოდა** ჩანაცვლებულია ბ-ში **მოინია**-თი:

Geo<sup>1</sup>: და, აჰა, ესერა, **მოვიდოდა** წმიდაჲ მონამჴ ქრისტესი მენა. A

Geo<sup>2</sup>: და, აჰა, ესერა, **მოინია** წმიდაჲ მონამე ქრისტესი მენა. BC

შემდეგი ორი მაგალითიდან ჩანს, რომ ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვების ფრაზებში გადასმულია სიტყვები ბ რედაქციაში:

Geo<sup>1</sup>: მასვე ჟამსა **წმიდამან ალილო გოდორი იგი**. A

Geo<sup>2</sup>: მასვე ჟამსა **ალილო გოდორი იგი წმიდამან**. BC

Geo<sup>1</sup>: ვხედავ **მადლსა ღმრთისასა შენ თანა**. A

Geo<sup>2</sup>: ვხედავ **შენ თანა მადლსა ღმრთისასა**. BC

ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვა **მოვაკუდინე, რათა დავიმკვდრო**, რაც განზრახვის აღწერას წარმოადგენს, „მოვკალი, რომ დავპატრონებოდი“ ბ რედაქციაში ჩანაცვლებულია შემდეგი ვარიანტით: **მოვჰკალ იგი და დავიმკვდრე**, რაც უკვე დასრულებულ მოქმედებას აღნიშნავს: „მოვკალი და დავეპატრონე.“

Geo<sup>1</sup>: მაშინ აღვდეგ და **მოვაკუდინე, რათა დავიმკვდრო** საფასე მისი. A

Geo<sup>2</sup>: მაშინ აღვდეგ და **მოვჰკალ იგი და დავიმკვდრე** საფასე მისი. BC

ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვას ფრიად მრავალ არიან **შეცოდებანი ჩემნი** ბ რედაქციაში აკლია სიტყვები: **შეცოდებანი ჩემნი**:

Geo<sup>1</sup>: აღვიარებ შეცოდებათა ჩემთა, რამეთუ ფრიად მრავალ არიან **შეცოდებანი ჩემნი**.

Geo<sup>2</sup>: აღვიარებ შეცოდებათა ჩემთა, რამეთუ ფრიად (– C) მრავალ არიან. BC

სასწაულების ერთ-ერთ ეპიზოდში წმიდა მენამ გადანყვიტა, რომ აღედგინა მკვდარი. მიზეზი ბერძნულ დედანში ამგვარადაა მოცემული: Κλίνας δὲ τὰ γόνατα αὐτὸν ὁ ἄγιος Μηνᾶς ἐπὶ πλείστην ὥραν ἐδέετο τὸν Θεὸν, ἵνα ἀναστήσῃ τὸν φονευσθέντα οὐχὶ διὰ τὸν ἄνθρωπον τὸν φονεύσαντα μόνον, ἀλλὰ καὶ διὰ τοὺς **τότε αἰρετικούς τε καὶ Ἑλληνας**, τοὺς κρατήσαντας ἀπιστίαν εἰς τὸν ἄγιον τὸν Θεὸν (Pomjalovskij 1900, 65,10-14), რაც ნიშნავს: და წმიდა მენამ, მოიდრიკა რა მუხლები, დიდი ხნის მანძილზე ევედრა ღმერთს, რომ აღედგინა მოკლული, არა მხოლოდ მისი გულისთვის, ვინც მოკლა, არამედ, **იმ დროის ერეტიკოსების და წარმართების**, ვინც ჯიუტად აგრძელებდა ღვთის წმიდანის ურწმუნობას. ექვთიმეს თარგმანი ორი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული, აქ: ა) ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვა **მრავალ ჟამ** ჩანაცვლებულია ბ-ში **მყოვარ**

ჟამ-ით; ბ) ა რედაქციის მკუდარი ბ-ში წარმოდგენილია, როგორც მოკლული; გ) ბერძნული τότε αἰρετικὸς τε καὶ Ἑλληνας, რაც ნიშნავს „იმ დროინდელი ერეტიკოსების და წარმართების“ ა რედაქციაში იკითხება, როგორც ჟამისა მისთვის და მწვალებელთა მათთვის და წარმართთა მათ, რაც ნიშნავს „იმ დროისათვის და მწვალებლებისთვის და წარმართებისთვის,“ რაც ზუსტად არ შეესაბამება ბერძნულ ტექსტს. ბ რედაქციაში ა რედაქციის ვარიანტული ნაკითხვა გასწორებულია და აქ ვკითხულობთ: ჟამისა მისთვის მწვალებელთა და წარმართთათვის.

Ge<sup>1</sup>: და მოიდრიკნა მუჟლნი წმიდამან მენა მრავალ ჟამ და ითხოვდა ღმრთისაგან, რათა აღადგინოს მკუდარი იგი არა ხოლო კაცისა მისთვის, რომელმან მოჰკლა იგი, არამედ ჟამისა მისთვის და მწვალებელთა მათთვის და წარმართთა მათ, რომელნი ურწმუნო იყვნეს წმიდისა მენასთვის.

Ge<sup>2</sup>: და მოიდრიკნა მუჟლნი თჳსნი წმიდამან მენა მყოვარ ჟამ და ითხოვდა ღმრთისაგან, რათა აღადგინოს მოკლული იგი არა ხოლო თუ კაცისა მისთვის, რომელმან მოკლა იგი, არამედ ჟამისა მისთვის მწვალებელთა და წარმართთათვის, რომელნი ურწმუნო იყვნეს წმიდისა მონამისა მენასთვის. BC

წმიდა მენას პირველი სასწაულის ბოლოს ამგვარი ბერძნული ტექსტია: Δοξασάντων δὲ πάντων τὸν Θεόν, ἐξέστη ὁ ἕξους ἀκίστων ὄτι σφαγῆς ἀνέστη (Pomjalovskij 1900, 65,31-32), რაც ნიშნავს: და როცა ყველა აღიდებდა ღმერთს, უცხო გაცდა, მოისმინა რა, რომ მკვლევლობისგან (მოკლული) აღდგა. აქ ექვთიმე ათონელის თარგმანში ბერძნული ἕξους „უცხო“ ჩანაცვლებულია „ვაჭროთ.“ ა რედაქციაში ბერძნული ἀκίστων, რაც ზმნის ἀκίστα „სმენა, მოსმენა“ ანმყო დროის მიმღეობაა და ნიშნავს „სმენისას, მოსმენისას,“ მართებულად თარგმნილია, როგორც სმენისა მისთვის, რაც ბ რედაქციაში, რატომღაც, გამოტოვებულია. წინადადების ბოლოს კი, ა რედაქციაში ბერძნულ ტექსტთან მიმართებით, დამატებულია ფრაზა: და აღი-

**დებდა ღმერთსა.** როგორც ჩანს, ბ რედაქციის რედაქტორმა შეამჩნია, რომ ა რედაქციაში ეს ფრაზა დამატებული იყო და მან ის ამოიღო.

Geo<sup>1</sup>: და ყოველნივე იგი ადიდებდეს ღმერთსა, და განკვრდებოდა **ვაჭარი** იგი **სმენისა მისთვის**, ვითარ-იგი მოკუდა და კუალად აღდგა **და ადიდებდა ღმერთსა. A**

Geo<sup>2</sup>: და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა. და განკვრდა **ვაჭარი** იგი, ვითარ მოკუდა და კუალად აღდგა. BC

ბერძნულ ტექსტშია: Ὅτε δὲ ἐτελεσθῆι ὁ ὄρκος, ἀνεχώρησαν οἱ δύο **εἰς τὰ ἴδια αὐτῶν.** Ὅτε δὲ ἐξῆλθον ἐκ τοῦ τόπου ἀμφοτέρωι ὧς ἀπὸ μιλίων **τριῶν** (Pomjalovskij 1900,72,5-6), რაც ნიშნავს: ხოლო როცა ფიცი აღსრულდა, ორივე უკუიქცა/უკან დაბრუნდა თავისი (სახლისაკენ). ხოლო როცა წავიდნენ იმ ადგილიდან, ორივემ გაიარა დაახლოებით სამი მილიონი. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში ვკითხულობთ: წარვლეს მილიონი **ერთი**, რაც არ შეესაბამება ბერძნულ ტექსტს, ერთი მილიონის ნაცვლად აქ ნათლად ვკითხულობთ: ἐξῆλθον ... ὧς ἀπὸ μιλίων **τριῶν** „გაიარეს ... დაახლოებით სამი მილიონი.“ როგორც ჩანს, ბ რედაქციის რედაქტორმა შეამჩნია ეს შეუსაბამობა და გაასწორა ის. ბ რედაქციის ვარიანტული წაკითხვაა: **წარვლეს სამი მილიონი.** ა რედაქციის ტექსტთან მიმართებით ბ-ში ვხვდებით ჩანართს: **და წარემართნეს**, რაც ისევ „და წავიდნენ-ს“ ნიშნავს. ბერძნულ ტექსტში ორი ზმნაა, რაც წასვლას უკავშირდება, ა) **ἀνεχώρησαν**, რაც ზმნის ἀναχωρέω „უკუიქცევა, უკან დაბრუნება“ III პ. მრ. რ-ის აორისტის ფორმაა და ბ) ἐξῆλθον, რაც ზმნის ἐξέρχομαι „წასვლა, გასვლა“ III პ. მრ. რ-ის აორისტის ფორმაა. ორი ზმნა არის წარმოდგენილი ა რედაქციაშიც.

Geo<sup>1</sup>: და ვითარცა აღასრულა ფიცი იგი, წარვიდეს ორნივე და **წარვლეს მილიონი ერთი. A**

Geo<sup>2</sup>: და ვითარცა აღასრულა ფიცი, წარვიდეს ორნივე და **წარემართნეს** და **წარვლეს სამი მილიონი. C**

ნამებისა და სასწაულების ტექსტებში ვხვდებით მაგალითებს, სადაც ქართული თარგმანის ა რედაქციასა და ბ რედაქციის B ხელნაწერში ერთნაირი ვარიანტული ნაკითხვაა, ხოლო C ხელნაწერში კი განსხვავებული და პირიქით, ა რედაქციისა და C ხელნაწერის ვარიანტული ნაკითხვები ერთნაირია, ხოლო B ხელნაწერში კი განსხვავებული. ეს მაგალითები შესაძლოა, აიხსნებოდეს ამგვარად: B და C ხელნაწერების გადამწერებს ხელთ ჰქონდათ ორივე რედაქციის ხელნაწერები და ისინი ადარებდნენ მათ და მათთვის საუკეთესო ვარიანტულ ნაკითხვებს არჩევდნენ.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ა რედაქციის ვარიანტულ ნაკითხვას ეთანხმება B ხელნაწერი, ხოლო C ხელნაწერი კი განსხვავებულ იკითხვისს გვთავაზობს. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ა რედაქციის **კაცთმოყუარისა** ქრისტესა განმეორებულია B ხელნაწერში, ხოლო C-ში კი გვაქვს: **იესუ** ქრისტესსა.

Ge<sup>1</sup>: შემდგომად გარდამოსლვისა **კაცთმოყუარისა** ქრისტესა. A

Ge<sup>2</sup>: ხოლო შემდგომად გარდამოსლვისა **კაცთმოყუარისა** ქრისტესა. B

ხოლო შემდგომად გარდამოსლვისა **იესუ** ქრისტესსა. C  
იმავე შემთხვევას ვხედავთ შემდეგ მაგალითშიც. აქ ა რედაქციის და B ხელნაწერის ვარიანტული ნაკითხვაა: ნიში **ჯუარისა** გამოსახის, ხოლო C ხელნაწერში კი გვაქვს: ნიში **ქრისტესი** გამოსახის.

Ge<sup>1</sup>: ჳელის დადებითა ნიში **ჯუარისა** გამოსახის. A

Ge<sup>2</sup>: ჳელის დადებითა ნიში **ჯუარისა** გამოსახის. B

ჳელის დადებასა ნიში **ქრისტესი** გამოსახის. C

მოვიხსნობთ კიდევ ერთ მაგალითს, სადაც ა რედაქციის და B ხელნაწერის ვარიანტული ნაკითხვა მსგავსია, ხოლო C ხელნაწერში კი განსხვავებული იკითხვისია წარმოდგენილი. ქვშია **წულილი** არმულისაგან **აღძრული** არის დაცული AB

ხელნაწერებში, ხოლო C-ში კი **ქვშა ზღვსა** არმურისაგან **აღრეული**. ამასთან, წინადადების ბოლო სამივე ხელნაწერში განსხვავებულად არის მოცემული.

Ge<sup>1</sup>: ხოლო ერისა მის სიმრავლჳ, ვითარცა ქვშაჲ **წულილი** არმულისაგან **აღძრული მოკრბა მუნ**.

Ge<sup>2</sup>: ხოლო ერისა მის სიმრავლე, ვითარცა ქვშაჲ **წულილი** არმულისაგან **აღძრული შემოკრბა**. B

ხოლო ერისა მის სიმრავლე **იყო**, ვითარცა **ქვშა ზღვსა** არმურისაგან **აღრეული შემოკრბეს**. C

მოვიხიშობთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ა რედაქციის ვარიანტულ წაკითხვას ეთანხმება C ხელნაწერი, ხოლო B-ში კი განსხვავებული იკითხვისია. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ა რედაქციასა და C ხელნაწერში არსებულ ვარიანტულ წაკითხვაში გადასმულია სიტყვები, რის შედეგადაც, იცვლება მნიშვნელობა. AC ხელნაწერებშია: რაჲსა, **ვითარცა სიყუარულით**, ხოლო B ხელნაწერში კი: რაჲსა **სიყუარულთა, ვითარცა**.

Ge<sup>1</sup>-შია: რაჲსა, **ვითარცა სიყუარულით**, სიტყვსა ჴელოვნებისასა წარმოიღებ. A

Ge<sup>2</sup>: რაჲსა **სიყუარულთა, ვითარცა** სიტყუაჴელოვნებასა წარმოიღებ. B

რაჲსა, **ვითარცა სიყვარულით**, სიტყუაჲ ჴელოვნებასა წარმოიღებ. C

შემდეგ მაგალითში ა რედაქციასა და C ხელნაწერში არსებითი სახელი „სახელი“ მრავლობით რიცხვშია, B ხელნაწერში კი მხოლობითში; AC ხელნაწერებში გვაქვს ვარიანტი: წიგნსა მას **ცხოველთასა**, ხოლო B ხელნაწერში კი წიგნსა მას **ცხორებისასა**.

Ge<sup>1</sup>: რამეთუ **სახელები** თქუენი დაწერილ არს წიგნსა მას **ცხოველთასა**. A

Ge<sup>2</sup>: ხოლო **სახელი** თქუენი დაწერილ არს წიგნსა მას **ცხორებისასა**. B

რამეთუ **სახელები** თქუენი დაწერილ არს წიგნსა მას **ცხოველთაჲსა**. C

ა რედაქციასა და C ხელნაწერში ვხვდებით ერთნაირ ვარიანტულ წაკითხვას, რომელთან მიმართებითაც B ხელნაწერში განსხვავებული იკითხვისია:

Geo<sup>1</sup>: მთავართა ჩემთა ზედა **დაგადგინე უმთავრეს ყოველთასა**. A

Geo<sup>2</sup>: ყოველთა მთავართა ჩემთა ზედა **უმთავრესად დაგადგინე**. B

მთავართა ჩემთა ზედა **დაგადგინე უმთავრეს ყოველთასა**. C

აქვე მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს, სადაც სამივე ხელნაწერში განსხვავებულ ვარიანტულ წაკითხვას ვხვდებით:

ა) Geo<sup>1</sup>: მაშინ მოძღუარმან **კერპთმსახურებ[ისა]მან მწეცებრ განრისხებულმან მის ზედა**. A

Geo<sup>2</sup>: მაშინ მოძღუარმან **ღმრთისმსახურებისამან მწეცებრ განძვნებულმან მას ზედა**. B

მაშინ მოძღვარმან **კერპთამან განრისხებულმან მწეცებრ მის ზედა**. C

ბ) Geo<sup>1</sup>: წარვედ და იცან **ჭეშმარიტი მეფე**, რომლისა იქმნებთან მისსა ძლუენის მიმღებელ და მრავალნი მისსა მიიყვანნე სადიდებელად **მისდა**. A

Geo<sup>2</sup>: წარვედ, იცან **მეფე ქრისტე, ღმერთი ჭეშმარიტი**, რომლისა **იქმენ შენ** მისსა ძლუენის მიმღებელ და მრავალნი **მოიყვანენ მისსა** სადიდებელად **შენდა**. B

წარვედ და იცან **შენ ჭეშმარიტი მეფე**, რომლისა **იქმენ შენ** მისსა ძლუენისა მიმღებელ და მრავალნი **მისსა მოიყვანენ** სადიდებელად **შენდა**. C

გ) Geo<sup>1</sup>: აღიძრა ამბოხი დიდი **სტჯრითა** და ბობლნითა და **მრავალსახითა მოყურებითა** განვიდეს გარეშე ქალაქსა შემთხუევად მისსა, და **ესევითარ** შევიდა ქალაქად **შემთხუევად მისა**. A

Geo<sup>2</sup>: აღიძრა ამბოხი დიდძალი **საყვრითა** და ბობღნითა, **მრავლითა სახიობითა** განვიდეს გარეშე ქალაქსა შემთხუევად მისსა, და **ესრეთ** შევიდა ქალაქად. B

აღიძრა ამბოხი დიდძალი **სტვრთა** და ბობღანთა, **მრავლფერითა მღერითა** განვიდეს გარეშე ქალაქსა შემთხუევად მისსა, და **ესევეითართა დიდებითა შევიდეს** ქალაქად. C

დ) Geo<sup>1</sup>: და **ბრძანა** მისი მცველითა **დაკრძალვაჲ**. A

Geo<sup>2</sup>: და **უბრძანა** მისი მცველითა დაკრძალვაჲ **აუწყა ჭემმარიტებით**. B

და **უბრძანა** მისი **დაკრძალვაჲ საპყრობილესა შინა**. C

როგორც ზემოთ მოხმობილი მაგალითებიდან გამოჩნდა, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების“ და წმიდა მენას სამი სასწაულის ტექსტი ორი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული. სამწუხაროდ, წამების ბერძნული ტექსტის ოდენ ფრაგმენტებია გამოქვეყნებული და, ამდენად, ბერძნულ დედანთან ექვთიმეს თარგმანის სრულად შედარების საშუალება არ მოგვეცა. რაც შეეხება წმიდა მენას სამ სასწაულს, მათი ტექსტი სრულად შევადარეთ ბერძნულ დედანს და ექვთიმეს მთარგმნელობით მეთოდზე მსჯელობის საშუალებაც არის. ქვემოთ, გამოკვლევის 4.1., 4.2. და 4.3. ქვეთავებში, სადაც წმიდა მენას სამი სასწაულის ქართული თარგმანის მიმართებას განვიხილავთ ბერძნულ ამოსავალ ტექსტთან, უხვადაა წარმოდგენილი მაგალითები, სადაც ნათლად ჩანს, რომ ექვთიმეს ქართული თარგმანი ორი რედაქციითაა წარმოდგენილი და განხილულია ამ რედაქციათა ვარიანტული წაკითხვების მიმართება ბერძნულ ტექსტთან. ექვთიმეს თარგმანის წამებისა და სასწაულების ტექსტებში გვხვდება მაგალითები, სადაც ა რედაქციის ვარიანტულ წაკითხვას ხან B ხელნაწერის და ხანაც C-სი ემთხვევა. ეს კი, ჩვენის აზრით, განაპირობა ამ ხელნაწერთა გადამწერების ხელთ არსებულმა ორივე რედაქციის ტექსტმა, საიდანაც ისინი მათთვის უფრო მისაღებ ვარიანტს არჩევდნენ,



ხანაც კი ორივეს უარყოფდნენ და თავიანთ იკითხვის სთავაზობდნენ მკითხველს.

#### **4. წმიდა მენას სამი სასწაულის ბერძნული ტექსტისა და ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ურთიერთმიმართებისათვის**

ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ ვისაუბრეთ ტომის შესავალში, „წამება წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთა აკეფსიმა, იოსებ და აითალაასის“ ტექსტის ბერძნული დედნისა და ექვთიმეს თარგმანის ურთიერთმიმართების საკითხების განხილვისას და ზემოთ, ჩვენი გამოკვლევის ქვეთავში – 2.1. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმილი და „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების“ ტექსტის შემდგომ დართული წმიდა მენას სასწაულებისათვის – ამდენად, აქ ამაზე აღარ შევჩერდებით, არამედ ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ექვთიმეს მიერ თარგმნილი სამი სასწაულის ბერძნული ტექსტის თარგმნისას „კლება-მატებით“ გადასხვაფერებულ მაგალითებს: 4.1. ქვეთავში განვიხილავთ შემთხვევებს, როცა ექვთიმე გადააკეთებს/გადაასხვაფერებს სათარგმნ ტექსტს; 4.2.-ში ბერძნულ დედანთან მიმართებით „მატების“ მაგალითებს, ხოლო 4.3.-ში მოვიყვანოთ შემთხვევებს, სადაც ექვთიმე „კლებას“ მიმართავს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მაგალითებში არ მოგვაქვს უმნიშვნელო ნიმუშები, როგორებიცაა ბერძნული დედნის ერთი სიტყვის იმავე მნიშვნელობის ან შინაარსის მეორე ქართული სიტყვით ჩანაცვლების, ანაც უმნიშვნელო სიტყვების გამოტოვების ან დამატების, რითაც სათარგმნ ტექსტის შინაარსი სრულიად არ იცვლება.

#### 4.1. წმიდა მენას სამი სასწაულის ბერძნული ტექსტის თარგმნისას ექვთიმე მთანმიდელის მიერ ამოსავალი ტექსტის გადასხვაფერების ნიმუშები

ექვთიმე მთანმიდელმა ბერძნული **δίσκος**, რომელიც გვხვდება მრავალგზის წმიდა მენას მეორე სასწაულის ტექსტში, სათაურიდან დანყებული, სასწაულის ბოლომდე (Pomjalovskij 1900, 66-67), ყველგან (სათაურის გარდა, რადგანაც ქართულ თარგმანში სათაური არ გვაქვს) თარგმნა, როგორც „ბარძიმი.“ ბერძნული **δίσκος** ნიშნავს: 1. მზის ან მთვარის სფეროს, 2. თევზს, 3. ფეშხუნს, განსაკუთრებით, ოქროს ფეშხუნს, რომელზეც ევქარისტის დროს პურს დებენ, 4. გონგს (Lampe 2005, 374-5). როგორც ვხედავთ, ბერძნულ ენაში ეს სიტყვა ბარძიმს არ ნიშნავს. მისი ლათინური შესატყვისია *patena*. ფეშხუნი ნიშნავს „დიდ თევზს, სინს, ძირიან თევზს, რომელზეც ლიტურგიის დროს იდება „ტარიგი,“ მაცხოვრის მოსახსენებელი ნაკვეთი სეფე.“<sup>1</sup> ყველაზე გავრცელებული ბერძნული შესატყვისი ქართული ბარძიმისა კი არის **ποτήριον** (Lampe 2005, 1124). სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ავხსნით, თუ რატომ ჩაანაცვლა ექვთიმე ათონელმა ბერძნული **δίσκος** „ფეშხუნი“ თავის თარგმანში „ბარძიმით.“ ქვემოთ განხილულ მაგალითებში მრავლად შეგვხვდება ბერძნული **δίσκος**-ის „ფეშხუნ-ით“ თარგმნის შემთხვევები, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

პირველი სასწაულის, ისაურელი პილიგრიმის შესახებ, ტექსტში ექვთიმე ათონელმა მრავალი განსხვავება შეიტანა ბერძნულ დედანთან მიმართებით. ბერძნულ დედანშია: ὁ δὲ κῆρυξ τῆς ἀποθήκης περιεποίησας **στῶματα**, ὅπως ὑπώσθασιν ἀμύττεροι (Pomjalovskij 1900, 63,26-27), რაც ნიშნავს: ხოლო სასტუმროს პატრონმა მოამზადა სარეცელი, რომ ორივეს და-

---

<sup>1</sup> ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, 1058.

ეძინა. როგორც ვხედავთ, ტექსტში საუბარია სასტუმროს პატრონის მიერ სარეცლის მომზადებაზე, რომ მას და სტუმარს დაეძინათ. ექვთიმეს თარგმანში კი საუბარია არა სარეცელსა და დაძინებაზე, არამედ სასტუმროს პატრონის მიერ ტაბლის მოტანასა და დადგმაზე, რომ სტუმარს ეჭამა და დაეძინა. ექვთიმემ აქ შეცვალა ბერძნული დედნის  $\sigma\tau\acute{\alpha}\mu\mu\alpha$  „სარეცელი, დასანოლი, ქვეშაგები“ (Liddell, Scott 1996, 1656) „ტაბლ-ით“ და, ამდენად, შემდეგ ფრაზაშიც ჩაამატა, რომ „კაცს ჭამა ენდომებოდა.“ რადგან ექვთიმე აქ მოგვითხრობს, რომ სასტუმროს პატრონი ზრუნავს მხოლოდ სტუმრის კვებასა და დაძინებაზე, მის თარგმანში, მხოლოდ სტუმარს მიემართება მისი ზრუნვა მაშინ, როცა ბერძნულ დედანშია:  $\acute{\nu}\pi\alpha\varsigma \acute{\upsilon}\pi\lambda\omega\sigma\sigma\alpha\iota\nu \acute{\alpha}\mu\phi\acute{o}\tau\epsilon\rho\iota$  „რომ ორივეს დაეძინა.“ ექვთიმეს თარგმანშია: ხოლო მეპანდოქსემან მან **მოილო ტაბლაჲ და დაუგო** (დაუდგა B) **ნინაშე მისსა**, და **ვითარცა ჭამაჲ ენება და დაძინების** (ვითარცა სჭამა, ენება დაძინების C).

ექვთიმემ თავისუფლად თარგმნა ფრაზა შემდეგ ნინადადებაში. ბერძნულ დედანშია:  $\acute{\iota}\delta\omega\nu \delta\grave{\epsilon} \tau\acute{o} \beta\alpha\lambda\acute{\alpha}\nu\tau\iota\omicron\nu \tau\acute{o}\nu \acute{\alpha}\nu\delta\rho\acute{o}\varsigma \acute{o} \acute{\alpha}\pi\omicron\theta\eta\kappa\acute{\alpha}\rho\iota\omicron\varsigma, \epsilon\iota\sigma\eta\lambda\theta\epsilon\nu \epsilon\iota\varsigma \tau\eta\nu \kappa\alpha\rho\delta\iota\acute{\alpha}\nu \alpha\upsilon\tau\omicron\upsilon \acute{o} \acute{\pi}\acute{\alpha}\nu\tau\omicron\tau\epsilon \beta\alpha\sigma\kappa\alpha\acute{\iota}\omega\nu \tau\eta\nu \acute{\alpha}\lambda\upsilon\pi\omicron\nu \zeta\omega\eta\nu \eta\mu\acute{\omega}\nu \delta\acute{\iota}\alpha\beta\iota\omicron\lambda\omicron\varsigma, \kappa\alpha\acute{\iota} \epsilon\beta\acute{\iota}\gamma\lambda\epsilon\upsilon\sigma\epsilon \tau\acute{o}\nu \zeta\acute{\epsilon}\nu\omicron\nu \acute{\epsilon}\omega\varsigma \tau\acute{o}\nu \acute{\alpha}\pi\epsilon\kappa\omicron\iota\mu\eta\theta\eta$  (Pomjalovskij 1900, 63,27-30), რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: როცა სასტუმროს მეპატრონემ დაინახა კაცის საფულე, ვინც მუდამ ებრძვის ადამიანების მოდგმას, ეშმაკი, შევიდა მის გულში და უთვალთვალედა, სანამ უცხო დაიძინებდა. აქ ექვთიმემ გადაასხვაფერა ეშმაკის დახასიათება. მან დედნისეული  $\acute{o} \acute{\pi}\acute{\alpha}\nu\tau\omicron\tau\epsilon \beta\alpha\sigma\kappa\alpha\acute{\iota}\omega\nu \tau\eta\nu \acute{\alpha}\lambda\upsilon\pi\omicron\nu \zeta\omega\eta\nu \eta\mu\acute{\omega}\nu$  „ვისაც მუდამ შურს უზრუნველი ცხოვრების,“ ამგვარი მსჯელობით შეცვალა: „ვინც მუდამ ებრძვის ადამიანების მოდგმას.“ ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: და იხილა მეპანდოქსემან მან კისაკი იგი ოქროთა (იგი ოქროთა – BC) კაცისა მის თანა. მას ჟამსა (ქმაშინ BC) შევიდა ეშმაკი გულსა

მის კაცისასა (ეშმაკი გულსა მისსა B, გულსა მისსა ეშმაკი C),  
**რომელი მარადის ჰბრძავს ნათესავსა კაცთასა.**

ექვთიმემ გადააკეთა დედნისეული შინაარსი შემდეგ  
წინადადებაში, ბერძნულ ტექსტში: ἄρα τί ποιήσω τὸ σῶμα  
τοῦτο, μὴ ἴδῃ τις τὸν φόνον ὄντα ἐποίησα καὶ ἐκφάνῃ με εἰς  
τὴν **ἐξουσίαν** (Pomjalovskij 1900, 64,2-3), რაც ნიშნავს: რა ვუყო  
სხეულს, რომ ვერავინ დაინახოს მკვლელიობა, რომელიც ჩავი-  
დინე და გამომააშკარავოს ხელისუფლის წინაშე? აქ ექვთიმემ  
ჩაანაცვლა ბერძნული ἐκφάνῃ με εἰς τὴν **ἐξουσίαν** „გამომააშკა-  
რავოს ხელისუფლის წინაშე“ **აუწყოს მეფესა**-თი და წინადა-  
დების ექვთიმესეულმა თარგმანმა ამგვარი სახე მიიღო: აქ  
რაა უკუე ვყო გუამი ესე (გუამი ესე – B)? ნუუკუე იხილოს  
ვინმე, რომელი-ესე ვყავ და **აუწყოს მეფესა**?

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ გადაასხვაფერა ბერ-  
ძნული ტექსტის შინაარსი, სადაც ვკითხულობთ: καὶ ἰδοὺ ὁ  
ἄγιος μάρτυς τὸν Χριστὸν Μηνᾶς ἔφθασε καὶ βαλᾶριος μετὰ  
πλήθους πολλῶν, ὧς **ἐν σχήματι σπαθarioύ ἐρχόμενος ἐπὶ τὴν  
ἀποθήκην** (Pomjalovskij 1900, 64,8-10), რაც ნიშნავს: და აი,  
წმიდა მოწამე ქრისტესი მენა მოვიდა, როგორც მხედარი მრავალ-  
თან ერთად, სპათარიოსის სამოსელში, სასტუმროს პატრონთან.  
ექვთიმეს თარგმანი: და, აჰა, ესერა, მოვიდოდა წმი-  
დაა მოწამე ქრისტესი მენა ცხენებითა სრბით ერთა მრავ-  
ლითა, **ვითარცასახედ მეფისა მიერ მოვლინებული**. აქ ექვთი-  
მემ შეცვალა დედნისეული შინაარსი: ბერძნული ὧς **ἐν σχήματι  
σπαθarioύ** ἐρχόμενος ἐπὶ τὴν ἀποθήκην „(მოვიდა) სპათარიოსის  
სამოსელში სასტუმროს პატრონთან,“ მან ჩაანაცვლა ფრა-  
ზით: **ვითარცასახედ მეფისა მიერ მოვლინებული**. ბერძნული  
σπαθarioύ, კომპოზიტი: **σπάθη** „დანის ან ხანჯლის განიერი  
პირი, ხმალი, მახვილი“ + **άριος** „მანარმოებელი სუფიქსი“; ამ-  
დენად, σπαθarioύ ნიშნავს „ხმლის, მახვილის მტარებელს,“ სა-  
მეფო, იმპერატორის კარის წარჩინებულ პირს, საზეიმო დაც-  
ვის წევრს (Lampe 2005, 1247). ზ. სარჯველაძე ძველ ქართულ

ტერმინს „სპათარ-ი“ ამგვარად განმარტავს: სარდლის თანაშემწე; მალალი ნოდების სამხედრო პირი (შდრ. ბერძნ. *σπαθῆριος*; ლათ. *spatharius* სამეფო კარის მცველთა ფენა კონსტანტინოპოლში V-VII სს. გვიან რომის იმპერიაში, მოგვიანებით იქცა საპატიო ნოდებად ბიზანტიის იმპერიაში.<sup>1</sup> განიხილავს რა წმიდა მენას სასწაულების კოპტური ვერსიის ბერძნულთან მიმართებას, პ. პივოვარჩიკი აღნიშნავს, რომ კოპტურ ვერსიაში წმიდა მენა რეგულარულად ევლინება ადამიანებს სპათარიოსის სახით, რაც მხოლოდ ერთგზის გვხვდება მისი სასწაულების ბერძნული ტექსტის ბ რედაქციაში და იმონმებს, სწორედ ჩვენს მიერ მოხმობილ მაგალითს (Piwowarczyk 2021c). როგორც ქვემოთ დავინახავთ, სპათარიოსი წმიდა მენას სასწაულების ტექსტში კიდევ რამდენჯერმე გვხვდება ბერძნულ ბ რედაქციაში. წმიდა მენას სასწაულების კოპტურ ვერსიაში წმიდანი გვევლინება სპათარიოსის სახით, მასთან ერთად კი სხვა სულიერი არსებებიც არიან ხოლმე: მისი სულიერი ცხენი, ანგელოზები, სინათლის ღრუბელი, მაშინ, როცა ბერძნული ტექსტი ფოკუსირებულია თავად წმიდანზე (იქვე). როგორც ჩანს, კოპტურ ვერსიაში წმიდა მენას სპათარიოსად მოხსენიება უნდა უკავშირდებოდეს მისთვის მალალი ნოდების წმიდანად აღქმას. ასეა თუ ისე, მოხმობილ მაგალითში ექვთიმემ უგულებელყო „სპათარიოსი“ და არ თარგმნა ის, ან კიდევ, მას იმგვარი ბერძნული ხელნაწერი ჰქონდა ხელთ, სადაც ეს ტერმინი არ იყო მოხსენიებული. ამ წინადადებაში ბერძული *ἐν στήματι σπαθῆριου*-ის ჩანაცვლება

---

<sup>1</sup> ზურაბ სარჯველაძე, „ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი,“ გვ. 943. ქართულ სინამდვილეში ტერმინ „სპათარიოსის“ და ბიზანტიური გავლენის პერიოდში საქართველოში დამკვიდრებული სხვა ტიტულატურის შესახებ მსჯელობს ლერი თავაძე, სტატიაში „პროტოსტრატორი VIII-XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში,“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XI, თბილისი, 2016, გვ. 19-42.

ვითარცასახედ მეფისა მიერ მოვლინებულ-ით გვაფიქრებინებს, რომ აქ ექვთიმემ წმიდა მენას ავტორიტეტი გაამაგრა მისი მეფის მიერ მოვლენილობით და მეტი წონა შესძინა მის მოვლინებას.

პირველ სასწაულში წმიდა მენა ესაუბრება სასტუმროს პატრონს. ექვთიმე მთანმიდელმა მთლიანად გადაასხვაფერა აზრი შემდეგ წინადადებაში, რაც ბერძნულ ტექსტში ამგვარად იკითხება: **εἰ οὐκ ἔμεινεν ἐνταῦθα ἄνθρωπος, κάθισον σὺν ἡ, καὶ ἐγὼ εὐρίσκω αὐτόν** (Pomjalovskij 1900, 64,17-18), რაც ნიშნავს: თუ არ დარჩენილა აქ კაცი, დაჯექი ჩუმიად/წყნარად და მე ვიპოვი მას. ექვთიმეს თარგმანშია: და **უკუეთუ შენ არა გნებავს აღსაარებად**, მე ვპოვო იგი.

შემდეგი მაგალითიდან ჩანს, რომ ექვთიმე მთანმიდელმა გადააკეთა ამოსავალი ბერძნული ტექსტი და სხვა შინაარსი შესძინა წინადადებას ქართულ თარგმანში. ბერძნულ ხელნაწერშია: **κῆρι ὁ παθῆριος, ποιὼ ὅς κελεύεις μοι, καὶ ἐν ἡ ἄρα ῥυσθῆ, ἀπέρχομαι εἰς τὸν ἄγιον Μηνᾶν καὶ μετανοῶ λαμβάνων καὶ τὸ σῆμα. Ἰδὼν δὲ ὁ ἄγιος τὴν μετάνοιαν αὐτοῦ, εἶπεν αὐτῷ** (Pomjalovskij 1900, 65,4-7), რაც ნიშნავს: უფალო სპათარიოსო, ისე ვიზამ, როგორც შენ მიბრძანებ, და, როცა გადავრჩები, წავალ წმიდა მენაში (ტაძარში) და მოვიწინაიებ. ექვთიმეს თარგმანის შედარებისას ბერძნულ დედანთან ირკვევა, რომ მან გამოტოვა დედნისეული **κῆρι ὁ παθῆριος, ποιὼ ὅς κελεύεις μοι** „უფალო სპათარიოსო, ისე ვიზამ, როგორც შენ მიბრძანებ,“ ამ ფრაზის შემდგომი ტექსტი გადააკეთა და მას ამგვარი აზრი შესძინა: თუკი მიხსნი მეფისგან, მაშინ წავალ წმიდა მენას ტაძარში და იქ შევიწინაიებ. ექვთიმეს თარგმანი: **უკუეთუ მივსნე ხოლო** (~ ხოლო მივსნე B, ~ ხოლო მივსნე მე C) **მეფისაგან**, წარვიდე ტაძარსა წმიდისა (+ მოწამისა BC) მეწაესა და შევიწინაო მუნ.

ექვთიმემ ბერძნული წინადადების ირიბი თქმა პირდაპირად გადააკეთა ქართულ თარგმანში. ბერძნულ ხელნაწერშია: **ἐπειδὴ κατεβάρηθην τῷ πνεύματι, καὶ ἔλθων ὁ κύριος μετὰ δυνάμεως**

**πολλῆς δῦπνισέν με** (Pomjalovskij 1900, 65,23-24), რაც ნიშნავს: დამძიმებული ვიყავი ძილით და უფალი მოვიდა დიდი ძალით და გამალვიდა მე. ექვთიმეს თარგმანი: რამეთუ დამძიმებულ ვიყავ ძილითა და მოხუედ, **უფალო, ძალითა მრავლითა და განმალჯე** მე.

ექვთიმემ შეცვალა შინაარსი, შეამოკლა და გააერთიანა შემდეგი წინადადებები, რომლებიც ბერძნულ ხელნაწერში ამგვარად იკითხება: **Παρεκάλεσε δὲ αὐτὸν ὁ ἀποθηκάριος, ἵνα δέξῃται τὸ σχῆμα αὐτοῦ. Ἀποκαρεῖς δὲ ὁ ἀποθηκάριος ἔμεινεν ἐκεῖ ἔτη ἑπτὰ, καὶ ἐτελεύτησε ἐν μετανοίᾳ** (Pomjalovskij 1900, 66,1-3), რაც ნიშნავს: ითხოვა (დაჟინებით მოითხოვა) სასტუმროს მეპატრონემ, რომ მიელო სქემა. შეინანა რა, სასტუმროს მეპატრონე დარჩა იქ შვიდ წელს და სინანულში გარდაიცვალა. ექვთიმე მთანმიდელის მიერ თარგმნილ წინადადებაში ამგვარი შინაარსს გხვდებით: „მონაზონი გახდა სასტუმროს პატრონი. და დარჩა იქ ხუთ წელს და გარდაიცვალა, რადგან შეწირულ იქნა მისი ლოცვა/სინანული. აქ: ა) ექვთიმემ დედნი სეული **παρεκάλεσε δὲ αὐτὸν ὁ ἀποθηκάριος, ἵνα δέξῃται τὸ σχῆμα αὐτοῦ** „ითხოვა სასტუმროს მეპატრონემ, რომ მიელო სქემა“ გადააკეთა, შეამოკლა და მოკლედ თარგმნა, როგორც: **და მონესე იქმნა მეპანდოქსე იგი**. სიტყვა τὸ σχῆμα ბიზანტიურ ბერძნულში პოლისემიურია და სხვა მნიშვნელობებთან ერთად, მან შეიძინა „ტანსაცმლის, ბერის ტანსაცმლის, სოციალური ფენის, პოზიციის“ მნიშვნელობა (Lampe 2005, 1359); ბ) ექვთიმემ ბერძნული ἑπτὰ „შვიდი“ ქართული „ხუთ-ით“ ჩაანაცვლა; გ) გამოტოვა ბერძნული ἀποκαρεῖς δὲ „შეინანა რა“; დ) ბერძნული καὶ ἐτελεύτησε ἐν μετανοίᾳ „და სინანულში გარდაიცვალა“ შეცვალა მსჯელობით: „რადგან შეწირულ იქმნა მისი ლოცვა A, სინანული BC.“ ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: **და მონესე იქმნა მეპანდოქსე იგი**. და დაადგრა მუნ ხუთ წელ და აღესრულა, რამეთუ შეწირულ იქმნა ლოცვაჲ (სინანული BC) მისი.

შემდეგი წინადადება ექვთიმეს თარგმანში ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. ბერძნულ ტექსტშია: ἐπίστευσεν δὲ πλῆθος Ἑλλήνων καὶ αἰρετικῶν ἐκ τῆς τότε ἡμέρας θασμάζοντες πᾶς ὁ Θεὸς διὰ τῶν περσεβειῶν τοῦ ἀγίου ἰᾶται πᾶσαν τὴν ψυχὴν (Pomjalovskij 1900, 66,5-7), რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: და მრავალმა წარმართმა და მწვალებელმა ირწმუნა, უკვირდათ იმ დღის შემდგომ, თუ როგორ ღმერთი, წმიდის შუამდგომლობით, კურნავს ყველა/თითოეულ სამშვინველს. ბერძნული ტექსტის ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში ვკითხულობთ: და ჰრწმენა მრავალსა ერსა **წარმართთასა და მწვალებელთასა მას დღესა შინა, განკვრეებულნი ადიდებდეს ღმერთსა, ვითარ-იგი მეოხებითა მის წმიდისაჲთა განჰკურნებდა ყოველთა სნეულებათა, ვიდრე აღდგინებამდე მკუდრეთით, სასწაულნი იქმნეს;** ბ რედაქციაშია: და ჰრწმენა მრავალსა ერსა **და ერთობით ადიდებდეს ღმერთსა.** ბერძნულ დედანთან მიმართებით თუ განვიხილავთ ა რედაქციის ვარიანტულ ნაკითხვას, აქ ვხედავთ, რომ დედნისეული წინადადების შინაარსი გადაკეთებულია. ბერძნულ დედანშია, რომ: „მრავალ წარმართს და მწვალებელს, ვინც ირწმუნა, უკვირდა იმ დღის შემდგომ, თუ როგორ კურნავს ღმერთი წმიდა მენას შუამდგომლობით თითოეულ სამშვინველს,“ ანუ როცა ნახეს ღვთის სასწაული და რაც ირწმუნეს, იმ დღის შემდგომ (ἐκ τῆς τότε ἡμέρας), უკვირდათ, რომ ღმერთი წმიდა მენას შუამდგომლობით (თხზულების დანერის დრომდე), ახდენს სასწაულებს და კურნავს თითოეულ სამშვინველს. აქ ბერძნული ἰᾶται „კურნავს“ ზმნის ἰάομαι III პ. მხ. რ.-ის ანმყო დროის ფორმაა, რაც „ფიზიკურად და სულიერად განკურნვას, გამოჯანსაღებას“ ნიშნავს (Lampe 2005, 661). ქართული თარგმანის ა რედაქციაში შემდეგი შინაარსია გადმოცემული: „და მრავალმა წარმართმა და მწვალებელმა იმ დღეს ირწმუნა, გაკვირვებულნი ადიდებდნენ ღმერთს, თუ როგორ, მისი წმიდის მეოხებით/მეშვეობით, კურნავდა ყველა სენს, მკვდრეთით აღადგომამდე(ც კი), სასწაულები იქმნებოდა.“ ბ რედაქციაში იგივე



წინადადება ლაკონიურადაა გადმოცემული: **და ჰრწმენა მრავალსა ერსა და ერთობით აღიდებდეს ღმერთსა.** აქ, სავარაუდოდ, რედაქტორმა ჩათვალა, რომ ქართული წინადადების შინაარსი არ შეესაბამებოდა დედანს და ამოიღო ვრცელი ტექსტი და, ამით, თავი აარიდა ბერძნულსაგან განსხვავების უხერხულობას და მეტად მოკლედ გადმოგვცა სათქმელი, ანაც იყო ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც ვარიანტული ნაკითხვის სახით ამ წინადადების მოკლე ვარიანტი იყო ასახული და რედაქტორმა მის მიხედვით ჩაასწორა ტექსტი.

წმიდა მენას მეორე სასწაულის ერთ-ერთ პასაჟში ევტროპიოსი ინანიებს ჩადენილს. ბერძნულ ხელნაწერშია: οὐαί μοι, ὅτι ἡμάρτηκα σφόνδρα ζηλῶσαζ τὸν δίσκον τοῦ ἀγίου, καὶ ἐκ τοῦ σὺ ἀπῶλεσα τὸν δισκὸν μου· τί ποιήσω οὐκ οἶδα, ὅτι ἄνθρωπον οὐκ ἔχω, ἵνα δουλεύσῃ μοι· οὐαί μοι, ὅτι εἰς αἰσχύνῃν μεγάλην ἐγένετό μοι τὸ πρᾶγμα τοῦτο· ἐὰν γινῶσιν οἱ ἄνθρωποι ὅτι τὸν δίσκον τοῦ ἀγίου ἐκράτησα, ποῖον ὄνειδος ἐπιθήσουσί μοι; (Pomjalovskij 1900, 67,5-10), რაც ნიშნავს: ვაი მე, რადგან დიდად ვცოდე, რომ ძლიერ მომიწდა წმიდანის ფეშხუენი, და ამის გამო, დავკარგე ჩემი მსახური! რა ვქნა, არ ვიცი, რადგან არ მყავს ადამიანი, რომ მემსახუროს. ვაი მე, რადგან დიდი სირცხვილი გახდა ეს საქმე ჩემთვის! ადამიანებმა რომ გაიგონ, რომ მე დავიტოვე წმიდანის ფეშხუენი, როგორ გაკიცხვას დამატეხენ თავს? ექვთიმეს თარგმანი: ვაჲ ჩემდა (+ მე BC), რამეთუ ვცოდე ფრიად (ღდიდად C) და შევიშურვე ბარძიმი წმიდისაჲ მის და ამით წარვწყმიდე მონაჲ იგი ჩემი, და დიდად საყუედრელ იქმნა ესე ჩემდა, უკუეთუ ცნან ესე კაცთა, ვითარმედ დავიყენე ჭურჭელი იგი წმიდისაჲ მის სამსახურებელად ჩემდა, რაოდენ (ვითარ C) არა მაყუედრებდენ მე? აქ ექვთიმე ათონელმა: ა) შეამოკლა დედნისეული καὶ ἐκ τούτου ἀπῶλεσα τὸν δισκὸν μου· τί ποιήσω οὐκ οἶδα, ὅτι ἄνθρωπον οὐκ ἔχω, ἵνα δουλεύσῃ μοι „და ამის გამო, დავკარგე ჩემი მსახური! რა ვქნა, არ ვიცი, რადგან არ მყავს ადამიანი, რომ მემსახუროს“, გამოტოვა რა ბერძნული ვრცელი ფრაზა, ქართულად

ლაკონიურად გადმოგვცა: **ამით წარვწყმიდე მონაჲ იგი ჩემი;** ბ) ბერძნული οὐαί μοι, ὅτι εἰς αἰσχύνην μεγάλην ἐγένετό μοι τὸ πρᾶγμα τοῦτο „ვაი მე, რადგან დიდი სირცხვილი გახდა ეს საქმე ჩემთვის!“ გადაასხვაფერა და ამგვარად თარგმნა: **დიდად საყუედრელ იქმნა ესე ჩემდა;** გ) ბერძნული ποῖον ὄνειδος ἐπιθήσοισί μοι; „როგორ გაკიცხვას დამატეხენ თავს?“ ან „როგორ სირცხვილს მოინევენ ჩემზე?“ ქართულად თარგმნა განსხვავებულად: **რაოდენ (ვითარ C) არა მასყუედრებდენ მე?** „როგორ არ გამკიცხავენ მე?“

წმიდა მენას მეორე სასწაულში არის პასაჟი, რადაც ევტროპიოსი გაჰყურებს ნაპირს მისი მსახურის გვამის მოლოდინში. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: Ταῦτα δὲ αὐτοῦ **διαλογιζόμενος** ἔφθασεν εἰς τὸν λιμένα τὸ πλοῖον, ὃ δὲ **Εὐτρόπιος** ἐβίβλησεν εἰς τὸν αἰγιαλὸν **ἐπιζῶν ἐν ἔστυψι**, ὅτι πάντως ἔσπραν τὰ κύματα τὸ σῶμα αὐτοῦ, καὶ εὐρών θάψω αὐτό (Pomjalovskij 1900, 67,18-21), რაც ნიშნავს: სანამ ის ფიქრობდა, გემმა მოაღწია ნავსადგურს, ხოლო ევტროპიოსი გაჰყურებდა ნაპირს, იმედოვნებდა მისთვის, რომ ტალღები უეჭველად გამოიტანდნენ მის გვამს და იპოვიდა რა, დამარხავდა მას. ექვთიმეს თარგმანშია: და ამას რაჲ **იტყოდა**, მოინია ნავი ნავთსაყუედელსა, ხოლო იგი ხედვიდა კიდესა ზღვსასა **იმიერ და ამიერ** (+ რამეთუ C), **ჰგონებდა**: ნუჟუე ლელვამან გამოაგდოს გუამი მისი **კიდესა ზღვსასა წმელად** (– C), ვპოვო და დავჰმარხო (დავმარხოთ C) იგი. აქ ექვთიმე ათონელმა თავისუფლად თარგმნა ამოსავალი ტექსტი, მან: ა) გამოტოვა მოქმედის პირის სახელი ევტროპიოსი **Εὐτρόπιος**; ბ) ბერძნული διαλογιζόμενος „ფიქრობდა“ ზმნის **διαλογίζομαι** „ფიქრი, მსჯელობა, განხილვა“ მიმღეობაა ნათესაობით ბრუნვაში. ექვთიმემ ის ჩაანაცვლა თავის თარგმანში **„იტყოდა-თი“**; გ) ბერძნული **ἐπιζῶν ἐν ἔστυψι** „იმედოვნებდა მისთვის“ გადმოსცა, როგორც: **ჰგონებდა**; დ) დაამატა ბერძნულ ἐβίβλησεν εἰς τὸν αἰγιαλὸν-ს „გაჰყურებდა ნაპირს“ **იმიერ და ამიერ** და ამგვარად თარგმნა ფრაზა:

**იგი ხედვიდა კიდესა ზღვასა იმიერ და ამიერ;** ე) გადაასხვაფერა ბერძნული ფრაზა, სადაც ევტროპიოსი იმ იმედით გაჰყურებს ნაპირს, რომ ტალღები πάντως „უეჭვოდ, აუცილებლად“ გამოიტანდნენ მსახურის გვამს: ὄτι πάντως ἔσθαι τὰ κύματα τὸ σῶμα αὐτῶν „რომ ტალღები უეჭველად გამოიტანდნენ მის გვამს.“ ექვთიმემ ეს ფრაზა გადააკეთა და ამგვარი აზრი მისცა: „იქნებ ლელვამ გამოაგდოს გვამი ზღვის ნაპირზე, მინაზე“: ნუუკუე ლელვამან გამოაგდოს გუამი მისი **კიდესა ზღვასა ჯმელად;** ვ) აქ ექვთიმემ ჩაამატა სიტყვები: **კიდესა ზღვასა ჯმელად.**

ექვთიმე ათონელმა გადაასხვაფერა ბერძნული ფრაზა ἡσπάσατο αὐτὸν χαίρων „სიხარულით მიესალმა“ და თარგმნა ის, როგორც **„შეიტკბო და ამბოროს-უყოფდა.“** ბერძნულ ხელნაწერშია: Ὅτε δὲ εἶδεν ὁ κύριος αὐτὸν, ἡσπάσατο αὐτὸν χαίρων καὶ λέγων· ἰδοὺ ὁ δούλος μου ὁ καλός, νεκρὸς ἦν καὶ ἀνέζησεν (Pomjalovskij 1900, 68,2-4), რაც ნიშნავს: როცა ის დაინახა მისმა ბატონმა, სიხარულით მიესალმა და უთხრა: აი, ჩემი კარგი მსახური, ის მკვდარი იყო და აღდგა. ექვთიმეს თარგმანი: და ვითარცა იხილა იგი უფალმან მისმან, **შეიტკბო (+ იგი C)** და **ამბოროს-უყოფდა** მას და ეტყოდა: „აჰა, მონაჲ ჩემი სარწმუნოჲ, მომკუდარ იყო და აღდგა.“

ექვთიმე ათონელმა გადაასხვაფერა ბერძნული ტექსტის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი, **τίνι οὐκ ἐξηγήσομαι, ἄγχι τοῦ Θεοῦ, τὰ θαύματά σου καὶ τὰ σημεῖα ταῦτα, ἃ ἐνδείξω ἐν ἐμοί;** „ვის არ უნდა განვუცხადო, ო, წმიდაო ღვთისაო, შენი სასწაულები და ეს ნიშნები, რომლებსაც ვაჩვენებ ჩემით?“ და ქართულ თარგმანში განსხვავებული დატვირთვის ტექსტი შესთავაზა მკითხველს: „მიხარია და მხიარული ვარ, რომ ღმერთმა მე წმიდა მენას მეშვეობით შემინყალა და (რომ) ყველას მოვუთხრო სასწაულებისა და საკვირველებების (შესახებ).“ აქვე, ექვთიმემ ბერძნული λυπιῶμαι „ვნუხვარ“ თარგმნა, როგორც **„მეშინის.“** ბერძნული ტექსტის ფრაზა, სადაც ევტროპიოსი

მიმართავს წმიდა მენას, მისთვის მთელი ქონების შეწირვაზე, რაც არ იქმნება საკმარისი, რადგან სცოდა, ექვთიმემ თარგმნა, როგორც: „რომ შევწირო მთელი ჩემი ქონება წმიდა მენას ტაძარს, არ გაუთანაბრდება ყველა ჩემს ცოდვას (ვერ გაანონასწორებს ჩემი ცოდვების გამოსასყიდს).“ ბერძნულ ტექსტშია: **τίνοι οὐκ ἐξῆγησομαι, ἄγιε τοῦ Θεοῦ, τὰ θαύματά σου καὶ τὰ σημεῖα ταῦτα, ἃ ἐνδείξω ἐν ἐμοί;** ἕνα δὲ λυποῦμαι καὶ φρίττω, ὅτι ὄλα τὰ ὑπάρχοντά μου ἐὰν προσενέγκω σοι οὐκ ἐπαρκοῦσιν, διότι **ἡμάρτηκα** καὶ οὐκ ἐμνήσθην τοῦ εἰρηκότους, ὅτι οὐκ ἐπιθυμήσεις τὰ τοῦ πλῆσιον σου, οὐδὲ τῷ πλῆσιον σου εἰσίν, **μάλιστα τοῦ ἁγίου** (Pomjalovskij 1900, 68,7-12), რაც ნიშნავს: ვის არ უნდა განვუცხადო, ო, წმიდაო ღვთისაო, შენი სასწაულები და ეს ნიშნები, რომლებსაც ვაჩვენებ ჩემით? მაგრამ მე ვწუხვარ და ვძრწნი, რადგანაც მთელი ჩემი ქონება, თუ მას შენ შემოგწირავ, არ იქნება საკმარისი, რაკი ვცოდე. ექვთიმეს თარგმანში ვკითხულობთ: **მიხარის მე და მხიარულ ვარ, რამეთუ შემიწყალა მე ღმერთმან წმიდისა მენაჲს მიერ, და მე მიუთხრნე ყოველთა სასწაულნი და საკვრველებანი, რამეთუ მეშინის და ვძრწნი, დაღაცათუ შევწირო ყოველი საფასჴ ჩემი ტაძარსა წმიდისა მენაჲსა, არა ესწორებიან ყოველთა შეცოდებათა ჩემთა.** აქ ქართული თარგმანის ბ რედაქციის მე მიუთხრნე ყოველთა სასწაულნი და საკვრველებანი-ს ნაცვლად ა რედაქციაში გვაქვს: **მიუთხრეს ყოველთა საკვრველებაჲ და სასწაულნი ესე.** ბ რედაქციის ტექსტს კი აკლია: **ყოველთა.**

ევტროპიოსის მსახურის ქმედებისა და ფიქრის შესახებ ბერძნული ბ რედაქციის ხელნაწერში ამგვარადაა მოთხრობილი: **Ως δὲ ἐπληρώθη τὸ ἄριστον, ἀπῆλθεν ὁ δοῦλος τοῦ πλῆναι τὸν δίσκον ἐν τῇ λίμνῃ, καὶ ἰδοὺ γνόφος μέγας ἐγένετο καὶ ἔπεσεν ὁ δίσκος εἰς τὸ ὕδωρ·** καὶ ἐφοβήθη ὁ δοῦλος τοῦ μὴ γῶναι κύριον αὐτοῦ καὶ ἀπολέσαι αὐτόν ταῖς βασάνοις, **καὶ ἐκδύθεις ἔρριψεν ἑαυτὸν ὀπισθεν αὐτοῦ** (Pomjalovskij 1900, 66,29-67-4), რაც ნიშნავს: როცა სამხარი დასრულდა, მსახური წავიდა ფეშხუენის ტბაში გასარეცხად, და, აი, დიდი სიბნელე იქმნა და ფეშხუენი

წყალში ჩავარდა. შეეშინდა მსახურს, რომ ბატონი შეიტყობდა და მოსპობდა ტანჯვით და გაიხადა ტანსაცმელი და გადაჰყვა მას (სიტყვა-სიტყვით: გადაიგდო თავი მის შემდეგ). ექვთიმეს თარგმანშია: და შემდგომად სამხრისა, აღილო მონამან ბარძიმი იგი და მოვიდა ზღუად, რაჟთა განრცხას იგი და **მოუჭდა ლელვამ** და **მოულო ბარძიმი იგი ველთაგან მისთა** (ქველისაგან მონისა მის BC). ხოლო მონასა მას შეეშინა უფლისა თვისისაგან, ნუუკუე სტანჯოს იგი, და (+ მეყსეულად C) შთაიგდო თავი თვისი ზღუასა შემდგომად ჭურჭლისა მის. როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმემ: ა) ბერძნული ἐν τῇ λίμνῃ „ტბაში“ ჩაანაცვლა ქართულ თარგმანში „ზღვ-ით;“ ბ) ბერძნული καὶ ἰδοὺ γνόφος μέγας ἐγένετο „და, აი, დიდი სიბნელე იქმნა“ ჩაანაცვლა შემდეგი სიტყვებით „**მოუჭდა ლელვამ**.“ ბერძნული γνόφος მხოლოდ “სიბნელეს” ნიშნავს ბიზანტიურ ბერძნულში; ის: ა. მეტაფორულად ცოდვას უკავშირდება; ბ. მისტიკური თვალსაზრისით კი ღვთიურ სიბნელეს, სადაც ღმერთი სუფევს (Lampe 2005, 317); გ) ბერძნული ἔπειθεν ὁ δίσκος εἰς τὸ ὑπό „ფეშხუენი წყალში ჩავარდა“ ექვთიმეს თარგმანში ჩაანაცვლებულია შემდეგი სიტყვებით: **მოულო ბარძიმი იგი ველთაგან მისთა** (ქველისაგან მონისა მის BC). ექვთიმემ აქ გამოტოვა ბერძნული δίσκος „ფეშხუენი,“ სიტყვა, რომელსაც უგამონაკლისოდ „ბარძიმით“ თარგმნის; გ) გამოტოვა და არ თარგმნა ბერძნული καὶ ἑκδυσθεὶς ἔριψεν ἑαυτὸν ὑποσθεν αὐτὸν „და გაიხადა ტანსაცმელი და გადაჰყვა მას (სიტყვა-სიტყვით: გადაიგდო თავი მის შემდეგ).“

ზემოთ განხილულ მაგალითში მოცემული შინაარსი მეორდება წმიდა მენას მეორე სასწაულის ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც მსახური უამბობს ევტროპიოსს, თუ როგორ გაუვარდა ხელიდან ფეშხუენი. აქაც თითქმის იმავე ლექსიკითაა გადმოცემული მომხდარი და ექვთიმეც, თარგმნისას, ისევე გარდაქმნის ტექსტს, როგორც წინა მაგალითშია მოცემული. ბერძნულ ხელნაწერშია: κύριε μου, οτε ἀπῆλθον πλῆναι τὸν δίσκον ἐν τῇ λίμνῃ, ἐγένετο γνόφος μέγας καὶ ἔπειθεν ἐξ ἑμοῦ ὁ δίσκος

(Pomjalovskij 1900, 68,14-15), რაც შეიძლება ამგვარად ითარგმნოს: ჩემო ბატონო, როცა წავედი ფეშხუენის გასარეცხად ტბაში, დიდი სიბნელე იქმნა და ფეშხუენი გამვარდა. ექვთიმეს თარგმანი: უფალო ჩემო, ვითარ მივედი მე ზღვსკიდესა და განვრცხიდი ჭურჭელსა მას, მოვდა **ლელვაჲ** და **მომილო იგი ჴელთაგან ჩემთა**. აქ ბ რედაქციის ვარიანტული წაკითხვებია: მე ზღვსკიდესა[კიდესა ზღვსასა C; ჭურჭელსა მას + ანაზდაათ C; მომილო იგი[მიმილო C. როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმე მთანმიდელმა: ა) ბერძნული γυθός μύγας „დიდი სიბნელე“ ჩაანაცვლა ქართულ თარგმანში „ლელვაჲ-თი;“ ბ) ბერძნული **ἐπισηεν ἐξ ἔμου ὁ δίσκος** „ფეშხუენი გამვარდა“ თარგმნა, როგორც **„მომილო იგი ჴელთაგან ჩემთა,**“ სადაც გამოტოვა ბერძნული **ὁ δίσκος** და იგი ქართულში ნაცვალსახელით ჩაანაცვლა; ბერძნული **ἐπισηεν** ზმნის **πίπτω** „ვარდნა, ჩავარდნა“ აორისტიის ფორმაა, ხოლო **ἐξ ἔμου** ნიშნავს „ჩემგან,“ ამდენად, ბერძნულ ენაში უნებლიე მოქმედებაზეა საუბარი, სადაც აქტიური მოქმედი პირი არ ჩანს, ხოლო ექვთიმეს თარგმანში კი ვხედავთ, რომ ტალღების მიერ (ბარძიმის) ხელიდან წართმევაზეა საუბარი.

შემდეგი მაგალითი ცხადყოფს, რომ ექვთიმე მთანმიდელმა გარდასახა ბერძნულ ენაში არსებული მესამე პირში მსჯელობა პირდაპირ თქმად და მის წინ ჩაამატა ფრაზა, რაც თხრობის შინაარსითაა განპირობებული. ბერძნულ ტექსტშია: **Εὐθὺς αὖτ’ ἔγινε ὁ Εὐθρόπιος, ὅτι ὁ ταχὺς βοηθὸς καὶ μάρτυς τοῦ Χριστοῦ Μηνᾶς ἔστιν, καὶ ἐδὲξασε τὸν Θεὸν τὸν διδόντα ἐξουσίαν τοῖς ἀγίοις αὐτοῦ** (Pomjalovskij 1900, 68,20-22), რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: ამიტომ, მაშინვე მიხვდა ევტროპიოსი, რომ სწრაფად მშველელი და ქრისტეს მონამე მენა იყო და მან ადიდა ღმერთი, ვინც ძალაუფლებას აძლევს თავის წმიდანებს. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: მაშინ სცნა კაცმან მან, ვითარმედ, **შეენია იგი მას: მოსწრაფედ ჟამსა მას ჭირისასა მონამემან ქრისტესმან მენა გიჴსნა შენ.** და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევეითარი ჴელმნიფებაჲ მისცა წმი-

დათა მისთა. ბ რედაქციაშია: მაშინ სცნა კაცმან მან, ვითარმედ, წმიდაჲ მოწამე მენა იყო და: მან გიჴსნა შენ. და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან ესევითარი ჴელმწიფებაჲ მოსცა კაცთა, რომელნი ჴყოფენ ნებათა მისთა. როგორც ვხედავთ, ექვთიმეს თარგმანის ორ რედაქციას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვა: ვითარმედ, შეენია იგი მას: მოსწრაფედ ჟამსა მას ჴირისასა მოწამემან ქრისტესმან მენა გიჴსნა შენ, მოკლედ არის გადმოცემული ბ რედაქციაში: ვითარმედ, წმიდაჲ მოწამე მენა იყო და: მან გიჴსნა შენ. ბ რედაქციის ტექსტი ბევრად უფრო ახლო დგას ბერძნული დედნის იკითხვისთან: ὅτι ὁ ταχὺς βίηθς καὶ μάρτυς τῶν Χριστῶν Μηνᾶς εστιν „რომ სწრაფად მშველელი და ქრისტეს მოწამე მენა იყო,” თუმცა, აქ გამოტოვებულია ბერძნული ὁ ταχὺς βίηθς „სწრაფად მშველელი." ა რედაქციაში პირდაპირი თქმა უფრო ვრცელია და უფრო თავისუფალი თარგმანია. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, რედაქტორმა შეამოკლა ტექსტი და მოგვცა ბ რედაქციის ვარიანტული წაკითხვა. განსხვავებულად არის წარმოდგენილი ორივე რედაქციაში წინადადების ბოლო ფრაზა. ბერძნული ფრაზა τὸν διδόντα ἐξέσθαι τοῖς ἀγίοις αὐτῶν „ვინც ძალაუფლებას აძლევს თავის წმიდანებს," ა რედაქციაში ზუსტად არის თარგმნილი: რომელმან ესევითარი ჴელმწიფებაჲ მისცა წმიდათა მისთა; ბ რედაქციაში წმიდათა მათ ჩანაცლებულია კაცთა, რომელნი ჴყოფენ ნებათა მისთა-თი, რაც სრულიად სხვა დატვირთვას აძლევს ფრაზის შინაარსს, აქ არა წმიდანებზეა საუბარი, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავებზე, ვინც მის (ღვთის) ნებას ასრულებენ. ბ რედაქციაშია: რომელმან ესევითარი ჴელმწიფებაჲ მოსცა კაცთა, რომელნი ჴყოფენ ნებათა მისთა.

ექვთიმე ათონელმა გადააკეთა ბერძნული ფრაზა: εἶχεν δὲ ἀγάπην ὁ Ἐβραῖος μετὰ τῶν Χριστιανῶν πάνυ (Pomjalovskij 1900,70,29-30), რაც ნიშნავს: და ებრაელს დიდი სიყვარული ჰქონდა ქრისტიანის მიმართ. ექვთიმემ აქ განსხვავებული შინაარსის თხრობა წარმოგვიდგინა, სადაც ორივეს თანაბრად

უყვარდა ერთმანეთი. აღსანიშნავია, რომ ორივე რედაქციაში შინაარსობრივად ერთი ტექსტია, რომელიც სხვაობს ბერძნული დედნისაგან, სადაც საუბარია ებრაელის დიდ/ძლიერ სიყვარულზე ქრისტიანის მიმართ, იმიტომ, რომ როგორც წმიდა მენას მესამე სასწაულიდან ჩანს, ებრაელი თანაგრძნობით ეპყრობა ქრისტიანს, ქრისტიანი კი ფლიდი და მზაკვარია, მაგრამ, როგორც ამ ჟანრის ნაწარმოებებს ახასიათებს, ბოლოს შეინანებს ცოდვებს და მოიპოვებს სასუფეველს. სასწაულის ქართული თარგმანის ა რედაქციაშია: **და უყვარდა ფრიად ურთიერთას ორთავე; ბ რედაქციაში: უყვარდეს ურთიერთარს ორთავე ერთად.**

ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ სასწაულში ვხვდებით თხრობას, თუ როგორ შეითქვენ ქრისტიანი და მისი ცოლი. ექვთიმემ გადაასხვაფერა ქრისტიანის სიტყვები. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: Ἐλάλησε δὲ ὁ Χριστιανὸς τὴν γυναιῖκα αὐτοῦ οὕτως: ᾧ γύναι, ἐὰν ἐνδέχεται, ἀρνησάμεθα τῷ Ἑβραῖῳ τοῦτῳ, καὶ ἐὰν ἐπιμένῃ κρατῶν, ὁμνήσωμεν αὐτῷ καὶ ἀναχωρεῖ. ἡμᾶς γὰρ ὁ ὄρκος οὕτως βλάπτει, διότι Ἑβραῖῳ ὁμνήσωμεν καὶ οὐ Χριστιανῷ (Pomjalovskij 1900,71,6-9), რაც ნიშნავს: ხოლო ქრისტიანმა უთხრა თავის ცოლს: ო, ქალო, თუ შესაძლებელია, უარი ვუთხრათ ამ ებრაელს და თუკი ჯიუტად გააგრძელებს მოთხოვნას, შევფიცოთ და წავა, რადგან ფიცი არაფერს გვავენებს, რადგან შევფიცებთ ებრაელს და არა ქრისტიანს. ექვთიმეს თარგმანი: და ჰრქუა ცოლსა თქსსა: „უკუეთუ შესაძლებელ არს უარის-ყოფად კისაკი იგი ჰურიისაჲ მის, დავმალთ და უკუეთუ გუაფუცებდეს, ვფუცოთ, რამეთუ ჰურიისა ვეფუცებთ და არარაჲ გუევენების (+ ჩუენ C).“ დედნისეული ტექსტის თარგმნისას ექვთიმემ: ა) გამოტოვა ბერძნული δὲ ὁ Χριστιανὸς „ხოლო ქრისტიანმა;“ ბ) გამოტოვა მიმართვა ᾧ γύναι „ო, ქალო;“ გ) შეცვალა ბერძნული ἐὰν ἐνδέχεται, ἀρνησάμεθα τῷ Ἑβραῖῳ τοῦτῳ, καὶ ἐὰν ἐπιμένῃ κρατῶν, ὁμνήσωμεν αὐτῷ καὶ ἀναχωρεῖ „თუ შესაძლებელია, უარი ვუთახრათ ამ ებრაელს და თუკი ჯიუტად გააგრძელებს მოთხოვნას,



შეფიციკოთ და ნავა“ შემდეგი სიტყვებით ჩაანაცვლა: უკუეთუ შესაძლებელ არს უარის-ყოფად **კისაკი იგი ჰურიისაჲ მის, დავ-მალოთ და უკუეთუ გუაფუცებდეს**, ვფუცოთ. როგორც ვხედავთ, აქ ბერძნულ ტექსტში უარის თქმის განზრახვა განსხვავებულადაა გადმოცემული. აქვე, გამოტოვებულია ბერძნული ἀναχαρῆς „ნავა;“ დ) წინადადების ბოლოს გამოტოვა ბერძნული **καὶ οὐ Χριστιανῶν** „და არა ქრისტიანს.“

ეფთვიმე მთანმიდელმა გადაასხვაფერა შემდეგი წინადადება. ბერძნულ ტექსტშია: **Ἐδικάζοντο δὲ πρὸς ἀλλήλους, ὥστε συναχθῆναι τῆν πᾶσιν ἄπιστων ἐκείσε** (Pomjalovskij 1900, 71,12-13), რაც ნიშნავს: ისე ედავებოდნენ ერთმანეთს, რომ მთელი ქალაქი იქ იყო შეკრებილი. ეფთვიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: **ვიდრემდის შემოაკრბა მათ ქალაქი იგი; ბ რედაქციაში: და ოდეს მოვიდა ჰურიაჲ იგი, შემოკრბა მას ქალაქი იგი ყოველი**. აქ, როგორც ჩანს, ა რედაქციის გადამწერს გამოორჩა წინადადების სანყისი ფრაზა. ეფთვიმემ განსახილველ მაგალითში ბერძნული ἐδικάζοντο δὲ πρὸς ἀλλήλους „ისე ედავებოდნენ ერთმანეთს“ ჩაანაცვლა ქართული **და ოდეს მოვიდა ჰურიაჲ იგი**-თი.

ბერძნულ ტექსტშია: **Ὁ δὲ Χρηστιανὸς κατεφρόνησεν εἰς τὸν ὄρκον λέγων· ὁ ἄγιος Μηνᾶς συμπαθῆσαι ἡμῖν ἔχει** (Pomjalovskij 1900, 71,21-22), რაც შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: ქრისტიანმა კი არად ჩააგლო ფიცი და თქვა: წმიდა მენას თანაგრძნობა აქვს ჩვენდამი/გვითანაგრძნობს ჩვენ. აქ ბერძნული ὁ ἄγιος Μηνᾶς συμπαθῆσαι ἡμῖν ἔχει „წმიდა მენას თანაგრძნობა აქვს ჩვენდამი“ ექვთიმემ სრულიად სხვა შინაარსის ფრაზით ჩაანაცვლა: ა რედაქციაშია: **შემინდოს ფიცი ესე წმიდამან მენა; ბ რედაქციაში: შემინდოს მე წმიდამან მენა ფიცი ესე**. ბერძნული **συμπαθῆσαι** არის ზმნის **συμπαθῆω** „სიმპათიის, თანაგრძნობის ქონა ვინმეს მიმართ“ (Lampe 2005, 1285) ინფინიტივი. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: **და ქრისტიანემან მან არაჲ შეჰრაცხა ფიცი იგი და იტყოდა გონებასა თჳსსა, ვითარმედ: შემინდოს ფიცი ესე წმიდამან მენა; ბ რედაქციაში:**

**ხოლო** ქრისტიანებმა არად შერაცხა ფიცი იგი, არამედ იტყოდა გულსა თქსსა, ვითარმედ: **შემინდოს მე წმიდამან მენა ფიცი ესე.**

ექვთიმემ წინადადებაში შეცვალა, თუ როდის ხდება მოქმედება. ბერძნული *ἐν μᾶ ὁὖν τῶν ἡμερῶν* ნიშნავს „ერთ დღეს, შემდგომ; ერთ-ერთ დღეს, მერე.“ ამის ნაცვლად, ქართულ თარგმანში ექვთიმე ამბობს, რომ მოქმედება ხდება **„მასვე დღესა.“** ბერძნულ ტექსტშია: *Ἐν μᾶ ὁὖν τῶν ἡμερῶν ἀπῆλθον οἱ δὲ εἰς τὸν ναὸν τοῦ ἁγίου Μηνᾶ πρὸς τὸ τελεῖσαι τὸν ὄρκον* (Pomjalovskij 1900, 71,22-23), რაც ნიშნავს: შემდეგ, ერთ დღეს, ორივე წავიდა წმიდა მენას ტაძარში ფიცის შესასრულებლად. ექვთიმეს თარგმანი: **და მასვე დღესა** მივიდეს ორნივე (მივიდეს ორნივე) მოვიდეს C) ტაძრად წმიდისა მენასა აღსრულებად ფიცისა თქსისა (მის C).

ექვთიმემ გადაასხვაფერა შემდეგი წინადადება. ბერძნულ ტექსტშია: *Εἶπεν δὲ ὁ Ἐβραῖος τῷ Χριστιανῷ: ἐταῖρε, φοιῆθι τὸν Θεὸν καὶ ἐλέησον τὴν ψυχὴν σου* (Pomjalovskij 1900, 71,23-25), რაც ნიშნავს: და ებრაელმა უთხრა ქრისტიანს: მეგობარო, გეშინოდეს ღმრთის და შეინყალე შენი სული. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: ჰრქუა ჰურიამან მან: „გეშინოდენ, ძმაო, **ფიცისა მისთვის უფლისა** და შეინყალე თავი შენი.“ ბ რედაქციაშია: მიუგო ჰურიამან და ჰრქუა: „გეშინოდენ, **ფიცისა მისთვის** და შეინყალე თავი შენი.“ ბერძნული ფიცი *τὸν Θεὸν* „გეშინოდეს ღმრთის“ ექვთიმემ ჩაანაცვლა თავის თარგმანში „გეშინოდენ **ფიცისა მისთვის უფლისა-თი**“, ასეა წარმოდგენილი ა რედაქციაში, ხოლო ბ რედაქციაში კი ვკითხულობთ „გეშინოდენ, **ფიცისა მისთვის.**“ როგორც ვხედავთ, ორივე რედაქციაში ბერძნული *τὸν Θεὸν* „ღმერთის“ არ გვხვდება. ა რედაქციაშია, რომ ქრისტიანს უნდა ეშინოდეს, უფლის მიმართ ფიცის, ხოლო ბ-ში კი ფიცის.

ებრაელი მიმართავს წმიდა მენას. ბერძნულ ტექსტშია: *ἄγε Μηνᾶ, εἰ καὶ ἀνάξιος εἰμι ὀνομάσαι σε, δέξῃο τὰ σπυῖα σου*

τήμειρον, ὄπως **δὲξάσθω** σε (Pomjalovskij 1900, 71,30-72,2), რაც ნიშნავს: წმიდა მენა, თუმცა არ ვარ ღირსი შენი სახელი წარმოვთქვა, მაჩვენე შენი ნიშნები დღეს, რომ მიგიღო შენ. ამ წინადადების თარგმნისას: ა) ექვთიმემ ბერძნული თუμειρα-ს ნაცვლად ქართულ თარგმანში დანერა „**ძალი**.“ ბერძნული თუμειρα ნიშნავს „ნიშანს, სიგნალს, ღვთისგან მოვლენილ ნიშანს, კარავს, ნიშანსვეტს, ბეჭედს და ა.შ.“ (Liddell, Scott 1996, 1593), მაგრამ არა „ძალას.“ ამდენად, ბერძნული ფრაზის შინაარსი „მაჩვენე შენი ნიშნები დღეს“ ქართულ თარგმანში იკითხება, როგორც „მაჩვენე მე დღეს შენი ძალა;“ ბ) ექვთიმემ ბერძნული ფრაზა ὄπως **δὲξάσθω** σε „რომ მიგიღო შენ,“ თარგმნა, როგორც „**რათამცა გადიდებდე** შენ“ (ბ რედაქცია) ან „**რათა მეცა გადიდო** შენ,“ როგორც ეს ა რედაქციაშია მოცემული. ბერძნული **δὲξάσθω** „რომ მიგიღო“ ზმნის ამოსავალი ფორმაა δέχομαι „მიღება“ (Lampe 2005, 340). ბერძნული ფრაზის შინაარსია „რომ მიგიღო, გირწმუნო შენ,“ ექვთიმეს თარგმანისა კი „რომ გადიდო შენ.“ ექვთიმეს თარგმანის ბ რედაქციაში ვკითხულობთ: წმიდაო მონამეო მენა, დალაცათუ არა ღირს-ვარ წოდებად **სახელსა** შენსა, მიჩუენე მე დღეს **ძალი** შენი, **რათამცა გადიდებდე** შენ. ა რედაქციაშია: წმიდაო მონამეო მენა, დალაცათუ არა ღირს-ვარ **წოდებად ტაძარსა შენსა და** წოდებად სახელსა შენსა, მაჩუენე დღეს **ძალი** შენი, **რათა მეცა გადიდო** შენ.

ეფთვიმემ გადაასხვაფერა ბერძნულ ტექსტთან მიმართებით შემდეგი წინადადების შინაარსი. ბერძნულ ტექსტშია: εἴθε μὴ ὀρκωσα αὐτόν, **πάντως** μετ' ὀλίγον χρόνον διῶναι μοι εἶχεν τίποτε ἐκ τὰ ἐμά (Pomjalovskij 1900, 72,15-16), რაც ნიშნავს: მინდა, რომ არ დამეფიცებინა მისთვის; უეჭვოდ, ცოტა ხნის შემდეგ, ის მომცემდა რაიმეს ჩემი (ქონებიდან). აქ ბერძნული **πάντως** „ნამდვილად, ყველა შემთხვევაში, უეჭვოდ“ (Liddell, Scott 1996, 1301). ექვთიმემ კონტექსტის შეცვლით თარგმნა, როგორც „ვინ უწყის,“ რითაც შეარბილა ებრაელის აზრი. ბერძნულშია, რომ „წმიდა მენა უეჭვოდ მომცემდა მცირედს,“

ქართულ თარგმანში კი გამოდის, რომ „ვინ იცის, წმიდა მენას მოეცა მცირედი.“ ექვთიმეს თარგმანი: უკუეთუმცა არა (ქარა თუმცა C) მეფიცა მისდა, **ვინ უწყის**, თუმცა (- C) მცირედთა დღეთა შემდგომად მომცა რამეცა მცირედი მისგან?“

ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ სასწაულის ერთ ეპიზოდში ებრაელი სინანულით ფიქრობს, რომ ქრისტიანმა გაფლანგა მისი ქონება. ბერძნულ დედანშია: οἱμοι, ὅτι οὐτως **κατέπιεν** πάντα τὰ ἐμά. τί ποιήσω σὺκ οὐδα· εὐχαριστήσας δὲ εἶπεν (Pomjalovskij 1900, 72,17-18), რაც ნიშნავს: ვაი, რომ მან გაფლანგა ყოველივე, რაც ჩემი (იყო). რა ვქნა, არ ვიცი. და მადლობის მიგების შემდეგ თქვა. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: ვამე, ვითარ ესრჯთ **წარწყმიდე** ყოველი საფასჯ ჩემი და არა უწყი! და **მარტოა იტყოდა**. ბ რედაქციაშია: ვამე, ვითარ ესრეთ **წარვიდა** ყოველი საფასე ჩემი! ან რა ვყო, არა უწყი. და **მადლობით იტყოდა ამას**. ქართულ თარგმანში ბერძნული **κατέπιεν**, რომელიც ზმნის καταπίω „ყლაპვა, ჩაყლაპვა, გაფლანგვა“ (Liddell, Scott 1996, 905) III პ. მხ. რ.-ის აორისტის ფორმაა, გარდათქმულია, როგორც „დავლუპე“ ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში, ხოლო ბ რედაქციის „წავიდა“ კი კონტექსტს ბევრად უკეთ შეესაბამება. მითუმეტეს, რომ ა რედაქციის „წარწყმიდე“ II პირის ფორმაა და ის, აქ, თითქოს ქრისტიანს მიემართება, რომელსაც ებრაელი ფიქრებში მიმართავს. ბერძნულში ზმნაც და სუბიექტიც (ნაცვალსახელი) III პირის ფორმითაა წარმოდგენილი: οὐτως **κατέπιεν**, „მან გაფლანგა,“ ბ რედაქციაში კი მოქმედი პირი არ ჩანს, თუ ვინ გაფლანგა ებრაელის ქონება, არამედ, საფასეზე საუბარი ერთპირიანი ზმნით „წარვიდა“ არის გადმოცემული, რაც ნიშნავს, რომ გაიფლანგა ქონება. აქვე, ექვთიმეს თარგმანის ბ რედაქციაში გვაქვს: **მადლობით იტყოდა ამას**, რაც უფრო შეესაბამება ბერძნულ εὐχαριστήσας δὲ εἶπεν „მადლობის მიგების შემდეგ თქვა,“ ვიდრე ა რედაქციის **მარტოა იტყოდა**.

შესაძლოა, ექვთიმეს თარგმანში დადასტურებული შემდეგი წინადადება შერყვნილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული,

მაგრამ მაინც ჩანს, რომ ექვთიმემ გადაასხვაფერა დედნისეული წინადადების შინაარსი. ბერძნულშია: ἀπεκρίθη ὁ διῦλος λέγων· ἦλθον πρὸς σε ἀποσταλὲς ἐκ τῆς κυρίας μου πληρῶσαι τὴν κέλευσίν σου (Pomjalovskij 1900, 72,24-25), რაც ნიშნავს: და მსახურმა უპასუხა და უთხრა: მოვედი შენთან, გამოგზავნილი ჩემი ქალბატონისგან, რომ შევასრულო შენი ბრძანება. ქართული თარგმანის ა რედაქციაშია: ძალისათვისცა, ჰრქუა მონამან: „**მოვედ ძალისათვისცა, მოავლინე და მიიღე** აღსრულება ბრძანებისა შენისა.“ ბ რედაქციაშია: ჰრქუა მას მონამან მისმან: „**მოვედ ძალისათვისცა, მოავლინე უფალმან ჩემმან** აღსრულებად ბრძანებისა შენისა.“ ბერძნული ტექსტთან მიმართებით ექვთიმეს თარგმანში შემდეგ განსხვავებებს ვხედავთ: ა) ბერძნული ἦλθον πρὸς σε ἀποσταλὲς ἐκ τῆς κυρίας μου „მოვედი შენთან გამოგზავნილი ჩემი ქალბატონისაგან“ ქართულ თარგმანში გადმოცემულია, როგორც: **მოვედ ძალისათვისცა**; ბ) ბერძნული πληρῶσαι τὴν κέλευσίν σου „რომ შევასრულო შენი ბრძანება“ ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში ამგვარად იკითხება: „**მოავლინე და მიიღე** აღსრულება ბრძანებისა შენისა,” რაც გაუგებრობას იწვევს, რადგან, ჩვენი აზრით, „მოავლინე“ აქ შეცდომით უნდა იყოს ხელნაწერში გადანერილი „მოვივლინე-ს“ ნაცვლად, ანაც, „მოავლინე-ს“ წინ აკლია „რომლისა,” მაშინ ტექსტი ამგვარი იქნებოდა: მოვედ, **რომლისა ძალისათვისცა მომავლინე** და მიიღე აღსრულება ბრძანებისა შენისა. სამწუხაროა, რომ აქ ბერძნული დედანი ვერ გვეხმარება, რადგან წინადადებაში სხვა ფრაზაა. ვერც კოპტური ვერსიის პოლონური თარგმანი დაგვეხმარა, რადგან აქ ერთ ხელნაწერს დაზიანების გამო აკლია ეს და შემდგომი პასაჟები წამების ბოლომდე (Piwowarczyk 2021a, 540), მეორეში კი მსახურის ეს სიტყვები საერთოდ არ დასტურდება (როგორც ზემოთ შევნიშნეთ, კოპტური ვერსია ბერძნულ ტექსტთან შედარებით მოკლეა) (Piwowarczyk 2021b, 408).

ებრაელისა და ქრისტიანის სასწაულის ტექსტის ბერძნულ ხელნაწერში: ὁ κύριός μου, σήμερον ἦλθεν **στρατιώτης μέγας καββαλάριος** πρὸς τὴν κυρίαν μου, ἔχων μεθ' ἑαυτοῦ τὸ **δακτυλοκλειδίον τοῦ σκευρίου** καὶ εἶπεν αὐτῇ· **δέξαι, γύναι, τὸ δακτυλοκλειδίον τοῦτο** \* γνῶρίζεις αὐτό; (Pomjalovskij 1900, 72,26-29) რაც ნიშნავს: ო, ჩემო ბატონო, დღეს დიდი/დიდებუ-ლი მეომარი მხედარი/კავალერისტი მოვიდა ჩემს ქალბატონ-თან, მას ჰქონდა ზარდახშის/ყუთის პატარა გასაღები და უთხრა მას: აიღე, ქალო, ეს გასაღები. ცნობ მას? ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: დღეს მოვიდა **მწედარი ერთი**, უფალო ჩემო, **მაღალი და საშინელი**, დედოფლისა ჩემისა და აქუნდა ბეჭედი და კლიტე, რომელსა შინა დაგეკრძალა საფასჴ იგი. და ჰრქუა დედოფალსა ჩემსა: „იცნობ ამას?“ ბ რედაქციაშია: დღეს მოვიდა, უფალო ჩემო, **მწედარი ერთი**, მაღალი და ფრიად საშინელი დედოფლისა ჩემისა და აქუნდა ბეჭედი და კლიტე, რომელსა შინა იყო საფასე. და ესრეთ ჰრქუა დედოფალსა ჩემსა: „იცნობა **ბეჭედსა ამას და კლიტესა?**“ აქ ექვთიმემ: ა) ბერძნული στρατιώτης μέγας καββαλάριος „მეომარი დიდი მხედარი“ ქართულ თარგმანში გადმოიღო, შეცვალა რა ტექსტი, როგორც: „მწედარი ერთი, მაღალი და (+ ფრიად C) საშინელი.“ ბ) ბერძნული τὸ δακτυλοκλειδίον τοῦ σκευρίου „პატარა გასაღები ფულის ზარდახშისა/ყუთისა“ ექვთიმემ გადააკეთა, განავრცო რა ამოსავალი ტექსტი, როგორც: „ბეჭედი და კლიტე, რომელსა შინა დაგეკრძალა საფასჴ იგი.“ აქ ბერძნული σκευρίου ნიშნავს „ფულის შესანახ ყუთს, ზარდახშას“ (Lampe 2005, 1236); ბერძნული კომპოზიტი τὸ δακτυλοκλειδίον (δακτύλιος „თითი“ + κλειδίον „პატარა გასაღები“) ბერძნული ენის ლექსიკონებში არ იძებნება, მაგრამ ის, წმიდა მენას ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ სასწაულის ფრანგულენოვან თარგმანში, ჩვენი მაგალითისათვის თარგმნილია, როგორც „პატარა გასაღები“: A trois milles de l'eglise le cheval du chrétien jeta son cavalier par terre, et Ja petite clef

(δακτυλοκλείδιον) du sac tomba sur le sol (De Sment et al 1910, 130).

ამავე სასწაულის ერთ-ერთ პასაჟში მსახური უხსნის ქრისტიანს, თუ რატომ მივიდა მასთან. ბერძნულ დედანშია: **καὶ διὰ τοῦτο ἦνεγκά σοι τὴν παρακαταθήκην ᾗδε, καὶ ἐὰν οὐ πιστεύῃς, θέασαι καὶ τὸ δακτυλοκλείδιον τοῦ σκευρίου σου, ἐκεῖνος ὁ στρατιώτης ἔδωκεν αὐτὸ τὴν κυρίαν μου** (Pomjalovskij 1900, 73,1-4), რაც ნიშნავს: და ამიტომ, მე მოგიტანე ანაბარი აქ, და თუ არ გჯერა, შეხედე შენი ფულის ზარდახშის/ყუთის პატარა გასაღებს, რომელიც მეომარმა მისცა ჩემს ქალბატონს. ექვთიმეს თარგმანშია: და მით (და მით)ამისთვის **С) სრბით** მოვიღე **კისაკი** ესე, და (- C), აჰა, ესერა, არს ბეჭედი და კლიტე (და კლიტე - C) საფასისაჲ მის, რომელი მოიღო მწედარმან მან დედოფლისა ჩემისა. როგორც მოხმობილი ტექსტიდან ჩანს, ექვთიმე მთანმიდელმა რამდენადმე გადაასხვაფერა დედნისეული ტექსტი: ა) ჩაამატა „სრბით“ მოქმედების გასაინტენსივებლად; ბ) ბერძნული **παρακαταθήκη** „ფულის ან ქონების ანაბარი, მინდობილი, შენახული ქონება“ (Liddell, Scott 1996, 1312) „კისაკ-ით“ ჩაანაცვლა და გ) გამოტოვა ბერძნული **καὶ ἐὰν οὐ πιστεύῃς** „და თუ არ გჯერა.“

ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ სასწაულის ბერძნული დედნის ერთ-ერთ წინადადებაში ამგვარ მსჯელობას ვხვდებით: **οὐδὲν ἐλπίζων ἐπὶ σοι, κύριε, καὶ ἐπὶ τὴν βίηθειάν σου καταισχύνεταιί ποτέ** (Pomjalovskij 1900, 73,7-8), რაც ნიშნავს: არავინ, ვინც იმედოვნებს შენით, უფალო, და შენი დახმარებით, არასდროს მიეცემა სირცხვილს. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: და ვინაჲ არს, რომელი არა გესვიდეს შენ, უფალო, და მეოხებასა **წმიდისა მონამისა შენისა მენაჲსა და ჰრწმენეს?** ბ რედაქციაში: და ვინ არს, რომელი არა გესვიდეს შენ, უფალო, და მეოხებასა **წმიდისა მონამისა შენისა მენაჲსსა და არა რწმენეს შენდა მომართ?** აქ ექვთიმე ათონელმა: ა) ჩაამატა ქართულ თარგმანში, თუ ვისი დახმარების იმედი აქვთ ქრისტიანებს, ეს არის წმიდა მონამე მენა; ბ) ბერძნული

καταισχύνεται ποτέ „სირცხვილს, დამცირებას მიეცემა არასდროს” გადააკეთა და ამგვარადაა მოცემული: „**ჰრწმენეს**” ა რედაქციაში; „**არა რწმენეს შენდა მომართ,**” ბ რედაქციაში; გ) ბერძნული თხრობითი წინადადება კითხვითად არის ქართულ თარგმანში გარდათქმული; დ) ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაში ბერძნული წინადადების შინაარსი შეცვლილია და ამგვარი აზრია: „როგორ (საიდან) არის, რომ ვისაც არ აქვს შენი იმედი, უფალო, და შენი წმიდა მოწამე მენას დახმარების და სწამს?” ა რედაქციის ტექსტის შინაარსი შეცვლილია ბ რედაქციაში, სადაც ვკითხულობთ: „ვინ არის, ვისაც არ აქვს შენი იმედი, უფალო, და შენი წმიდა მოწამე მენასი და არ ირწმუნოს შენი?”

ეზრაელმა ქრისტიანობის მიღება გადაწყვიტა, იხილა რა წმიდა მენას სასწაული. ბერძნულ ტექსტშია: ἰδοὺ, δέσποτα, γίνομαι κἀγὼ Χριστιανὸς **διὰ τῶν πρεσβείων** τοῦ ἀγίου σου μάρτυρος Μηνᾶ (Pomjalovskij 1900, 73,8-9), რაც ნიშნავს: აი, უფალო, მეც გავხდები ქრისტიანი შენი წმიდა მოწმე მენას შუამდგომლობით. ექვთიმეს თარგმანშია: აჰა, ესერა, უფალო, მეცა ქრისტიანე ვიქმნე **საკვრველებათათჳს** წმიდისა (+ მოწამისა C) მენაჲსთა. აქ ექვთიმე ათონელმა ბერძნული διὰ τῶν πρεσβείων „შუამდგომლობით, შუამდგომლობის მეშვეობით” ჩაანაცვლა **საკვრველებათათჳს**-ით, რითაც ქართულ წინადადებას ოდნავ განსხვავებული შინაარსი შესძინა: „აი, უფალო, მეც ქრისტიანი გავხდები წმიდა (+ მოწამე C) მენას საკვირველების გამო.”

ექვთიმე ათონელმა ბერძნული ἰδοὺ „აი” თავისუფლად თარგმნა, მნიშვნელობის შეცვლით ისე, რომ განსხვავებული შინაარსი შესძინა ქართულში წინადადების დასაწყისს, მის თარგმანშია: „შენ თვთ უწყი”, რაც ბერძნულ დედანში არ გვაქვს. წინადადება კი ამგვარად იკითხება ბერძნულ ტექსტში: ἰδοὺ, ἄγιε τοῦ Θεοῦ, ἐνῶπιόν σου ἔλεγον ἀστῆ (Pomjalovskij 1900, 73,11-12), რაც ნიშნავს: აი, წმიდაო ღვთისაო, შენს წინაშე ვუთხარი მას. ექვთიმეს თარგმანშია: **შენ თვთ უწყი**, მოწა-



მეო ქრისტესო, რამეთუ (ქვითარმედ C) წინაშე შენსა ვეტყო-  
დე მას (ქვითარმედ C).

ექვთიმეს თარგმანში წინადადების შინაარსი სრულიად  
გადაკეთებულია, ამდენად, აქ არ განვიხილავთ ცალკეული  
სიტყვების ჩანაცვლების შემთხვევებს. ბერძნულ ტექსტშია:  
**λάβη ταῦτα ὁ ἅγιος σου ναὸς ὑπὲρ φωταΐας** (Pomjalovskij 1900,  
73,14-15), რაც შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: მიიღოს ესე-  
ნი შენმა წმიდა ტაძარმა გაბრწყინებისთვის. ექვთიმეს თარ-  
გმანშია: **ან მიგცე ესე წინაშე სინმილისა შენისა.**

წმიდა მენას მესამე სასწაულის (ბერძნული მეოთხე) ბო-  
ლოს არის თხრობა, რომ ებრაელი მოექცა ქრისტეს რჯულზე.  
ბერძნულ ტექსტში წინადადება ამგვარადაა წარმოდგენილი:  
**μετ' εὐσεβείας καὶ ἀληθείας δι᾿ ἄζοντες τὸν Θεὸν καὶ τὸν ἅγιον**  
**αὐτοῦ μάρτυρα Μηνᾶν, ὅπως τοὺς παραβαίνοντας τὸ ὄνομα τοῦ**  
**Θεοῦ καὶ τοῦ ἁγίου καταισχύη** (Pomjalovskij 1900, 73,16-18),  
რაც შეიძლება ამგვარად ვთარგმნოთ: ღვთისმოსაობით და  
სიმართლით ადიდებდა ღმერთს და მის წმიდა მონამე მენას,  
ვინც არცხვენდა ღმერთის და წმიდანთა სახელის შეურაც-  
ხმყოფლებს. ექვთიმეს თარგმანშია: **კეთილად მსახურებითა**  
ადიდებდეს ღმერთსა და წმიდასა მონამესა მენას, **რომელი**  
**არცხუნ** (არცხუნდა C) **ყოველთა ცრუთა.** მოხმობილ მაგა-  
ლითში ექვთიმემ რამდენიმე ცვლილება შეიტანა თავის თარ-  
გმანში ბერძნულ დედანთან მიმართებით: ა) შეცვალა ბერძნუ-  
ლი **μετ' εὐσεβείας καὶ ἀληθείας** „ღვთისმოსაობით და სიმარ-  
თლით” **კეთილად მსახურებითა**-თი. ამით მას წინადადების ში-  
ნაარსი არ შეუცვლია; ბ) ბერძნული **ὅπως τοὺς παραβαίνοντας**  
**τὸ ὄνομα τοῦ Θεοῦ καὶ τοῦ ἁγίου καταισχύη** „ვინც არცხვენდა  
ღმერთის და წმიდანთა სახელის შეურაცხმყოფელებს” გადაა-  
კეთა, შეამოკლა და მის თარგმანშია: **რომელი არცხუნ** (**არ-**  
**ცხუნდა C**) **ყოველთა ცრუთა.**

წმიდა მენას მესამე სასწაულის (ბერძნული მეოთხე) ბო-  
ლო წინადადება ექვთიმემ გადააკეთა, შეამოკლა დედნისეული  
ვრცელი თხრობა და განავრცო წინადადების დასასრული.

ბერძნულ დედანში ვკითხულობთ: Ὁ δὲ Χριστιανὸς ἀπῆλθεν **στένων καὶ τρέμων** εἰς τὸν οἶκον αὐτοῦ, καὶ λαβὼν τὸ ἥμισυ τῆς οὐσίας αὐτοῦ προσήνεγκε **τῷ ἁγίῳ**, κάκειῖσε μετενόησεν **κλαίων τὰς ἁμαρτίας αὐτοῦ, καὶ οὐ κατέλειπεν τὸν ναὸν τοῦ ἁγίου** ἕως οὗ ἔτελεύτησεν **πορευθεὶς ἐν μετανοίᾳ πρὸς Κύριον, τυχὼν συγχωρήσεως παρὰ τοῦ ἁγίου καὶ ἀθλοφόρου μάρτυρος τοῦ Χριστοῦ Μηνᾶ** (Pomjalovskij 1900, 73,20-25), რაც ნიშნავს: ხოლო გოდებდა რა და ძრწოდა, ქრისტიანი წავიდა თავის სახლში და აილო თავისი ქონების ნახევარი, შესწირა წმიდანს. იქ შეინანა, ტიროდა რა თავისი ცოდვების გამო და არ მიუტოვებია წმიდის ტაძარი, სანამ არ მოკვდა, წავიდა მონანიე უფალთან, მიიღო რა მიტევება წმიდა და გამარჯვებული ქრისტეს მონამე მენასგან. ექვთიმეს თარგმანშია: ხოლო (|და C) ქრისტეანე იგი წარვიდა სახიდ თვსად **მწუხარებითა დიდითა** (~ **მწუხარებითა დიდითა სახედ თვსსა** C), და აღილო ზოგი მონაგებისა თვსისაჲ და შეწირა წმიდისა **მონამისა მენასა** (- C). და მუნ შეინანა შეცოდებაჲ თვსი და არა განემორა ტაძრისაგან მის წმიდისა, ვიდრემდის **გამოეცხადა შეწყნარებაჲ სინანულისა მისისაჲ** (|**თვსისა** C), და **ადიდებდა ღმერთსა და წმიდასა მონამესა მენას. და დაიძინა მშვიდობით ქრისტესს იესუსჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომელსა** (რომლისა C) **ჰშუენის დიდებჲა** (+ და **თაყუანის-ცემა** C) **თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.** როგორც ბერძნული ტექსტის და ექვთიმეს თარგმანის შედარების შედეგად ირკვევა, აქ ქართველმა მთარგმნელმა: ა) ბერძნული ἀπῆλθεν **στένων καὶ τρέμων** „წავიდა მგოდებელი და ძრწოლვარე“ ჩაანაცვლა ქრისტიანის მდგომარეობის ლაკონიური აღწერით: წარვიდა ... **მწუხარებითა დიდითა**; ბ) ბერძნულ προσήνεγκε **τῷ ἁγίῳ** „შესწირა წმიდანს“-ს დამატებულია „წმიდისა **მონამისა მენასა**“ ა რედაქციაში, ხოლო ბ-ში დამატებულია მხოლოდ „მონამე“: წმიდისა **მონამისა**; გ) ბერძნული ვრცელი ტექსტი შეამოკლა: **κλαίων τὰς ἁμαρτίας αὐτοῦ, καὶ οὐ**

**κατέλειπεν τὸν ναὸν τοῦ ἁγίου ἕως οὗ ἐτελεύτησεν πορευθεὶς ἐν μετανοίᾳ πρὸς Κύριον, τυχὼν συγχωρήσεως παρὰ τοῦ ἁγίου καὶ ἁθλοφόρου μάρτυρος τοῦ Χριστοῦ Μηνᾶ** „ტიროდა რა თავისი ცოდვების გამო და არ მიუტოვებია წმიდის ტაძარი, სანამ არ მოკვდა, წავიდა მონანიე უფალთან, მიიღო რა მიტევება წმიდა და გამარჯვებული ქრისტეს მონამე მენასგან” და მის თარგმანში ვკითხულობთ: ვიდრემდის **გამოეცხადა შეწყნარება სინანულისა მისისაჲ (ქოვსისა C), და აღიდებდა ღმერთსა და წმიდასა მონამესა მენას. და დაიძინა მშვდობით ქრისტეს იესუს მხედრს, უფლისა ჩუენისა;** დ) ბერძნულ ტექსტში არის შემდეგი სიტყვები ἕως οὗ ἐτελεύτησεν, რაც ნიშნავს: სანამ არ მოკვდა/არ აღესრულა. ქრისტიანის აღსასრული ექვთიმემ გადმოსცა **და დაიძინა მშვდობით ქრისტეს იესუს მხედრს, უფლისა ჩუენისა-**თი, რაც უფლის მხედრს მონანიე ქრისტიანის შენდობასა და მისთვის იმქვეყნიური მშვიდობით ცხოვრებაზე ხაზგასმავს; ე) რადგან ექვთიმემ აქ დაასრულა წამებისა და წმიდა მენას სასწაულთა შესახებ თხრობის თარგმანა, მან ბოლოს მოგვცა ფორმულა, რითაც მრავალი აგიოგრაფიული და თეოლოგიური თხზულება სრულდება ხოლმე: **ქრისტეს იესუს მხედრს, უფლისა ჩუენისა, რომელსა (რომლისა C) ჰმუნის დიდებამ (+ და თაყუანის-ცემა C) თანა მამით და სულით წმიდითურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.**

#### 4.2. წმიდა მენას სამი სასწაულის ბერძნული ტექსტის თარგმნისას ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ამოსავალი ტექსტისათვის „მატების” ნიმუშები

წმიდა მენას პირველი სასწაულის სათარგმნ ტექსტთან მიმართებით ექვთიმემ ჩაამატა ერთი წინადადება. ბერძნულ ტექსტშია: **Καὶ ἠὺλόγησεν αὐτὸν ὁ ἅγιος μάρτυς τοῦ Χριστοῦ Μηνᾶς, ὡσαύτως καὶ τὸν φონέα, καὶ εὐθὲως ἄφαντος ἐγένετο ἀπ’**

აბτῶν (Pomjalovskij 1900, 65,24-26), რაც ნიშნავს: და დალოცა ის წმიდა მოწამემ ქრისტესა მენამ და, იმგვარადვე, მკვლე-ლიც; მაშინვე უჩინარი იქმნა მათთვის. აქ ექვთიმე მთაწმი-დელმა თავად ჩაამატა მსჯელობა მოკლული და აღმდგარი მდიდარი კაცის შესახებ, რომ მან არ იცოდა, თუ რა მოხდა მის თავს და არც მისმა მკვლელმა, სასტუმროს პატრონმა, გაუმხილა მას მომხდარი. ექვთიმეს თარგმანშია: **და არა სცნა კაცმან მან, რა-იგი იქმნა მის ზედა და არცა მეპანდოქსემან გა-მოუცხადა მას.** და აკურთხა წმიდამან მოწამემან (ქენა BC) მოკლული იგი და მკლველი და მიეფარა მათგან.

ექვთიმემ ჩაამატა ფრაზა **მომართუენ იგინი მე** შემდეგ წინადადებაში, რომელიც ბერძნულ ტექსტში ამგვარად იკითხება: καὶ ὁπισθεῖν χριστοῦ εἰς τὰ ἔργα ταῦτα (Pomjalovskij 1900, 66,20), რაც ნიშნავს: და იხმარე (მოიხმე) სიჩქარე ამ საქმეში. ექვთიმეს თარგმანი: მსწრაფლ აღასრულენ და **მომართუენ იგინი მე** (მე – BC).

ექვთიმემ ქართულ თარგმანში ჩაამატა: ა) წინადადების დასაწყისში: **შენდობა ჰყავთ ჩემთვის, ძმანო** (ა რედაქციის ვარიანტული წაკითხვა), **შენდობა ჰყავთ, ძმანო** (ბ რედაქციისა); ბ) წინადადების ბოლოს: **ვითარცა ძილისაგან** (ა რედაქციის ვარიანტული იკითხვისი), **ვითარცა ძილისაგან აღადგინნა** (ბ რედაქციისა). ეს სიტყვები ბერძნულ ტექსტში არ მოგვეპოვება. ბერძნულ დედანშია: ἐπιῆλθε εἰς τὸν Θεὸν καὶ εἰς τὰς παρεσβείας τοῦ ἁγίου Μητῆ τοῦ τὸν μεμελισμένον ἐγείραντος ὁμοῦ (Pomjalovskij 1900, 67,24-15), რაც ნიშნავს: ღმერთის იმედი მაქვს და წმიდა მენას შუამდგომლობის/დახმარების, ვინც აღადგინა დანაწევრებული გვამი. ექვთიმეს თარგმანი: **შენდობა ჰყავთ ჩემთვის** (– C), **ძმანო**, ვესავ ღმერთსა და მეოხებასა წმიდისა მენასა, რომელმან დაჭრილნი ჯორცნი აღადგინნა, **ვითარცა ძილისაგან** (~ **ვითარცა ძილისაგან აღადგინნა C**).

მეორე სასწაულის ტექსტში პასაჟია, სადაც მსახური უამბობს ევტროპიოსს, თუ რა მოხდა, როცა ტბაში ჩაიგდო თავი. ექვთიმე ათონელმა აქ წინადადების ბოლოს ჩაამატა

სიტყვები: **რომელი უდიდებულცს იყო მათსა**, რაც ბერძნულ ტექსტში არ მოგვეპოვება. ბერძნულ ტექსტშია: και φοιηθεις ἔριψα ἔμαυτὸν ἐν τῇ λίμνῃ και ὅτε εἰσῆλθον εἰς τὸ ὑδωρ εἶδον ἄνδρα **φωτεινὸν πάνυ** και ἐτέρους δὺς ἐστῶτας μετ' αὐτοῦ, και ἔλεγεν αὐτοῖς (Pomjalovskij 1900, 68,17-19), რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: და, შეშინებულმა, თავი ჩავიგდე ტბაში, და როცა შევედი წყალში, დავინახე კაცი, ერთიანად ბრწყინვალე, და ორი სხვა იდგა მასთან ერთად, და უთხრა მან მათ. ექვთიმეს თარგმანი: შემეშინა ფრიად და შთავიგდე (შთავაგდე C) თავი ჩემი **ზღუასა**, და შთა-რაჲ-ვვარდი, ვიხილე კაცი ერთი, **შემოსილი ნათლითა** და ორნი კაცნი (ქსუანი C) მის თანა, და ეტყოდა მათ **რომელი უდიდებულცს იყო მათსა** (~ მათსა იყო C). აქვე, ექვთიმემ ბერძნული ἐν τῇ λίμνῃ თარგმნა „ზღვით;“ ბერძნული φωτεινὸν πάνυ „ერთიანად ბრწყინვალე“ (სადაც φωτεινὸν არის ზედსართავის სახელის φωτεινός-ის აკუზატივის ბრუნვის მხ.რ.-ის ფორმა და ნიშნავს „ნათელს, ბრწყინვალეს; მეტაფორულად, ღვთაებრივ და სულიერ ბრწყინვალეობას ღმერთის, ანგელოზური დიდების, და ა.შ.“ (Lampe 2005, 1508); πάνυ კი არის ზმნიზედა, მნიშვნელობით „სრულიად, ერთიანად, მთლიანად, ძალიან“ (Liddell, Scott 1996, 1301), თარგმნა, როგორც „შემოსილი ნათლითა,“ რაც სრულიად შეესაბამება სახეს, რომელიც მიიღო ღვთაებრივი ბრწყინვალეობით გასხივოსნებულმა წმიდანმა.

ებრაელისა და ქრისტიანის სასწაულში მოთხრობილია, თუ როგორ მოემზადა ებრაელი სავაჭროდ წასასვლელად. ბერძნულ ტექსტშია: **Ἐν μιᾷ οὖν τῶν ἡμερῶν ἀναχωρῶν ὁ Ἐβραῖος ἐπὶ πραγματείας ἔασεν εἰς τὸν οἶκον τοῦ Χριστιανοῦ βαλάντιον βεβουλῶμενον** (Pomjalovskij 1900,70,30-71,1), რაც ნიშნავს: ერთ დღეს, ებრაელი მზად იყო სავაჭროდ წასასვლელად, მან დატოვა დაბეჭდილი ფულის ჩანთა ქრისტიანის სახლში. ექვთიმეს თარგმანი: და განემზადა (+ ოდესმე C) ჰურიაჲ იგი წარსლვად ვაჭრობად და **მოვიდა სახედ მოყუსისა მის თხსისა**

და მისცა მას კისაკი თვისი დაკრძალული საფასითა და დაბეჭდული ბეჭდითა თვისითა დამარხვად, ვიდრემდის მოიქცეს იგი სახიდ თვსად და წარვიდა გზასა თვსსა. აქ ექვთიმე ათონელმა გამოტოვა, თუ როდის ხდებოდა მოქმედება ἐν μιᾷ οὐν τῶν ἡμερῶν „ერთ დღეს.“ წინადადების ბოლოს კი ჩაამატა ვრცელი ტექსტი, რაც ბერძნულ დედანში არ დასტურდება: **მოვიდა სახედ მოყუსისა მის თვისსა და მისცა მას კისაკი თვისი დაკრძალული საფასითა და დაბეჭდული ბეჭდითა თვისითა დამარხვად, ვიდრემდის მოიქცეს იგი სახიდ თვსად და წარვიდა გზასა თვსსა.**

ექვთიმე ათონელმა ჩაამატა წინადადების დასაწყისში ფრაზა: **ვითარ იყოს ეგე** „როგორ იქნება ეგ“. ბერძნულ ტექსტშია: Λέγει ὁ Χριστιανὸς τῷ Ἑβραίῳ· Ἄλλ' οὐκ εἰσέρχεται Ἑβραῖος εἰς τὸν ναὸν τῶν Χρηατιανῶν (Pomjalovskij 1900, 71,18-19), რაც ნიშნავს: ქრისტიანმა უთხრა ებრაელს: მაგრამ არ შედის ებრაელი ქრისტიანთა ტაძარში. ექვთიმეს თარგმანი: ჰრქუა (ქმიუგო C) ქრისტიანემან მან: „**ვითარ იყოს ეგე**, რამეთუ არა შევალს ჰურიჲა ეკლესიასა ქრისტიანეთასა?“

ებრაელი და ქრისტიანი დაობდნენ, თუ სად უნდა მდგარიყო ებრაელი, როცა ქრისტიანი ტაძარში დაიფიცებდა. ბერძნულ ტექსტშია: Λέγει ὁ Ἑβραῖος, ὅτι κἄν οὐ δύναιμαι εἰσελθεῖν, στήκω ἔξωθεν **εἰς τὸν νάρθηκα** (Pomjalovskij 1900, 71,19-21), რაც ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: უთხრა ებრაელმა: რადგან ვერ შევალ, დავდგები გარეთ ნართექსში. ექვთიმეს თარგმანშია: ჰრქუა ჰურიამან მან **ქრისტიანესა**: „დალაცათუ შინა არა შევიდე, დავდგე გარეშე, **ხოლო შენ შევედ და მეფუცე.**“ ექვთიმემ ჩაამატა ტექსტში სიტყვები: **ქრისტიანესა და ხოლო შენ შევედ და მეფუცე.** აქვე აღვნიშნავთ, რომ ექვთიმემ არ თარგმნა ბერძნული νάρθηξ „ნართექსი, სტოა,“ რაც ბიზანტიურ ბერძნულში ნიშნავდა ეკლესიის წინა ეზოს, დიდ ადგილს ეკლესიის შესასვლელში, ხშირად კარით ან ძვირით გამოყოფილს ძირითადი სივრცისგან, სადაც კათაკმევლები და ჯერაც მოუნათლავები, მონანიეები შეიძლება მდგარიყვნენ

(Lampe 2005, 898-9). ამდენად, ბერძნული ტექსტის მიხედვით, ებრაელი ნართექსში დადგებოდა, ეკლესიის შიგნით, მაგრამ ძირითადი სივრცის გარეთ. ექვთიმემ კი აქ დაწერა, რომ ებრაელმა თქვა: **დავდგე გარეშე** „გარეთ დავდგები,” რაც მკითხველს არ მიუთითებს, თუ კერძოდ სად დადგებოდა ებრაელი, შენობის გარეთ თუ ეკლესიის შიდა სივრცეში.

ექვთიმემ ჩაამატა წინადადებაში ტექსტი, რომელიც ბერძნულ დედანში არ დასტურდება. ბერძნულ ტექსტშია: ἐτάραξεν ὁ τοῦ Χριστιανοῦ ἵππος καὶ ἔρριψεν αὐτόν εἰς τὴν γῆν καὶ ἔπεσεν τὸ δακτυλοκλείδιον τοῦ σκευρίου αὐτοῦ ἐκ τοῦ κόλπου αὐτοῦ (Pomjalovskij 1900, 72,7-8), რაც ნიშნავს: ქრისტიანის ცხენს შეეშინდა და ჩამოაგდო ის მიწაზე და გადმოუვარდა ზანდუკის პატარა გასაღები უბიდან. ექვთიმეს თარგმანი: ხლდა ცხენი ქრისტიანისაჲ მის და გარდამოაგდო იგი ქუეყანად და დაჰვარდა მას **ბეჭედი და კლიტს, რომელსა შინა იდვა კისაკი ჰურიისაჲ მის.**

ექვთიმე ათონელმა ბერძნული ტექსტის თარგმნისას განავრცო თხრობა, თუ რატომ გაიხარა ქრისტიანმა: „რომ ჩამოვარდა ცხენიდან და ადგა მთელი კიდურებით” და შემდეგ, წინადადების დასასრულს, ჩაამატა, თუ როდის ხდებოდა მოქმედება: „სამხრის ჟამს.” ბერძნულ ტექსტშია: Ἐχαίρειν δὲ ὁ Χρηστιανός, ὅτι ἔπεσεν ἐκ τοῦ ἵππου, δοκίμας ὅτι αὐτὴ ἐστὶν ἡ ἀπόδοσις τοῦ ὄρκου, εἶτα ἀναστὰς ἐκαββαλίκευσεν, καὶ ἐπορεύοντο οἱ δύο ὁμοῦ (Pomjalovskij 1900, 72,9-11), რაც ნიშნავს: და გაიხარა ქრისტიანმა, იფიქრა რა, რომ ეს იყო სასჯელი ფიცისათვის. მერე ამხედრდა და ორივემ გააგრძელა მგზავრობა. ექვთიმეს თარგმანი: განიხარა ფრიად, რამეთუ **გარდავარდა ცხენისაგან და აღდგა მრთელი ასოჲთა** და ჰგონებდა, ვითარმედ ესე იყო მისაგებელი ფიცისაჲ მის. დააჯდა ცხენსა თჳსსა და წარვიდეს ორნივე ზოგად გზასა **ჟამსა სამხრისასა.**

ებრაელისა და ქრისტიანის სასწაულის ერთ-ერთ პასაჟში ქრისტიანი ეკითხება თავის მსახურს, რაც ბერძნულ დედანში ამგვარადაა წარმოდგენილი: Εἶπεν δὲ ὁ κύριος αὐτοῦ·

ποιῶν κέλευσιν; (Pomjalovskij 1900, 72,25-26), რაც ნიშნავს: ხოლო მისმა ბატონმა თქვა: რომელი ბრძანება? წინადადების თარგმნისას ექვთიმემ ჩაამატა კითხვის დასაწყისსა და ბოლოში გარკვეული ტექსტი. ექვთიმეს თარგმანშია: ჰრეჟუა მას უფალმან მისმან: „**ვინაჲ მოგივლინე და რომელსა ბრძანებასა მოხუედ აღსრულებად?**“

ექვთიმემ ჩაამატა ფრაზა ბერძნული ტექსტის თარგმნისას. ბერძნულშია: *δια τί ἴνα ἐγὼ πιστεύσω εἰς τὸν ἄγιον Μηνᾶν, ὅτι ἐκ τῶν θαυμάσιων ἃ ποιεῖ οὐδὲνα ἐξέωρησα* (Pomjalovskij 1900, 72,14-15), რაც ნიშნავს: რატომ უნდა ვირწმუნო წმიდა მენასი, რადგან იმ სასწაულებიდან, რომელსაც იქმს, არცერთი მინახავს? ექვთიმემ ჩაამატა ფრაზა „რომელიც მსმენია,“ რაც ხაზს უსვამს და აკონკრეტებს, რომ მხოლოდ სმენია ებრაელს წმიდა მენას სასწაულების შესახებ და თავად არცერთი უნახავს. ექვთიმეს თარგმანი: რაჲსა მრწმენა წმიდისა მენაჲსი, რამეთუ საკრველებისა საქმენი, **რომელნი მესმნეს**, არცა ერთი რაჲ ვიხილე მათგანი?

#### 4.3. წმიდა მენას სამი სასწაულის ბერძნული ტექსტის თარგმნისას ექვთიმე მთანმიდელის მიერ ამოსავალი ტექსტის „კლეზის“ ნიმუშები

ექვთიმემ შეამოკლა პირველი სასწაულის დასაწყისი. ბერძნულ ტექსტშია: **Τούτου δὲ τοῦ ναοῦ τελειωθέντος τῆ τοῦ Θεοῦ χάριτι καὶ τῆ τοῦ ἁγίου πρεσβείᾳ ἄνθρωπος τις ἦν ἐκ τῆς χώρας τῶν Ἰσაύρων καὶ ἦν πλούσιος πάνυ. Εἰσῆλθε δὲ εἰς Ἀλεξάνδρειαν λόγῳ πραγματείας καὶ ἤκουσε πάντα τὰ θαύματα καὶ τὰς ἰάσεις ἃσπερ ἐποιεῖ ὁ ἄγιος καὶ εἶπεν ἐν ἑαυτῷ** (Pomjalovskij 1900, 63,10-14), რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: და როცა დასრულდა ამ ტაძრის მშენებლობა ღვთის წყალობის და წმიდანის შუამდგომლობით, იყო ვინმე კაცი ისაურელთა მხარი-



დან, და იყო ფრიად მდიდარი. და ის შევიდა ალექსანდრიაში საქმიანი მიზეზით, და ესმა ყველა სასწაულისა და კურნების შესახებ, რომელსაც წმიდა ქმნიდა და უთხრა თავის თავს. ექვთიმემ აქ გამოტოვა: ა) თხრობა წმიდა მენას ტაძრის დასრულების შესახებ; ბ) გამოტოვა, რომ სასწაულის მოქმედი პირი, მდიდარი კაცი, იყო ისაურელთა მხარიდან. წმიდა მენას ტაძარი, რომელზეც აქ არის საუბარი, აგებული იყო აბუ მენაში, რომელიც ალექსანდრიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა და წმიდა მენას თაყვანისცემის მთავარი ცენტრი იყო. ისაურელები (Ἰσαυροί) მცირე აზიის ისაურის მხარის ძველი ხალხი იყო, რომელიც ბიზანტიურ სამყაროში ასიმილირდა, გაქრა დაახლ. VII ს-ში. ისაურელები დღევანდელ სამხრეთ თურქეთში ცხოვრობდნენ (Whitby 2002). როგორც ჩანს, ექვთიმემ ჩათვალა, წმიდა მენას ტაძრის დასრულების და ისაურელთა ხსენება ზედმეტი იყო ქართველი მკითხველისათვის და მათზე წინადადება მთლიანად გამოტოვა. ექვთიმეს თარგმანშია: კაცი ვინმე იყო (- BC) ფრიად მდიდარი და მოვიდა ალექსანდრია ქალაქად საჭმრად ვაჭრობისა, და ესმნეს საკრველებანი (+ და კურნებანი B), რომელთა ჰყოფდა წმიდა მენა, და თქუა თავით თვსით.

მდიდარი კაცი ნავით გაუყვა გზას და მივიდა ადგილზე, რომელსაც ლოქსონეტა ერქვა. ბერძნულ ტექსტშია: **Καὶ ἀναστὰς ἔλαβεν μεθ' ἑαυτοῦ τὸ βαλάντιον αὐτοῦ καὶ διήρχετο εἰς τὴν λίμνην τῆς παραθαλασσίας καὶ ἑρῶν πλοιάριον κατέλαβεν τὸν τόπον τὸν λεγόμενον Λοξονῆτα** (Pomjalovskij 1900, 63,17-19), რაც ნიშნავს: და ადგა და აიღო თავისი საფულე/ფულის შესანახი ჩანთა და გაემგზავრა ტბისაკენ ზღვის ნაპირით. იპოვა რა პატარა ნავი, მან მიაღწია ადგილს, რომელსაც ლოქსონეტა ერქვა. აქ ექვთიმემ ა) გამოტოვა ტოპონიმი ლოქსონეტა (Λοξονῆτα); ბ) ჩაამატა, რომ საფულეში იყო ოქრო; გ) შეამოკლა ბერძნული დედნის თხრობა, რომ კაცი ტბისკენ ზღვის ნაპირით გაემგზავრა და ამის ნაცვლად დაწერა: და შევიდა ნავსა და წიაღდა ზღუასა. ექვთიმეს თარგმანი: და აღდგა და მი-

ილო მის თანა კისაკი ოქროთა და შვეიდა ნავსა და წიაღვდა ზღუასა.

ტოპონიმი ლოქსონეტა მეორედაც გვხვდება წმიდა მენას პირველ სასწაულში. აქ ექვთიმეს თარგმანში მთლიანად გამოტოვებულია ბერძნული წინადადება, სადაც ტოპონიმია მოხსენიებული: **Φθίσαντες δὲ εἰς τὸν τόπον τὸν λεγόμενον Λοξονήτα εἰσῆλθον εἰς τὴν ἀγρὰν ὁμοῦν καὶ ἠγόρασαν τροφὰς, καὶ καθίσαντες ἥσθιον** (Pomjalovskij 1900, 72,11-13), რაც ნიშნავს: და როცა მიაღწიეს ადგილს, რომელსაც ერქვა ლოქსონეტა, შევიდნენ ერთად ბაზარში და იყიდეს საკვები და დასხდნენ ძირს, ჭამეს. ექვთიმეს თარგმანის მხოლოდ ბ რედაქციამია ამ წინადადების შემოკლებული თარგმანი: **და დასხდეს ორნივე იგი ზოგად ჭამად პურისა.**

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ გამოტოვა ფრაზა. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ: **καὶ φοβίσματα ὀδνεῦσαι εἰς τὴν ὀδὸν μόνος, ἐπειδὴ οὐκ ἔχω ἕτερόν τινα ὄδιε** (Pomjalovskij 1900, 63,23-24), რაც ნიშნავს: და მეშინია გზაზე მარტოს მოგზაურობის, რადგან აქ სხვა არავინ მყავს. ექვთიმემ აქ გამოტოვა ბერძნული დედნისეული **ἐπειδὴ οὐκ ἔχω ἕτερόν τινα ὄδιε** „რადგან აქ სხვა არავინ მყავს.“ ექვთიმეს თარგმანშია: **და ვერ ვიკადრებ მარტოდ სლვად გზასა ჩემსა.**

ექვთიმემ გამოტოვა და გადაასხვაფერა ფრაზა შემდეგ წინადადებაში. ბერძნულ ტექსტშია: **καὶ ποιήσας οὐτως ἐκρέμασεν αὐτὸ ὑπὸ τῆν στέγην, ὅπως εὐρὼν ἄδειαν τῆς λίμνης ῥίψῃ αὐτὸν ἐκεῖ** (Pomjalovskij 1900, 64,4-6), რაც ნიშნავს: და ეს რომ ჰქენა, ჩამოჰკიდა ჭერქვეშ ისე, რომ როცა ტბის წყალი დაიკლებდა, იქ ჩაეგდო. ექვთიმემ ა) გამოტოვა ყოველგვარი კონკრეტიკა, რაც ბერძნულ ტექსტშია, ანუ მან უგულვებლყო სიტყვები, რომ (სასტუმროს პატრონმა) ჩამოჰკიდა ჭერქვეშ (კაცის გვამის ნარჩენები); ბ) გამოტოვა, რომ სასტუმროს მეპატრონემ განიზრახა, რომ ჩაეგდო ის ტბაში, როცა ტბის წყალი დაიკლებდა. ექვთიმეს თარგმანი: **და ჰყო ეგრეთ (+ და**

ქიებდა C), რათა (რათამცა C) პოვოს უამი და შთააგლოს ტბასა (წლუასა B).

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ გამოტოვა ფრაზა. ბერძნულ დედანშია: Ἰδὼν δὲ τὸν ἄγιον ἐρχόμενον ὁ ἄνθρωπος ἐδέξιασεν, **διότι ἢ κεφαλῇ τοῦ ἀνθρώπου σὼα ἦν**, καὶ σπένσαζ ἔλαβεν τὴν κεφαλὴν καὶ ἐκρέμασεν ἐν μέσῳ τῆς ἀποθηκῆς, μὴ εἰδὼς τί ποιεῖ ἀπὸ τοῦ φόβου (Pomjalovskij 1900, 64,10-13), რაც ნიშნავს: და როცა დაინახა კაცმა, რომ წმიდა უახლოვდებოდა, შეეშინდა, რადგან კაცის თავი უვნებელი იყო და ჩამოჰკიდა ის სასტუმროს შუაგულში, შიშისაგან არ იცოდა, რას აკეთებდა. ექვთიმემ აქ გამოტოვა ბერძნული ფრაზა, რომელიც ხსნის, თუ რატომ შეეშინდა სასტუმროს პატრონს წმიდა მენას გამოჩენის: **διότι ἢ κεφαλῇ τοῦ ἀνθρώπου σὼα ἦν** „რადგან კაცის თავი უვნებელი იყო.“ ექვთიმეს თარგმანი: **და ვიდრე მოვიდოდა წმიდა იგი, იხილა მეპანდოქსემან მან და შეშინდა, მსწრაფლ აღილო თავი (გოდორი C) იგი და დამოჰკიდა შორის პანდოქიონსა მას, და არა უწყოდა, რამცა ჰყო შიშითა.**

შემდეგი მაგალითიდან ჩანს, რომ ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული წინადადების მოზრდილი მონაკვეთი: Καὶ λαβὼν εὐθὲως ὁ ἄγιος Μηνᾶς τὴν σπυρίδα εἶπεν τὴν κάραν τοῦ ἀνθρώπου μετὰ καὶ λοιπῶν μελῶν **καὶ ἔφη αὐτῷ· οὐκ εἶπόν σοι ὅτι δι' ὃν ἄνθρωπον ἦλθον ἐνταῦθα, ἀφ' ἐαυτοῦ ἐρίσκω αὐτόν;** (Pomjalovskij 1900, 64,18-21), რაც ნიშნავს: და მაშინვე, წმიდა მენამ, აილო გოდორი, იპოვა კაცის თავი სხვა კიდურებთან ერთად და უთხრა მას: განა არ გითხარი, რომ კაცს, ვისთვისაც აქ მოვედი, თავად ვიპოვიდი? აქ ექვთიმემ მთლიანად გამოტოვა წმიდა მენას კითხვა სასტუმროს მეპატრონისადმი. ექვთიმეს თარგმანშია: **და მასვე უამსა წმიდამან აღილო გოდორი იგი და ჰპოვა მას შინა თავი კაცისა მის სხუათა ასოთა თანა.**

ექვთიმემ გამოტოვა, რომ წმიდა მენა „სპათარიოსის სამოსლით“ მოველინა სასტუმროს პატრონს. ბერძნულ დედანშია: Σπασθεῖς δὲ τὸν ἄγιον ὡς ἐν **σχήματι σπαθαρίου** λέγων (Pomjalovskij 1900, 64,24-25), რაც ნიშნავს: და აკანკალებული,

იგი ევედრებოდა წმიდას, სპათარიოსის სამოსელში, ეუბნებოდა. აქ ექვთიმემ გამოტოვა, რომ სასტუმროს მეპატრონე იყო *σπασιεύς* „აკანკალეული“ და რომ წმიდა იყო „სპათარიოსის სამოსელში“<sup>1</sup> *τὸν ἄγιον ὡς ἐν σχήματι σπαθαρίου*. ექვთიმეს თარგმანშია: ევედრებოდა წმიდასა მენას (ქმას A) და ეტყოდა.

ექვთიმე მთანმიდელმა გამოტოვა ფრაზა შემდეგი ბერძნული წინადადებიდან: *ἰδοὺ, κύριέ μου, τὸ βιβλάντιον αὐτοῦ, οὐκ ἐνέγγυσα οὐδὲν ἔλαβόν τι ἐξ αὐτοῦ*, *ἀλλὰ δίδωμαι αὐτὸ τῆ ἡ ἐξουσία* (Pomjalovskij 1900, 64,31-65,1), რაც ნიშნავს: აი, ჩემო ბატონო, მისი საფულე. მე არ მივახლოებივარ, არც რამე ამიღია მისგან, მაგრამ ვაძლევ შენს ძალაუფლებას. ექვთიმემ აქ გამოტოვა სასტუმროს მეპატრონის სიტყვები, როცა ის ამბობს, რომ ის არ მიახლოებია და არც არაფერი აუღია მისგან (საფულისგან), რაც ბერძნულ დედანში დასტურდება: *οὐκ ἐνέγγυσα οὐδὲν ἔλαβόν τι ἐξ αὐτοῦ*. ექვთიმეს თარგმანი: **და, აჰა, ესერა, არს კისაკი მისი (+ იგი სავსე B) საფასითა მისითა და მიგცე იგი წინაშე უფლებისა შენისა.**

შემდეგ წინადადებაში ექვთიმემ ა) გამოტოვა ბერძნული ფრაზა: *ἐνώπιον παντὸς τοῦ λαοῦ* „მრავალი ადამიანის (ხალხის) წინაშე;“ ბ) გადააკეთა ბერძნული *τὸν φόνον ὄνπερ ἐποίησεν εἰς τὸν ξένον* „მკვლელობა, რომელიც უცხოელის მიმართ ჩაიდინა.“ ბერძნულ ტექსტშია: *Καὶ εὐθὺς ἐξομολογήσατο ὁ ἀποθηκάριος ἐνώπιον παντὸς τοῦ λαοῦ τὸν φόνον ὄνπερ ἐποίησεν εἰς τὸν ξένον* *καὶ πῶς ὁ ἄγιος διὰ προσευχῆς ἀνέστησεν αὐτόν* (Pomjalovskij 1900, 65,29-31), რაც ნიშნავს: და მაშინვე, სასტუმროს მეპატრონემ აღიარა მრავალი ადამიანის (ხალხის) წინაშე მკვლელობა, რომელიც უცხოელის მიმართ ჩაიდინა და წმიდამ, ლოცვით როგორ აღადგინა იგი. ექვთიმეს თარგმა-

---

<sup>1</sup> წმიდა მენას სასწაულების ტექსტში სპათარიოსის სახით მისი მოვლინების შესახებ მსჯელობა იხ. ზემოთ, გამოკვლევების 4.1. ქვეთავში.

ნია: და აღიარა (+ მეპანდუქემან BC), რად-იგი უყო ვაჭარსა მას და ვითარ-იგი წმიდამან ლოცვითა თვისითა(ლოცვითა წმიდამან მენა BC) აღადგინა.

შემდეგი მაგალითიდან ჩანს, რომ ექვთიმემ: ა) გამოტოვა წინადადების დასაწყისში ბერძნული იძის ἀπέρχομαι εἰς τεχνίτην καὶ „აი, წავალ ოსტატთან და;“ ბ) გამოტოვა ბერძნული ἰπὲρ ἀφ᾽ ἑσέως τῶν ἁμαρτιῶν μου „ჩემი ცოდვების მოსანანიებლად“ და გ) ბერძნული ფრაზა, რომ მეორეს დააბრუნებდა თავისი ცოდვების მოსანანიებლად, შეცვალა შემდეგი შინაარსის ტექსტით: მივცემ მას გლახაკებს. ბერძნულ ტექსტშია: **ἰδοὺ ἀπέρχομαι εἰς τεχνίτην καὶ ποιῶ δὺς δίσκουσ ἐργυροῦν, καὶ χαρίζομαι εἰς τὸν ναὸν τοῦ ἁγίου Μηνᾶ τὸν ἕνα, καὶ τὸν ἕτερον ἕχω εἰς ὑπηρεσίαν μου, καὶ ἐν τῇ τελευτῇ μου ἂποδιῶ καὶ τὸν ἕτερον ἰπὲρ ἀφ᾽ ἑσέως τῶν ἁμαρτιῶν μου** (Pomjalovskij 1900, 66,12-15), რაც ნიშნავს: აი, წავალ ოსტატთან და გავაკეთებ ორ ვერცხლის ფეშხუნს, და ერთს მივუძღვნი წმიდა მენას ტაძარს, და მეორეს შევინახავ ჩემთვის სახმარად, და ჩემი სიკვდილის შემდეგ, დავაბრუნებ მეორეს ჩემი ცოდვების მოსანანიებლად. ექვთიმეს თარგმანი: **(ან უკუე BC)** შევქმნე მე ორნი ბარძიმნი ვერცხლისანი. ერთი მივსცე ტაძარსა წმიდისა მოწამისა მენასა და ერთი იგი დავიყენო სამსახურებელად ჩემდა და შემდგომად სიკუდილისა ჩემისა **მივსცე იგი გლახაკთა.**

ეგტროპიოსმა გადანყვიტა, რომ ორი ვერცხლის ფეშხუნი დაემზადებინა. ბერძნულ ტექსტშია: **Ἀπέστειλε δὲ καὶ ἐκάλεσε τὸν τεχνίτην εἰς τὸν οἶκον αὐτοῦ** (Pomjalovskij 1900, 66,15-16), რაც ნიშნავს: და მან გაგზავნა და დაუძახა ოსტატს თავის სახლში. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: და მოუწოდა **ვეცხლისმჭედელსა ერთსა ჯელოვნებითა;** ბ რედაქციაშია: და მოუწოდა **ვეცხლისმჭედელსა ერთსა ჯელოვანსა.** აქ ექვთიმემ: ა) გამოტოვა დედნისეული რამდენიმე სიტყვა: ἀπέστειλε „გაგზავნა“ და εἰς τὸν οἶκον αὐτοῦ „თავის სახლში.“ აქ ქართველი მკითხველისთვის, შესაძლოა, არ იყოს მნიშვნელოვანი, გამოტოვა თუ არა ექვთიმემ, რომ თავის სახლში მი-

იპატიჟა ევტროპიოსმა ოსტატი, მაგრამ ეს სიტყვები დასტურდება მეორე სასწაულის კოპტურ ვერსიაშიც (Piowarczyk 2021a, 532) და სასწაულის ბერძნულ კრიტიკულ ტექსტში დამონებულ ყველა ხელნაწერში (Varada 2021, 218); ბ) ჩაამატა ოსტატის ხელობა და მისი მახასიათებელი: **ვეცხლისმჭედელსა ერთსა ველოვნებითა** (ა რედაქცია); **ვეცხლისმჭედელსა ერთსა ველოვანსა** (ბ რედაქცია).

ევტროპიოსმა მისცა ვერცხლისმჭედელს ვერცხლის ჭურჭელი, რომ დაემტვრია და მისგან ფეშხუენები გაეკეთებინა. ამ წინადადებაში ექვთიმემ გამოტოვა გარკვეული ტექსტი, კერძოდ, რომ ევტროპიოსმა უთხრა ოსტატს: *δὲν ἔρι, λάβει τὰ σκεῆθ ταῦτα τὰ ἀργυρᾶ, καὶ κλάσαις αὐτὰ* „მოდი აქ, აიღე ეს ვერცხლის ჭურჭელი, დაამტვრევ რა.“ ამის ნაცვლად ექვთიმეს თარგმანშია: **მიიღე ჩემი (ჩემგან BC) ვეცხლი რჩეული**. ბერძნულ ტექსტშია: *δὲν ἔρι, λάβει τὰ σκεῆθ ταῦτα τὰ ἀργυρᾶ, καὶ κλάσαις αὐτὰ* ποίησον μοι δίσκους δύο, μὴ προστιθῶν ἢ ποιῶν ἕτερον τοῦ ἑτέρου ἀντίτερον (Pomjalovskij 1900, 66,16-18), რაც ნიშნავს: მოდი აქ, აიღე ეს ვერცხლის ჭურჭელი, დაამტვრევ რა, გამიკეთე ორი ფეშხუენი, არც მიუმატო ან არც უკეთესი გააკეთო ერთი მეორეზე. ექვთიმეს თარგმანი: მიიღე ჩემი (ჩემგან BC) ვეცხლი რჩეული და შეჰქმნენ ორნი ბარძიმნი ერთსახენი, რაჲთა არა ჰმატდეს ერთიერთსა.

ექვთიმემ გარდაქმნა ევტროპიოსის განზრახვა წმიდა მენასთვის უარესი ფეშხუენის შეწირვის შესახებ: ა) მან არ თარგმნა ბერძნული *ἐν τῷ γέγραπται τὸ ὄνομα μου* „რომელზეც ჩემი სახელი წერია;“ ბ) წინადადების ბოლოს კი ჩაამატა სიტყვები, რომლებიც ხაზგასმით არის მოცემული მის თარგმანში. ბერძნულ დედანშია: *ἐγὼ ἀπέρχομαι εἰς τὸν ἄγιον καὶ διδῶ τὸν δίσκον, ἐν τῷ γέγραπται τὸ ὄνομα μου*, καὶ κρατῶ τὸν τοῦ ἁγίου εἰς ὑπηρεσίαν μου, καὶ ἐν τῇ ἐσχάτῃ μου ἀποδίδωμι αὐτόν (Pomjalovskij 1900, 66,22-24), რაც ნიშნავს: წავალ წმიდანთან და მივცემ ფეშხუენს, რომელზეც ჩემი სახელი წერია, და ჩემთვის სახმარად დავიტოვებ წმიდისას, და ჩემის სიკვდილის

შემდეგ დავუბრუნებ. ექვთიმეს თარგმანი: მივიდე წმიდისა მის და შევწირო მისსა ჩემი ესე და წმიდისაჲ მის დავიყენო სამსახურებელად (- BC) ჩემდა და შემდგომად სიკუდილისა ჩემისა მივსცე იგიცა ტაძარსა წმიდისასა (წმიდისა მისსა B, მონამისასა C).

ექვთიმე ათონელმა გამოტოვა საკმაოდ ვრცელი თხრობა ევტროპიოსის მგზავრობიდან. მან დააკლო ქართულ თარგმანს ერთი წინადადება და მეორე წინადადების დასაწყისი: **Ἀπελθὼν δὲ εἰς τὸν αἰγιαλὸν εστοίχησε πλοῖον ἀπελθεῖν ἕως τοῦ ναοῦ λέγων, ὅτι βασιτάζω τὸν τοῦ ἁγίου δίσκον εἰς ὑπηρεσίαν μου. Ἐγένετο δὲ ἐν τῷ πλεῦσαι αὐτον** „და წავიდა რა ნაპირზე, იქირავა გემი, რომ გამგზავრებულყო ტაძრისაკენ, ამბობდა: მე წმიდანის ფეშხუენი ჩემთვის სახმარად მიმაქვს. და მოხდა, ცურვისას.“ ამ ტექსტის ნაცვლად ექვთიმემ ლაკონიურად აუნყა მკითხველს: **და შევიდა ნავსა და წარვიდა.** აქვე, მეორე წინადადების ბოლოს გამოტოვა მიზეზი, რატომაც მოუშადა მსახურმა ევტროპიოსს ტაბლა: **πρὸς τὸ ἀριστήσαι αὐτόν** „რომ ესადილა მას.“ ბერძნულ დედანშია: **Ἀπελθὼν δὲ εἰς τὸν αἰγιαλὸν εστοίχησε πλοῖον ἀπελθεῖν ἕως τοῦ ναοῦ λέγων, ὅτι βασιτάζω τὸν τοῦ ἁγίου δίσκον εἰς ὑπηρεσίαν μου. Ἐγένετο δὲ ἐν τῷ πλεῦσαι αὐτον** ἢ ὥρα τοῦ ἀρίστου, καὶ ἠτοίμασεν ὁ δοῦλος αὐτοῦ τὴν τράπεζαν **πρὸς τὸ ἀριστήσαι αὐτόν** (Pomjalovskij 1900, 66,24-28), რაც ნიშნავს: და წავიდა რა ნაპირზე, იქირავა გემი, რომ გამგზავრებულყო ტაძრისაკენ, ამბობდა: მე წმიდანის ფეშხუენი ჩემთვის სახმარად მიმაქვს. და მოხდა, ცურვისას, სამხრის დრო იყო და მისმა მსახურმა მოუშადა ტაბლა, რომ ესადილა მას. ექვთიმეს თარგმანი: და **შევიდა ნავსა და წარვიდა** და ვითარცა ჟამი სამხრისაჲ იყო, მოვიდა მონაჲ მისი და დაუგო (დაუდგა BC) ტაბლაჲ.

ევტროპიოსის შენახება და მწუხარება ბერძნულ ტექსტში ამგარადაა წარმოდგენილი: **Ὅτε ἔγρω ὁ κύριος αὐτοῦ τὸ γεγονόν, ἐλσπήθη σφῶδρα καὶ διέρρηξε τὰ ἰμάτια αὐτοῦ, ὀλοφύρομενος καὶ λέγων** (Pomjalovskij 1900, 67,4-5), რაც

ამგვარად შეიძლება ითარგმნოს: როცა მისმა ბატონმა შეიტყო, თუ რა მოხდა, ღრმად დამნუხრდა და შემოიხია (დაიხია) ტანსაცმელი, გოდებდა და ამბობდა. ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: და ვითარცა სცნა **კაცმან მან**, შენუხნა ფრიად და თქუა; ბ რედაქციაშია: და ვითარცა სცნა **უფალმან მისმან**, შენუხნა ფრიად და თქუა. როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმემ გამოტოვა ბერძნული ფრაზა **διέρρηξε τὰ ἱμάτια αὐτοῦ, ὀλοφύρομενος** „შემოიხია (დაიხია) ტანსაცმელი, გოდებდა.“ ტანსაცმლის შემოხევა თვალხილული ნიშანი იყო ღრმამნუხარების, გლოვის და მონანიების. ძველ აღთქმაში ტანსაცმლის შემოხევა მნუხარების ნიშნად გვხვდება შემდეგ მუხლებში: შესაქმე 37:29; 37:34; გამოსვლათა 32:19; რიცხვთა 14:6; მსაჯულთა 11:35; II მეფეთა 1:11-12; III მეფეთა 21:27; IV მეფეთა 22:11, 19; ეზრა 9:3-5; ესთერ 4:1. გვხვდება ახალ აღთქმაშიც, მაგ.: მათეს 26:65 და მარკოზის 14:63 მუხლებში, ამდენად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ექვთიმეს გამოეტოვებინა ფრაზა, რომელიც მონანიებისა და მნუხარების ნიშნად ტანსაცმლის შემოხევას უკავშირდება. შესაძლოა, დედანში, რომელიც მას ხელთ ჰქონდა, ეს ფრაზა არ იყო, თუმცა ის დასტურდება სასწაულის ბერძნულ კრიტიკულ ტექსტში დამონმებულ ყველა ხელნაწერში (Varada 2021, 220).

შენუხებული ევტროპიოსის ფიქრი ამგვარადაა გადმოცემული ბერძნულ ტექსტში: εἶθε προγναρίξειν μοι τοῦτο, καὶ ἀντὶ τοῦ ἐνὸς δίσκου εἶχον χαρίσασθαι τῷ ναῦ τοῦ ἀγίου τρεις· δὺς ἄργυροῦς καὶ ἓνα χρυσῶν· καὶ μὴ τὸ κακὸν ἔργον τοῦτο καὶ ἡ αἰσχῦνη τῶν ἀνθρώπων κατέλαβέ με· κρείσσον γὰρ τοῦτους δόνναι καὶ μὴ τὸν δῶλλον μου ἀπολέσαι, καὶ μάλιστα πικρῶ θανάτῳ (Pomjalovskij 1900, 67,10-15), რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: ეს რომ ადრე მცოდნოდა, ერთი ფეშხუენის ნაცვლად, სამს შევწირავდი წმიდანის ტაძარს – ორს ვერცხლისას და ერთს ოქროსას – და ეს ბოროტი საქმე და სირცხვილი ადამიანებისაგან არ დამატყდებოდა თავს; უმჯობესი იყო, მიმეცა ესენი (იგულისხმება, სამი ფეშხუენი) და არ დამელუპა ჩემი



მსახური, მეტადრე, მწარე სიკვდილით. ექვთიმეს თარგმანი: და უკუეთუმცა პირველ მეცნა მე, უმჯობეს იყო ჩემდა, ერთისათვის (ქერთისა მისთვის C) სამი წილი მიცემად წმიდისა მის და არა შევრდომად ესევეითარსა სირცხვლსა და ყუედრებასა (და ყუედრებასა – C) და არამცა წარმენწყმიდა მონაჲ იგი ჩემი უფროჲს ხოლო მწარითა (უფროჲს ხოლო მწარითა) და უფროჲსლა ბოროტითა C) სიკუდილითა. როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმემ ა) გამოტოვა ბერძნული  $\delta\upsilon\varsigma\ \acute{\alpha}\rho\chi\upsilon\sigma\iota\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \xi\upsilon\alpha\ \chi\rho\upsilon\sigma\iota\upsilon\varsigma$  „ორს ვერცხლისას და ერთს ოქროსას;“ ბ) გამოტოვა  $\tau\acute{\omega}\nu\ \acute{\alpha}\nu\theta\iota\omega\tau\omega\nu\ \kappa\alpha\tau\acute{\epsilon}\lambda\alpha\beta\acute{\epsilon}\nu\ \mu\epsilon$  „ადამიანებისაგან არ დამატყედებოდა თავს.“

ბერძნულ ტექსტთან მიმართებით, ექვთიმემ წინადადებიდან გამოტოვა საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი. მუქად აკრეფილი ბერძნული ტექსტი არ არის წარმოდგენილი ექვთიმეს თარგმანში. ბერძნულ ტექსტში ვკითხულობთ:  $\epsilon\grave{\alpha}\nu\ \delta\grave{\epsilon}\ \acute{\alpha}\zeta\alpha\theta\acute{\iota}\delta\ \iota\delta\epsilon\acute{\iota}\nu\ \kappa\acute{\alpha}\nu\ \tau\acute{\omega}\ \sigma\omega\mu\alpha\ \alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\varsigma\ \iota\ \nu\alpha\ \theta\acute{\alpha}\psi\omega\ \alpha\upsilon\tau\acute{\omega}\ \delta\iota\delta\omega\mu\iota\ \delta\upsilon\varsigma\ \delta\iota\sigma\kappa\omicron\upsilon\varsigma\ \epsilon\iota\varsigma\ \tau\acute{\omega}\nu\ \nu\alpha\acute{\omicron}\nu\ \tau\omicron\upsilon\ \acute{\alpha}\gamma\iota\omicron\upsilon\varsigma\ \mu\acute{\alpha}\rho\tau\upsilon\rho\omicron\varsigma\ \text{Μην}\acute{\alpha},\ \kappa\alpha\iota\ \omicron\upsilon\tau\pi\epsilon\rho\ \acute{\alpha}\pi\acute{\omega}\lambda\epsilon\sigma\alpha\ \delta\iota\delta\omega\ \tau\eta\upsilon\ \tau\iota\mu\eta\ \nu\ \alpha\upsilon\tau\omicron\upsilon\varsigma\ \delta\upsilon\iota\ \pi\alpha\rho\acute{\epsilon}\beta\eta\gamma\ \kappa\alpha\iota\ \xi\gamma\epsilon\nu\acute{\omicron}\mu\eta\nu\ \acute{\alpha}\phi\omega\nu,\ \kappa\rho\alpha\tau\acute{\eta}\sigma\alpha\varsigma\ \tau\acute{\omega}\nu\ \tau\omicron\upsilon\ \acute{\alpha}\gamma\iota\omicron\upsilon\varsigma\ \epsilon\iota\varsigma\ \chi\rho\epsilon\iota\acute{\alpha}\nu\ \mu\omicron\upsilon$  (Pomjalovskij 1900, 67,15-18), რაც ნიშნავს: თუკი იმის ღირსი მაინც გავხდი, რომ მისი გვამი ვნახო, რომ დავკრძალო, ორ ფეშხუენს მივცემ წმიდა მონამე მენას ტაძარს, და ვინც დავკარგე, პატივს მივაგებ, რადგან ვცოდე და გამოვსულელდი, რომ დავიტოვე წმიდანის (იგულისხმება, ფეშხუენი) ჩემს სახმარად. ექვთიმეს თარგმანი: და ან, უკუეთუ ღირს-მყოს ღმერთმან და ვპოვნე ჯორცნი მისნი და დავჰმარხნე, მივსცნე ორნივე იგი ბარძიმნი ტაძარსა წმიდისა მენაჲსა და წარწყმედილისა მის ფასი.

ექვთიმე ათონელმა ხუთგზის გამოტოვა საკუთარი სახელი  $\text{Εὐτρίπιος}$  ევტროპიოსი, რომელიც წმიდა მენას მეორე სასწაულის ბერძნულ ტექსტში ექვსგზის არის მოხსენიებული. ერთ შემთხვევაში, სადაც ეს საკუთარი სახელი ქართულ თარგმანში დასტურდება, სამივე ხელნაწერში დამახინჯებული სახითაა წარმოდგენილი: ევპრაპიოს A, ევპრაპიოზ B, ევ-

რპროპიოზ C. ამ წინადადებას ბერძნულ ტექსტში ამგვარად ვკითხულობთ: Ἐν Ἀλεξανδρείᾳ ἦν τις ἀνὴρ ὀνόματι **Εὐτρόπιος** (Pomjalovskij 1900, 66,10-11), რაც ნიშნავს: ალექსანდრიაში იყო კაცი ვინმე, სახელად ევტროპიოსი. ექვთიმეს თარგმანშია: **ალექსანდრია ქალაქსა** კაცი ვინმე სახელით ევპრაპიოს **A**; **ალექსანდრიას** კაცი ვინმე სახელით ევპრაპიოზ **B**, **ალექსანდრიას** კაცი ვინმე **იყო** სახელით ევპროპიოზ **C**. თუ აქ განვიხილავთ ექვთიმე ათონელის ჩვენამდე მოღწეულ ორ რედაქციას შორის განსხვავებებს, შევამჩნევთ, რომ ა რედაქციაშია: **ალექსანდრია ქალაქსა**, ხოლო ბ-ში კი **ალექსანდრიას**. ამას გარდა, ა რედაქციასა და **B** ხელნაწერში ყოფნა ზმნა გამოტოვებულია (რაც ამ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტში გვაქვს: ἦν), ხოლო **C** ხელნაწერში კი ის დასტურდება: **იყო**.

აქ კიდევ ორ მაგალითს მოვიხმობთ, სადაც ბერძნულ ტექსტში არსებული საკუთარი სახელი ევტროპიოსი ექვთიმეს თარგმანში გამოტოვებულია: 1. Ἐφί **ὁ Εὐτρόπιος (συμμαθὴς γὰρ ἦν σφῶν)** (Pomjalovskij 1900, 67,23-24), რაც ნიშნავს, ევტროპიოსმა თქვა (რადგან მას ძლიერ შესტკიოდა გული). ექვთიმეს თარგმანი: **და კაცმან მან ჰრქუა მათ**. როგორც ვხედავთ, აქ ექვთიმემ ევტროპიოსის სახელის გარდა, გამოტოვა და არ თარგმნა შემდეგი ფრაზა **συμμαθὴς γὰρ ἦν σφῶν** „რადგან მას ძლიერ შესტკიოდა გული.“ 2. **Εὐθὺς οὖν ἔγυν ὁ Εὐτρόπιος** (Pomjalovskij 1900, 68,20-21), რაც ნიშნავს: ამიტომ, მაშინვე მიხვდა ევტროპიოსი. ექვთიმეს თარგმანი: **მაშინ სცნა კაცმან მან**. კიდევ სამ შემთხვევაში იგივე ვითარებაა: ὁ δὲ **Εὐτρόπιος ἐβίβλευσεν εἰς τὸν αἰγιαλὸν ἐπιζῶν ἐν ἑσπέρῳ** (Pomjalovskij 1900, 67,19-20); Ὁ δὲ **Εὐτρόπιος** **θεασάμενος τὸν παῖδα** (Pomjalovskij 1900, 67,28-29); **Δακρῦσαντες δὲ πάντες ἐπὶ τὸ γεγονὸς παρεμύθησαν τὸν Εὐτρόπιον** (Pomjalovskij 1900, 68,4-5).

წმიდა მენას სასწაულები ბერძნულ ბ რედაქციაშია: **Δακρῦσαντες δὲ πάντες ἐπὶ τὸ γεγονὸς παρεμύθησαν τὸν Εὐτρόπιον**: ὁ δὲ ἔφη (Pomjalovskij 1900, 68,4-5), რაც ნიშნავს:

ხოლო ყველამ იტირა მომხდარზე, ანუგეშებდნენ ევტროპიოსს, მან კი თქვა. ექვთიმეს თარგმანი აქ ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. ა რედაქციაშია: და ცრემლოოდა ამას **ყოველსა** ზედა **ყოფილსა** და **იგინი ნუგეშინისცემდეს სიხარულით და ჰრქუა**; ბ რედაქციაში: და ცრემლოოდა ამას ზედა და **იგი ნუგეშინისცემდა სიხარულით, ხოლო იგი ეტყოდა**. ექვთიმემ თარგმნისას კვლავ გამოტოვა სასწაულის მოქმედი პირის, ევტროპიოსის სახელი. აქვე ვხედავთ, რომ ბერძნული მომღეობა **δᾱκρῖσσαντες**, ფრაზაში **δᾱκρῖσσαντες** **δὲ πάντες**, სიტყვა-სიტყვით: „მტირალნი ხოლო ყველა“ (**δᾱκρῖσσαντες** ზმნის **δᾱκρῖσ** „ტირილი, ცრემლთა დენა“ აორისტის მოქმედებითი გვარის მიმღეობაა სახ. ბრ.-ის მრ. რ.-ში; **δὲ** „ხოლო“; **πάντες** „ყველა“), მრავლობით რიცხვშია და მიემართება ევტროპიოსსა და მეზღვაურებს, ვინც ტიროდა. ქართული თარგმანის ორივე რედაქციაში **δᾱκρῖσσαντες** გარდათქმულია, როგორც „ცრემლოოდა“ მხ. რ.-ში და შედეგად ვიღებთ, რომ მხოლოდ ევტროპიოსი ტიროდა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ექვთიმემ **πάντες** „ყველა“ დაუკავშირა წინადადებაში შემდგომ სიტყვას **ἐπὶ τὸ ἡγῶσθ** „მომხდარის შესახებ“, რადგან მის თარგმანში ვკითხულობთ: ცრემლოოდა ამას **ყოველსა** ზედა **ყოფილსა** (ა რედაქცია); ცრემლოოდა ამას ზედა (ბ რედაქცია). ამ მსჯელობას ეწინააღმდეგება, რომ: ა) ორივე, **δᾱκρῖσσαντες** და **πάντες** ეთანხმება ერთმანეთს სახელობით ბრუნვაში; ბ) **πάντες** ბერძნულ ენაში მიემართება მხოლოდ ცოცხალ არსებებს და გ) **ἐπὶ τὸ ἡγῶσθ** წინადადებაში მოდის **δᾱκρῖσσαντες** **δὲ πάντες**-ს შემდეგ, რაც ტიპურია ბერძნული სინტაქსისათვის: ჯერ არის მოქმედება (ტირილი), შემდეგ მისი მიზეზის ახსნა (მომხდარი). ექვთიმე ათონელი ბერძნულ ენას სრულყოფილად ფლობდა და საქმე ისევ ექვთიმეს მიერ დედნისეული ტექსტის თავისუფალ თარგმანთან გვაქვს. ამავე წინადადებაში, ბერძნულ **παρεμῆθησαν**-ს „ანუგეშებდნენ“ ქართულ თარგმანში ემატება **სიხარულით**, ეს ვარიანტული ნაკითხვაა ა რედაქციაში; ბ რედაქციაში კი ვხედავთ, რომ მთელი წინადა-

დება მხოლოდ ევტროპიოსის ქმედების აღწერაა და წინადადების ყველა წევრი მხოლოდით რიცხვშია: და ცრემლოვდა ამას ზედა და იგი ნუგეშინისცემდა სიხარულით, ხოლო იგი ეტყოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბ რედაქციაში გამოტოვებულია ა რედაქციის ყოველსა და ყოფილსა (ἐπι τὸ γεγοιστό). ქართულ თარგმანში, წინადადების ბოლოს, რედაქციულ სხვაობას ვხედავთ: ა რედაქციაშია: და ჰრქუა, ხოლო ბ რედაქციაში კი ხოლო იგი ეტყოდა, რაც ბერძნული ὁ δὲ ἔφη-ის ზუსტი თარგმანია.

შემდეგი მაგალითიდან ვხედავთ, რომ ექვთიმე საკმაოდ ვრცელი დედნისაული ტექსტი გამოტოვა. ამას გარდა, მან შეცვალა ბერძნული ტექსტის შინაარსი, საიდანაც ირკვევა, რომ მსახური ნაპირზე იყო და ეძებდა თავისი ბატონის გემს, ევტროპიოსი და მეზღვაურები კი გემში იყვნენ და იქიდან გადმოუგდეს მეზღვაურებმა ბაგირი მსახურს და მისი მეშვეობით ავიდა გემზე. ექვთიმე მთანმიდელმა შეცვალა წინადადების შინაარსი და მის თარგმანში ვკითხულობთ, რომ მსახური იყო წყალში და მას მეზღვაურებმა გადაუგდეს ბაგირი და გამოიყვანეს ხმელეთზე. ეს აზრი ექვთიმესთვის უფრო მისაღები ჩანს, რადგან მსახურმა ზღვაში დაიხრჩო თავი და ექვთიმეს თარგმანში სწორედ წყალში მყოფი მსახური დაინახეს ხმელეთზე მყოფებმა და არა პირიქით, როგორც ეს ბერძნულ ტექსტშია: მსახური ხმელეთზე იყო და დაინახეს ის გემზე მყოფებმა და აიყვანეს გემზე. ბერძნულშია: **Ὁ δὲ Εὐτρόπιος θεασάμενος τὸν παῖδα ἀπὸ μακρόθεν ἕστῳτα ἔχοντα μὲθ' ἑαυτοῦ καὶ τὸν δίσκον καὶ γυρεύοντα τὸ πλοῖον διὰ τὸν κύριον αὐτοῦ, ἐδόξασεν τὸν Θεόν, οἱ δὲ ναῦται θεασάμενοι τὸν δούλον, ἔριψαν τὴν ἀρχὴν τοῦ σχοινίου παρὰ τὸν αἰγιαλόν.** θεασάμενος δὲ ὁ δούλος ἐκράτησε τὸ σχοινίον τοῦ πλοίου καὶ εἰσῆλθεν ἐν αὐτῷ (Pomjalovskij 1900, 67,28-68,2), რაც ნიშნავს: ხოლო ევტროპიოსმა, დაინახა რა შორს მდგომი ბიჭი, რომელსაც ეჭირა ფეშხუენი და ეძებდა გემს თავისი ბატონის გამო, ადიდებდა ღმერთს, და მეზღვაურებმა, დაინახეს რა

მსახური, გადაუგდეს თოკის ბოლო ნაპირზე. ბიჭმა კი, დაინახა რა, დაიჭირა გემის თოკი, შევიდა მასში (გემში). ექვთიმეს თარგმანშია: **იხილეს რაჲ მენავეთა მათ მონაჲ იგი, მიუტყორცეს ნავისა საბელი და მან შეიპყრა იგი და გამოვიდა ჴმელად.**

შემდეგი მაგალითი ცხადყოფს, რომ ბერძნულ ტექსტთან მიმართებით, ექვთიმემ ა) გამოტოვა წინადადების დასაწყისში არსებული ფრაზა και στραφείς πρὸς τὸν παῖδα λέγει „და შებრუნდა ბიჭისკენ და უთხრა“; ბ) გადაასხვაფერა ბერძნული ფრაზა: **τι συνέβη σοι ἐν τῇ λίμνῃ** „რა მოგივიდა ტბაში“ თარგმნა, როგორც: **ვითარ შთაჴვარდი შენ ზღუად.** აქ ბერძნული **ἐν τῇ λίμνῃ** „ტბაში“ ქართულ თარგმანში ისევ „ზღვ-ით“ არის წარმოდგენილი და ბერძნული ზმნა **συνέβη** „მოგივიდა, დაგემართა“ ექვთიმემ შეცვალა ფრაზით: **ვითარ შთაჴვარდი.** ბერძნულ ტექსტში წინადადება ამგვარად იკითხება: **και στραφείς πρὸς τὸν παῖδα λέγει· εἶπε μοι, τέκνον, τι συνέβη σοι ἐν τῇ λίμνῃ και πῶς ἐλυστράθη;** (Pomjalovskij 1900, 68,12-14), რაც ნიშნავს: და შებრუნდა ბიჭისკენ და უთხრა: მითხარი, ბავშვო, რა მოგივიდა ტბაში, და როგორ გადარჩი? ექვთიმეს თარგმანშია: და ან, შვილო ჩემო, მითხარ მე, ვითარ შთაჴვარდი შენ ზღუად და ვითარ იჯსენ? ბ რედაქციის ვარიანტული ნაკითხვებია: და ან[ან უკუე C; შენ – C; და ვითარ]ანუ ვითარ C.

ექვთიმემ გამოტოვა წინადადების საწყისი ფრაზა **τί ἔτι ἄρα ποιήσω** „ამის შემდეგ რა ვქნა.“ ბერძნულ ტექსტშია: **τί ἔτι ἄρα ποιήσω ἢ τί ἀπολογῆσομαι τῷ κυρίῳ μου;** (Pomjalovskij 1900, 68,16), რაც ნიშნავს: ამის შემდეგ რა ვქნა, ან რა ავუხსნა ჩემს ბატონს? ექვთიმეს თარგმანი: თუ რაჲ **სიგყუად მიუგო** უფალსა ჩემსა?

ბერძნულ ტექსტშია: **και ὑπέστρεψεν αἰνῶν και δοξάζων Κύριον τὸν Θεὸν και πάντα τοὺς ἁγίους αὐτοῦ, τοὺς σῶζοντας δι’ αὐτῶν πάντα τὸν λαόν· ἁμήν.** (Varada 2021, 223), რაც ნიშნავს: და დაბრუნდა მადიდებელი და მაკურთხებელი უფალი ღმერთის

და მისი წმიდანების, ვინც იხსნის მათი შუამდგომლობით/მათი მეშვეობით ადამიანებს. ექვთიმეს თარგმანი ბერძნულ დედანთან მიმართებით მოკლეა, აქ გამოტოვებულია τὸν Θεὸν καὶ πάντα τοὺς ἄγίους αὐτοῦ, τοὺς σῴζοντας δι' αὐτῶν πάντα τὸν λαόν „ღმერთის და მისი წმიდანების, ვინც იხსნის მათი შუამდგომლობით/მათი მეშვეობით ადამიანებს.“ ექვთიმეს თარგმანი აქ ისევ ორი რედაქციითაა წარმოდგენილი. ა რედაქცი-აშია: და მოიქცა **სიხარულით თვსად ქალაქად** ქებითა და კურთხევითა უფლისა მიმართ; ბ რედაქციაში: და **მიაქცია სახედ თვსსა და წარვიდა და ადიდებდა ღმერთსა**. ბერძნულ ტექსტში დადასტურებული სამივე მიმღეობა καὶ ὑπέστρεψεν αὐτῶν καὶ δι᾽ ἄλγαν-ში „და დამბრუნებელი, მადიდებელი და მაკურთხებელი“ ქართულ თარგმანში განსხვავებულადაა წარმოდგენილი: ა) ὑπέστρεψεν ა რედაქციაში, როგორც ზმნის პირიანი ფორმა „მოიქცა,“ რასაც ემატება ბერძნულში არ არსებული **სიხარულით თვსად ქალაქად**; ბ) αὐτῶν καὶ εὐλογῶν გადმოცემულია საწყისებით: ქებითა და კურთხევითა უფლისა მიმართ. ბ რედაქციის ვარიანტული წაკითხვაში ა-ს მსგავსად, ჩამატებულია, თუ სად დაბრუნდა ევტროპიოსი: **მიაქცია სახედ თვსსა**, და, შემდეგ ბერძნული ვრცელი ფრაზა ლაკონიურად არის გადმოცემული: **და წარვიდა და ადიდებდა ღმერთსა**.

ექვთიმემ სრულად გამოტოვა შემდეგი ბერძნული წინადადება და მის ნაცვლად ლაკონიური, მაგრამ განსხვავებული წინადადება მოგვცა. ბერძნულ ტექსტშია: **Τῆ δὲ ἐπαύριον ἀνέστη ὁ Ἐβραῖος καὶ ἀπηλθε πρὸς τὸν Χριστιανὸν πρὸς τὸ λαβεῖν τὸ βαλάντιον αὐτοῦ. Ὁ δὲ Χριστιανὸς τῆ ἐπιβουλῆ τοῦ διαβόλου ἠρνήσατο λέγων, ὅτι οὐκ ἔδωκας ἡμῖν τί ποτε** (Pomjalovskij 1900, 71,9-12), რაც ნიშნავს: და შემდეგ დღეს, ებრაელი ადგა და წავიდა ქრისტიანთან, რომ დაებრუნებინა თავისი ჩანთა. მაგრამ ქრისტიანმა, ეშმაკის ცდუნებით, უარი თქვა და უთხრა, რომ არ მოგიცია ჩვენთვის რამე ოდესმე. ექვთიმეს თარგმანი: **და განზრახვითა ეშმაკისათა ურთიერთას შეითქუნეს** (ქპბრძოდეს A).

ქართულ თარგმანში ბერძნულ დედანთან მიმართებით, გამოტოვებულია სიტყვები ἀκοῦσαι αὐτοῦ „მისი სმენა.“ ბერძნულ ტექსტში: Ὁ δὲ Χριστιανὸς οὐκ ἠθέλησεν ἀκοῦσαι αὐτοῦ ὅλως (Pomjalovskij 1900, 71,26-27), რაც ნიშნავს: ხოლო ქრისტიანმა არ ისურვა მისი სმენა საერთოდ. ექვთიმეს თარგმანში: ხოლო ქრისტიანემან მან ყოვლადგე არა ინება.

ბერძნულ ტექსტში: ἀποδώσω τὴν εὐχὴν μου καὶ τὴν μέριμνάν μου εἰς τὸν Θεὸν καὶ εἰς τὸν ἄγιον μάρτυρα Μηνᾶν, καὶ ὧς κελεύει ὁ Θεὸς γίνεται (Pomjalovskij 1900, 72,18-20), რაც ნიშნავს: მიუძღვნი ჩემს აღთქმას/ლოცვას და ზრუნვას ღმერთსა და წმიდა მონამე მენას, და როგორც ღმერთი ბრძანებს, ისე მოხდეს. ექვთიმეს თარგმანი: მიუტევო ყოველი ზრუნვაჲ ჩემი უფალსა და წმიდასა მონამესა მენას, **ვითარცა სათნო არს წინაშე მათსა**, ეგრეთ იყავნ. აქ ექვთიმეს თარგმანში ა) გამოტოვებულია ბერძნული τὴν εὐχὴν καὶ „ლოცვას და;“ ბ) ბერძნული ὧς κελεύει ὁ Θεὸς „როგორც ღმერთი ბრძანებს“ გადასხვაფერებულია და თარგმანშია: **სათნო არს წინაშე** „კეთილი იქმნება წინაშე, მოეწონებათ“ და ეს ფრაზა მიემართება როგორც ღმერთს, ისე წმიდა მენას მაშინ, როცა ბერძნულ ამოსავალ ტექსტში ღმერთის ნებაზეა მხოლოდ საუბარი: **ვითარცა სათნო არს წინაშე მათსა**.

ბერძნულ ტექსტში: Ὁ δὲ Ἐβραῖος ἀναστάς ἔλαβεν τὸ βαλάντιον αὐτοῦ **βεβουλωμένων** καὶ ἐβόα μετὰ χαρᾶς κράζων καὶ λέγων (Pomjalovskij 1900, 73,4-5), რაც ნიშნავს: და ებრაელი ადგა, აიღო ჩანთა, როგორც იყო განზრახული (როგორც უნდოდა), და სიხარულით შეჰყვირა და თქვა. ექვთიმეს თარგმანშია: აღდგა (+ უკუჲ C) ჰურიაჲ იგი და აღილო კისაკი იგი (+ თვისი C) მითვე ბეჭდითა, ჴმობდა სიხარულით და იტყოდა. ამ წინადადებაში ექვთიმემ არ თარგმნა ბერძნული სიტყვა βεβουλωμένων „როგორც იყო განზრახული (როგორც უნდოდა).“ βεβουλωμένων არის ზმნის βίσιλοιμαι „გადაწყვეტა, სურვილი, ნდომა“ (Liddell, Scott 1996, 325) პერფექტის მიმღეობა

და ის შეიძლება გავიგოთ, როგორც: „როგორც იყო განზრახული; როგორც უნდოდა.“ თუ ვთარგმნით ამგვარად: „როგორც იყო განზრახული,“ მაშინ, კონტექსტიდან ამოსვლით, გამოდის, რომ ბერძნულ დედანში იგულისხმება, რომ ჩანთის დაბრუნება მოხდა წინასწარ განსაზღვრული (შესაძლოა, ღვთაებრივი) განზრახვის შესაბამისად; თუკი ვთარგმნით, შემდეგნაირად: „როგორც უნდოდა,“ მაშინ აქ იგულისხმება ებრაელის სურვილი, დაებრუნებინა მიტაცებული ქონება. ასეა თუ ისე, ექვთიმემ თავი აარიდა ამ ყოველივეს და გამოტოვა ბერძნული βεβουλωμένον.

ებრაელისა და ქრისტიანის შესახებ სასწაულის ბოლოს ებრაელმა შესწირა თავისი ქონების ერთი მესამედი წმიდა მენას ტაძარს. ეს წინადადება ბერძნულ სათარგმნ ტექსტში ამგვარადაა წარმოდგენილი: **Εἶτα λαβὼν τὸ βαλάντιον ὑπέστρεψεν μετὰ χαρῆς μεγάλης** εἰς τὸν ναὸν τοῦ ἁγίου Μηνᾶ καὶ ἐχαρίσατο ἐκεῖ τὸ τρίτον τοῦ βαλαντίου, χίλια νομίσματα (Pomjalovskij 1900, 73,9-11), რაც ნიშნავს: შემდეგ, აიღო რა ჩანთა, ის ღიდი სიხარულით დაბრუნდა წმიდა მენას ტაძარში და შესწირა იქ საფასის ერთი მესამედი, ათასი მონეტა/დრაჰკანი. აქ ექვთიმე ათონელმა: ა) გამოტოვა ბერძნული წინადადების საწყისი ფრაზა: **Εἶτα λαβὼν τὸ βαλάντιον ὑπέστρεψεν μετὰ χαρῆς μεγάλης** „შემდეგ, აიღო რა ჩანთა, ის ღიდი სიხარულით დაბრუნდა;“ ბ) ჩაამატა ბერძნულ ტექსტში არ არსებული ფრაზა: „**რომელი აღრაცხა სასწორითა.**“ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ბ რედაქციაში გამოტოვებულია ა რედაქციაში დაცული სიტყვები: **ტაძარსა წმიდისა მონამისა მენასა.** ექვთიმეს თარგმანის ა რედაქციაშია: და მისცა მან მესამედი ნაწილი საფასისაჲ მის ტაძარსა წმიდისა მონამისა მენასა, რომელი აღრაცხა სასწორითა ათასი დრაჰკანი; ბ რედაქციაში ვკითხულობთ: და მისცა მან მესამედი ნაწილი საფასისაჲ მის, რომელი აღრაცხა სასწორითა ათასი დრაჰკანი.

ებრაელმა მიიღო ქრისტიანობა და მოინათლა. ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას ვკითხულობთ: **Φυγὼν δὲ τὴν Ἰουδαίαν**



θρησκείαν καὶ **κατηχήθεις μετὰ παντὸς τοῦ οἴκου αὐτοῦ**  
**ἐβίασθη καὶ συγκατηρίσθη** ὁ οἴκος αὐτοῦ (Pomjalovskij 1900,  
73,14-15), რაც ამგვარად შეიძლება ვთარგმნოთ: განეყენა ებ-  
რაულ რწმენას და ქრისტიანობა მიიღო მთელი თავისი სახ-  
ლეულობით და მოინათლა და მისი სახლეულობა აღირიცხა.  
ექვთიმეს თარგმანი: და განეყენა ჰურიანებასა და ნათელ-ილო  
მან და ყოველთა სახლეულთა მისთა და შეირაცხნეს საყო-  
ფელნი მისნი **ქრისტეანეთა თანა**. აქ ექვთიმე ათონელმა გამო-  
ტოვა ბერძნული ფრაზა **κατηχήθεις μετὰ παντὸς τοῦ οἴκου αὐτοῦ**  
„ქრისტიანობა მიიღო მთელი თავისი სახლეულობით,” სადაც  
**κατηχήθεις** ზმნის **κατήχῳ** „სწავლება, ცოდნის მიცემა, მითი-  
თების მიცემა, განსაკუთრებით, ქრისტიანული სწავლების გა-  
დაცემა, კატეხიზისის სწავლება, ქრისტიანულ სარწმუნოება-  
ზე მოქცევა, ახალმოქცეულის მიღება” (Lampe 2005, 732) აო-  
რისტის მიმღეობაა. ექვთიმემ წინადადების ბოლოს დაამატა  
რა **შეირაცხნეს საყოფელნი მისნი ქრისტეანეთა თანა**, დააზუს-  
ტა, რომ „(მთელი ებრაელის) ქონება აღირიცხა ქრისტიანთა  
შორის,” რაც ბერძნულ ტექსტში არ გვაქვს: **συγκατηρίσθη ὁ**  
**οἴκος αὐτοῦ** „მისი სახლეულობა აღირიცხა.”

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ექვთიმე  
ათონელმა წმიდა მენას სამი სასწაული ქართულ ენაზე თარ-  
გმნა ბერძნული რომელიმე ადრეული ხელნაწერის მიხედვით,  
სადაც, ზემოთ აღწერილი განსხვავებებისაგან, რაღაც ნაწი-  
ლი, შესაძლოა, კიდევ იყო ხელნაწერში, რომელიც ხელთ  
ჰქონდა ექვთიმეს.<sup>1</sup> ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი,  
რომლითაც „წამებაა წმიდისა მენაჲსი და ერმოგინესი და ევ-  
ლრაფოჲსი” და წმიდა მენას სამი სასწაული არის თარგმნილი,  
სრულ შესაბამისობაშია მის მიდგომასთან წყაროსთან მიმარ-

---

<sup>1</sup> ჩვენ ცაკლე ვგეგმავთ გამოვცეთ წმიდა მენას სამი სასწაულის  
ექვთიმე ათონელისეული თარგმანი ვრცელი კომენტარებითა და  
გამოკვლევით, სადაც ტექსტს ვადარებთ ყველა არსებულ ბერძნულ  
გამოცემას.

თებით: ეთარგმნა თავისუფლად, არ შეეზღუდა თავი დედნი-სადმი მიჯაჭვულობით, დაეკლო მისთვის უინტერესო დეტა-ლები, ჩაემატებინა აქა-იქ სიტყვები, ფრაზები, სადაც თვლი-და, რომ უნდა შემოეტანა ახალი ინტერპრეტაციები და დაე-ზუსტებინა სათქმელი, გადაესხვაფერებინა თხრობა, როცა მიაჩნდა, რომ სხვა ნიუანსებზე უნდა გაემახვილებინა მკით-ხველის ყურადღება.

ექვთიმე ათონელი უალრესად დიდ ავტორიტეტად ით-ვლებოდა ქართველ მთარგმნელთა და გადამწერთა შორის. მის მიერ თარგმნილი თხზულებების რედაქტირების მაგალი-თები, მართალია, მცირეა, მაგრამ არსებობს. მაგალითისთვის, შეიძლება დავასახელოთ წმიდა გრიგოლ ნოსელის თხზულე-ბის „ქალწულებისთვის და საღმრთოესა მოქალაქობისა“ ექვთი-მესეული თარგმანი, რომელიც ბერძნულ დედანს ხელმეორედ შეადარა და, ამის შედეგად, ტექსტში ცვლილებები შეიტანა წმიდა გიორგი მთაწმიდელმა (ზვიადაძე 2011, 18). ექვთიმეს მიერ თარგმნილი ეს თხზულება გამოსცა და გამოიკვლია გ. ზვიადაძემ. გ. ზვიადაძეს მოჰყავს თხზულების შემცველი და გიორგი მთაწმიდელის მიერ გადანერილი ხელნაწერი Ath. 39-დან სრულიად დამაჯერებელი მაგალითები, რომ გიორგი მთაწმიდელი ცვლიდა ექვთიმეს თარგმნილ ტექსტს. მით უმე-ტეს, რომ გიორგი ხელნაწერში თავდაპირველ ტექსტს ხან უკ-ვალოდ შლიდა და ხან სტრიქონის ზევიდან აწერდა მისეულ სწორებებს (იქვე, 18). გ. ზვიადაძემ, შეისწავლა რა გიორგის მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილებები, მივიდა დასკვნამდე, რომ გიორგი მთაწმიდელმა ხელახლა შეადარა ექვთიმეს თარ-გმანი ბერძნულ დედანს და შეიტანა შემდეგი ცვლილებები: ბერძნულ დედანთან შედარების შედეგად ა) ჩაამატა ფრაზა, რომელიც ბერძნულ დედანში იყო და ექვთიმეს თარგმანში კი – არა; ბ) ექვთიმეს თარგმანიდან ამოშალა ფრაზა, რომელიც ბერძნულ დედანში არ იყო; გ) გაასწორა შეცდომები; დ) შეას-წორა ორაზროვნება და ბუნდოვანება, რაც ექვთიმეს თარ-გმანში იყო; ე) დააზუსტა სათქმელი; ვ) გაასწორა ტექსტი სტილისტურად (იქვე, 18-19).

რაც შეეხება ჩვენს ტექსტს, „წმიდა მენას, ერმოგენესა და ევგრაფოსის წამების” და წმიდა მენას სამი სასწაულის ექვთიმესეულ თარგმანს და მისი რედაქციების ურთიერთმიმართებას, აქაც ვხედავთ გ. ზვიადაძის მიერ ჩამოთვლილ ყველა სახის ცვლილებას, რაც გიორგი მთანმიდელმა გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქალწულებისთვის და საღმრთოესა მოქალაქობისას” ტექსტში შეიტანა. ამდენად, ჩვენ მტკიცებითი ფორმით ვერ ვიტყვით, რადგან არ გვაქვს ის მტკიცებულებები, რაც მკვლევარმა თვალნათლივ დაადასტურა გიორგის ხელითვე ჩასწორებულ Ath. 39 ხელნაწერში, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენი „წამების” და წმიდა მენას სამი სასწაულის ტექსტი, გიორგი მთანმიდელის მიერ არის რედაქტირებული. მით უმეტეს, რომ ძნელად მოიძებნებოდა სხვა მთარგმნელ-რედაქტორი, ვინც ექვთიმეს მიერ თარგმნილ ტექსტში ჩაერეოდა.

ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ იყო თუ არა გიორგი მთანმიდელი ჩვენი ტექსტების რედაქტორი, მას რომ „წამების” განსხვავებული რედაქციის ტექსტი ჰქონდა ხელთ, რაც ექვთიმემ თარგმნა, ცხადი გახდა ზემოთ განხილული ერთი მაგალითიდანაც კი, რაც XVII საუკუნის ბრიუსელში დაცული ხელნაწერის Mss. 08232-33 (3337) ჩანართი ფრაზის ანალიზისას მოვიტანეთ. ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის ჩანართი ფრაზა არ დასტურდება ექვთიმეს მიერ თარგმნილი „წამების” ა რედაქციაში და გვაქვს მის ბ რედაქციაში. უთუოდ, ვინც არ უნდა ყოფილიყო ექვთიმეს მიერ თარგმნილი ტექსტის რედაქტორი, მას ხელთ ჰქონდა ბრიუსელურ ხელნაწერზე ბევრად ადრეული ბერძნული ნუსხა, სადაც ეს ჩანართი დასტურდებოდა. ამასთანავე, მეტად საგულისხმოა, რომ როგორც „წამების,” ისე წმიდა მენას სამი სასწაულის ტექსტიც რედაქტირებულია. ამდენად, ან ექვთიმეს მიერ მოძიებული და შემდეგ დართული წმიდა მენას სამი სასწაულის ხელნაწერიც ხელთ ჰქონდა „წამების” ტექსტის რედაქტორის, ან მართლაც არსებობდა ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც „წმიდა მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების” კომენტურ

ტექსტს დართული ჰქონდა წმიდა მენას ეს სამი სასწაული და რედაქტორმა ერთიანად შეადარა ექვთიმეს ეს ორივე თარგმანი ბერძნულ დედანს და შეიტანა შესაბამისი სწორებები. თუკი ამგვარი ხელნაწერი მართლაც იყო, სადაც ბერძნული „მენას, ერმოგენეს და ევგრაფოსის წამების“ კიმენური ტექსტი და მენას სამი სასწაულის ბერძნული ტექსტი ერთად მოიპოვებოდა, ყველაზე ადვილად სავარაუდებელია, რომ ის ისევ ათონის მთაზე უნდა მოეძიებინა რედაქტორს და, მაშინ, ისევ გიორგი მთაწმიდელი უნდა მოვიზროთ, როგორც რედაქტორი. თუ ეს ასე არაა, მაშინ რომელიმე სხვა ქართულ სამწერლობო კერაშიც უნდა ყოფილიყო დაცული ბერძნული დედანი, სადაც „წამება“ და სამი სასწაული ერთად გვხვდებოდა ან ორი ცალ-ცალკე ხელნაწერი, სადაც ერთში „წამების“ და მეორეში კი – სამი სასწაულის ტექსტი უნდა არსებულიყო; რედაქტორს, ამ შემთხვევაში, ზედმინწევნით კარგად უნდა სცოდნოდა წმიდა მენას, მისი კულტისა და სასწაულების შესახებ და მოეძიებინა ტექსტი, შეედარებინა ის ექვთიმეს თარგმანთან და ჩაესწორებინა ის.

თხზულებათა ნუსხები და მათი აღწერილობები

## „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ნუსხები

„ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტი ოთხ ნუსხაშია შემონახული. ესენია: Cod. Iviron georg.-21 (54) (1030 წ.), A-134 (1066 წ.), Cod. Iviron georg.-17 (50) (XI ს.) და A-382 (XV ს.).

### Cod. Iviron georg.-21 (54)

**გადაწერის ადგილი:** ბითვინიის ოლიმპი, ქვაბი, საყოფელი ქართველთა; წმ. ღმრთისმშობლის ეკლესია.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული.<sup>1</sup>

**თარიღი:** 1030 წ. (237v).

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** ათონის ივირონის მონასტერი.

**ფურცელთა რაოდენობა:** 330.<sup>2</sup>

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** რვეულებრივი და ფურცლობრივი პაგინაცია (ნუსხური ასოებით); ხელნაწერის აღმწერები ფიქრობენ, რომ ფურცლობრივი პაგინაცია მეორეულია, გაუკეთებიათ მაშინ, როდესაც ხელნაწერი უკვე თავნაკლული ყოფილა (ინყება ა ასოთი). რვეულებრივი აღრიცხვა კი ხელნაწერს თავიდანვე ჰქონია (შეიცავს 42 რვეულს). პირველი რვეული ნაკლულია, შეიცავს 5 ფურცელს, ბოლო რვეული შვიდფურცლიანია.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 238r-329v.

---

<sup>1</sup> შეიცავს მაკარე ეგვიპტელის 27 ჰომილიას, ორ წერილს და მის ჰაგიოგრაფიულ შეხედულებებს, ასევე სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს (Gippert, 2022: 229).

<sup>2</sup> ცაგარლის აღწერილობის მიხედვით, 327 (Цагарели, 1886: 83).

**სანერი მასალა:** საშუალო ხარისხის სპილოსძვლისფერი ეტრატი; მოშავო, მოყავისფრო მელანი; წითელი ქსოვილის თანამედროვე ყდა.

**ფურცლის ზომა:** 26,5X21სმ.<sup>1</sup>

**ნანერის ზომა:** 19,8X13,5 სმ.<sup>2</sup>

**ასოების სიმაღლე:** 2 მმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 25-26-27, თითო სტრიქონში 34-41 ასო.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 8,8 მმ. (8 მმ. მე-6-21-ე ფურცლებზე).

**სვეტების რაოდენობა:** 1.

**დამწერლობის ტიპი:** ნანერია ერთი ხელით, ათონური სტილის ნუსხურით; სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით.

**მომგებელი (დამკვეთი):** გრიგოლ ათონელი (237v, 329r)

**გადამწერი:** ისაკ ულუმბოელი (30r, 145v, 215v, 218v, 237v, 329v)

**ზოგადი შენიშვნები:** ცხოვრება წინა ნაწილისგან გამოყოფილია ორნამენტირებულკამარიანი გვერდით (238r) და შეიცავს 12 რეგულს; BHG, II, 1408-1412; გამოცემულია აღ. სახანაშვილის მიერ: Труды по востоковедению, изд. Лазаревского Института, вып. XIX; არსებობს მეტაფრასული რედაქცია: ქუთ. 3; კ. კეკელიძე და ე. გაბიძაშვილი თხზულებას აპოკრიფად მიიჩნევენ (კეკელიძე, 1943: 4; გაბიძაშვილი, 2010: 405).

**ანდერძ(ებ)ი საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:**

„წმიდანო ღმრთისანო, ვინ აღმოიკითხვიდეთ სახარულევანსა ამას წიგნსა და საცესა ღმრთისა მადლითა, ლოცვასა წმიდასა მოიქსენეთ წმიდა მამა ეფთჳმე, რომელმან თარგმნა ცხოვრება ესე წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბაგრატ მოციქულთა სწორისა და საკურველთმოქმედისა).

---

<sup>1</sup> 27,5X21,5 სმ. (Gippert, 2022: 228).

<sup>2</sup> 20,7X13,7. (იქვე).

და მამა გრიგოლ, რომელმან დიდითა მოსწრაფებითა დაანერია. ქრისტემან აწმარენ დღეთა მრავალთა.

წმიდანო ღმერთმემოსილნო და ნეტარნო მამანო, ბაგრატ, მარკიანე, მაქსიმინე, სტეფანე, ონისიფორე, და შენცა, სანატრელო ევაგრე, მეოხ ეყვენით მამასა გრიგოლს და სულიერთა შვილთა მისთა წინაშე სამეებისა წმიდისა დღესა მას დიდსა სასჯელისასა.

ხოლო დაინერა გლახაკისა ისაკის ჳელითა“ (329v).

„ვინცა ვინ წმიდაა ესე წიგნი – მაკარის ებისტოლენი და ბაგრატი და წმიდათა აკეფსიმათ ნამებაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა მთანმიდისასა გამოაჯუას, შე-მცა-აჩუენებს სამებაჲ წმიდაჲ და მოსაჯულიმცა არს სულისა მისისაჲ წმიდაჲ ღმრთისმშობელი დღესა მას საშჯელისასა“ (330r).

### **მინაწერები საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:**

ზედა მარჯვენა კუთხეში ნუსხურით გადამწერის ხელით, ყავისფერი მელნით: „ვაჲ ბოროტი ცნობისა ჩემისაჲ“ (292r).

აშიაზე: „ამა ღირსისა ჟამსა მოველ აქა მთანმიდას, 4 მაისს 1849 წ.“

პლ. იოსელიანი“

მარცხენა აშიაზე მხედრულით, არა გრაფიტის ნაცრისფერი მელნით: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, მაცხოვრე მე, მოსრული სამყოფოსა შინა მთანმიდას ცოდვილი და უღირსი მონა შენი პლატონ იოსელიანი, 6 მაისს, 1849 წ.“ 329v.

„უფალო ღმერთო, შეუნდვენ... ყოველნი ცოდვანი მათნი. დიდებულმცა არს სული მამისა იოვანესი და მამისა ეფთუმესი“ (330v. XI საუკუნის ნუსხურით, შავი გრაფიტის მელნით).

„სულსა ხუცურის ძესა მოძღუარსა დევნოსეს შეუნდვენ ღმერთმან. სულსა ყანდაურალს შეუნდვენ ღმერთმან“ (330v. XIV საუკუნის ნუსხურით).

**წინა აღწერილობები:** Цагарели, 1886: 83-84; Blake, 1932: 131-136; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, 1986: 11, 80-86 (აღმწერელი გ. წინუა); ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 2018: 188; Gippert, 2022: 229-239.



**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 121; გაბიძაშვილი, 2010: 174; გაბიძაშვილი, 2004: 151.

## A-134

**გადანერის ადგილი:** ჰრომანას მონასტერი, კონსტანტინოპოლთან.

**ჟანრი:** კრებული.

**თარიღი:** 1066 წ. (296v); ფ. ფ. 1-21 (XVIII ს.);

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ფურცელთა რაოდენობა:** 340.

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** რვეულებრივი პაგინაცია. შედგება 43 რვეულისგან. აქვს გვერდობრივი და ფურცლობრივი პაგინაციაც. ბოლონაკლული. დაუნერელია 10v. აქვს ხის ტყავგადაკრული ყდა, რომლის ორივე შიდა მხარეც ნითელი ყვავილების ორნამენტებით არის გაფორმებული. ხელნაწერი შელახულია, ადგილ-ადგილ – ამოხეული. ეტყობა დანესტიანების კვალი: ფურცლები დეფორმირებულია.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 212v-296r (296r გვერდზე თხზულებას მოსდევს ანდერძი, რომელიც 296v გვერდზე მთავრდება).

**საწერი მასალა:** სქელი ეტრატი.<sup>1</sup> მოყავისფრო მელანი, სათაურები სინგურით.

**ფურცლის ზომა:** 25,3X21,6-21,8 სმ; 25,5X21,5 სმ.<sup>2</sup>

**ნაწერის ზომა:** 19,7X15,3 სმ.

**ასოს სიმაღლე:** 0,2-0,5; 1,2-1,6 სმ (საზედაო ასოს).

---

<sup>1</sup> ჟორდანიას აღწერილობის მიხედვით, პირველი 42 გვერდი და 169-170 გვერდები დაწერილია ქალაღზე (Жордания, 1903: 140).

<sup>2</sup> ჟორდანიას მიხედვით, 26X22 (იქვე).

**სტრიქონთა რაოდენობა:** 22-23-26.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** დაახლოებით 0,5 სმ.

**სვეტების რაოდენობა:** 1.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური.

**შემკაზმავი:** მიქაელ ჭუჭაშვილი: „ამისა შემკაზმავსა ჭუჭაშვილსა მიქაელსა და მშობელთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან“ (330r, ნუსხურით).

**გადამწერი:** სიმეონ დვალი. 1-21 ფურცლების გადამწერი – ზაალ (10r).

**ზოგადი შენიშვნები:** ტექსტი გამოცემულია ალ. ხახანაშვილის მიერ: Труды по Востоковедению. изд. Лазаревского Института, вып. XIX.

**ანდერძ(ებ)ი საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე (გადამწერის):**

„იესუ ქრისტე, შეამკვე მაღლითა და ნიჭითა შენმიერთათა წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმე, ძე წმიდისა მამისა იოვანე აბულჳერისი და მკვდრი სამოთხისაჲ, რომელმან თარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, განმანათლებელი სულთაჲ და სხუანი ურიცხუნი ბერძულისაგან ქართულად ლოცვათ, თუესა ივლისა თ“; „წმიდაო მოდღ... მონამეო მითხოე ლხ(ი)ნება“ (212v);

[296r] „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხ(ო)ველსმყოფელისა და პატროსნისა ჯუარისაჲთა და მეოხებითა წმიდისა და დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲთა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთაჲთა, მაღლითა და შეწევნითა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიუნისითა, მე უღირსი გლახაკი, ჰრომანაელი მამამაჲ (sic) გელასი, ჩემსა წინამძღუ(რე)ბასა (sic) ღირს ვიქმენ აღწერებად (sic) წმიდასა ამას და სულთა განმანათლებელსა კლემასა და ცხორებასა წმიდისა და მოციქულთასწორისა ბაგრატისა სადიდებულად და სალოცველად ღმრთივდაცვოლისა (sic) და ძლიერისა აფხაზთა და ქართველთა მეფისა ბაგრატისთჳს და ძისა მათ(ი)სა გეორგი (sic) კურაპალატისათჳს. ადიდენ ღმერთმან და სალოცველად სუ-

ლისა ჩემისა [296v] და მშობელთა ჩემთათჳს და ყოველთა მამათა, ძმათა ჰრომანაელთათჳს. დაინერა ჴელითა სომეონ (sic) დვალისაჲთა სოხასტერსა შინა ჰრომანაისასა ანა წმიდას, მეფობასა დოკისასა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასოლი (sic) მართა სამეფოს იყო. ქრონიკონსა სჰვე.

და დავდევე ეკლესიასა ჰრომანაისასა, საყდარსა წმიდათა მოციქულთასა. ან, ყოველნო მამანო და ძმანო, ვინცავინ აღმოიკითხვიდეთ<sup>1</sup> წმიდასა ამას წიგნსა, ჩუენ წარსროლთათჳს (sic) ლოცვა ყავთ. ღმერთმან გარწმონოს, (sic) რაჲთა ვედრებითა თქუენითა ღმერთმან სასყიდელი შრომისაჲ მოგუაგოს. და ვინცავინ ესე წიგნი რაჲთაცა მიზეზითა – პარვითა, განა თხოვითა, გინა მძლავრებითა ჰრომანაისა ეკლესიასა გამოაჴუას, იყავნ იგი წყევასა და შეჩუენებასა ქუეშე. ამენ იყავნ!“

#### **მინაწერ(ებ)ი საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:**

„ღმერთო, შეინყალე ბედებაშვილი დემეტრე, ცოდვილი, ამინ, ამინ!“ (252v-253r, XIII ს. ნუსხურით).

„გადავსწერე ესე მღდელმან პ. კარბელოვმა 1886 წ. 12/11“ (296r, მხედრულით);

„ქ. ღმერთო და წმიდა ნიკალაოზ, შეინყალე ფრიად ცოდვილი და საწყალობელი მღდელ-მონაზონი მანასე“ (296v, XVIII საუკუნის მხედრულით). ამავე გვერდზე არის XIII-XIV სს. მხედრული მინაწერი, რომელიც გადაღეულია და არ იკითხება.

„ქრისტე ღმერთო, სახიერო და კაცთმოყუარეო, შეინყალე გლახაკი სულითა, ბასილი ცოდვილი, ოდეს-იგი მიაგებდე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ (296v, XVI-XVII სს. ნუსხურით);

**წინა აღწერილობები:** Жорданія, 1903: 140-142; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... 1976: 151-154.

---

<sup>1</sup> ეს ბოლო სიტყვა ორჯერ წერია.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 121; გაბიაშვილი, 2004: 151.

### **Cod. Ivron georg.-17 (50)**

**გაღწერის ადგილი:** სავარაუდოდ, ათონის ივირონის მონასტერი (Blake, 1932).

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული. ძირითადად შეიცავს ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსა და იოანე ოქროპირის „მარგალიტს.“ ხელნაწერის მეორე ნაწილი – „გამოკრებილნი სადაათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (261r-348v) წარმოადგენს სისტემური ხასიათის ასკეტიკურ კრებულს, რომელიც სპეციალურად აქვს შესწავლილი ბ. უტიეს (Outtier, 1980: 7-17). მისი აზრით, XI საუკუნის ეს კრებული შეიცავს აპოფთეგმების როგორც ადრინდელ (წინათონურ), ასევე ექვთიმე ათონელის თარგმანებს. იგი წარმოადგენს Sin.-35-ის ანალოგიურ, მაგრამ უფრო სრულ ნუსხას (იქვე).

**თარიღი:** XI საუკუნე.<sup>1</sup>

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** ათონის ივირონის მონასტერი, Cod. Ivron georg.-17; მიკროფირი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ath-17 (ძველი №50).<sup>2</sup>

**ფურცელთა რაოდენობა:** 348.<sup>3</sup>

**ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** ხელნაწერის აღწერილობაში მითითებულია, რომ ის კარგად არის დაცული (პირველი რვეულის გამოკლებით) და აკლია 102v-სა და 103r-ს, 139v-სა და 140r ფურცლებს შორის. რეალურად კი ის საკ-

<sup>1</sup> მარი ნაწერის მიხედვით X საუკუნით თარიღებს (Mapp, 1900: 3).

<sup>2</sup> ბლეიკს ის მე-17 ნომრის ქვეშ აქვს აღწერილი (Blake, 1932: 114-116).

<sup>3</sup> ბლეიკის აღწერილობით, 346 (იქვე: 114).

მაოდ ნაკლულია ჩვენი თხზულების ნაწილში. კერძოდ, მთლიანად აკლია მესამე რვეული (გ) – 8 ფურცელი: 16r-v, 17r-v, 18r-v, 19r-v, 20r-v, 21r-v, 22r-v, 23r-v. 15v გვერდზე მთავრდება მეორე რვეული (ბ) და მომდევნო ფურცლიდან, რომელსაც არქივარიუსის მიერ კალმით აწერია „16“, იწყება მეოთხე რველი (დ), რომელიც რეალურად არის 24r. ეს რვეულიც ნაკლულია, კერძოდ, დაკარგულია 6 შიდა ფურცელი: 25r-v, 26r-v, 27r-v, 28r-v, 29r-v, 30r-v. აქვს მხოლოდ ორი ფურცელი: დასაწყისი: ახალი, ფურცლობრივი დანომვრით, 16r-v, და ბოლო: ფურცლობრივი დანომვრით, 17r-v. ახალი ნუმერაციით, 17v-ზე მთავრდება მეოთხე რვეული და მომდევნო ფურცლიდან (ახალი, ფურცლობრივი დანომვრით, 18r-დან) იწყება მეხუთე რვეული (ე). ტექსტი ბოლონაკლულიცაა: აკლია ბოლო ერთი ფურცელი, სადაც ტექსტი შეავსებდა პირველ სვეტსა და მეორე სვეტის რამდენიმე ხაზს. ასე რომ, მთლიანობაში, ჩვენს თხზულებას აღნიშნულ ნუსხაში დაკარგული აქვს 15 ფურცელი. აქვს რვეულებრივი პაგინაცია. შეიცავს 47 რვეულს, უმეტესად ოთხფურცლიანს. ბოლო (47-ე) რვეული ხუთფურცლიანია. შესწორებები და ჩამატებები ნაწილობრივ არის დამატებული აშეებზე (მაგ., ფ. 69r და 124r), ზოგჯერ სტრიქონებს შორისაცაა ნაწერი (მაგ., 66v, cf. Pl. CLXXIII, 69r და 140v); ზოგიერთი ადგილი ზედმეტად გადატვირთულია ნაწერით (მაგ., 126v-ს მეორე სვეტის ზედა ნაწილი). კოდექსის შეკერილობა პირვანდელია და შეიძლება დათარიღდეს X-XI საუკუნეებით (Gippert, 2022: 194).

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 1r-102v.

**საწერი მასალა:** საშუალო სისქის ხარისხიანი, მოთეთრო ეტრატი; ფიცარზე დაკრული ორნამენტირებული შავი ტყავის ყდა. დაწერილია მოყავისფრო მელნით. სათაურები, ქვესათაურები და დასაწყისი ასოები (ნაწილობრივ) წითელი ან იისფერი მელნით (მაგ., 115r); ზოგი საზედაო ასო ჩამოგრძელებული კონტურებითაა გამოყვანილი. დაქარაგმებულ საზედაო ასო-

ებსა და რვეულის აღმნიშვნელ ასოებს უზის გაფორმებული ქარაგმა.

**ფურცლის ზომა:** 32,5X26 სმ.

**ნაწერის ზომა:** 28,5X22,5 სმ.

**ასოს სიმაღლე:** 3 მმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** თითოეულ სვეტში 24 სტრიქონია, თითოეულ სტრიქონში 11-19 ასო.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 11 მმ.

**სვეტების რაოდენობა:** 2.

**თითოეული სვეტის ზომა:** 25,5X8,9.

**სვეტებს შორის მანძილი:** 15 მმ.

**დამწერლობის ტიპი:** ძირითადი ტექსტი დაწერილია მომსხო, მწყობრი, ოდნავ დახრილი არაკალიგრაფიული ნუსხურით, თუმცა ძირითადი ანდერძები კალიგრაფიულია. დასაწყისები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით.

**გადამწერი:** ბასილი (ფ. 281v და 350v).

**ზოგადი შენიშვნები:** გამოქვეყნებულია (Хаханашвили, 1904: 1-110). ბერძნული ტექსტი, მარის აზრით, დაკარგულად ითვლება (Март, 1900: 4). კ. კეკელიძის ინფორმაციით, ბერძნული თხზულება გამოქვეყნებული არ არის და ცნობილია მხოლოდ მისი ესცერპტები, რომელიც ეკუთვნის აკადემიკოს ა. ვესელოვსკის (კეკელიძე, 1943: 4; Веселовский, 1886: 65-128). ე. გაბიძაშვილი კი მიუთითებს, რომ ბერძნული ტექსტების არცთუ მცირე რაოდენობაში არ ჩანს ქართული თარგმანის შესატყვისი. ბერძნული „წამების“ კომენტური ტექსტი გამოუცემელია (BHG, I, 165-166) (გაბიძაშვილი, 2010: 174).<sup>1</sup> მეცნიერი თხზულების ქართული თარგმანის ხელნაწერებს შორის არასწორად ასახელებს A-102-საც.<sup>2</sup>

**მინაწერ(ებ)ი საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:** მარჯვენა აშიაზე ბერძნულად 4 სიტყვა (1r); ქვედა აშიაზე ბერ-

<sup>1</sup> გიპერტი ამატებს აგრეთვე: BHG 1410; BHO 833 (Gippert, 2022).

<sup>2</sup> იქვე.

ძნულად 3 სიტყვა (1r); „ესემვა (ესემცა?) გ(ა)ნუკუჭ ესვიდა  
ო(კფალს)ა, იქსენინ წითელი“ (20v); „ძმ(ა)რია“ (21r).

**წინა აღწერილობები:** ილარიონი, 1836: 8-9;<sup>1</sup> ქართულ ხელნა-  
წერთა აღწერილობა... 1986: 4; Цагарели, 1886: 82-83; Март,  
1900: 3-15;<sup>2</sup> Blake, 1932: 114-116; ქართულ ხელნაწერთა აღწე-  
რილობა... 1986: 10; 57-63 (აღმწერელი მ. დვალი); Gippert,  
2022: 185-194; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ...  
2018: 189.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 32; 121; Outtier, 1980: 7-17;  
გაბიძაშვილი, 2004: 151; გაბიძაშვილი, 2010: 174; კარანაძე,  
2005: 413-433.

## A-382

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XV საუკუნე.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** კორნელი კეკელიძის სახე-  
ლობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

---

<sup>1</sup> ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი ნუსხა-კატალოგი შეადგი-  
ნა სოლომონ II-ის სულიერმა მოძღვარმა და ტრაპიზონში მისმა  
მხლებელმა ილარიონ ხუცესმა 1836 წელს. მისი სტატია „ქართული  
წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა“ შედის  
ცაგარლის წიგნში (Цагарели, 1886) 96-ე გვერდის შემდეგ და და-  
ნომრილია 1-ლი გვერდიდან. მთავრდება მე-16 გვერდზე. კატალოგი  
ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ, ხოლო გამოაქვეყნა ვ. ლანგუამ:  
Inventaire, 1867: 337-350. აღ. ცაგარლის აზრით, კატალოგი ილარი-  
ონს შეუდგენია ცნობილი ბიბლიოფილის, დავით დადიანის, და ქარ-  
თველი სამღვდელთა თხოვნით (Цагарели, 1886). 1849 წელს პლა-  
ტონ იოსელიანმა ათონის მთაზე ყოფნისას მოკლედ აღწერა 39  
ხელნაწერი (იხ. ხელნაწერი: 63/2, S-3061).

<sup>2</sup> ცაგარელთან და მარისტან აღწერილია 50-ე ნომრის ქვეშ.

**ფურცელთა რაოდენობა:** 382.<sup>1</sup>

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** აქვს გვიანდელი რვეულებრივი აღრიცხვა ასომთავრულით და არაბული ციფრებით. ეს აღრიცხვები ერთმანეთს არ ემთხვევა. ზოგჯერ ფურცელთა რიგი არეულია. აქვს ყდის საცავი ფურცელი. დაზიანებული (სხვადასხვა დროის), ახალი რესტავრირებული. ნაკლული. ჩამოხეული აქვს მარჯვენა სვეტები ფ.ფ. 51 და 52-ს. ფ.ფ. 242, 307, 368 გაბმითაა დაწერილი. დაუნერეღია 97v-98r, 308r, 309r-v, 373v. ფ. 382 ეკუთვნის სხვა ხელნაწერს. ყოველ თხზულებასთან დასმულია რიგითი ნომერი (ძველი და ახალი), XVIII ს-ში ხელმეორედ გაკეთებული. ძველი იწყება ლზ რიცხვით, ახალი ბ-თი. ძველი რიგითი ნომერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს კრებული გაგრძელებაა რომელიღაც კრებულისა და იგი წარმოადგენს დიდი კრებულის მეორე ნაწილს. ხელნაწერი დაშლილი ყოფილა. შეუკინძავთ და შეუვსიათ XVIII ს-ში. რესტავრაციის დროს ზემო კიდეებზე გაუკეთებიათ ქუდები. აქვს ჭვირნიშანი.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 147r-181v.

**საწერი მასალა:** ქალალდი; გაყვითლებული; ყავისფერი ლედერინგადაკრული მუყაოს ყდა, ახალი შეკინძული.

**ფურცლის ზომა:** 38,5X27 სმ.<sup>2</sup>

**ნაწერის ზომა:** 32.5X19 სმ.

**მხატვრული გაფორმება:** 178v-ს კიდეზე შავი ფანქრით დახატულია სასულიერო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი, რომელსაც ქვევით მხედრულად მიწერილი აქვს „ბაგრატი“ (ბაგრატი ტავრომენელი). ნახატიც და წარწერაც გვიანდელია. ასევე, 307v-ზე შავი ფანქრით დახატულ გამოსახულებას აწერია „იოანე მონყალე.“ წარწერა XIX ს. ხელითაა შესრულებული.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 46.

---

<sup>1</sup> თედო ჟორდანიას აღწერილობის მიხედვით, 343 ფურცელი (Жорданія, 1903).

<sup>2</sup> თედო ჟორდანიას აღწერილობის მიხედვით, 38X30 სმ. (იქვე).



**სვეტების რაოდენობა:** 2.

**თითოეული სვეტის ზომა:** 32.5X8,9 სმ.

**სვეტებს შორის მანძილი:** 0.9-დან 1.2 სმ-მდე.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური. სათაურები და დასაწყისები სინგურით. კრებულის ბოლო თხზულება – „დიმიტრის ცხოვრება და წამება“ განსხვავებული (XVI-XVII სს.) ხელითაა დაწერილი. იგი მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი ამ კრებულში. მოგვიანებით (XVII ს-ში) არის შედგენილი ამ წიგნზე დართული ზანდუკიც (380r-381r), რომელიც დაწერილია მხედრულით.

**გადამწერ(ებ)ი:** ეპიფანე (54r, 138v, 141v), იერემია (67v, 100v, 107v, 108v), რუთი (138r), დიმიტრი (310r).

**წინა აღწერილობები:** Жорданія, 1903: 372-377; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... 1985: 118-133.<sup>1</sup>

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 121; გაბიძაშვილი, 2004: 151; კეკელიძე, 1945: გვ. 23-33; კეკელიძე, 1943: 2-16.

---

<sup>1</sup> კრებული A-382 აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ. ეს გამოცემა არის I ტომის IV ნაკვეთი და მოიცავს №№301-400 ხელნაწერთა აღწერილობას.

## „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ნუსხები

„აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტი ორ ხელნაწერ კრებულშია დაცული: Cod. Iviron georg.-21-სა (1030 წ.) და Sin-71-ში (XIII ს.).<sup>1</sup>

### Cod. Iviron georg.-21 (54)<sup>2</sup>

<sup>1</sup> სინას მთის ქართული ხელნაწერების პირველი მკვლევარი არის ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც 1883 წელს რამდენიმე დღით იმყოფებოდა სინაზე და სამი წლის შემდეგ გამოაქვეყნა 93 ხელნაწერის მოკლე აღწერილობა. 1902 წელს სინაზე მივილინებით იმყოფებოდნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მათი აღწერილობები გამოქვეყნდა შესაბამისად 1940 და 1947 წლებში. 1927 წელს ამერიკელი ქართველოლოგი რობერტ ბლეიკიც ეწვია წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკას, მაგრამ აღწერილობა არ გამოუქვეყნებია. 1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციის ფარგლებში ჟერარ გარიტის ხელმძღვანელობით გადაიღეს სინის მთის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, თავად ჟერარ გარიტის აღწერილობა კი 1956 წელს დაიბეჭდა. მასში შევიდა არალიტურგიკული შინაარსის ხელნაწერთა (ჰაგიოგრაფიულის, ჰომილეტიკურის, ასკეტურის, ბიბლიური წიგნების) აღწერილობები. ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ჯავახიშვილი, 1947) არ არის შესული Sin-71 ხელნაწერის აღწერილობა. მასში №40 ხელნაწერი კრებულის აღწერილობას მოსდევს №72 ხელნაწერის აღწერილობა. ელენე მეტრეველის რედაქტორობით 3 ტომად გამოცემული სინური კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... I, 1978; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... II, 1979; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... III, 1987) კი ეთმობა ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერ კრებულებს, როგორცაა: თვენნი, მარხვანი, იადგარები და სხვ.

<sup>2</sup> აღნიშნულ ხელნაწერზე ინფორმაცია მოცემული გვაქვს „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ამავე ნუსხის აღწერის ნაწილში, ამი-

საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში: 218v-237v.

**ანდერძ(ებ)ი (გადამწერის) საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:**

1. „დიდება ღმერთსა, დაინერნეს ეპისტოლენი ესე წი მაკარის თქუმული, თავი ლ (!) ჴელითა უღირსისა და ფრიად ცოდვილისა და სანუნელისა ისაკისითა, ჴლარჩად ჩხრეკისათჳს შემინდვეთ და შრომისათჳს ნუ მწყევთ“ (218v).

2. „დიდება ღმერთსა. ქრისტე, ადიდე წმიდა მამა ეფთჳმე, ამის წიგნისა მთარგმნელი, და მამა გრიგოლ, მომგებელი შვილითურთ სულიერით და ვისცა შრომა თავსუც, ამენ!“ (237v).

3. „ხოლო დაინერა მთასა წმიდასა ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისითა, ჴელითა გლახაკისა და ფრიად ცოდვილისა ისაკისითა მანკანელისათა, მეფობასა ჴრომანოსისა, ოდეს სარკინოზეთს წარვიდა წარმოტყუენვად, ღმერთმან განუმარჯუნ! ქორონიკონი იყო სნ, ამენ! იყავნ! ღმერთმან გარწმუნოს, წმიდანო მამანო, პირველად მოიწსენეთ მამა გრიგოლ წმიდათა ლოცვათა თქუნთა, და მე უცბად ჩხრეკისათჳს შემინდეთ და შრომისათჳს ნუ მწყევთ, ღმერთმან დაგაჯეროს, ესრე ვჴგონებ, თუ ეტრავტი ცუდად არა წარმიგია“ (237v).

**მინაწერები საანალიზო ტექსტის შემცველ ფურცლებზე:** „აითალა“ (233v).

**წინა აღწერილობები:** იხ. „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ამავე ნუსხის აღწერის ნაწილში.

---

ტომ, აქ მხოლოდ საანალიზო ტექსტთან შემხებ ცნობებს წარმოვადგენთ.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1951: 183; კეკელიძე, 1957: 119;<sup>1</sup> კეკელიძე, 1980: 207; გაბიაშვილი, 2004: 124; გაბიაშვილი, 2010: 222.<sup>2</sup>

## Sin-71

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XIII ს.<sup>3</sup>

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** ნმ. ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა (სინას ნახევარკუნძული).

**ფურცელთა რაოდენობა:** 216.<sup>4</sup>

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** ტყავგადაკრული, დაზიანებული ხის ყდა. პირველი ფურცლის უკანა მხარეს მიწერილია ხელნაწერის შინაარსი, შედგენილი არაზუსტად, და ასევეა შესული ალექსანდრე ცაგარლის აღწერილობაში. აქ არის აგრეთვე პერგამენტის ფურცელი (217) სხვა (საგალობლების შემცველი) ხელნაწერიდან, რომლის ორივე გვერდზე დართულია სანოტო ნიშნები. თითოეულ საგალობელს ახლავს ქართული ასოებით დანერილი ბერძნული სიტყვები. წიგნს ერთვის ზანდუკი. თვეთა თანამიმდევრობა არ არის დაცული.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 67v-90v.

**საწერი მასალა:** სქელი, გასანთლული ქალაღი. მუქი ყავისფერი მელანი.

---

<sup>1</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.

<sup>2</sup> აქაც მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული.

<sup>3</sup> XIII-XV სს. (Цагарели, 1889).

<sup>4</sup> 215 (Цагарели, 1889); 217 (კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგი: <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279387156-ms/?sp=3&r=0.171,0.267,0.281,0.121,0> ხელმისაწვდომი იყო 2024 წლის 21 დეკემბერს).

**ფურცლის ზომა:** 24,4X16,4 სმ. (Mapp, 1940); 25X17 სმ. (Garitte, 1956).

**სტრიქონთა რაოდენობა:** 26-28.

**სვეტების რაოდენობა:** 1.

**დამწერლობის ტიპი:** საეკლესიო ნუსხური. ქართული ტექსტების სათაურები სინგურით; სანოტო ნიშნები და ბერძნული ტექსტები, ისევე როგორც მთელი ნაწერი – წითელი სინგურით. 86r გვერდზე განსხვავებული ხელია.

**გადამწერი:** ბასილი და, სავარაუდოდ, გავრილიც.<sup>1</sup> ბერი ათანასე (ქართული ხელნაწერი ნიგნი საზღვარგარეთ... 2018: 87); ბასილი და ათანასე (Цагарели, 1889). 215r-ზე მინაწერში ვკითხულობთ: „ესე მე, ათანასე მალემწერალმან, მონამან წმიდისა ეკატერინესმან, აღვწერე მოსაჴსენებელად მის წმიდისა ყოვლისა მოსწრაფებითა.“ 170r-ზე მინაწერში იკითხება: „წმინდაო იოვანე, მეოხ ეყავ ბასილსა კალიპოსელსა წინაშე წმიდისა სამებისა, ამენ!“<sup>2</sup>

**ზოგადი შენიშვნები:** კორნელი კეკელიძე თხზულებას ძველი სირიულიდან მომდინარედ თვლის (კეკელიძე, 1957). მის შემცველ ნუსხად ასახელებს აგრეთვე Sin.-25-ს;<sup>3</sup> ასევე ფიქრობს

---

<sup>1</sup> მარი შენიშნავს, „არა ათანასეო“ (Mapp, 1940).

<sup>2</sup> ლევან მენაბდე ასახელებს XI საუკუნის შუა წლების მოღვაწე ბასილ თორელყოფილს, რომელმაც 1060 წელს კალიპოსის მონასტერში გადაწერა ოთხთავი (ამჟამად დაცულია ქუთაისის მუზეუმში: K - 76); ამავე საუკუნეში მოღვაწე კალიპოსელთა წინამძღვარ ბასილის, რომლის დავალებით ეფრემ მცირემ თარგმნა „მინა მეგუპტელის წამება“, და ბასილი კალიპოსელს, რომელიც მონაწილეობდა სინას მთის №71 ხელნაწერის გადაწერაში (მენაბდე, 1980: 158-159). მეცნიერთა აზრით, ბასილი კალიპოსისა და მინაწერში მოხსენიებული ბასილის იგივეობის დაშვება კრებულის ანტიოქური ტრადიციის ხელნაწერის მომდინარეობის საშუალებას იძლევა (ქართული ხელნაწერი ნიგნი... 2018: 87).

<sup>3</sup> დასახელებული ხელნაწერი კრებული საანალიზო შრომას არ შეიცავს. მასში შედის მაკარი მეგვიპტელის, ამონას, ანტონის, ამბა მო-

ენრიკო გაბიძაშვილი (გაბიძაშვილი, 2010: 222). ВНГ 15-19 (Garitte, 1956: 220).

**ნინა აღწერილობები:** Цагарели, 1888: 230-231; Цагарели, 1889: 88-89;<sup>1</sup> Мapp, 1940: 205-214;<sup>2</sup> Garitte, 1956: 216-225; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 2018: 86-87.

**ბიბლიოგრაფია:** Мapp, 1903; კეკელიძე, 1957: 119;<sup>3</sup> კეკელიძე, 1980: 207;<sup>4</sup> გარიტი, 1980: 327-333;<sup>5</sup> მენაბდე, 1980: 56; 60; გაბიძაშვილი, 2004: 124.

---

სეს, ეფრემ ასურის, არსენ დიდის ჰომილიები, მამათა სწავლანი, „ვესტათის მარტვილობა.“

<sup>1</sup> ცაგარელი საანალიზო ხელნაწერს წარმოადგენს 77-ე ნომრით (Цагарели, 1886: 83).

<sup>2</sup> 208-211-ე გვერდებზე დაბეჭდილია საანალიზო ტექსტის ნაწილი. კერძოდ, დასაწყისი: „წელსა მეთაშვდმეტესა... კერპთა ზირვად“; 81r და 81v-ს პირველი ნაწილი, 86r-ს ბოლო ნაწილი და 86v-ს პირველი ნაწილი, 87r-ს ბოლო ნაწილი და 87v-ს პირველი ორი სიტყვა; თხზულების დასასრული: „აღესრულა ესეცა კეთილად... მეუღლისა მისისაჲ.“ №71 ხელნაწერის აღწერილობას ნიკო მარის წიგნში ეძღვნება 11 სტრიქონი (გვ. 205). აღწერილობა მოცემულია რუსულად.

<sup>3</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.

<sup>4</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.

<sup>5</sup> ამ სტატიის მიხედვით მხოლოდ ერთგან ასახელებს ხელნაწერ 71-ს კონტექსტში, რომ ის შეიცავს წმ. დიმიტრის სასწაულებს (გვ. 332). სტატიის ფრანგული პუბლიკაცია იხ. Garitte, 1980: 248-254.

## „მენას, ერმოგინესა და ევლრაფის წამების“ ნუსხები

ძველი სამ ხელნაწერ კრებულშია შემონახული: H-341 (XI ს.), A-70 (XIII ს.) და Q-112ა (1801 წ.).

### H-341

**ჟანრი:** კრებული.

**თარიღი:** XI ს.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ფურცელთა რაოდენობა:** 434 (868 გვ.).

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** დაზიანებული, ალაგ-ალაგ დამწვარი და გვერდებმოსხეული (რესტავრირებულია ნაწილობრივ); თავბოლონაკლული. დაუწერელია გვ. 580, 846. ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ორივე ყდაზე ამოტვიფრულია ასომთავრული ხუცურით „ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ“).

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 1r-14v. კ. კეკელიძეს მითითებული აქვს გვერდების მიხედვით: 1-28 (კეკელიძე, 1957: 133).

**საწერი მასალა:** ქალაღდი.

**ფურცლის ზომა:** 33,3-4X38,8X20,2-5 სმ.

**ნაწერის ზომა:** 28,9X14,2-14,6-15,2 სმ.

**ასოს სიმაღლე:** 0,2-0,5-1,2 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 28.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 05-1 სმ.

**სვეტების რაოდენობა:** 1.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური (სათაურები სინგურით) [XI ს.]

**გადამწერი:** იოვანე უცბად მწხრეკალი (გვ. 197, 830).

**ზოგადი შენიშვნები:** BHG 1270. ბერძნული დედანი, რომელიც ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელს (+373 წ.) ეკუთვნის, გამო-

უცემელია. ე. გაბიძაშვილი ასახელებს ხელნაწერებს: cat. Paris 199 (2), 322 (2) და სხვ. (გაბიძაშვილი, 2010: 165).

**წინა აღწერილობები:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის... 1946: 247-252.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 133; კეკელიძე, 1980: 207;<sup>1</sup> გაბიძაშვილი, 2004: 285; გაბიძაშვილი, 2010: 165.

## A-70

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** პირველივე გვერდზე მინაწერი აქვს: „ჩყნე-ს წელსა ეკუთვნის დიდს მცხეთის სობორას“, რომელიც მეორდება სხვა ფურცლებზეც. ჩყნე არის 1855 წელი. როგორც ჩანს, ამ დროისთვის ხელნაწერი კრებული ინახებოდა მცხეთის ტაძარში.

**ჟანრი:** კრებული.

**თარიღი:** XIII ს.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ფურცელთა რაოდენობა:** 534.

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** ფურცლობრივი პაგინაცია. შელახული, განსაკუთრებით პირველი და ბოლო ფურცლები. ხის ტყავგადაკრული ყდა. რესტავრირებულია ძველად. 1 ფ. აღდგენილია XVIII საუკუნეში.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** ხელნაწერთა აღწერილობაში მითითებულია 526r-534v გვერდები, მაგრამ ახალი პაგინაციის მიხედვით, ტექსტი განთავსებულია 446r-454v გვერდებზე. შესულია ბოლო შრომად (ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობაში მითითებულია 35-ე შრომად (ქართულ ხელნა-

---

<sup>1</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.



ნერთა აღწერილობა... 1974: 250), ხოლო ჟორდანის აღწერილობაში – 43-ე შრომად (Жордания, 1903: 71).

**საწერი მასალა:** ქალაღდი; შავი მეღანი.

**ფურცლის ზომა:** 29,5X21 სმ.

**ნაწერის ზომა:** 24,4X16 სმ;

**ასოს სიმაღლე:** 0,2-0,5-0.6 მმ; მთავრულის: 1,3 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 28-29-30.<sup>1</sup>

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 05-0,7 სმ.

**სვეტების რაოდენობა:** 2.

**თითოეული სვეტის ზომა:** 24,4X7,4 სმ.

**სვეტებს შორის მანძილი:** 0,7-1.2 სმ.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური, სათაურები სინგურით.

**გადამწერი:** მახარებელი (257r).

**ზოგადი შენიშვნები:** თხზულება რამდენიმე რედაქციით არსებობს ქართულ ენაზე. ხელნაწერთა აღწერილობაში (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული... 1953: 37. შდრ. კეკელიძე, 1957: 196; მისივე, 1980: 209) მითითებულია, რომ ტექსტი მიჰყვება ქუთაისის მუზეუმის №5 ხელნაწერის პირველ ტექსტს. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, შენიშვნების ნაწილში, აღნიშნულია, რომ ავტორი აღდგენილია კ. კეკელიძის (კეკელიძე, 1957: 8) მიხედვით (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... 1974: 250), თუმცა თ. ჟორდანისაღ ავტორად ათანასე აღექსანდრიელი ჰყავს მითითებული თავის აღწერილობაში (Жордания, 1903: 71).<sup>2</sup>

**წინა აღწერილობები:** Жордания, 1903: 68-71; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... 1974: 243-251.

---

<sup>1</sup> თ. ჟორდანის მხოლოდ 28 აქვს მითითებული (იხ. Описание, 1903: 68).

<sup>2</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ს. სარჯველაძის მოსაზრება წინამდებარე ტომში: გვ.: 17-18, 478, 480.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, 1957: 8, 133; კეკელიძე, 1980: 207;<sup>1</sup> გაბიაშვილი, 2004: 285.

## Q-112ა

**გადანერის ადგილი:** წმ. გიორგის ჩხარის ეკლესია.

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** მთავარმონაშის წმ. გიორგის ჩხარის ეკლესია (Q-112ბ: 69v).

**ჟანრი:** კრებული.

**თარიღი:** 1801 წ. (Q-112ბ: 454).

**თანამედროვე ადგილმდებარეობა:** კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ფურცელთა რაოდენობა:** 446.

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** დაზიანებული (რესტავრირებულია ნაწილობრივ); თავბოლონაკლული. ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა. დაუნერელია გვ. 580, 846.

**საანალიზო ტექსტის ადგილი კრებულში:** 368r-390r.

**საწერი მასალა:** ქალაღდი (მოლურჯო).

**მხატვრული გაფორმება:** მინიატიურა (ღვთისმშობელი ჩვილედი) ნაბეჭდი წიგნიდან – 1v.

**ფურცლის ზომა:** 33,9X21 სმ.

**ნაწერის ზომა:** 19,3X12,5 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 20.

**სვეტების რაოდენობა:** 1.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური, დასაწყისები სინგურით.

**მომკვებელი (დამკვეთი):** სუმეონ იშხნელი (Q-112ბ: 454v).

**გადამწერი:** ოსე გაბაონი ზაქარია მოძღვრის ძე (18r, 65v, 85r; Q-112ბ: 454r, 284v).

---

<sup>1</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.

ნინა აღწერილობები: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის...  
1957: 132-134.

ბიბლიოგრაფია. კეკელიძე, 1980: 207;<sup>1</sup> გაბიძაშვილი, 2004:  
285.

---

<sup>1</sup> მხოლოდ ნაწარმოებია დასახელებული, საანალიზო ხელნაწერი არ მიეთითება.

# კონტაქტები

## „ბაგრატის ცხოვრება და მოქალაქობა“

გვ. 25, 1-2. „ცხოვრება და მოქალაქობა ნმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატ მღვდელთმოდურისა“ – იგულისხმება ნმიდა ბაგრატი (პანკრატი) მღვდელმონაშემ ანტიოქიიდან, ტავრომენიის ეპისკოპოსი.

გვ. 25, 2-3. „ტავრომენელთა ქალაქისა, ჭალაკისა სიკილიისა“ – იგულისხმება იტალიის კუნძულ სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი ტაორმინა.

გვ. 25, 3-4. „რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მონაფემან მისმან“ – ნანარმოების ავტორის ვინაობა მოცემულია სათაურშივე.

გვ. 25, 14-15. „მოდრიკნა ცანი და გარდამოჯდა“ – ციტატა დავითის ერთ-ერთი ფსალმუნის პერიფრაზია, რაც ტექსტში სხვა ადგილასაც გვხვდება: „და მოდრიკნა ცანი და გარდამოჯდა“ (ფს. 17:9).<sup>1</sup>

გვ. 25, 16-17. „მოვიდა ძიებად წარწყმედულისა მის ნათესავისა კაცთაჲსა“ – აღნიშნული სწავლება კარგად არის გადმოცემული დაკარგული ცხვრის იგავში (ლკ. 15:4-7), სადაც მაცხოვარი კეთილი მწყემსის თვისებებსა და მოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. იგავში კეთილი მწყემსი, რომელიც წარწყმედილ, ანუ დაკარგულ ცხვარს ეძებს, მაცხოვარს განასახიერებს, რომელიც დედამიწაზე მოვიდა ადამიანთა გადასარჩენად და კვლავ ღვთის ნიაღში დასაბრუნებლად.

გვ. 26. 5-8. „ხოლო შევიდა რაჲ ქალაქსა ერთსა ჰურიასტანისასა, იხილა მუნ უფალი ჩუენი იესუ ქრისტჳ, ვითარ-იგი ასწავებდა სასუფეველისათჳს ცათაჲსა და იქმოდა საკვრველებათა უაღრეს ბუნებისა“ – ტექსტიდან ჩანს, რომ ბაგრატის მამა ოჯახთან ერთად ისრაელში ქრისტეს მოღვაწეობის პერიოდში

<sup>1</sup> ბიბლიური ციტატების დამონშეებისას ვეყრდნობით ძველი და ახალი აღთქმის კრიტიკული გამოცემების ელექტრონულ ვერსიებს:

<https://www.orthodoxy.ge/tserili/mtskheturi/sarchevi.htm>;

[https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali\\_agtqma/sarchevi.htm](https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/sarchevi.htm)

ჩავიდა, მოისმინა მისი ქადაგებანი და საკუთარი თვალთ  
იხილა მაცხოვრის მიერ აღსრულებული სასწაულები.

გვ. 26, 8-10. **„ჰრწმენა ცოლითურთ და შვილით თვსით და  
ღირს იქმნეს საბანელსა მეორედ შობისასა ბრძანებითა უფლი-  
საათა, ჴელითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა“** – საეკლესიო  
სწავლების მიხედვით, ნათლისღების საიდუმლო მეორე დაბა-  
დებად იწოდება. ბაგრატის ოჯახის წევრებზე ეს საიდუმლო  
პეტრე მოციქულმა აღასრულა, სწორედ მან მონათლა ისინი  
ისრაელში.

გვ. 27, 5-6. **„რომელსა გნებავს ყოველთა კაცთა ცხორე-  
ბაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“** – ციტატა  
მოხმობილია პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლიდან:  
„რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერე-  
ბასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“ (1 ტიმ. 2:4).

გვ. 27, 20. **„გოდოლსა შინა მცირესა“** – წერილობითი  
წყაროების მიხედვით, ტერმინი „გოდოლი“ ადრინდელ ფეო-  
დალურ ხანაში იხმარებოდა, შემდეგ კი კოშკმა ჩაანაცვლა.

გვ. 27-28. **„აღდგა მესამესა დღესა უფალი სიკუდილისაჲ  
და ცხორებისაჲ და ამალღა ზეცად, ვინაჲ-იგი არასადათ განე-  
შორა, და დაჯდა მარჯუენით მამისა და მოუვლინა სული წმიდაჲ  
თვსთა მათ ყოვლადქებულთა მოციქულთა“** – იგულისხმება  
ქრისტეს აღდგომის, მაცხოვრის ზეცად ამალღებისა და სულ-  
თმოფენობის საუფლო დღესასწაულები.

გვ. 30, 26-28. **„იყვენით ებისკოპოსისა თანა და ჰმორჩი-  
ლობით მას ცხორებისათჳს სულთა თქუენთაჲსა“** – წინამ-  
ძღვართა მორჩილებაზე პავლე მოციქული ასევე წერს ებრა-  
ელთა მიმართ ეპისტოლეშიც: „დაემორჩილენით წინამძღუარ-  
თა თქუენთა“ (ებრ. 13:17).

გვ. 31, 6-8. **„ასწავა, რათა გალობდენ ფსალმუნთა დავი-  
თისთა წესითა ფსალმუნთა და კანონთაჲთა“** – საუბარია ისრაე-  
ლის მეფის, დავითის, მიერ დაწერილ 150 ფსალმუნზე, რომე-  
ლიც ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ღვთისმსახურებაში  
აქტიურად გამოიყენება.

გვ. 31, 9. „განუნესა სამწუხროჲ ლოცვაჲ და საცისკროჲ“ – საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით, საღამოს აღესრულება მწუხრის ლოცვა, ხოლო გამთენიისას – ცისკრის ლოცვა.

გვ. 31, 10. „აღსრულება ნმიდათა საიდუმლოთაჲ“ – იგულისხმება ლიტურგიის აღსრულება.

გვ. 31, 11-12. „აღმართებაჲ ჯუარისაჲ“ – ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში რამდენიმე ადგილას გვხვდება ჯვრის აღმართვის ისტორია. ჯვარი ქრისტეს ჯვარცმისთანავე იქცა გამარჯვების სიმბოლოდ. პავლე მოციქული წერს: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა“ (გალ. 6. 14). მრავალი მოწმობის თანახმად, ჯვარი, როგორც იესო ქრისტეს მიერ სამყაროს გამოხსნის იარაღი, ეკლესიის დაარსების დღიდან ქრისტიანთა შორის უდიდესი თაყვანისცემის საგანი იყო. ეკლესიის მამები ამ თაყვანისცემაზე საუბრობენ, როგორც მოციქულთა გარდამოცემაზე, ანუ იმ ტრადიციაზე, რომელსაც დასაბამი თავად მოციქულებმა – ქრისტეს პირველმა მოწაფეებმა დაუდეს.

წმიდა კვიპრიანე კართაგენელის ბიოგრაფის ცნობით, III საუკუნეში ზოგიერთი ქრისტიანი ჯვარს შუბლზე გამოისახავდა. არქეოლოგების მიერ ნაპოვნ III საუკუნის ჭურჭელზე დატანილია ადამიანის სახე ჯვრით შუბლზე. ცნობილია, რომ III საუკუნეში, დიოკლეტიანეს მეფობის დროს, წმიდა მოწამეებს, პროკოპსა და ორესტის, ჯვარი მკერდზე ჰქონდათ გამოსახული. გარდა ამისა, წარმართები ქრისტიანებს დაცინვით ჯვრისთაყვანისმცემლებს უწოდებდნენ. თუმცაღა, მიუხედავად ამისა, ეკლესიის ისტორიაში IV საუკუნემდე არსად გვხვდება ჯვრის აღმართვის ისეთი ისტორია, როგორც ეს იერუსალემში მოხდა, რის შემდეგაც ჯვართამაღლების დღესასწაული დაწესდა.

გვ. 32, 7-9. „ივლტოდეთ, შვილნო, ცრუ წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდინ თქუენდა, ვითარცა ცხოვარნი, და შინაგან არიან მგელ მტაცებელ“ – პეტრე მოციქულის ეს სიტყვები ქრისტეს დარიგების პერიფრაზია, როცა მაცხოვარი თავად პეტრეს და სხვა მოციქულებს მიმართავს და აფრთხი-

ლებს ცრუ წინასწარმეტყველთაგან მომდინარე საფრთხეზე: „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდით თქუენდა სამოსლითა ცხოვართაათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მთ. 7:15).

გვ. 32, 13-14. **„აღასრულა წმიდაჲ ჟამისწირვაჲ“** – იგულისხმება საღვთო ლიტურგია.

გვ. 32, 15-16. **„მომართუ აქა გუჯარი ეკლესიისა“** – მეფისაგან ნაბოძები საბუთის ზოგადი სახელია შუა საუკუნეების საქართველოს დიპლომატიკაში.

გვ. 32-33. **„მოუწოდა იოსებს მხატვარსა“** – საინტერესოა, რომ ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, პირველი ხატის დაწერის ისტორია დაკავშირებულია ლუკა მხარებელთან და I საუკუნეში სხვა ხატმწერის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. აღნიშნულ „ცხოვრებაში“ კი გვხვდება ცნობა I საუკუნეში დაწერილი მაცხოვრის ხატის შესახებ: „გამომიხატე აქა ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რაათა იხილონ ერთა სახლს განკაცებისა მისისაჲ“, და მოხსენიებულია ხატმწერი იოსები, თუმცა სხვაგან მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ. 33, 7-9. **„გამოხატე, შვილო, ჩემიცა ხატი და ძმისა ამის ჩუენისა ბაგრატისი, რაათა იტყოდინ ამისა შემდგომად საწსენებელად“** – პეტრე მოციქული იოსებ მხატვარს თავისი თავის და ბაგრატის გამოსახვასაც ავალებს. შემდგომში კი ტექსტიდან ჩანს, რომ მხატვარმა პეტრე მოციქულის დავალებით მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების სხვა სცენების ხატებზეც შექმნა: „რამეთუ ჳელოვანი იყო მხატვარი იგი, რომელმანცა ყოველივე გამოსახა კეთილად.“ I საუკუნეში ხატების შექმნის მსგავსი ისტორია საეკლესიო ისტორიისთვის უცნობი ფაქტია.

გვ. 33, 18-19. **„ანგელოზმან „გიხაროდენი“ უღალადა ქალწულსა მარიამს“** – იგულისხმება თორმეტთაგან ერთ-ერთი ხარების დღესასწაული (აღინიშნება ახ. სტ. 7 აპრილს).

გვ. 34, 13-15. **„გლახაკ და დავრდომილ ვარ. მოიხილე სიმდაბლესა ზედა ჩემსა, რამეთუ შენდა მოვილტვი“** – ნანი-



ლობრივი პერიფრაზია ფსალმუნისა: „გლახაკ და დავრდომილ ვარი მე; ღმერთო, მაცხოვარებაჲ შენი შემენიენ მე“ (ფს. 68:30).

გვ. 36, 24-26; 37, 1-2. **„მაშინ პავლე აღდგა შორის და ეტყოდა პეტრეს და სხუათა მოციქულთა, რომელნიცა პოვნა ათორმეტთაგანნი: „ვიდრემდის არა აკურთხევთ ეპისკოპოსად მონაფეთა მაგათგან, რომელნი შეგიდგან თქუნ, და წარავლინებთ კერძოთა დასავალისათა, არამედ ყოველნი თქუნ თანა გიპყრიან“** – პავლე მოციქული ქრისტეს 12 მოციქულს მოუწოდებს, რომ თავიანთი მონაფეები ეპისკოპოსებად აკურთხონ და საქადაგებლად გაგზავნონ. საეკლესიო ისტორიაში ეს ფაქტი სიახლეა.

გვ. 37, 5. **„კერძოთა შრომისა და აფრიკეთისასა“** – იგულისხმება რომის უძველესი იმპერიის დედაქალაქი და აფრიკის კონტინენტი.

გვ. 37, 14. **„წარვიდა პალიას“** – სხვა ნუსხებში ამ ადგილას წერია გალიაც (B) და გალილიაც (CD). გალია და გალილეა სხვადასხვა ტოპონიმებია: გალია რომის იმპერიის პროვინციაა მის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო გალილეა – ბიბლიური რეგიონი, რომელიც მდებარეობს თანამედროვე ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში. პალია შეიძლება იყოს გალიას დამახინჯებული ფორმა.

გვ. 37, 19-21. **„მოუწოდა წმიდამან მოციქულმან პეტრე ყოველთავე ხუცესთა და დიაკონთა და ნეტარსა პავლეს. და წინაშე მათსა დასდვა ჯელი და მისცა კურთხევაჲ ეპისკოპოსობისაჲ“** – სასულიერო იერარქია სამ საფეხურად იყოფა: დიაკვანი, მღვდელი და ეპისკოპოსი. სასულიერო პირად კურთხევას თავდაპირველად აღასრულებდნენ მოციქულები და შემდეგ უკვე მათ მიერ ნაკურთხი ეპისკოპოსები. ეპისკოპოსი მაღალი იერარქიის სასულიერო პირია და მხოლოდ ის აკურთხებს მღვდელსა და დიაკვანს, ხოლო ეპისკოპოსის კურთხევას მიწიუმ 2 ან 3 ეპისკოპოსი სჭირდება.

გვ. 38, 3-4 **„სვრაკუსით“** – იგულისხმება სირაკუზა.

გვ. 39, 11-18. „გამოჩნდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმერთისაჲ, რომელი-იგი ღმერთი იყო ჭეშმარიტი და უცვალელებლად თვისსა ბუნებისაგან ჩუენი ესე ბუნებაჲ მიიღო. და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა... ვითარცა სრული ღმერთი და სრული კაცი“ – პეტრე მოციქულის აღნიშნულ ქადაგებაში გადმოცემულია ქრისტოლოგიური სწავლების ძირითადი არსი იმის შესახებ, რომ იესო ქრისტე არის სრული ღმერთი და სრული კაცი. ამ სწავლების გადმოცემას მიეძღვნა მესამე და მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებები, სადაც დაგმობილ იქნა ნესტორიანელობა და მონოფიზიტობა.

გვ. 40, 14- „ჭეშმარიტად წარმართთა ზედა მოვიდა კურთხევაჲ ქრისტესი“ // გვ. 41, 15-16. „გინა ჰურიანი, გინა წარმართნი, ყოველთა შეიწყნარებს“ – ტექსტში მოცემულ ამ ორ მონაკვეთში პეტრე მოციქული ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანობაზე, როგორც საყოველთაო რელიგიაზე, განსხვავებით ძველალექსიკონური იუდაიზმისგან, რომელიც ერთი ერის, ებრაელების, რელიგიად ითვლებოდა. წარმართების გაქრისტიანების ისტორიაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „საქმე მოციქულთა“-ს ბიბლიურ წიგნში, სადაც პეტრე მოციქული ნათლავს რომაელ ასისტავს, კორნელიუსს (საქ. 10).

გვ. 41, 1-2. „ვითარცა-იგი პირველ პატივსცეს ჳზოჲსა თავსა მას“ – იგულისხმება ებრაელების მიერ უდაბნოში ოქროს ხბოს თაყვანისცემა, როცა მოსე მთაზე იყო ასული და ღმერთს ესაუბრებოდა (გამოს. 32:1-6).

გვ. 42, 22-23. „მრავლითა წყალობითა არარაჲსაგან ყოველივე არსად მოიყვანა და ქმნა დასაბამად ცაჲ და ქუეყანაჲ“ – აღნიშნული მონაკვეთიდან პეტრე მოციქული გადმოსცემს სამყაროს შექმნისა და პირველი ადამიანების (ადამი, ევა, კაენი, აბელი და მათი შთამომავლები) ისტორიას. ეს სწავლება ეფუძნება ბიბლიის პირველ წიგნს „შესაქმეს“ ანუ „დაბადებას“, რომლის ავტორიც არის მოსე წინასწარმეტყველი.

გვ. 44, 9-13. „დაუტევეს ბუნებითი იგი წესი ღმერთთაჲ და მამანი მამათა თანა სირცხვლსა მას იქმოდეს და ღმერთი სრუ-

**ლიად დაივიწყეს. ამისთვისცა აღჰმართნეს კერპნი უსულონი ძელისა და ქვისანი**“ – აღნიშნული მონაკვეთი ეხმიანება პავლე მოციქულის სწავლებას რომაელთა მიმართ ეპისტოლეში სოდომური ცოდვის სიმძიმისა და კერპთაყვანისცემის შესახებ, სადაც წერს: „რომელთა-იგი გარდაცვალებს ჭეშმარიტებად ღმრთისად სიცრუვედ და პატივის-სცემდეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა და არა დამბადებელსა, რომელი-იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ამინ. ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა მათთა გარდაცვალებს ბუნებისა იგი წესი არა-ბუნებად. ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათად, განჭურდეს გულის თქუმითა მათითა ურთიერთარს. მამანი მამათა თანა სარცხნელსა იქმოდეს, და კუალად-საგებელი იგი, რომელ ჯერარნ საცთურისა მათისად, ურთიერთას მიიღიან“ (რომ. 1:25-27).

გვ. 44, 15-18. **„მოავლინა წყლითრღუნა და აწოცა ყოველი ნათესავი კაცთად. და ერთი ხოლო კაცი პოვა ნათესავსა მას შინა, სახელით ნოე, რომელსაცა უბრძანა ქმნად კიდობანი ძელთად“** – საუბარია მსოფლიო წარღვნასა და მამამთავარ ნოეზე, რომელმაც კიდობანი ააგო. წარღვნას, ნოეს გარდა, შვიდი ადამიანი გადაურჩა (დაბ. 6:7-8:20).

გვ. 44, 21-23. **„გამოვიდა რაჲ ქუეყანად მართალი იგი, კუალად იწყო ეშმაკმან თვსთა მახეთა განფენად და პირველად ძჴ მართლისად მის ყო შემსმენელ მისა“** – საუბარია ნოეს ერთერთ შვილზე – ქამზე.

გვ. 45, 2. **„მისნობასა და მუცლითმეზღაპრებასა“** – იგულისხმება ცრუ წინასწარმეტყველება.

გვ. 45, 11-14. **„აბრაჰამ მართალი... ამისთვისცა მოსცა ღმერთმან შვილი ჟამსა სიბერისასა“** – საუბარია მამამთავარ აბრაამსა და მის შვილ ისააკზე.

გვ. 45, 16-21. **„და უბრძანა საყუარელისა მის შვილისა დაკლვად და შეწირვად მისა... უბრძანა აბრაჰამს ვერძისა მის დაკლვად და არა ისაკისა“** – აღნიშნული ისტორია ბიბლიის პირველი წიგნის – „დაბადების“ ნაწილია. (დაბ. 22:1-13).

გვ. 46, 1-3. „ისაკისგან იშვა იაკობი და მისგან ათორმეტნი ძენი. და შთავიდეს იგინი ეგვიპტედ იოსების თანა და ფრიად განმრავლდეს მუნ“ – საუბარია აბრაამის ძე ისაკზე და ისაკის ძე იაკობზე, რომელსაც ღმერთმა ისრაელი უწოდა. იაკობს ჰყავდა 12 ვაჟი, აქედან ერთ-ერთი, იოსები, ძმებმა გაყიდეს. იოსები აღმოჩნდა ეგვიპტეში და ფარაონის შემდეგ პირველი კაცი გახდა. როცა ქვეყანაში, სადაც იაკობის ოჯახი ცხოვრობდა, შიმშილობა ჩამოვარდა, ოჯახს ეგვიპტეში მოუწია გადასახლება, სადაც მათ იოსებმა გაუწია მასპინძლობა. ისრაელის, ანუ იაკობის, შთამომავლობა ერად ეგვიპტეში ჩამოყალიბდა. ეს ისტორიაც ბიბლიის პირველ წიგნშია გადმოცემული (დაბ. 37-50).

გვ. 46, 3-7. „გამოიყვანნა იგინი ღმერთმან ჴელითა მტკიცითა და მკლავითა მალლითა მოსეს მიერ და აჰრონისა. და წილვლეს ზლუაჲ მენამული და უდაბნოჲ იგი დიდი. და მერმე ისუჲს მიერ ნავესისა შემოიყვანნა იგი ქუეყანასა მას აღთქუმისასა“ – საუბარია მოსეს მიერ ეგვიპტიდან ებრაელების გამოყვანასა და ქანაანის მიწაზე დაბრუნების შესახებ. ეს ისტორია მოთხრობილია ბიბლიის რიგით მეორე წიგნში, რომელსაც ჰქვია „გამოსლვათაჲ.“

გვ. 46, 5. „წილვლეს ზლუაჲ მენამული“ – იგულისხმება წითელი ზღვა.

გვ. 46, 7-12. „ვიდრემდის აღადგინა ღმერთმან დავით, კაცი იგი გულითადი მისი. და შემდგომითი-შემდგომად წინანარმეტყუელნი და მართალნი და ესე ყოველნი მართალნი: აბელ, სეით, ენოს, ენუქ, ნოე, აბრაჰამ, ისაკ, იაკობ, იოსებ, მოსე, აჰრონ, ისუ, დავით და სხუანი წინანარმეტყუელნი“ – ჩამოთვლილია ძველალექსიკონური მოღვაწეები, წმიდა მამამთავრები და წინანარმეტყველები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ებრაელი ერის ცხოვრებაში. ქრისტიანულ სამყაროში ისინი არიან რწმენის, ღმერთის ერთგულებისა და ადამიანებზე მზრუნველობის ნათელი მაგალითები.

გვ. 46, 12-14. „მადლითა სულისა წმიდისაჲთა მოასწავებდეს და ქადაგებდეს მოსლვასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს-

სა“ – საუბარია ქრისტეს განკაცებაზე, რასაც ძველათქმისეული მოღვაწეები წინასწარმეტყველებდნენ.

გვ. 46, 14-15. „**მოვიდა აღსასრულსა ჟამთასა მოძიებად წარწყმედულისა მის ნათესავისა კაცთაჲსა**“ – ანუ, აღესრულა ქრისტეს მოლოდინის ჟამი და იშვა მხსნელი, მესია, ადამიანთა გადასარჩენად.

გვ. 46, 23-26; 47, 1-3. „**ნებისთ თავსიდვა ჩუენთვის, რაჲთა წყლულებითა მისითა განმკურნნეს ჩუენ. ჯუარს ეცუა და მოკუდა ბუნებითა მით კაცობრივ ჳორცთაჲთა, ხოლო ღმრთაებითა უვნებელ და უკუდავ არს. დაეფლა სამარესა და წარმოტყუენა ჯოჯოხეთი, აღდგა მესამესა დღესა განუხრწნელად და თანა აღადგინა ბუნებაჲ ჩუენი, დაძუელებული ჯოჯოხეთის შინა**“ – აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემულია ქრისტოლოგიური და სოტეროლოგიური სწავლების ძირითადი არსი, კერძოდ: ქრისტეს პიროვნება არის ორი ბუნების მქონე: ის არის ღმერთი და, ამავე დროს, არის უცოდველი ადამიანი. მან, როგორც ადამიანმა, ჯვარცმისას განიცადა ტკივილი და სიკვდილი, ხოლო მისი ღვთაებრივი ბუნება დარჩა უვნებელი და უკვდავი. ქრისტეს განკაცების მიზანი ადამიანების ხსნა იყო. სწორედ ამიტომ, ჯვარცმული მაცხოვარი სულით ჩადის ჯოჯოხეთში, ამარცხებს ეშმაკის მეუფებას და მესამე დღეს მკვდრეთით აღმდგარი ათავისუფლებს ეშმაკის ტყვეობაში მყოფ იმ ადამიანების სულებს, ვინც მას საუკუნეების განმავლობაში ელოდებოდნენ.

გვ. 47, 9-10. „**მოსლვად არს კუალად განსჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად კაცად-კაცადისა საქმეთა მათთაებრ**“ – აქ საუბარია ქრისტეს მეორედ მოსვლასა და საშინელ სამსჯავროზე.

გვ. 47, 21-22. „**ნუ სცნობს მარჯუენჴ შენი, რომელსა ჰყოფდეს მარცხენე შენი**“ – უფლის სიტყვების ციტირებაა მათეს სახარებიდან, კერძოდ: „ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობნ მარცხენაჲ შენი, რასა იქმოდის მარჯუენაჲ შენი“ (მთ. 6:3).

გვ. 48, 7-8. **„იღძებდით და ილოცევდით“** – ქრისტეს სიტყვების ზუსტი ციტირებაა (მთ. 26:41).

გვ. 49, 5-6. **„ითხოოს ყოველთათვის შენდობაჲ, ვითარცა მოსე ჰყოფდა ერისა მისთვის“** – მოხსენიებულია ძველათქმისეული ამბავი, როდესაც მოსე წინასწარმეტყველმა უფალს შემცოდე ებრაელი ერის შეწყალება სთხოვა და მისი ლოცვის შედეგად უფალმა შეინყალა ის, კერძოდ: „და იყო ხვალისაგან და ჰრქუა მოსე ერსა მას: თქვენ სცოდეთ ცოდვა დიდი და ან აღვიდე მე ღმრთისა, რათა გილხინოს ცოდვათა თქუენთათვის. მიაქცია მოსე უფლისა და ჰრქუა: გევედრები, უფალო, ცოდა ერმან ამან ცოდვა დიდი და იქმნეს თავისა თვისისა კერპნი ოქროსანი და ან მი-თუ-უტევებ ცოდვათა მათა, მიუტევენ. უკუეთუ არა, აღმწოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე. და ჰრქუა უფალმან მოსეს: რომელმან ცოდა, აღვწოცე იგი წიგნისაგან ჩემისა. ხოლო ან ვიდოდე და წარუძედუ ერსა მაგას ადგილსა მას, რომელსა გარქუ შენ. აჰა, ესერა, ანგელოზი ჩემი წარგიძღვეს წინაშე პირსა შენსა, რომელსა დღესა მოვხედო, მოვწადო მათ ზედა ცოდვა მათი“ (გამოს. 32:30-34).

გვ. 50, 4-7. **„მე, პეტრე, ვჰკითხე შიშით უფალსა ჩემსა იესუს ქრისტეს ძმათათვის: „უკუეთუ შემცოდოს მე ძმამან ჩემმან ვიდრე შვდგზის, შეუნდოა?“ და მრქუა მე უფალმან: „არა გეტყვ შენ შვდგზის, არამედ სამეოცდაათ შვდგზის“** – სახარებისეული ტექსტის ციტირებაა: „მოუწდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ-გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შვდ-გზისამდეა? ჰრქუა მას იესუ: არ გეტყვ შენ ვიდრე შვდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შვდ-გზის“ (მთ. 18:21-22).

გვ. 50, 18. **„ხარებაჲ გაბრიელისი ქალწულისა მიმართ“** – იგულისხმება მთავარანგელოზი გაბრიელი, რომელმაც ღვთისმშობელს იესო ქრისტეს შობა ახარა.

გვ. 51, 9. **„ბარძიმი-ფეშხუმი“** – ბარძიმი მაღალფეხიანი სასმისია, რომელიც იხმარება ლიტურგიაზე ზიარებისთვის. სიმბოლური მნიშვნელობით, ის განასახიერებს იესო ქრისტეს სასმისს საიდუმლო სერობაზე. **ფეშხუმი** დაბალფეხიანი თევ-

შია, რომელიც გამოიყენება ღვთისმსახურების დროს ბარძიმთან ერთად. ლიტურგიის დროს ფეშხუმზე დააბრძანებენ ტარიგს და ნაკვეთ სეფისკვერს. ფეშხუმი სიმბოლურად აღნიშნავს ბეთლემის ბაგას.

გვ. 51, 24. **„რომელსა ფალკონ ეწოდების“** – ტექსტის მიხედვით, ამ ადგილას იყო აღმართული ფალკონის კერპი და ეწოდებოდა ფალკონი.

გვ. 52, 2-4. **„მტილი ფალკონილასი, დედისა ფალკონისი, ასულის წულისა მენიასი, ტავროს ცოლისაჲ“** – იგულისხმება მითოლოგიური პერსონაჟები, რომლებიც წარმართულ ღვთაებებად აქცია ხალხმა. მათ წინაშე კერპთმსახურება აღესრულებოდა.

გვ. 56, 10-11. **„უპყართ ყრუსა მას და უსულოსა ფალკონს და შთაადეთ ზღუასა“** – საინტერესოა, რომ ღორების კოლტი, რომელშიც ღაღარინელი ეშმაკეულისგან გამოდევნილი ეშმაკები შევიდნენ, კლდიდან ზღვაში გადაცვივდნენ (მთ. 8:28-34).

გვ. 57, 22-23. **„იწყო კითხვად მისა ასიისათს და ლაკედემონისა და კერძოთათს აღმოსავალისათა“** – აღნიშნული სახელწოდების ადგილი ასევე გვხვდება „საქმე მოციქულთას“ წიგნში, როგორც მოციქულთა სამოღვაწეო არეალი: „დაყენებულ იქმნეს სულისა მიერ წმიდისა სიტყუად სიტყუსა მის ასიას შინა“ (საქ. 16:6); „და მის თანა ჰყვანდეს ვიდრე ასიადმდე სოსიპატრე პვრესი“ (საქ. 20:4). იგულისხმება აზია. ლაკედემონი კი იგივე სპარტაა.

გვ. 63, 5-6. **„განვკრდით, რამეთუ ვხედვდით მათ, ვითარცა ცეცხლითა შემოსილთა“** – იგულისხმება მოციქულები, რომლებიც თითქოს ცეცხლით იყვნენ შემოსილები. მსგავსი ნათლით იყო შემოსილი ძველ აღთქმაში მოსე წინასწარმეტყველი; ფერისცვალების დროს თავად მაცხოვარმა იესო ქრისტემ იცვალა ფერი. ეკლესიის ისტორიაში რამდენიმე ასეთი ფაქტია გადმოცემული, მაგალითად, წმიდა შიო მღვიმელის, წმიდა სერაფიმე საროველის ისტორიები და სხვა. ანალოგიური ფაქტი დასტურდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც.“ საეკლესიო სწავლებით, ეს საღვთო ძალის, სულიწ-

მიდის მადლის მოქმედების შედეგია, როდესაც წმიდანები, რომლებმაც სულიწმიდის მადლი მოიხვეჭეს, ამ საღვთო ნათლით გაბრწყინდებიან, ზოგჯერ ცეცხლის ან ნათლის სახით.

გვ. 63, 18. **„რათა ცხორება საუკუნო მოგცეთ“** – იგულისხმება მარადიული, ნეტარი ცხოვრება ღმერთთან, ზეციურ სასუფეველში.

გვ. 64, 3-4. **„ბრმათა აღ(ი)ხილეს, მკელობელნი ვიდოდეს, კეთროვანნი განწმდებოდეს“** – ქრისტეს სიტყვების ოდნავ შემოკლებული პერიფრაზია: „ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან და ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების“ (მთ. 11:5).

გვ. 65, 14-16. **„არა მოგვლებიეს სული მოშიშებისაჲ, არცა ვძრნით უცნებათაგან საეშმაკოთა, რამეთუ შეგვმოსიეს მადლი სულისა წმიდისაჲ“** – პერიფრაზია პავლე მოციქულის ეპისტოლესი: „რამეთუ არა მიგიღებიეს სული იგი მონებისაჲ, რათამცა კუალად გეშინოდა, არამედ მიგიღებიეს სული იგი შვილებისაჲ“ (რომ. 8:15).

გვ. 66, 20-21. **„მადლი შევწირე უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესა, რომელმან ყვის საკვრველი მხოლომან“** – დავითის ფსალმუნის პერიფრაზია: „შენ ხარ ღმერთი, რომელმან ჰყვი საკვირველი“ (ფს. 76:14).

გვ. 68, 2. **„ველსა მას სიმონიდისასა“** – საუბარია ფალკონის საკერპოს მახლობლად მდებარე ადგილზე.

გვ. 69, 18-22. **„დიდება შენდა, უფალო იესუ ქრისტე, სიტყუაო თანაარსო მამისაო, მხოლოდშობილო, თანადაუსაბამოო, რომელმან ჯერიჩინე ჯორცთა შესხმაჲ უქცეველად და უცვალებელად, რათა განაღმრთო ბუნებაჲ ჩუენი, დაბნელებული ცოდვითა“** – აღნიშნულ ლოცვაში გადმოცემულია მართლმადიდებლური სწავლება ძე ღმერთის მამა ღმერთთან თანასწორობის, მისი მარადიულობის შესახებ. ამ საკითხს მიეძღვნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს. აქ გაჟღერდა ტექსტში გამოყენებული ტერმინი „თანაარსი“ (ὁμοῦστος), როგორც მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ერთარსობის, თანას-



ნორობისა და თანამარადიულობის გამომხატველი, რასაც უარყოფდა მწვალბელი არიოზი (რომლის ცრუ სწავლებაც დაგმო 325 წელს მოწვეულმა კრებამ). აღნიშნული ტერმინი ანტიკურ ტექსტებშიც გამოიყენებოდა. ის გვხვდება სხვადასხვა ქრისტიან მწერალთან, მაგალითად, პავლე სამოსატელი მას იყენებს მამა ღმერთისა და ძე ღმერთის ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად, თუმცაღა ის არამართებულ სწავლებას ქადაგებდა. შეიძლება ითქვას, რომ პირველ მსოფლიო კრებამდე ტერმინის ამ გაგებით გამოყენების წერილობითი მტკიცებულება არცერთ ქრისტიანულ ძეგლში არ მოგვეპოვება. აქვეა გადმოცემული ქრისტეს განკაცების შესახებ სწავლება: **უქცევლად და უცვალბელად**, რომელიც მესამე და მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებების მოწვევის მიზეზი გახდა. ამ სწავლების მიხედვით, ორი ბუნების მქონე განკაცებული ღმერთის არცერთი ბუნება არ შეცვლილა: კაცობრივი არ გარდაქმნილა ღვთაებრივად და პირიქით – ღვთაებრივი კაცობრივად, ორივე შეუცვლელად იქნა შენარჩუნებული. აქვეა საუბარი ძე ღმერთის განკაცების მიზნის შესახებ და აღნიშნულია, რომ ეს უდიდესი მოვლენა ადამიანების განღმრთობას, მათ ღმერთთან დაბრუნებასა და ცოდვებისგან გამოხსნას ემსახურება.

გვ. 69-70. **„განაახლე მათ შორის სული შენი წმიდაჲ, სული იგი ძლიერებისაჲ, სული სიბრძნისა და მეცნიერებისაჲ“** – აღნიშნული მონაკვეთი ესაია წინასწარმეტყველის იმ სიტყვების პერიფრაზირებას გვთავაზობს, რომელიც ღვთისგან ადამიანებისთვის გადაცემულ სულიწმიდის ნიჭებს ეხება: „და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა“ (ეს. 11:2).

გვ. 70, 8-12. **„შენ გიგალობენ ერნი ყოველნი, ძალნი ცათანი და ჩუენ უღირსნი ესე მონანი შენნი. პატივსა და თაყუანისცემასა და დიდებისმეტყუელებასა შევსწირავთ შენდა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ!“** – მსგავსი სამღვდლო ასამაღლებელი ლოცვა

გვხვდება დიდი ცისკრის მსახურებაზე მეცხრე გალობის შემდეგ არსებული კვერექსის დროს: „შენ გიგალობენ ყოველნი ძალნი ცათანი და შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

გვ. 70, 13-19. **„აღასრულა რაჲ ლოცვაჲ ესე, მოვიდა ჩუენდავე. და იყო პირი მისი, ვითარცა ცეცხლი, სავსე მადლითა სულისა წმიდისაჲთა... დავსხედით და განტეხა პური და მომცა ჩუენ და მივიღეთ იგი მადლობითა ღმრთისაჲთა“** – აქ საუბარია სულიწმიდის მადლის მოქმედების გარეგნულ გამოვლინებაზე, რაც წინ უკვე განვმარტეთ, ასევე ლიტურგიის აღსრულებასა და წმიდა ზიარების მიღებაზე.

გვ. 71, 21-23. **„უგალობ და ვადიდებ ყოვლადპატიოსანსა და დიდად შუენიერსა სახელსა შენსა“** – მსგავსი სამღვდელო ასამაღლებელი ლოცვა გვხვდება წმიდა ლიტურგიაზე: „და მომეც ჩვენ, უფალო, ერთითა პირითა და ერთითა გულითა, დიდებად და გალობად ყოვლად პატიოსანსა და დიდად შუენიერსა სახელსა შენსა...“

გვ. 72, 24-25. **„აღვასრულეთ გალობაჲ სერობისაჲ“** – საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით, საღამოს აღესრულება სერობის ლოცვითი მსახურება.

გვ. 73, 1-2. **„სამწმიდა არსობისა დიდებისმეტყუელებასა“** – იგულისხმება ყოვლადწმიდა სამების განსადიდებელი ლოცვა: „წმიდაო ღმერთო...“

გვ. 73, 16-19. **„ოდეს-იგი ემოსა სამღვდლოჲ იგი სამოსელი ნეტარსა მას, ცეცხლსა ხედვიდა გარემოჲს მისსა, ვიდრეღავერ გუეძლო მიხედვად პირსა მისსა“** – საუბარია სამღვდელო მადლის გარეგნულ გამოვლინებაზე, რაც ტექსტში სხვა ადგილასაც გვხვდება.

გვ. 74, 16-85, 11. **„უფალმან ჩუენმან ესე ყოველი... რაჲ იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“** – წმიდა ბაგრატის მიერ წარმოთქმულ ქადაგებაში მოკლედ არის გადმოცემული ბიბლიური მოძღვრება, ქადაგებისას ციტირებულია ძველი აღთქმის და ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნი, კერ-

ძოდ: შესაქმე, გამოსვლა, მეფეთა ნიგნები, ისო ნავეს ძე, ესა-  
ია წინასწარმეტყველი, წმიდა სახარება და საქმე მოციქულთა.

გვ. 75, 10-11. **„კაცი იგი პირველქმნული დაადგინა მას  
შინა თანაშემწითურთ მისით“** – იგულისხმება ადამი და ევა.

გვ. 76, 6. **„დაადგინა ქერობინი“** – იგულისხმება ანგე-  
ლოზთა უმაღლესი დასის წარმომადგენელი.

გვ. 85, 26. **„მთისა მის ეტნისა“** – იგულისხმება მოქმედი  
ეულკანი იტალიაში.

გვ. 87, 6-8. **„სლვასა მას ჩუენსა ვარსკულავი ბრწყინვა-  
ლჳ წინა გვძლოდა, ვიდრემდის მივიწინით ქალაქად“** – აქ შეიძ-  
ლება პარალელი გავავლოთ აღმოსავლეთიდან ბეთლემში მი-  
მავალი მოგვების მოგზაურობასთან, რომელთაც, ასევე, ვარ-  
სკულავი მიუძღოდა და აჩვენებდა გზას (მთ. 2:2).

გვ. 89, 6-7. **„რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორე-  
ბად და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ“** – ციტირებაა  
პავლე მოციქულის ეპისტოლიდან (1 ტიმ. 2:4).

გვ. 89, 8-10. **„რათა აღმიშენო საკურთხეველი წმიდაჲ,  
რათა შევსწირვიდე მას ზედა შესაწირავსა დიდებულსა“** – იგუ-  
ლისხმება წმიდა ტრაპეზის აღმართვა და ლიტურგიის აღსრუ-  
ლება.

გვ. 91, 14. **„დღესა მას სატფურებისასა“** – იგულისხმება  
ენკენია, რაც ნიშნავს ტაძრის კურთხევას ან განახლებას.

გვ. 92, 10. **„ტაძარი აღუშენა აპოლონს“** – იგულისხმება  
ხელოვნებისა და სინათლის ღმერთი ძველ ბერძნულ მითო-  
ლოგიაში.

გვ. 92, 20. **„დიოს კერპისასა“** – იგულისხმება ზევსი.

გვ. 96, 4. **„ზევ და სხუანი იგი ღმერთნი“** – იგულისხმება  
ზევსი და სხვა წარმართი ღმერთები.

გვ. 98, 2-3. **„ვხედავთ შენ ზედა მადლსა დიდსა, ნუუკუე  
აპოლონ, ღმერთი იგი ათინელთაჲ, ხარ შენ“** – პავლე და ბარნა-  
ბა მოციქულების ცხოვრებაშიც გვხვდება მსგავსი შემთხვევა,  
როცა წარმართი მოსახლეობა მათ წარმართ ღმერთებად მი-  
იჩნევს: პავლეს – ჰერმესად, ბარნაბას – ზევსად (საქმ. 14:11-  
12). ათინელებში იგულისხმება ათენელები.

გვ. 98, 14-16. **„რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჭდა“** – პერიფრაზია წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლეის (1 კორ. 2:9).

გვ. 98, 19-20. **„ბნელისა გარესენელისა დაღრჭენისა კბილთასა და მატლისა დაუცხრომელისა“** – სახარებისეული პერიფრაზია (მთ. 8. 12).

გვ. 99, 13-14. **„და შეიმოსა სამღდელო კუართი ზენრი-თურთ“** – იგულისხმება მღვდლის საღვთისმსახურო შესამოსე-ლი.

გვ. 100-101. **„რამეთუ შენ შეგიმოსა მან და პირველნი მამანი ჩუენნი სამოთხით გამოყარნა“** – იგულისხმება გველი და მის მიერ ადამისა და ევას ცდუნება, შედეგად კი, მათი სა-მოთხიდან გამოდევნა (დაბ. 3).

გვ. 102, 19-21. **„მისსა თანა დაცვეს ყოველნი ქუეყანად და იქმნა, ვითარცა კოლტი ღორთაჲ მრავალი“** – ღორების კოლტთან პარალელის გავლებისას ავტორი გვახსენებს სახარებისეულ ეპიზოდს, როდესაც მაცხოვარმა ეშმაკეულებისგან გამოდევნილი ეშმაკები ღორის კოლტში შეუშვა (მთ. 8:28-34).

გვ. 104, 4. **„ვიხილეთო ტრედი, ზეცით გარდამომავალი“** – პარალელია გავლებული მაცხოვრის ნათლისღებასთან, რო-დესაც მდინარე იორდანეში სულიწმიდა, ღმერთის ერთ-ერთი ჰიპოსტასი, მტრედის სახით გამოჩნდა (ლკ. 3:22).

გვ. 104, 4-5. **„შთავიდა ემბაზსა“** – ემბაზში, ანუ სანათ-ლავ ჭურჭელში, ნათლისღების საიდუმლო აღესრულება.

გვ. 104, 15-16. **„მკელობელნი, ბრმანი, განრღუეულნი, განჭმელნი, წყლით მანკიერნი და ეშმაკეულნი“** – ავტორი ეხმი-ანება სახარებისეულ თხრობას, სადაც ასევე საუბარია მაც-ხოვრის მიერ აღსრულებულ კურნებებზე (მთ. 11:5).

გვ. 105, 9. **„ტავროს და მენიასთვს“** – სავარაუდოდ, მი-თოლოგიური პერსონაჟებია, რომლებიც ბერძნულ ღვთაებე-ბად იქცნენ. მათ სახელებს უკავშირდება ქალაქ ტაორმინის დაარსება. ტექსტში წერია: „რამეთუ ესრეთ აღწერილ იყო ნიგნებსა მათსა ტავროს და მენიასთვს, რომელთა ქალაქი

იგი აღეშენა“, თუმცა ვერსად მოვიძიეთ ცნობა აღნიშნული ქალაქისა და ლეგენდის ურთიერთკავშირის შესახებ.

გვ. 106, 3-5. **„ნათელილო ქსანთიპოსცა, ბრძენთმთავარ-მან მის ქალაქისამან, რომელსაცა „ონისიფოროე“ უწოდა“** – ტექსტის გარდა, პიროვნების შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ. 106, 15. **„ვჰმსახურებ ირას“** – იგულისხმება ელინური ღვთაება ჰერა.

გვ. 106, 15-16. **„ასულსა დიდისა კრონოზსა“** – იგულისხმება უძველესი ელინური ღვთაება კრონოსი.

გვ. 108, 15-22. **„კურთხეულ ხარ, ღმერთო, რომელმან ჰქმენ ცანი და ქუყყანაჲ... მოედინ უმეტეს პირველისა“** – აღნიშნულ მონაკვეთში გადმოცემულია ქრისტიანული მოძღვრება ძე ღმერთის ორი ბუნებისა და მისი გამომხსნელი ღვანლის შესახებ.

გვ. 109, 13-14. **„ჭიმითა და აღვრითა ღანუნი შენნი გიქცი-ნა“** – ფსალმუნის პერიფრაზია (ფს. 31:9).

გვ. 110, 4-5. **„აკურთხა იგი დედადიაკონად“** – იგივე დიაკონისა. ესენი იყვნენ ეკლესიის მსახური ქალები, რომელთაც საქველმოქმედო და ლიტურგიული საქმიანობა ჰქონდათ მინდობილი, კერძოდ, ისინი მონაწილეობდნენ ქალთა ნათლობასა და მირონცხებაში. განსაკუთრებულ კურთხევასა და ხელდასხმას იღებდნენ ეპისკოპოსისაგან. ადრეულ ეკლესიაში ხშირი იყო დედადიაკონად კურთხევის პრაქტიკა. ამჟამად ის რამდენიმე ადგილობრივ ეკლესიაშიც არსებობს.

გვ. 111, 22-25. **„წინაშე მისა დგანან ათასეულნი და ბევრეულნი ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, საყდარნი უფ(ლ)ებანი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, ძალნი, მრავალთუალნი ქერუბინნი და ექუს-ექუს ფრთენი სერაბინნი“** – ტექსტი პარალელს პოვებს წმიდა იოანე ოქროპირის ლიტურგიაში არსებულ სამღვდელო საიდუმლო ლოცვასთან: „დაღათუ შენსა გარემოს სდგანან ათასეულნი მთავარ-ანგელოზთანი, და ბევრეულნი ანგელოზთანი, ქერუბიმნი და სერაფიმნი, ექუს-ექუს ფრთენი, მრავალთუალნი...“

გვ. 112, 16-18. „სახელები მათი აღწერეთ ეფუძებრთა შინა, სადა-იგი ყოველთა ნათელღებულთა სახელები წერილ იყო“ – იგულისხმება წიგნი, სადაც ნათლობის შემდეგ მონათლულთა სახელებს იწერდნენ.

გვ. 112, 18-19. „ოდეს მსაჯული იგი მართალი ეძიებდეს მწყემსთაგან სულთა მათ“ – იგულისხმება ქრისტეს მეორედ მოსვლა და საშინელი სამსჯავრო.

გვ. 113, 23-25. „მათ დღეთა შინა აღწერა მოციქულმან მათე მის მიერ აღწერილი იგი სახარებაჲ, რომელიცა სულმან წმიდამან მოსცა მას აღწერად“ – სულიწმიდის შთაგონებით, მათე მახარებელმა 4 მახარებელთა შორის ყველაზე ადრე დაწერა სახარება. მისი დაწერის დროდ ევსები კესარიელი მიიჩნევს მე-8 წელს უფლის ამალღებიდან, ანუ ქრისტეს შობიდან 41 წელს, ხოლო წმიდა ირინეოს ლიონელი ვარაუდობს, რომ მათემ სახარება პეტრე და პავლე მოციქულების რომში ქადაგებისას, ანუ პირველი საუკუნის სამოციან წლებში დაწერა.

გვ. 116, 7-8. „შემოკრბა მვედრობაჲ იგი გარემო სოფლებისაგან: წისქლოვანით...“ – სახელწოდება ქართული წარმოშობისაა, სადერივაციო აფიქსის ჩათვლით. სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ეტნის მთის მიმდებარე ერთ-ერთი სოფელი, სადაც ისტორიულად მრავლად იყო ქარისა და წყლის წისქვილები: ზაფერანა, ეტნია, მილო, ბელპასო თუ სხვ.

გვ. 116, 9-10. „ზღვსპირით ტიტოჲსაჲთ და კერძოთაგან ტერმონისათა“ – სავარაუდოდ, „ტიტოს“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ტავრომენის (იმავე ტაორმინის) ახლოს მდებარე ზღვისპირა დასახლება, ხოლო „ტერმონის“ ქვეშ – სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი თერმინი იმერესი.

გვ. 116, 10. „სამხრით აგნენტისა კერძოთაგან“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს დღევანდელი ქალაქი აგნონე სამხრეთ იტალიაში.

გვ. 116, 20. „მთიები განთიადისაჲ“ – იგულისხმება ცისკრის ვარსკვლავი, ანუ პლანეტა ვენერა.

გვ. 117, 10-13. „იყო საკვრველი დიდი, მსგავსი მისი, ოდეს-იგი მოსესზე რჩულსა მოსცემდა ღმერთი ძეთა ისრაჴლისათა, რამეთუ, ვითარცა მუნ ღრუბელი ჰფარვიდა, ეგრეთვე აქა ღრუბელი ნათლისაჲ აგრილობდა ნეტარსა მას“ – საუბარია ძველალექსისეულ მოვლენაზე: ღმერთის მიერ მოსესთვის ათი მცნების მიცემაზე (გამოს. 20:2-18).

გვ. 118, 3. „წმიდაყვენით თავნი თქუენნი სამ დღე“ – პარალელია ძველალექსისეულ მოვლენასთან: როდესაც მოსემ ღვთის რჩევით ათი მცნების მიღებამდე ხალხს სამი დღე სინმინდის დაცვისკენ მოუწოდა (გამოს. 19:10-11).

გვ. 119, 17-18. „განწყვნეს ბრძოლად მათდა ველსა მას ტერენტოჲსასა“ – უნდა იგულისხმებოდეს იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი ტარანტო, რომელიც ასევე გვხვდება ნანარმოებში, და ავტორი (ან მთარგმნელი) მას აქ დამახინჯებულად უნდა იყენებდეს. გამოვრიცხავთ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ტრენტოს, ტრენტინო-ალტო-ადიჯეს რეგიონის დედაქალაქს, რამდენადაც თხზულებაში განვითარებული მოვლენები ჩრდილოეთ იტალიას არ მოიცავს.

გვ. 122, 10. „სკამანდროჲსსა“ – იგულისხმება ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთი სკამანდროსი.

გვ. 124, 17. „ასულნო სიონისანო“ – იგივე სიტყვები წერია ბიბლიაში (ქებ. 3:11).

გვ. 124, 18-20. „ნუმცა რაჲ უკუე განგაშორებს სიყუარულსა მისსა, ნუცა ჭირი, ნუცა იწროებაჲ, ნუცა სატანჯველნი, ნუცათუ სიკუდილი“ – პერიფრაზია პავლე მოციქულის სიტყვებისა: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურვამან ანუ მახვილმან?“ (რომ. 8. 35).

გვ. 125, 11-12. „მონტანელნი, გრძნებისა მოძღუარნი“ – მონტანელები იყვნენ ერთ-ერთი ერესის, მონტანიზმის, მიმდევრები. მწვალებლობის ეს სახე აღმოცენდა ფრიგიაში დაახლოებით II საუკუნეში. მისი დამაარსებელი იყო მონტანი, მაქსიმილასთან და პრისკილასთან ერთად.

გვ. 130, 1-4. **„სიმდიდრე შენი და საუნჯენი შენთანავე იყენედ წარსაწყმედელად, რამეთუ მე საუნჯე წარუპარველი მატუს ცათა შინა და სიმდიდრე წარმავალი არა მივს“** – ბიბლიური პერიფრაზია, რაც ხშირად გვხვდება მონამეთა ცხოვრებაში, როცა ისინი მტარვალთა წინაშე იცავენ ქრისტიანულ აღმსარებლობას. **„ვეცხლი ეგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად“** (საქ. 8:20).

გვ. 130, 23. **„ქრისტე შეგვმოსიეს“** – ნაწყვეტია საგალობლისა, რომელიც ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას იგალობება: **„რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ-გვიღებიეს და ქრისტე შეგვიმოსიეს, ალილუია.“**

გვ. 132-133. **„რამეთუ გვსწავიეს უფლისა იესუ ქრისტესგან არაშეშინებად მათგან, რომელნი ჯორცთა მოაკუდინებენ და სულსა ვერ ველენიფების ვნებად. არამედ მისა ჯერარს შიში, რომელსა ველენიფების სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“** – ციტირებულია მაცხოვრის სიტყვები: **„და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყდენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ველენიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროეს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“** (მთ. 10:28).

გვ. 134, 21-22. **„ყოველნივე იგი დაანთქნა, ვითარცა პირველ მეგვტელნი“** – იგულისხმება ფარაონისა და მისი ჯარის ზღვაში დანთქმის ისტორია, როდესაც ისინი მოსესა და ებრაელებს დაედევნენ მოსაკლავად (გამ. 14:27).

გვ. 135, 14-15. **„უბრძანა აღშენებად ეკლესიისა სამარხო-სა ზედა წმიდათა მათ ქალწულთა მონამეთასა“** – ძველ საეკლესიო ტრადიციაში მონამეთა საფლავებზე აღესრულებოდა ლიტურგია და აგებდნენ ტაძრებს.

გვ. 137, 20-22. **„რამეთუ ღრუბელი იგი ნათლისაჲ ჰფარვიდა წმიდასა მას და ენაჲ იგი ცეცხლისაჲ პირით მისით იხილვებოდა“** – ძველ აღთქმაში მეფე სოლომონის მიერ აგებული ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით წერია: **„ღრუბლითა აღივსო ტაძარი იგი უფლისა...“** (მესამე მეფ. 8:10). ასევე სა-



ინტერესია, რომ სულთმოფენობის დღესასწაულზე თითოეული მოციქულის თავზე ცეცხლოვანი ენები გამოისახა „და ერუენეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა ზედა“ (საქ. 2:3).

გვ. 138, 19-20. **„მკვდრი შინაგან კერძოთა დორაკისათა“** – სხვა ადგილას გვხვდება, როგორც დორაქი. ტექსტის მიხედვით, ეს არის ავარების განსახლების ადგილი. ასეთი დასახლება დღევანდელ თურქეთში, კერძოდ, ბურსას პროვინციაში, მდებარეობს.

გვ. 147, 6. **„ეპისტოლეთაგან მოციქულისა პავლწისათა“** – პავლე მოციქულის ავტორობით ახალ აღთქმაში 14 ეპისტოლეა, აღნიშნულ ადგილას არ არის დაკონკრეტებული, რომელი ეპისტოლე იგულისხმება.

გვ. 147, 11-12. **„კუართი თვისი საღიაკონოჲ“** – იგულისხმება დიაკვნის საღვთისმსახურო შესამოსელი. დიაკვანი მსახურებისას იმოსება სტიქარით, გინგილითა და სამაჯურებით.

გვ. 147, 15. **„იხილნა კაცნი დიდებულნი ცხედარსა მას თანა“** – სავარაუდოდ, იგულისხმება ანგელოზები.

გვ. 148, 1-3. **„უფალმან მოგუცა, უფალმან მიგვლო, იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ უკუნისამდე“** – იოზ მრავალვნიბულის სიტყვების პერიფრაზია (იოზ. 1:21).

გვ. 148, 12-13. **„წარავლინე იგი კერძოთა მათ დორაკინისათა“** – დორაკინი სხვა გეოგრაფიული ადგილია და დორაკი (დორაქი) – სხვა. ტექსტის მიხედვით, დორაკინის მიმართულებით უნდა წასულიყო მღვდელი ონისიფორე. როგორც შემდეგ ირკვევა, მან ჯვორით სამი დღე იარა, შემდეგ კი ღვთის მინიშნებით გაჩერდა. კონკრეტული მიმართულებით გამგზავრება აუცილებლობით არ გულისხმობს ბოლო პუნქტამდე მისვლას. რამდენადაც ნაწარმოების პერსონაჟი საღვთო მინიშნებით გაჩერდა, შესაძლოა, მან დორაკინის მხარემდე ვერც მიაღწია, თუმცა მის სიახლოვეს აუცილებლად იქნებოდა მისული. თუ ვივარაუდებთ, რომ ონისიფორე დღეში გადიოდა დაახლოებით 30-50 კილომეტრს, დანიშნულების ადგილას უნდა ყოფილიყო კუნძულ სიცილიაზე, ქალაქ ტავრომე-

ნიიდან (ტაორმინიდან) 90-150 კილომეტრის რადიუსში. ნა-  
წარმოებიდან ირკვევა, რომ ეს იყო ქალაქ სვირაკუსის მიდა-  
მოები. გამოდის, რომ ეს ტერიტორია კუნძულ სიცილიის სამ-  
ხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ყოფილა. დორაკის შესახებ კო-  
მენტარი იხ. აქვე, კომენტარებში: გვ. 138:19-20.

გვ. 149-150. **„მერმე ჰრქუა მას დედაკაცმან მან, ახალმან  
სომანიტელმან: „იყავ აქა, კაცო ღმრთისაო, და მე მივიდე და მი-  
უთხრა შენტოს ქმარსა ჩემსა და მან წარგიყვანოს სახედ ჩუენ-  
და“** – იგულისხმება ძველალექსისეული სომანელი ქალი, რო-  
მელმაც თავის მეუღლესთან ერთად წინასწარმეტყველ ელი-  
სეს საცხოვრებელი მისცა და მისი ლოცვით ცოლ-ქმარს ვაჟი  
შეეძინა (4 მეფ. 8-17).

გვ. 152, 9-10. **„შეიმოსა სანათლოჲ იგი სამოსელი“** – ეკ-  
ლესიის ისტორიის ადრეულ პერიოდში ნათლობის შემდეგ  
ახალნათელდებულები თეთრი შესამოსლით იმოსებოდნენ,  
რაც ცოდვათა მიტევებას, სინმინდესა და სისპეტაკეს განასა-  
ხიერებდა.

გვ. 153, 23. **„წმიდასა მას სახარებასა“** – ახალი აღთქმის  
წიგნთა კრებულში 4 სახარებაა, მათი ავტორები არიან: მათე,  
მარკოზი, ლუკა და იოანე მახარებლები.

გვ. 155, 2-3. **„ქრისტეს შეაწყნარებთ, ნაზარეველსა?“** –  
იესო ქრისტეს ნაზარეველს ეძახდნენ, რადგანაც ის გალილე-  
ის ქალაქ ნაზარეთში გაიზარდა და ცხოვრობდა 30 წლამდე.

გვ. 155, 18-20 – 156, 6-7. **„შეჰწერწყუეთ მას და არქუთ:  
„ვიჯმნით შენგან, ეშმაკო, და ვჰმონებთ იესუ ქრისტეს, ძესა  
ღმრთისასა“ .... „აღუთქუათა ქრისტესა?“** მიუგეს: **„ჰე, აღგუთქუ-  
ამს.“ ჰრქუა მათ ნეტარმან: „თაყუანის ეცით მას!“** – ეშმაკისგან  
განშორების სიტყვები ნათლისღების საიდუმლოს აღსრულე-  
ბისას წარმოითქმის ნათლობისთვის გამზადებული პირის  
მხრიდან.

გვ. 156, 12. **„მონაო ქრისტესო, კეთილო და სარწმუნოო“**  
– მაცხოვრის მიერ წარმოთქმულ იგავში მოიხსენიება „სახიე-  
რი და კეთილი მონა“ (მთ. 25:23).

გვ. 157, 4-5. „სადაცა იპოვნენ ბრმანი, მკელობელნი, გან-  
რლუეულნი და ყოველნივე ცისად-ცისად გუმულნი“ – სახარე-  
ბისეული სიტყვების პერიფრაზია (მთ. 11:5).

გვ. 157, 5-6. „დასხენით მას ზედა წელნი და ბეჭედი ქრის-  
ტესი გამოსახეთ“ – ადრეულ ეპოქაში ახალნათელდებულებს,  
რომლებიც ქრისტიანთა რიცხვს ემატებოდნენ, მოციქულები  
თავზე ხელს ადებდნენ და ამ მოქმედებით სულიწმიდის ნი-  
ჭებს გადასცემდნენ სულიერ ღვანლში განსამტკიცებლად.  
შემდგომ ეს მოქმედება მირონცხების საიდუმლომ შეცვალა,  
რომლის აღსრულებისას მღვდელი წარმოთქვამს: „ბეჭედი მო-  
ნიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“

გვ. 157, 26-27. „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-  
ტესითა განიკურნენით“ – „საქმე მოციქულთაში“ და წმინდან-  
თა ცხოვრებაში ვხვდებით შემთხვევებს, როცა სნეულებს მო-  
ციქული ან წმინდანი უფლის სახელით კურნავს.

გვ. 158, 2. „მელაფოროთ ვიდრე პეტრონიკემდე“ – „მე-  
ლაფოროს“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს დასახლება კუნძულ  
სიცილიის ქალაქ ტავრომენიიდან (ტაორმინიდან) 90-150 კი-  
ლომეტრის რადიუსში, რომლის გამგებელიც იყო მელაფორი;  
პეტრონიკე კი, შესაძლოა, იყოს დღევანდელი პეტრალია სოპ-  
რანა, კომუნა სიცილიაში.

გვ. 158, 2. „სერტყოვანსა პალატამო მდინარისასა“ – ამ  
სახელწოდების მდინარე დასახელებულ ტერიტორიაზე არ  
იძებნება. ტექსტის მიხედვით, ის ახლოს უნდა ყოფილიყო  
პეტრონიკესთან, სავარაუდოდ, დღევანდელ პეტრალია სოპ-  
რანასთან, სიცილიის ჩრდილოეთით. სიცილიის ერთ-ერთი  
ყველაზე ცნობილი მდინარე ანტიკურ ხანაში არის ჰიმერა  
(Ίμῆρας), რომელიც იყო ორი სხვადასხვა მდინარის სახელი:  
ერთ-ერთი მათგანი ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა. რად-  
განაც ჩრდილოეთ სიცილიაზეა საუბარი, შესაძლოა, ეს იყოს  
Himera Settentrionale.

გვ. 159, 2-3. „შესწირავნ რაჲ უსისხლოსა მას მსხურ-  
პლსა“ – ძველალექსისეული შესაწირისგან განსხვავებით, სა-

დაც სისხლიანი მსხვერპლშენიშვ ადესრულებოდა, ლიტურგია უსისხლო მსხვერპლშენიშვას გულისხმობს.

გვ. 159, 9-10. „ჭალაკსა მელიტეს“ – იგულისხმება დორაკინის ახლოს მდებარე ჭალა.

გვ. 159, 17-18. „ჩუენ ვართ ერნი მისნი და ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი“ – ფსალმუნის პერიფრაზია (ფს. 99:3).

გვ. 159, 19-20. „სყიდულნი პატიოსნითა სისხლითა მისითა“ – იგულისხმება ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით კაცობრიობის ცოდვათა ტყვეობისგან გამოსყიდვა. აღნიშნულზე საუბრობენ მოციქულები (საქ. 20:28; 1 კორ. 6:20; გალ. 3:13).

გვ. 160, 14-15. „დავით წინაწარმეტყუელისაჲ და სიტყუანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი“ – იგულისხმება დავითნი და სახარება.

გვ. 162, 3-6. „წმიდათა მოციქულთა ესრეთ დაგვწყეს, რაჲთა თითოეულსა ეკლესიასა თვისი სამრევლოჲ აქუნდეს. ყოველსავე უკუე ამისთვის გუაუნყე, ვითარცა გნებავს“ – აღნიშნულ აზრს ავითარებს პავლე მოციქული: „... რაჲთა არა სხუასა საფუძველსა ზედა ვაშენებდე“ (რომ. 15:20). წმიდა ეფრემ ასურის განმარტებით, ეს ნიშნავს იმას, რომ არ იქადაგონ იქ, სადაც სხვა მოციქულებმა იქადაგეს.

გვ. 163, 14. „ესე ჳმაჲ სამგზის მესმა“ – პარალელის გაგლება შეიძლება პეტრე მოციქულის ცხოვრების იმ ეპიზოდთან, როცა მას გამოცხადება ჰქონდა და უფალმა სამგზის მოუწოდა (საქ. 10:11-15).

გვ. 166, 10-11. „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“ – როცა უფალი, სახედარზე მჯდომი, დიდებით შევიდა იერუსალიმში, ხალხი ამ სიტყვებით ხვდებოდა მას (მთ. 21:9).

გვ. 167, 20. „მო-რაჲ-ინია ჟამი წმიდა არსის(ა)ჲ“ – იგულისხმება ლიტურგიის საგალობელი: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა, ოსანა მალალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მალალთა შინა!“

გვ. 168, 5-7. „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა“ – ფსალმუნის ციტირებაა (ფს. 103. 4). ამავე ფსალმუნის მუხლს ციტირებს პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (ებრ. 1:7).

გვ. 169, 11. „ეშმაკნი არანმიდანი ლამით უცნებათა იქმოდეს მრავალთა“ – ტექსტში რამდენიმე ადგილას გვხვდება ეშმაკების გამოცხადების ეპიზოდი, როცა ისინი ცდილობენ მორწმუნეების შეშინებას. მსგავსი შემთხვევები ხშირია სხვადასხვა წმინდანის ცხოვრებაში.

გვ. 170, 1. „აღდგომისათვის მკუდართაჲსა“ – იგულისხმება საყოველთაო მკვდრეთით აღდგომა ქრისტეს მეორედ მოსვლისას.

გვ. 171, 5. „ოდეს მიაგებდეს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ“ – მაცხოვრის სიტყვების პერიფრაზია და იგულისხმება საშინელი სამსჯავრო (მთ.16:27).

გვ. 172, 5. „ქუეყანისა მის კალავრიისა“ – იგულისხმება თანამედროვე კალაბრია.

გვ. 173, 15-16. „ზღვთგან ადრიაჲსაჲთ“ – იგულისხმება ადრიატიკის ზღვა.

გვ. 173, 16-17. „ვითარცა შთავალს რიგს ქუეყანამდე, რომელსა ეწოდების მთაჲ პელორი“ – ტექსტის მიხედვით ისე გაიგონა, თითქოს რიგი იგივე პელორის მთაა, მაგრამ ერთზე „ქუეყანა“ წერია, მეორეზე – „მთა.“ სავარაუდოდ, ეს ორი ტოპონიმი ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს უნდა ყოფილიყო განთავსებული. პელორი, შესაძლოა, იყოს იგივე მთა პელორუსი, რომელიც მდებარეობს სიცილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო რიგის ქუეყანა – თანამედროვე ქალაქი იტალიაში – რეჯო-დი-კალაბრია, რომელიც კალაბრიის რეგიონში ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია.

გვ. 173, 17-18. „ძუელი იგი კასტორ და ტრაფეკი“ – სიცილიის ძველ რუკებზე იძებნება კასტელლამარეს ყურე სიცილიის ჩრდილო-დასავლეთით, ტირენიის ზღვაში, ასევე ქალაქი კასტროჯიოვანი სამხრეთ სიცილიაში, რომელსაც 1926 წლის შემდეგ დაერქვა ინა (Enna), მაგრამ კასტორი, სავარაუ-

დოდ, უნდა ყოფილიყო აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ანუ, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ფლობდა რემინდოსი. კასტორთან ახლოს ივარაუდება ტრაფეკის არსებობა.

გვ. 173, 18-19. „**წყალი იგი როაკოვსაჲ და ზღვსპირამდე სალინოვსა**“ – როიკო, სავარაუდოდ, მდინარე უნდა ყოფილიყო აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხოლო სალინო უნდა იყოს ტირენიის ზღვის შემადგენელი ნაწილი, სალინეს (სალერნოს) ყურე.

გვ. 173-174. „**ქალაქამდე ტარანტოვსა**“ – საუბარია იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქზე. ტექსტის მიხედვით, აკვილიანე კალავრიის (დღევანდელი კალაბრიის) ტერიტორიას ფლობდა. ტარანტო არ შედის მის შემადგენლობაში. როგორც ჩანს, აკვილიანეს სამფლობელო სცილდებოდა კალავრიას და იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე აღწევდა.

გვ. 174, 1. „**კონქილე მდინარემდე**“ – ამ დასახელების მდინარე არ იძებნება. ტექსტის მიხედვით, კონქილე ქალაქ ტარანტოს სიახლოვეს მიედინებოდა. შესაძლოა. ეს იყოს მდინარე გრავინას ძველი სახელწოდება.

გვ. 174, 12. „**ნათესავით ქანანელი**“ – ბიბლიური პერსონაჟის, ქამის, ვაჟი იყო ქანანის, რომლის შთამომავლებსაც ეწოდათ ქანანელები. ეს ხალხი ცხოვრობდა პალესტინის ტერიტორიაზე და დაპირისპირება ჰქონდა ებრაელ ხალხთან.

გვ. 174, 12-13. „**მასვე ქუეყანასა ქამისსა იშვა**“ – იგულისხმება ბიბლიური პერსონაჟი, ნოეს ვაჟი.

გვ. 174, 13. „**ტომისაგან იყო ნებროთისსა**“ – იგულისხმება ბიბლიური პერსონაჟი, ქამის შთამომავალი.

გვ. 174, 15-16. „**აღვიდეს უკუე მტერობანი ასურეთით**“ – იგულისხმება ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე.

გვ. 180. 2-3. „**აკვლიანე ივლტოდა სხუათა მათ თანა და შევიდა მელოდონ ქალაქად**“ – ამ სახელწოდების ქალაქი არ იძებნება. ტექსტის მიხედვით, ამ ქალაქში ტავროსგან გაქცე-

ულმა აკვილიანემ შეაფარა თავი. აკვილიანე კი რემინდოს სამფლობელოებში იყო საომრად შესული, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ადრიატიკის ზღვიდან რიგის ქვეყნამდე: კასტორს, ტრაფეკს, ასევე, როიკოს, სალინოს ზღვისპირამდე. აღნიშნული ქალაქიც, სავარაუდოდ, ამ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, აპენინის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

გვ. 186, 17. **„აღადგინე ძალი შენი და მოვედ ცხორებად ჩუენდა“** – ფსალმუნის პერიფრაზია: „აღადგინე ძლიერება შენი და მოვედ ცხორებად ჩუენდა“ (ფს. 97:3).

გვ. 186, 20-22. **„ძეო მხოლოდშობილო მამისაო, ნათელო ნათლისაგან, ღმერთო ჭეშმარიტო ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილო და არა ქმნულო“** – „მრწამსის“ მეორე მუხლის პერიფრაზია.

გვ. 188, 23. **„წარჰვლიდა რაბენს“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს თანამედროვე რავენა.

გვ. 188, 24. **„რიგს კალავრიისასა“** – შესაძლოა, იგულისხმებოდეს თანამედროვე ქალაქი იტალიაში – რეჯო-დი-კალაბრია.

გვ. 191, 16-17. **„წუვის მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ“** – პეტრე მოციქულისა და პავლე მოციქულის ეპისტოლეთა პერიფრაზია (1 პეტრ. 3:9; რომ. 12:17).

გვ. 192, 8-9. **„წსენებასა წმიდათასა აღასრულებდით“** – საეკლესიო კალენდრის მიხედვით, წლის განმავლობაში არის წმინდანთა ხსენების დღეები, რომლებიც, ძირითადად, აღესრულება მათი გარდაცვალების დღეს.

გვ. 193, 14-15. **„აღასრულებდა რაჲ ეკლესიასა შინა გალობასა ცხრაჲ ყ(ა)მისასა“** – იგულისხმება საეკლესიო მსახურება, რომელიც საღამოს, მწუხრის ლოცვის წინ, აღესრულება.

გვ. 195, 1-2. **„უფალო იესუ ქრისტე, ჳელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა.“ და ესრეთ აღესრულა“** – წმიდა ბაგრატის ეს სიტყვები, რომელიც მან სიკვდილის წინ წარმოთქვა, მაცხოვრის ბოლო სიტყვებს ეხმიანება აღსასრულისას: „მა-

მაო, ჯელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესე რაჲ თქუა, განუტევა სული“ (ლკ. 23:46).

გვ. 198, 17-18. **„და შური იძია, ვითარცა ფინეზ, და შეერაცხა მას სიმართლედ“** – აქ ავტორი პარალელს ავლებს ძველალათქმისეულ ისტორიასთან. მართალი ფინეზი იუდეველთა მღვდელმთავარ აარონის შვილიშვილი და მღვდელმთავარ ელიაზარის შვილი იყო. როდესაც ებრაელი ერის წარმომადგენელმა სახალხოდ დაიწყო ცოდვის ჩადენა და ღვთის ღალატით, განრისხებული ფინეზი შევიდა კარავში და ხალხის მაცდუნებელი შუბით განგმირა. წმიდა ფინეზის ამ საქციელმა ისრაელის მოსახლეობას ღვთის რისხვა აარიდა (რიცხ. 25:10-13). აღნიშნულ ისტორიას იხსენებს დავით მეფსალმუნეც (ფს. 105:30-31).

გვ. 198, 23-24. **„ვიხილენ ათორმეტნი კაცნი, სპეტაკითა მოსილნი, და ბაგრატ შორის მათსა“** – იგულისხმება წმიდა მოციქულები.

გვ. 199, 12-13. **„იცვნის უფალმან ყოველნი ძუალნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს“** – დავით წინასწარმეტყველის სიტყვების ციტირებაა (ფს. 33:21).

გვ. 201, 22. **„და მან აღიკუეცა თმაჲ თავისა თვისისაჲ“** – თმის აღკვეცა უფლისადმი მორჩილებისა და მსხვერპლის სიმბოლოა. ეს წესი აღესრულება ნათლისღების საიდუმლოსა და მონაზვნად აღკვეცის წესის შესრულებისას.

### **„აკეფსიმაჲ, იოსებისა და აითალას წამება“**

გვ. 204, 1-2. **„წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა მონამეთაჲ აკეფსიმა, იოსებ და აითალასი“** – წმინდანები სპარსეთში მოღვაწეობდნენ და მეფე შაბურ II-ის ბრძანებით 378, ან 379 წელს სიკვდილით დასაჯეს.

გვ. 204, 3-4. **„წელსა მეთაშვდმეტესა დევნულებისა ქრისტიანეთასა“** – სპარსეთის მეფე შაბურ II-მ 340 წელს სპარსეთის ეკლესიის მეთაურს, სვიმეონს, მოსთხოვა, ქრისტიანებს



ორმაგი გადასახადი გადაეხადათ. ეპისკოპოსმა მას უარი განუცხადა, რის გამოც მეფის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. აქედან დაიწყო სპარსეთში ქრისტიანთა თითქმის 40-წლიანი დევნა. თუ ჩვენ ამ თარიღს მივიჩნევთ ქრისტიანთა დევნის დასაწყისად, მაშინ ავტორი გვესაუბრება 357 წლის მოვლენებზე. მეფის თანამედროვე ისტორიკოსი ამიან მარცელინი წერს, რომ 359 წელს სპარსელებმა ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე აიღეს, სადაც მონაზვნები ცხოვრობდნენ. შაბურის ბრძანებით, მათ არაფერი დაუშავეს. ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ამ პერიოდიდან მეფემ გადაწყვიტა, უფრო ჰუმანურად ემოქმედა. ის იმედოვნებდა, რომ თუ მანამდე ადამიანები მისი შიშის გამო უარყოფდნენ სარწმუნოებას, ახლა მისი ჰუმანურობის გამო იტყოდნენ უარს ქრისტეს რჯულზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, წმინდანები მონამებრივად აღესრულნენ ან 357 წელს (და არა 378-379 წლებში), ან შაბურმა ცოტა ხნით შეწყვიტა დევნა და მერე 361-362 წლებში განაახლა და აქედან იწყებს 17 წლის ათვლას ავტორი. გვაქვს კიდევ ერთი ვერსია: შესაძლოა, ავტორი გულისხმობს რომის იმპერიაში დაწყებულ ქრისტიანთა დევნას, რომელიც იულიანე განდგომილის სახელთან არის დაკავშირებული (იმპერიას მართავდა 361-363 წლებში).

გვ. 204, 4-5. „უკეთურისა საბურისა“ – იგულისხმება სპარსეთის მეფე შაბურ II.

გვ. 204, 26. „ნაისონ“ – ნაკლებად ცნობილი ქალაქი სპარსეთში.

გვ. 205, 15. „სახელით პაპას“ – ტექსტში მოხსენიებული პირის შესახებ, რომელმაც წმიდა აკეფსიმას მონამებრივი აღსასრული იწინასწარმეტყველა, ძეგლის გარდა, სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ. 206, 17-18. „ენოდების არბილ“ – შესაძლოა, იგულისხმებოდეს ერაყის ქურთისტანის დედაქალაქი ერბილი.

გვ. 206, 19. „რომლისა სახელი იყო ადრახუსეთ“ – ძეგლის გარდა, სხვა ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ. 208, 26. „**ვითარცა თივაჲ, ადრე განჰჳმე**“ – ფსალმუნის პერიფრაზია (ფს. 102. 15).

გვ. 208, 27-29; 209, 1. „**კულად აღგადგინოს ღმერთმან ჩემმან საშჯელად საუკუნოდ, რაათა ცეცხლსა შინა, რომელსა ან თავყუანის-სცემ, ინუებოდი სულით და ჳორცით უკუნისამდე ჟამთა**“ – ნმიდა აკეფსიმა საუბრობს ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომაზე, საშინელ სამსჯავროსა და მარადიულ მისაგებელზე.

გვ. 211, 21-23. „**ღირს-მყავ მე მეორესა ამას ნათლის-ღებასა, რაათა განვიბანო და განვნმდე ყოველთა ცოდვათა ჩემთაგან**“ – იგულისხმება ქრისტეს სახელისთვის წამება და მონაშემბრივი სისხლის დათხევა. ნმიდა იოანე დამასკელი წიგნში „მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა,“ კერძოდ, ოთხმოცდამეორე თავში, საუბრობს რწმენისა და ნათლისღების შესახებ, სადაც ნათლისღების რამდენიმე სახეს ასახელებს, მონაშემბრაზე კი წერს: „მეშვიდეა სისხლის-მიერი და მონაშემბრივი, რითაც ჩვენს გამო ნათელილო თვით ქრისტემაც და რაც ფრიად ღირსეულია და სანეტარო, რადგან არ შეირყვნება შემდგომ ბინთა მიერ“ (დამასკელი, 2018: თავი 82).

გვ. 217, 3-8. „**სიკუდილი განსუენებად შეგირაცხიეს თქუენ და მას ეძიებთ. არამედ არა გექმნას, ვითარ თქუენ გნებავს, ვიდრემდე განვკაფნე ჳორცნი თქუენნი სატანჯველითა თითოსახითა და მერმე მახვლითა დაგჭრნე, რაათა თქუენ მიერ შეშინდენ ყოველნი ქრისტეანენი**“ – წამების მსგავს მეთოდს მიმართავდა იმპერატორი დეკიუსი (249-251). მისი ბრძანებით სასტიკად აწამებდნენ ქრისტიანებს, თუმცა არ კლავდნენ.

გვ. 218, 29; 219,1. „**ასულისა სომეხთა მეფისაათა, რომელი მოვიდა მაშინ დასამტკიცებელად მშუდობისა**“ – ეს 378-379 წლების პერიოდია. სომხეთში ამ დროს მეფე იყო ვარაზდატი, რომელიც 378 წელს შეცვალა არშაკ III-მ. უცნობია, რომელი მათგანის ასულზეა საუბარი ტექსტში.

გვ. 222, 15. „ქუეყანისა მის ედეავისაჲ“ – ედეავის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქები: ადესქარი და არბილი. ამ სახელწოდების ქალაქი და ქვეყანა არ იძებნება.

გვ. 224, 8-9. „რამეთუ იწრო და საჭირო არს გზაჲ იგი, მიმყვანებელი ცხორებად საუკუნოდ, და მცირედნი ჰპოებენ მას“ – ციტირებაა სახარებიდან (ლკ. 7:14).

გვ. 227, 1-2. „განმეშორენით მე, მოქმედნო უშჯულოები-სანო“ – ფსალმუნის პერიფრაზია: „განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი“ (ფს. 6:8).

გვ. 227, 2-3. „ცეცხლად საუკუნოდ“ – იგულისხმება ჯოჯოხეთი, ანუ მარადიული სატანჯველი.

გვ. 227, 25-28. „ნუ გეშინის მათგან, რომელთა მოსწყდნენ ჯორცნი თქუენნი, ხოლო სულისა არა ჴელ-ენიფების მონყუედად. არამედ მისგან გეშინოდენ, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჴორცთა წარწყმედად გეჴენიასა შინა“ – ციტირებაა სახარებიდან (მთ. 10:28).

გვ. 228, 7-9. „ულოცვიდეთ მტერთა ჩუენთა და გჴყუარდენ მოძულენი ჩუენნი და კეთილსა უყოფდეთ ბოროტისყოფელთა ჩუენთა“ – სახარებისეული პერიფრაზია (მთ. 5:44).

გვ. 228, 15-19. „ვილოცავ, რათა მოიქცე შენ და ყოველნი საცთურისა მისგან ეშმაკისა... შეგინყალოს სახიერებისა მისისათჳს და მოგცეს მოტევებაჲ ცოდვათაჲ“ – მაცხოვრის მსგავსად, წმიდა მონაშენები მათი მტანჯველებისთვის ლოცულობდნენ, ღმერთს მათ გონზე მოყვანასა და მათთვის ცოდვათა პატიებას სთხოვდნენ.

გვ. 229, 4-6. „რომელთაცა ქრისტიანეთა იხილონ მოთმინებაჲ სიბერისა ჩემისაჲ, განძლიერდენ დათრგუნვად ამჰარტავანებისა შენისა“ – წმინდანები მონაშემობით არა მარტო თავისთვის იმზადებდნენ ზეციურ სასუფეველს, არამედ საკუთარი თავგანწირვით მაგალითს აძლევდნენ სხვა ქრისტიანებს და განამტკიცებდნენ მათ.

გვ. 229, 24. „მანიქეველი“ – მანიქეიზმი მისი დამფუძნებლის, მანის (216-276), სახელიდან მომდინარეობს. რელიგიური მოძღვრება წარმოადგენდა ქალდეურ-ბაბილონური,

სპარსული (ზოროასტრიზმი, მაზდეანობა) მითებისა და ქრისტიანული მოძღვრების სინთეზს, რომელიც ფართოდ გავრცელდა სპარსეთიდან ჩინეთამდე. მანი ზეციდან მოვლენილად ითვლებოდა, ქადაგებდა დუალიზმს. თავდაპირველად ნებადართული იყო სპარსეთში, შაბურ II-ის დროს კი აიკრძალა და მათი დევნა დაიწყო.

გვ. 230, 3. **„წყეულ იყავნ მანინ“** – იგულისხმება მანიქეიზმის დამფუძნებელი მანი.

გვ. 230, 28; 231, 1. **„ამის ჯერისათვს, ვჰგონებ, თუ იხილოს მოგუმან მან მცირედ რაჲმე ნაწილი წყალობისაჲ დღესა მას საშჯელისა“** – საუბარია იმაზე, რომ უფლის სამსჯავროზე ადამიანს მცირეოდენი სიკეთეც არ დაეკარგება.

გვ. 231, 4-5. **„საბურ მარზაპანი, ძჳ მოაბორ ნახპეტისაჲ“** – იგულისხმება მაკელარიის მხარის მმართველი საბური და მამამისი მოაბორი.<sup>1</sup>

გვ. 231, 6. **„ენოდებოდა მაკელარია“** – დასახელებული მხარე მხოლოდ თხზულებაში იძებნება.

გვ. 234, 15. **„შუდეულსა მარტკლისასა“** – იგულისხმება სულთმოფენობის დღესასწაულის შვიდეული.

გვ. 234, 17-18. **„რომელსა ენოდების ბეთნადარა“** – ტექსტის მიხედვით, მის შემადგენლობაში შედიოდა რესთიგერი.

## **„მენას, ერმოგინესა და ევლრაფოს წამება“**

გვ. 236, 1-2. **„წამებაჲ წმიდისა მენასი და ერმოგინესი და ევლრაფოსი“** – წმიდა მონამენი სიკვდილით დასაჯეს იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის მმართველობის დროს, დაახლოებით 313 წელს. თანამედროვე ტექსტებში მენა მოიხსენიება სახელით – მინა, ერმოგინე – სახელით ერმოგენი, ხოლო

---

<sup>1</sup> ამ პასაჟის შესახებ ვრცლად იხ. ს. სარჯველაძის გამოკვლევა ამავე ტომში: გვ. 452.

ევლრაფოსი – სახელით ევგრაფი. ძირითად ხელნაწერში ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ბარაფორის სახით.

გვ. 236, 2. „**კირიელეისონ**“ – ბერძნულად ნიშნავს „უფალო, შეგვიწყალებ.“ ხშირია ამ ლოცვის დანერა წმინდანის ცხოვრების სათაურის გვერდით.

გვ. 237, 4-5. „**მაქსიმიანოს**“ – იგულისხმება იმპერატორი მაქსიმინუსი.

გვ. 238-239. „**იხილა ჩუენებით ღამესა შინა სამნი კაცნი შემოსილნი ბრწყინვალებითა**“ – საუბარია საღვთო გამოცხადებაზე. როგორც ჩანს, წმიდა ერმოგინეს ძილში სამი ანგელოზი გამოეცხადა.

გვ. 239, 1-2. „**წარვედ და იცან ჭეშმარიტი მეფე**“ – იგულისხმება ქრისტე, როგორც ზეციური მეუფე.

გვ. 243, 1-2. „**რამეთუ სახელები თქუენი დანერილ არს ნიგნსა მას ცხოველთასა**“ – პავლე მოციქულის ეპისტოლის პერიფრაზია (ფილ. 4:3).

გვ. 246, 1-3. „**იხილნეს ორნი ანგელოზნი ბრწყინვალენი, რომელნი ჭფარვიდეს ფრთეებითა და აგრილობდეს ნეტარსა მენას**“ – მსგავსი ისტორია მოხდა ძველ აღთქმაში, როდესაც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა სამი ებრაელი ყრმა ცეცხლის ღუმელში შეაგდო დასაწვავად, თუმცა უფლის ანგელოზმა დაიცვა ყრმები და ისინი ცეცხლისგან უვნებლები დარჩნენ (დან. 3:49-50).

გვ. 248, 8. „**ესმა საკრველება ათცამეტთა ეპისკოპოსთა**“ – ეს ეპისკოპოსები, სავარაუდოდ, ალექსანდრიის ადგილობრივ ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირები არიან. ამ ეკლესიის იურისდიქცია საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა.

გვ. 249, 7-16. „**მსაჯული იგი წარდგა... მუნთქუესვე შეინყნარა პატივი ეპისკოპოსობისა**“ – ტექსტის თანახმად, ერმოგინე ეპისკოპოსებმა მონათლეს და ნათლობისთანავე აკურთხეს ეპისკოპოსად. საეკლესიო კანონების თანახმად (მოციქულთა მე-80 კანონი, ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონი), გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა უშუალოდ

საღვთო მადლით ამალღებენ ახალნათელღებულ ეპისკოპოსს ხარისხში, იკრძალება ახალნათელღებულის, ანუ ნეოფიტის, სასულიერო პირად კურთხევა, რათა განსაცდელში არ ჩავარდეს. ამასთანავე, ეპისკოპოსად კურთხევამდე კანდიდატმა უნდა გაიაროს დიაკვნისა და მღვდლის ხარისხები.

გვ. 251, 1. **„ჰრომთა საჯელმწიფოსა“** – იგულისხმება რომის იმპერია.

გვ. 251, 16-17. **„ემსგავსე შენ მათ, რომელნი თეატრონსა შინა საბასრობელ იქმნიან“** – ერმოგინესადმი იმპერატორის ამ მიმართვაში საუბარია იმის შესახებ, რომ რომის იმპერიაში იდგმებოდა თეატრალური სცენები, სადაც ქრისტიანობასა და ქრისტიანებს დასცინოდნენ.

გვ. 255, 6. **„სადა უკუე არს ძალი იგი გალილეველთაჲ“** – ქრისტეს გალილეველს უწოდებდნენ, რადგან ის გალილეის მხარის ქალაქ ნაზარეთში გაიზარდა, მოციქულთა ძირითადი ნაწილიც გალილეიდან იყო. ამიტომაც, ქრისტიანებსაც გალილეველებად მოიხსენიებდნენ.

გვ. 255, 15-17. **„არცა ცეცხლმან, არცა მახვლმან, არცა შუვანი მვეცთანი და არცა სხუანი სატანჯველნი შემძლებელ არიან ჩუენდა განყენებად სიყუარულსა მას ქრისტჳსა“** – პავლე მოციქულის ეპისტოლის პერიფრაზია (რომ. 8:35).

გვ. 256, 18. **„ბიზანტია ქალაქსა“** – იგულისხმება პატარა დასახლება ბიზანტიონი, რომლის ადგილას იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა დააარსა ქალაქი კონსტანტინოპოლი.

გვ. 257, 6-7. **„ქალკიდონით“** – იგულისხმება ქალაქი ქალკედონი.

გვ. 263, 4. **„მოვილო საქმე მონესეობისაჲ“** – იგულისხმება სამონასტრო წესის მიმდევრობა, ანუ მონაზვნობა.

გვ. 263, 12. **„მწვალებელთა“** – იგულისხმება ერეტიკოსები, რომლებიც ამახინჯებენ საღვთო სწავლებას და ეკლესიის მოძღვრების საპირისპიროდ ასწავლიან ქრისტიანულ დოგმატებს.

გვ. 263, 13. **„წარმართთა“** – სიტყვა „წარმართი“ ძველი აღთქმიდან მომდინარეობს. ებრაელები წარმართებს არამართლმორწმუნე ადამიანებს უწოდებდნენ.

გვ. 265, 12-14. **„მეოხებითა მის წმიდისაათა განჰკურნებ-  
და ყოველთა სნეულებათა, ვიდრე აღდგინებამდე მკუდრეთით,  
სასწაულნი იქმნეს“** – წმიდა მენას მეოხებით, უამრავი სასწაუ-  
ლი აღესრულებოდა, სნეულები იკურნებოდნენ და მიცვალე-  
ბულები ცოცხლდებოდნენ.

გვ. 269, 6-7. **„მონაჲ ჩემი სარწმუნოჲ, მომკუდარ იყო და  
აღდგა“** – ლუკას სახარების პერიფრაზია: „ძმაჲ ესე შენი მომ-  
კუდარ იყო და განცოცხლდა...“ (ლკ. 15:32).

გვ. 274, 8. **„მიუტევო ყოველი ზრუნვაჲ ჩემი უფალსა“** –  
ფსალმუნის პერიფრაზია: „მიუტევე უფალსა ზრუნვაჲ შენი და  
მან გამოგზარდოს შენ“ (ფს. 54:23).

გვ. 276, 6-8. **„მიერთგან არლარავინ იკადრებდა ფუცვად  
ტაძარსა მისსა არცა სამართლით, არცა სიცრუვით“** – ქრისტიან-  
ული სწავლების მიხედვით, ფიცი აკრძალულია. მაცხოვარი  
ბრძანებს: „ხოლო მე გეტყვ თქუენ არა ფუცად ყოვლადვე ნუ-  
ცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაჲ; ნუცა ქუეყანასა,  
რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერჯთა მისთაჲ; ნუცა იერუ-  
სალჴმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაჲ. ნუცა თავსა  
შენსა ჰფუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისაცა თმისა გან-  
სპეტაკებად გინა დაშავებად. არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი  
ჰჴ ჰე და არაჲ არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან  
არს“ (მთ. 5:34-37).

საძიებლები



## პირთა, ბიბლიურ და მითოლოგიურ პერსონაჟთა ანოტირებული საძიებელი

**აბელი** – ადამისა და ევას შვილი, რომელიც შურის გამო მოკლა საკუთარმა ძმამ, კაენმა. 43, 44, 46, 76.

**აბრაჰამი (აბრაჰამ მართალი)** – მამამთავარი, ძველალექმისეული წმინდანი, ებრაელების წინაპარი, ღვთის რჩეული, რომელსაც არაერთხელ გამოეცხადა ღმერთი და მისცა აღთქმა, რომ მის შთამომავლობაში დაიბადებოდა მესია. ცხოვრობდა ძვ. წ. XIX-XVII სს.-ში. 45, 46, 78, 79, 80, 115.

**ადამი** – პირველი ადამიანი. 43, 50, 75, 76.

**ადერი // ადესარი** – „მენას, ერმოგინესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტის მიხედვით, მოგვთა მთავრების მთავარი, ანუ სპარსეთის მთავარი მოგვი. 216, 219, 222.

**ადესქარი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, მოგვთა მთავარი და ედეავის მთავარი. 222, 225.

**ადრახუსეთი** – „მენას, ერმოგინესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტის მიხედვით, მოგვების მთავარი. 206, 225.

**ავრილიანოსი // ავრილიანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქეობის“ ტექსტის მიხედვით, ქალაქის მთავარი, ქალაქპეტი, რომელმაც ვონიფანტესთან ერთად მოისმინა ლუკაონიდე ს დადაგება, თუმცა მისგან განსხვავებით, არ მიიღო ქრისტიანობა და ღვთისგან შერისხული გარდაიცვალა. 57, 67, 68, 115, 122, 127, 192.

**ათანასე ალექსანდრიელი** – დაიბადა დაახლ. 295 წელს. ალექსანდრიის ეკლესიის მეთაური 328 წლიდან, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე, მართლმადიდებლობის უდიდესი დამცველი და არიანული ცრუ სწავლების მამხილებელი. გარდაიცვალა 373 წელს. 236.

**აითალა** – სპარსეთში მოღვაწე დიაკვანი, რომელიც მეფე შაბურ II-ის ბრძანებით, 378, ან 379 წელს სიკვდილით დასაჯეს ეპისკოპოს აკეფსიმასთან და მღვდელ იოსებთან ერთად. ამ დროს ის 60 წელს იყო გადაცილებული. ხსენების დღე აღინიშნება 3/16 ნოემბერს. 204, 209, 212, 220, 221, 222, 223, 225, 229, 230, 231, 234, 235.

**აკეფსიმა** – სპარსეთში მოღვაწე ეპისკოპოსი, რომელიც მეფე შაბურ II-ის ბრძანებით, 378, ან 379 წელს სიკვდილით დასაჯეს მღვდელ იოსებთან და დიაკვან აითალასთან ერთად. ამ დროს ის 80 წელს იყო გადაცილებული. ხსენების დღე აღინიშნება 3/16 ნოემბერს. 204, 205, 206, 207-208, 208, 209, 212, 213, 216, 217, 219, 235.

**აკკლიანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, კალავრიის (კალაბრიის) მეფე. 172, 173, 184.

**აკკლიანე // ანთემი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, კალავრიის (კალაბრიის) მეფის, აკვილიანეს, წინაპარი და მისი ტომის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც რამდენჯერმე წამოიწყო ბრძოლა რემინდოს წინააღმდეგ, შემდეგ კი დამარცხდა ტავროსთან. 172, 173, 174, 177, 179, 180, 181, 182, 183, 184.

**ალექსანდრე მაკედონელი** (ძვ. წ. 356-323) – მაკედონიის მეფე და ერთ-ერთი გამოჩენილი სამხედრო სტრატეგოსი, არისტოტელეს მოწაფე. შექმნა უდიდესი იმპერია, რომელიც ბალკანეთიდან ინდოეთამდე ვრცელდებოდა. 105.

**აპოლონი** – ხელოვნებისა და სინათლის ღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსის ვაჟი. მისი მეორე სახელია ფებოსი. 92, 98.

**არტაგარი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, პრეტორის მწე, „ნათესავით ქანანელი“, ავრილიანე ქალაქპეტის ძმა, ელიდოს მამის ძმა. თანამზრახველებთან ერთად მოკლა წმიდა ბაგრატი. 192, 193, 195, 197, 198.

**აჰრონი** (აარონი) – ძვ. წ. XV-XIII სს.-ის მოღვაწე, მოსე წინასწარმეტყველის ძმა, პირველი მღვდელმთავარი ბიბლიურ ისტორიულ ტრადიციაში. დაიბადა ეგვიპტეში, როდესაც ებრაელები ეგვიპტელთა მონობაში იყვნენ. 46, 167.

**ბაგრატი** – ტავრომენელი ეპისკოპოსი, წყაროებში ასევე გვხვდება პანკრატი მღვდელმონაშის სახელით. ნაწარმოების მიხედვით, მოღვაწეობდა I საუკუნეში, მონათლა პეტრე მოციქულმა ოჯახთან ერთად, ეპისკოპოსად აკურთხეს პეტრე და პავლე მოციქულებმა. წარმართებმა ქვებით ჩაქოლეს. მისი ხსენების დღეა 9/22 თებერვალი და 9/22 ივლისი. 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 33, 34, 35, 37, 38, 39, 48, 51, 52, 53, 54, 56, 57, 64, 65, 66, 68, 69, 71, 72, 73, 74, 85, 86, 87, 88, 90, 91, 94, 96, 97, 99, 100, 101, 102, 104, 105, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 131, 132, 133, 134, 135, 136, 138, 139, 140, 141, 143, 145, 146, 147, 148, 154, 155, 161,

162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172,  
173, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 193, 194, 195,  
196, 197, 198, 200, 201, 202, 203.

**გაბრიელი** – მთავარანგელოზი, ანგელოზთა უმაღლესი დასის  
წევრი. 50, 82.

**გორდიო** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის  
მიხედვით, მთავარი ქალაქ სვირაკუსის მხარეში, რომე-  
ლიც ბაგრატმა დალოცა სელევკოსთან ერთად. 169.

**დავითი** – ბიბლიური პერსონაჟი, წმიდა მეფე და წინასწარმეტ-  
ყველი, 150 ფსალმუნის ავტორი. 31, 35, 46, 81, 82, 115.

**დიოსი** – იგივე ზევსი. 92, 93.

**ევა** – ბიბლიური ადამის ცოლი, პირველი ქალი. 76.

**ევაგრე ეპისკოპოსი** – წმიდა ბაგრატის მოწაფე, მისი „ცხოვრე-  
ბისა და მოქალაქობის“ ავტორი. ბაგრატმა ის თან გაი-  
ყოლა, როცა სახლი დატოვა და პეტრე მოციქულთან  
გაემგზავრა. ევაგრემ სასულიერო ხარისხი მიიღო და  
მოძღვარს ეხმარებოდა მისიონერულ საქმიანობაში. 25,  
35, 53, 120, 151, 163, 164, 190, 193, 197, 198, 202.

**ევრაპიოსი** – წმიდა მენას სასწაულის ტექსტის მიხედვით, პი-  
რი, რომელმაც ორი ბარძიმი დაამზადებინა, ერთი წმი-  
და მენას ტაძრისთვის და მეორე – თავისთვის. უკეთესი  
თავისთვის დაიტოვა და წმიდა მენას სასწაულის შედე-  
გად გონს მოეგო. 265.

**ევლრაფო** (ევგრაფო) – მენას მწიგნობარი. იმპერატორ მაქსი-  
მიანე გალერიუსის ბრძანებით, მენასთან და ერმოგი-

ნესთან ერთად სიკვდილით დასაჯეს დაახლოებით 313 წელს. ხსენების დღე აღინიშნება 10/23 დეკემბერს. 236, 256.

**ელიდოსი // ელიდო** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ქალაქის მთავარი, ავრილიანე ქალაქპეტის ძე, რომელიც ტავრომენიის (იმავე ტაორმინის) ქალაქპეტად დაინიშნა ვონიფანტე მთავრის საომრად ყოფნის პერიოდში. 115, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 134, 135, 136, 137, 143, 144, 193.

**ენოსი** – ბიბლიური პერსონაჟი, სეითის ვაჟი, ქრისტეს წინაპარი. 46.

**ენუქი (ენოქი)** – ბიბლიური პერსონაჟი. ბიბლიაში მის შესახებ წერია: „და იქმნეს ყოველნი დღენი ენუქისნი სამასსამეოცდახუთ წელ. და სათნო ეყო ენუქ ღმერთსა და არა იხოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან“ (დაბ. 5:24). საეკლესიო სწავლების მიხედვით, უფალმა ენუქი ცოცხლად აღიყვანა ზეცაში. ეკლესიის წმიდა მამები, ეფრემ ასური და იოანე დამასკელი, წერენ, რომ ბოლო ჟამს ორი წინასწარმეტყველი – წმ. ენოქი და წმ. ელია ამხელენ ანტიქრისტეს. 46.

**ეპაფროდიტე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, დიაკვანი. 106, 141.

**ეპიფანე // ეტჟფანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მენავეთმოდვარი. თავდაპირველად ერქვა ლუკაონიდე, რომელიც პეტრე მოციქულმა რომილოსთან ერთად მონათლა. 38, 51, 54, 56, 90, 91, 103, 106, 126, 145, 169, 196, 202.

**ერმოგინე** (ერმოგენი) – იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის ხელქვეითი, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრიაში გაგზავნა ქრისტიანი მენას დასასჯელად. ერმოგინე თავადაც გაქრისტიანდა და გახდა ეპისკოპოსი. განრისხებულმა იმპერატორმა ის მენასთან ერთად სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 313 წელს. ხსენების დღე აღინიშნება 10/23 დეკემბერს. 236, 238, 242, 243, 249, 251, 252, 254, 255.

**ესავი** – ბიბლიური პერსონაჟი, ედომელთა მამამთავარი, ისაკისა და რებეკას ვაჟი, იაკობის ტყუპისცალი. 78.

**ესაია** – წინასწარმეტყველი, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის ავტორი. გადმოცემის თანახმად, კერპთმსახურმა მეფე მანასემ მოისურვა მისი მოკვლა და ბრძანა მისი დაჭერა. ესაია ხის ფულუროში დაიმალა, მაგრამ მტანჯველებმა იპოვეს და ხესთან ერთად გადახერხეს. მოღვაწეობდა ძვ. წ. VIII–VII სს.-ში. 81.

**ვენედიკტა** – ანოტაციისთვის იხ. **ხრუსე**. 110, 123, 124.

**ვონიფანტე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ქალაქ ტავრომენიის (იმავე ტაორმინის) მთავარი, რომელმაც ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. 57, 58, 60, 67, 68, 70, 71, 72, 73, 85, 87, 88, 89, 90, 91, 92, 95, 99, 104, 106, 113, 114, 120, 121, 135, 136, 138, 142, 145, 167, 169, 172, 184, 185, 191, 192, 193, 196, 198, 199, 200, 201, 202, 203.

**ზაქარია** – წმიდა წინასწარმეტყველი, წმიდა იოანე ნათლისმცემლის მამა. დასაჯეს სიკვდილით. 82.

**ზევსი** – ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ელვის, ქუხილისა და ცის ღმერთი. 96.

**ზერუთი** – მოგვთა მთავარი, რომელმაც წინა მთავარი ადერი შეცვალა. 224.

**იაკობი** – ბიბლიური პატრიარქი, ისაკისა და რებეკას ვაჟი, ებრაელი ტომების წინაპარი. მისი თორმეტი ვაჟი ითვლება ისრაელის თორმეტი ტომის დამფუძნებლად. იაკობი ცნობილია, როგორც ისრაელი. 46, 78, 79, 80.

**იოვანე** – ნათლისმცემელი, იესო ქრისტეს წინამორბედი და უდიდესი წინასწარმეტყველი. ჰეროდემ ჰეროდიადას საამებლად იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. მისი ხსენების დღე, როგორც გამორჩეული წმინდანისა, წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნება. 50, 82, 83.

**იოსები** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ხატმწერი, რომელსაც „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ მიხედვით, პეტრე მოციქულმა ქრისტეს ხატის დაწერა დაავალა, თუმცა სხვაგან ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. 32, 50.

**იოსები** – მამამთავარი, იაკობის ძე, რომელიც ძმებმა გაყიდეს. იოსები აღმოჩნდა ეგვიპტეში და ფარაონის შემდეგ პირველი კაცი გახდა. როცა ქანაანის მიწაზე შიმშილობა ჩამოვარდა, იაკობის ოჯახს ეგვიპტეში მოუწია გადასახლება, სადაც მათ იოსებმა გაუწია მასპინძლობა. ოჯახს ის გარდაცვლილი ეგონა. 46.

**იოსები** – წმიდა იოსებ დამწინდველი, დავით მეფის ჩამომავალი. ცხოვრობდა თავშეკავებული ცხოვრებით. როცა

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ქალწულობის აღთქმა დადო, მღვდელმთავრებმა მისი მეურვეობა ოთხმოცი წლის იოსებს მიანდვეს. ნეტარს ანგელოზმა აუწყა, რომ ქალწული მარიამისგან ძე ღვთისა უნდა შობილიყო. იგი გახდა მოწმე მწყემსებისა და მოგვების მიერ ახალშობილი მესიის თაყვანისცემისა. ღვთისმშობელი და ჩვილი მაცხოვარი ჰეროდეს რისხვისთვის რომ განერიდებინა, წმინდანი, ანგელოზის მინიშნებით, მათთან ერთად გაიქცა ეგვიპტეში, სადაც ხუროს შრომით არჩენდა ყოვლადწმინდა დედას და მის ღვთაებრივ ძეს. ბოლოს, ასი წლის ასაკში, იოსებ დამწინდველმა მშვიდობით შეავდრა სული უფალს. 82.

**იოსები** – სპარსეთში მოღვაწე მღვდელი, რომელიც მეფე შაბურ II-ის ბრძანებით, 378, ან 379 წელს სიკვდილით დასაჯეს ეპისკოპოს აკეფსიმასთან და დიაკვან აითალასთან ერთად. ამ დროს ის 70 წელს იყო გადაცილებული. ხსენების დღე აღინიშნება 3/16 ნოემბერს. 204, 209, 210, 211, 213, 219, 222, 223, 224, 226, 227, 228, 232, 233, 234, 235.

**ირა** – იგულისხმება ჰერა, ძველ ბერძნულ მითოლოგიაში კრონოსისა და რეას უფროსი ასული, ზევსის ცოლი, უზენაესი ქალღმერთი, ქორწინებისა და მშობიარობის მფარველი. 106.

**ირონია** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, წარმართული ღვთაების მშობელი. მის ასულს ეთაყვანებოდნენ. 61.

**ისაკი** (ისააკი) – მამამთავარი, აბრაამის ძე, ძველალთქმისეული წმინდანი, ებრაელების წინაპარი, ღვთის რჩეული. 45, 46, 78, 79, 80.



**ისდანდული** – „მენას, ერმოგინესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტის მიხედვით, ქრისტიანი ქალი, რომელიც, როგორც ტექსტიდან ირკვევა, სხვა ჰაგიოგრაფიულ ძეგლშიც იხსენიება.<sup>1</sup> 223, 232, 233.

**ისუ** – ნავეს ძე. ძვ.წ. XIV-XIII სს.-ის მოღვაწე, ებრაელთა მეთაური ქანაანში ლაშქრობისას, რომელიც მოსემ თავის შემცვლელად დაადგინა. მისი ცხოვრება აღწერილია ბიბლიურ წიგნში: „ისუ ნავესი.“ მისი მეთაურობით გადალახეს ებრაელებმა მდინარე იორდანე და დაიწყეს დამკვიდრება ქანაანის მიწაზე. 46, 80, 115.

**იუდა** – ქრისტეს მოციქული, რომელმაც მაცხოვარი 30 ვერცხლად გაყიდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 50, 84, 193.

**კაენი** – ადამისა და ევას შვილი, რომელმაც შურის გამო მოკლა საკუთარი ძმა აბელი. 43, 44, 76.

**კრონოსი** – ელინური ღვთაება, მეორე თაობის დიდი ღმერთი, ურანოსისა და გეას შვილი. გეამ უწინასწარმეტყველა, რომ თავისი შვილი დაამხოდა, რის გამოც ახალშობილ შვილებს ყლაპავდა. 106.

**ლუკაონიდე** – ანოტაციისთვის იხ. **ეპიფანე** // **ეტკვანე**. 38, 51, 53, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 67, 69, 70, 71, 72, 73, 86, 87, 89, 90.

**ლუსონი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ტავრომენელთა წარმართული ღვთაება, რომელიც წმიდა ბაგრატის მიერ შეიმუხრა. 86, 87, 88, 92, 93, 94, 95, 96, 98, 88, 100, 101, 126.

---

<sup>1</sup> იხ. Gallonio, 2013: 61.

**მათე** – მახარებელი, ქრისტეს მოციქული, ერთ-ერთი სახარების ავტორი, რომელიც თავიდან მებაჟე იყო. სიკვდილით დასაჯეს ეთიოპიაში 74 წელს. 113.

**მანინი** (დაახლ. 216-276) – მანიქეველობის დამფუძნებელი მანი (მანესი). მისი რელიგიური მოძღვრება წარმოადგენდა ქალდეურ-ბაბილონური, სპარსული (ზოროასტრიზმი, მაზდეანობა) მითებისა და ქრისტიანული მოძღვრების სინთეზს, რომელიც ფართოდ გავრცელდა სპარსეთიდან ჩინეთამდე. ქადაგებდა დუალიზმს. ითვლებოდა ზეციდან მოვლენილად. 230.

**მარკიანოსი // მარკიანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, იერუსალიმის მკვიდრი, რომელმაც პეტრე მოციქულთან სხვა ქრისტიანები მიიყვანა და რომილოსთან ერთად ნავით იმოგზაურა. შემდეგ სვირაკუსის ეპისკოპოსი გახდა. 36-39, 48, 51, 64, 155, 161, 162, 163, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 189.

**მაქსიმიანოსი // მაქსიმიანე** – გაიუს გალერიუს ვალერიუს მაქსიმინუს დაზა (270-313). ისტორიაში შესულია მაქსიმინ II დაზას (ან დაია) სახელით. რომის იმპერატორი 305-313 წლებში. განსაკუთრებული სისასტიკით დევნიდა ქრისტიანებს. თავის პირველ განკარგულებაში, რომელიც გამოიცა 306 წელს, გუბერნატორებს მოსთხოვა, რომ ყველა მამაკაცი, ქალი და ბავშვი ეიძულებინათ, წარმართული ღმერთებისთვის მსხვერპლი შეენიროთ. შემდეგ დევნა გარკვეული დროით შეწყდა, მაგრამ 309 წელს მაქსიმინუსმა კვლავ განაახლა. ახალი დევნა გამოირჩეოდა არნახული სისასტიკით. 313 წელს იგი იმპერატორ ლიკინიუსთან ბრძოლაში დამარცხდა და მონის ტანსაცმელში გადაცმული გაიქცა. ნიკომიდიაში დასაჯა

ქურუმები, რომლებიც მას გამარჯვებას უნინასწარმეტყველებდნენ. ამის შემდეგ ტარსუსში მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა 43 წლის ასაკში. გადმოცემის თანახმად, მაქსიმინუსი სიკვდილამდე დაბრმავდა და ცოცხალ ჩონჩხად გადაიქცა. 237, 238, 250, 251, 255, 256, 258.

**მაქსიმიანოსი // მაქსიმინოსი // მაქსიმინე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, პეტრე მოციქულმა აკურთხა პონტოს ეპისკოპოსად. მანვე მიუთვალა ბაგრატის ყოველი სახლეულობა, მონაგები და ეკლესია, რომელიც მის სახლში ააშენა. 29, 30, 31, 35, 189, 190.

**მელაფორი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, კუნძულ სიცილიაზე მდებარე ქალაქ ტავრომენიიდან (ტაორმინიდან) 90-150 კილომეტრის რადიუსში მოთავსებული ერთ-ერთი დასახლების განმგებელი. 149, 150, 152, 159.

**მენა (მინა)** – იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის ხელქვეითი, ფარული ქრისტიანი, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრიაში გაგზავნა ქრისტიანთა დასასჯელად. წმინდანმა, ნაცვლად ქრისტიანთა დევნისა, ქრისტიანობის ქადაგება დაიწყო. განრისხებულმა იმპერატორმა ის სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 313 წელს. ხსენების დღე აღინიშნება 10/23 დეკემბერს. 236, 237, 240, 241, 242, 243, 246, 247, 249, 251, 252, 253, 254, 255, 256, 259, 261, 263, 264, 265, 266, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276.

**მენია** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მითოლოგიური პერსონაჟი, ტავროს ცოლი. 52, 105, 173, 174, 176, 178, 180, 182, 184.

**მოაზორი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, მაკელარიის მმართველი, საბურ მარზაპანის მამა. 231.

**მოსე** – ძვ. წ. XV-XIII სს.-ის მოღვაწე, ებრაელთა რჯულმდებელი და განმათავისუფლებელი, დიდი წინასწარმეტყველი, ბიბლიის პირველი 5 წიგნის ავტორი. იცხოვრა 120 წელი. 46, 49, 79, 80, 115, 117, 167.

**ნებროთი** – ბიბლიური პერსონაჟი, ქამის შთამომავალი. ბიბლიაში მის შესახებ წერია: „ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა“ (დაბ. 10. 9). 174, 183.

**ნეოფიტე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, დიაკვანი. 146-148.

**ნოე** – ბიბლიური მამამთავარი, რომელმაც ღვთის ბრძანებით კიდობანი ააშენა. 44, 46, 77, 78.

**ონისიფორე** – ანოტაციისთვის იხ. **ქსანთიპო**. 106, 127, 137, 138, 145, 148, 149, 150, 151, 152, 153, 155, 157, 158, 159, 162, 163, 164, 165, 170, 171, 189.

**ოსტიკოსი** – „მენას, ერმოგინესა და ევლრაფოს წამების“ ტექსტის მიხედვით, პირი, რომელმაც წმიდა ერმოგინე იმპერატორ მაქსიმიანესთან დააბეზლა. 250.

**პავლე** – იგივე სავლე, ქრისტეს მოციქული. თავდაპირველად დევნიდა ქრისტიანებს, შემდეგ კი მოციქულთა თავი გახდა. ავტორია ახალაღთქმისეული 14 ეპისტოლისა. 67 წელს ქალაქ რომში თავი მოჰკვეთეს. 36, 38, 42, 48, 147.

**პავლინა** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, დედადიაკონი, ანუ დიაკონისა, რომელმაც დაიტირა წმიდა ბაგრატი. 197.

**პაპასი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, პირი, რომელმაც წმიდა აკეფსიმას მონამებრივი აღსასრული იწინასწარმეტყველა. 205, 206.

**პეტრე** – იგივე სიმონი, ქრისტეს მოციქული. 67 წელს ქალაქ რომში ჯვარზე გააკრეს თავდაყირა. 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 48, 50, 53, 54, 64, 65, 71, 84, 85, 99, 103, 114, 115, 186, 188, 189, 190, 191, 200.

**პილატე** – პონტოელი, რომის იმპერიაში შემავალი იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტი იმპერატორ ტიბერიუსის დროს. მისი ნებართვით დასაჯეს ქრისტე სიკვდილით. 84.

**პრისკლე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, პავლე მოციქულის მონაფე. 37.

**რემინდო // რემინდოსი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მითოლოგიური პერსონაჟი, დაკავშირებული ქალაქ ტაორმინის მითოლოგიურ ისტორიასთან, მენიას პირველი ქმარი. ფლობდა ტერიტორიებს აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მოკლულ იქნა კალავრიის (კალაბრიის) მეფის, აკვილიანეს, წინააღმდეგ გამართულ თავდაცვით ბრძოლაში. 173, 174, 175, 176, 177, 178, 180, 182.

**რომილოსი // რომილესი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მენავე, რომელიც პეტრე მოციქულმა ლუკაონიდესთან (იმავე ეპიფანესთან) ერ-

თად მონათლა. მარკიანოსი მისი ნავით გაემგზავრა. 38, 51, 62, 64.

**საბური** – იგულისხმება სპარსეთის მეფე შაბურ II. მეფობდა 70 წლის განმავლობაში, 309 წლიდან 379 წლამდე. ატარებდა მკაცრ რელიგიურ პოლიტიკას და ქრისტიანებს სასტიკად დევნიდა. 204, 215, 217, 225.

**საბური** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, მაკელარიის მხარის მარზაპანი, რომელმაც მოგვთმთავარ ადესქარის მსგავსად, იოსებისა და აითალას ჩაქოლვის ბრძანება გასცა. 231.

**სამოელი** (სამუელი) – ისრაელის უკანასკნელი მსაჯული და წინასწარმეტყველი, „მეფეთა 1-4“ წიგნების (ძველი აღთქმის ნაწილი) ავტორი. მოღვაწეობდა ძვ. წ. XI-X სს.-ში. მან აკურთხა საული და დავითი ისრაელის მეფეებად. გარდაიცვალა 88 წლის ასაკში. დაკრძალეს რამაში. 81.

**საული** – ებრაელების პირველი მეფე. თავდაპირველად ღმერთს ემსახურებოდა, შემდეგ კი განუდგა. ცხოვრობდა ძვ. წ. XI ს.-ში. 80.

**სეითი** – ბიბლიური პერსონაჟი, ადამისა და ევას მესამე შვილი. 46.

**სელევკოსი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მთავარი ქალაქ სვირაკუსის მხარეში, რომელიც ბაგრატმა დალოცა გორდიოსთან ერთად. 169.

**სერაბინი** (სერაბიმი, სერაფიმი) – ზეციური იერარქიის ცხრა დასიდან პირველი სამეულის წევრი. 111.

**სერგია** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ობოლი ქალწული, რომლის დაც შეუყვარდა ქალაქპეტ ელიდოსს. 128.

**სკამანდრო** (სკამანდროსი) – ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთი, მდინარის ღვთაება. ტროას ომის დროს აქილევსმა ტროელთა გვამებით ამოავსო მდინარე სკამანდროსი, მდინარის გაბრაზებული ღვთაება ნაპირებიდან გადმოვიდა და გმირს დაედევნა. 122, 123, 124, 125, 129, 132, 144, 194.

**სოლომონი** – სოლომონ ბრძენი, ებრაელების მეფე, დავით მეფესალმუნის შვილი, ქრისტეს წინაპარი. მოღვაწეობდა ძვ. წ. X ს.-ში. 81.

**სტეფანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, წმიდა ბაგრატის თანამოღვაწე, მისგან ეპისკოპოსად ხელდასხმული. 188.

**ტავრო // ტავროსი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, მითოლოგიური პერსონაჟი, მენიას ქმარი. 52, 67, 105, 142, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184.

**ტატიანე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, დიაკვანი, წმიდა ბაგრატის თანამოღვაწე. 186, 187, 192, 196, 202.

**ფალკონი** – წარმართული ღვთაება, ფალკონილას ძე. „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით,

ყოველწლიურად 3 ჭაბუკსა და 73 სულ ხბოს სწირავდნენ მსხვერპლად. 52, 53, 54, 55, 56, 59, 60, 61, 64, 65, 66, 67, 68, 92, 93, 95, 100, 126.

**ფალკონილა** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, წარმართული ღვთაება, ფალკონის დედა. 52, 60.

**ფინეზი** – მართალი ფინეზი, იუდეველთა მღვდელმთავარ აარონის შვილიშვილი და მღვდელმთავარ ელიაზარის შვილი. როდესაც ებრაელი ერის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სახალხოდ დაინყო ცოდვის ჩადენა და ღმერთის ღალატი, განრისხებული ფინეზი შევიდა კარავში და ხალხის მაცდუნებელი შუბით განგმირა. წმიდა ფინეზის ამ საქციელმა ისრაელელებს ღვთის რისხვა აარიდა. ელეაზარის გარდაცვალების შემდეგ იგი მღვდელმთავრად აირჩიეს. 198.

**ქამი** – ბიბლიური პერსონაჟი, ნოეს ვაჟი. 174.

**ქერობინი // ქერუბინი** – ზეციური იერარქიის ცხრა დასიდან პირველი სამეულის წევრი. 76, 111.

**ქსანთიპოსი // ქსანთიპო** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ფილოსოფოსი, ქალაქის მთავარი, რომელიც ბაგრატმა მონათლა და ონისიფორე უწოდა. 106, 126, 127, 134, 155.

**ხრუსე // ხრვსე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ქურუმი ქალი, რომელიც ბაგრატმა მონათლა და ვენედიკტა უწოდა. 106, 122.



## გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი

**აგნენტი** – სავარაუდოდ, დღევანდელი ქალაქი აგნონე. მდებარეობს ისერნიის პროვინციაში, სამხრეთ იტალიის მოლისის რეგიონში. 116.

**ადრანი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, სოფელი სპარსეთში. 206.

**ადრიას ზღვა** – იგივე ადრიატიკის ზღვა, ხმელთაშუა ზღვის ნაწილი. 173.

**ალექსანდრია** – ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული ისტორიული ქალაქი ეგვიპტეში. 236, 237, 259, 265, 271.

**ანტიოქია** – იგივე დიდი ანტიოქია, ან სირიის ანტიოქია, უძველესი ქალაქი მდინარე ორონტესის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელი ანთაქიას (თურქეთი) მახლობლად. 25, 26, 33, 36, 62.

**არბილი** – სავარაუდოდ, ერაყის ქურთისტანის დედაქალაქი ერბილი, იგივე ჰავლეური. მდებარეობს რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფიქრობენ, რომ პირველი დასახლება აქ ქრისტეს შობამდე 5000 წელს უნდა გაჩენილიყო. ამის გამო ერბილი ერთ-ერთ ყველაზე დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. 206, 222.

**ასია** – აზია. 57, 62, 191.

**ასურეთი** – ძველი სახელმწიფო დღევანდელი ერავის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ. წ. II ათასწლეულში შუამდინარეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 174, 175.

**აფრიკეთი** (აფრიკა) – დედამიწის ერთ-ერთი კონტინენტი. 37.

**ბეთლაჰაბა // ბეთლამადი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, დაბა სპარსეთში, საიდანაც იყო მღვდელი იოსები. 209 // 215.

**ბეთნადარა** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, ადგილი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა დაბა რესთიგარი, სადაც სიკვდილით დასაჯეს დიაკვანი აითალა. 234.

**ბიზინტია** – იგივე ბიზანტიონი // ბიზანტიუმი, პატარა დასახლება, რომლის ადგილას იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა დააარსა ქალაქი კონსტანტინოპოლი. 256, 257.

**ბითრედნე** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, დაბა სპარსეთში, საიდანაც იყო დიაკვანი აითალა. 209.

**დორაკი // დორაქი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტში დასახელებული გეოგრაფიული ადგილი, რომელიც ძირითად ნუსხაში ამ ორი ვარიანტითაა მოცემული და სხვა ნუსხებში სახელდება, როგორც დოროქი, ან დურაკი, მოხსენიებულია, როგორც ავარიელეების საცხოვრისი. თუ ამ ეთნონიმის ქვეშ იგულისხმება თურქულენოვანი ტომები, მაშინ საუბარი უნდა იყოს თურქეთში, ბურსას პროვინციაში, მდებარე ადგილზე. 119, 138.

**დორაკინი** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, დორაკინი უნდა ყოფილიყო ქალაქ ტავრომენიდან (ტაორმინიდან) 90-150 კილომეტრის რადიუსში, ქალაქ სვირაკუსის მიდამოებში, კუნძულ სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 148, 163.

**ეგვიპტე** – ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში. სუეცის ყელით დაკავშირებულია აზიასთან. 46, 78, 79, 251.

**ელეავი** – „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, ქვეყანა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქები – ადესქარი და არბილი. 222.

**ეტნა** – მოქმედი ვულკანი იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე. ამჟამად ყველაზე მაღალი და აქტიური ვულკანია ევროპაში. 85, 104, 116, 183.

**ვარაღდეს ზღუდე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, გამოქვაბული სიცილიაში, ქალაქ ტავრომენიაში (იმავე ტაორმინაში). 133.

**იერუსალემი** (იერუსალიმი) – ისრაელის სახელმწიფოს ისტორიული დედაქალაქი. 33, 36, 84.

**იორდანე** – მდინარე. სათავეს იღებს ჰერმონის მთის მისადგომებთან. გაედინება კინერეთის ტბაზე და უერთდება მკვდარ ზღვას. ქვემო დინებაში ის წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს ისრაელსა და იორდანის შორის. 83.

**ისრაელი** – სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. 40, 79, 80, 117.

**კალავრია** – თანამედროვე კალაბრია. წარმოადგენს ჩექმის ფორმის აპენინის ნახევარკუნძულის „წვერს.“ დედაქალაქია კატანძარო. რეგიონი, ძირითადად, მთიანია და გადაკვეთილია რამდენიმე მასივით. 172, 173, 182, 188, 189.

**კასტორი** – სავარაუდოდ, ადგილი აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 173.

**კილიკია** – მცირე აზიის ისტორიული ოლქი (თანამედროვე თურქეთის სამხრეთი ნაწილი). მის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქი თარსუსი (ტარსი), საიდანაც იყო პავლე მოციქული. 36, 37.

**კონქილე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქეობის“ ტექსტის მიხედვით, მდინარე ქალაქ ტარანტოს სიახლოვეს მიედინებოდა. შესაძლოა. ეს იყოს მდინარე გრავინას ძველი სახელწოდება. 174.

**ლაკედემონი** [ბერძ. Λακεδαίμων] – იგივე სპარტა, ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო. 57.

**მაკედონია** – ისტორიული და გეოგრაფიული რეგიონი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა მაკედონიის სამეფოს ცენტრს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის დროს ძლიერ იმპერიად იქცა. 119.

**მაკელარია** – ქალაქი, საიდანაც, „აკეფსიმას, იოსებისა და აითალას წამების“ ტექსტის მიხედვით, იყვნენ საბურ მარზაპანი და მამამისი მოაბორ ნახპეტი. 231.

**მელაფორო** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, კუნძულ სიცილიის ქალაქ ტავრომენიდან (ტაორმინიდან) 90-150 კილომეტრის რადიუსში მოთავსებული ერთ-ერთი დასახლება. სიცილიის ძველ რუკებზე არ იძებნება. როგორც ჩანს, ავტორი (ან მთარგმნელი) დასახლებას მოიხსენიებს მისი განმგებლის სახელით. 158.

**მელიტე** – „ბაგრატის ცხოვრებისა და მოქალაქობის“ ტექსტის მიხედვით, ჭალაკი, რომელიც დორაკინის ახლოს მდებარეობდა (იხ. დორაკინი). 159.

**მელოდონი** – სავარაუდოდ, აპენინის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ძველი ქალაქი. 180.

**მენამული ზღვა** – იგივე წითელი ზღვა. მდებარეობს აფრიკის კონტინენტსა და არაბეთის ნახევარკუნძულს შუა. 46, 79.

**ნაისონი** – ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ქალაქი სპარსეთში. საეკლესიო იურისდიქციის მხრივ, ექვემდებარებოდა მოსულის, ან ნინევიის სამიტროპოლიტოს. 204.

**პალატამო** – შესაძლოა, ეს იყოს სიცილიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მდინარე ჰიმერა (Himera Settentrionale). 158.

